964/2

ალმანახი

76/114/2

1964

7

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე № 7 ივლისი, 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ორი დიდი თარიღის წინ 3
რევაზ მარგიანი — ლექსები 6
ედიშერ ყიფიანი — დროთა კავშირი. მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობა 8
გრიგოლ ცეცხლაძე — პაოლო იაშვილს. ლექსი 29
თამარ ერისთავი — ლექსები 30
გიორგი გელაშვილი — სტუმარი. მოთხრობა. 32
ქურთი პოეტების ლექსები. თარგმანი შოთა ნიშნიანიძისა 37
სიმონ მთვარაძე — ლეკთა სარძლო. რომანი. პირველი ნაწილი 40
სომერსეტ მოემი — წვიმა. მოთხრობა. თარგმანი ინგლისურიდან ზ. გემაზაშვილისა 65

ნარკვევი

კარპე მუმლაძე — დიდი ქიმიის ენთუზიასტები 94

კრიტიკა

გურამ ასათიანი — პაოლო იაშვილი 117
ლადო სულაბერიძე — პოეზია ჟურნალ „დროშას“ ფურცლებზე 127
გიორგი ხუხაშვილი — პოლიკარპე კაკაბაძის სამი პიესა 133
როსტომ ბეჟანიშვილი — ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები 146

წარსულიდან

ივ. შაიშმელაშვილი — კრწანისის ომი 156

(იხ. მეორე გვ.)

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

წიგნების მიმოხილვა

დ. ქუმსიშვილი — „წყნარი სოფლის ადამიანები“ 181
გიორგი გაჩეჩილაძე — სიმბოლიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე . . . 184
ვლადიმერ ზამბახიძე — მართალი მოთხრობები 187
ფილიპე ბერიძე — გულწრფელი სტრიქონები 190
ახალი წიგნები 192

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი: **გრიგოლ აბაშიძე**

პ/მგ. მდივანი: **ვ. წულუკიძე**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII-64 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 04478, ტირაჟი 6100, შეკვეთა № 1455

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი დიდი თარიღის წინ

საბჭოთა ადამიანების დაუცხრომელ და დაძაბულ შემოქმედებითს შრომაში სწრაფად გარბის დღეები და ჩვენ უფრო და უფრო ვუახლოვდებით კაცობრიობის ისტორიის ორ უდიდეს და უდიადეს თარიღს: 1967 წელს სრულდება ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, ხოლო 1970 წელს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, სოციალისტური ქვეყნების ბანაკი და მთელი მსოფლიო იდღესასწაულებენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მარქსიზმის გენიალური თეორეტიკოსის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ბელადის—ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ეს ორი უბრწყინვალესი და შთამაგონებელი თარიღი მჭიდროდ დაკავშირებულია ურთიერთთან, წარმოუდგენელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და მისი ძლევამოსილი ტრიუმფიული მსვლელობა ლენინის გარეშე და ლენინი დიდი ოქტომბრის და კომუნიზმის გარეშე, რადგან დღევანდელი სოციალისტური სინამდვილე, კომუნიზმის მიმდინარე მშენებლობა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა—ეს არის უდიდეს მატერიალურ ძალად ქცეული ლენინური იდეები. ამიტომ არის, რომ ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტის, კომუნიზმის ყოველი მშენებლის გულს ათრთოლებს ფიქრი იმაზე, რომ ღირსეულად შეეგებოს ამ უდიდეს თარიღებს, შეეგებოს ისე, როგორც მათ სიდიადეს, მათ განუზომელ ისტორიულ მნიშვნელობას შეეფერება. საბჭოთა ადამიანი ოქტომბრის დიდი რევოლუციისა და დიდი ლენინის დაბადების ყოველ წლისთავს აღნიშნავდა ლენინისა და მისი იდეებისადმი თავისი ერთგულების გამომხატველი არამარტო მგზნებარე სიტყვებით, არამედ საქმით, სოციალიზმის დასამკვიდრებლად გაწეული თავისი გარჯით, ამოწმებდა რა თავის ყოველ ნაბიჯს ილიჩის მოძღვრების მიხედვით, როგორც კომპასით. მით უფრო ახლა, როცა განვლილია გიგანტური ბრძოლებით და დაუცხრომელი შემოქმედებით აღსავსე 47 წელი, უდიდესი გამოცდილებით აღჭურვილ საბჭოთა ხალხს შესწევს ძალა და შესაძლებლობა აღნიშნოს სოციალიზმის არსებობის ნახევარი საუკუნე და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი კიდევ უფრო დიადი და გრანდიოზული საქმეებით.

ის ცნობები, რომლებსაც საბჭოთა პრესა და რადიო გვაუწყებს, ცხადყოფს, რომ იწყება საყოველთაო სახალხო მოძრაობა ამ დიდი თარიღების შესახვედრად, მათ აღსანიშნავად უმაღლეს დონეზე. ჯერჯერობით ძნელია თქმა, თუ რა კონკრეტულ ვალდებულებას იკისრებს კომუნიზმის მშენებელთა ესა თუ ის კოლექტივი და მისი ყოველი წევრი, მაგრამ ერთი რამ ამ თავითვე ნათელია—ეს მოძრაობა გააძლიერებს და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს მასების სამეურნეო, პოლიტიკურ შემოქმედებითს აქტივობას, მათ ენთუზიაზმს იმ გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც საბჭოთა ხალხის წინაშე სახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა—კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამა.

რა თქმა უნდა, ამ თარიღების მოსამზადებლად დაწყებული მოძრაობის პირველ რიგებში იქნება საბჭოთა სოციალისტური კულტურის შემოქმედთა—მეცნიერთა, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა მრავალრიცხოვანი არმია და მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული ინტელიგენცია.

ამას წინათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესდგა ქართველ მწერალთა აქტივის თათბირი, რომელმაც ამ საკითხზე მოისმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. გ. სტურუას მოხსენება და მწერალთა მოსაზრებები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უახლოეს ხანებში უნდა განხორციელდეს მწერალთა მობილიზაციისა და დარაზმვისათვის ამ ორ დიდ იუბილესთან დაკავშირებული შემოქმედებითი ამოცანების გარშემო.

ამ თათბირზე დასახულ ღონისძიებათა დასაკონკრეტებლად მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გაფართოებული სხდომა, მწერალთა კავშირის გამომცემლობის „ლიტერატურა და ხელოვნების", მწერალთა კავშირის ბეჭდვითი პერიოდული ორგანოების „ლიტერატურული საქართველოს", ჟურნალების „მნათობის", „ცისკარის" „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორებისა და სარედაქციო მუშაკების მონაწილეობით. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ს. ჭილაია და გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მწერალთა კავშირის გამომცემლობამ და პერიოდულმა ორგანოებმა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ სულ უახლოეს ხანში მწერალთა მთელი აქტივი შეუდგეს შემოქმედებით მუშაობას ოქტომბრის დიდ მონაპოვართა და ლენინიზმის ძლევამოსილ იდეათა გამარჯვების ასასახავად. მწერალთა კავშირში გამართული თათბირების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ ერთერთ თავის სხდომაზე დასახა სამუშაო გეგმა უახლოესი თვეებისათვის. გეგმა, რომელიც ახლო ხანში უფრო დაზუსტდება და დაკონკრეტდება, ითვალისწინებს, რათა ჟურნალმა თავის გარშემო შემოიკრიბოს მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ძალები, გაეცნოს მათ შემოქმედებით გეგმებსა და განზრახვებს, წაახალისოს და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მათ მუშაობას თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე, იმ ვარაუდით, რომ „მნათობის" რედაქციამ უახლოეს ნომრებშივე უზრუნველყოს გამოქვეყნება ახალი ნაწარმოებებისა, სადაც პარტიულობის, ხალხურობის და მაღალმხატვრულობის პრინციპების შესაბამისად ასახული იქნება სოციალიზმის მშენებლობის განვითარების ეტაპები ჩვენს რესპუბლიკაში, ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ, სამეურნეო და იდეურ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხანი, ახალი ადამიანის დაბადების, კომუნისტური სულისკვეთებით მისი იდეურ-მორალური აღზრდისა და სრულყოფის პროცესი. გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ჟურნალმა წაახალისოს და ხელი შეუწყოს პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს შექმნან პოემები, ლირიკული ლექსები, რომანები, მოთხრობები, პიესები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე,—გაამდიდრონ ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით საბჭოთა ლენინიანა. ჩვენი ჟურნალის სარედაქციო მუშაობის გეგმით დასახულია აგრეთვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საუკეთესო წარმომადგენლების მოზიდვა და მათი ნაწერების სისტემატური გამოქვეყნება ლენინის შრომებზე სოციოლოგიის, ეკონომიური მეცნიერების, ფილოსოფიის და ესთეტიკის დარგებში.

უდავოა, რომ ქართველი მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი შეუდგებიან რა მუშაობას დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ასასახავად, თავის გონების თვალს კვლავ მიაპყრობენ ადამიანს, რომლის იდეებმა და მოღვაწეობამ ძირფესვიანად შეარყიეს ძველი სამყარო და მომავლის გზა გაუნათეს კაცობრიობას.

„გადის წლები, ათწლეულები, და დროს ახალ-ახალი ტრიუმფები მოაქვს ლენინიზმისათვის—დიადი ინტერნაციონალური მოძღვრებისათვის. თვალს თუ გადავავლებთ ჩვენს გავლილ გზას, ლენინის გენიით განათებულს,—განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლის ყრილობათა სასახლეში ლენინის დაბადების 94 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე,—სიამაყით შეიძლება განვაცხადოთ დღეს, რომ მსოფლიო მოძრა-

ობს ლენინური ორბიტით. არ არის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების არც ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაჭრისას რჩევა-დარიგებისათვის არ მივმართავდეთ ლენინს. როცა განვიხილავთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფის პრობლემებს, ლენინს ვეთათბირებით. როცა ვწყვეტთ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური განვითარების საკითხებს, როცა ვთავისუფლდებით პიროვნების კულტის მძიმე მემკვიდრეობისგან, ლენინს ვეთათბირებით, მტკიცედ ვხელმძღვანელობთ ლენინის ანდერძით. როცა ვახორციელებთ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ყოველი ღონისძიებით ვუწევთ დახმარებას სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს, როცა გადაჭრით აღვკვეთავთ იმპერიალისტური რეაქციის იმ ცდებს, რომ მოახდინონ კონტრრევოლუციის ექსპორტი, გააჩაღონ მსოფლიო თერმოატომური ომი, ლენინს ვეთათბირებით, როცა შეუპოვრად ვიბრძვით სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის ჩვენ მუდამ ლენინის მოძღვრებით ვხელმძღვანელობთ".

ნ. ს. ხრუშჩოვის ეს სიტყვები სახელმძღვანელო და შთამაგონებელია ყველა ჭეშმარიტი მწერლისა და ხელოვანისათვის. სანამ მწერალი ხელში აიღებდეს კალამს თანამედროვეობის თემაზე ნაწარმოების შესაქმნელად, იგი საკუთარი გულის კარნახით ვალდებულია მოეთათბიროს ლენინს, იხელმძღვანელოს მისი ესთეტიკური მოძღვრების პრინციპებით, მისდიოს მის რჩევა-დარიგებას, ცხოვრობდეს ხალხის ცხოვრებით, სწორად და სიმართლით ასახავდეს მის შრომასა და ბრძოლას, წერდეს თავის ნაწარმოებებს მხოლოდ ხალხის სასიცოცხლო საჭიროების და მისი ინტერესების კარნახით. უფრო მეტი — თავისი შემოქმედების პროცესში მის გონების თვალს არ უნდა შორდებოდეს სახე ლენინისა, დიდი რევოლუციონერისა და მოაზროვნისა, ყველაზე ადამიანური ადამიანისა, რომელსაც ნამდვილად უყვარდა მშრომელი კაცი და ამიტომ სულითა და გულით ცდაგდა ყველაფერი, რაც ამახინჯებს და ასახიჩრებს მის ცხოვრებას, სახე ლენინისა, რომელიც გორკის აღტაცებას იწვევდა მკაფიოდ გამოხატული თავისი მისწრაფებით სიცოცხლისადმი და აქტიური სიძულვილით ცხოვრების სისაძაგლისადმი, თავისი ჭაბუკური აზარტით, რომლითაც იგი აღავსებდა ყველაფერს, რასაც იგი აკეთებდა.

ჩვენი დროის შემოქმედი, მხატვრული ნიჭით მომადლებული, ლენინის მოძღვრების შუქით გასხივოსნებული გონებით და ლენინის დიდი ადამიანურობით აძგერებული გულით დიაღაც შექმნის ოქტომბრის ეპოქის ღირს ნაწარმოებებს და ამით კიდევ ერთხელ უკვდავყოფს ლენინის ხსოვნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

ლიეჭი, ციტადელი, ძმათა სასაფლაო

ამ სისხამ დილით ვარჩევდი დუმილს,
ამ სიმწუხარეს უხდება თოვა.
საფლავზე ბრწყინავს ვით აბრეშუმი
თოვლმიყინული ყვავილთა გროვა.

თოვს სიჩუმეში. უფრო თოვდება
და მდუმარება სულ არ მაოცებს.
ეჰ, ცრემლის გარდა რა გველოდება
განწირულ ძმათა სასაფლაოზე.

ხავსიან ქვაში ჩამჯდარა ტყვია
და სისხლი წვეთავს საკუთარ გულში...
მას შემდეგ ბევრჯერ აყვავდა ია
და ბევრჯერ ცეცხლად აენთო ნუში.

მას შემდეგ ქარმა ბევრჯერ დაქროლა
ეს ციტადელი ააწრიალა,
და შერჩა დღემდე ძმათა სახსოვრად
მოურჩენელი მწვავე იარა.

ქალაქი ბრიუგე, სასტუმრო ძველი...

ქალაქი ბრიუგე. სასტუმრო ძველი.
თეთრი ოთახი და მყუდროება.
შევდივარ ფრთხილად. ჭრიჭინებს ძელი
და ყველაფერი მეუცხოება.

დაღლილი უკვე ლოგინზე ვწევარ,
შეფეთქილია თეთრად კედლები.
ვიცოდე ნეტავ მერამდენე ვარ...
სარკმელს ვით სარკეს შევაცქერდები.

ოთხასი წელი ამ ოთახს ღვიძავს
საკუთარ გულს მსურს დავუდასტურო,
იგივე მთვარე, იგივე ის ცა,
იგივე ძველთაძველი სასტუმრო.

გარეთ, ყინვაში წრიალებს ქარი,
მინებს აწყდება ხვეწნა-მუდარით.
გაბუტულივით კუთხეში მდგარი
გაუქმებული მოსჩანს ბუხარი,

აქ ყველაფერი ქათქათებს თეთრად,
ფიქრით გარდასულ წლებს ვუბრუნდები,
წარსულის ლანდებს ვერ ვაჩნევ მკვეთრად,
ფარავენ წელთა აბლაბუდები.

წიგნიდან „ცხრა მთას იქით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში შავი ლანდები თრთიან,
ოდნავ ღიაა კარი კარადის
და მეჩვენება კუთხეში ჰყრია
რაინდის ხმალი და მუზარადი.

ქვევით ვიღაცა როხროხებს მთვრალი,
დახურულია ყველა ფლიგელი
და ბატონებზე მარადჟამს მწყრალი
იცინის მარდი ულენშპიგელი.

ოთხასი წელი სასტუმროს ღვიძავს,
ბევრს მისცა მყუდრო თავსასთუმალი,
ამ ბინას სთვლიდა დროებით ძიძად
ამ წუთისოფლის ბევრი სტუმარი.

მეც მღვიძავს. ან და რა დამაძინებს,
მამლის ყივილს და მზეს ველოდები.
მიფორიაქებს სულს და მამძიმებს
საუკუნეთა ბნელი ცოდვები.

რა დამაძინებს! ძველ ლანდებს ღვიძავს,
საკუთარ გულს მსურს დავუდასტურო...
რაც იყო ძველად იგივე ის ცა,
ბებერი მთვარე და ეს სასტუმრო.

ფრთხილად, ირემი!

ლუქსემბურგის მოებში

გაცრეცილ ნისლში ვერაფერს ვამჩნევ,
აღმართებს მისდევს მანქანა მალი.
— გზა, გზა დაუთმე ირმებს და არჩვებს,
ძმობილო ფხიზლად გეჭიროს თვალი.

გზა. გზა მიეცი ქორბუდა ირმებს,
ორი დღის წინათ დაჰკარგა ცალი.
შინ ცარიელი დაუხვდა მღვიმე
და იმის შემდეგ მოთქვამს და ბღავის.

გახელებული დაქრის ღა ეძებს,
ცისკენ უჭირავს ამაყად შუბლი
და შერჩენია დახლართულ რქებზე
ნისლი და შავი ნაფლეთი ღრუბლის.

— ძმობილო, ფრთხილად! გორაკებს ათოვს
და მქისე ნისლი მიდამოს ფარავს...
ირემმა მთაში დაკარგა სატრფო
და გულმოკლული დაეძებს ბარად.

— ძმობილო, გესმის? ირემი ბღავის,
გადააფრინდა ჭირხლიან ბექობს.
— ის არ დაუთმობს სიყვარულს არვის,—
შორიდან მთათა პასუხობს ექო!

გზა, გზა დაუთმე მიჯნურთა ტრფიალს
და ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს.
გაიგებ ალბათ, ადრე თუ გვიან
რაც აწუხებდა გულმოკლულ ირემს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

დროთა კავშირი

მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობა

— ლევან!

— გისმენთ!

— სად ხარ?

— ჩემს კაბინაში.

— ახლა შეხვედი, თუ...

— არა, მეძინა.

— ესე იგი, ჩემი განცხადება არ მოგისმენია!

— რა მოხდა?

— შეგიძლია სარკეში ჩაიხედო და გაკოხტავდე, ექვსი საათის შემდეგ მზის სისტემაში ჩავყურყუმალდებით. შემოდი ჩემთან, ყველანი აქ არიან.

— ცოტა შეუძლოდ ვარ.

— ექიმი და შეუძლოდ? სადა ხარ, ვერ გხედავ!

მე სკამიანად შემოვბრუნდი, რომ ტელევიზორის გადამცემ კამერას დავენახე.

— სკამზე გეძინა? — ჩაიცინა კაპიტანმა. — დედამიწაზე ნახევარი წლის შვებულება გელოდება!

— უკვე გავედი შვებულებაში, — წავეხუმრე მეც.

— ადრეა. ძაღლები ასაყეფებელი გყავს.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით, ძიწაზე გამოგვეფხიზლებინა.

— მეშინია, მიწაზე დახოცილები არ შეგრჩეს ხელთ. სირცხვილით სადღა გამოყოფ თავს, ახლა კი მიზეზის მოსაფიქრებელი დრო დაგრჩება...

კაპიტანი აშკარად მაღიზიანებდა. ანაბიოზში მყოფი თეთრი ძაღლები კიდევ ერთხელ შევამოწმე ამ დილით. ყველაფერი რიგზე იყო. ჩემს კაბინაში არ იდგა ტელეეკრანი, მე ვერ ვხედავდი კაპიტანს, მაგრამ ვგრძნობდი, რა ეშმაკურად ჭუტავდა თვალებს. მთელი მგზავრობის მანძილზე დღეს მეორედ დადგა ხუმრობის გუნებაზე. პირველად მაშინ გაიღიმა, როდესაც ჩვენმა კოსმოსურმა ხომალდმა თითქმის ნახევარი გზა განვლო სირიუსამდე და უკან გამობრუნება იწყო. როგორ ცვლის დიდი სიხარული სიტყვაძვირსა და პირქუშ ადამიანს! მაგრამ მხოლოდ დედამიწასთან მიახლოების გამო უხარია კაპიტანს? იმიტომ დადგა კარგ გუნებაზე, რომ მშვიდობიანად ბრუნდება შინ? რომ უკან დარჩა სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე სიარული, ორი, გრძელი კოსმიური წლის სამარისებური სიჩუმე და წყვდიადი, არაქათგამომცლელი მოწყენილობა, მომაბეზრებელი უმოქმედობა, და ყველა ჩვენი ხუთივე გრძნობის ძალაუნებური დაჩლუნგება? ჰო, რა თქმა უნდა, ესეც ბედნიერებაა, კოსმიური მგზავრობიდან კი არა, სამსახურიდან რომ შინ ბრუნდები მშვიდობიანად, იქნებ მაშინაც უნდა გიხაროდეს კაცს. მაგრამ მოხუც კაპიტანს სულ სხვა მიზეზი აქვს ხუმრობის და, საერთოდ, კარგ გუნებაზე ყოფნის; მან კიდევ ათი წელი გამოსტაცა სიკვდილს, ზუსტად ათი წელიწადი!

იგი 186 წლის წინათ დაიბადა შავი ზღვის სანაპიროს პატარა სოფელში. ოცდასამისა იყო, როდესაც პირველად გაფრინდა პროციონისკენ. შვიდი წლის ფრენის შემდეგ დაბრუნდა დედამიწაზე და არცერთი მისი ტოლი ცოცხალი აღარ დახვდა. ეს კაპიტნის მეთერთმეტე

და, როგორც თვითონ ამბობს, უკანასკნელი მგზავრობაა სინათლესთან მიახლოებული სიჩქარით. „თუ მშვიდობიანად დავბრუნდით, ცისკენ აღარც ავიხედავ, დადგა ჟამი ჩემი მიწისქვეშ მგზავრობისაო“, მაგრამ ჯერ ადრეა მისთვის სიკვდილზე ფიქრი, კაპიტანი კოსმოსის შვილია, დედამიწაზე სტუმრად ჩამოდის ხოლმე. 71 წლის გახდებოდა, ახლა რომ დედამიწაზე დარჩენილიყო. მაგრამ გამოფრინდა და კიდევ ათი წლის სიცოცხლე ჩაიჯიბა.

ისე ვბუზღუნებ და ვუსაყვედურებ, თითქოს მე წამართვა ის ათი წელი. არ ვიცი რატომ ვარ ცუდ გუნებაზე, მეც ხომ უნდა მიხაროდეს, მეც ხომ ახლა კაი 41 წლის ჭაღაროსანი ვიქნებოდი, სიცოცხლის ნახევარი გავლილი მექნებოდა. რა ჩახლართული მანქანაა ადამიანი, სხვას კი არა, ხანდახან საკუთარ თავსაც ვერაფერს გაუგებ. ვითომ მოწოლილ სევდას ვეღარ ვუძლებ, ვითომ საშინლად დამჩაგრა ამ მგზავრობამ, დამავალეს, თორემ სურვილით როგორ წამოვიდოდი, ცარიელ ოთახში ვიღაც არარსებულისა და უჩინარის წინაშე თავს ვიკატუნებ. რა გამოცნობა ამას უნდა: რეპეტიციას გავდივარ, რომ ცოლის წინაშე შეძრწუნებული ქმრის როლი ვითამაშო იქ, კოსმოდრომზე, რაკეტის დაშვებისას.

„ექსპერიმენტული კოსმიური ხომალდი — ლაბორატორია „ციცარი —7“, 2206 წლის 30 ნოემბერს სტარტს აიღებს კავკასიონის მე—5 კოსმოდროდან, — აცხადებდნენ გაზეთები ჩვენი გამოფრენის წინ. — ექსპერიმენტის მიზანია, 1) ცხოველთა ანაბიოზურ მდგომარეობაზე დაკვირვება. 2) სელექციონური ქლორელის გამოცდა ხომალდის ეკოლოგიური სამყაროს გასაუმჯობესებლად. „ციცარი — 7“-ის საშუალო კოსმიური სიჩქარე— 240.000 კმ. წამში. მოგზაურობის ხანგრძლივობა დედამიწის კალენდრით— 5 წელიწადი, ხომალდის კალენდრით — 3 წელიწადი“.

კოსმონავტებს ისეთი შორეული ვარსკვლავები ჰქონდათ ამოღებული მიზანში, რომ, მიუხედავად დიდი სიჩქარეებისა, ადამიანის ერთი სიცოცხლე აღარ ეყოფოდა გაფრენისა და უკან დაბრუნებისათვის. სწორედ ამიტომ გახშირდა ბოლო დროს ჰიპოთერმული ექსპერიმენტები. ჩვენი ოთხფეხა თანამგზავრებიც ახლა ანაბიოზში არიან, ორას გრადუსამდე გაყინულ მათ სხეულში სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ მოიძებნება, ბიოლოგიური პროცესები დაკონსერვებულია, ამ ორი წლის ფრენის მანძილზე ძაღლები ერთი წამითაც არ დაბერებულან. ასევე უცვლელი დარჩებიან ისინი 400—500 წლის განმავლობაში, თუ, რა თქმა უნდა, არავინ გამოაფხიზლებს. საკმარისია სითბოში მოათავსო, რომ გული აუმუშავდებათ. სუნთქვას დაიწყებენ, დაიწკმუტუნებენ.

ჩვენი ხომალდის ბოტანიკოსიც კმაყოფილია ქლორელის გამოცდის შედეგებით. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს ერთუჯრედოვანი მცენარე სავსებით საკმარისია ხანგრძლივი მგზავრობის რაკეტებზე კოსმონავტთა საკვების შესაცვლელად და მიკრო ატმოსფეროს შესაქმნელად. ერთი სიტყვით, პროგრამის ყოველი მუხლი შეასრულა ჩვენმა ეკიპაჟმა.

მხოლოდ ერთი, ერთადერთი პირობა დაირღვა.

ეინშტეინის დროის რელატიურობის ფორმულის მიხედვით, ხომალდის სიჩქარე და ფრენის ხანგრძლივობა ისე იყო შერჩეული, რომ ჩვენთან შედარებით მხოლოდ ორი წლით დაბერდებოდნენ დედამიწის მცხოვრებნი. მაგრამ მაშინ რა ვიცოდი, რას მიმზადებდა ბედი.

სტარტამდე ერთი კვირით ადრე, კოსმონავტთა ინსტიტუტის პარკში, მოხუცმა კაპიტანმა შემაჩერა. მთელი დღე გეძებო, მითხრა, ხელი მომკიდა და საუბარ-საუბრით ხეივნისაკენ წამიყვანა. ჩანჩქერთან უეცრად გაჩერდა, თავისკენ მიმაბრუნა და თვალებში შემომაცქერდა.

— რამდენი წლისაა თქვენი გოგონა?

— ოთხის... რატომ მეკითხებით? — გამიკვირდა მე.

— ცოლი?

— ოცდარვის... რა მოხდა. რაშია საქმე?

— ახლავე მოგახსენებთ... თქვენ?

— მე ოცდაცხრისა ვარ... უარი ხომ არ მითხრეს? — გავფითრდი უეცრად.

— არა. თქვენ ჩემი ყველაზე კარგი კანდიდატურა ხართ. მაგრამ მე ვალდებულად ვთვლი თავს, ერთი საიდუმლო გაგანდოთ, მომეცით სიტყვა, რომ ხომალდის მიწაზე დაბრუნებამდე, თქვენი ცოლის გარდა, არავის ეცოდინება ეს.

— ჩემი ცოლის გარდა? — თანდათან მომემატა მღელვარება.

— დიახ. მიწაზე მხოლოდ თქვენს ცოლს ეცოდინება...

— სიტყვას გაძლევთ!

— თქვენს ოჯახს ეხება და ამიტომ გიმეღავნებთ საიდუმლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში...

— გისმენთ!

— მაგრამ მანამდე მინდა გკითხოთ, გიყვართ ცოლი? მაპატიეთ, მაგრამ მე უნდა ვიცოდე ეს.

— მიყვარს... ცხადია, მიყვარს, — დავიბენი ბავშვივით.

— მე მოგმართავთ, როგორც მამაკაცი მამაკაცს, აქ არაფერია დასამალი, გიყვართ იმდენად, რომ მისმა დაკარგვამ ტკივილი მოგაყენოთ?

— დაკარგვამ?!

— ნუ ღელავთ, ჯერ მიპასუხეთ კითხვაზე!

— მიყვარს, მიყვარს ჩემი ცოლი, მითხარით რა მოხდა?

კაპიტანმა თვალი მომაცილა, ჩიბუხი გააწყო, გააბოლა.

— მე ფრენის ვადების დარღვევას ვაპირებ. — თქვა მან, — ორი წლით სიცოცხლის მომატება ძალიან ცოტა მეჩვენება, მით უმეტეს, იქნებ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა იყოს ჩემთვის, უკანასკნელი გაფრენა. გამიგეთ, მე ახლა ისე დავეძებ სიცოცხლის ზედმეტ წლებს, როგორც ლოთი — ღვინოს. 184 წლის წინათ დავიბადე და ახლა, როგორც არასდროს, მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო. არ გეგონოთ, ვიღაც ბებერი სიცოცხლეს ეპოტინებოდეს და შიშის კანკალი ავარდნოდეს მოანლოებულ სიკვდილზე ფიქრისაგან. არა. მე ისე შევეჩვიე მომავალი დღეების და, არა მარტო დღეების, საუკუნეების ნახვას, დაუკვირდით ამ სიტყვებს; ისე შევეჩვიე მომავალში ცხოვრებას, ისე გაღიზიანებული მაქვს ცნობისმოყვარეობა, რომ ყურსაც არ გავიბერტყავ, თუ მეტყვიან, დღეს უნდა მოკვდეო, მაგრამ ხვალინდელი დილის ნახვა თუ არ მიწერია, ალბათ, გავგიჟდები. ყოველ დილას მე მიყვარს მომავალი დღის განთიადი, ყოველ საღამოს—მომავალი საღამო. მე არ ვცხოვრობ არცერთ კონკრეტულ დღეს, რადგან მომდევნო დღეა ჩემთვის ყველაფერი. ეს თითქოს პარადოქსია, მაგრამ ასეა. დარწმუნებული ვარ, ვერ მიმიხვდით, მაგრამ ოდესმე მიხვდებით. შეიძლება ჩემზე მეტადაც მოიწამლოთ ამ სენით. მაგრამ ახლა არა გაქვთ განვითარებული გარდაუვალი ცნობისმოყვარეობის გრძნობა, იგი თქვენთვის ჯერ არ ქცეულა მოთხოვნილებად. შეიძლება გაგეცინოთ და არ დამიჯეროთ, მაგრამ ახლა ადამიანს, როგორც ანატომიურ ინდივიდს, უჩნდება ახალი ორგანო, ცნობისმოყვარეობის ორგანო! დარწმუნებული ვარ, მე იგი უკვე მაქვს, სადღაც, სხეულის სიღრმეში. ახალ ორგანოს კი დაკმაყოფილება უნდა, ისევე, როგორც შიმშილს, წყურვილს... საუკუნეების მანძილზე ისე ხშირად ღიზიანდებოდა ნერვული ბოჭკოები ადამიანის ყოველდღიური, ყოველწუთიერი ცნობისმოყვარეობისაგან, რომ ორგანიზმი ევოლუციის ახალ მიჯნამდე მიიყვანა. რა თქმა უნდა, ადამიანებს ძველადაც აინტერესებდათ, თუ როგორ მოეწყობოდა ქვეყანა მათი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ იცოდნენ ისიც, რომ ამას ვერასდროს გაიგებდნენ, და წინასწარ თავს არავინ იკლავდა. ახლა კი...— მოხუცმა აღარ დაამთავრა, გაჩუმდა, მერე ცივად დაუმატა, — მიხვდით, რისი თქმა მინდა?

მე თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად

და კაპიტანმა იგრძნო, რომ ვერაფერს მივხვდი.

— ჩვენ ვიფრენთ სინათლის ცხრა მეათედი სიჩქარით, 295 ათას კილომეტრს წამში, ეს „ციცარის“ მაქსიმალური სისწრაფეა. პროგრამით კი გათვალისწინებულია ხელოვნურად შენელებული ფრენა ექსპერიმენტის გახანგრძლივებისათვის. მაგრამ მე დავარღვევ ამ პროგრამას. ორი წლისა და ორი თვის შემდეგ დავბრუნდებით, დედამიწაზე კი ამ ხნის განმავლობაში თორმეტი წელი გაივლის, გაიგეთ, რას გეუბნებით?

— გავიგე.

— ყველა თქვენს ტოლზე ათი წლით ახალგაზრდა ჩამოხვალთ, თორმეტი წლის მერმინდელი დედამიწა დაგხვდებათ. გახდებით პირწავარდნილი ეგოისტი. აღარც მშობლები, აღარც ცოლშვილი, აღარც მეგობრები, მხოლოდ მომავლის შეცნობის დიდი სურვილი. დაავადდებით იმავე სენით, აგეკვიატებათ გარდაუვალი შიში, ვაი, თუ უეცრად ვარდაიცვალოთ და ვეღარ გაიგოთ, რა იქნება კიდევ ათი წლის შემდეგ, ოცი წლის შემდეგ. და თქვენ აღარასოდეს მოგინდებათ სიკვდილი, აღარასოდეს, რადგან მუდამ შეგეძლებათ სიკვდილის ვადების გადაწევა. ეს საშინელებაა, საშინელება... იქნებით ისეთივე ბედნიერი და ისეთივე უბედური, როგორც უკანასკნელი ნარკომანი. გესმით, რას ვამბობ?

— მესმის!

— მაინც გამოფრინდებით ჩემთან ერთად?

— მაინც! — ისე ვუპასუხე, თითქოს ვიღაც უხილავი ჰიპნოზს მიკეთებდა.

— თქვენ 31 წლისა დაბრუნდებით, თქვენი ცოლი 40 წლის დაგხვდებათ, გამოფრინდებით?

ელდა მეცა. ერთბაშად წარმოვიდგინე 40 წლის თინათინი.

— შეიძლება დაბრუნებისთანავე ერთბაშად შეგძულდეთ ცოლი, უფრო მეტად კი მას შეძულდებით, როდესაც ჭაბუკსა და სრულიად უცვლელს გნახავთ!

— არასოდეს! — წამოვიძახე მე.

— მოილაპარაკეთ და შემატყობინეთ! —კაპიტანმა მხარზე ხელი დამადო და სწრაფადვე მომაცილა, — ხვალ მთელი დღე კოსმოდრომზე ვიქნები.

იგი შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა ხეივანს.

თითქოს მინდოდა დავდევნებოდი და რაღაც მეკითხა, თითქოს მინდოდა თვითონვე აეკრძალა ჩემთვის გაფრენა, არ მოეცა გადასაწყვეტად ეს რთული არჩევანი, რადგან მაშინვე ვიგრძენი, რომ მე არაფერს ვეტყოდი თინათინს.

ღვინის ერთი ყლუპით დამთვრალს ვგავდი, რაღაც ჯადოსნური ბანგი გამჯდარიყო მთელს სხეულში, თითქოს იმ წუთში გამეგოს სამყაროს დიდი საიდუმლო, ავმაღლებულიყო, გავზრდილიყო, და მეშინოდა ადგილიდან დაძვრა, მეგონა უზარმაზარი ნაბიჯი გამომივიდოდა, მთელს ქალაქს გადავევლებოდი, და მეუხერხულებოდა, რას იტყოდნენ ნაცნობები, თუ უცნობები, როგორ ამეხსნა მათთვის ჩემი ასეთი გაგოლიათება.

მივდიოდი შინისაკენ და ყველაფერი შეცვლილი მეჩვენებოდა. მეგონა, ეს პროსპექტი, ხალხი, ეს წიგნების ვიტრინა, ანდა, ის გორაკი, მენახა ოდესღაც და ახლა შემთხვევით მომაგონდა, თვალწინ დამიდგა. და იმ წუთში სხვა საგანზე რომ დამეწყო ფიქრი, ეს ქალაქიც, ქუჩაც და გორაკიც, ალბათ, გაქრებოდა, როგორც, საერთოდ, მომდევნო ფიქრი აქრობს წინას.

ცდება კაპიტანი, თავს ვიმშვიდებდი მე, თინათინი ყოველთვის მეყვარება, როგორიც არ უნდა დამხვდეს, მეყვარება. რა მოხდა, თუ წამძლევს სურვილი და ათი წლით გავიხანგრძლივებ სიცოცხლეს, თუ მომხიბვლელად მომეჩვენება ჩემი დაბერების ათი წლით შეჩერება, ჩემი ტოლებისკენ, თუნდაც უმცროსებისკენ, დაბრუნებისას ნიშნისმოგებით გადახედვა. განა ეს დანაშაულია?

მაგრამ ვერ გავბედე, ვერ გავანდე კაპიტნის საიდუმლო თინათინს, რადგან

იგი უკვე ჩემ საიდუმლოდ გადაიქცა.

ძველი მეომრები და მოგზაურები დიდი ხნით ტოვებდნენ ხოლმე ოჯახებს. წლობით, ხანდახან ათეულ წლობითაც, მაგრამ შორეული ლაშქრობის ველზედაც და სამშობლოშიც, დრო ერთნაირად მიიზლაზნებოდა წინ, ქარიშხლიან ოკეანეებშიც და მიტოვებული ოჯახის კერასთანაც მზე თანაბრად ერეკებოდა ციფერბლატებზე საათის ისრებს. მეომართან და მოგზაურთან ერთად ბერდებოდა დედამიწა, საკუთარი ცოლიც და შვილიც. მეომარი ამაყობდა ჭრილობებისაგან დამახინჯებული სხეულით, მოგზაური — განსაცდელთან ბრძოლაში შეჭაღარავებული თმებით.

მე კი დავბრუნდებოდი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ისევ ძველებური სიხალისე, ისევ წინანდელი ძალ-ღონე და სილამაზე შემრჩებოდა. და მერე ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული; შემეძლო მუდამ ახალგაზრდა დავრჩენილიყავი, მუდამ, მთელი სიცოცხლის მანძილზე.

თინათინმა და ნაიმ, ჩემმა ოთხი წლის ქალიშვილმა, კოსმოდრომზე მომაცილეს. სტარტამდე კიდევ სამი საათი იყო დარჩენილი, მაგრამ ეკიპაჟის წევრები ექსპედიციის კომისიის წინაშე უნდა გამოვცხადებულიყავით.

თინათინი უცხოსავით უხერხულად გრძნობდა თავს გამომშვიდობებისას. ხშირ-ხშირად იყურებოდა საათზე, იქნებ იმ დროზე ფიქრობდა, როდესაც ისევ აქ, კოსმოდრომზე უნდა დამხვედროდა ჩემი დაბრუნებისას, თითქოს ახლავე ეშინოდა, არ დაგვიანებოდა მოსვლა. ინსტინქტი შეუმცდარად ატყობინებდა, რომ რაღაც საგანგაშო ხდებოდა და, რომ ეს საშიშროება დროსთან და დაგვიანებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თინათინი ვერ ერკვევოდა, ვისი დაგვიანების, ან რომელი დაგვიანების უნდა შეშინებოდა.

— არ დაგაგვიანდეს!— მითხრა უეცრად.

— ა?! — დავიბენი, ერთი წამით მომეჩვენა, რომ ყველაფერი იცოდა.

— არ დაგაგვიანდეს! — გაიმეორა და ხელი სასტარტო პოლიგონისკენ გაიშვირა, სადაც ჩვენი რაკეტის მუქი სილუეტი მოჩანდა, — უკვე მესამედ გამოაცხადა შენი გვარი რადიომ.

როცა გადამკოცნა, იღიმებოდა, მაგრამ თვალები სველი ჰქონდა. ქარი უფრიალებდა მწვანე ფოთლებით მოხატულ კაბას და თეთრ მუხლებს უჩენდა.

— მამა, წითელ ღრუბელს ჩამომიტან? — ფეხზე მომეხვია ნაი.

მე ხელში ავიტაცე შვილი და დიდხანს მყავდა გულში ჩაკრული. ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავდი მის ბავშვობას, ვეღარ მოვისმენდი მის ტიტინს, თექვსმეტი წლის ქალიშვილი დამხვდებოდა, უცხო ადამიანივით შემომხედავდა და ჩვენ თავიდან უნდა გვეშენებინა მამაშვილური სიყვარული. როგორ მინდოდა შემესრულებინა მისი უკანასკნელი, ბავშვური სურვილი.უკანასკნელი, რადგან იგი მე აღარასოდეს მთხოვდა წითელ ღრუბელს, აღარც თეთრსა და შავს.

რამდენმა წუთმა გაიარა მას შემდეგ? სადღაც სამყაროში, ალბათ, არის ადამიანის მთელი ცხოვრების დამტევი წუთი, როგორც უჩინარი ატომის გული ინახავს უზარმაზარ ენერგიას... რამდენი რამ გადავიტანე, რამდენმა ფიქრმა დამავიწყა და რამდენმა გამახსენა თავი. უკვე ვბრუნდებით. ჩვენი ხომალდი მალე მზის სისტემაში შეიჭრება, რომლის ერთი პლანეტა დიდიხანია გველოდება. იქნებ დაღუპულიც ვგონივართ, მაშველი ექსპედიციებიც ჰყავთ გამოგზავნილი, დღედაღამ მლოცველებივით აჰყურებენ ცას მსოფლიოს ტელელოკაციური აპარატები და ჩვენ დაგვეძებენ. ალბათ, ასეა, რადგან კაპიტანმა დააგვიანა, იჩქარა და დააგვიანა.

— მაგიდა! — ვბრძანე მე.

კედლიდან უხმაუროდ გამოცურდა ცისფერი მაგიდა. უჯრა გამოვაღე და ჩემი დღიური გავშალე. რა არ ჩამიწერია შიგ. მგზავრობის პირველი დღეების

შთაბეჭდილებები, ბავშვური აღტაცება, განცვიფრება, საკუთარ განწყობილებათა ანალიზი, ფიქრები დედამიწაზე, თინათინზე და ნაიზე, ფიქრები მომავალზე... ჩვენი ხომალდის დაწვრილებითი აღწერა, და მერე გაუბედავი, წვრილი ასოებით მიწერილი ჰიპოთეზა უსასრულობის სიმრუდის შესახებ, იმის შესახებ, რომ უსასრულო დროის მანძილზე სწორხაზოვანი ფრენის შემდეგ კოსმიური ხომალდი უნდა დაბრუნდეს საწყის წერტილში. მერე კაპიტანთან საუბრის ჩანაწერები, ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან... მერე ისევ თინათინზე ფიქრები, განშორების სინანული, მომავალი შეხვედრის გულისგამაწვრილებელი მოლოდინი.

ვათვალიერებდი დღიურს და მწარედ მეცინებოდა საკუთარ თავზე, ჩემს პატარა, ქვეშეცნეულ ცბიერებაზე, აღმოვაჩინე, რომ მთელი დღიური თინათინისათვის მქონდა გათვალისწინებული, მისი გულის ასაჩუყებლად და ჩემს გასამართლებლად. დღიურის მიხედვით, ვითომ გზაში გამიგია, რომ „ციცარი“ 35 ათასი კილომეტრით სწრაფად მიჰყავდა კაპიტანს, ვიდრე გათვალისწინებული იყო და ერთი ამბავი ამიტეხია, რომ დედამიწაზე თორმეტი წელი გავიდოდა ჩვენს დაბრუნებამდე და თავზარი დამცემია, რადგან ძვირფასი, საყვარელი თინათინი ჩემზე უფროსი დამხვდებოდა...

კარგი თაღლითი ვარ, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი!

კედლის ნიშაში ორი ციფერბლატი ანათებს. ეს ჩვენი ხომალდისა და დედამიწის კალენდრებია. „2208 წ. 30 ოქტომბერი. 4 საათი“, სწერია ხომალდის კალენდარზე, დედამიწაზე კი ახლა 2217 წ. 29 ივნისი, 19 საათი და 18 წუთია.

29 ივნისი!

გული უეცრად აფართხალდა, ფეხზე წამოვიჭერი, ჩუმი სიცილი დავიწყე, ხელები გავშალე, თითქოს ვიღაცას უნდა გადავხვევოდი. 29 ივნისი ნაის დაბადების დღეა, თხუთმეტი წლის გახდა. ალბათ, ამხანაგები ჰყავს მიპატიჟებული, ერთ ამბავში არიან, ანდა, არა, ჯერ არ მოსულან, ჯერ იქ საღამოს შვიდი საათია. მოუთმენლად ელოდება სტუმრებს ნაი. ვინ იცის, მათ შორის მისი თაყვანისმცემელიც ერიოს, თავის სიყვარულს რომ საიდუმლოდ ინახავს და ნაისთან ყოველ შეხვედრისას ყურებამდე წითლდება... ნაის თაყვანისმცემელი, ვერ წარმომიდგენია... აი, მოვიდნენ. პირველი სტუმრები, ნაი ეგებება, კოცნიან... თინათინი სუფრას აწყობს, თან ცალი თვალით გაჰყურებს ახალგაზრდებს და ეღიმება...

— რა დაგემართა?

მომესმა ზედ ყურთან.

შევკრთი და თვალები გავახილე. ჩემს წინ მოხუცი კაპიტანი იდგა, დაფიქრებული შემომყურებდა წარბებქვეშიდან. ერთდროულად რამდენი რამის გამოხატვა შეუძლია თვალებს; კაპიტნის გამოხედვა მარწმუნებდა, რომ ამ წუთში იგი რაღაცას მიხვდა, კაპიტნის თვალები მეკითხებოდა, არ ვიცი რას, თანაგრძნობასაც მიმჟღავნებდა და დამცინოდა კიდევაც.

ოცნებაში წასული, ზურგით კედელს მივყრდნობოდი, თვალები დამეხუჭა. მისი ნაბიჯების ხმა ვერც გავიგე.

— მართლა შეუძლოდ ხომ არა ხარ?

— არა... — ჩავიცინე, სულელური სიცილი გამომივიდა.

— თვალები გიბრწყინავს!

— არა... — თითქოს სხვა სიტყვა არ ვიცოდი.

— ყველაფერი კარგად იქნება! — თქვა მან. დაჯდა და მეც სკამზე მიმითითა, — გზაში მოძრავ ფინიშს შემოგვაგებებენ დედამიწიდან, ისე დავჯდებით, როგორც რბილ სავარძელზე.

გამომცდელად შემომხედა და სწრაფად ამაცილა თვალი. კაპიტანმა იცოდა, რომ მე ფინიშის სიძნელეები სულ არ მადარდებდა, ხვდებოდა, რა მაწუხებდა და რა ფიქრები მიტრიალებდა თავში. მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება უკარნახებდა, თვითონ არ დაეწყო ამაზე ლაპარაკი,

ამიტომ ჩემს სააღსარებოდ გამოწვევას ცდილობდა. „შეცდომით“ მიხვდა, რომ ვითომ ხომალდის მშვიდობიან ფინიშზე ვფიქრობდი და მომცა მისი შეცდომის შესწორების საშუალება.

— ყველაფერი კარგად იქნება, —გავიმეორე მე და ვითომ წამოვეგე მის დიპლომატიურ ხრიკზე. — ერთის გარდა... ცოლთან შეხვედრის მეშინია...

— სისულელეა, — ხელი ჩაიქნია მან, — ცხრა წლის განსხვავება არაფერია!

— არაფერია, მაგრამ ქალისთვის, ისიც შენი ცოლისათვის... ხომ თქვენ თვითონვე მეუბნებოდით, ეს ყველაზე მუხანათური ღალატიაო...

— მეე?! — გაიოცა კაპიტანმა და სუფთად გაპარსულ ლოყებზე თითები ჩამოისვა, — მე არასოდეს მითქვამს ეგ! — უეცრად გაიღიმა და თითი დამიქნია, — თქვენ თურმე, ყმაწვილო, საკუთარ აფორიზმებს არ აფასებთ და ასე გულუხვად არიგებთ! უნდა ჩაიწეროთ ხოლმე...

კაპიტანმა მაგიდაზე გადაშლილ დღიურს გადახედა. უნებურად ხელი გამექცა დღიურისაკენ, უხერხულობა ვიგრძენი, დღიური ავიღე და სახესთან ავიქნიე, ვითომ მცხელოდა. კაპიტანი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ დამინდო, არაფერი გამოამჟღავნა. მისი აზრით, მე ასე უნდა დამემშვიდებინა თავი; „კაპიტანს გამოეპარა ჩემი ხელის უნებური მოძრაობა, კიდევ კარგი, ვერაფერი შეამჩნია“.

„აფორიზმის“ თაობაზე კი ცამდე მართალი იყო. ჰო, მე ვფიქრობდი ამას, მე შევარქვი ჩემს საქციელს ყველაზე მუხანათური ღალატი ცოლისადმი, მაგრამ კაპიტანს რატომ მივაწერე, ვერ მომისაზრებია.

— იცით, ყველაზე მეტად რისი მეშინია, კაპიტანო, ვაი, თუ...

— ადვილი შესაძლებელია, ამდენხანს მარტოხელა ყოფნა ძნელია ქალისათვის.

— ვერ დავიჯერებ, — წამოვიძახე გამწარებულმა, — თინათინს ძალიან ვუყვარდი.

— უყვარდი! — ნიშნისმოგებით ჩაიცინა კაპიტანმა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და სკამის ზურგს მიეყრდნო, — თქვენ კარგად იცით, რას ნიშნავს ქალისთვის ასაკი, დრო ყველაზე საძულველი მტერია მისი, უძლეველია ეს მტერი, უხილავი და ხელშეუხებელი. მაგრამ, ამჯერად, თქვენი უყმაწვილესობის სახით, თქვენს მეუღლეს ეყრლება ხორცშესხმული მტერი, ხილული დრო, რომელმაც იგი დააბერა...

მინდოდა წამომეყვირა; ხომ თვითონვე დამთანხმდა თინათინი, ხომ იცოდა, რომ ასე მოხდებოდა-მეთქი. ამ პასუხს ბუნებრივად მიიჩნევდა კაპიტანი, მაგრამ სინდისმა ენა დამიდუმა, არ მინდოდა კიდევ ერთხელ ხმამაღლა გამემეორებინა ჩემი სიცრუე.

— ერთი ზღაპარი მაგონდება, აღარ მახსოვს რომელი ხალხისაა, — გააგრძელა კაპიტანმა და ტუჩებზე ღიმილის ლანდი ჩაესახა, — ერთი ბებერი მონადირე, თურმე გაახალგაზრდავებული დაბრუნდა შინ, ცოლმა პირველად ვერც იცნო ეზოში შემოსული ოცი წლის ჭაბუკი, მაგრამ როცა იცნო და ყველაფერი გაიგო, ტირილი მორთო! რად მინდა ყმაწვილი ქმარი, თუ მე ბებერი ვიქნებიო, მეც გაახალგაზრდავება მინდაო. ქმარს შეეცოდა და მიასწავლა ის ტყე, სადაც ერთმა ნაძვის ხემ გაახალგაზრდავების საიდუმლო იცოდა. მოხუცი ქალი გზას გაუდგა. ქმარმა უცადა ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე, ბოლოს ადგა და ცოლის საძებრად გასწია. დიდხანს ეძება, მთელი სახელმწიფო შემოიარა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნო. ბოლოს დამწუხრებული შინისკენ გაემართა. უეცრად ხევიდან ბავშვის ტირილი შემოესმა, ჩაირბინა და რას ხედავს, ერთი წლის გოგონა ეკალბარდებში გახლართულიყო და საცოდავად ბღაოდა... ალბათ, მიხვდებით, ვინც იყო ის გოგონა და რას მოსთხოვდა გრძნეულ ნაძვის ხეს, ლაპარაკი რომ კიდევ შესძლებოდა, — კაპიტანმა ხმამაღლა გაიცინა, მაგრამ შემხედა თუ არა, შეწყვიტა სიცილი, — არ იფიქროთ, განგებ ვამუქებდე

თქვენი ოჯახის მომავალს. დაანებეთ თავი სენტიმენტალობას, თქვენ დღეიდან რელატივისტი ხართ! დაივიწყეთ დედამიწა. დამიჯერეთ, თქვენ აღარა ხართ მისი მცხოვრები. ეს პლანეტა თქვენთვის ერთერთ შესვენების ადგილად იქცა ამ ზღვა ვარსკვლავებს შორის. გამოფრინდებით მეორედ და აღარ დაგხვდებათ ცოლი, გამოფრინდებით მესამედ და აღარ დაგხვდებათ შვილი და შვილიშვილები. აღარ არსებობს ის ადამიანი, რომელიც დედამიწის ჩვეულებრივი მკვიდრი იყო და იქ გაბატონებულ მორალურ, საზოგადოებრივ და ბუნების მიერ შემუშავებულ კანონებს ემორჩილებოდა. თქვენ დღეს სულ სხვა პიროვნება ხართ. მე წინასწარ გაგაფრთხილეთ, ზედმეტად შეგაშინეთ კიდევაც. არჩევანი კი თქვენზე იყო. უსაგნოა სინანული. თქვენ ხომ სულ არ შეგიგრძვნიათ ის წარმოუდგენელი უპირატესობა, რაც ამ მოგზაურობამ მოგიტანათ. ჯერ დავსხდეთ მიწაზე.

კაპიტანი დადუმდა. მე ვერაფერი ვუპასუხე. ათასი მომხიბვლელი და ზღაპრული სურათი მელანდებოდა. სევდა და წუხილი სადღაც გაქრა. ყოველთვის საოცარი შთაგონებით მოქმედებდა ჩემზე კაპიტნის სიტყვები, ახლაც ასე მოხდა. წინასწარ მათრობდა ის დაპირებული ბედნიერება და სიამოვნებანი, რომელსაც ვერცერთი მოკვდავი ვერ განიცდიდა თავის სიცოცხლეში.

— კაპიტანო! — ხმა ამოვიღე ბოლოს, — თითქმის ორი საუკუნეა, რაც გაჩნდით ამ ქვეყნად, თქვენ... თქვენ ძველებურად გებადებათ ახალი აზრები, იდეები?

— გინდათ მკითხოთ, აზროვნება ხომ არ დამიჩლუნგდა? სამწუხაროდ, არა! ისევ ისე მესახება ახალი გეგმები, ახალ-ახალი პრობლემები, გროვდება, გროვდება, აღარ ვიცი ხოლმე რა მოვუხერხო, რომელს მოვკიდო ხელი განსახორციელებლად. ვცდილობ, თავს ძალა დავატანო და დავივიწყო, არსად არ ვიწერ, არავის არ ვუამბობ, ვარწმუნებ თავს, რომ სისულელეა, რომ უჭკუო და უნიჭო ვარ, მაგრამ არაფერი გამოდის. ისე მოქნილი გახდა ჩემი გონება, ისეა გამდიდრებული ფაქტებით, ისე სწრაფად და ზუსტად აკეთებს მოვლენათა ანალიზს, რომ მენატრება შეცდომა, ვფიცავ ყველაფერს, შეცდომის ჩადენა მენატრება, რას არ მივცემდი ერთი აშკარა, სულელური შეცდომისათვის.

არ ვიცი რა დამემართა და ასე ერთბაშად რატომ გადავწყვიტე ყველაფრის გამჟღავნება.

— კაპიტანო, შემიძლია გახაროთ — თქვენ ერთი შეცდომა ჩაიდინეთ... თქვენ გგონიათ, რომ მე...

— ო, ნეტავ, ნეტავ, ეგრე ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, კოსმოდრომზე მე მივხვდი, რომ ცოლისთვის არაფერი გქონდათ ნათქვამი. მაინც რატომ დაუმალეთ ჩვენი საიდუმლო?

— ვერ გავბედე, — ყურებამდე გავწითლდი მე, — რომ მეთქვა, დავრჩებოდი, ვეღარ წამოვიდოდი.

— სწორადაც მოიქეცით, დედამიწის საზომით რომ მივუდგეთ, სულ ცოტა, უსინდისო მატყუარად მოგნათლავდნენ,... მაგრამ თქვენ კიდევ ბევრ ოჯახს შექმნით.

— ბევრ ოჯახს?!

— არა ერთსა და ორ ცოლს შეირთავთ!

— თქვენ, კაპიტანო... თქვენ შექმენით მეორე, ან მესამე ოჯახი?

— არა. ჩემი პირველი გაფრენა ისე ხანგრძლივი იყო, რომ ქალები ვეღარ ბედავდნენ ჩემთან დაახლოებას. სამაგიეროდ, ახლა ჩავალ და საქვეყნოდ განვაცხადებ, რომ ეს ჩემი უკანასკნელი მოგზაურობა იყო კოსმოსში.

— განაცხადებთ და მერე?! — ვკითხე და ვიგრძენი, რომ საოცრად მოულოდნელ პასუხს მივიღებდი.

— მერე მოვეკიდები ოჯახს, გავაჩენ შვილებს!

— ახლა? ახლა თქვენ გააჩენთ შვილებს?

— არანაკლებ ლამაზებსა და ჯანმრთელებს, ვიდრე საუკუნენახევრის

წინათ, როცა ოცდაათი წლის ახალგაზრდა ვიყავი.

— და ეს... ეს მეც შემეძლება საუკუნენახევრის შემდეგ?

— იმედი მაქვს! — გაიღიმა მან.

— კაპიტანო, — მივმართე მცირე დუმილის შემდეგ, — მაპატიეთ, ამას რომ გიბედავთ, მაგრამ გთხოვთ მითხრათ, გიყვარდათ თქვენი მეუღლე?

კაპიტანმა ორივე ხელი სახეზე აისვა და, როდესაც შეერთებული ხელისგულები შუბლზე გადაცურდა, წარბებქვეშიდან სულ სხვა ადამიანის თვალებმა შემომხედა.

— მიყვარდა, — თქვა მან და მომეჩვენა, რომ ღრმად ამოისუნთქა, — ძალიან მიყვარდა...

— როგორც მითხრეს, ცოცხალი აღარ დაგხვედრიათ თქვენი პირველი გაფრენის შემდეგ.

— არა... ყველაზე მუხანათურად ვუღალატე, — მწარედ ჩაიცინა მან, — თქვენ კარგი აფორიზმი მოიფიქრეთ.

უნებურად გამაჟრჟოლა.

კაპიტანი წამოდგა, კარისკენ გააბიჯა. ვინანე, რომ ჩემმა უტაქტო შეკითხვამ ჩაშალა საუბარი.

— ყველაზე მუხანათურად! — გაიმეორა მან, კართან მობრუნდა და ოდნავ მკაცრად მიბრძანა, — მოამზადეთ ინფორმაცია ანაბიოზის მიმდინარეობისა და ეკიპაჟის წევრთა ჯანმრთელობის შესახებ. მზის სისტემაში შეჭრისთანავე ელექტრო-მაგნიტური ქვემეხით გადავცემთ მიწას. თქვენი ტექსტისათვის ერთი იმპულსია გაანგარიშებული.

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას კაპიტანი თვალს იყო მიფარებული. დერეფანში თანდათან ნელდებოდა მისი ნაბიჯების ხმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, უფრო სწორად, ხმაური აიკრიბა, სადღაც გადაიხვეწა და ნერვებისამშლელი სიყრუე გამეფდა.

რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ადამიანი ვიქნები, ვფიქრობდი კაპიტნის სიტყვებით აღგზნებული და გახარებული. ვიცხოვრებ ას, ორას წელიწადს, და ყოველ წელს ხელახლა დავიბადები. ისევ შემეძლება ცხოვრების ყველა სიამოვნების განცდა და ამ სიამოვნებით თრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად თვალი მოვკარი კალენდარს და გულში რაღაც ჩამწყდა. რა ცოტა ხანს იჯდა ჩემთან კაპიტანი, დედამიწაზე კი ნაის დაბადების დღე უკვე დამთავრებულიყო. როგორ მინდოდა აქ, კოსმოსში, იმავე დროს და იგივე წუთებში წარმომედგინა და განმეცადა ნაის მხიარულება, თინათინის დიასახლისობა, ნაის ამხანაგების სიცილ-კისკისი, ცეკვა თუ სიმღერა, მაგრამ ახლა თინათინსაც, ნაისაც და ნამხიარულებ სტუმრებსაც თავთავიანთ სახლებში სძინავთ ღრმა ძილით.

თვალთან ხელი მოვისვი. ცრემლი წამომსვლოდა. რა იყო ეს, მწუხარების თუ სიხარულის ცრემლი?

ბავშვური აზრი დამებადა; დედამიწაზე დაბრუნებისას ნაცნობ ქიმიკოსებს ვთხოვ, ანალიზი გაუკეთონ საპირისპირო ემოციებით გამოწვეულ ცრემლებს. დარწმუნებული ვარ, სხვადასხვა შემადგენლობა ექნებათ, როგორც სახის ერთიდაიგივე ნაკვთები განსხვავდებიან ღიმილისა და ტირილის დროს.

* * *

ილუმინატორებში შავი თვალებით იყურება გარედან წყვდიადი. ისეთი განცდაა, თითქოს ვიღაც გვითვალთვალებდეს. ალბათ, ამიტომ ყალბი გამოგვდის საუბარიც, მოძრაობაც. „ციცარი—7“ დიდიხანია მიწაზე ზის გარინდული და ახლა მხოლოდ მიწასთან ერთად ინაცვლებს ადგილს კოსმოსში. ყველა მექანიზმი დადუმებულია, ყველა ავტომატი და აპარატი გამორთულია რადიოს გარდა. ველოდებით კოსმოდრომის ბრძანებას. პირველმა და უკანასკნელმა ბრძანებამ, რომელიც დაჯდომისთანავე მივიღეთ, კაპიტანი ოდნავ გააოცა: გვევალებოდა, არავითარ შემთხვევაში არ გაგვეღო ხომალდის არცერთი ლიუკი და გვეცადა შემდეგი ბრძანებისათვის. უკვე საათზე ჰეტი გავიდა, დედამიწის საათზე მეტი. ჩვენ კი ვდგევართ და ერთმანეთს შევყურებთ გაოგნებულნი.

რა უნდა მომხდარიყო? წარამარა ვეკითხები საკუთარ თავს, მაგრამ პასუხი ვერ გამიცია, ანდა, რას ნიშნავს ეს წყვდიადი? ჩვენ ხომ დღისით დაგვსვეს? მართალია, წვიმიანი ამინდი დაგვხვდა. ჯერ კიდევ ორი დღის წინათ მოვკარით თვალი თეთრი ღრუბლებით შეღებილ პატარა ბურთს, რომელიც თანდათან იზრდებოდა და გვიახლოვდებოდა. ბოლოს კოღოსავით დავჯექით ამ ბურთზე. ალბათ, ახლაც წვიმს გარეთ, მაგრამ სიბნელე რატომ არის? როცა ჩვენი ხომალდი ღრუბლებში ჩაიჭრა, ილუმინატორის მინებს წვიმამ მოაშხეფა, სიხარულისაგან გული ამითამაშდა; თითქოს ჩემი ქალაქის ქუჩაში მივაბიჯებდი და არაფრად ვაგდებდი თავსხმა წვიმას. ერთ წვრილ ნაკადად შეერთებული წვეთები ქვემოდან ზემოთ მიჰყვებოდა ილუმინატორის გარეთა მინას. მაღლა მიწანწკარებდა წყალი. ამას პირველად ვხედავდი ჩემს სიცოცხლეში.

გაიარა კიდევ ნახევარმა საათმა და დერეფანში კაპიტანი გამოვიდა: სადღესასწაულო კოსტუმი ეცვა, ჩიბუხი გაეჩაღებინა და ზედიზედ ქაჩავდა, მაგარი თამბაქოს მკვეთრი სუნი მოეფინა დერეფანს.

გულის აჩქარებულ ცემას ჰგავდა ჩიბუხის ნაკვერჩხლის თანმიმდევრული ჩაქრობა და გაღვივება, ჩაქრობა და გაღვივება. ნუთუ, კაპიტანიც ღელავდა ამ წუთში?

ჩვენი ბოტანიკოსი, რომელიც აქამდე ქანდაკებასავით იდგა კიბის დასაწყისში, თითქოს გადმოვარდაო, უეცრად მოწყდა ადგილს და საფეხურები ჩამოირბინა. ბოტანიკოსი ასი წლის წინათ დაბადებულა, მაგრამ ხუთჯერ იმოგზაურა კოსმოსში სინათლესთან მიახლოებული სიჩქარით და მისი დაბერებაც ხუთჯერ დაამუხრუჭა დროის ფარდობითობის ეფექტმა.

— კაპიტანო! — მიმართა ბოტანიკოსმა და ხელები აიქნია, რომ თამბაქოს კვამლი გაეფანტა, — კაპიტანო, ჩვენ ნამდვილად დედამიწაზე დავჯექით?

კაპიტანმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო, ერთბაშად ჩაკვდა ნაკვერჩხლის პულსაცია და ცეცხლი ფერფლით მოეფარა. კაპიტანმა ვესტიბიულის კარი შეაღო და გვანიშნა, შევსულიყავით, ბოლოს თვითონაც შემოვიდა, პირდაპირ ტელევიზორისაკენ გაემართა და ჩართო ეკრანი. თვითონ გვერდზე გადგა, როგორც ლექტორი დაფის წინ. და მაშინვე ამ ცისფერ დაფაზე რაღაც მოკაშკაშე და მრუდე სხეული გამოისახა, ეტყობოდა, დიდი იყო, მისი საზღვრები ეკრანზე არ ეტეოდა.

— დედამიწა! — ჩურჩულით თქვა კაპიტანმა.

— დედამიწა?! — წამოიძახა ბოტანიკოსმა და ფეხზე წამოიჭრა — კი მაგრამ ჩვენ? ჩვენ სადღა ვართ?!

— ხელოვნურ პლანეტაზე!

— კაპიტანო! — თვალი თვალში გავუყარე მე, რადგან მეგონა, ცდებოდა,— ღრუბლები გამოვიარეთ, აწვიმდა ჩვენს ხომალდს!

— ხელოვნურ პლანეტას ხელოვნური ატმოსფერო ჰქონია! — განმარტა „ლექტორმა“.

— რამდენი კილომეტრია დედამიწიდან?

— 209 ათასი, მთვარესა და მიწას შორის ვიმყოფებით, ამ ხელოვნური პლანეტის მასა ასჯერ მცირეა მთვარეზე, წონა...

— მე არ მახსოვს ასეთი ხელოვნური პლანეტა! — მხრები აიჩეჩა ბოტანიკოსმა.

— ჩანს, ჩვენი გამოფრენის შემდეგ აუგიათ! — ირონიულად ჩაიცინა კაპიტანმა.

— კაპიტანო! — ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ პირი მიშრებოდა, — ხომ არ ტყუოდა ჩვენი ხომალდის ავტომატები, ხომ არ მივფრინავდით უფრო სწრაფად და, ხომ არ გავიდა დედამიწაზე გაცილებით მეტი დრო, ვიდრე გვგონია?!

— რა თქმა უნდა, ასე იქნება; თორმეტ წელიწადში როგორ მოასწრებდნენ ისეთი უზარმაზარი თანამგზავრის აგებას, როგორიც თქვენ აგვიწერეთ? — წამოიძახა ბოტანიკოსმა.

კაპიტანი მრისხანე თვალებით შემოგვყურებდა, მას სრული უფლება ჰქონდა შეურაცხყოფილად ჩაეთვალა თავი. ჩვენ თითქოს ეჭვი გვეპარებოდა მის პატიოსნებაში, თითქოს მოჩვენებითი გულახდილობისა და საიდუმლოს განდობის მიუხედავად, მაინც მოგვატყუა, დაეხარბა და არა თორმეტით, ასი და ორასი წლით ჩამოგვაშორა დედამიწას, რომ დაბრუნებისას უფრო შორეულ მომავალში მოხვედრილიყო.

— დახედეთ თქვენს ფოტოსურათებს და მერე სარკეში ჩაიხედეთ, თუ რაიმე ცვლილებას შეამჩნევთ, განვაგრძოთ კამათი.

— კაპიტანო, მაპატიეთ, ეს თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ შეიძლება შეირჩეს ისეთი სიჩქარეები. რომ კოსმოსში წელიწადი გავიდეს, დედამიწაზე კი — საუკუნე!

— თქვენ შეარჩიეთ ასეთი სიჩქარეები?! — დაიქუხა კაპიტანმა და სახეზე ფითრი გადაეკრო.

— არა, მე...

— მაშ, თქვენ შეარჩიეთ?! — ახლა მე მომანათა გაანჩხლებული თვალები.

— კაპიტანო!

— სულმდაბლები ხართ,—წამოიყვირა მან და ხელი გაბრაზებით ჩაიქნია, იატაკზე გაიბნა ჩამქრალი ჩიბუხიდან გადმოცვენილი ფერფლი,—მცირე დაბრკოლება, პატარა ამოცანა, ოდნავი გაურკვევლობა და უკვე პანიკა გიღრღნით ტვინსა და ძარღვებს. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ დედამიწამ რაღაც სიურპრიზი დამახვედრა, რაღაც ამოცანა მომცა გადასაწყვეტად, მთელი საათი ვფიქრობდი, სანამ აღმოვაჩენდი; რომ ეს ხელოვნური პლანეტა იყო, უფრო გამიჭირდა მისი ფიზიკური სიდიდეების გაანგარიშება. ახლა თავს ვიტეხ და ვერ ამიხსნია, რა დანიშნულება აქვს ამ ახალ თანამგზავრს, ან რატომ დაგვსვეს მაინცდამაინც აქ. თქვენ კი იმის მაგივრად რომ ტვინი გაანძრიოთ... — კაპიტანმა აღარ დაამთავრა, ზურგი შეგვაქცია და გაგვშორდა. ის იყო საავარძელში ჩაჯდომას აპირებდა, რომ კედელში ჩამალული რეპროდუქტორიდან გაისმა ჩვენი რადისტის ხმა:

— კაპიტანო, მიკროფონთან გთხოვენ... კაპიტანო, მიკროფონთან გთხოვენ!

ყველანი ფეხზე წამოვცვივდით და დერეფანს მივაშურეთ. კაპიტანი დინჯად მიაბიჯებდა და გზადაგზა თავის ჩიბუხს ტენიდა, ჩვენ ვერ ვბედავდით გასწრებას. რადიოკაბინაში შესვლისთანავე, ახალგაზრდა რადისტი წამოხტა და კაპიტანს ადგილი დაუთმო. კაპიტანი არ ჩქარობდა, ჩიბუხს ცეცხლი მოუკიდა, გააჩაღა, გააბოლა და ნელა მიუახლოვდა მიკროფონს.

— „ციცარი—7“-ის კაპიტანი გისმენთ!

— გთხოვთ, ხუთი წამით გახსნათ ჰაერსაწმენდი და ისევ დახუროთ! — წარმოთქვა ვიღაც კაცმა საქმიანი ხმით.

— გახსენით ჰაერსაწმენდი! — გვიბრძანა კაპიტანმა.

მე და რადისტმა ერთად მივირბინეთ ონკანთან. გაოცებული ვიყავი კაპიტნის ნებისყოფით: როგორ მოითმინა და არ ჰკითხა იმ ვიღაც კაცს, თუ რა მოხდა, რატომ ვიყავით ასე პატიმრებივით დამწყვდეულები. თვითონ უნდოდა მიხვედრილიყო, თვითონ უნდოდა კაპიტანს ამ საიდუმლოს ამოხსნა. ჩვენ შევასრულეთ მისი ბრძანება და ადგილზე დავბრუნდით. კაპიტანს ჩიბუხი შეეტრიალებინა და ხელისგულს ითბობდა ცეცხლზე, თითქოს მკითხაობდა.

— ჩვენი ხომალდის ჰაერის სინჯი აიღეს! — ჩაილაპარაკა მან, დადუმდა, ვეღარ გააგრძელა ფიქრი, — სინჯი აიღეს... გარეთ არ გვიშვებენ... შემოწმებამდე არ გვიშვებენ... ვარაუდობენ, რომ რაღაც ჩამოგვყვა, უცხო ბაქტერიები, ანდა, მათთვის უკვე კარგად ცნობილი ბაქტერიები, მაშინ ჩვენც უნდა შეგვამოწმონ... ჩვენი სხეულის სინჯიც უნდა აიღონ...

— „ციცარი—7“, „ციცარი—7“! — მოისმა მოულოდნელად.

— გისმენთ! — შეტრიალდა მიკროფონისკენ კაპიტანი.

— ყველაფერი რიგზეა! — თქვა კაცმა საქმიანი ხმით, — ახლა დაავალეთ თქვენს ექიმს... ხომ გყავთ ექიმი?

— დიახ, — თქვა კაპიტანმა და მე გადმომხედა, — ცოცხალია! — მიხვდა რასაც ეკითხებოდნენ; არცერთი კოსმიური ხომალდი უექიმოდ არ მიფრინავდა.

— დაავალეთ ექიმს სისხლი აუღოს ეკიპაჟის ყოველ წევრს, საკუთარ თავსაც. გააკეთოს სისხლის სრული ანალიზი, შემდეგ გაათბოს სისხლი 60 გრადუსამდე, ვიმეორებ, 60 გრადუსამდე, და ხელახლა გააკეთოს სრული ანალიზი, შედეგები ჩაიწეროს და გვაცნობოს!

— გასაგებია?—ისეთი საზეიმო ხმით მომმართა კაპიტანმა, თითქოს ძლივს დამაჯერა, რომ ორჯერ ორი ოთხია, წამოდგა და ყველა ცალცალკე შეგვათვალიერა, — ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ახლა არ უნდა ვცდებოდე; დედამიწაზე რაღაც უცხო სენია გავრცელებული. ადვილი შესაძლებელია, რომელიმე კოსმიური ხომალდის შემოტანილი იყოს. ჩვენ ჩვენსავე ბუნაგში გვამოწმებენ, არ გვენდობიან... დედამიწაზეც არ დაგვსვეს, როგორც ხედავთ, — კაპიტანმა ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ბოლთის ცემას მოჰყვა,— თუ ამ ახალი თანამგზავრის აგება ამ სენთანაა დაკავშირებული, თუ ამ ხელოვნური პლანეტის დანიშნულება ის არის, რომ დედამიწაზე დაფრენამდე პროფილაქტიკა გაუკეთოს და უვნებელყოს კოსმიური ხომალდები და მათი ეკიპაჟები, სენი კატასტროფული მასშტაბებით გავრცელებულა...— კაპიტანმა მხარზე ხელი დამადო, — ნუღარ აყოვნებ, შეუდექი საქმეს! — და გააგრძელა, — ამას გარდა, ვფიქრობ, რომ...

მე ლასლასით გავსწიე ჩემი კაბინისაკენ, შეშფოთებას შეეპყრო და დაემონებინა მთელი სხეული, მქუხარე ექოსავით მეორდებოდა ყურებში კაპიტნის სიტყვები: კატასტროფული მასშტაბის სენი დედამიწაზე... საგანგებო ხელოვნური პლანეტა კოსმიურ ხომალდთა პროფილაქტიკისათვის, სენი დედამიწაზე... ჩემი ნაი, ჩემი თინათინი...

კაპიტანს კი არავინ ელოდებოდა მიწაზე, იგი გახარებული იყო — რაღაც ამოცანა მისცეს და გადაწყვიტა, ეს იყო მისთვის ყველაზე მთავარი. იგი არ ნაღვლობდა დედამიწის ბედზე, იგი სუფთა, დისტილირებული მეცნიერი იყო, მხოლოდ ახლა მივხვდი ამას, ახლა აღმოვაჩინე!

ანალიზს ნახევარი საათი მოვანდომე. არაფერს საეჭვოს არ მეუბნებოდა სისხლი. მხოლოდ ჩემთვის გასაგებ ენაზე მანიშნებდა, რომ ეკიპაჟის ყოველ წევრს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. კაპიტნის სისხლმა გამოაცა; არაფერი მოხდებოდა ჩემი და კაპიტნის ანალიზის ფურცლებზე გვარები გადამეადგილებინა. ამ ამბავმა ერთხელ კიდევ საამოდ დამახუჭვინა თვალები და ის შორეული მომავალი წარმომადგენინა, როდესაც მე, ორი საუკუნის წინანდელი ადამიანი, კვლავ ახალგაზრდა და ლამაზი ვიქნებოდი, ისევ ძველებური სურვილები და მისწრაფებანი მექნებოდა, და ამ სურვილთა შესრულების უნარიც. ისევ მომხიბლავდა ცხოვრება და ისევ გავაყოლებდი თვალს ლამაზ ქალებს... მაგრამ რა შუაშია სისხლის 60 გრადუსამდე გათბობა?! იდიოტური ასოციაციით გადაება ერთ ფიქრს მეორე. მართლაც, რა შუაშია? სისხლის ასეთი ანალიზი არ ახსოვს მედიცინის ისტორიას. თუ ნამდვილად მომაკვდინებელი ბაქტერიები შემოიჭრა დედამიწაზე, ხომ არ არის ეს ტემპერატურა დაკავშირებული მათ სიცოცხლის უნარიანობასთან? ხომ არ აქტიურდებიან ისინი 60 გრადუსზე, ან ხომ არ კვდებიან?

ამ აღმოჩენამ ზამბარასავით მაღლა ამახტუნა, აღარც მახსოვს, როგორ წამოვავლე ხელი ქაღალდებს და როგორ გავვარდი გარეთ, რომ ყველაფერი კაპიტნისათვის მეცნობებინა.

* * *

— თქვენ ზუსტად მიმხვდარხართ, კაპიტანო, სენი ნამდვილად კატასტროფული იყო! — თქვა ჩვენმა გამცილე-

ბელმა, ახალგაზრდა, ქერა ჭაბუკმა, რომელსაც დიდი, ცისფერი თვალები და საოცრად ამღერებული ხმა ჰქონდა.

ჩვენ ვიჯექით ჩვეულებრივ, სამგზავრო რაკეტაში, რომელიც დღეში სამ გზობას აკეთებდა ხელოვნურ პლანეტასა და დედამიწას შორის. ჩვენს გარდა არავინ მოდიოდა, დამდურებულებივით ერთმანეთისაგან დაშორებულ სავარძლებში ვისხედით და ვდუმდით. კაპიტანი ცარიელ ჩიბუხს აწვალებდა კბილებში. ბოტანიკოსს თვალები გაშტერებოდა, თითქოს გაყინვოდა, ალბათ, თავის შვილიშვილებზე ფიქრობდა, თუმცა უკვე იცოდა, რომ ცოცხლები იყვნენ. ხელოვნურ პლანეტაზე ჩვენი თხოვნით ჩართეს სტატისტიკური მანქანა, რომელიც ახალ სენთან დაკავშირებულ ყოველგვარ ინფორმაციას ინახავდა. ჩვენი ახლობლები მიცვალებულთა სიაში არ აღმოჩნდნენ. მხოლოდ ახალგაზრდა რადისტს გარდაცვლოდა დედა. იგი ახლა ყველაზე უკან იჯდა, თვალს გვარიდებდა. ალბათ, ტიროდა.

— დიახ, საოცრად ზუსტად მიმხვდარხართ, — გაიმეორა ქერა ჭაბუკმა და განაგრძო: — ეს მოხდა შვიდი წლის წინათ. საახალწლო დღესასწაულებისათვის ემზადებოდა მსოფლიო. სენი ევროპის კონტინენტზე დაიწყო და გაუგონარი სისწრაფით გავრცელდა მთელს დედამიწაზე. იხოცებოდნენ ადამიანები, პირდაპირ ქუჩებში ეფინებოდნენ თოვლის ფანტელებივით. ფარხმალდაყრილები იყვნენ გამოჩენილი ექიმები და პროფესორები, წერა-კითხვის უცოდინარებივით ატრიალებდნენ ხელში ავადმყოფთა სისხლის ანალიზებს, თავს იტეხდნენ და ვერ გამოეცნოთ, რა იყო ის ახალი ბაქტერია, რომელიც ასე თავხედურად დაცურავდა მიკროსკოპის მინის ქვეშ, კლავდა უჯრედს და თვითონ ბატონდებოდა.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, როდესაც მსოფლიოს უკვე სამ მილიონამდე ადამიანი გამოაკლდა, ახალგაზრდა ფრანგმა ჟურნალისტმა შემთხვევით ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სენი ადამიანის გარდა არცერთ ცხოველს არ ერჩოდა. ამას, ალბათ, ყურადღებას არ მიაქცევდნენ ექიმები, რომ ჟურნალისტს სასხვათაშორისოდ არ მოეხსენებინა თავისი ბიძა, რომელიც 3400 მეტრის სიმაღლეზე, მარტოდმარტო ცხოვრობდა ალპების მეტეოსადგურში და, რომელიც შემცვლელ მეტეოროლოგს გარდაცვლილი დახვდა იმავე სენით.

მსოფლიო მედიცინამ სტეტოსკოპური სმენით მიუგდო ყური ამ ცნობას. გამოდიოდა, რომ სენი ჰაერით ვრცელდებოდა. კაცობრიობას თავზარი დასცა ამ ამბავმა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა ჩვენს პლანეტაზე, რა პანიკამ მოიცვა ცივილიზებული, უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილი სამყარო. როგორ უნდა დამალვოდნენ ჰაერს ადამიანები? ჰაერს, რომლითაც ცოცხლობდნენ? სწორედ მაშინ აიწყო ის ახალი თანამგზავრი, რომელზედაც თქვენ დაგსვეს და, რომელიც დედამიწად მიგიღიათ. იქ უნდა გადასახლებულიყო მსოფლიო. იყო პროექტები ოკეანეთა ფსკერზე ჩასახლებისა, მაგრამ ეს უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვდა...

ამ ახალი თანამგზავრის არსებობა მუდამ დარჩება იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დაბნეულობა იყო მაშინ გამეფებული არა მარტო რიგით მცხოვრებთა შორის, არამედ დიდ მეცნიერებსა და სწავლულებს შორისაც. თანამგზავრი ძალიან სწრაფად, 52 დღეში ააგეს და მხოლოდ მერე მოაგონდათ, რა საშუალებით გადაეყვანათ ხალხი, რომ დედამიწის ატმოსფეროს არცერთი ატომი არ გაჰყოლოდა რაკეტებს... ეს თქვენ უკვე გიამბეს თანამგზავრზე, ყველაფერი იცით, მაგრამ ბევრი წვრილმანი არ გეცოდინებათ, მეც იმიტომ გიყვებით, რომ...

— ყველაფერი ვიცით! — მოისმა კაპიტნის მკვახე ხმა.

— განაგრძეთ, თუ შეიძლება! — ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ უფრო ჯიბრი მალაპარაკებდა, ვიდრე ცნობისმოყვარეობა. ოდნავ წამოვწითლდი. ეს

იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი პროტესტი კაპიტნის მიმართ. ამ საქციელმა ერთბაშად ამიხსნა ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა. ეს პირველი ტალღა იყო დედამიწასთან განშორების სინანულისა, რომელიც მერე დიდ ღელვად იქცა.

— განაგრძეთ! — მხარი ამიბა ბოტანიკოსმა, — თქვენგან უკვე ბევრი ახალი რამ მოვისმინეთ!

— მოკლედ მოგახსენებთ, — კვლავ აამღერა ხმა ქერა ჭაბუკმა, — მოხუცი მეტეოროლოგის მოკვლა ალპების მთებში...

— მოკვლა?! —სავარძლიდან წამოიწია ბოტანიკოსი.

— დიახ, მეტეოროლოგის მოკვლა ალპების მთებში ბაქტერიების უდიდესი შეცდომა იყო.

— ბაქტერიების შეცდომა?! — ახლა მე წამომცდა უნებურად და ჭაბუკისკენ შევბრუნდი მთელი ტანით.

მან სწრაფად შეგვათვალიერა ოთხივენი, თითქოს უნდოდა ჩვენი განცვიფრების მიზეზი ჩვენსავე სახეებზე ამოეკითხა.

— თქვენ, ალბათ, ჯერ არაფერი გითხრეს იმ ჰიპოთეზის შესახებ, რომელიც დღემდე არ არის უარყოფილი, თუმცა არც დადასტურებულია. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, უცხო პლანეტიდან კოსმიურ ხომალდს გამოყოლილი ბაქტერიები გონიერი არსებები არიან, ბოლო დროს აღმოაჩინეს, რომ მათ კრისტალური ფორმის გამრავლების უნარი აქვთ და ფიქრობენ, რომ ისინი მიკროსკოპულ ელექტრო-საანგარიშო მანქანებს წარმოადგენენ, უფრო სწორად, წარმოადგენდნენ.

კაპიტანმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და საზეიმო ხმით თქვა:

— ეგ ჰიპოთეზა უკვე დამტკიცებულია!

— რა ბრძანეთ? — ვერ გაიგო ქერა ყმაწვილმა.

— დამტკიცებულია-მეთქი! — კაპიტანი წამოდგა, მან გოლიათივით დაღუნა თავი, თითქოს კაიუტაში ვერ ეტეოდა, და ჩვენსკენ წამოვიდა. ბოტანიკოსის გვერდზე ჩამოჯდა და სამკუთხა მაგიდაზე მინერალური წყლის ბოთლს საცობი წააძრო, — აბა, დაკვირდით; ბეტა-კაულიდან ჩვენს კოსმიურ ხომალდს სამი წელიწადი უფრენია დედამიწამდე, ბაქტერიებს, ანუ ბეტა-კაულის მკვიდრთ, რომლებიც ფარულად გამოყვნენ ხომალდს, ამ ხნის მანძილზე თავი არ გაუმჟღავნებიათ — ისინი მიხვდნენ, რომ ხომალდის ბატონ-პატრონები გონიერი არსებანი იყვნენ. რა თქმა უნდა, ბეტა-კაულზეც და ხომალდშიც მათ შეეძლოთ ჩვენი კოსმონავტების „დაპყრობა“, ანუ დახოცვა. მაგრამ მაშინ ბაქტერიები ვერასოდეს ვერ იხილავდნენ და მიაგნებდნენ დედამიწას, იმიტომ იყვნენ ჩუმად. მიწაზე მათ სწრაფად აუღეს ალღო ჩვენს საზოგადოებრივ ყოფას. შეამოწმეს და შეაფასეს ადამიანთა კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დონე და დაასკვნეს, რომ მათი აღმოჩენა და განადგურება ადამიანებს ძალიან გაუჭირდებოდათ. ჩვენი პლანეტის დაპყრობა და მთელი მათი ჯილაგის აქ დასახლება კი მეტად თვალწარმტაც პერსპექტივას უქმნიდა ბეტა-კაულის მობინადრეებს. და მათ ომი დაიწყეს. დააკვირდით, რა ჭკვიანურად და ეშმაკურად იქცეოდნენ; მათ შეეძლოთ მოესპოთ მხოლოდ ფიზიკოსები, ქიმიკოსები, მედიკები, ბიოლოგები, ერთი სიტყვით, დედამიწის მეცნიერთა მთელი არმია, და პლანეტა დაპყრობილი ექნებოდათ, რადგან არავინ დარჩებოდა მათი ბუნებისა და არსის მიმკვლევი. მაგრამ შეეშინდათ ამისა, ასე შერჩეული მსხვერპლი ხომ ეჭვს აღუძრავდა ადამიანებს და მიახვედრებდა მათ, რომ გონიერ არსებებთან ჰქონდათ საქმე. მაგრამ ისინი მაინც შეცდნენ, ბაქტერიათა არმიის „პოლკი“, რომელმაც ბოლო მოუღო მოხუც მეტეოროლოგს, ალბათ, საჯაროდ „დაახვრეტინა“ გენერალმა, რადგან „ალპურმა პოლკმა“ გასცა სენის გავრცელების ხასიათი.

— მარტო ამაში არ შეცდნენ, — სიტყვა ჩაურთო ქერა ჭაბუკმა, — ისინი

არაფერს არ ერჩოდნენ ფსიქიურად დაავადებულ ადამიანებს, ალკოჰოლისტებს, ნარკომანებს, კლეპტომანებს, ერთი სიტყვით, ხელი არ ახლეს არავის, ვინც ასე თუ ისე მტერი იყო ჩვენი საზოგადოების, ამანაც დააფიქრა მეცნიერები.

— რა თქმა უნდა, ეგეც დიდი შეცდომაა, — დაადასტურა კაპიტანმა, — ელექტრონული ტვინი ვერასოდეს გაუტოლდება ბიოლოგიური უჯრედის შესაძლებლობებს.

— სისულელეა, — თითქოს თავისთვის წაიჩიფჩიფა ბოტანიკოსმა, — არავითარი გონიერი ბაქტერიები არ ყოფილა, დედამიწას ესტუმრა უცნობი სენის გამავრცელებელი მიკრობები და მშრალზე დარჩენილ მეცნიერებს რომ თავი ემართლებინათ, ათასი რამ მოიგონეს. სისულელეა, მტკნარი სისულელე!

— ერთი რამ კი ცხადია, — გააგრძელა ჭაბუკმა, — სენი არ გავრცელდა ტროპიკულ სარტყელში. მეცნიერებმა ეს ფაქტი მაშინვე მაღალ ტემპერატურებს დაუკავშირეს. ატყდა კამათი, გაიყო ხმები და მოსაზრებანი, საქმე კი წინ არ მიდიოდა, დედამიწის უზარმაზარი ოჯახიდან ყოველწუთს გადიოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ მისი მობინადრენი. მაშინ ერთმა კაუნასელმა ახალგაზრდა ექიმმა, რომელიც აფრიკაში მიემგზავრებოდა არქეოლოგიურ ექსპედიციასთან ერთად, ყველასგან მალულად ძალად შეიყარა ახალი სენი და აფრიკაში ჩასვლის შემდეგ, სანამ ცოცხალი იყო, მეცნიერულ— ლაბორატორიულ დაკვირვებებს აწარმოებდა თავის თავზე, ჰაერზე, საკუთარ სისხლზე და სხეულის ცოცხალ ქსოვილებზე. როცა იგი მკვდარი ნახეს, მიცვალებულს ხელში ეჭირა დაკვირვებებით და ფორმულებით სავსე ლურჯი რვეული. შეიძლება ითქვას, რომ უცნობმა კაუნასელმა ექიმმა თავისი სიკვდილით გადაარჩინა მსოფლიო სრული განადგურებისაგან.

მე თავი ჩავღუნე. ვიგრძენი, როგორ შემიწითლდა ლოყები.

— კაუნასელ ექიმს, რომელსაც მსოფლიომ „გადამრჩენელი“ უწოდა, თანმიმდევრობით შეუყრია ძველი, ყლასკური დაავადებანი, რომელთა მიმდინარეობა დიდი ტემპერატურებით ხასიათდება, და დაუდგენია, რომ უცხო ბაქტერიები ნახევრად კარგავდნენ აქტიურობას ცელსიუსის 40 გრადუსისას, ხოლო 60 გრადუსზე კვდებოდნენ. ალბათ, ამის გამო არ ეტანებოდნენ ტროპიკულ ზონას და დედამიწის ცხელ ქვეყნებს. ფიქრობდნენ, რომ გათბობა არღვევდა მათ ელექტრო-მაგნიტურ წონასწორობას. ამის შემდეგ მეცნიერებს დარჩათ მხოლოდ ტექნიკურად გადასაწყვეტი ამოცანა; როგორ გაეთბოთ სისხლი 60 გრადუსამდე, რომ ავადმყოფი ადამიანი ცოცხალი დარჩენილიყო. ეს არც ისე ადვილად გადასაწყვეტი ამოცანა იყო, მაგრამ გადაწყვეტა შეიძლებოდა. და სწავლულებმა მიაგნეს საშუალებას. ექიმების ათასობით არმია დაირაზმა მაშინ კაცობრიობის გადასარჩენად. ოქროს წონად ღირდა ყოველი ექიმი, და არა მარტო კვალიფიციური ექიმი, სამედიცინო სასწავლებლის უფროსი კურსის სტუდენტებიც და მსმენელებიც...

მე სწრაფად წამოვდექი და კაიუტიდან გავედი. ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ეს საქციელი, მაგრამ უკვე აღარ შემეძლო მოსმენა.

რაკეტის ორანჟერეა ყვავილთა სურნელებით იყო გაბრუებული. კინაღამ დავიხარე და მოვწყვიტე, რამდენი ხანია, აღარ მინახავს ცოცხალი ვარდი. გადმოვიწიე ტოტი და ხარბად დავყნოსე. დაუჯერებლად მეჩვენებოდა ასეთი წითელი და ცვრიანი ვარდი კოსმიურ სივრცეში, თითქოს უჩინარი და უგრძესი ტოტით იგი მიწიდან ამოზრდილიყო ამ სიმაღლეზე. ეს „ტოტი“ კი ახლა წამში 12 კილომეტრის სისწრაფით მოკლდებოდა და თანდათან აახლოვებდა ყვავილს მშობლიურ მიწასთან... ნეტავ განახორციელა თუ არა თინათინმა თავისი ჩანაფიქრი? მას უნდოდა გამოეყვანა მოცეკვავე ყვავილის ჯიში, რომე-

ლიც სინათლის სიმკვეთრის ყოველ ცვალებადობას სხვადასხვაგვარი მოძრაობით გამოეპასუხებოდა. მაგრამ იქნებ სულაც დაანება თავი აგრონომობას, იქნებ თინათინი უკვე დიდიხანია სხვა საქმიანობას ეწევა.

ორანჟერეის სარკმელს მივადექი. უეცრად სიხარულისგან სუნთქვა შემეკრა; უკვე აღარ მოჩანდა დედამიწა. ისე ახლოს იყო, რომ აღარ მოჩანდა მისი საზღვრები. სწრაფად გამოვბრუნდი და ვოლიერის კარები შევაღე. მხიარული წკმუტუნით შემეგებნენ ჩემი ძაღლები, რომლებიც მთელი მგზავრობის განმავლობაში მიცვალებულნი იწვნენ თხიერ აზოტში და ხელოვნური პლანეტიდან გამოფრენის წინ გავაცოცხლე „ციცარის“ ლაბორატორიაში. „ციცარი“ იქ დავტოვეთ. იგი დედამიწაზე აღარ დაბრუნდება, ხელოვნური პლანეტიდან გაფრინდება კოსმოსში და იმავე პლანეტაზე დაეშვება დაბრუნებისას.

სააბაზანოში შევედი, სასწრაფოდ ტანთ გავიხადე და ონკანს მივწვდი. ვერცხლისფერი ლითონის ჭერი ორთქლის ოხშივარით დაიფარა და ზემოდან წამოვიდა კოკისპირული, ნელთბილი წვიმა. ერთ წვრილმანზე გამეცინა — სააბაზანოს სარკმელი რაკეტის სხვა სარკმლებისგან განსხვავებით, რძისფრად იყო შეღებილი, როგორც დედამიწაზე აკეთებენ ხოლმე მშენებლები. მაგრამ აქ, კოსმოსში, მართლაც სასაცილოდ მეჩვენა; ვის უნდა შემოეხედნა და ვისი უნდა შემრცხვენოდა, ღმერთის, თუ პირლამაზი ანგელოზების?

პირი გავიპარსე, სუფთა პერანგი ჩავიცვი. და სწორედ ამ დროს გაისმა პილოტის ხმა, იგი რადიოთი გვაფრთხილებდა, რომ რაკეტის დამუხრუჭებას იწყებდა და გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად ყველა საგანგებო კაბინაში შევსულიყავით.

რაკეტა კავკასიონის მეშვიდე კოსმოდრომზე დაჯდა. როდესაც მიწას ფეხი შევახე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შეიკრა დიდიხნის გაწყვეტილი, დიდიხნის ჩაქანგული ელექტროწრედი და კაშკაშა ნათურა აინთო. ადგილზე გავშეშდი, ნაბიჯის გადადგმა ვეღარ გავბედე, მეშინოდა ისევ არ გაწყვეტილიყო ეს წრე და არ ჩამქრალიყო ნათურა.

პოლიგონს ოქროსფერი ლითონის დაბალი მესერი ერტყმოდა გარს და იმ მესერის იქით ზღვა ხალხი ირეოდა. კუნძულივით ვიდექით ამ ზღვის შუაში. მესერის კარს ფორმაში გამოწყობილი კოსმოდრომის თანამშრომლები მოადგნენ, კარები გააღეს და ვიღაცეებს ხელით ანიშნეს, პოლიგონის შიგნით შემოსულიყვნენ. ხალხს რამდენიმე ადამიანი გამოეყო, ისინი თითქმის სირბილით წამოვიდნენ კარისკენ. კი არ დავინახე, ალბათ, ვიგულისხმე, რომ მათ შორის ორი ქალი უნდა ყოფილიყო, და თვალები დავხუჭე. მეგონა, გული ვერ გაუძლებს-მეთქი ჩემი გოგონას და ცოლის დანახვას, შემოვიდნენ, მოახლოვდნენ და, როცა სულ ახლოს მოვლენ, მაშინ გავახელ-მეთქი თვალებს. და ვფიქრობდი; არა, არ შემეშლება, არ მომეჩვენება ნაი ახალგაზრდა თინათინად. ნაიც მიცნობს, რადგან არც მე და არც ჩემი ფოტოსურათები არ გამოცვლილან მას შემდეგ.

ქალის ტუფლების აჩქარებული კაკუნი მომესმა. ეს ნაია, ნაია, ჩემსკენ მორბის. თვალები გავახილე; ლოყებაწითლებული, მაღალი გოგონა ჩემს შორიახლოს შედგა, თვალები ააცეცა, გაუბედავობამ ფეხები შეუბორკა, შერცხვა, შეტრიალდა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ჩვენსკენ მომავალი ქალის შესახვედრად.

ეს თინათინი იყო.

არ ვიცი რამდენ ხანს მყავდა მკერდში ჩაკრული, რამდენ ხანს ვკოცნიდი მის პატარა, კოხტა თავს, ლოყებს, ხელებს. არ მახსოვს,როგორ გაქრა მთელი კოსმოდრომი, როგორ გაქრა ხალხი, როგორ ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე ირგვლივ და მერე როგორ ხე-

ლახლა გაჩნდა ისევ ყველაფერი, ხელახლა ამოტივტივდა და ახმაურდა მიდამო.

თინათინი არც ცდილობდა ცრემლების შეშრობას. იგი, ალბათ, ვერც გრძნობდა მათ სისველეს. თინათინი ტიროდა, მაგრამ ამ ტირილის ბრწყინვას მზე თუ გაუტოლდებოდა. ცალი ხელით მკერდზე მყავდა მიკრული, მეორე ხელს თმებზე ვუსვამდი. თითქოს ვცდილობდი მისი ჭაღარის და ჩემი დანაშაულის დაფარვას. თინათინი ახალგაზრდობისას თმებს იღებავდა ხოლმე, მაგრამ ახლა განა იმიტომ არ შეიღება, რომ გამომწვევად ეჩვენებინა ჩემი დანაშაული, სააშკარაოზე გამოეფინა ჩემგან მიყენებული ტკივილი, ანდა, უსიტყვოდ გამოეთქვა საყვედური. არა. უჩემოდ მისთვის არავითარ სიკოხტავეს არ ჰქონდა აზრი. ამას მივხვდი და უბედნიერეს ადამიანად ჩავთვალე თავი.

ნაი იქვე იდგა და ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდა. მორცხვად იღიმებოდა, ხანდახან ცალ ქუსლზე შეტრიალდებოდა ხოლმე და ოქროსფერი მესერის გადაღმა შეგროვილ ხალხში ვიღაცას ჩემზე ანიშნებდა მალულად, ალბათ, მისი ამხანაგები იყვნენ. ნაი იყო უცხო, ძალიან უცხო და ამავე დროს ყველაზე ნაცნობი ადამიანი, როგორც უცხო და ნაცნობია უძველეს ფოტოსურათზე გამოხატული შორეული წინაპრის გამოხედვა.

— მოდი ჩემთან! — ვუთხარი მე და ხელები მისკენ გავიწვდინე.

ნაი გამოიქცა და გულში ჩამეკრა. იგი დიდიხანია ელოდებოდა თავის წილ ალერსს. მე ხელში ავიტაცე ჩემი გოგო, როგორც მაშინ, თორმეტი წლის წინათ, მაგრამ ილუზია არაფრით არ დამემორჩილა, ხელიდან გამისხლტა ოთხი წლის ნაი, და თექვსმეტი წლის ქალიშვილის სიცოცხლითა და სიჯანსაღით სავსე სხეულმა მკლავები მომიდუნა. ნაი ძირს დავსვი.

— ჩამომიტანე წითელი ღრუბელი? — გაიცინა მან და მორცხვობამ კიდევ ერთხელ შეუწითლა ლოყები.

— გახსოვს?!

— არა, დედა მეუბნებოდა...

— ვერ ჩამოგიტანე, სულ გაყიდული იყო! — გავეხუმრე მე.

— არც — ცისფერი? — ამყვა ნაი.

— ცისფერი შენ არ დაგიბარებია. თორემ იყო. რომ მცოდნოდა...

ნაიმ ეშმაკურად გააქან-გამოაქანა თავი, ვითომ ნანობდა, ეჰ, ნეტა ცისფერი დამებარებინაო.

თინათინს ხელი მოვხვიე და კარებისკენ გავემართეთ.

— მითხარი ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი, რომ შენი ხმა გავიხსენო!

თინათინმა ქვემოდან ამომხედა და სევდიანად გაიღიმა:

— ლევან, — ხმა აუკანკალდა მას, — ხომ კარგად ხარ?

— კარგად, თინათინ, ყველაფერს გიამბობ, შინ მივიდეთ და ყველაფერს აგიხსნი.

სანამ ნაიმ თავის მანქანაში არ ჩაგვსვა, ხმა აღარ ამოგვიღია, გარს იმდენი ხალხი შემოგვეხვია, რომ მანქანაში ჩამობნელდა. ისმოდა შეძახილები, კინოაპარატების შრიალი.

ჩემი გოგონა თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაქროლებდა ჰაერომობილს, მე და თინათინი იმ ახალგაცნობილ ადამიანებივით ვბაასობდით, რომლებმაც იგრძნეს, რომ ძალიან მალე დაუახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ჯერ კიდევ უცხოები არიან და თავშეკავება მართებთ.

ბაასი შინ გაგრძელდა. ქალაქის მოედანზე ჩატარებული მიტინგის შემდეგ, თითქოს ძალიან დაღლილი უნდა ვყოფილიყავი ამდენი ხელის ჩამორთმევით, მისალმებით, ნაცნობებისა და მეგობრების ხვევნა-კოცნით; შარადებივით დამიდგებოდნენ წინ, გაიღიმებდნენ და მკითხავდნენ: აბა, ვინა ვარო. ვისაც მაშინვე ვიცნობდი, უხაროდათ, არ გამოვცვლილვართო, ვისაც ვერ ვიცნობდი, სწყინდათ, მაგრამ არ იმჩნევდნენ. მერე მოკლე სიტყვაც წარმოვთქვი ტრიბუნიდან, ოთხ-ხუთ კორესპონდენტს ერთბაშად ვაძლევდი პა-

სუხებს სეტყვასავით მოყრილ შეკითხვებზე, თითქოს დაღლილი უნდა ვყოფილიყავი-მეთქი, მაგრამ მე, ნაი და თინათინი საღამომდე ვისხედით ჩვენი ბაღის ტალავერში და ვლაპარაკობდით. ყოველ სიტყვას ახალი ცნობა მოჰქონდა, ახალ ცნობას ახალი შეკითხვა, შეკითხვას მოულოდნელი პასუხი. დედამიწაზე რაც არ უნდა მოშორებული იყო ადამიანებს, რაც არ უნდა უდაბურ კუნძულზე ცხოვრობდე, დარწმუნებით ვერ იტყვი, რომ შენი ამბავი არავინ იცის. კოსმოსი სულ სხვაა.

მე არაფერი მითქვამს ჩემი დაგვიანების მიზეზზე, მიუხედავად დაპირებისა, არაფერი ამიხსნია. არც თინათინს უკითხავს რამე. ალბათ, ორივენი ვგრძნობდით, რომ ეს მთელი ჩვენი მომავალი ცხოვრების მუდმივი თემა იქნებოდა, და არ ვჩქარობდით.

თინათინი მიამბობდა იმ მძიმე დღეებზე, როდესაც მთელ მსოფლიოს მომაკვდინებელი სენი მოედო, მიყვებოდა იმ გაჭირვებაზე, რაც თავის ქალიშვილთან ერთად გადაეტანა: როგორ გამოიარა ერთი სიკვდილი, როცა ნაი ავად გახდა და ლოგინად ჩაწვა. მაშინ თავის მოკვლა ჰქონდა თურმე გადაწყვეტილი თინათინს, მაგრამ კაუნასელი ექიმის აღმოჩენამ ბეწვზე მიუსწრო ნაის და დაღუპვას გადაარჩინა.

ჩვენ მრგვალი მაგიდის გარშემო ვისხედით, ვახშამი ახალი დამთავრებული გვქონდა. თეთრი ფაიფურის დიდი ლანგარი სავსე იყო მსხვილი წითელი ბლით, ნაიმ დაკრიფა ჩემს საპატივსაცემოდ. ახლა იჯდა და მიყურებდა, სიამოვნებდა, რომ გემრიელად შევექცეოდი.

თინათინი ძალიან გამოცვლილიყო. არ მინდოდა საკუთარი თავისთვის გამემხილა ეს, ვცდილობდი არ შემემჩნია და ამით შემემცირებინა ჩემი დანაშაული. მაგრამ უფროდაუფრო ვრწმუნდებოდი, რომ თინათინს აღარ ჰქონდა ის ახალგაზრდული სინედლე სხეულისა, გამქრალიყო ის ბავშვური გამომეტყველება, რომელიც მე ასე მხიბლავდა ხოლმე. ერთი წლით უმცროსი დავტოვე და ცხრა წლით უფროსი დამხვდა. ამ ელემენტალურ არითმეტიკას თავისი საქმე გაეკეთებინა.

მაგრამ ხანდახან დანისლული თვალების სიღრმიდან ისეთ ძლიერსა და მკვეთრ სინათლეს შემომასხივებდა, როგორიც ადრე არასოდეს შემემჩნია, ერთდროულად იმდენ რამეს ამბობდა მისი მეტყველი სახე, რომ წაკითხვას და აღქმას ვერ ვასწრებდი. იმ წუთებში მეჩვენებოდა, რომ მისი სულის შორეულ წიაღში ცეცხლი გუგუნებდა, და თინათინის თვალებს იმ ცეცხლიდან აცვენილი ნაპერწკლები ანათებდა.

მერე მე მივხვდი, რომ ეს იყო გონება, ცოცხალი, ცხოვრების რთულ წუთებთან ჭიდილისას გამოწვრთნილი, დიდი ცოდნით დამძიმებული და სწორედ ამის გამო მსუბუქი და მოქნილი. მე წარმოვიდგინე ჩემი ბრიყვული გამომეტყველება, მსუქან ბიჭუნასავით გადატკეცილი, უნაოჭო სახე, და უხერხულობა ვიგრძენი; თინათინთან შედარებით, ალბათ, ხეპრედ გამოვიყურებოდი.

საღამოს ბინდი წვებოდა ხეხილით მოჩრდილულ ბაღში. აქ ყველა ჯიში თინათინის გამოყვანილი და მოვლილი იყო. სამწუხაროდ, ჯერ არ მწიფობდა ლიმონისა და შვინდის ნაჯვარი, რომლის ნაყოფს ღვთიური სურნელება და გემო ჰქონდა.

მოთენთილსა და მოღლილს, რატომღაც ძალიან მომინდა სასმელი, უეცრად მომენატრა წითელი ქართული ღვინო, გამჭვირვალე და არომატული. თინათინს შინ ერთი წვეთი არ აღმოაჩნდა. მე ტანისამოსი გამოვიცვალე, რომ ხალხს არ ვეცნე ქუჩაში. ნაიმ თავისი მანქანა შემომთავაზა, მაგრამ მე ფეხით გავლა მერჩია.

— ხომ არ გალოთდი იქ? —გაიღიმა თინათინმა და ხელი ცისკენ აიშვირა.

— არა, თინიკო, გემოს გახსენება

მინდა, მხოლოდ გახსენება. ასე მეჩვენება, თუ ყველა მიწიერი წვრილმანი არ გავიხსენე, ველარ ვიაზროვნებ-მეთქი.

— ღვინოდან იწყებ? — ისევ გაიღიმა.

— მე შენი ხმიდან დავიწყე, სულ ალარ მახსოვდა შენი ხმა... ამ წუთში დავბრუნდები.

ქუჩაში გამოვედი. უკვე ბნელოდა. მთელი პროსპექტი ფეხით ჩავიარე, მერე ქუჩა გადავჭერი და მაღაზიაში შევედი. დიდხანს ვარჩიე ღვინო, მაგრამ ვერცერთზე ვერ შევჩერდი. მაშინვე საჭაშნიკო კოლოფი მომაწოდეს, რომელშიც პაწია, ლამაზი ჭიქები ეწყო, თხუთმეტიოდე სხვადასხვა მარკის წითელი ღვინით სავსე. კარგი დეგუსტატორივით ვწრუპავდი და ერთ ნეტარებაში ვიყავი. ბოლოს სამი ბოთლი გამოვართვი და შინ გავაგზავნინე. როცა ისევ ქუჩაში გამოვედი, ვიგრძენი, რომ ღვინო მომკიდებოდა, სხეული სასიამოვნოდ გაებრუჟებინა მიწისა და მზის მათრობელა წვენს. და მე ქალაქში ყიალი მომინდა, როგორც ძველად, სტუდენტობისას.

ჩემს აქ არყოფნაში ბევრი რამ შემატებია ქალაქს. ქუჩის ტრანსპორტი ორიდან სამსართულიან მოძრაობაზე გადასულიყო. პირველი სართული, ანუ უშუალოდ ქუჩა, ბორბლებზე მდგარ ტრანსპორტს ეკავა. მათ მძღოლებს ქალაქის მხოლოდ ახლო უბნებში შეეძლოთ მისვლა. შორეულ გარეუბნისკენ გეზის ასაღებად საგანგებო ბაქნებზე უნდა აეყვანათ მანქანები და იქიდან ჰაერში აეფრინათ მოძრაობის მეორე სართულის მწკრივში ჩასაყენებლად. ამ მწკრივებს, რომელიც ქუჩის თავზე, სახლებს შორის მიფრინავდა, გაცილებით დიდი სიჩქარე ჰქონდა. მესამე სართულის მოძრაობა საქალაქთაშორისო მარშრუტებისათვის დაეწესებინათ, მაგრამ ტრანსპორტის ფრენის სიმაღლე სახლის სახურავებს არ სცილდებოდა, მოძრაობის ყოველ სართულს ღამით თავისი სინათლის ზონა ჰქონდა; დაბლა სართული იისფერ ელექტრო მდინარეში მიქროდა, მეორე — ვარდისფერში, მესამე — მწვანეში, როგორც კი ტრანსპორტი სხვა ფერის სინათლეში შეყოფდა „ფეხს“, ავტომექანიზმი დაუყოვნებლივ უკან აბრუნებდა.

საღამოს კინოგაზეთის ავტომატთან რიგი იდგა. ვიღაც კაცს ქუჩაში ჩაერთო კინოგაზეთი, უყურებდა და უსმენდა. მის ზურგსუკან შევჩერდი და ცალი თვალით ჩავხედე პატარა ეკრანს: ასეც ვიცოდი, კოსმოდრომზე გადაღებული რეპორტაჟი მიეცათ მოწინავეში, აი, ჩემი რაკეტა, კაპიტანი გადმოდის, ბოტანიკოსი, მერე მე... თინათინი და ნაი ხალხს შორის, მერე პოლიგონზე უშვებენ, ნაი გამორბის ჩემსკენ... მე და თინათინი...

სამწუხაროდ, კინოგაზეთის პატრონმა ბოლომდე არ უყურა ამ რეპორტაჟს, კნოპს ხელი დააჭირა და ერთბაშად უკანასკნელ კადრზე გადართო... სპორტული ნარევი, კრივი, ფეხბურთი... უეცრად ხმადაბლა შეიკურთხა კაცმა, კინოგაზეთი დაამტვრია, მერე მოიქნია და სანაგვე ყუთში გადაუძახა. ეტყობა, სპორტულმა კორესპონდენტმა გააბრაზა; ალბათ, ტენდენციურად აქებდა ჩვენი ქალაქის ფეხბურთელთა მოწინააღმდეგე გუნდს; 1:2 წაგვიგია ამ დილით.

მთავარი პროსპექტიდან გადავუხვიე და ვიწრო ქუჩით უცნობ მოედანზე გავედი. აქ ძველად უზარმაზარი, მოძრავი მაღაზია იყო. მყიდველები იდგნენ და ელექტროღილზე თითის დაჭერისთანავე მათთან ჩნდებოდა საჭირო საქონელი. მაღაზია აუღიათ.

ახლა აქ შადრევნებით ახმაურებული მოედანია, მოედნის გადაღმა პარკი აუშენებიათ, რაღაც ნაგებობას ამოუყვია თავი პარკის სიღრმიდან.

ათი წუთი მოვუნდი მოედნის გავლას, თვალმა მომატყუა, უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ის უცნობი ნაგებობა თანდათან ახლოვდებოდა და ბოლოს თავზე წამომადგა. პარკის

სიღრმეში კი არა, პარკის წინ იდგა. ეს იყო მუქი გრანიტის უზარმაზარი კლდე, რომელიც ჩემს მიახლოებისთანავე დღის ნათურებმა გაანათა ჩამავალი მზის მოწითალო ფერებით. მივხვდი, ქანდაკების წინ ვიდექი, მაგრამ ერთმანეთთან ისე იყო შერწყმული ბუნებრივი და ხელოვნური, რომ, ეტყობა, მოქანდაკეს არც უნდოდა ერთბაშად წაკითხულიყო მისი ნაწარმოები.

გრანიტის კლდეს ბილიკი გასდევდა, ეს იყო მეომრებისა და მონადირეების ტერფებისგან საუკუნოობით ნაქანდაკები, ბუნებრივი ბილიკი, ალბათ, გრანიტის კლდე კავკასიონის რომელიღაც მთას ჩამოგლიჯეს. ბილიკზე წელზე ხმალშემორტყმული ბრინჯაოს მოყმე იდგა და ხეობაში ჩაკარგულ სოფელს გადაჰყურებდა. იგი ვერ ამჩნევდა ჩასაფრებულ ვეფხვს. ეს იყო ქანდაკების ეპიგრაფი. თვითონ ქანდაკება კლდის შუა ნაწილიდან ამოეზარდა ავტორს. ფერდობზე ეგდო სალტედქცეული ჭაბუკი, უკან გადაზნექილს, ხელის თითებით საკუთარი ტერფები ჩაებღუჯა და ცოცხალ წრედ შეკრულიყო, ეს ერთდროულად ადამიანის სხეულის საოცარ მოქნილობასაც გამოხატავდა და სიკვდილის კრუნჩხვის მოგონებებსაც იწვევდა. ამ ცოცხალ წრეზე მოძრაობდა დედამიწის ბურთი, ჩემს იქ ყოფნაში ბურთმა ოდნავ შეიცვალა ადგილი, ალბათ, იგი ზუსტად იმეორებდა დედამიწის მოძრაობას და წელიწადში მთლიანად გარს უვლიდა ორბიტადქცეულ ადამიანს, რომელიც საშუალებას არ აძლევდა მიწას, უფსკრულში გადაჩეხილიყო.

მე დავიხარე და წარწერას დავუწყე ძებნა. ვიპოვნე — ეს იყო კაუნასელი ექიმის ქანდაკება, რომელიც დაიღუპა და კაცობრიობა დაღუპვას გადაარჩინა...

ეს კლდე ბებერი კავკასიონივით მუდამ იქნება. ეს ქანდაკება იცოცხლებს ორას, სამას, მილიონ წელს. უეცრად ცოცხლად ჩამესმა კაპიტნის ხმა: „დაივიწყეთ დედამიწა, დამიჯერეთ, თქვენ აღარა ხართ მისი მცხოვრები, აღარ არსებობს ის ადამიანი, რომელიც იქ შექმნილ მორალურ და საზოგადოებრივ კანონებს ემორჩილებოდა, თქვენ დღეს სულ სხვა პიროვნება ხართ, რომელმაც ათი წლით გაუსწრო კაცობრიობას... თქვენ ხომ ჯერ არ შეგიგრძვნიათ ის წარმოუდგენელი უპირატესობა, რაც ამ მოგზაურობამ მოგიტანათ, ჯერ დავსხდეთ მიწაზე“.

წარმოუდგენელი უპირატესობა...

ნეტავ სად არის ახლა კაპიტანი? რას ფიქრობს?, ალბათ, ძალიან აინტერესებს, როგორ ჩაიარა ჩემი „გაახალგაზრდავების“ პირველმა დღემ.

დიდხანს ვიდექი კაუნასელი ექიმის ქანდაკების წინ, მერე მოვცილდი და თავჩაქინდრულმა გზა განვაგრძე. თვითონ არ ვიცოდი, საით მივდიოდი, ვფიქრობდი იმ ციფრზე, რამდენჯერაც დედამიწამ უჩემოდ შემოუარა მზეს, იმ თორმეტ წელზე,რომელიც მე უდედამიწოდ გავატარე. და ვნანობდი, რომ ვეღარასოდეს დავეწეოდი სწრაფად მიმქროლავ ბურთს და მის ბინადრებს. გონების თვალით ვფურცლავდი ჩემს დღიურს, რომლის ყოველი სტრიქონი ზეპირად მახსოვდა. იქ აღნიშნულიც არ მქონდა ის დღეები და წლებიც კი, როდესაც დედამიწა მძიმე განსაცდელში იყო, როდესაც კაუნასელი ექიმი სიკვდილს ებრძოდა, აცრემლებული თინათინი თავს დასტრიალებდა ლოგინად ჩავარდნილ ნაის...

უეცრად მომხიბვლელმა აზრმა გამიელვა, სიხარულისგან კინაღამ შევყვირე:არ დამეძინა, თეთრად გამეთია ეს ღამე!

მე დავდიოდი ქალაქის ქუჩებსა და პარკებში, მოედნებსა და პროსპექტებზე, ვებრძოდი სხეულში ჩაბუდებულ დაღლილობას. ქუთუთოებზე ჯალათივით ჩამოკიდებულ ძილს. გადიოდა წუთები, საათები, დედამიწას ეძინა, ეძინა ჩემს ქვეყანას, ჩემს ქალაქს, თინათინსა და ნაის, ეძინა ყველას და ყველაფერს, მე კი ფხიზლად ვიყავი! ერ-

თი ღამით, ერთადერთი ღამით, მაგრამ მაინც ვეწეოდი დედამიწას!

დიდხანს ვხეტიალობდი, უცხოდან კიდევ უცხო ქუჩებში გავდიოდი, ქალაქის ბევრი უბანი პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში. ღამე კი თითქოს ერთ ადგილზე იდგა, როგორც ის მუქი გრანიტის ქანდაკება.

განთიადმა სანაპირო ქუჩაზე მომისწრო. ამდენი ხნის შემდეგ ეს იყო ჩემი პირველი დილა დედამიწაზე. მზეს ძველი ნაცნობივით გავუღიმე; ასე იყო თუ ისე, უკანვე გამოვტაცე ერთი ღამე იმ უამრავ დღეღამეთაგან, როდესაც მე აქ არ ვცხოვრობდი. იქნებ დანარჩენი დღეების ანაზღაურებაც შეიძლება?

ქალაქი უკვე გაღვიძებული იყო, როდესაც ჩემს სახლს მივადექი და კარი ფრთხილად შევაღე. ლოგინზე გაუხდელად იწვა თინათინი. ჩემს შესვლისთანავე სწრაფად წამოჯდა საწოლზე.

— სად იყავი?!

— მაპატიე, თინიკო, გაგაღვიძე...

— მე არ მძინებია!

— არ გძინებია?!

— არა. გელოდებოდი!

ამ დროს მეზობელი ოთახის კარი გაიღო და ნაიმ გამოჰყო თავი.

— მამა, მოხვედი?

— შენც... შენც არ გეძინა?!

— არა, მამა!

თავი დავხარე. თითქოს სხეულში დაგროვებული ამდენი ხნის დაღლილობა ერთბაშად ქვად იქცა და ვეღარ მოვერიე მოულოდნელ სიმძიმეს.

რა საოცრადაა მოწყობილი ჩვენი პლანეტა. დღე გუშაგივით ცვლის ღამეს და დარაჯობს მიწას. როცა ჩაეძინება ამ გუშაგს და ღამედ იქცევა, ახლა მეორე გუშაგი წამოდგება დედამიწის სადარაჯოდ. სინათლე არასოდეს არ ტოვებს მიწას.

არა, ტყუილად გამითევია ღამე, ტყუილად მეგონა, რომ მხოლოდ მე ვფხიზლობდი და ერთი ღამით დაეწეოდი ჩაძინებულ ქვეყანას. ვაი, თუ ის გაცდენილი დრო, სწორედ ის თორმეტი წელი მაინც უნდა ვიცხოვრო მიწაზე, რომ თინათინისავით ძლიერი გონება და ელვარე თვალები მქონდეს! ნუთუ, უკვე მართლა სხვა კანონები მართავს ჩემს არსებას?

თავი მაღლა ავწიე. თინათინი ტელეფონის მაგიდასთან იდგა, ხელში რაღაც ქაღალდის ნაფლეთები ეჭირა და აკოწიწებდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— რა მოხდა, რა არის ეგ?!

— მე დავხიე... — ასლუკუნდა თინათინი და ცოცხალივით ათრთოლებული ნაფლეთები გამომიწოდა.

სასწრაფოდ მაგიდაზე გავშალე, შევაკოწიწე და მეც ამითრთოლდა ხელები; ფოტოტელეფონით გადმოცემული ბარათი იყო კაპიტნის ხელმოწერით;

„თქვენ მართალს ამბობდით; მე ისევ მივფრინავ-მომავალ ხუთშაბათს ხომალდი გაემგზავრება ბეტა-კაულისკენ, გონიერ ბაქტერიებთან ულტიმატუმის წარსადგენად. ყველა მოსალოდნელი ხიფათი გათვალისწინებულია. დროთა შეფარდება; ოთხი წელი — ოცდახუთ წელიწადთან. რას იტყვით?! თუ გადაწყვეტთ, რომ მე აუცილებლად მჭირდება მკურნალობის გაგრძელება კოსმოსში, ხვალ დილითვე შემატყობინეთ, ექიმო, და მე უშიშრად მოგანდობთ ჩემს სნეულ გულს. ბოდიშს ვიხდი თქვენს მშვენიერ მეუღლესთან“.

— მე დავხიე! — ჩამესმა თინათინის აკანკალებული ხმა.

— რა გატირებს, ბავშვი ხომ არა ხარ?!

— მე დავხიე..

მაგიდაზე იდგა მაღაზიიდან გამოგზავნილი სამი ბოთლი წითელი ღვინო. ერთ ბოთლს საცობი მომძვრალი ჰქონდა. თინათინს გაკრიალებული, ცარიელი ჭიქა დაედო მის გვერდით.

და მე აღარ ვიცოდი; გავავსებდი ღვინით იმ ჭიქას, თუ ისევ ცარიელს დავტოვებდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

პაოლო იაშვილს

ვარდის ქალაქი
„ოქროს ვერძით“ მან გაახარა.
მისი ლექსები
ახალ სიტყვის ისროდნენ ელვას.
ეწაფებოდა
ფეერიებს;
ფერების ელვას
ამღერებული სიჭაბუკე
ლაღად ატარა.
მუდამ ანთებდა
შემოქმედის ცეცხლი თაკარა,
იყო ყოველთვის სასურველი
და საკვირველი.
როგორც ქურუმი
ზეცისადმი მსხვერპლის მწირველი,
შეუნელებელ ექსტაზისით
მგზნებარე მარად.
ალალი გულით
მას უყვარდა ადამიანი,
მშობლიურ ზეცას
ეთაყვანა და ეტრფიალა;
მისი უეცრად მოვარდნილი
რითმა ფრთიანი
ზეიმს შვენოდა,
ვით შარბათით სავსე ფიალა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ეროსთავი

იარე მზეზე

ვიდრე გულს გერჩის,
ვიდრე მოგდევს ახალგაზრდობა,
სხვას ნურას ეძებ.
გულგაღეღილი შეეგებე
ყოველ ვარდობას,
იარე მზეზე!

უამინდობას ნუ იგლოვებ
მთების ნისლივით,
როცა იდაროს, დაიგროვე
სულში მზის სხივი,
და მერე, თუნდაც გაიჭიმოს
წლების ბაწარი,
ყველა ღრუბელმა მოგიწვიმოს,
ცაში რაც არი.

ველარ ჩაგაქრობს დიდ ღვარებად
მოსული თქეში,
მაიხც შეგრჩება მცხუნვარება
ნაპოვნი მზეში.

* * *

მიწას მზედაკრულს
ტანთ აერიალებს,
ელის წვიმიან ამინდს,
როგორ გაუძლოს
ამდენ იარებს,
ბაგე გაუშრეს ლამის,
ღრუბლებმა ისე
გადაიარეს,
არ ჩამოაგდეს ნამიც.

„დედა ქართველისა"

მასპინძლის რიხით მკლავშემართული
ქალაქს გაჰყურებს ფიქრში
გართული,
ლითონის ქობით შემოსალტული
აქვს კაბის კალთა;
დახრილ წამწამებს დაახამხამებს
და შუქს დააფრქვევს თბილისის
ღამეს
ნათელი თვალთა.

როცა პირველად თვალი მოვკარი,
მეჩვენა, დალალს უშლიდა ქარი,
და მისი კაბის კალთასთან მდგარი
ვუცქერდი ერთხანს,
ვკითხე, — ვინა ხარ, ვინ იყავ
წინათ,
რომ მოგვევლინე რვალად და
რკინად,...
ვკითხე და ეს თქვა: —

— ვარ საქართველოს მიწის ასული,
მიწიდან ცაში კვამლად ასული,
ჩემი სამშობლო ქვეყნის წარსული
და მომავალი
მხრებით მიზიდავს;
ჩემი ძვლები და ჩემი სხეული,
ბევრჯერ ფერფლად და ნაცრად
ქცეული,
ჟამთა სვლისაგან ვერდაძლეული
აღსდგა მიწიდან;

და თან წამომყვა ყელმოღერებით,
პირველყოფილი მძლავრი ფერებით,
გასაოცარი ასიმღერებით,
გულს რომ იტაცებს,
საქართველოში ოდით მარები,
სიკვდილის ხელებმიუკარები,
ეშხი. სხვა ეშხთან შეუდარები, —
— სერაფიტასი.

ვიყავ გლეხი და ვიყავ თავადი,
მქონდა მარადჟამ თავისთავადი
შნო და იერი;
ვით ღამე შავი, გაუთეველი,
და ცა, ვარსკვლავებჩაუტეველი,
თვალები შემრჩა
ნათლისმფრქვეველი,
ნათელძლიერი.

ვიყავ მეუღლე, ვიყავი დედა,
განსაცდელი და ხიფათი მდევდა,
ვუმკლავდებოდი ცხრათვალა დევთა
თარეშს და ძუნძულს;
ბევრჯერ მოვიდა მრავალთაგანი,
ბუღა-თურქი და ჯიბღუ-ხაკანი,
ბევრჯერ წარმტაცეს შვილის აკვანი,
მომაჭრეს ძუძუ.

ველურ ურდოთა ზარი მზარავდა,
დამატყდა რისხვა სპარსთა, არაბთა,
გადავიტანე ბევრი მარაბდა,
ბევრი ასპინძა;
ეს შავი მიწა ვიწამე ღმერთად,
მისთვის ცხრა შვილი გავწირე
ერთად,
მოგონებები უსიერ მტერთა
გულმა აჰკინძა.

შთას შეენივთა ჩემი სხეული,
ვდგავარ ლითონად გადაქცეული,
და ქამთა სვლისგან ვერ დაძლეული
დავყურებ თბილისს;
მასაც აცვია ჯუბა ლითონის,
ღამით ვარსკვლავებს ასთებს
თვითონ ის,
ქვევით ჩანს მტკვარის საჯირითონი
და წყარო თბილი.
ორი საძყაროს მ-ედმივი მგზაური
მეტეხის კლდესთან დუდუნებს
მტკვარი,
და მოაქვს ტალღებს გესლი და
ჯავრი
მტკვარის სათავის,
და მტკვარსაც ბოლმა ახრჩობს
ამდენი,
საუკუნობით ცრემლად ნადენი,—
მისი მშობელი მისი გამზრდელის
მტერი რად არის.

ჩვენი სიცოცხლის შივეცით ფასი,
რომ მშვიდად ევლო მტკვარსა და
ფაზისს;
მუდამ სავსე მაქვს შარბათით თასი,
მოდით, დალიეთ,
მოყვრისთვის მუდამ ღია გვაქვს
კარი
და სამასპინძლოდ ფეხზე ვართ
მდგარი
შრავალჟამიერ.
მაგრამ ვიდრემდე მტკვრის ლურჯი
წყალი
სათავეშივე იმღვრევა ძალით,
შანამდე მაინც ხელოა მაქვს ხმალი,
ისე ვით ძველად,
თბილისის ჭადრებს, მზესა და
ჩრდილებს,
თბილისის მერცხლებს, თბილისურ
დილებს,
ჯერ ფეხაუდგმელ თბილისელ
ჩვილებს
ვუდგავარ მცველად.

— ვარ საქართველოს მიწის ასული,
ბიწიდან ცაში კვამლად ასული,
ჩემი სამშობლო ქვეყნის წარსული
და მომავალი
მხრებით მიზიდავს;
ჩემი ძვლები და ჩემი სხეული,
ბევრჯერ ფერფლად და ნაცრად
ქცეული,
ქამთა სვლისაგან ვერ დაძლეული
აღსდგა მიწიდან.

ყველა სიმღერის ვიყავ სათავე,
ლექსის ჯეჯილი მოვათავთავე;
მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოვათავე
დიდი ოცნება,
მინდა დავლახო ამ ქვეყნის კიდე
და ჯერ მოუმკელ სიხარულს ვმკიდე,
ომახიანად მიმღერონ კიდევ
ქართლის მგოსნებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი გელაშვილი

სტუმარი

მოთხრობა

არც კბილი სტკიოდა, არც ფეხსაცმელი უჭერდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცი მთელი დღე იღრინებოდა, რადგან გარეთ გაუთავებლივ, მომაბეზრებლად წვიმდა. სასტუმროს მეორე სართულზე ერთი პატარა ოთახი ეკავა და ხმის გამცემი არავინ ჰყავდა.

უგემურ ამინდს რაიმე წასაკითხი გადაავიწყებდა, მაგრამ საამისო არაფერი მოეპოვებოდა, ხოლო ქვემოთ, ვესტიბიულში, საპარიკმახეროსა და საჩუქრებით მოვაჭრე დახლს შორის მიკუნჭული, წიგნებით, ჟურნალებითა და გაზეთებით გამოტენილი ჯიხური, თითქოს ჯიბრზე მთელი დღე არ გაღებულა.

ᲐᲘᲜᲪ, რომ მოსაღამოვდა, სულ აუტანელი შეიქნა ოთხ კედელს შორის უსაქმოდ ბორიალი, თან კიდევ სასტუმროს რომელიც გნებავთ ოთახისთვის მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივი ჩამუნჯებული რადიო-რეპროდუქტორის, ამომშრალი სამელნისა და კედელზე დაგვერდელებულ ჩარჩოში ჩასმული პეიზაჟის თუ ნატურ-მორტის ყურება; ამასთან, ახალგაზრდა კაცს ნესტიანი ან ჩხირივით გაფხოკილი გამოადგა ყველა ბოლო სიგარეტი, წონასწორობა დაკარგული, ბუზღუნითა და კბილების ხრჭიალით გარეთ გაიჭრა.

იმან მაინც გაუმართლა, რომ ბედად საწვიმარი ლაბადა და კაუჩუკის სქელლანჩიანი ფეხსაცმელი გამოყოლოდა მივლინებაში. საქმე კი, რასაც მივლინება ითვალისწინებდა, უკვე მოთავებული ჰქონდა. მაგრამ მისი მატარებელი მხოლოდ მეორე დილით გადიოდა და ეხალისებოდა თუ არა, დრო რომ ორმე უნდა მოეკლა, ხოლო რაკი სასტუმრო ყელში ამოუვიდა, კინოში ბაიყუშივით შესვლა კი ეუხერხულა, ამ თავსხმაში ხეტიალის გარდა არაფერი რჩებოდა.

წვიმა კი თავისებურად განსაკუთრებულია: როცა მზეა და ცხელა კიდეც, და გაიხსენებ, ვთქვათ, უახლოეს მეგობარს, მაშინ შენს წარმოდგენაში ის შეიძლება ცივ ლუდს შეექცეოდეს, კაკლის ჩრდილში, თუ პარკის ფანჩატურში ნებივრობდეს, შეიძლება აბაზანაში თუ ზღვაში ჭყუმპალაობდეს, უბრალოდ, სადმე შუბლს იგრილებდეს; წვიმის დროს კი მაინც და მაინც შეხსავით ლაბადაში გახვეული და რომელიმე აჩემებულ ქუჩაში მოხეტიალე, ან შენობათა ჩარდახს თავშეფარებული, დაფიქრებით პაპიროსის მწეველი წარმოგიდგება იგივე მეგობარი და არავითარ სხვა ვითარებაში.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვარაუდი ჰქონდა სასტუმროში სიგარეტებით გაწბილებულ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც უპირველესად ახალი სიგარეტები სჭირდებოდა წვიმიანი ამინდის კვალობაზე. სასტუმროზევე მიბმულ შენობაში მოთავსებულ მაღაზიაში მან დიდხანს, გულმოდგინედ, საზამთროსავით არჩია სიგარეტები.

საზამთრო ხომ დიდი გამოცანაა! იმიტომაც დიდხანს უნდებიან მის ყიდვას, ნამეტნავად ქალები. მან კი ქალური ჭირვეულობა სიგარეტებზე განავრცო.

არჩევანმა არ უმტყუნა, სიგარეტი სიგარეტს სიამოვნებით წაბა, ხან ია-

რა, ხან თავი შეაფარა, ისევ იარა და ბოლოს ხიდზე აღმოჩნდა.

თუ ქალაქში მდინარე გადის და ხიდიცაა, ადგილობრივ მკვიდრთაც და ჩასულთაც დარიანში ხიდზე შეყოვნება უყვართ, განსაკუთრებით საღამო ხანს, როცა ქვიტკირის არტახებში მოლივლივე მდინარის ზედაპირზე მთვარისა და ლამპიონთა შუქი ირწევა. ეს სავსებით ბუნებრივია და ყურადღებას არ იქცევს.

მაგრამ, თუ ცა მოქუფრულია, თუ თან გაუთავებლივ წვიმს და ხიდზე კი კენტად დგას შავად და საშიშრად მობუბუნე მდინარეში მაცქერალი კაცი, ეს უკვე სხვადასხვა ეჭვის აღმძვრელია.

სწორედ ერთადერთი გალუმპული ადამიანი დაჰკვდომოდა ხიდის მოაჯირს და არც წვიმას დაგიდევდა, არც ხეობიდან გამოჭრილ ქარს.

მგზავრს ეჭვიც აღეძრა და მოულოდნელად ენაც მოექავა.

— ერთად ხომ არ გადავცვივდეთ, მეგობარო? — მზაკვრულად შესთავაზა მან მდინარეში მაცქერალს და მის გვერდით მოაჯირზე იდაყვები ჩამოსდო.

— არა. ცალ-ცალკე, — გულისხმიერად განსაჯა უცნობმა, — ჯერ თქვენ, მერე მე, რომ თქვენ ამოგიყვანოთ.

— კარგი სიტყვაა. ვთქვათ, ეგრეც მოხდა. შემდეგ სად წამიყვანთ, რომ გავშრე, ანდა, ორივე რომ გავშრეთ.

— შემდეგ ერთი კარგი ბუხარი მოგვიხდება.

— აუჰ! — უცებ სულ გახალისდა მგზავრი, — ბუხარი დიდებულია! ბუხარი ისე მიყვარს, როგორც ბავშვობაში გაგონილი ზღაპარი. პაპაჩემსა და ბებიაჩემს, მამაჩემის მშობლებს, ჰქონდათ სოფელში ერთი დიდი ბუხარი, თაღში თვალსაჩინოდ დატანებული საგანგებოდ განსხვავებული ცხრა აგურით. იმ ცხრა აგურზე მათი ცხრა შვილის სახელები იყო ამოტვიფრული და ჩაუქრობელი კერის სიმბოლოს წარმოადგენდა. მუდამ განსაკუთრებით საამოდ გიზგიზებდა ცეცხლი ბუხარში და თუ ზამთრობით ორივენ დადით მაინც ჩავსულვარ ბებიასთან და პაპასთან, მის წინ ჩაკუნტვა ნამდვილი ნეტარება იყო ჩემთვის. ის ბუხარია ჩემთვის მთელი საბუხრეთის მეუფე, მაგრამ ახლა არც სხვა, თუნდაც თანამედროვე, ქალაქურ აზიზილპიპილებულ ბუხარზე ვიტყოდი უარს. თუ გეგულება მაინც ბუხარი, რაღა მდინარეში ჩავცვივდეთ და მერე მივუსხდეთ, ბარემ ახლავე მივაშუროთ, რაკი სისველე ისედაც არ გვაკლია.

უცნობმა, რომელსაც საწვიმარი ლაბადის საყელო თვალებამდე ჰქონდა წაფარებული, სახე ახლაღა გამოაჩინა. წმინდად გაპარსული პირსახე საფარის მიუხედავად, მაინც გვარიანად გაჰბანვოდა, ხოლო ისეთი მოწყენილი თვალები აღმოაჩნდა, კაცი უფრო ცრემლებად მიიჩნევდა ღაწვებზე ჩამოკიდულ წვიმის წვეთებს, რომლებსაც ცრემლებივითვე იჭერდა თხელი, შეციებული ტუჩებით.

— რა მოუხდება ბუხარს? — ისევე გულისხმიერებით იკითხა მან.

— ბუხარს მოუხდება დაბალი ტაბლა, წითელი ღვინო სათითურა ჭიქებით და ტკბილი ჭუკჭუკი, — ხალისით მიუგო მგზავრმა.

— წავიდეთ, რაკი ეგრეა, — უბრალოდ თქვა უცნობმა და მოაჯირს შეეშვა.

მგზავრს აშკარად მოსწონდა უცნობის პასუხები და ხუმრობაზე აყოლად მიიჩნევდა, მაგრამ იოლი გაპატიჟება კი შეიცხადა, მით უფრო, რომ ახალგაზრდა კაცის, თითქმის თანატოლი კაცის კეშნიანობა მის ვარაუდს არ ეთანხმებოდა.

— სად? სად წავიდეთ?

— ჩემს ბინაზე გეპატიჟები, — მიუგო ნაღვლიანმა ახალგაზრდამ და ნაბიჯიც გადადგა, — ბუხართან დაგაბრძანებ. ტაბლა და წითელი ღვინოც მომეძებნება. ტკბილი ჭუკჭუკი კი შენზე და ჩემზე იქნება დამოკიდებული.

მან ისევ ლაბადის საყელოში ჩამა-

ლა სახე, მას მიბაძა მგზავრმაც და მხარდამხარ გაჰყვა.

— გეკითხა მაინც, ვინა ვარ, — შენიშნა მგზავრმა, როცა ხიდი განვლეს და დატბორებული ტროტუარით გაჰყვნენ გზას, — სულ უცნობი რომ მიგყავარ სახლში.

უცნობმა მხრები აიჩეჩა.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. აქაური არა ხარ და ვალია, რომელიმე ადგილობრივმა ოჯახმა მასპინძლობა გაგიწიოს.

— აქაური მართლაც არა ვარ, — უპასუხა დამგზავრებულმა, — ხოლო შენ თვითონ უთუოდ აქაური ხარ, რომ უმალ გამომიცანი.

— პატარა ქალაქი ვართ ჩვენ, — მიუგო მოპატიჟემ, — ამიტომ ადვილად ვარჩევთ ჩამოსულს.

— ასეთ თავსხმაშიც კი? — გაიცინა თანამგზავრმა.

— მით უფრო, — აუხსნა პატარა ქალაქის მკვიდრმა, — ასეთ თავსხმაში სწორედ ჩამოსული თუ გამოვა გარეთ სახეტიალოდ.

— მაგრამ, თქვენც რომ გამოსულხართ გარეთ.

— ჩემი მაგალითი გამონაკლისია. მე იმიტომ ვიყავი დაყუდებული ხიდზე, რომ რაიმემ, ვთქვათ ოჯახურმა წაკინკლავებამ მაიძულა სახლიდან ქუჩაში ანგარიშმიუცემლად გამოჭრა.

— თუ მართლაც ეგრეა, — განსაჯა თანამოსაუბრემ, — მაშინ სულაც არ მიგეყვანებათ სახლში სტუმარი.

— პირიქით, — თავის მხრივ თავისი მოსაზრება აცნობა მოპატიჟემ, — სტუმრის მიყვანა ერთგვარად განმუხტავს ოჯახურ დაძაბულობას. ხოლო, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ ჩემი მეუღლის წინაშე, მიზანშეწონილია სახელები მაინც ვიცოდეთ ერთმანეთის. მე სანდრო მქვია.

— მე — ალექსანდრე.

— თითქმის სეხნიები ვყოფილვართ.

— თითქმის.

— თქვენ მივლინებით ხართ ჩამოსული?

— სწორედ.

— სასტუმროში ხართ გაჩერებული თუ ნაცნობთან?

— სასტუმროში.

— ამითაც უფრო გამართლებული იქნება თქვენი ჩემთან სტუმრობა.

დარჩენილ გზას თითო სიგარეტი დასჭირდა და ისინი რიყის ქვით მოფილაქნებულ ვრცელ ეზოში შევიდნენ. კვლავ გუბეები გატოპეს და ხვეული კიბით ვიწრო და ღია აივანზე ავიდნენ.

სანდრო და მისი ოჯახი, სრულიად ნორჩი მეუღლე და გულმოდგინედ დაბაფთული ციცქნა გოგონა, შეწყვილებულ სამელნეებივით ორ ტოლსწორ პატარა ოთახში ცხოვრობდნენ და ფართობის პირობაზე მოწყობილობაც არ აკლდათ.

მყუდრო და ფაქიზმა გარემომ ალექსანდრეს სახე და გული გაუნათა, იგი თვითონ ხალისიანად გაეცნო ოდნავ შეცბუნებულ ახალგაზრდა დიასახლისს, მიეალერსა და მიესიყვარულა მაყვლისთვალება ცუგრუმელას, გულში კი გაიფიქრა, რომ მხოლოდ გაუგებრობაზე აღმოცენებული მიზეზი იქნებოდა ახალნაცნობის მიერ ნახსენები ოჯახური კინკლაობის დასაბამი, თორემ ნამდვილად გამთიშველი უთანხმოება ვერ დაისადგურებდა აქ.

— თინათინ, — მორცხვად მიმართა სანდრომ დიასახლისს, როცა მან უცნობ სტუმარსა და მეუღლესაც სველი ლაბადები ჩამოართვა და დააბინავა.

— ვიცი, ვიცი, — ალერსით და ხალისიანად დააიმედა თინათინმა მეუღლე და აიღლიავებული ბავშვით უმალ მეორე ოთახში გასხლტა, დანარჩენიც იქიდან მოაწვდინა, — შენ ბუხარში შეშის შეკეთებას ვერც მოასწრებ, რომ ყველაფერი მზად იქნება.

ბუხარი ბინის შესატყვისად მომცრო იყო, მაგრამ იისფერი ფილებით ლამაზად მოპირკეთებული და სადად, გემოვნებით მოჩუქურთმებული. როცა მოკლედ დახერხილმა შეშამ შიგ ტკაცატკუცი დაიწყო, მას იერი კი-

დევ მიემატა და ოთახსაც ახალი ხალისი მოეფინა.

სანდრომ აგიზგიზებულ ბუხართან უმალ ორი დაბალი სამფეხა სკამი გაიჩინა, მასთან ერთად სტუმარმაც დაუყოვნებლივ ჩაიმუხლა და ხელისგულები ერთმანეთს სიამოვნებით გაუსვა.

— ასე ყველა კეთილი სურვილი აგსრულებოდეთ, როგორც ამ ღამით მე ნატვრა ამიხდა.

ახალგაცნობილმა მამაკაცებმა სიგარეტები დაითითოვეს, მაგრამ ბოლომდე მოწევაც ვერ მოასწრეს, რომ თინათინმა მათ შორის დაბალი ტაბლა ჩადგა და ცხელ-ცხელი ხაჭაპური, შემწვარი და შეცხელებული თევზი, სხვადასხვა წნილეული და დოქით წითელი ღვინო მოართვა.

— ამან კი უკვე ნატვრასაც გადააჭარბა, — აღტაცებით აღნიშნა კვლავ სტუმარმა, როცა საჭუკჭუკოდ განწყობილ ამინდსა და გარემოზე მორგებულ სუფრას დახედა.

ლუკმა გატეხეს და თითო სათითურა ჭიქა გამოცალეს, სამი წლის ნანის თავისოდენა ლექსი ათქმევინეს, ბაფთები აჰყარეს და ლოგინში შეუძახეს. მერე უკვე ძმობილებივით შებაასებულ სტუმარ-მასპინძელს ახალი თავი კერძით დიასახლისიც შეუერთდა. ფანჯრის მინებს წვიმის წვეთები ურაკუნებდა, ბუხარში შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, არც ერთი, არც მეორე მათს საუბარს ხელს არ უშლიდა, უფრო ახალისებდა.

ისე დაემთხვა, რომ დოქი ჩამოიწურა და ღამეც მეორე დღეში გადადგა, საოცრად შეშინაურებულ სტუმარს მყუდრო და მიმზიდველი გარემო მაინც ვერ ეთმობოდა, მაგრამ უცხო ოჯახში პირველად ფეხშედგმულ კაცს ფეხის მეტად ათრევაც აღარ შეეფერებოდა და უდიდესი მადლობით დაემშვიდობა მეტად მადლიერ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს.

დილით ისევე გულმოდგინედ წვიმდა და ბინდი და ნისლი ხეირიანად არც გაფანტულიყო, როცა სადგურის ბაქანზე გასულ ალექსანდრეს მოულოდნელად და მთელი შემადგენლობით მიეჭრნენ წუხანდელი მასპინძლები.

სანდრო და თინათინი ერთს ხალვათ საწვიმარ წამოსასხამს შეეხიზვნოდნენ და ბავშვიც სადღაც, შუაში ჩაეჭედათ.

— ჩვენ ჩვენს სამსახურში მივიჩქარით. — თქვა ქოშინით სანდრომ.

— ბავშვს კი გზად ბაგაში მივაგდებთ, — ქოშინით და სიცილით თქვა თინათინმა.

— ეგ გზა მაინც არ უნდა გაგემრუდებინათ, — უსაყვედურა ალექსანდრემ, — არა მგონია, მაინც და მაინც სადგურის ბაქნის გადაკვეთა გიწევდეთ სამსახურისკენ მიმავალთ. ეგეც არ იყოს, წუხელ დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

— დავემშვიდობეთ, მართალია, — დაუდასტურა სანდრომ, — ოღონდ გამცილებლის გამოჩენა მაინც არ უნდა იყოს საწყენი, მით უფრო, როცა სულაც არ მოელი.

— რა თქმა უნდა, — მადლიერად გაუღიმა ალექსანდრემ.

— ჩვენც იმიტომ მოვედით, — ერთდროულად მიახარა ცოლ-ქმარმა, — როცა კვლავ ჩამოსვლა მოგიწევთ, არამც და არამც სასტუმროსკენ აღარ გაიხედოთ და პირდაპირ ჩვენთან დაიდეთ ბინა.

ალექსანდრემ ხელები გაშალა და გულიანად გაიცინა.

— წუხელ ასჯერ მითხარით ეგ და მეც ასმეერთედ გაძლევთ სიტყვას, რომ ეგრე მოვიქცევი.

— ჰო და, ეგრე, — ასმეერთედ შეიჯერა გული ცოლ-ქმარმაც, მაგრამ, ჩანდა, ორივეს კიდევ სხვაც აწუხებდა.

— უხერხულად ვართ შენს წინაშე, ჩემო ძმობილო, — ერთხანს ყოყმანის შემდეგ მიმართა სანდრომ მიმავალს, — ერთი ქაღალდის ნაგლეჯი დაგვეკარგა წუხელშემდეგ სახლში. მიქარვა ეწერა: თითქოსდა განქორწინების შესახებ ჩვენი ერთობლივი განცხადება იყო ის ქაღალდი. შენთან შეხვედრამ-

დე, ვიდრე გარეთ გამოვიჭრებოდი, არაფრის გამო ცხელ გულზე გამოვაცხეთ მე და თინათინმა. ახლა ვეღარ გვიპოვია.

— განცხადება? — უცებ მოიღრუბლა ალექსანდრე, — ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ? ეს რა ესმის ჩემს ყურებს!

— ჰო, განცხადება, სწორედ ეგეთი განცხადება, — დარცხვენით თავი დახარა თინათინმა, — მოგვივიდა ეგეთი სისულელე და, თუ თქვენც არ იცით იმ დაწყევლილი ქაღალდის გზა-კვალი, დავღუპულვართ და ეგ არის. ნაგავს გაგვიყვებოდა გარეთ და მთელ სამეზობლოში თავი მოგვეჭრება.

— მაშ აღარც გჭირვებიათ ის ქაღალდი, — აღნიშნა ალექსანდრემ.

— რა თავში ვიხლით! — გულით ამოთქვეს შეწუხებულმა ცოლ-ქმარმა.

— მეც ეგრე ვიფიქრე, — ორაზროვანი ღიმილით მიუგო მათ ალექსანდრემ და ვაგონის სახელურს ხელი წაატანა, რადგან ორთქლმავალმა წასვლისა შეჰკივლა. — მეც სწორედ უსარგებლო ქაღალდის ნაგლეჯად მივიჩნიე ბუხრის თავზე მიგდებული ის განცხადება და ასანთისა და მუგუზლის მაგივრობა გავაწევინე სიგარეტის მოსაკიდებლად.

დარცხვენილმა ცოლმა და ქმარმა შვებით ამოისუნთქეს. გაუბედავად ნელა აიხედეს მაღლა, მატარებელიც ნელა ეცლებოდა მათ.

— კეთილი მგზავრობა! აჩქარებითა და აღელვებით დააწიეს ვაგონის საფეხურზე შერჩენილ ნასტუმრალს, — კეთილი მგზავრობა და ბედნიერება!

ალექსანდრე კვლავ იღიმებოდა და ხელს უქნევდა.

— როცა კვლავ ჩამოსვლა მომიწევს, არამც და არამც სასტუმროსკენ არ გავიხედავ და პირდაპირ თქვენთან დავიდებ ბინას.

მატარებელმა სვლას უმატა, ნისლიან ხეობაში უმალ შთაინთქა. მაშინვე საწვიმრებში აიბუზნენ, ან ქოლგებს ქვეშ უფრო საიმედოდ შეიყუჟნენ კანტიკუნტი გამცილებლები და წვიმის მიუხედავად, თავთავის გზას აუჩქარებლივ დაადგნენ.

ასეა. გამცილებელს მატერებელივით გაქცევა არ შეეფერება. დინჯად, ფიქრიანად უნდა გაბრუნდეს, რომ ადამიანთან დაშორების სინანული შეემჩნეოდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქურთი პოეტების ლექსები*

ბალჩოე ისკო

ქურთი გოგონა

გაღიმებული, თვალებცქრიალა,
მიდის გოგონა და მიიჩქარის
და ფაბრიკაში ქალი კი არა,
ასე მგონია, შედის ცისკარი.

დაართავს ძაფებს გამრჯე ხელებით.
დაზგაც ღუღუნებს როგორც შაირი
და ფერად-ფერად ცისარტყელებად
მოდის ქსოვილი ნაირნაირი.

როგორც ნიშანი სახელ-დიდების,
მას მკერდს უმშვენებს ჯილდო
მრავალი
და იქსოვება ნაზი თითებით
ჩვენი ოცნება და მომავალი.

მისი მადლი და ხვავი აავსებს
სამშობლო მხარეს ნათელგზებიანს.
მას თავის ეშხი და სილამაზე
ქსოვილისათვის უჩუქებია.

ჯარდო ასადი

საქართველო

საქართველო, ჩემო ძიძა,
ჩემი აკვნის გამთლელო,
ალბათ გამიძნელდებოდა
ყოფნა უსაქართველოდ.

მეც ვარ მოწმე, მონაწილე
შენი დიდი გათენების,
მეც მეძახის ეგ ქარხნები,
ეგ ბრიალა მარტენები.

შენი კოხტა ქალ-ვაჟები
შრომაშია გართულები
და დიდების კიბეებად
იმართება სართულები.

დედა-თბილისს ღიმილივით
შვენის შუქი ნათურების
და გიგანტურ სიმებივით
ცაში ჟღერენ მავთულები.

დედასავით მზრუნველი ხარ,
კეთილი და ამაგდარი,
შენთვის მღერის სამადლობელს
ზურნაც, თარიც, საზანდარიც.

მე ვარ ნედლი სალამური,
სიმღერით და ეშხით სავსე,
მსურს ქურთულად ვამეტყველო
ეგ ქართული სილამაზე.

ზღაპარია თუ სიზმარი!
შენს ქედებზე თვალი მრჩება!
კორდები და ველ-მინდვრები
გადაშლილან ხალიჩებად.

---

* ამ ლექსების ავტორები — ქურთი პოეტები ბახჩოე ისკო, ჯარდოე ასადი, შკოე ჰასანი, ჯალილე აჯო — თბილისში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

ვინც გესტუმრა, ვინც გეწვია —
მოიხიბლა შენი ეშხით,
იძახიან, იკვეხნიან:
„ვყოფილვართო სამოთხეში“.

ვინც კი გნახა — სიყვარულით
ყველამ მისად დაგიჩემა.
მოკვდავს როგორ გავამტყუნებ,
შეგიყვარა თითონ მზემაც!

შე მზიურო მინდორ-ველო,
ერთო მუჭა მიწა,
საქართველო, საქართველო —
ჩემო ტკბილო ძიძა.

ოდითგანვე სიყვარულით
გიმღერიან პოეტები.
რუსთაველის მშობელი ხარ,
გულზე ლექსად მომენთები.

ჩანს თბილისი მთათა შორის
წამოფრენილ ხოხობივით
და მზის გულზე უზიმზიმებს
კულთა, მტკვარით მოქობილი.

დგას თბილისი... მისი მხრები
მალე რუსთავს გასცილდება,
და თხუთმეტი საუკუნე
მხრებზე აზის არწივებად.

მოდის დიდი მომავალი,
ჭაბუკური გალაღებით,
გორგასალის ნაკვალევზე
შენდებიან ქალაქები.

სამგორიდან ზღვის სურნელად
სიო მოქრის განაზებით.
დევს მთაწმინდა ჩონგურივით,
ზედ სიმებად ჩანან გზები.

საქართველო, ჩვენო ძიძა,
ჩვენო აკვნის გამთლელო,
ალბათ, გაგვიძნელდებოდა
ქოფნა უსაქართველოდ.

წამოვზიდე ქართლის მიწა,
გამოვძერწე ღვინის თასი,
ქვეყანაზე არაფერი
მე არა მაქვს მისი ფასი.

მაშ, მისმინე, მეგობარო,
რაღა სიტყვა გავაგრძელო,
მოდი, შევსვათ ჩვენი ძიძის
საქართველოს სადღეგრძელო.

ლამაზმანო, ასწი თასი,
ალაურ ღვინით შეწინწკლული,
მართლა თასი არ გეგონოს,
ხელთ გიჭირავს ჩემი გული!

შკოე ჰასანი

ჩემი სამშობლო

ჩემო სამშობლო, ო, ჩემო სუნთქვა,
ჩემო იმედო, ცაო და მიწა,
დღემდე ლექსები, რაც შენზე
უთქვამთ,
მე ჩამითვალე უწმინდეს ფიცად.

შენს დიდ მომავალს მსურს შევეშენო,
შენს ძლიერებას შევედუღაბო,
ვერ ვივარგებდი, ვიცი, უშენოდ,
როგორც არ ვარგა მეზვრე უბაღოდ;

ფრინველი უფრთოდ და თევზი
უწყლოდ,
გლეხი—უმიწოდ, კერა—უკვამლოდ,
სიმღერა ჩემთვის არ არის უცხო
და შენს ალისფერ დროშას ვუგალობ.

მე ვიქნებოდი ლაზი უჩანგოდ,
კარიდან კარად მოხეტიალე,
მსხვერპლი უიღბლო გაჩანაგების
და მონა ბედის — ოხერტიალის.

დღეს კაცი მქვია... მადლობელი ვარ—
შენი წყალობით არ ვარ საწყალი,
შენი დიდების მგალობელი ვარ,
ფრთებს მიწაფავ და მღერას
მასწავლი.

ხვალ უსახელო კოსმოსურ სივრცეს
შენი სახელით დავეუფლებით.
ამაყი გული მე შენით მიცემს
შენ — დედაბურჯო თავისუფლების!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲯᲐᲚᲘᲚᲔ ᲐᲯᲝ

ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ

მიყვარს ფერადი გაზაფხული,
ყვავილთა სუნთქვა,
მათი ხატება შეყვარებულს
მაგონებს მუდამ.

იფურჩქნებიან გაზაფხულის მწვანე
დღეები.
მთების იღლიებს უსხლტებიან
მდინარეები.

მშრომელი გლეხი გაზაფხულზე
დაიწყებს თოხნას
და გაზაფხული შემოდგომად
სახლისკენ მოჰყავს.

მიყვარს მუსკელის ფაცაფუცი, ჩუმი
ღიღინი,
ყოველ კვირტიდან გაზაფხულის
თვალი მიღიმის.

ვხედავ: მორცხვობენ პატარძლები
გაზაფხულივით,
დაე, პატარძლებს ახდენოდეთ ყველა
სურვილი!

ბევრი ქალ-ვაჟი შესძენოდეთ, საღი
ქალ-ვაჟი,
ოჯახში მართლა სიცოცხლეა
ბავშვის თამაში.

ჩვენს წმიდა ცაზე ნუმც გართხმულა
ომის ღრუბელი,
ქვეყნად სიცოცხლის ამომგდები
და დამღუპველი!

დაე, ჭერსა და მოჩახჩახე ზეცის
კარედებს
ბავშვთა კისკისი და სიმღერა
აზანზარებდეს.

ცას იმორჩილებს ძიება და
გამბედაობა
და კომუნიზმის ბინადარი მოდის
თაობა.

სამშობლო მიწავ, შეფიფქულო
თეთრი მტრედებით,
თუკი დაგჭირდა შენს დიდებას
მტლად დავედებით!

თარგმნა **ᲗᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ მთვარაძე

ღეკთა სარძღო

ро м а н и

პირველი ნაწილი

„ერთი სიბრძნე მწამს ამ ქვეყნად,
ვერაფერს ვიტყვი სხვაზედა,
სიკეთის ნერგი დამყენი,
იხარებს სიპსა ქვაზედა“

ხ а л ხ у р и.

უჩვეულო მამითადი

მხედარმა ქუსლი ამოჰკრა და ქურანა ადგილს მოსწყვიტა, მინდვრის საურმე გზას გვერდი აუქცია და ყამირზე დათხებული — ვეებერთელა გორაკს დაუპირისპირა. ურო ბალახის შრიალი და ნაჭედი ფლოქვების ბაგაბუგი მიწის კვნესასავით გაისმა. მხედარი ჯერ ისევ პირტიტველა ბიჭი გახლდათ; შავი ხშირი ქოჩორი შუბლზედ ჩამოჰფენოდა, ხოლო თუშური ქუდი კეფას ძლივს უფარავდა. ეცვა უბრალო ქსოვილის მოშავო-მომწვანო გლეხური ახალუხი. წინდებში ჩატანებული შარვალი და ახლად ამოსხმული ქალამნები. სანახევროდ გაღეღილ ახალუხის ქვეშ ვარდისფერი პერანგი მოუჩანდა.

იგი შუბლშეჭმუხვნილი მიაჭენებდა ცხენს. მარცხენა ხელით რომ აღვირი ეპყრა, მარჯვენათი მათრახს ხმარობდა, ხან კი მუცელთან დაკიდებულ ხანჯალს ისწორებდა.

მხედარმა ცხენი გორაკის ძირთან მიაგდო. ერთ წუთს შეჩერდა. თვალი ხარბად აავლო კლდოვან ფერდობს. რომელიც ალაგ ბალახით იყო მოფენილი, ალაგ კი ტინებსა და ქვა-ღორღებში გამოკრთოდა. ნიაღვრების ნაღარნაშალი და საქონლის ნავალი წვრილ ბილიკებად ასდევდა გორაკს — ძირიდან დაწყებული თხემამდე. ჭაბუკმა ცხენს ერთერთ ბილიკისაკენ მიუწია აღვირი, ქუსლი კვლავ ამოჰკრა და თითქოს ვინმესი ეშინიანო, დაბალი ხმით წასჩურჩულა:

— აჩუ, ჩემო შევარდენო, აჩუ!

ცხენი ბილიკს აჰყვა, მხედარი წინ წაიხარა. ლამის მის ფაფარს შეეხო, რომ მოძრაობა შეემსუბუქებინა; კლდოვან ბილიკზე ნალებს, წკრიალი გაჰქონდა. ზოგჯერ ერთმანეთს შეჯახებული ქვა და რკინა ნაპერწკლებს ჰყრიდა, ხოლო ფლოქვებით ნაშალი ღორღი ხრიალ-გრიალით თავქვე მიიშლაშნებოდა. რამდენს ცდილობდა ჭაბუკი, რომ ხმაური არ გამოეწვია. მაგრამ ასეთ პირობებში უამისობაც არ შეიძლებოდა. უმწეოდ ამოიოხრა — „ეეჰ“ და ახლა მთელი ყურადღება გორაკის თხემზე გადაიტანა, იმას აღარ აშორებდა თვალს და რამდენიც უახლოვდებოდა, იმდენად უფრო იხრებოდა წელში, მუცელი ლამის შეუნგრია უნაგირის კეხმა, მაგრამ მაინც ზედ ეკვროდა. ცხენს ლაჯები და გავა შავად აულაპლაპდა, იგი ხვითქში ცურავდა, რადგან ეტყობოდა, რომ მთიდან ახლად ჩამოყვანილი იყო. სიმსუქნისაგან კანი ზედ ასკდებოდა.

როგორც კი მხედარმა იდროვა — ეს არის თხემს იქით გამოვჩნდებიო, ცხენს აღვირის აკვრით ანიშნა — შეჩერდიო და ისიც ერთ ადგილზე გაქვავდა.

იმ ავბედით ჟამს საქართველოში,

ცხენი მხოლოდ შესაჯდომად და საომრად, საბრძოლველად გამოიყენებოდა. იგი არასოდეს არ შეუბამთ: არც კევრში, არც ურემში და არც მარხილში. ამ მოვალეობას, როგორც წესი, ხარ-კამეჩი ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ ვინც კი ინახავდა ცხენს — მეფე თუ თავადი, გლეხი თუ მღვდელი, ყოველთვის საომრად წვრთნიდა, რომ საჭირო შემთხვევაში ის გაეკეთებინა, რასაც პატრონი უბრძანებდა. საქართველოში ისე თავის თავს არ უფრთხილდებოდა მხედარი, როგორც ცხენს და საბრძოლო იარაღს. ახალგაზრდა ვაჟკაცი, პატარა ბიჭი, თუ თეთრწვერა მოხუცი, როგორ ლხინსა და ქორწილშიაც არ უნდა მოხვედრილიყო, არასოდეს სუფრას არ მიუჯდებოდა ისე, თუ ყველაზე წინ ცხენს არ დააბინავებდა, თუ იმას არ უზრუნველყოფდა სასმელით და საჭმელით. ... და აი, რაღაა გასაკვირველი, თუ ასე პატივნაცემი პირუტყვი ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც პატრონს უნდოდა. ამ შემთხვევაში არც ჭაბუკი მხედრის მერანი გახლდათ სხვაგვარად აღზრდილი და ნაწრთობი. საკმარისი იყო აღვირის აკვრით ნიშანი მიეცა, რომ ერთ ადგილზე გაქვავებულიყო, ისევე გაჩაჩხულ-მოკუნტული, როგორადაც და რა მდგომარეობაშიაც ბრძანებამ უწია...

მხედარი უმალვე ცხენიდან გადმოხტა. აღვირი ფაფარზე გადაუგდო, თვითონ აღკაზმულობა გაისწორა, ხანჯალი და ხმალი გვერდზე მოიგდო, პირქვე გაწვა და ძალზე ფრთხილად გახოხდა თხემისაკენ. ერთ ადგილას ქუჩად ამოყრილი ურო ბალახი შენიშნა, გორაკის ყველაზე მაღალ წერტილში და იმას დაუპირისპირდა, ძალზე ფრთხილად მიხოხავდა, მაგრამ იარაღის ჩხარუნი და წკარუნი კლდოვან ნიადაგზე მაინც ისმოდა. როდესაც შუბლით ურო ბალახის შეხება იგრძნო, უცებ შესდგა და ფრთხილად აიხედა მაღლა. რაკი ვერავინ დაინახა, უფრო გაბედულად წამოჰყო თავი. ურო ბალახს ზემოდან გადახედა და ოდნავ დაქანებულ გორაკის მეორე კალთას თვალი გადაავლო. კვლავ სიცარიელე და დუმილი. მხედარმა წამოიჩოქა, ახლა უფრო ვრცელი სივრცე მოათვალიერა, კვლავ ვერაფერი შენიშნა საეჭვო და სახიფათო, ფეხზე წამოდგა, თვალებთან ხელი მიიჩრდილა და ოთხივე მხარე სულისმოუთქმელად მოათვალიერა. შემდეგ კი შვებით ამოისუნთქა, ნაბდის ქუდი მოიხადა, თამამად შუბლზე მოისვა, მაგრამ მაინც თვალს არ აშორებდა იმ სივრცეს და იმ სანახაობას, რომელიც ზღვასავით გაშლილიყო.

ძალიან დიდი უბედურება უნდა დამკვიდრებულიყო ხალხის ცხოვრებაში, რომ ლურჯი ცით ჭერდებულ, მზის ბრწყინვალებით მოზარნიშებულ, ყვავილნარებით ათასფრად აჭრელებულ და მწვანედ ახასხასებულ ველ-მინდვრებში ადამიანს რაღაც საშინელება ეძებნა და არა დაუცხრომელი სურვილი იმისა, რაც შეიძლება დამტკბარიყო ველთა ჰაეროვანი სუნთქვით და ზღაპრული მოკაზმულობით. მხედარი ვერავითარ მშვენიერებას ვერ ამჩნევდა, რადგან ტყვეობისა და სიკვდილის აჩრდილი ერთი წუთითაც არ შორდებოდა გონებიდან. რაკი დარწმუნდა, რომ გორაკის უკან გაშლილ უკიდეგანო მინდვრებზე ერთი სულდგმულიც არ ჭაჭანებდა, ახლა თვალი მიაპყრო თვითეულ ჯაგს, თვითეულ ძეძვის ბუჩქს, რომელნიც აქა-იქ მოშანშლულიყვნენ, კარგა ხანს ათვალიერა ხან ერთი, ხან მეორე და უცებ შვებით და სიხარულით აღვსილი, იმავე გორაკის თხემზე შესდგა, რომლის კლდოვანი ფერდობიც ცხენით ამოვლო და რომლის ზურგიც თვალუწვდენ ველის სახით, გაშლილ ტრამალებს ერწყმოდა. მან კვლავ გაბედულად მოიხადა თექის ქუდი, ჰაერში დაატრიალა და თან წკრიალა ხმით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰყვირა:

— ეჰეი! იარეთ! გზა ხსნილია!

ამ ერთფეროვან მინდვრებსა თუ მთა-გორაკ-ბორცვთა განლაგებაში არავინ ჩანდა, მაგრამ მხედარი მაინც თავისას არ იშლიდა:

— ეჰეი! მისმინეთ: მშვიდობაა, ია-

რეთ! — კვლავ გაჰყვიროდა იგი სრული ხმით.

ანაზდად სწორედ იმ ადგილას, საიდანაც წეღან ქურანა დასძრა მხედარმა, თეთრი ცხენი გამოხტა — შუბით და ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული მხედრით, თეთრს ხალდაკრული მოჰყვა, ხალდაკრულს — ლურჯა, ლურჯას — ოქროსფერი, ხოლო ოქროსფერს ყორანივით შავი ცხენი, თითქოს მიწიდან ამოიზიდნენ, ან ზეციდან ჩამოცვივდნენო, ნამდვილად კი იმ ფართო ხრამის საფარველიდან გამოდიოდნენ, რომელიც შეექმნა, ორი მაღალი გორაკის შერწყმაში, წყლისა და ნიაღვრების სადინარ ღელეს. ეს ღელე თხემიდან დაწყებული შუაწელამდე რომ განიერ არხის ნაკვალევს მიაგავდა, გორაკის ძირში ვეებერთელა ხრამად იყო ქცეული, კაცს ეგონებოდა კარგა განიერი თავახდილი გვირაბიაო. ამ გვირაბიდან მალე ჩარდახდახურული ურემიც გამოჩნდა ყევარი ხარ-კამეჩით. ურემი, მხედრებით გარშემორტყმული, მინდვრის პირშელმა გზას დაადგა, რომელიც მაღალ გორაკს ჯერ სალტესავით ეხვეოდა, შემდეგ ზედ გადადიოდა და იკარგებოდა. ახლა ყველა მხიარულად ყაყანებდა, რადგან მზვერავის ხმამაღალმა ძახილმა ისინი დაარწმუნა, რომ ამ ჯერად არავითარი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი. რაკი ადამიანები გამოჩნდნენ, აქამდე ყრუ, მიუსაფარი და შიშველ-ტიტველი ტრამალები, თითქოს ერთბაშად აივსნენ, გაცოცხლდნენ და ამოძრავდნენ. სულ თხუთმეტი მხედარი მისდევდა ურემს, რომელთა შორის წარმოსადეგი ვაჟკაცებიც იყვნენ, ჭაღარაშერეულნიც და პირდაუგინგლავი ბიჭებიც. იმდენად მათი სიჭრელე არ იპყრობდა ყურადღებას, რამდენადაც მათი შეიარაღება. ხანჯალი და მშვილდ-ისარი კაპარჭით, თითქმის ყველას უჩანდა, ხოლო ფარხმალი ზოგიერთს, შუბი თითო-ოროლას და არც ჩაცმულნი იყვნენ ერთნაირად, რომ ვინმეს ისინი ჯარისკაცებად სჩვენებოდა. იერით, ქცევით და ხმამაღალი ლაპარაკით გლეხები იყვნენ და მეტი არაფერი.

ლეკიანობის მძვინვარების ხანაში: არც მეფე, არც თავადი, არც ეპისკოპოს-კათალიკოსი და არც სხვა ნებიერნი ამა ქვეყნისანი, არ გამოვიდოდნენ გარეთ უჯაროდ, ისევე როგორც არც სახლში იქნებოდნენ უციხეკოშკებოდ და უგუშაგებოდ, ხოლო გლეხს თვითონ უნდა ეზრუნა თავის თავზე. როდესაც იგი სახიფათო მგზავრობას დააპირებდა, მეზობლები თუ მახლობლები, ერთმანეთის მხარის მიმცემნი ხდებოდნენ, ეწყობოდა ერთგვარი მამითადი, ვისაც რა იარაღი გააჩნდა, იმით აღიკაზმებოდა და თავის მახლობელს თან გაჰყვებოდა. დღეს რომ თვითონ მისდევდა ძნელ მგზავრობაში, ხვალ კიდევ თავად გაიყოლებდა მეზობელ-ნათესავებს და, ასე და ამ გზით იცავდა გლეხი თავის სიცოცხლეს და არსებობას. როგორც წესი, ასეთ მგზავრობაში ყოველთვის თავს იყრიდნენ უახლოესი მეზობლები და ღვიძლი ნათესავები. ასე იყო ყოველთვის და ასევე მოხდა ახლაც. ამიტომ იყო მათი იარაღი ასე ჭრელი, ზოგჯერ კი უცნაურიც და შეუფერებელიც მძიმე ბრძოლისათვის. თვითონ მეურმეც კი, რომელიც ხალისიანად მიერეკებოდა საქონელს, შეიარაღებული იყო მართლაც უცნაურად: ურმის თავში, მარცხნივ, კოფოსა და ზეწარს შუა რომ შუბი ჩაერჭო, მარჯვნივ კიდევ ვეებერთელა ცული ჩაეჭედა, ხოლო ქამართან დაკიდებულ ბრტყელ ხანჯალს წარამარა ისწორებდა, რადგან სახრისა და შოლტის ხმარებაში ხელს უშლიდა. ვიდრე ვაკე იყო, ურემი ხალისიანად მიგორავდა, ხოლო როდესაც გრძელ აღმართს შეუდგა, საქონელმა ნაბიჯს უკლო და მხედრებიც ტაატით მიჰყვნენ...

კლდოვან ფერდობის თავზე კი მხედარი, ქურანა ცხენით, კვლავ გაქვავებული იდგა. იგი, ურემს თანდათან უკან რჩებოდა — მხარმარჯვნივ, რადგან გზა რკალივით ერტყმოდა ამ მაღალ გორას, ურემი გარს უვლიდა და სადაც იყო ხეობამდე გაშლილ ტაფობზე ავიდოდა.

როდესაც მხედარმა იგრძნო ალმართი ცოტა-ღა დარჩა ამოსასვლელიო, ქურანა ადგილიდან დასძრა, გორაკის კლდოვანი თხემი ალმაცერად გადასჭრა და სწორედ მაშინ, როდესაც ყევრის ხარებმა ჩალმართი ველის ტაფობზე შვებით ამოისუნთქეს, ყველას წინ უყელა.

— ბალღო, ლომის ხახაში არ ჩაგვყარო, ხომ კარგად დაზვერე ოთხსავკუთხივ? — ჰკითხა უკვე ჭაღარაშერეულმა, მაგრამ ჯერ ისევ ჯან-ღონით სავსე მეურმემ.

მხედარმა ლაგამს მოსწია. ცხენი შეაჩერა.

— ძია შაქრო, აგერ იმ ბუჩქს ხედავ?—მათრახის ტარი წინ გაიშვირა ჭაბუკმა და პასუხის მაგიერ იქით მიახედა. იგი. იქ კი გრძლად გაწოლილი სერი ოდნავ მოჩანდა. იმდენად დაბალი იყო ეს სერი, ან შორს იყო და იმიტომ მოჩანდა დაბლად, რომ საერთო ეაკობში ძლივს გამოირჩეოდა, როგორც დედამიწის ამაღლებული ნაწილი.

— ძეძვის ბუჩქი იქნება, მე შავ წერტილად ვხედავ! — მიუგო მეურმემ, მეურმესთან ერთად გარშემორტყმული მხედრებიც, ურემში მყოფნიც და ლამის საქონელიც კი, იმ შავ წერტილს თვალით დააკვდნენ.

— ნამდვილად ძეძვის ბუჩქია! — წამოიძახა რამდენიმე მხედარმა ერთად.

— ვაი, დედასა, მარტო ძეძვს ხედავთ, სხვას ვერაფერს? — წამოიძახა ჭაბუკმა.

— სხვა რა უნდა იყოს ბიჭო? — განცვიფრებით აღმოხდა მეურმეს.

— ვაიმე, ვაიმე! მართლა ვერ ხედავთ? — გულუბრყვილოდ მიუგო ჭაბუკმა. — იმ ბუჩქს ორი ბეღურა გარშემო უვლის, ხან ერთმანეთს ეკინკლავებიან, ხან შორდებიან! არა! არა,—უცებ შეიცვალა კილო, — აღარ კინკლაობენ, აფრინდნენ, ჩვენსკენ წამოვიდნენ!

— მართალია, აფრინდნენ! — ანაზდად გაისმა ქალის ხმა. ყველამ ურემს მიჰხედა, რადგან ეს ხმა სწორედ იქიდან მოდიოდა.

ურემი მგზავრობისათვის იყო მოწყობილი. მოპირისპირე ჭალების ზემოთ, ჯამბარასავით მსხვილი წნელები გადაეკამარებინათ — ურმის მთელ სიგრძეზე და ზედ თალხი ნაბად-ფარდაგები გადაეფარებინათ, რაც წარმოადგენდა ერთგვარად საფარებელსაც, რომ შიგ მსხდომნი არავის დაენახა და საჩრდილობელსაც, რომ თაკარა მზეს მგზავრები არ შეეწუხებინა. ცალ მხარეს ფარდაგი ვიღაცას აეწევნა და იქიდან შორეულ ბუჩქს ახალგაზრდა ქალი დაეინებით გაჰყურებდა. იგი იყო პირთეთრი, პირბადრი, წვრილწარბება, ხშირწამწამება და მსხვილი, სევდით აღსავსე შავთვალება! ენძელას ფერის ფარჩის კაბა ეცვა, ოქროსფერი მანდილი ეხვია და მის სახის ნორჩ ნაკვთებს ისეთ შუქს აყენებდა, თითქოს შარავანდედი შემორტყმიაო — მსგავსად წმინდანთა სურათებისა: ასეთი შედარება ბევრს შეიძლება გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ ის კი აღარ არის უარსაყოფი, რომ თალხი ფარდაგის საერთო ფონზე იგი ისე მოჩანდა, თითქოს ყომრალი ღრუბელი გაფხრეწილა და სავსე მთვარე შუქმფინარებსო...

შესაძლებელია კრიალა ცის ლაჟვარდში, ან ველის ყვავილთა მრავალფეროვნებასა და უამრავ გორაკ-ბორცვთა აზვირთებაში მოჩანდა ასეთად, შესაძლებელია: მზის ბრწყინვალება, ზაფხულის სიცხე და გრილი ნიავის საამო ქროლვა ქმნიდა ამ შთაბეჭდილებას, მაგრამ იმ გარემოცვაში, რომელშიც ის იმყოფებოდა, ნამდვილად ალმასად რომ ბრწყინავდა, — ლალ-ზურმუხტების ზღვაში, ეს კი ცხადი იყო! ალბათ, ამის გამო, ყველა დაფარული გაოცებით და უზომო აღტაცებით შეჰყურებდა მას. თავად გახლდათ გაოცებულიც და ნაწყენიც, რომ სრულიად გულუბრყვილოდ წამოიძახა:

— დედა არ მომიკვდეს, ბუჩქზე ვერა, მაგრამ როცა აფრინდნენ მეც დავინახე!

— მჯერა, ელვარ! — უმალვე დეთანხმა მეურმე. — თვალიც ახალგაზრდისაა და ჯანიც! ღმერთმა გახაროთ,

რომ ამ ავბედით ჟამს თქვენი იმედით ვსულდგმულობთ!

— ვიაროთ! ჩვენ ისეთი მზვერავი გვყავს, გზას თითქოს ჩირაღდანით გვინათებდეს! — წამოიძახა ხანში შესულმა მხედარმა, რომელიც ხალდაკრულ ცხენზე იჯდა.

— იქნებ სჯობდეს საქონელი გამოვუშვათ, დავასვენოთ და ჩვენც დავისვენოთ! — ხმა ამოიღო ლურჯა ცხენის პატრონმაც, რომელშიც, განიერი გულმკერდით და რკინასავით ჩამოსხმული მხარბეჭით, მნახველი უთუოდ შეიცნობდა მკლავგაუტეხელ ფალავანს, მიუხედავად იმისა, რომ თმასა და წვერებში აქა-იქ ჭაღარა უკრთოდა.

— არ ივარგებს, შუადღემდე იორი თუ არ მოვიგდეთ უკან, სოფელში თვალნათლივ ვერ ავალთ! — მიუგო მეურმემ. — დალოცვილო, საქონელს რა აქვს სანაღვლო? აოხრებული ქვეყანა ნადირისა და პირუტყვის ქოროწილია! დილას ისე დაძღნენ, ფერდები ზედ ასკდებათ. აბა, გახედეთ, დაყამირებული მინდვრები ზღვასავით ულეველია!

— არა! არა, ვიაროთ! მადლობა ღმერთს ჯერ-ჯერობით ავის ნიშნები არა ჩანს! ვიდრე ჩემს შვილებს სახლში არ დავიგულებ, მე ჩემი დამემართება! — ხმა ამოიღო ურემში მჯდომმა სანდომიანი სახის ტანსრულმა დედაკაცმა, რომელსაც თეთრ-ყირმიზა — მზით ალანძული სახე, ერთიათად უფრო დამშვენებოდა შავ ტანსაცმელსა და შავს მოსახვევში. იმ ჟამად საქართველოს იმდენი უბედურება ატყდებოდა თავს, იმდენ მწუხარებას და გლოვას განიცდიდა თვითეული მისი მცხოვრები, რომ თუ არ ახალგაზრდა, გასათხოვარ ქალს, ვერავის ნახავდით ღიაფერ ჭრელ-ჭრულ ტანსაცმელში. ეს საამური სახის დედაკაციც ჯერ შუახნისა ძლივს რომ ეთქმოდა, ერთიანად დათალხული კი იყო.

იგი დედა გახლდათ ელვარასი და იმ ბიჭისა, რომელიც მგზავრებს მზვერავად გამოეყოთ. ორ-ორი შვილი ამ სახიფათო მგზავრობაში თან ახლდა და მათზე ფიქრით მოსვენება აღარა ჰქონდა. თვითონ შეებმოდა ურემში, ოღონდ შვილები გადერჩინა. აბ, ერთადერთი მისი საზრუნავი და თავში საცემი! სწორედ ამიტომ იყო, რომ მთელ ღამეს არც თვითონ მოისვენა და არც სხვა მოასვენა. ურემში იმიტომ იჯდა, რომ მეურმე წარამარა გაემხნევებინა „მალე“ და „ჩქარათი“, თორემ ისე — სიამოვნებით გაჰყვებოდა ფეხით, საქონელს ტვირთს შეუმსუბუქებდა, რომ უფრო შეღავათით და სწრაფად ევლოთ.

— რატომ დგახარ? დავიძრათ! — კვლავ შესძახა მან მოუთმენლად.

— გულარხეინი სიარული დაგვღუპავს, ადამიანო, სიფრთხილე მაინც საჭიროა!

— ოჰ, ერთი! იხაროს და იბედნიეროს ივანე კოტორაშვილმა და მისმა რაზმმა, სადაც ის არის, იქ შიშსა და საფრთხეს რა უნდა? წუნკალ მტაცებლების სახელი ჩვენს მხარეში ლამის გააქროს!

— არა! არა! ადამიანო, — თავისას გაიძახოდა მეურმე. — ვინც არა ფრთხილობს, ის სიკვდილს გამარჯვებას ეუბნება! ბიჭო ზვიად!—მიუბრუნდა იგი ჭაბუკს. — ხომ ხედავ წინ რამდენი სერი, ბორცვი, გორაკი და ღელეა, შეიძლება თვითეული მათგანის ჩრდილში ჩვენი სულთამხუთავი იჯდეს, გასწი, წინ იარე, სულ უბრალო კენჭი და ბალახის ძირიც კი არ გაუშვა დაუზვერავი!

— კვლავ ქუდის და ხელების ქნევით მოგცემთ ნიშანს! — ზვიადამ ლაგმის ტოტები ხელში აიკრიფა და ცხენს ქუსლი ამოჰკრა.

— არა, თუ რამე შენიშნო, უმალვე უკან გამობრუნდი, ცხენი კარგი გყავს, არ გაგიჭირდება! ბრძოლაში ერთად ყოფნა სჯობს, ჩვენი ძალა ერთობაშია!

— ოჰმე! ნეტავი ზვიადასავით ვხედავდე და მაშინ ნახავთ რაც იქნება, ჩემნაირი სახელოვანი კაცი ჩვენს სოფელს არ ეყოლება! — წამოიძახა ქერა ჭაბუკმა, რომელიც ჩალისფერ ცხენზე

იჯდა და ერთი ორი წლით თუ იქნებოდა ზვიადაზე უფროსი.

— როგორ გახდებოდი სახელოვანი, ბიჭო? — ჰკითხა მეურმემ.

— როგორ და...ვახტანგ მეფის ამალაში შევიდოდი. მეფესთან საქმეც ბევრია და თავის გამოსაჩენი მოედანიც უფრო ფართო!

— ვინ ახსენებს ვახტანგს მეფედ? — ერთიანად აწითლეიული ელვაოა ლამის ურმიდან გადმოხტა.

— ვინც ქვეყანას განაგებს, მეფეც ის არის, შვილო! გულს რაზე იხეთქავ? — მიუალერსა საამური სახის დედაკაცმა. — თქვი, რაც სათქმელი გაქვს, გზაზე სიმშვიდეა და ლაპარაკის დროც ახლაა!

— განა ამასაც თქმა უნდა, დედა? როგორც ამბობენ: სპარსელთა მონა და მოციქული, არასოდეს არ იქნება საქართველოს მეფე და ხალხის თაყვანსაცემი!

— ამბობენ, ვახტანგ მეფე ძალზე ჭკვიანი კაცია, ერთგული თავის ქვეყნისა და თავის ხალხისაო! — მაინც წამოსცდა მეურმეს.

— დიახ, ამბობენ! აბა, ერისთავებსაც მოუსმინე რას ამბობენ: მაგ ერთგულს ტახტის გულისთვის დაუგმია ჩვენი წმიდათა-წმიდა ეკლესია და დღეში ხუთჯერ, თურმე, ნამაზს ასრულებს. რაც სპარსელმა თავისი სპარსელობით ვერ გააკეთა, მაგას დაავალეს, რომ გააკეთოს თავისი ქართველობით! ეგ თქვენი „მეფე“ უფრო საშიშია ქვეყნისათვის, ვიდრე თვითონ შაჰი და მისი გულქვა სარდლები. არასოდეს მტერი არ სჩადის იმდენ ბოროტებას თავის ხალხისათვის, რამდენსაც გადაგვარებული, სულ ეს მესმოდა ჩემი ნათლიის ოჯახში! — დაასრულა ქალმა თავის სათქმელი.

— ვახტანგმა სკოლები გახსნა, გზები გაჰყავს, სოფლები დაასახლა, არხები აღადგინა, ქვრივ-ობოლთა გამკითხავია და შემწყალეო! აბა, ყველაფერი ეს ტყუილია? — შეშფოთებით იკითხა ხალდაკრულ ცხენზე მჯდომმა მხედარმა.

— ეგრე გამოდის! — აღმოხდა ქალს. — იმ სკოლაში მეც ვსწავლობდი, ვახტანგ მეფეს სალოცავ ხატად გვისახავდნენ, მაგრამ ერთი იყო გულსატკენი: იქ გვასწავლიდნენ არა მარტო ქართულს, არამედ სპარსულსაც... გზების გაყვანა დიდი საქმეა, მაგრამ ზოგს რომ ჰკითხო იმიტომ გაჰყავს სპარსელებს გაუადვილოს ქვეყნის დაპყრობაო. სოფლებსაც იმიტომ ამრავლებს და ასახლებს, რომ სპარსელებს მუშახელი და გადასახადები მოუმატოსო!..

— ვაი დედასა, დავიღუპეთ, თუ ყველაფერი ეგ მართალია! — შუბლზე ხელი იტკიცა მეურმემ და იქვე ინანა, რადგან ისეთი რამ მოაგონდა, რამაც თავისი დათანხმება სისულელედ მოაჩვენა, — მოიცა... მოიცა, შვილო! — განაგრძო მან ნიშნის მოგებით,— აბა, ის რაღაა რომ ვახტანგს დაევალა დაღესტანზე გალაშქრება და ისეთი დიდი ჭირის მოშორება, რომლის მსგავსი არც კახეთს ჰქონია, არც ქართლს და რომელსაც ჰქვია ლეკიანობა. გინდა თქვა „ტყუილიაო“, არ დაგიჯერებ, რადგან ერთი-ორჯერ მე თვითონ ვნახე, მომავალ ბრძოლებისათვის ალაზნისა და ივრის ხეობებს თავს როგორ დასტრიალებს, ათვალიერებს. ამაგრებს, ჯარებსაც თავს უყრის...

— დიდ თავადებს რომ ჰკითხოთ ყველაზე საეჭვო ეგ არისო. კახეთში დაძვრება, რომ ძმათა შორის ხოცვა-ჟლეტა ატეხოს, ჯერ დავით იმამყულიხანის გადაგდება უნდოდა, ახლა კიდევ კონსტანტინეს დაუწყო ქიშპობა, ახალია, ამას ადვილად გადავაგდებ და კახეთიც მე დამრჩებაო!

— ჯანდაბას კონსტანტინე, შენ ლეკების ალაგმვაზე გვითხარ! — მოუთმენლად შეაწყვეტინა მხარბეჭგანიერმა მხედარმა.

— რად მიანდო შაჰმა ლეკების ალაგმვა ვახტანგს და არა სხვას? ამ კითხვაზე ისინი ასე უპასუხებენ: შაჰს ყველაზე ერთგულად ვახტანგი მიაჩნია და

იმიტომაო! დაღესტნის და საქართველოს წაკიდებით მოგებული დამპყრობელი სპარსი დარჩება, რადგან დაუძლურებულს და დასუსტებულს ორივეს ადვილად დაიმორჩილებს! ერთი რამ ცხადი უნდა იყოს ყველასათვის: აბ ბოლო დროს შიიტი შაჰი, ვერც სუნიტ დაღესტნელებს იტანს, მისი მოსპობაც უნდა და ვახტანგს მშვენივრად იყენებს, როგორც იარაღს თავისი დამპყრობლური მიზნების განსახორციელებლადო.

— ვაი, დედასა, აღარ ყოფილა ჩვენი საშველი, ყველა თურმე საზიზღარ შაჰის საქმეს აკეთებს!

— ყველამ იცის, რომ შაჰჰუსეინი აშკარად სულელია, ვეზირების სათამაშო და ვერასოდეს ვერ დავიჯერებ, რომ ქართლის ჭკვიანი მეფე, ვახტანგი, სულელის მსახური იყოს! მთელი საქართველოს თვალი და ყური მისკენ არის მიპყრობილი, ოღონდ ლეკები ალაგმოს და ამით ყველაზე წინ ჩვენ ვისარგებლებთ და არა შაჰი! — გამომწვევად მიახალა მხარბეჭიანმა.

— შეუძლებელია! რაც არ უნდა იყოს ქართველია, ბაგრატიონთა შთამომავალი! — ხმა ამოიღეს სხვებმაც.

— დაე, ეგრე იყოს, — უცებ დაეთანხმა ხალხის ხმას ლამაზი გოგონა. — მაგრამ ერთი გჯეროდეთ და გწამდეთ. — განაგრძო მან აღგზნებით — თვითონ დამპყრობელი, თვითონ მტერი არ არის იმდენად საშიში, რამდენადაც გადაგვარებული! მტერი გვიმორჩილებს, გადაგვარებული კი ცდილობს მოსპოს თავისი ხალხი, რადგან მისი რისხვისა ეშინიან! ღმერთმა დასწყევლოს და ამოსწყვიტოს სპარსელთა სახსენებელიც და მათი ერთგული გადაგვარებულებიც! თუ ეს მართლა ასეა! — ისე მგრძნობიარედ შესძახა მოხდენილმა გოგომ, რომ ყველამ ერთხმად უპასუხა:

— ამინ!

უპასუხეს იმიტომ, რომ ირანის ლომის — შაჰ აბაზის მძინვარება, იმჟამად, ქართველი ხალხისათვის გუშინდელი დღე იყო და სპარსელის ხსენებაც ისევე სძულდათ, როგორც გველის ხსენება. მაშინ ქართველი კაცი სპარსს ისე არ ახსენებდა, რომ სიძულვილის ნიშნად ზედ ფურთხიც არ მიეყოლებინა. რაც შეეხება ელვარას აღშფოთებას და პატრიოტულ ვნებათა ღელვას, თუ რისგან იყო გამოწვეული, ამაზე ცოტა უფრო გვიან მოგახსენებებათ...

— თვალი სპარსსაც დაუდგა და გადაგვარებულსაც! ჩვენ საქმეზე ვიფიქროთ, თორემ სპარსი კი არა, სუ-თქვასაც დაგვავიწყებენ, ვიაროთ, ნუ ვდგევართ! — მეურმეს მუჯლუგუნი წაჰკრა ელვარას დედამ და ამით ყველა გამოაფხიზლა.

— ვაიმე, ვაიმე, ქვეყნის ტკივილმა გადაგვიყოლა და ლამის ჩვენმა მოგვსპოს! ფრთვეი! ჰაამ, ხარო!" — მეურმემ ჯერ კამეჩს გადაუჭირა სახრე, ახლა კიდევ ხარებს გაუტყლაშუნა შოლტი და ჭაბუკს უბრძანა: — შენი საქმე იცოდე, ზვიად!

ურემი დაიძრა. მხედრები უკან მიჰყვნენ. ქურანა ადგილს მოსწყდა და მახარობელივით წინ გავარდა.

ვინ არიან? სად მიდიან? ვის უფრთხიან და რატომ? ყველაფერი ეს რომ ნათელი გახდეს, საჭიროა გავეცნოთ საერთო ვითარებას...

გაწამებული ქვეყანა

თუ თქვენ მშვიდი ცხოვრების მოტრფიალე ხართ, ან ავად ბრძანდებით და არ გინდათ რაიმეზე აღშფოთდეთ, ნურასოდეს ნუ წაიკითხავთ ქართველი ხალხის ცხოვრების ძველ ანალებს და მატიანეებს, ნუ წაიკითხავთ ისტორიას, რომელსაც მეჩვიდმეტე საუკუნე ჰქვია, თორემ თქვენც აღშფოთდებით და წამოიძახებთ:

— ღმერთო, ნეტავი არ ყოფილიყო: ან მეჩვიდმეტე საუკუნე, ან საქართველო!

წუთისოფლის მაშინდელი სიავე, რაც სხვებისათვის ზღაპარშიც არ წარმოიდგინებოდა, ის თავად გადახდა საქართველოს. რაც მაშინ ქართველმა ხალხმა

უშუალოდ განიცადა და გადაიტანა, იმას, სხვა უფრო დიდი ხალხი, მოსმენითაც ვერ მოისმენდა. თუ მეცამეტე საუკუნე და მონგოლთა შემოსევა ქართველი ხალხისათვის ქარიშხალი იყო, მეჩვიდმეტე საუკუნე განუწყვეტელი გრიგალი და მეხთატეხა გახლდათ. მადლიან საქართველოს მიწას, როგორც მტერი, ასევე მოყვარეც, არასოდეს არ დალევია. უხსოვარ დროიდან ებრძოდა იგი სპარსთა, რომაელთა, არაბთა და სხვათა მძლავრებას და ასევე უხსოვარ დროიდან შობდა: ვახტანგ გორგასალებს, დავით აღმაშენებლებს და გიორგი მესამეებს, მაგრამ, რაც წინა საუკუნეებში ანაზდეულ თავდასხმებად ითვლებოდა და, ვით უბედურების გაელვებანი, ისე იჩენდა ხოლმე თავს, ის მეჩვიდმეტე საუკუნეში იქცა მუდმივ ელვად და ცეცხლისკიდებად. აქამდე თუ ერთი მუდმივი ვეშაპი მძვინვარებდა საქართველოს საზღვრებთან, ახლა ორი გაჩნდა: სპარსეთს მიემატა თურქეთიც, ორივე ერთმანეთზე ბოროტი, მძვინვარე და სისხლისმსმელი, მაგრამ ეს კიდევ არ იქნებოდა წარუხოცელი უბედურობა, რომ ამ ორ ბოროტებას მესამე ბოროტება არ წარმოეშვა—ლეკიანობა. სპარსი დამპყრობი თუ ღარიბს და მწირი ბუნების შვილს — ლეკს აქეზებდა საავაზაკოდ, არც თურქი ჩამორჩებოდა სპარსს, ის კიდევ ავაზაკების ნადავლის საუკეთესო გამსაღებლად იქცა. ყველასათვის ცნობილია, რომ, როგორც კი გაჩნდა ბიზანტიის მიწა-წყალზე თურქი მოძალადე, უმალვე შეიქმნა სტამბოლის ტყვეთა და მონათა მსოფლიო მნიშვნელობის ბაზარიც!

იმ შავუკულმართ დროს გასაკეთებელი ბევრი არაფერი იყო, ხოლო იოლი გზით უზრუნველი და წესიერი ცხოვრების მოპოვება ყველას სანატრელად ჰქონდა გამხდარი და აი, ბუნებით უთუოდ მამაცი და გმირი ხალხი, თურქ-სპარსთა ხელისშეწყობით და მზაკვრობით, იქცა თავისივე მეზობლის მძარცველად და გამანადგურებლად.

ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, ეს იყო ისეთი უბედურობა, რომელიც თავისი შედეგებით აჭარბებდა დამპყრობელთა მძვინვარებას. ლეკთა თავდასხმები უფრო მეტად გამანადგურებელი იმიტომ იყო, რომ ისინი მძლავრობდნენ მაშინ, როდესაც საქართველო დამპყრობთაგან იყო აოხრებული, განადგურებული, დაუძლურებული და მომაკვდავი. ისინი იტაცებდნენ ყველაფერს: ცოცხალ ადამიანებს — უმეტესად ბავშვებს, ქალებს, ახალგაზრდა ვაჟკაცებს და რასაც კი მოასწრებდნენ, უბრალო ნივთებსაც კი!

ასეთი წარმოუდგენელი ტაციაობა აღმოსავლეთ საქართველოში ორ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ისე აჩანაგებდა ხალხს, როგორც გაუნელებელი ჭირი და სახადი. ლეკი ყოველ ბუჩქს, ყოველ ტყეს, ყოველ ხრამს, ღელეს თუ ორმოს, ყოველ მიგდებულ კოშკს თუ ნანგრევს საფარად იყენებდა, უეცრად ჩნდებოდა იქ, სადაც არავინ ელოდა და სწორედ ეს აჭირებდა და აძნელებდა მათ ალაგმვას, აღგვას და მოსპობას.

ვინც ღრმად ჩაუკვირდება ლეკიანობის გამანადგურებელ შედეგებს, შეუძლებელია არ განცვიფრდეს ქართველი ხალხის გამძლეობით და ამტანობით, რომ დამპყრობთა შემოტევებსაც უძლებდა და მეზობლის ასეთ ულმობელ თავდასხმებსაც! ლეკიანობა უმთავრესად მდაბიო ხალხის რისხვა იყო, რადგან სწორედ ეს მდაბიო ხალხი, უკეთ რომ ითქვას—გლეხობა იყო ცის ქვეშ, ტრიალ მინდვრებსა და ბაღ-ბოსტან-ვენახებში საქმის მკეთებელი. მაღალი წოდება: მეფეთა შთამომავალნი, თავადიშვილები თუ უმაღლესი სასულიერო წოდება, ციხე-კოშკებში იყო შეკეტილი, მათ ლეკები ვერაფერს აკლებდნენ და სწორედ ამიტომ იყო, რომ ლეკების წინააღმდეგ გმირული შემმართებელნიც სწორედ ამ მდაბიო ხალხის წარმომადგენლები იყვნენ, სწორედ მათი გმირული ბრძოლა იყო საძირკველი ხალხის სიმტკიცისა და გადარჩენისა.

იმ ავბედით ჟამს დაჭრილი არწივი თუ

კიდევ ახერხებდა სუნთქვას, ეს უნდა დაბრალდეს იმ დიდებულ გრძნობებსაც, რომელიც ადამიანთა ყოფიერებას ყოველთვის ამშვენებდა და ამშვენებს ახლაც. კაცთმოყვარეობა, სათნოება, სიკეთე და სიყვარული, რაც ხშირად თავს იჩენდა, არა მარტო დამხვდურ ქართველებში, არამედ მომხვდურ ლეკებშიაც. სწორედ ამაზე გვინდა ამ მოთხრობაში შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. მაგრამ ამით არ იცვლება საერთო მდგომარეობა. ნაწილობრივ მეჩვიდმეტე საუკუნეში, ხოლო მთლიანად მეთვრამეტე საუკუნეში, ისე მძვინვარებდნენ, ისე დათარეშობდნენ ლეკები, რომ საქართველოს გადარჩენის იმედი, თითქმის აღარავის ჰქონდა, მაგრამ თუ საბოლოოდ არ მოვისპენით, ეს უნდა დაბრალდეს მარტო კაცთმოყვარეობას და გულსათუთობას კი არა, არამედ იმასაც, რომ ხანდახან საქართველოს ცაზეც გაბრწყინდებოდა ხოლმე მზე. ერთი ასეთი მზეთაგანი მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს მართლაც გამოჩნდა — მეფე გიორგი მეთერთმეტის სახით!

გიორგი ყველაფრით ჰგავდა თავის სახელოვან წინაპრებს. მისი ოცნება იყო მთლიან საქართველოს აღდგენა. თუ დავით აღმაშენებლის და დიდი თამარის დროინდელ სახელმწიფოებრივ ძლიერების აღდგენას ვერ შესძლებდა, იმედი ჰქონდა გიორგი ბრწყინვალის დროინდელ მთლიანობას მაინც მიაღწევდა, მაგრამ რამდენადაც მეტს იღწვოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, იმდენად მეტ მტერს იჩენდა, განკერძოების მოტრფიალე თავადების სახით. იგი მთელი თავისი მეფობის ხანაში ცდილობდა დაეთრგუნა სახელმწიფოებრივ კეთილდღეობის ეს უბოროტესი მტრები, მაგრამ ვერ შესძლო! ვერ შესძლო, ვერც გიორგი ბრწყინვალესავით ერთი დაკვრით მათი მოსპობა და ვერც ალექსანდრე დიდივით მათი გათიშვა. თავადებთან ბრძოლაში მან ჯერ ტახტი დაჰკარგა, ხოლო შემდეგ კი იქცა თავის ქვეყნის გამჩანაგებელ დამპყრობთა უერთგულეს მსახურად. იგი იბრძოდა ავღანეთში, რომ საქართველო გადაერჩინა და გიორგად სახელდებული, გურგენ ხანად ჩასვენებულიყო საფლავში.

გიორგი, როგორც ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, შაჰ-სულთან-ჰუსეინს იმიტომ შეურიგდა, იმიტომ ეწვია ისპაჰანში, რომ ტახტის კანონიერი უფლებები განემტკიცებინა. შაჰმა ქართლის ტახტი მართლაც დაუმტკიცა, მაგრამ, ვეზირების რჩევით, მოსთხოვა აჯანყებულ ავღანთა წინააღმდეგ ჯარების სარდლობა. გიორგი იძულებული გახდა დათანხმებოდა შაჰს, მხოლოდ მოსთხოვა, რომ ქართლის ტახტი მიეცა თავისივე ძმისწულისათვის, ფრიად განათლებულ და ქვეყნის ერთგულ ვახტანგისათვის. შაჰმა სასტიკი უარი სტკიცა, ვითომდა გიორგის სიყვარულით და პატივისცემით — ქართლს უკვე ჰყავს მეფე და ამ უფლებებს ვერ გადავცემ სხვასო. ისევ აიღო და გიორგის მოადგილედ — ჯანიშინად დანიშნა. ცბიერი ვეზირები ფიქრობდნენ, რომ ამით შაჰი ერთ ხელში ორ საზამთროს დაიჭერდა, სახელდობრ: დიდ სახელმწიფოებრივ საკითხებს ჯანიშინი თავისით ვერ გადაწყვეტდა, ომებში ჩაბმულ მეფე-სარდალსაც ვერ მისწვდებოდა და ძალაუნებურად ყველაზე უფროსთან — თვითონ შაჰთან უნდა დაეჭირა საქმე. „ამ რიგადო — ვეზირების შთაგონებით ფიქრობდა შაჰი, — ქართლში არსებითად მე ვიქნები მბრძანებელი. და, როგორც მინდა ისე წარვმართავ საქმეებსო“...

შაჰის ამ ცბიერებას ვერც გიორგი მეფე მიხვდა და ვერც მისი ძმა ქაიხოსრო. როგორც ჩანს, ამას მიხვდა მხოლოდ თვითონ ჯანიშინი — ვახტანგი. რაც ქართლის ტახტის გამგებელი გახდა, არასოდეს არ ყოფილა ჯანიშინი (მოადგილე მეფის და არა შაჰისა!), თავი ყოველთვის დამოუკიდებლად ეჭირა, აკეთებდა იმას, რაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭიროდ მიაჩნდა და არასოდეს არ მიუმართავს შაჰისათვის, რომ იგი არ მიეჩვევნა მბრძანებლობას. არ მი-

უმართავს აგრეთვე არც ავღანთა წინააღმდეგ მებრძოლ მეფე გიორგისათვის, რადგან მეომარი ვერასოდეს ვერ იქნებოდა მშენებელი. მხოლოდ ერთ საკითხში უნდა გამოეყენებინა შაჰის მბრძანებლობა და ეს გახლდათ ლეკების ალაგმვის საკითხი; არა ერთხელ მიმართა შაჰს, ვახტანგ მეფემ, ამის თაობაზე და ყოველთვის უარს ღებულობდა მანამდე, ვიდრე მდგომარეობა ძირ-ფესვიანად არ შეიცვალა...

ავღანთაგან შევიწროებულ თუ დაუძლურებულ სპარსეთს, უკვე აღარც მოყვარე ერიდებოდა და აღარც მტერი. დაღესტანში თავი წამოჰყვეს თურქეთის მხურვალე მომხრეებმა; ყაზი-ყუმუხის მმართველმა ჩოლაქ სურხაიმ და მუსულმანურ სასულიერო წოდების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჰაჯი დაუთმა. მათ სულ ადვილად გადაიბირეს თითქმის მთელი დაღესტანი შიიტ სპარსელების წინააღმდეგ და თანამორწმუნე სუნიტ თურქეთის ორიენტაციის მომხრე გახადეს... რომ შაჰს ჭკუა ესწავლებინა ორგულ ქვეშევრდომთათვის, გადაწყვიტა ნარი ისევ მოწინააღმდეგის ხელით ეგლიჯა და დასთმო. ვითომდა ისმინა ვახტანგ მეფის აჯა, დაღესტნის დამორჩილება მას, ქართლის მეფეს, მიანდო.

ვახტანგ მეფე იმ ჟამად დიდი ხალისით აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთის დიდ ხელმწიფე — პეტრე პირველთან, რომ დაუძლურებული სპარსეთი, ვიდრე თურქეთი დაასწრებდათ, ხელთ ეგდოთ. ვახტანგ მეფე გულწრფელად ფიქრობდა, რომ მხოლოდ რუსეთთან კავშირით შესძლებდა საუკუნოებრივ დამპყრობელ-დამმონებელის თავიდან მოშორებას და ყველანაირად ცდილობდა დროებით არაფერზე ეზრუნა, ოღონდ ეს კავშირი განემტკიცებინა. მაგრამ იყო ერთი დიდი უხერხულობა: თანახმად ხელშეკრულებისა, ქართლის მეფეს, სპარსეთის წინააღმდეგ, უნდა გამოეყვანა ოცი ათასიანი არმია და როგორ უნდა მოეხერხებინა ასე მრავალრიცხოვან ჯარის შეგროვება — ფარულად, სხვების შეუმჩნევლად? არა, მართლაც რომ სასწაულივით მოხდა! მეფე ვახტანგმა სრულიად ანაზდად მიიღო შაჰის ფირმანი — დაღესტანზე გალაშქრებისა და ლეკების ალაგმვისა. ნიღბად და სხვების თვალის ასახვევად უკეთესს ვერც ინატრებდა, რადგან ამ ფირმანით მას ეძლეოდა მშვენიერი საბაბი ჯარის შეგროვებისა და შეიარაღებისა. იგი ყველას მოურიდებლად უცხადებდა, რომ დაღესტანზე გასალაშქრებლად ემზადებოდა, ნამდვილად კი ჯარებს განჯაში გზავნიდა, რადგან ასეთი იყო შეთანხმება: პეტრე პირველი, რომ სპარსეთს დერბენდიდან და ბაქოდან დაესხმოდა თავს, ვახტანგი განჯისა და ერევნის სახანოებს უნდა შესეოდა.

მეფემ ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიიღო: ჯერ მთავარი ბოროტება უნდა მოსპობილიყო და მერე მეზობელთან ანგარიშების გასწორება, თუ მორიგება, სულ იოლი საქმე იყო...

ერთიც უნდა ითქვას: არც ის იყო უარსაყოფელი, რომ თუ პეტრე პირველთან დადებული ხელშეკრულება რაიმე მიზეზით არ შესრულდებოდა და სპარსეთზე ლაშქრობა ჩაიშლებოდა, მეფე ოცი ათასიან არმიას დაღესტანს მიუსევდა, მტაცებელთა და ავაზაკთა ბუნაგს სამუდამოდ მოშლიდა...

ხალხს ყველაზე მეტად ეს, ლეკების დამორჩილება, ენატრებოდა და ამიტომ მეფეს, მარტო მეფედ კი არა, სათაყვანებელ გმირადაც მიიჩნევდა...

* * *

მგზავრები თბილისიდან მოდიოდნენ, ხოლო მოდიოდნენ მოვლით, ტრიალი მინდვრების ყრუ გზებით, რადგან შარა გზებზე და ტყის პირებში, ლეკთა მარბიელი რაზმები დათარეშობდნენ და საფიფათო იყო.

მართალია მგზავრები კახელები იყვნენ და თბილისიდან მშობლიურ კუთხისაკენ მიდიოდნენ, მაგრამ ამაში არაფერი იყო არც გასაკვირველი და არც საოცარი, მიუხედავად იმისა, რომ იმ

ქამად კახეთი ცალკე სამეფოს წარმოადგენდა, ხოლო ქართლი კიდევ სხვას, მაინც ასე თავისუფლად მიდიმოდიოდნენ ერთმანეთში. ამ შემთხვევაში სწორედ ის ხდებოდა, რამაც საბოლოო ანგარიშით, საქართველო — საქართველოდ შეინახა. ქვეყანას მეფეები, თავადები და მბრძანებელნი ჰყოფდნენ, ხოლო ხალხი არასოდეს არც ყოფდა და არც ანაწილებდა. იმ ბედუკუღმართ საუკუნეში, ისევე როგორც წინა და მომდევნო საუკუნეებშიც, განა იქნებოდა ისეთი ქართველი, თვით მიუვალ მთებში მცხოვრებიც, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქად არ მიეჩნია? მოვიგონოთ ყველაზე მთავარი: გნებავთ აღმოსავლეთში და გნებავთ დასავლეთში, როდესაც ქართველი ადამიანი იტყვის— ქალაქს მივდივარო, ყველამ იცის, რომ ამ ქალაქში იგულისხმება თბილისი და არა გორი, ქუთაისი, სოხუმი ან სხვა. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ თბილისი, ქართველ ადამიანს, მიაჩნია უპირველეს ქალაქად, ან უკეთ — დედაქალაქად! ქართველი ადამიანის ნეტარებაც, ტანჯვაც და ბედნიერებაც თბილისთან არის დაკავშირებული. ამიტომ იყო რომ თბილისიდან მოჰყავდათ კახელებს: მშვენიერი ასულიც და დახუთული დედაბერიც, ერთი სასწავლებლად ჰყავდათ იქ, მეორე კი სამკურნალოდ!..

ყველაფერს ამას დაუმატეთ ისიც რომ, გნებავთ აღმოსავლეთ და გნებავთ დასავლეთ საქართველოში, ვერ ნახავდით ვერც თავადს, ვერც გლეხს, ვერც ყმას და ვერც თავისუფალს, რომ თბილისში ვინმე ნათესავი, მეგობარი და მახლობელი არა ჰყოლოდა. სხვა თუ არაფერი ნათელ-მირონით მაინც გაიჩენდა ასეთ ნათესავს. ძველ საქართველოში და შემდეგაც, ხშირად ნათელ-მირონით უფრო მტკიცე ნათესავური კავშირი იქმნებოდა, ვიდრე ღვიძლ ნათესავებს შორის იყო. აი, ახლაც, ელვარა მთელი სამი წლის განმავლობაში ოქრომჭედელ ნათლიის ოჯახში ცხოვრობდა. იგი ერთერთ იმ სკოლათაგანში სწავლობდა, რომელიც გახსნა ვახტანგ მეფემ, ჯერ ისევ თავის ჯანიშინობის დროს, ამ სკოლაში ელვარას ასწავლიდნენ: ჭრაკერვასთან ერთად, ფილოსოფიას, ასტრონომიას, გეოგრაფია- გეომეტრიას, ღვთისმეტყველებას და მშობლიურ ენას. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნათლიასთან ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ ოჯახში, ხოლო წამოსვლის ხანს, ნათლიისაგან, სახსოვრად მიიღო სწორედ ის ოქროსფერი მანდილი, რომელიც მის მშვენიერ სახეს შარავანდედივით ერტყმოდა. მისი დედა, წითლად მოღაჟღაჟე და პირმცინარე დედაკაცი, იმიტომ გამოჰყოლოდა ურემს, რომ საყვარელ ნათლიისათვის ღირსეული ძღვენი მიერთმივნა — შოთ-ნაზუქები უხვად, ყველი გუდით, აგრეთვე თოხლისოდენა ბატკანი, რუმბივით ტიკი მადლიანი კახურით სავსე, ჩაკვერცხილი დედლები, კვლავ: ხილი, ტკბილეული და კიდევ ვინ მოსთვლის! ამ გულუხვ დედაკაცს ყველაზე მეტად ის სიამოვნებდა, რომ სახლამდე მიმცილებლად ეყოლებოდა თავის ნეტარებას — თვალწარმტაც გოგოს და ავადმყოფ — დახუთულ დედამთილს. ჭაბუკი ზვიადა დედის და დის სიყვარულმა აქცია მზვერავად, ხოლო დანარჩენი მხედრები იმ სიყვარულმა გახადა მხლებლებად, რომელიც იშობა ხოლმე დიდი გასაჭირის და განსაცდელის დროს, არა მარტო მახლობლებს შორის, არამედ უცხოებს შორისაც... ესენი კი, ესენი ერთმანეთისთვის წარმოადგენდნენ: ან კარის მეზობლებს, ან მომიჯნავეებს, ანდა ღვიძლ ნათესავებს...

თავზარდაცემული მზვერავი

ურემი ჭრიალით ლევდა გზას. ავადმყოფი დედაბერი ლოგინში სთვლემდა. დედა თავისი ნაშიერის მზერით სტკბებოდა, ხოლო ეს ნაშიერი სქელ წიგნს ჩაჰყურებდა, რომელიც საკუთარი ხელით გადაეწერა და მშობელ დედას ხანდაზმით უკითხავდა დიდებულ მოაზროვნეთა სიბრძნეს. სრულიად მყუდრო და უშფოთველი მგზავრობა ჰქონდათ, ალ-

ბათ, იმიტომ რომ, ისინი კი არ მიდიოდნენ, არამედ მიიპარებოდნენ...

მიიპარებოდნენ, რადგან გარდასულ საუკუნის საშინელებანი თვალწინ ედგათ და არ უნდოდათ, რომ გვამებით გაპოხიერებულ ქართულ მიწისათვის, თავიანთი სისხლი და ცრემლიც მიემატებინათ! მიიპარებოდნენ თავიანთ მშობლიურ ქვეყნის შუაგულში, საზღვრებიდან კარგა დაშორებით, იმიტომ რომ ქვეყანას საზღვარიც აღარა ჰქონდა. მიიპარებოდნენ იმიტომ რომ წინა საუკუნის ტანჯვა და გვემა თვალიდან აღარ შორდებოდათ; მიიპარებოდნენ იმიტომ რომ, ჯერ ისევ მოჰქონდა ნიავს გადასახლებულ კახელთა გმინვის, ხოლო გაჟლეტილთა კვნესის ხმა!

მიიპარებოდნენ, ვით ცოდვებით დამძიმებული დამნაშავენი, ვით ავაზაკნი და კაცისმკვლელნი...

ველი ათასფრად კიაფობდა, ცა ლაჟვარდოვნებდა, მზე ბრწყინვალებდა, ყველაფერი იყო იმისათვის, რომ თვით კლდის ჯოჯოებსაც ბედნიერების სიმღერით ცა და ხმელეთი გაეკვირვებინათ, მგზავრების გულში კი მძიმე ვარამის, სიკვდილის აჩრდილის, ტყვეობისა და განადგურების შიშის მეტი, არაფერი იყო!

აქამდე მხარმარჯვნივ მგზავრები ხედავდნენ მტკვრის ხეობას, გრძლად გაწოლილ შიშველი მთაგრეხილის ძირზე — ველის საერთო დაცემულობაში, სადღაც შორს, ზურგს უკან; წინ მიდიოდნენ და ამ ხეობას თანდათან შორს იტოვებდნენ, ბოლოს კი, შუადღის ხანს, აღმართები დაილია და თვალუწვდენ ველს გადახედეს. მტკვრის ხეობა სრულიად გაჰქრა, თვალს მიეფარა, სამაგიეროდ — პირდაპირ, გადამღობ ჯებირივით ახალი ხეობა და ახალი მდინარე გადაეჭიმათ თვალწინ...

— იორი გამოჩნდა! — ხმამაღლა წამოიძახა მეურმემ და კამეჩებს ხალისიანად გადაუქნია სახრე, რაც ნიშანი იყო უდიდესი სიხარულისა.

— თუ მშვიდობით გავჭერით და გავედით, მერე აღარა გვიჭირს-რა! — თქვა ერთმა ურემზე ამოჯდომმა.

— სამხრობამდე იორს გავალთ, დაბინდებამდე კი სახლებში ვიქნებით! ავჩქარდეთ, თვლემის დრო არ არის, ბიჭებო! — ახლა ხარებს გაუტყლაშუნა შოლტი მეურმემ.

— საქონელს აღარ სჭირდება აღარც შოლტი და აღარც სახრე, წყლის სუნი დაიცეს და გახალისდნენ, ჩვენც მივყვეთ, ურემს! — ერთმანეთს შესძახეს მხედრებმა და ცხენებს სადავეები აუკრეს. იორი ჯერ კიდევ შორს იყო. ასეთ სასიხარულო ვითარებაში მგზავრებს ან სიმღერა უნდა წამოეწყოთ, ან ცხენები გაეჯირითებინათ ოფოფივით აჭრელებულ ველზე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაბედა, ვერც სიმღერა და ვერც ცხენის გაჯირითება, რადგან თვითეულმა მათგანმა კარგად იცოდა, რომ ასეთი სიმღერა და ჯირითი შესაძლებელია სიკვდილის, ან ტყვეობის ფასად დასჯდომოდა. ისევ იმ წესით მიჰყვნენ ურემს რა წესითაც აქამდე მოსდევდნენ — ყურდაცქვეტილნი, თვალგაბასრულნი და დამუნჯებულნი... მგზავრები თანდათან უახლოვდებოდნენ ივრის ხეობას.

უცებ გაისმა მეურმის შეშფოთებული ხმა: — ხიი, ოო!

ურემი შესდგა. ირგვლივ შემორტყმული მხედრებიც ერთ ადგილზე გაქვავდნენ. ურემში მყოფი დედა-შვილიც გულგახეთქილნი და სასაზე ენამიკრულნი გაჰყურებდნენ ქურანას, რომელიც მათკენ მოჰქროდა და გზაზე მტკვრის კორიანტელს აყენებდა. მხედარს ქუდი მოეხადნა და გამალებით იქნევდა ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნუ მოდიხართ, შეჩერდითო!..

ისინი ყრუ მინდვრის გზიდან უკვე შარა გზაზე გასულიყვნენ, რომელიც მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირს გასდევდა და წარმოადგენდა, როგორც ცხვრისა და საქონლის მთის გზას, ასევე

მთლიანად კახეთისა და თბილისის დამაკავშირებელ გზასაც. მხარმარცხნივ, ცხენის ერთი გაჭენების მანძილზე მდინარე იორი მოჩანდა, მაგრამ ამ ადგილებში მის ფლატეებიან ნაპირს ურემი ვერ დასძლევდა, ფონამდე კი სადღაც ქვემოთ, ამ შარა გზით მივიდოდნენ: მანძილი იქამდე ერთი საათის სავალი კიდევაც იქნებოდა. ირგვლივ ტრიალი მინდვრები ერტყათ, მხარმარცხნივ მდინარის რიყიანი ნაპირი თეთრად ქათქათებდა, მხარმარჯვნივ კი დაცემულ ტრამალების ერთიანი ვაკობი. ახლო-მახლო არსად არც ბორცვი იყო, არც გორაკი, არც სერი და არც ძეძვ-ჯაგნარი. ასეთ პირობებში ადამიანი და საქონელი კი არა, ბუზანკალიც ვერ დაიმალებოდა ვერსად და სწორედ ამან დასცათ შიშის თავზარი, რადგან უკან გამობრუნებული მზვერავის ქუდის ქნევა ცუდ ნიშნად მიიღეს.

— რაღაც ავსა და ბოროტს გადავეკიდენით! — ძლივს ამოიხავლა მეურმემ.

— მგონია ვიღუპებით, თუ რაღაცა არ ვიღონეთ! — დაუდასტურა ყველაზე ხნიერმა მხედარმა.

— ურემი გზიდან გადავაყენოთ, პირდაპირ ნუ შევეჩეხებით!—აჩქარდა ხალდაკრულ ცხენის პატრონი.

— ჯერ მოვიდეს რას იტყვის, ათი, თუნდ ოცი, ვერაფერს დაგვაკლებს! — თქვა მხარბეჭგანიერმა მხედარმა. ქალებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგან ხიფათში გულოვან ვაჟკაცის სიტყვა, ციხეკოშკზე მეტად ფასობს... ქურანა კი საგრძნობლად მოახლოვდა. ახლა უკვე კარგად მოჩანდა მხედარიც და ცხენიც. მალე ამ მხედრის სასოწარკვეთილების, თუ შიშისაგან თავზარდაცემულის კივილიც გაიგონეს:

— ლეკები! ლეკები!

ამას ელოდნენ, მაგრამ ჭაბუკის ხმა იმდენად შემზარავი იყო, რომ ერთ წუთს ქვად იქცნენ. ძარღვებში სისხლი გაუშრათ, პირში კი ნერწყვი. კრინტის დაძვრა ვერც ერთმა ვერ შესძლო. მზვერავი კი მოჰქროდა და მოჰკიოდა:

— ლეკები! თავს უშველეთ, ლეკები!

ახლა ყველამ, თვით დახუთულმა დედაბერმაც გაიგონა, რასაც სულმოუთქმელად გაჰკიოდა ჭაბუკი. მთელი ტანით აცახცახებული ელვარა დედას მიჰკროდა და დაფეთებულ მშვენიერ თვალებს ხან ერთ მხედარს მიაპყრობდა, ხან მეორეს.

ყველა ჭაბუკ მზვერავს გაჰყურებდა თვალგაშტერებული, ადგილზე გაქვავებული და სუნთქვაშეკრული. ის კი მოჰქროდა და თან ერთსა და იმავეს მოჰკიოდა:

— ლეკები, თავს უშველეთ, ლეკები!

შემზარავი, შემაძრწუნებელი ხმა იყო, თითქოს კლდენი ირყევიან, იქცევიან და ქვეშ არ მოჰყვეთო! თითქოს ზღვები გადმოხეთქილან და არ გაგიტაცოთო! თითქოს მიწა გახეთქილა და შიგ არ ჩაცვივდეთო! თითქოს თვითონ სიკვდილი ამედევნა და ნუღარაფრის იმედი ნუ გაქვთო!..

მართლაც რომ შავი და ავბედითი დრო იყო. ლეკი, ქართველი კაცისათვის, ნიშნავდა: უსაზღვრო ტანჯვას და წამებას, ნიშნავდა ტყვეობას, დამცირებას, შეურაცხყოფას; ნიშნავდა ნელ სიკვდილს, ხანგრძლივ გვემას! ნიშნავდა ნივთად ქცევას, საქონელივით გაყიდვას, სამშობლოს დაკარგვას, სიხარულისა და ბედნიერების გზების დახშობას, მშობლიურ გარემოცვის დავიწყებას! ნიშნავდა ისეთ ყოფას, როდესაც ადამიანს ერთადერთ ბედნიერებად სიკვდილი მიაჩნია!

ჭაბუკმა ცხენი ყევრის ხარებს ზედ მიაგდო:

— ჩქარა იღონეთ რამე, თავს უშველეთ! — შეჰყვირა მან ქლოშინით.

— ბევრნი არიან? — უცებ შეეკითხა მხარბეჭგანიერი.

— ვერ მოვერევით! — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ზვიადამ და თვალი თვალში გაუყარა.

— ვაი, დედასა, თუ ბევრნი არიან, მაშ ვიღაც დიდი ბელადი მოუძღვით! — ამოიგმინა მეურმემ.

— სწორედ მაგით მივხვდი, რომ ბევრნი არიან, დიდი ბელადი ყოველთვის თეთრ ცხენზე ზისო, ასე გამიგონია!

— წუნკალი ძაღლები, ასზე მეტნი ყოფილან! დიდი ბელადი ნაკლებს არასოდეს არ იახლებს თან! — კბილების კრაჭუნით წამოიძახა ახალგაზრდა მხედარმა. ამ ცნობამ ყველა სულიერად დასცა, ერთმანეთს უმწეოდ გადაჰხედეს და ლამის ცრემლები გადმოჰყარეს.

— რა ღმერთი გიწყრებათ? — გულოვნად შეჰყვირა მხარბეჭგანიერმა. — შეშინდით? ენა დაგებათ? განა ამისათვის არ წამოხვედით? განა ეს ხმალი და ეს შუბი ლეკების გასაჟლეტად არ ავიღეთ ხელში? ახლა ხელის გაუნძრევლად დავნებდეთ, რომ სტამბოლის ბაზარზე ამოვყოთ თავი? ფუი, თქვენს ვაჟკაცობას! მე კი ლაჩრულ სიცოცხლეს, გმირული სიკვდილი მირჩევნია!

— მეც! — წამოიძახა ახალგაზრდამ და ხმალი იშიშვლა.

— მეც! — ბანი მისცა ხანშიშესულმაც და შუბი მოიმარჯვა.

— მეც! — დაიგრგვინა მეურმემაც, და კოფასა და ჭალს შუა ჩაჭედილი ცული ამოაძრო.

— მეც! მეც! — გაისმა ყოველ მხრიდან და ამას მოჰყვა იარაღის ჟღარუნი, ცხენების ტრიალი ადგილზე და ქალების ქვითინი.

— მოიცათ! — კვლავ იკივლა მხარბეჭგანიერმა. — მე არასოდეს არ მდომნია და არც ახლა მინდა სიკვდილი — სიკვდილისათვის! ჩემი სიცოცხლე მე მინდა შევწირო დიდ საქმეს, დიდ ამბავს, ხოლო ამის მომქმედი ჭკუასაც დაეკითხება, მარტო მკლავს არ დაეყრდნობა! ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ, ავწონ-დავწონოთ და გადავწყვიტოთ: რა გავაკეთოთ ისეთი, რომ ავაზაკთა სიკვდილი ეამრავლოთ, ხოლო ჩვენი სიცოცხლე, რაც შეიძლება ძვირად გავყიდოთ!

— შენ დაიწყე და შენვე თქვი პირველმა! — გაამხნევა მეურმემ:

— თქვი! თქვი! — მოუწოდა ყველამ.

მხარბეჭგანიერი ვიდრე რამეს იტყოდა, მზვერავს მიუბრუნდა:

— ზვიად, სად დაინახე ავაზაკთა ბრბო, შორს არიან?

— როგორც კი გამოვიდნენ ყორუღის ტყიდან და ცხენები ფონისკენ დასძრეს, მე, უმალვე თქვენსკენ გამოვიქეცი. იორს უკვე გამოვიდოდნენ. აგეო ის გრძელი გორა გვეფარება, თორემ თეთრი ცხენი აქედანაც გამოჩნდებოდა!

— მაშ ცოტაოდენი დრო ჯერ კიდევ გვქონია, ვიფიქროთ და შეიძლება ხსნის გზა გამოვნახოთ. ყველაზე წინ ურემი უნდა მოვაფაროთ თვალს და ისიც ისე, რომ ვეღარც ჩვენ ვხედავდეთ და ვერც მტერმა დაინახოს!

— ეს ოხერი ერთი ბეწო საფარი არსად არაფერი მოჩანს, თითქოს სინზე ვიდგეთ! — აღმოხდა თმაჭაღარა გლეხს.

— ურემი გზიდან უნდა გადავიდეს, ფლატე იქნება, ღრე თუ რიყე, ყველაფერს უნდა სძლიოს და იორს გაღმა გავიდეს, მანამდე, ვიდრე ჩვენ მტერს შევაკვდებით. „ლომა“ და „სავარცხელა“, როგორც არ უნდა ადიდებული იყოს იორი, დასძრავენ, გაიტანენ! გაღმა კი ჰხედავთ? ჭალებია, ადვილად მოეფარებიან თვალს! — თქვა მხარბეჭგანიერმა და მეურმეს მიუბრუნდა. — ბიძაჩემო, შენს საქმეს მიჰხედე, ნუღარ დაგვაგვიანებ!

— ახლა თქვენთვის ერთი კაცი მთელ ლაშქრად ღირს, — წყენით მიუგო მეურმემ. — სადაც თქვენი ძვლები ჩაიყრება, ჩემიც იქ უნდა იყოს! — დაასრულა მან მტკიცე ხმით და მარჯვენათი რომ ცული შეიქნია მაღლა, მარცხენათი კიდევ სახრე და შოლტი შეათამაშა.

— არ ივარგებს, ბიძაჩემო! ახლა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ქალების გადარჩენაა, იორში შენს მეტი ვერავინ გაიყვანს ურემს!

— მერედა, მე აქ რას ვაკეთებ? ჩემი შვილების სიცოცხლისათვის, მე იორსაც შევებმი და ჯოჯოხეთსაც!

ყველამ გაოცებით აჰხედა ურმის წინა კოფაზე გადმომდგარ თეთრ-წითლად მოღაჟღაჟე დედაკაცს. შუბლშეჭმუხვნილს და წარბებშეკრულს თვალები მრისხანედ უელავდა, მოშავო მო-

სახვევის წვერები, კისერთან, თმებქვეშ შეეკვანძა, რომ მოძრაობაში ხელი არ შეშლოდა და მუქი მწვანე კაბის სახელურებიც ისე დაეკაპიწებინა, როგორც ეს იცოდა ხახვის კვლების მარგვლის, ან ცომის ზელვის დროს.

— შენ გენაცვალე, ძალო! ამირანის ძალა ჩამიდგი მკლავებში! — აღფრთოვანებით შესძახა მხარბეჭგანიერმა. თითქოს ამის საპასუხოდო, დედამ მარცხენა ხელი წინა ჭალს მოსდო, გადაიხარა, მეურმეს, მარჯვენით, ხელიდან წაჰგლიჯა სახრეც, შოლტიც, ისევ წელში გასწორდა და მკაფიო ხმით განაცხადა:

— დრო აღარ ითმენს, ყველამ თავის საქმეს მიჰხედოს! ჩვენზე ნურც იფიქრებთ; თუ ჩვენამდეც მოაღწიეს წუნკალმა ლეკებმა, მე გავაგებინებ თუ რა ძალა შესწევს გუთნისდედებისა და მწყემსების ოჯახში აღზრდილ ქალს! — იგი მისწვდა ზეწარსა და ჭალებში ჩახლართულ შუბს ცქვიტად აჰკრა ხელი, ჰაერში შეათამაშა და თან უფრო მეტი რისხვით შეჰყვირა: — ვფიცავ, რაც კი საფიცარი გამაჩნია, რომ ჩემს შვილებს მაშინ მიაწვდენენ ხელს, როდესაც ჩემს გვამზე გადაივლიან!

დედის გმირულმა განცხადებამ ყველას მხნეობის ფრთები შეასხა.

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე! ქალიც შენ ყოფილხარ და დედაც! —ისე ერთხმად და ერთპირად აღმოხდა ყველას, კაცს ეგონებოდა გაზეპირებულს იმეორებენო.

— ჩემი სიკვდილი! — უცებ კილო იცვალა დედამ, როდესაც შუბი ისევ თავის ადგილზე დააბრუნა. — ადამიანის ფერი აღარ გაძევს, გული ხომ არ გისკდება, შვილო?

— არა! არა, დედა! — ნაძალადევი მხნეობით მიუგო ელვარამ. — ოღონდ ნურც ჩემიანის და ნურც მტრის სისხლს დამანახვებ და იორში კი არა, გნებავს კლდეზე გადამაგდე!

— ზვიად, შვილო! — ახლა ჭაბუკს მიუბრუნდა დედა. — მოდი, ერთხელ კიდევ გადაეხვიე შენი სიცოცხლის მომნიჭებელს... ვაი, ჩემს ყოფას! ნუთუ იმიტომ გიმღეროდი ნანას, რომ ასე უდროოდ მოგეჭამა წუთისოფელი?

ზვიადმა ცხენი ურემს მიაგდო, უზანგებზე შესდგა, გადაიხარა და ქვითინით მიეტმასნა თავის აღმზრდელ ძუძუებს. დედამ გაშმაგებით დაუკოცნა ხშირი ქოჩორი, ტუჩები, ლოყები და ბოლოს მის ყელს ისე დააკვდა, თითქოს კოტოშად იქცაო...

ვაჰ, ბედო, ავბედო! რა დრო იყო? თუ დედა მსხვერპლად არ შეეწირებოდა, შვილი ვერ გადარჩებოდა, მაგრამ ხდებოდა უარესიც: თუ შვილი არ მოკვდებოდა, დედა ვერ გადარჩებოდა!

როდესაც დედამ გული იჯერა, ახლა ურმის ჭალებს შუა გადმომდგარი ელვარა ჩაეკრა ძმას ქვითინით. იგი თან ჰკოცნიდა ჭაბუკს და თან აცახცახებული ყურში ჩასჩურჩულებდა:

— ზვიად, საყვარელო ძმაო, თუ შენ დაიღუპე და მე გადავრჩი, ვფიცავ შენს სახელს, დედოფლადაც რომ დამსვან მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დაგივიწყებ, არასოდეს დღევანდელ დღეს თვალზე ცრემლს არ შევიშრობ!—ეუბნებოდა იგი და თან ცხარე ცრემლს აფრქვევდა.

— მე კი მკვდარსაც მეყვარები, ელვარ!—მიუგო ძმამაც ჩურჩულით.

მძიმე, ძალზე ამაღელვებელი წუთები იყო, დედა-შვილნი ერთმანეთს სამუდამოდ ეთხოვებოდნენ და ვაჟკაცებიც კი კრინტს ვეღარ ძრავდნენ. ყველა შეეპყრო რაღაც იდუმალ შემაძრწუნებელ განწყობილებას, მხოლოდ მოხუცი, დახუთული დედაბერი ჩასჭიდებოდა წყალწაღებულის ხავსს — რელიგიურ აღტყინებას. იგი სარეცელზე წამოჩოქილიყო, დამჭკნარი ხელები ცისკენ აღეპყრო და ერთთავად ტუჩებს ატოკებდა, უხილავს და უზენაესს შესთხოვდა ხსნას. მის ირგვლივ რა ხდებოდა აღარაფერი გაეგებოდა, აღარც პატარა შვილიშვილი აგონდებოდა და აღარც გამომშვიდობება.

ერთხანს ყველას წარსტაცა გონიერება დედის ალერსმა და დის ქვითინმა. გამომშვიდობება ჭიანურდებოდა და მხარბეჭგანიერმა ვეღარ მოითმინა:

— ნუ გავიწყდებათ, რომ მტერი მოდის, გვიახლოვდება, ერთმანეთის სიყვარულს კი არა, სიცოცხლესაც დაგავიწყებენ! — თქვა მან თუმც მორიდებით, მაგრამ აშკარა საყვედურით. მტრის ხსენებამ ყველაზე წინ დედას დაუბრუნა გონიერება.

— კმარა, შვილებო! — გამოაფხიზლა ისინი ნაძალადევი მხნეობით. — ვინც ხიფათში დროს ანგარიშს არ უწევს, ის სიკვდილს გამარჯვებას სთავაზობს! აბა, ახლა კი — მიუბრუნდა იგი ყველას. — გამარჯვებით გევლოთ, რომ ჩვენც ნუგეში არ მოგვკლებოდეს! — მან სახრე მოიმარჯვა, მაგრამ კვლავ შესდგა, კვლავ გადაჰხედა თავის მახლობელთ და უცებ ღაღადისით აღმოხდა: — ჩემო სათაყვანებელნო, ჩემი ზვიადას სიცოცხლეს თქვენ გაბარებთ, თუ შესაძლებელი იქნება აშკარად ხმლის ქვეშ ნუ დააყენებთ! ეს-ეს არის ფრთას შლის, მისი ძვლები მზის სხივებს ჯერ რიგზე არც კი გაუთბია! — უზომო მწუხარებით შეემუდარა ყველას და ახლა ჭაბუკს მიუბრუნდა, — შვილო, თუ დედის სიცოცხლე რამედ გიღირს, შენ თვითონაც გაფრთხილდი! ნუ დაივიწყებ ყველაზე მთავარს: სიკვდილს უნდა ვებრძოლოთ და არა ვეთამაშოთ! „ფრთვეი“ კამეჩო. „ჰამ“, ხარო! — პასუხს აღარ დაუცადა, კამეჩს სახრე გადაჰკრა, ხარებს შოლტი გაუტყლაშუნა და ურემი, როგორც კარგად გამოცდილმა მეურმემ, მდინარისაკენ შეაბრუნა, ორ ჭალს შუა გადმომდგარი უმშვენიერესი ქალი — მდუღარებას აფრქვევდა, ხოლო კვლავ დაჩოქილი და ცისკენ ხელებაპყრობილი დედაბერი ცას შეჰღაღადებდა ხსნას...

საკვირველი იყო, ნამდვილად საოცარი: იმის მაგიერ რომ დედას საკუთარი შვილის და ისიც სრულიად ნორჩი ჭაბუკის გადარჩენაზე ეფიქრა, თვითონვე ულოცავდა გზას ხიფათისა და სიკვდილისაკენ! თვითონვე ცდილობდა, რომ შვილი სისხლისმღვრელ ბრძოლის მონაწილე ყოფილიყო...

ვინც იმდროინდელ საქართველოს ცხოვრებას ჩაუკვირდება — და, მით უმეტეს, შეისწავლის ლეკიანობის არსსა და ბუნებას, ის დაგვეთანხმება, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩვენ ძალიან პატარა ხალხი ვიყავით და ძალიან ბევრი მტერი გვიქადდა აღგვას დედამიწის ზურგიდან. რა გადაგვარჩენდა, თუ არა დედის მხნეობა და ვაჟკაცის გმირობა? დრო იყო ისეთი სასტიკი და დაუნდობელი, რომ თუ დედა ყველაზე საყვარელს არ გასწირავდა და თავის გულს არ ამოიგლეჯდა, მაშინ მის სამშობლოს, მის ხალხს და მის ქვეყანას, მთლიანად მოგლეჯდნენ და მოთხრიდნენ. ამ შემთხვევაშიც იგივე ხდებოდა, რაც ყოველთვის და ერთხელ კიდევ ნათელს ხდიდა უდიდეს სიბრძნეს: გმირს შობს ხალხი, მხოლოდ გაჭირვებაში!

როდესაც ურემი თავის გზას დაადგა, ვაჟკაცებმა სამხედრო თათბირი განაგრძეს.

— სიკვდილს ვერ გავექცევით, მაგრამ ვერც დამბლად დავეცემით, თქვით როგორ მივიდეთ? — იკითხა წარბშეჭმუხვნით მეურმემ.

— ის უნდა გავაკეთოთ, რასაც კოტორაშვილი აკეთებს! — მიუგო ხალდაკრულ ცხენზე მჯდომმა ვაჟკაცმა.— იმას ხშირად უთქვამს: მტრის სიმრავლეს მხოლოდ გმირობით სძლევენო!

— და ისიც, ისეთი გმირობით, როგორსაც ჩვენი წინაპრები გვასწავლიან! — დაუმატა მხარბეჭგანიერმა.

— მერედა, რას გვასწავლიან? — მოუთმენლად აღმოხდა თითქმის ყველას.

— ზვიად, თვალი არ მოაშორო გზას, როგორც კი გამოჩნდებიან უმალვე გვაცნობე! — როდესაც ჭაბუკი თავისი ცხენით ჯგუფს გამოეყო და ოდნავ წინ წადგა, მხარბეჭგანიერმა განაგრძო: — იმას გვასწავლიან, რომ მტრის რაზმს ჯერ თავი უნდა წასჭრა და შემდეგ დაიცხრე, როგორც ქორი წიწილას. ყველაზე წინ ჩვენ უნდა მოვსპოთ მათი ბელადი, ამიტომ რაკი ისინი ჩვენსკენ მოდიან, ჩვენც იმათკენ უნდა წავიდეთ, რომ პირისპირ შევეჯახოთ. თავი უნდა

მოვაჩვენოთ უწყინარ მგზავრებად, როდესაც სულ ახლოს მივალთ ერთმანეთთან, უცებ მოულოდნელად, ელვის სისწრაფით უნდა ვიშიშვლოთ ხმლები და ისე დავკრათ — უმალვე თავზარი დაეცეთ. პირველ რიგში ბელადი უნდა მოვკლათ-მეთქი და ამას ვკისრულობ მე!

—არ მიგიშვებენ!

— როგორც კი დაგვინახავენ მაშინვე მგლის ხროვასავით წამოიშლებიან, ზოგი თავს დაგვივლის, ზოგი გვერდიდან დაგვკრავს, ზოგი უკანიდან დაგვცხებს, ბელადზე ფიქრის დროს არც მოგვცემენ! — გადაჭრით განაცხადა შუახნის ვაჟკაცმა.

— არა მგონია! რაკი დაგვინახავენ, რომ იმათკენ მივდივართ, შესდგებიან, დაგველოდებიან, რომ ერთი ხელის მოსმით შეგვბოჭონ. ჩვენ სწორედ ამით უნდა ვისარგებლოთ. უცებ ცეცხლივით უნდა ვიფეთქოთ და თავზარი დავცეთ! ვაი, დედასა! —გმინვით შეწყვიტა სათქმელი მხარბეჭგანიერმა და დანანებით განაგრძო. — ნაღდად სიკვდილის ბრჭყალებში ვართ. სხვა პირობებში უკეთესი შეგვეძლო მოგვეფიქრებინა, მაგრამ ახლა მეტი რა ღონე გვაქვს? მიიხედ-მოიხედეთ: მდინარის გაშლილ ნაპირზე, ტრიალ მინდორში ვხვდებით მტერს! ერთადერთი ის-ღა დაგვრჩენია, რომ რაც შეიძლება ძვირად დავუსვათ ჩვენი სიცოცხლე, რაც შეიძლება ვანანოთ ავაზაკებს. ჩვენს მადლიან მიწა-წყალზე ფეხის დადგმა.

— სერს უკან მტვერი ავარდა! — უცებ გაისმა ჭაბუკი მზვერავის ხმა.

ყველამ იქით გაიხედა, საითაც ბიჭი იშვერდა ხელს. კარგა მოშორებით, ქვემოთ, გრძელი გორა მოჩანდა, რომელიც შევიწროებული კიდეებით მდინარის სანაპიროს აწყდებოდა. გზა სწორედ აქეთკენ მიდიოდა, ამ გორას სალტედ ევლებოდა და შემდეგ გრძელდებოდა, ალბათ დაუსრულებლად.

— ეგ მტვერი მტრის მოახლოვების ნიშანია, საცაა გზაზე გამოჩნდებიან, დაგვინახავენ! — წამოიძახა მეურმემ.

— მართალი ხარ, საცაა გამოჩნდებიან! ჩვენ კი, თუ ბრძოლაა, სჯობია ამ ადგილიდან, რაც შეიძლება ადრე შევებრძოლოთ, ურემს და ურემში მყოფთ საფრთხეს ავაცდენთ. იქნებ მოასწრონ იორში გასვლა, ვიდრე ავაზაკები შეამჩნევდნენ! — თქვა მხარბეჭგანიერმა, უზანგებზე აღიმართა და გულოვანი ვაჟკაცის ხმით შეჰყვირა:— ყველამ თავის ადგილი იცოდეს, ბრძოლაში წყობა და წესრიგი გამარჯვების საწინდარია! — შენ — მიუბრუნდა იგი მეურმეს. — ქვეითად ხარ და შენი ცულით უკან მოგვყვები, ზურგს გაგვიმაგრებ! ხოლო შენ კი, ზვიად, კარგად დაიხსომე: ანდერძს გეუბნები, სულ უკან მოგვყვები, არავითარ შემთხვევაში ბრძოლაში არ ჩაებმევი!

— რომ ვინმეს გაგიჭირდეთ, როგორ მოვითმინო? — შეაწყვეტინა ჭაბუკმა. — ხომ ლაჩრად ჩამთვლიან?

— უნდა მოითმინო, ბალღო! — მკაცრად მიუგო მხარბეჭგანიერმა. — ჩვენ სიკვდილს ვეფალავნებით იმიტომ კი არა ,რომ დავიხოცნეთ და ამით დასრულდეს ჩვენი ავ-კარგი! არა! ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სიკვდილი სამაგალითოდ ჰქონდეს ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას! ჰოდა, რასაც ნახავ ამბავის წამღები შენ უნდა იყო. შენ უნდა აცნობო მეფესაც, ხალხსაც და ჩვენიანებსაც, თუ როგორ ლომგულებს ზრდის საქართველოს მიწა-წყალი! ჩვენი მაგალითი სხვებს გამოადგებათ იმისათვის, რომ ჩვენ თუ ავაზები ვიყავით, თავად ლომებად იქცნენ და წუნკალ ავაზაკებს მუსრი გაავლონ. რაკი ვიხოცებით, ჩვენ გვინდა გმირებად გვიხსენიებდნენ და არა უკვალოდ დაკარგულებად! ასე არ არის, ძმებო?

— ეგრეა, ეგრე! — როგორც ერთმა კაცმა ისე დაიგრგვინა ყველამ.

— ზვიად, კარგად დაიხსომე: რასაც სულის ამოსვლის წუთებში დაგავალებენ, ის გაუტეხელი და ყველაზე წმიდათა-წმიდაა!

— ვიცი, მივხვდი! — უპასუხა თავ-

ჩაღუნულმა ჭაბუკმა, აშკარად გაჯავრებულმა და ნაწყენმა.

— რაკი მიხვდი, მაშინ ერთიც დაიხსომე: ჩვენ ახლა სიცოცხლეს ვწირავთ დედებს, რომ ვაჟკაცები კიდევაც დაზარდონ. ჰოდა, როგორც კი დაინახავ, რომ უკანასკნელი ჩვენთაგანი დაეცა, შენ უმალვე გაქუსლავ ივრისაკენ, ფლატე იქნება, ღრანტე თუ კლდე, წყალში გადავარდები, გასცურავ, ჭალებს შეერევი და სოფელში ახვალ, რომ ჩვენი ამბავიც შეატყობინო ხალხს და მდევარიც დაადევნო ავაზაკებს! გესმის თუ არა, ბიჭო? შენ უფრო ვაჟკაცური დავალება გეძლევა, ვიდრე ხმლის ქნევა და ისრის სროლაა! თუ ვინიცობაა ჩვენს დახოცვამდე შენს შესაპყრობად დაიძრნენ, ნუღარ დაგვიცდი, გაქუსლე, გაიქეცი! ხმა ამოიღე, დუმილის დრო მერე გამონახე!

— მესმის! — კვლავ უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა ჭაბუკმა.

— ასე: ახლა კი ძმებო! — უკანასკნელად კიდევ მიმართა ირგვლივ მყოფთ მხარბეჭგანიერმა, — ვეზიაროთ და ერთმანეთს გამოვემშვიდობოთ! ჩამოხტით! — ბრძანა და თვითონ პირველი გადმოხტა ცხენიდან. ყველა თვალის დახამხამებაში მიწაზე გაჩნდა. მხარბეჭგანიერმა ქუდი მოიხადა, მუხლებზე დაეცა, მარჯვენა ხელის სალოკი და შუათითი ერთმანეთს შეტყუპებული მიწას გაუსვა, ალოკა, შემდეგ პირჯვარი გადაიწერა და ზეცას აჰხედა — „ღმერთო შენ იყავ ჩვენი მფარველიო!“ — შეჰღაღადა ცას.

ყველამ მას მიბაძა, ყველამ მიწა ალოკა, პირჯვარი გადაიწერა, ცას შეჰღაღადა: — „ღმერთო, შენ იყავ ჩვენი შემწე და მფარველიო“ და იარაღის ყღარუნით მთელი რაზმი ფეხზე წამოდგა. წამოდგა და ყველა ცალ-ცალკე ერთმანეთს გადაეხვივნენ ჩურჩულით: „შემინდე და შემიწყალე, თუ რამ ავი მოგაგონდებოდეს ჩემგანო“ და ისევ ცხენებს მოახტნენ, ხმალ-ხანჯალი, მშვილდი თუ შუბი, ერთხელ კიდევ მოსინჯეს, რომ მარჯვეთ ჰქონოდათ და მხარბეჭგანიერიანის ხელის აქნევაზე — მომყევითო, დაიძრნენ. ახლა ისინი ყველანაირად მზად იყვნენ სიკვდილისათვის, მიწის ალოკვით ეზიარნენ, ხოლო კოცნით ერთმანეთს გამოემშვიდობნენ!

არავითარი მიკიბ-მოკიბვა, პირდაპირ შარა გზას გაჰყვნენ. სულ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, რომ მდინარე იორის ნაპირზე, გრძელი გორაკის გასწვრივ, თეთრი ცხენი გამოგოგმანდა და ერთი ამოსუნთქვის ჟამს. შარა გზა ცხენოსნებით აივსო, რაც უფრო დასტას და ჯარს ჰგავდა, ვიდრე ავაზაკთა ბრბოს...

მანძილი მათ შორის აღარც ისე დიდი იყო, მაგრამ ამ მხედართა ორ ჯგუფს შორის კი განსხვავება ძალზე თვალსაჩინო გახლდათ. წყლის მდინარების მიხედვით — ლეკები მოდიოდნენ ქვემოდან, ქართველები კი ზემოდან. ლეკები დღიური მიწის სიგრძეზე გაჭიმულიყვნენ, ქართველები კი ირმის ერთი ნახტომის მანძილზე. თავიანთ სიმცირე რომ იგრძნეს, ქართველებს გული შეუტოკდათ, ერთმანეთს გადაჰხედეს, შემდეგ ცისკენ აღაპყრეს თვალები და ღრმა გრძნობით და სასოებით წარმოსთქვეს:

— ღმერთო, შენ გადმოგვხედე! ღმერთო შენ იყავ ჩვენი მფარველი!

— შემართებით! გულოვნად! ნამდვილად გმირულად, ეს-ღაა ჩვენი მხსნელი, ძმებო! — უკანასკნელად კიდევ გაამხნევა თავისიანები მხარბეჭგანიერმა და მომავალ თეთრ ცხენოსანს თვალით დააკვდა, რადგან ეჭვიც კი არ შეჰპარვია, რომ ყაჩაღთა რაზმის ბელადი სწორედ ის იყო.

— საკვირველია, რომ ლეკებს — ლეკობა დავიწყებიათ! — მოწოდების საპასუხოდ მიუგო ლურჯაზე მჯდომმა შუახნის ვაჟკაცმა. — ჩვენსკენ რატომ არ გამოიქცნენ მგლის ხროვასავით?

— იმათკენ მივდივართ მორჩილად და იმიტომ! ხომ გითხარით მიგვიშვებენ მეთქი, ეს კარგი ნიშანია! — შვებით ამოისუნთქა მხარბეჭიანმა და ამით ერთხელ კიდევ გაამხნევა თავისიანები.

— მე სხვა მიკვირს, ძმებო, — წამოიძახა ხალდაკრულ ცხენზე მჯდომმა. — როდესაც ლეკების მთავარი ძალა შარაზე მოდის, მისი ერთი ნაწილი გაფანტულად მოსდევს მთა-გორაკ-ბორცვებზე გადავლით, ყველას და ყველაფერს ზვერავენ, რაზედაც კი თვალი მიუწვდებათ, რომ რაიმე დავლა არ გამოეპაროთ. აბა, გაიხედეთ, ასეთ მზვერავებს ხედავთ სადმე? მოიცათ, მღერიან კიდეც!

— არავინა ჩანს, მართლაც რომ საკვირველია! — დაუდასტურა რამდენიმემ.

ქვემოდან და ზემოდან მომავალ რაზმს შორის მანძილი თანდათან ილეოდა. ახლა იმდენად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ თვითეული მხედარი გარკვეულად ჩანდა. ჩანდა აგრეთვე მათი შეიარაღება-აღკაზმულობაც. ქართველთა რაზმი იმით იყო გატაცებული რომ, რაც შეიძლება ქალებისაგან შორს შებმოდნენ ლეკებს, ხოლო თვითონ ლეკები, მათ მიმართ, არავითარ აღგზნებას არ იჩენდნენ. ქართველების რაზმმა ეს გარემოება უფრო საშიშრად ჩათვალა, ვიდრე პირისპირ შებმა. იფიქრეს რაღაც სამხედრო ხრიკიაო და თვალი და ყური გაიმახვილეს. საჭირო იყო, რაღაც ახალი ღონისძიების დასახვა, ვითარების კარგად აწონ-დაწონვა და ისე შებმა. როდესაც ასეთი მოთათბირების გარდუვალობას მიხვდა, მხარბეჭგანიერმა ხელი აიქნია.

— მოიცათ, რაღაც უფრო უარესი გველის, ვიდრე სიკვდილია! — მისმა შემაძრწუნებელმა კილომ ყველა ერთ ადგილზე გააქვავა. ცხენები მიწიდან ამოზიდულ ქანდაკებებს დაემსგავსნენ. ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, კალიების ფრენის ხმაც კი გაისმოდა. ერთბაშად მათ ყურებამდე ნიავმა მოიტანა ვაჟკაცურ-ომახიანი სიმღერის ხმა და ამან მთლად დაუფანტათ ჭკვა და გონება. წინ ნაბიჯი ვეღარ გადაედგათ. როდესაც კარგად დააკვირდნენ, მაშინ მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. ქვემოდან მომავალი რაზმი წარმოადგენდა მსუბუქად შეიარაღებულ ავაზაკთა ბრბოს კი არა, არამედ მძიმედ შეიარაღებულ ჯარს. ჯერ გაოცდნენ, ეხა სასაზე მიეკრათ, შემდეგ კი ერთი მეორის მიყოლვით გაისმა:

— ლეკები და შუბოსნები?

— ლეკები და რკინის აბჯარი?

— ლეკი მძარცველი, ყაჩაღი და სიმღერა?

თავიანთ თავს ეკითხებოდნენ თუ სხვას აღარაფერი გაიგებოდა. სიმღერის კილოც ძალიან კარგად ენიშნათ, მაგრამ არ შეეძლოთ თავიანთ ეჭვების ხმამაღლა გამოთქმა, რადგან იმ ბედუკუღმართ დროში, ადამიანები, სიკვდილს და ათასნაირ უბედურებას ფეხის ყოველ ნაბიჯზე და ყოველ წუთს ელოდნენ, ხოლო ანაზდად მოხეთქილ ბედნიერებას კი არსად და არასოდეს!

როდესაც მძიმედ შეიარაღებული რაზმი ასიოდე ნაბიჯზე მოახლოვდა, წინამძღოლმა მხარბეჭგანიერმა აშკარად დაინახა, რომ თეთრ ცხენზე მჯდომმა მხედარმა გვერდზე მყოფს, რაღაც უბრძანა, ან სთხოვა. მან ქუსლი ამოჭკრა ცხენს, ადგილს მოსწყვიტა და წინ წამოხრილი შუბით მათკენ წამოვიდა. მხედარი ისე მოჰქროდა, თითქოს შავი კლდის ნაგლეჯს ფეხი აუდგამსო. მის ბუმბერაზ აღნაგობას ერთი-ორად შემზარავს ჰხდიდა, მისი აღკაზმულობა და ტანსაცმელი. რკინის ჯავშანი ეცვა, თითბრის მუზარადი ეხურა, ხმალ-ხანჯალიც ტანის შესაფერისი ეკიდა, ხოლო ზურგს უკან მოუჩანდა არა მარტო ფარი, არამედ მხარიღლივ გადაკიდებული ვეებერთელა კაჟიანი თოფიც, რომლის ლულაც, ამჟამად, ცას შეჰყურებდა. დიდი, ბრტყელი სახე ჰქონდა, მზისგან შეწითლებულ-შეფაკლებული. გრძელი, ოდნავ შეთეთრებული ულვაშები ნიკაპამდე სწვდებოდა, ხოლო შავი ბდღვრიალა თვალებიდან მრისხანებას აკვესებდა. როდესაც სულ ახლოს მოვიდა, ლაგამის ტოტებს ისე მძლავრად მოსწია, რომ ცხენს კისერი ქარ-

თულ „ი“-ს დაუმსგავსა და ერთ ადგილზე მუხის ძირივით დაარჭო.

— ვინა ხართ? — იკითხა მკაცრი, ბოხი ხმით. — მტრის რისხვა, თუ მტერი იმა ქვეყნისა, რომლის მიწაზედაც დგახართ?

უცნობებს შორის ასეთი გადაკვრითი, თუ ქარაგმული ლაპარაკი იმ დროის წესი და ჩვევა იყო. ამიტომ დამხვდურნი არც გაკვირვებულან და არც დაბნეულან:

— მტრის რისხვა! მტრის რისხვა! — შეჰყვირა ყველამ ერთხმად.

— რად აყრილხართ, სად სახლდებით, რას ეგებით აქ? — კვლავ იკითხა მან. ეს დღევანდელი ენით ნიშნავს: საიდან მოდიხართ და სად მიხვალთ, რას აკეთებთ აქო?

მხარბეჭგანიერმა სწორედ ასე გაიგო და პასუხიც შესაფერისი მისცა:

— გვიმძიმს და ვისწრაფით ჭერსაფარისკენ!—ესე იგი: შფოთიანი მგზავრობა გვაქვს, მაგრამ ჩვენს სახლებისკენ მივდივართ, მივისწრაფითო....

— მსხვილი მარად ჟამს აჭარბებს წვრილს, გარნა მბრძანებელს ჩემსას, ამ ჟამად, ერჩიოს წვრილი, მოჰყე და მოჰკვეთე! — ეს კი ისეთი კილოთი თქვა მხედარმა, რომელიც ბრძანებაზეც მეტი იყო. ეს არც იყო გასაკვირველი, რადგან იგი მოითხოვდა: დაწვრილებით მომიყევით თქვენს ამბავს, ჩემს მბრძანებელს უნდა მოხსენდეს, მხოლოდ მოკლედ მოსჭერით, ზედმეტი არაფერი თქვათო.

მხარბეჭგანიერი ამასაც მიუხვდა და ერთი წუთიც არ დაუყოვნებია — ყველაფერი მოახსენა. საიდან მოდიოდნენ, ვინ მიჰყავდათ, როგორ შეადგინეს სოფელში თანმხლებთა ჯგუფი, როგორ მოაღწიეს მშობლიურ ველ-მინდვრებს და შემდეგ, რა შიში და ძრწოლა გამოიწვია თავზარდაცემულ მზვერავის ცნობამ. მან ურემიც დაანახვა, შიგ მსხდომი ქალებიც და თავიანთი გადაწყვეტილებაც მოახსენა: დედაწულთა გადასარჩენად ლეკებს პირისპირ უნდა შევბმოდით და შევკვდომოდითო.

ასეთი გმირული განცხადება, ეტყობა ძალიან ესიამოვნა მხედარს, რომ მის სახეზე ღიმილმა გადაირბინა. მან ცხენი განზე მიაყენა, გზა გახსნა და შუბის წინ გადაქნევით მომავალ ლაშქარზე ანიშნათ:

— თუ კი ჭეშმარიტს იტყვით, — თქვა მან. — მაშინ თაყვანი ეცით ქართლის დიდებულ მეფეს, ვახტანგ მეექვსეს, რომელიც კახეთიდან თბილისს მიემგზავრება. შაჰ-ჰუსენის დასტურით, მალე, დაღესტანი უნდა ავლაგმოთ. კახეთის სიმაგრეების დასათვალიერებლად ვიყავით, ალაზნის ნაპირებს ვამოწმებდით, რომ ჭარ-ბელაქნის ქართულ მიწა-წყალზე ლეკების სახსენებელი გავაქროთ!..

როგორც გაიელვოს და მეხის მოლოდინში ყველა ცოცხალ არსებამ სული გატვრინოს, ხოლო მეხის მაგიერ ციდან ტკბილი სიმღერის ხმა მოესმათ, ისეთი რამ მოხდა. სასიკვდილოდ მიდიოდნენ, უკვე ანდერძიც თქვეს, ეზიარნენ კიდეც — მშობლიურ მიწის ალოკვით, ერთმანეთსაც გამოემშვიდობნენ და, აი, უცებ, სიკვდილის მაგიერ — ბედნიერება მეფის ხილვისა. სიკვდილის მაგიერ, კვლავ სიცოცხლე და სიხარული! წარმოუდგენელი რამ მოხდა, აღარაფერი ესმოდათ, აღარაფერი გაეგებოდათ. ცხენებიდან ძირს ხტებოდნენ, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ქუდებს მაღლა ისროდნენ, „ვაშას“ გაჰკიოდნენ, ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ, ხან დავლურს უვლიდნენ, ხან იარაღს ათამაშებდნენ. წესი და რიგი მოითხოვდა მეფეს ჰხლებოდნენ და თაყვანი ეცათ, მაგრამ ესეც აღარ ესმოდათ...

მხედარმა ვერ იქნა და ვერ შესძლო მათი დაცხრომა, და გონზე მოყვანა. ვერც თავისი მრისხანე შეძახილებით და ვერც შუბის ტრიალით. ბოლოს ინანა — ასეთი სასიხარულო ამბავი, ასე უცებ არ უნდა მეთქვა, ხალხი დავაგიჟე, აქ აღარაფერი მესაქმებაო, ცხენი უკან მიაბრუნა და გაქუსლა, რომ მეფისათვის მოეხსენებინა, რაც მოხდა. მარტო ის კი არა, მეორე მხედარიც მოსწყდა ადგილს, ისიც უკან გაბრუნდა,

მხოლოდ მოპირდაპირე მხარეს, სხვებზე წინ ზვიადამ იმარჯვა: ივრის ნაპირისკენ თავ-პირის მტვრევით ცხენი რომ გააჭენა, მისი კივილის ხმა, ხმა სიხარულისა ველ-მინდვრებს მოეფინა:

— დედი, დაბრუნდი! საშიში არაფერია! ელვარ, დაო, სიხარული და ბედნიერება! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეძახოდა თავისიანებს ჭაბუკი და თან ქუდსა და მათრახს ხელში ათამაშებდა — უკნიდან წინ გადაქნევით, რითაც ანიშნებდათ — შარა გზაზე დაბრუნდითო...

იმდენად საოცარი ამბავი დატრიალდა შარა გზაზე, რომ მეფის ბრძანებით რაზმი შესდგა. ეს გიჟური აღტაცება ვინ იცის როდემდის გაგრძელდებოდა. რომ ისევ მხარბეჭგანიერს არ გამოეფხიზლებინა ყველა. მან შენიშნა მეფის რაზმის ერთ ადგილზე შეჩერება და უმალვე მიხვდა მთავარს და გადაუდებელს — თვითონ უნდა ხლებოდნენ მეფეს და არა მეფე მათ.

— შეჩერდით! — შეჰყვირა მან. — ჩვენ მირონცხებულ მეფის განსაკუთრებული პატივისცემა გვმართებს; უნდა ვეახლოთ და თაყვანი ვცეთ, როგორც ჩვენს მხსნელს და მაცოცხლებელს! — მხარბეჭგანიერმა ხელი აიქნია — მომყევითო, მაგრამ ისევ შესდგა, რადგან ზოგიერთი ცხენზე აპირებდა შეჯდომას. — ბრიყვებო, გაგონილა მეფის წინაშე ცხენდაცხენ წარდგომა? მიანებეთ თავი, არსად წავლენ!

ამ გონივრულ მოწოდებას ყველა დაემორჩილა. ცხენებს თავი მიანებეს და ფეხით მიჰყვნენ — წინ წასულს. როდესაც ათიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდნენ რაზმს, მეფისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად, ზედ შუაგზაზე, მუხლებზე დაეცნენ.

—არა ჯერ არს ვაჟკაცთათვის მონება ესე! — ვახტანგ მეფეს საშინლად სძულდა ყველა ეს მონური მლიქვნელობა. — თაყვანს უნდა ვცემდეთ მხოლოდ ღმერთს! — თქვა მან საყვედურით.

მეფის თაყვანისმცემლებმა თავები მაღლა ასწიეს და კვლავ დაჩოქილნი წელში გასწორდნენ. მეფის წყრომა—ამკარად იგრძნეს და ერთხანს—განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

მათ წინ იდგა სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, ხოლო უჩვეულო თავისი მეფური დიდებულებით. არასოდეს მეფე ასე ახლო და ისიც მათთან მოსაუბრე არ ენახათ და მათი გლეხური ბუნება ძრწოდა, ისევე როგორც ცრუმორწმუნე ძრწის რაიმე მოჩვენების წინაშე...

მეფე ვახტანგს, როგორც ბრძენ ადამიანს, კარგად ესმოდა, რაც ხდებოდა და ისიც ერთ ხანს დუმილით შეჰყურებდა მათ. გლეხები განცვიფრებულნი იყვნენ მეფის ძვირფასად ნაქედ იარაღით, თვალ-მარგალიტით შემკულ ხმალ-ხანჯლის ქარქაშებით, მოთეთრო-მონაცრისფერო ჩოხის მსუბუქი ფერებით, ოქროს ზარნიშდაკრულ მასრებით, რომელნიც ჩოხაზე, მკერდთან, ჯარისკაცებივით ჩამწკრივებოდნენ. მეფე სამგზავროდ იყო გამოწყობილი, მაგრამ ირგვლივ მყოფებთან შედარებით, მისი ტანსაცმელიც და იარაღიც ერთიანად ბრწყინავდა, რაღაც იდუმალ, თუ ჰაეროვან ნაზ ფერებში ლივლივებდა. მარტო აღკაზმულობით კი არა, თავისთავად, როგორც ადამიანი, იგი ბევრად უფრო წარმტაცად და მომხიბვლელად გამოიყურებოდა, ვიდრე ირგვლივ მყოფნი. მართალია, ისეთი ახოვანებით და გმირული შეხედულებით ვერ მიიწონებდა თავს, როგორიც იყვნენ მისი სახელოვანი წინაპრები, მაგრამ იგი იყო ახოვანი ჭკუით, განათლებით და სიბრძნით, თხელი აღნაგობის ადამიანი ეთქმოდა. საშუალოზე ოდნავ მაღალი, პირბადრი და პირთეთრი გახლდათ. ულვაშები ზომიერი და სწორი ჰქონდა, მუქი წვერი სანახევროდ შეეკრიჭა, რაც მის თეთრგვრემან სახეს რკალად ერტყმოდა და კანის კამკამა ფერს ერთი-ორად უფრო თვალსაჩინოს უხდიდა. ფართო შუბლით, ზომიერი სწორი ცხვირით და თხელი, ჭიაფერ ბაგენით, მეფეც რომ

არ ყოფილიყო, ისედაც ძალზე მომხიბ-ველელ ადამიანად გამოიყურებოდა; მი-სი შუქმფინარე თაფლისფერი თვალე-ბი არასოდეს არ დაავიწყდებოდა მნა-ხველს, როგორც უზომო სათნოების, გულკეთილობის და სიბრძნის გამომ-ხატველნი. მეფე რომ მართლაც სიბ-რძნის მოყვარული უფრო იყო, ვიდრე ხმლისა და ბრძოლის ველისა, ეს მის ამალასაც აშკარად ეტყობოდა. გარდა აბჯარასხმულ სპასპეტთა და ჯარისკაც-თა, მის ამალაში ორი ისეთი პიროვნე-ბაც ერია, რომელთაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და არა ჯარისკა-ცული. ერთს თავის ცხენზე ეტრატე-ბით თუ გრაგნილებით გატენილი ხურ-ჯინი ჰქონდა გადაკიდებული, მეორეს კი ბატის ფრთა გაერჭო ყურშიაც და ქუდშიაც, ხოლო მხარიღლივ ბაწრით ჩამოკიდებული სამელნეც მოუჩანდა. ორივეს ხელთ ეპყრათ სქელტანიანი რვეულები, ზოგი სუფთა, ზოგი კი ჩა-ნაწერებით შევსებული. საერთოდ მათ მწიგნობარნი ეწოდებოდათ და მგზავ-რობაში ეწეოდნენ მეფის მდივნების მოვალეობას...

არასოდეს მეფე ვახტანგი ისე არ გა-ვიდოდა თავის სამფლობელოში, რომ თან არ წაეყვანა მეცნიერნი და მწიგ-ნობარნი. იგი ამით ერთ დიდ ეროვნულ და საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. რომელ კუთხეშიაც არ უნდა მოხვედრი-ლიყო, ყველგან მხოლოდ იმას ცდი-ლობდა, ძველი ხელთნაწერები აღმოე-ჩინა და შეეგროვებინა. როდესაც რაი-მე ისეთ ხელნაწერს მოიპოვებდა, რო-მელიც აღმოჩნდებოდა საქართველოს ძველი კულტურულ დიდების მაუწყე-ბელი, მასზე ბედნიერი აღარავინ იყო!

მეფის ასეთი გატაცება არც იყო სა-კვირველი. ბაგრატოვანთა გვარის მე-ფეებს შორის ის იყო ერთ-ერთი იმათ-თაგანი, რომელსაც კალამი უფრო უჭ-რიდა, ვიდრე ხმალი. ის პირველ რიგში მეცნიერი და პოეტი იყო, შემდეგ კი მეფე. ბაგრატოვანთა გვარში მეფე-მწერლები თუ სხვებიც იყვნენ, მეფე-მეცნიერი ვახტანგ მეექვსემდე არავინ ყოფილა. ამ მხრივ, ის იყო პირველი. ასეთი მძიმე ტვირთი გამოწვეული იყო არა მარტო მეფის ბუხებრივი მიდრეკი-ლებებით, არამედ მისი პოლიტიკური მოსაზრებებითაც. მას ღრმად სწამდა, რომ დაგლეჯილ-დაფლეთილი და და-უძლურებული საქართველო, მარტო ხმლით და გმირული ბრძოლით ვერ შესძლებდა უამრავი მტრის დათურ-გვნას, თუ რაღაც უფრო ძლიერი და ქმედითი ძალა არ გამოინახებოდა. ასეთ ძალად მას მიაჩნდა ხალხის განათლება-გათვითცნობიერება. ვახტანგ მეფეს ღრმად სწამდა, რომ უვიცი მონას შობს, განათლებული კი თავისუფლების მოყ-ვარულსო და იმდენს სხვა საკითხებზე არ ზრუნავდა, რამდენსაც ხალხის გა-ნათლება-გათვითცნობიერების საკით-ხებზე. ამიტომ იყო, რომ მისი სასახლე წარმოადგენდა უფრო მწერალთა და მეცნიერთა სასახლეს, ვიდრე მეფის სა-სახლეს. ამიტომ იყო, რომ მან დახსნა აუარებელი სკოლები, დააარსა სტამბა, დაბეჭდა და გამოსცა, როგორც სასუ-ლიერო, ასევე საერო ხასიათის წიგნე-ბიც და, მათ შორის, ქართველი ერის სიამაყე და დიდება, შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანიც“, რომელსაც დაუ-რთო შესანიშნავი კომენტარები.

ვახტანგ მეფე იმდენად გატაცებული, იმდენად ჩაფლული იყო მწიგნობრობა-ში, რომ მის სამეტყველო ენასაც კი მწიგნობრული ელფერი გადაჰკრავდა. უბრალო გლეხებს სწორედ ამიტომ გა-უჭირდათ მეფის ნათქვამის გაგება, მაგ-რამ ბოლოს მაინც მიუხვდნენ.

— მეფეო, — მიუგო მხარბეჭგანი-ერმა. — ვინც სიცოცხლეს გვანიჭებს, ღმერთადაც ის მიგვაჩნია, არც თქვენ უნდა გაგვიწყრეთ!

— ხოხვა მატლს ეგების, აღსდექით! — უფრო მკაცრად წარმოსთქვა მეფემ. გლეხები ფეხზე წამოდგნენ, წელში გა-იმართნენ. მეფემ მათი აღკაზმულობა შეათვალიერა.

— ამა ძალითა თქვენითა აპირებდით ლეკთა აღგვას? — ღიმილით იკითხა მეფემ. გლეხები მიხვდნენ, რომ მათი

ამბავი უკვე მოეხსენებინა იმ მხედარს, რომელიც წელან წინ გადაუდგათ. მეფემ ყველაფერი იცოდა. მეურმე წინ წამოდგა, ცული ოდნავ შემართა და მიუგო:

— დიდებულო მეფევ! თუ გული მრისხანებს, სახრეც კი ხმალივითა სჭრის! ტყვეობას სიკვდილი სჯობს, ისევე როგორც მონობას თავისუფლება!

— სიკვდილი არს შთანთქმა მარადისობის წყვდიადსა შიგან და დათურგვნა ყოვლისა ხილულისა. მონასაც ბედნიერებად უჩანს ხილვაი მზისა და არა სიკვდილისა! — რაღაც ისეთი კილოთი წარმოსთქვა მეფემ, თითქოს მოწაფეებს სცდის და ახლა მოუთმენლად ელის უპასუხებენ თუ ვერაო.

მხარბეჭგანიერმა სიტყვის დასრულება აღარ აცალა:

—მეფეო, მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ სიტკბოებას სიცოცხლისას, როდესაც მზე გულშიაც გვინათებს და არა მარტო ცაზე! — მკვირცხლად მიუგო მან.

ვახტანგ მეფეს სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა:

— მაშ იმიტომ ესწრაფვოდით ესე ვითარსა სიკვდილსა, რამეთუ გულში მზე არ გინათებთ? — კვლავ იკითხა მეფემ.

— მაგიტომაც და იმიტომაც, დიდებულო მეფევ, რომ დედები გადაგვერჩინა! — მიუგო მან.

მეფის თვალებში უზომო განცვიფრება აისახა.

მხარბეჭგანიერი ალბათ მიხვდა მეფის განცვიფრების მიზეზს, რომ თამამი კილოთი კვლავ გაუბედა:

— დედები რომ გაწყდნენ, ვაჟკაცებს ვინ-ღა დაზრდის, მეფეო? ჩვენს ქვეყანას კი ისე არაფერი სჭირდება, როგორც ვაჟკაცები და გმირები!

ვახტანგ მეფე უარესად განცვიფრდა, რადგან განსაკუთრებით მაღალ წრეებში არსებული გაუტანლობა, ადამიანთა განკერძოება და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, მან მშვენივრად იცოდა! იცოდა უკეთ, ვიდრე სხვამ, რომ საქვეყნო სიკეთეზე არავინ იწუხებდა თავს, ისევე როგორც ტყის ნადირი, ან ჰირუტყვი. თუ სადმე უფლისწული იყო — ტახტისკენ მიისწრაფვოდა და გზაზე ვინც გადაეღობებოდა, ყველას სპობდა და ანადგურებდა. ამის მაგალითები სისხლშეუშრობელ კახეთის მიწაზეც ეწერა, ჯერ კიდევ ახსოვდათ გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს საქციელი, რომელმაც თავისი მამა და ძმა მოჰკლა, რომ ტახტი ხელთ ეგდო. თუ სადმე თავადი იყო, მხოლოდ იმიტომ შეჰყურებდა მზეს, იმიტომ ამძიმებდა საქართველოს მადლიან მიწას, რომ თავისიანები ეჟლიტნა და ემუსრნა, ოღონდ თვითონ გამხდარიყო, რაც შეიძლება დიდი სამფლობელოს პატრონი. როგორც ქვეყნის მესვეურნი იქცეოდნენ, ასევე იქცეოდნენ მათი ხელქვეითნიც: აღარც გლეხი გლეხობდა, აღარც ბერი ბერობდა და აღარც მღვდელს აგონდებოდა ქრისტე და მისი მცნებანი — „მოყვასთათვის თავის დადებისა“.

ახლა კი, ახლა, უბრალო გლეხებისაგან ესმოდა ისეთი რამ, რაც შეიძლება უმაღლეს შეგნებად, უმაღლეს ზნეობად ჩაეთვალა. ასეთი რამ, ამ უბრალო ხალხში, თავისით არ ჩაითესლებოდა, ვიღაც ეყოლებათ მასწავლებელ-დამრიგებელი, ან რაღაც ხელისშემწყობი პირობები შთაუნერგავდა ამათ ამ დიდებულ მისწრაფებებსო, გაიფიქრა მეფემ და ანგარიშმიუცემლად წამოიძახა:

— ვისი ყმანი ხართ, ესე ვითარნი?

— საეკლესიო ყმები გახლავართ, მეფეო! ჩვენ დავით გარეჯის მონასტერს ვემსახურებით! — ამაყად მიუგო მეურმემ, როგორც აქ მყოფთა შორის ყველაზე უფროსმა. ხოლო იმ ეპოქაში, სადაც ადამიანი ფასობდა არა ნიჭით და პირადი ღირსებებით, არამედ გვარით, შთამომავლობით და საზოგადოებრივი მდგომარეობით, ცხადია, ამ სიამაყესაც თავისი საფუძველი ჰქონდა. სამონასტრო ყმა, იმ დროში, დიდ ღირსებას ნიშნავდა, რადგან სხვებზე ნაკლებ განიცდიდნენ ყმების დაბეჩავებულ ცხოვრებას და უდიერ მოპყრობას.

საერთოდ ძველ საქართველოში გლეხები იყოფოდნენ სამი სახეობის ყმებად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ — ხიზნებს, მოჯალაბეთ და მონებს!): იყვნენ სამეფო (სახასო), ან საუფლისწულო ყმები, საბატონო ყმები და სამონასტრო (საეკლესიო) ყმები. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყვნენ საბატონო ყმები, რადგან ერთი ადამიანის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული ყმების სიცოცხლეც და სიკვდილიც.

ამ მხრივ უფრო შეღავათიან პირობებში ცხოვრობდნენ სახასო — სამეფო ყმები. მეფისათვის ყმა მარტო მხვნელ-მთესველი კი არ იყო, არამედ მტერთან მებრძოლი ძალაც. მშვიდობიანობის დროს მეფე ცდილობდა, თავისი ყმები, სხვებთან შედარებით უკეთეს პირობებში ჰყოლოდა, ჯერ ერთი —მეფური დიდებულების გამოსაჩენად და მეორეც იმისათვის, რომ გადამწყვეტ ბრძოლებში უერთგულესი ჯარისკაცების იმედი ჰქონოდა. თუ ბატონი, ძალიან ხშირად, ეკონომიურ პირობების გამოსასწორებლად, თავისი ყმების გაყიდვასაც არ ერიდებოდა, სამაგიეროდ ისტორიამ არ იცის შემთხვევა, რომ რომელიმე მეფეს, ამავე მიზნით, ან თავისი ყმები, ან სხვისა, ბაზარზე გაერეკოს. პირიქით,მეფენი სხვებსაც სასტიკად უკრძალავდნენ ამ სისაძაგლეს, რადგან ქვეყანას აკლდებოდა არა მარტო მუშახელი, არამედ თავდაცვისათვის საჭირო მებრძოლი ძალაც...

ზემოთ დასახელებულებზე უკეთეს პირობებში იყვნენ სამონასტრო, საეკლესიო ყმები. ყმობა მაინც ყმობაა, მაგრამ იმ დროში ცოტაოდენი თავისუფლებაც კი უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა. ეს გარემოება, შეუძლებელია ავხსნათ ეკლესიის მსახურთა რაღაც განსაკუთრებული დიდბუნებოვანობით, ანდა კეთილშობილებით, რა თქმა უნდა, არა! ეს უნდა აიხსნას ჯერ ერთი იმ გარემოებით, რომ ეკლესია, ქრისტეს მოძღვრებიდან გამომდინარე, თვით ქადაგებდა კაცთმოყვარეობას და ცხადია, თვითონვე ვერ იქნებოდა კაცთმოძულეობის მაგალითის მიმცემი. მაშინ იგი, თავის მრევლის და მთელი ხალხის თვალშიც სრულიად დაჰკარგავდა წონასა და ფასს! მეორე, და მგონია გადამწყვეტიც, ის გახლდათ, რომ მონასტრებს ჭარბად ჰყავდათ ყმები. რაკი ყმობის ინსტიტუტი მემკვიდრეობით გადადიოდა, საუკუნიდან საუკუნემდე ყმები მრავლდებოდნენ, ხოლო მონასტრის მოცულობა და ღვთისმსახურთა ოდენობა ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე რჩებოდა. თუ წინათ ათი კომლი ემსახურებოდა მონასტერს და, ასე თუ ისე, ყველა დავალებას აუდიოდა, ცხადია, ერთი საუკუნის შემდეგ, როდესაც ათი ასად იქცეოდა, ამ დავალების შესრულება თითქმის აღარავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ათის გასაკეთებელს ასი აკეთებდა! აი, ერთი ძირითადი პირობათაგანი იმისა, რომ სამონასტრო ყმები, სხვებთან შედარებით, თავისუფლად გრძნობდნენ თავს, მით უმეტეს, რომ ძალიან ხშირად ისინი განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო ბეგარიდანაც. ხალხი სამონასტრო ყმებს ეძახოდა „ბედნიერ გლეხებს“, ქუდბედით ვარსკვლავზე დაბადებულთ!

შაჰ-აბასმა თავის მეორედ შემოსევის დროს, პირველი ცეცხლი და მახვილი დავით გარეჯის მონასტერს დაატეხა: ერთ ღამეში ექვსი ათასი ბერი გაჟლიტა და, მას შემდეგ, მონასტერი წელში ვეღარ გაიმართა. განსაკუთრებით შემცირდა ბერების რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ ამ უბედურების შემდეგ, ას წელიწადზე მეტი დრო გავიდა, ექვსი ათასის ნაცვლად, ექვსასი ბერიც აღარ იყო. ამ რიცხვის გაზრდა

ისეთმა ენერგიულმა წინამძღვარმაც კი ვერ შესძლო, რომელიც სწორედ ახლა მოღვაწეობდა ბერი-ონოფრე მაჭუტაძის სახით. რაკი მონასტრის მსახურთა რიცხვი შემცირდა, ყმები უფრო შეღავათიან პირობებში აღმოჩნდნენ და სწორედ ეს ქმნიდა მათი სიკეთის საფუძველსაც...

ყველაფერი ეს მშვენივრად იცოდა ვახტანგ მეფემ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თავის ცნობილ კანონთა კრებულს — „სჯულდებას" ადგენდა. მას ყოველთვის სწამდა, რომ სამშობლოს გადამრჩენი, მტრის ასეთ მოძალების დროს, იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ხალხის განათლება და თავისუფლების სიყვარული, ამ შეგნების გაღვივება და აღზევება! ამიტომ იყო, რომ იგი თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რაც შეიძლება ბევრი სკოლები დაეხსნა, გზები გაეყვანა, არხები ამოეწმინდა, მეურნეობა აეყვავებინა, ბატონისა და ყმის ურთიერთობა მოეგვარებინა, რომ ყველას ქვეყნის გადარჩენაზე ეფიქრა და, ბოლოს, გაეხსნა სტამბაც, რომ წიგნი ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი გაეხადა.

უბრალო ყმა-გლეხის გმირულმა განცხადებამ მეფეს ნეტარების ღიმილი მოჰგვარა, რადგან ამ განცხადებაში მან ჰპოვა, თავისი სიბრძნის აშკარა დადასტურება.

— ესე არს გამოჩინება ჩვენგან უწყებულისა, — წამოიძახა მან კმაყოფილებით. — კმა არის მცირედი ნაპერწკალი თავისუფლებისა, რომ მონა იქცეს ვეფხვად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ დროს ჩარდახიანი ურემი კვლავ შარა გზაზე გამოვიდა. მართალია, ჯერ კიდევ საკმაო მანძილით იყო დაშორებული, მაგრამ ეჭვიც კი არავის შესვლია, რომ ურემთან ჰქონდათ საქმე.

— ჭეშმარიტად ქალს ვხედავ მეურმედ ,მეფეო! — წამოიძახა იმ მხედარმა, რომელიც პირველად შეეგება გლეხების ჯგუფს.

— ნამდვილად ქალია! — დაუდასტურეს მდივნებმაც და მეფის ახლო მყოფმა ჯარის უფროსებმაც.

— ერთი კაცი მთელ ლაშქრად გვიღირდა, ურემი დედაკაცს დავუტოვეთ, მეფეო, — აუხსნა ჭაღარაშერთულმა მეურმემ, ცოტა არ იყოს მორიდებით, რადგან საქართველოში ქალის მეურმეობა, ისევე არავის გაეგონა, როგორც თივის თიბვა შორეულ ტრამალებში, ან ყანის მკა.

— ჰოი, ზეცაო! გავჩენილვართ ყველაფრის ხილვად! წავიდეთ, მივეგებოთ დედაწულთ! — ვახტანგ მეფემ ხელის მსუბუქი აქნევით წასვლა ბრძანა და სხვებზე წინ თავისი თეთრი მერანი მოსწყვიტა ადგილს. ჯარიც მეფეს მიჰყვა. გლეხებმა მოწიწებით გზა უტიეს მეფეს, თავიანთ ცხენების აღვირის ტოტები მკლავებზე გადაიგდეს და ფეხით მიჰყვნენ ჯარს. მტვრის ბუქმა, უკვე გამოვლილ გზაზე, ერთ წუთში დათალხა მოკამკამე ცა...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სომერსეტ მოემი

წვიმა

მოთხრობა

ძილის დრო ახლოვდებოდა. დილით კი უკვე მიწა უნდა გამოჩენილიყო. ექიმმა მაკფეილმა ჩიბუხს მოუკიდა, გემბანის მოაჯირს დაეყრდნო და ცაში სამხერთის ჯვრის თანავარსკვლავედს დაუწყო ძებნა. ფრონტზე ორი წლის ყოფნისა და იქ მიღებული ჭრილობის შემდეგ, რომელიც ძნელად უხორცდებოდა, სიამეს ჰგვრიდა იმის გახსენება, რომ აპიაში, ამ მყუდრო ადგილას, სულ ცოტა, თორმეტიოდე თვეს მაინც დაისვენებდა. მოგზაურობამაც საგრძნობლად არგო. მეორე დღეს მგზავრების ნაწილი პაგო-პაგოში უნდა ჩასულიყო, ამიტომ საღამოთი ცეკვების მსგავსი რაღაც მოაწყვეს გემზე. ექიმ მაკფეილს ჯერ ისევ ჩაქუჩივით უკაკუნებდა ყურებში მექანიკური პიანინოს მჭახე ხმა, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, გემბანზე სიწყნარე ჩამოვარდა. იქვე ახლოს გრძელ შეზლონგზე თავისი ცოლი შენიშნა, რომელიც დევიდსონებს ესაუბრებოდა და მათკენ გაეშურა. სინათლის ქვეშ დაჯდა და ქუდი მოიხადა. თმები ძალზე წითელი, კეფა გამელოტებული და სახის კანი მწითურ ადამიანისათვის დამახასიათებელი ჭორფლით ჰქონდა დაწინწკლული. ეს იყო ორმოციოდე წლის, გამხდარი, მოგრძო სახიანი, აკურატული და ოდნავ პედანტი მამაკაცი. ლაპარაკობდა შოტლანდიური აქცენტით, ყოველთვის დინჯად და ხმადაბლა.

მაკფეილებსა და მისიონერ ცოლქმარ დევიდსონებს შორის თავისებური მეგობრობა დამყარდა, რომელიც ერთნაირი გემოვნებით კი არა, მგზავრობაში ყოველდღიური სიახლოვით წარმოიქმნება ხოლმე. მათი ურთიერთობის მთავარი მიზეზი კი იმ მგზავრების ძაგება გახლდათ, რომელნიც თამბაქოს მოსაწევ ოთახში პოკერის[1] თუ ბრიჯის[2] თამაშსა და სმაში ათენებდნენ და აღამებდნენ. მისის მაკფეილი ოდნავ ამაყობდა კიდევაც, რომ დევიდსონები მათ არ ერიდებოდნენ გემზე. ექიმი მაკფეილიც, მორცხვი და ჭკუადამჯდარი ადამიანი, ამით ერთგვარად ნასიამოვნები იყო. მაგრამ რაკი, საერთოდ, კამათი უყვარდა, იმ საღამოს კაიუტაში დაბრუნებისას, უფლება მისცა საკუთარ თავს წაბუზღუნებოდა ცოლს.

— მისის დევიდსონმა მითხრა, არ ვიცი როგორ ავიტანდით ამ მოგზაურობას თქვენ რომ არ ყოფილიყავითო. სხვებთან, უბრალოდ, არც ღირს ნაცნობობაო. — დაიწყო მისის მაკფეილმა და ჩვეული, მარჯვე მოძრაობით ჩამოივარცხნა თმა.

— ჩემის აზრით, მისიონერი არც თუ ისეთი დიდი ვინმეა, როგორც იბღინძება.

— ეს გაბღენძვა არ არის. შესანიშნავად მესმის მისი. დევიდსონებს არ შეჰფერით თამბაქოს მოსაწევი სალონის უხეშ საზოგადოებაში გარევა.

— მათი რელიგიის ფუძემდებელი ასეთი წუნია არ ყოფილა, — ჩაიცინა ექიმმა.

— რამდენჯერ გთხოვე რელიგიაზე ნუ ხუმრობ-მეთქი, — შენიშნა ცოლმა, — მადლობა ღმერთს, ხასიათით არ გგავარ. ადამიანებში კარგ მხარეს ვერ ამჩნევ, ალეკ.

1, 2, ბანქოს თამაშია.

მაკფეილმა ღია ცისფერი თვალებით ცერად გახედა ცოლს, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ცოლქმრული ცხოვრების მრავალმა წელმა ექიმი დიდიხანია დაარწმუნა იმაში, რომ ოჯახური სიმშვიდის შესანარჩუნებლად, უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ცოლს უნდა დარჩენოდა. მან უფრო ადრე გაიხადა, ზედა საწოლზე ავიდა და ძილის წინ საკითხავად მოეწყო.

დილით ექიმი გემბანზე რომ გამოვიდა, კუნძული უკვე სულ ახლოს მოჩანდა. ის ხარბად მიაჩერდა ნაპირს. სანაპიროს ვიწრო, ვერცხლისფერ ზოლზე, მწვერვალებამდე მწვანით უხვად შემოსილი ციცაბო მთები აღმართულიყო.

ზერმუხტისფერი ქოქოსის პალმების ხშირი ტყე, თითქმის ზღვის პირამდე აღწევდა. პალმებს შორის მოწნული სამოელთა ქოხები მოჩანდა. თეთრად ქათქათებდნენ აქა-იქ გაბნეული პატარა ეკლესიები. გემბანზე მისის დევიდსონი გამოვიდა და ექიმის გვერდით გაჩერდა. ის შავ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ყელზე ოქროს ძეწკვით პატარა ჯვარი ეკიდა. ეს იყო გულდასმით დავარცხნილი, გახუნებული, წაბლისფერთმიანი და გადმოკარკლულ ცისფერ თვალებზე პენსნეაფარებული, ტანმორჩილი ქალი. ცხვარივით ჩამოგრძელებული სახე უბრალო იერს როდი აძლევდა. პირიქით, მის გამომეტყველებაში სიფხიზლე და ენერგიულობა იგრძნობოდა. სწრაფი მოძრაობით რომელიღაც ფრინველს გავდა. ყველაზე უცნაური კი მაინც ხმა ჰქონდა. — მაღალი, ფოლადნარევი და ყოველგვარ ინტონაციას მოკლებული, რომელიც პნევმატური ბურღის ზუზუნის ულმობელი ერთფეროვნებით ესობოდა ყურის აპკს და აღიზიანებდა ნერვებს.

— თქვენ, ალბათ, უკვე სახლში გრძნობთ თავს, — თქვა ექიმმა მაკფეილმა მისთვის ჩვეული უფერული, რაღაც წამებული ღიმილით.

—ჩვენი კუნძულები ამათ არა გავს,— ისინი ბრტყელია, მარჯნისა. ესენი კი ვულკანური წარმოშობისაა. ათი დღის მოგზაურობის შემდეგ თუ მიგაღწევთ მათ.

— ეს იგივეა, რაც ჩვენთან, სამშობლოში, მეზობელი ქუჩა, — იხუმრა ექიმმა.

— გააზვიადეთ, რასაკვირველია, მაგრამ სამხრეთ ზღვებში მანძილი სხვანაირად გამოიყურება. ამ მხრივ სავსებით მართალი ბრძანდებით.

ექიმმა მაკფეილმა ძლივს შესამჩნევად ამოიოხრა.

— კიდევ კარგი, ამ კუნძულებზე არ არის ჩვენი მისია, — განაგრძო მისის დევიდსონმა, — ამბობენ, აქ მუშაობა პირდაპირ შეუძლებელიაო — ბევრი გემი შემოდის, ეს კი რყვნის მოსახლეობას. გარდა ამისა, აქ სამხედრო ხომალდებიც დგანან, რაც თავის მხრივ, ცუდ გავლენას ახდენს მათზე. ჩვენს მხარეში ასეთი სიძნელეები არა გვხვდება. რასაკვირველია, იქაც ცხოვრობს ორი-სამი მედუქნე, მაგრამ თვალს ვადევნებთ, წესიერად მოიქცნენ, არადა, ისეთ დღეს დავაყრით, რომ ერჩიოთ საერთოდ გადაიკარგონ იქიდან.

მან პენსნე გაისწორა და ულმობელი მზერა მიაპყრო მწვანე კუნძულს.

— აქაური მისიონერების მოღვაწეობა თითქმის ფუჭია. მადლობა უფალს, რომ ასეთი რამ თავიდან აგვაცილა.

დევიდსონის სამისიონერო მრევლი სამოას ჩრდილოეთით მდებარე პატარა კუნძულებს მოიცავდა. ისინი საკმაოდ დიდი მანძილით იყვნენ დაშორებული ერთმანეთისაგან და მისიონერს ხშირად უხდებოდა შორეული მგზავრობა კანოეთი[1]. ასეთ შემთხვევაში მეუღლე მისიის მმართველად რჩებოდა. ექიმი მაკფეილი შეკრთა, როდესაც წარმოიდგინა, რა დაუცხრომელი ენერგიით ასრულებდა, ალბათ, მისის დევიდსონი თავის მოვალეობას. ადგილობრივ მკვიდრთა ზნედაცემულობაზე დათაფლული გულისწყრომით, ხმის დაუწევ-

[1] ხის პატარა ნავი.

ლად ლაპარაკობდა. თავაზიანობა-კეთილსინდისიერებაზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა. მათი ნაცნობობის დასაწყისშივე უთხრა მისის დევიდსონმა ექიმს:

— წარმოიდგინეთ, კუნძულებზე რომ ჩავედით, საქორწინო ადათები იმდენად სამარცხვინო და შემაძრწუნებელი აღმოაჩნდათ, რომ ვერ აგიწერთ. მაგრამ მისის მაკფეილს მოვუყვები და ის გადმოგცემთ.

შემდეგ მთელი ორი საათი ხედავდა მისი ცოლი და მისის დევიდსონი ერთმანეთთან მიჩოჩებულ შეზლონგებში რა გაცხოველებით ბაასობდნენ რაღაცაზე. როცა მუხლის ვასაშლელად ჩაუვლიდა მათ, მაკფეილის ყურს შორეული მთის მდინარის ხმაურივით ჩაესმოდა მისის დევიდსონის აღტკინებული ჩურჩული. ცოლის ნახევრადდაღებული პირი და გაფითრებული სახე ექიმს ახვედრებდა, რომ მისის მაკფეილს რაღაც შემაძრწუნებელი ამბავი უდიდეს სიამოვნებას გვრიდა. საღამოთი, როდესაც კაიუტაში დაბრუნდნენ, მისის მაკფეილმა სხაპასხუპით უამბო ყველაფერი, რაც მოესმინა.

— აბა, რას გეუბნებოდით? — გამარჯვებულის იერით შესძახა მისის დევიდსონმა დილით, — გსმენიათ ოდესმე ამაზე შემაძრწუნებელი ამბავი? რა თქმა უნდა, ახლა აღარ გიკვირთ, რატომ მე თვითონ ვერ გიამბეთ ეს, მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ბრძანდებით.

მას სურდა დარწმუნებულიყო, რომ სასურველ ეფექტს მიაღწია.

— ახლა აღარ გაგიკვირდებათ, პირველად რატომ გაგვიტყდა ყველაფერზე გული. ალბათ, არც დაიჯერებთ, რომ სოფლებში ერთ წესიერ გოგოსაც ვერ იპოვიდით.

მისის დევიდსონმა სიტყვა „წესიერი“ მკაცრი ტექნიკური მნიშვნელობით იხმარა.

—მე და მისტერ დევიდსონმა ავწონდავწონეთ მდგომარეობა და გადავწყვიტეთ, — უპირველესად ყოვლისა, აგვეკრძალა ცეკვები. ესენი ხომ ცეკვაზე პირდაპირ გიუდებიან.

— ახალგაზრდობაში არც მე ვამბობდი ცეკვაზე უარს, — ჩაურთო ექიმმა მაკფეილმა.

— მეც სწორედ ეგ გავიფიქრე გუშინ საღამოს, როდესაც მისის მაკფეილი ვალსზე მიიწვიეთ. არა მგონია, რაიმე საზიანო იყოს იმაში, რომ კაცმა ცოლთან იცეკვოს, მაგრამ მაინც მესიამოვნა, როდესაც მისის მაკფეილმა უარი განაცხადა. ჩემის აზრით, შექმნილ გარემოში ჯობია განცალკევებით ვიყოთ.

— როგორ გარემოში?

მისის დევიდსონმა პენსნედან სწრაფად შეავლო თვალი ექიმს, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— ასეა თუ ისე, თეთრკანიანებს ეს სხვანაირად ესმით, — განაგრძო მან, — თუმცა ისიც უნდა დავსძინო, რომ ვეთანხმები მისტერ დევიდსონს, რომელსაც იმ მამაკაცისა ვერა გაუგია, ვისაც წყნარად დგომა და სხვის მკლავებში მოქცეული თავისი ცოლის ყურება შეუძლია. პირადად მე, რაც გავთხოვდი, მას შემდეგ აღარ მიცეკვია. მაგრამ აქაურების ცეკვები — ეს სულ სხვა ამბავია. ისინი არა მარტო ვულგარულია თავისთავად, არამედ პირდაპირ ზნედაცემულობამდე მიყავს ადამიანი. ღვთის წყალობით, ამას, როგორც იქნება, ბოლო მოვუღეთ და, მგონი, არც შევცდები თუ ვიტყვი, რომ აგერ მერვე წელია, რაც ჩვენს მხარეში კაციშვილს არ უცეკვია.

მათ მისის მაკფეილიც შეუერთდა. გემი ნავსადგურის შესასვლელს მიუახლოვდა, ცერად შემოუხვია და მძიმედ შევიდა ნავსაყუდელში. ეს იყო ვეებერთელა, თითქმის ჩაკეტილი უბე, რომელშიც თავისუფლად დაეტეოდა მთელი ფლოტი. იქვე, შემოსასვლელში, ბაღში ჩაფლული გუბერნატორის სახლი მოჩანდა. ფლაგშტოკზე უსიცოცხლოდ ეკიდა ამერიკული დროშა გემმა გვერდით ჩაუარა ორ-სამ კოპწია ბუნგალოს, ჩოგბურთის კორტს და საწყო-

ბებით ჩახერგილ ნავსაყუდელს მიადგა. მისის დევიდსონმა დაანახა ორას-სამასი იარდით დაშორებული მაკფეილების შხუნა, რომლითაც მათ აპიაში მოუწევდათ გამგზავრება. სანაპიროზე გულკეთილ ადგილობრივ მკვიდრთა მხიარული ბრბო დაფუსფუსებდა, რომელთაც კუნძულის ყოველი კუთხიდან მოეყარათ თავი. ზოგი უბრალო ცნობისმოყვარეობის გულისთვის მოსულიყო აქ, ზოგი იმ განზრახვით, რომ სიდნეისკენ მიმავალ მგზავრებისათვის რამე მიეყიდა. მათ თან მოეტანათ ანანასები, ბანანის უზარმაზარი კონები, „tapa“ [1] ქსოვილი, ნიჟარებისა და ზვიგენის კბილების მძივები, „kava“ [2]-ს ფიალები და სამხედრო კანოეს მოდელები. კოხტად გამოწყობილი, ახლად წვერგაპარსული და მხიარული ამერიკელი მეზღვაურები მათ შორის დაეხეტებოდნენ. აქვე იყო ნავსადგურის ოფიციალურ წარმომადგენელთა მცირე ჯგუფიც. სანამ ბარგს გადმოტვირთავდნენ, მაკფეილები და მისის დევიდსონი ბრბოს ათვალიერებდნენ. ექიმი მაკფეილი ბავშვებსა და ახალგაზრდებს კანის სნეულებით დაავადებულ სხეულზე აკვირდებოდა. მთელ ტანზე მოდებული უფორმო მუწუკები უკვე მოძველებულ წყლულებს წააგავდა. მაკფეილს პროფესიული ინტერესით გაუბრწყინდა თვალები, როდესაც პირველად დაინახა სპილოს ავადმყოფობით შეპყრობილი ადამიანები. ისინი ძლივს მიათრევდნენ ვეებერთელა უფორმო ფეხებსა და ხელებს. ქალებს თუ კაცებს ყველას lava-la va [3] ეცვა.

— ძალიან უხამსი ტანისამოსია, — სთქვა მისის დევიდსონმა, — მისტერ დევიდსონის აზრით ეს კანონის ძალით უნდა აიკრძალოს. რა მორალი უნდა მოთხოვო ხალხს, რომელსაც წითელი ჭინჭის მეტი არაფერი აკრავს თეძოებზე?

— აქაური ჰავისათვის სწორედ ხელგამოჭრილი სამოსია, — ჩაურთო ექიმმა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

სიცხამი დილა იყო, მაგრამ ხმელეთზე უკვე პაპანაქება იდგა. ყოველი მხრიდან მთებით შემოფარგლული პაგო-პაგო სიცხის ბუღში იხრჩობოდა.

— ჩვენს კუნძულებზე,—განაგრძობდა მისის დევიდსონი გამყინავი ხმით,— პრაქტიკულად მოვსპეთ ლავა-ლავა. ახლა რამოდენიმე მოხუცილა თუ ატარებს. ქალები გრძელ, ფართო კაბებს იცვამენ, კაცები — შარვალ-ხალათს. ჩვენი მუშაობის დასაწყისში, მისტერ დევიდსონი ერთ-ერთ ანგარიშში წერდა: „ამ კუნძულთა მკვიდრნი მხოლოდ მაშინ განიმსჭვალებიან ნამდვილი ქრისტიანული სულით, როდესაც ათ წელს გადაცილებულ ბიჭებს აიძულებენ შარვლის ჩაცმას.

მისის დევიდსონმა ფრინველივით ახედა ყურეს შემოსასვლელთან აშლილ, მძიმე, ტყვიისფერ ღრუბლებს. წამოწინწკლა.

— ჯობს სადმე თავი შევაფაროთ, — თქვა მან.

ხალხს მიყვნენ და ნაკეცი თუნუქით გადახურულ დიდ ფარდულს შეაფარეს თავი. წვიმამ კოკისპირულად დაუშვა, ერთხანს იქ იდგნენ. შემდეგ მისტერ დევიდსონიც შეუერთდა. მართალია, იგი თავაზიანად ეპყრობოდა მაკფეილებს, მაგრამ ცოლის გულითადობას არ იზიარებდა და უმეტეს დროს კითხვაში ატარებდა. ეს იყო ჩუმი, უკარება ადამიანი, რომელიც სხვის მიმართ ყურადღებას მხოლოდ ქრისტიანული მოვალეობის გამო იჩენდა. მისიონერი გულჩათხრობილი კაცი იყო. მისი გარეგნობა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა: მაღალი, გამხდარი, გრძელი, თითქოს მოდუნებული ხელფეხი, ჩაცვივნული ყბები და ამოშვერილი ყვრიმალები; ასეთი გამხდარი ადამიანისთვის უჩვეულოდ სქელი, მგრძნობიარე

[1] ადგილობრივ მკვიდრთა ხელით ნაქსოვი, მსუბუქი ქსოვილია.

[2] მათრობელა სასმელი, რომელიც მცენარე კავას ფესვებიდან მზადდება.

[3] თეძოებზე შემოკრული ქსოვილი.

ტუჩები უცნაურად გამოერჩეოდა სახეზე. ძალიან გრძელი თმები ჰქონდა. ღრმად ჩასმულ დიდ, შავ თვალებში რაღაც ტრაგიზმი მოსჩანდა. მსხვილი, გრძელ თითებიანი ლამაზი ხელები ძალუმ იერს აძლევდა. მაგრამ ყველაზე საოცრად მასში დაოკებული, მიჩქმალული ცეცხლი იგრძნობოდა, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებასა და გამოუცნობ წუხილს იწვევდა. ეს იყო ადამიანი, რომელთანაც თითქმის შეუძლებელია მეგობრობა.

მან უსიამოვნო ამბავი მოიტანა. კუნძულზე წითელა მძვინვარებდა, რომლითაც კანაკები[1] ძალიან მძიმედ ავადდებოდნენ და ხშირად იხოცებოდნენ. ახლა ეს ავადმყოფობა შხუნის[2] მეზღვაურებს შორისაც გაჩენილიყო, რომლითაც მათ გზა უნდა განეგრძოთ. დაავადებული მეზღვაური ჰოსპიტალის საკარანტინო განყოფილებაში გადაეყვანათ, მაგრამ აპიიდან ტელეგრაფით იტყობინებოდნენ, — შხუნას არ მიიღებდნენ, თუ არ გამოირკვეოდა, რომ ავადმყოფობა სხვა მეზღვაურებსაც არ გადაედო.

— ეს იმას ნიშნავს, რომ სულ ცოტა, ათ დღეს მაინც დავრჩებით აქ.

— მაგრამ მე როგორმე უნდა ჩავიდე აპიაში. იქ საჭირო ვარ, — თქვა ექიმმა მაკფეილმა.

— არაფერი გამოვა. თუ შხუნაზე არავინ დაავადდა, მაშინ მას თეთრკანიანი მგზავრების წაყვანის ნებას დართავენ. ადგილობრივ მკვიდრთ ყოველგვარი ნაოსნობა სამი თვით ეკრძალებათ.

— სასტუმრო თუ არის აქ? — იკითხა მისის მაკფეილმა.

— არა, — ჩაიქირქლა დევიდსონმა.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?

—გუბერნატორს ველაპარაკე. ზღვისპირა შარაგზაზე ვიღაც მედუქნე ცხოვრობს, რომელიც ოთახებს აქირავებს. წვიმა გადაიღებს თუ არა, წავიდეთ და ვნახოთ. კომფორტს ნუ ელით. იმაზედაც მადლობა თქვით, თავშესაფარი და საწოლები თუ ვიშოვეთ.

მაგრამ წვიმა გადაღებას არ აპირებდა. ბოლოს საწვიმრები მოისხეს, ქოლგები გაშალეს და გზას გაუდგნენ. დაბა სულ რამოდენიმე დაწესებულების, ორიოდე დუქნისა და ქოქოსის პალმებში შეყუჟულ ადგილობრივ მკვიდრთა ქოხებისაგან შედგებოდა. იმ მედუქნის სახლი ნავსადგურიდან ხუთი წუთის სავალზე იდგა. ეს იყო ორსართულიანი სტანდარტული შენობა, დიდი ვერანდით და გოფრირებული თუნუქის სახურავით. მისი მეტისი მფლობელი, გვარად ჰორნი, ადგილობრივ მკვიდრზე იყო დაქორწინებული, ცოლს ყოველთვის შავტუხა ბავშვები ეხვია გარშემო. ჰორნი ქვედა სართულზე გახსნილ დუქანში კონსერვითა და ჩითით ვაჭრობდა. ახალმოსულებს ბინები აჩვენა. ოთახებში თითქმის არ იყო ავეჯი. მაკფეილებისათვის მისაქირავებელ ოთახში მხოლოდ კოღოს საწინააღმდეგო, დახეული ბადით გადაფარებული, ძველი, მოფამფალებული საწოლი, ფეხებდაგრეხილი სკამი და პირსაბანი იდგა. ცოლქმარი უმწეოდ იხედებოდა აქეთ-ქით. წვიმა კოკისპირულად ასხამდა.

— მე მხოლოდ საჭირო ნივთებს ამოვიღებ, ყველაფერს არ ამოვქექავ,— თქვა მისის მაკფეილმა.

ჩემოდანი გახსნა. ოთახში მკვირცხლი ნაბიჯით მისის დევიდსონი შემოვიდა. ის ენერგიით აღსავსე ჩანდა. ეტყობოდა, ამ უხეირო მოწყობილობას არავითარი გავლენა არ მოეხდინა.

— თუ დამიჯერებთ, გირჩევთ ახლავე აიღოთ ნემსი და კოღოების ბადე დაკემსოთ, — თქვა მან, — თორემ მთელი ღამე თვალს ვერ მოხუჭავთ.

— ბევრია აქ კოღო? — იკითხა ექიმმა მაკფეილმა.

— ახლაა სწორედ გამრავლებული. აპიის გუბერნატორი საღამოზე რომ მიგიწვევთ, იქ ნახავთ, რომ ქალებს გადასაფარებლებს ურიგებენ თავისი... თა-

[1] პოლინეზიის კუნძულების მცხოვრებნი.
[2] ორანძა, იალქნიანი ნავი.

ვისი ქვედა კიდურების დასაფარავად.

— ნეტავი ერთი წუთით მაინც გადაეღო წვიმას!—თქვა მისის მაკფეილმა.— მზიან ამინდში უფრო ხალისით დავალაგებდი აქაურობას.

— თუ მაგის იმედი გაქვთ, მაშინ დიდი ხნის ლოდინი მოგიწევთ. წყნარ ოკეანეში პაგო-პაგო ყველაზე ნესტიანი ადგილია. ეს ყურე და მთები სინესტეს იზიდავენ და, ამას გარდა, ახლა წვიმების სეზონია.

მან ჯერ მაკფეილს შეხედა, შემდეგ მის ცოლს, რომელნიც ლტოლვილი სულებივით იდგნენ ოთახის სხვადასხვა კუთხეში, და ტუჩები მოკუმა. ის გრძნობდა, რომ ესენიც მისი საზრუნავი გახდებოდნენ. ასეთი უმწეო ადამიანები აღიზიანებდნენ და ერთი სული ქონდა, სანამ საქმეს მოჰკიდებდა ხელს.

—ჩვენ ასე მოვიქცეთ: მომეცით ნემსი და ძაფი. ვიდრე თქვენ ბარგს გახსნით, მე ბადეს დაგიკერებთ. სადილი პირველ საათზე იქნება. თქვენ კი, ექიმო, აჯობებდა, ნავსადგურში წაბრძანებულიყავით და ბარგისთვის მიგეხედათ. მოგეხსენებათ, რას წარმოადგენენ ადგილობრივი მკვიდრნი, — სწორედ იქ დაალაგებენ, სადაც ყველაზე მეტად უშხაპუნებს წვიმა.

ექიმმა ისევ ჩაიცვა საწვიმარი და კიბეებზე დაეშვა. კარებში ჩამდგარი მისტერ ჰორნი გემის ბოცმანსა და მეორე კლასის მგზავრ ქალს ელაპარაკებოდა, რომელიც ექიმ მაკფეილს რამოდენიმეჯერ ყავდა შემჩნეული მგზავრობის დროს. დაბალმა, სახედაღარულმა და საოცრად ჭუჭყიანმა ბოცმანმა ექიმს თავი დაუკრა, როდესაც მან გვერდით ჩაუარა.

— ცუდადაა საქმე, ექიმო, ამ წითელას გამო, არა? — გამოესაუბრა ბოცმანი, — გეტყობათ, თქვენ უკვე მოწყობილხართ.

ექიმმა შენიშნა, რომ ბოცმანი ძალიან შინაურული ტონით ელაპარაკებოდა, მაგრამ მორიდებული კაცი იყო და ასე ადვილად არც განაწყენება შეეძლო ვინმეზე.

— დიახ, მეორე სართულზე ოთახი დავიქირავეთ.

— მისს ტომპსონი თქვენთან ერთად აპიაში მოემგზავრება, ამიტომ მოვიყვანე აქ.

ბოცმანმა ცერით ანიშნა გვერდით მდგომზე. ეს იყო ასე ოცდაშვიდი წლის, მოსული, ტლანქი, მაგრამ ერთგვარად მოხდენილი ქალი. მას თეთრი კაბა ეცვა, თავზე თეთრივე დიდი შლიაპა ეხურა. თეთრი, მაღალყელიანი ბამბის წინდებით შემოტმასნილი წვივის სქელი კუნთები თითქოს გადმოკიდებული ქონდა თეთრი ლაკის ჩექმების ყელზე. ქალმა სანდომიანად გაუღიმა მაკფეილს.

— ამ ყმაწვილს დღეში დოლარნახევარის აძრობა სურს რაღაც ერთ ციცქნა ოთახში, — თქვა მან ჩახლეჩილი ხმით.

— მოიხედე, ჯო, ხომ გეუბნები, ეს ჩემი კარგი ნაცნობია-მეთქი, — მიუბრუნდა ბოცმანი ჰორნს, — დღეში დოლარზე მეტს ვერ გადაგიხდის. წესით, არც შენ უნდა ითხოვდე მეტს.

სქელი მედუქნე თავაზიანად იღიმებოდა.

— რაკი ასეა, მისტერ სვონ, ვნახავ მოხერხდება რამე თუ არა, მოველაპარაკები მისის ჰორნს და, თუ გადაწყვიტეთ, რომ დაკლება შეიძლება, — დავაკლებთ.

— ჩემთან ეგ არ გავა, თქვა მისს ტომპსონმა, — ჩვენ ახლავე მოვრიგდებით. მოკლედ, ამ ხუხულაში დღეში დოლარს გადავიხდი და მეტს გახვრეტილ გროშსაც ნუ ელით.

ექიმმა მაკფეილმა გაიღიმა. მას მოსწონდა ქალის უტიფრობა ვაჭრობის დროს. თვითონ იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ყოველთვის იხდიან იმდენს, რამდენსაც თხოვენ. ერჩივნა ზედმეტი გადაეხადა, ოღონდ არ ევაჭრა. ჰორნმა ამოიქშინა.

— ასე იყოს, მისტერ სვონის ხათრით.

— აი, ეს უკვე სხვა საქმეა, — თქვა მისს ტომპსონმა, — აბა, შემოდით, და-

ვასველოთ. აიღეთ ჩემი ჩემოდანი მისტერ სვონ, მასში უხეირო ვისკს ვერ იპოვნით. თქვენც შემოდით, ექიმო.

— მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ არ შემიძლია, ნავსადგურში მივდივარ, ბარგს უნდა მივხედო. — უპასუხა მაკფეილმა და თავსხმაში გავიდა. ყურეს კოკისპირული წვიმის ირიბი ზოლები სერავდა. გალმა ნაპირი თითქმის არ ჩანდა. ექიმი რამდენიმე ადგილობრივ მკვიდრს შეხვდა. მათ მხოლოდ ლავალავა ეცვათ და ვეებერთელა ქოლგები ეჭირათ. წელგამართულნი, დინჯი ნაბიჯითა და ტანის ლამაზი რხევით მიუყვებოდნენ გზას. გვერდზე ჩავლისას, ექიმს უღიმოდნენ და გაუგებარ ენაზე ესალმებოდნენ.

მაკფეილი მხოლოდ სადილობისას დაბრუნდა. მაგიდა მედუქნის ოთახში გაეშალათ. ეს სასტუმრო ოთახის მაგივრობასაც ეწეოდა, რომლითაც მხოლოდ დღესასწაულებზე სარგებლობდნენ, ამიტომ იყო, რომ მოძველებული და მელანქოლიური იერი ედო. კედლების გასწვრივ სუროს ნაყშიანი სკამები, ჩაემწკრივებინათ, ხოლო ჭერზე, ბუზებისაგან დასაცავად, პაპიროსის ჩაყვითლებულ ქაღალდში გახვეული მოოქროვილი ჭაღი ეკიდა. დევიდსონი არსად ჩანდა.

— გუბერნატორთან წავიდა, — თქვა მისის დევიდსონმა, — და ალბათ, სადილათაც დასტოვეს.

პატარა მსახურმა გოგონამ ჰამბურგული ბიფშტექსებით სავსე ლანგარი შემოიტანა. მალე ოთახში სახლის პატრონიც შემოვიდა იმის გასაგებად, სტუმრები კმაყოფილები იყვნენ თუ არა.

— ვგონებ ახალი მეზობელი გაგვიჩნდა, მისტერ ჰორნ? — იკითხა ექიმმა მაკფეილმა.

— ოთახი იქირავა, მხოლოდ, — უპასუხა ვაჭარმა, — ისე რომ, ჩვენთან არ ისადილებს.

მან პირმოთნე ღიმილით შეხედა ქალებს.

— ქვედა სართულში მოვათავსე, თქვენთვის ხელი რომ არ შეეშალა. თქვენ ის არ შეგაწუხებთ.

— ჩვენი გემით ჩამოვიდა? — კითხა მისის მაკფეილმა.

— დიახ, მემ[1], მეორე კლასით. აპიაში მიემგზავრება. მოლარის ადგილი უშოვია იქ.

— ჰოო!

მედუქნე გავიდა.

— „მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ცოდვაა“, — შენიშნა მისტერ მაკფეილმა, — მოსწყინდება მარტობა.

— რაკი მეორე კლასით მგზავრობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მას სავსებით აკმაყოფილებს, — თქვა მისის დევიდსონმა, — მგონი, მინახავს სადღაც მაგრამ ვერ გამიხსენებია.

— წეღან ვნახე, ბოცმანს ეოუყვანია. გვარად ტომპსონია.

— ის ხომ არ არის, წუხელ ბოცმანთან რომ ცეკვავდა? — იკითხა მისის დევიდსონმა.

ნამდვილად ის უნდა იყოს, — თქვა მისის მაკფეილმა, — მაშინვე ვიფიქრე, ვინ არის-მეთქი. მეტად მოურიდებელი მეჩვენა.

— არაფერი შვილია, — დაეთანხმა მისის დევიდსონი.

საუბარი სხვა თემაზე გადავიდა. სადილის შემდეგ დასაძინებლად წავიდწამოვიდნენ, რადგან დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ. როდესაც გაეღვიძათ, ცას ისევ ნაცრისფერი ღრუბლებით ჰქონდა პირი შეკრული, მაგრამ წვიმას გადაეღო. ამერიკელების მიერ ყურეს გასწვრივ გაყვანილ გზატკეცილებზე გასეირნება გადაწყვიტეს. უკან დაბრუნებისას დევიდსონი შინ დახვდათ. ისიც ახლა დაბრუნებულიყო.

— შეიძლება აქ ორიოდე კვირა დავრჩეთ, — უკმაყოფილოდ თქვა მან, — ვთხოვე, მაგრამ გუბერნატორმა იუარა, ვერაფერს მოგიხერხებთო.

— მისტერ დევიდსონს ერთი სული აქვს, ვიდრე თავის სამუშაოს დაუბრუ-

[1] მადამ-(შემოკლებული).

ნდება, — შენიშნა მისმა ცოლმა და შეწუხებულმა მწუხარედ გადახედა ქმარს,

— მთელი წელია, იქ არ ვყოფილვართ, — კვერი დაუკრა ქმარმა და ვერანდაზე ბოლთის ცემა განაგრძო, — მისია ადგილობრივ მისიონერთა ამარაა მიტოვებული. ვაი, თუ ყველაფერი აურდაურიონ. ღირსეული ხალხია, ვერაფერს ვუსაყვედურებ: ღვთის მოშიშარნი, თავდადებულნი, ჭეშმარიტი ქრისტიანები — მათი ქრისტიანობა ბევრ ე. წ. ქრისტიანს შეარცხვენდა ჩვენს საშობლოში, მაგრამ მეტისმეტად უქნარები არიან. შეუძლიათ ერთხელ გამოიჩინონ სიმტკიცე, ორჯერ, მაგრამ მუდმივად ვერ შეინარჩუნებენ ამას. როდესაც მისიას ადგილობრივ მკვიდრ — მისიონერის ამარა ტოვებ, როგორი სანდოც არ უნდა იყოს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ბოროტად გამოიყენებენ ამას.

მისტერ დევიდსონი შეჩერდა. მისი მაღალი, ხმელ-ხმელი ტანი, ფერმკრთალი სახე და ვეებერთელა, ანთებული თვალები მეტად შთამაგონებლად გამოიყურებოდნენ. მის დამაჯერებელ მიმოხვრაში და მკლერ, დაბალ ხმაში უღრმესი გულწრფელობა იგრძნობოდა.

— ვიცი, რომ დიდი საშუშაო მომელის და დაუყოვნებლივ შევუდგები საქმეს. დამპალი ხე უნდა მოიჭრას და დაიწვას.

საღამოთი, ვახშმის სანაცვლო გვიანი ჩაის შემდეგ, როდესაც ქალებმა საქსოვი, ხოლო ექიმმა ჩიბუხი გააწყო და ზიზილ-პიპილა სასტუმრო ოთახში შეიკრიბნენ, მისტერ დევიდსონმა კუნძულებზე თავისი მოღვაწეობის შესახებ დაიწყო აბბავი.

— იქ, პირველად რომ ჩავედით, ადგილობრივ მკვიდრთ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ღმერთზე, — ყვებოდა მისიონერი. — ერთი მეორის მიყოლებით არღვევდნენ მცნებებს, აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამით ბოროტებას სჩადიოდნენ. ვიტყოდი, რომ ჩემთვის ყველაფერზე ძნელი ის იყო, შემეგნებინებინა მათთვის ცოდვის არსი.

მაკფეილებმა იცოდნენ, დევიდსონს მთელი ხუთი წელი გაეტარებინა სოლომონის კუნძულებზე, სანამ მოშავალ ცოლს გაიცნობდა. მისის დევიდსონი ჩინეთში მისიონერობდა, ერთმანეთს კი ბოსტონში შეხვდნენ, სადაც მისიონერთა ყრილობაზე მოხვდნენ მივლინებით. ქორწინების შემდეგ ცოლ-ქმარი იმ კუნძულებზე გაამწესეს, სადაც მანამდე იღვწოდნენ.

მისტერ დევიდსონთან საუბრის დროს, ექიმსა და მის ცოლს ყოველთვის ანცვიფრებდათ ამ ადამიანის სიმტკიცე და ვაჟკაცობა. დევიდსონი ექიმი მისიონერი იყო და მისი დახმარება შეიძლება ვინმეს ყოველ წუთს დასჭირვებოდა კუნძულებზე. წვიმების სეზონის დროს ველბოტითაც[1] სახიფათო იყო აბობოქრებულ ოკეანეში მგზავრობა. მას კი ხშირად კანოეს უგზავნიდნენ ხოლმე და მაშინ საშიშროება უფრო იზრდებოდა. არასოდეს არ შეყოყმანდებოდა, თუ ავადმყოფთან, ან რაიმე უბედურ შემთხვევის გამო უძახდნენ. მრავალი ღამე გაუთენებია ნავიდან წყლის ამოხაპვაში, რათა არ დაღუპულიყო. ბევრჯერ დაკარგვია მისის დევიდსონს ქმრის დაბრუნების იმედი.

— ზოგჯერ ვემუდარები კიდეც, რომ არ წავიდეს, — თქვა მისის დევიდსონმა, — ან თუნდაც შეიცადოს, სანამ ზღვა ოდნავ დაწყნარდებოდეს, მაგრამ ყურსაც არ მიგდებს. ჯიუტია, და თუ ერთხელ მიიღო გადაწყვეტილება, ვერაფერი შეაჩერებს.

— როგორ შთავაგონო აქაურებს ღვთაების იმედი, თუ მე თვითონ შევშინდები და დავეჭვდები ამაში? — წამოიძახა დევიდსონმა, — მაგრამ მე არ მეშინია, არა. გაჭირვების ჟამს რომ მიხმობენ, მათ იციან, რომ მე მივალ, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია. და ნუთუ გგონიათ, რომ მაშინ ღმერთი მიმატოვებს, როდესაც მის ნება-სურვილს ვასრულებ? ქარი მისი სურვილისამებრ

[1] ერთანძა ნავი.

ქრის, და მშფოთვარე ტალღებიც მისი ნებით დგებიან ყალყზე.

ექიმი მაკფეილი ცოტა არ იყოს მხდალი გახლდათ. ვერაფრით ვერ შეეჩვია სანგრებზე ზარბაზნების ჭურვების ზუზუნს. როდესაც მოწინავე ხაზზე დაჭრილებს ოპერაციას უკეთებდა, მთელ ნებისყოფას ძაბავდა რომ აკანკალებული ხელები დაემორჩილებინა. დაჭიმულობისაგან წურწურით ჩამოსდიოდა შუბლიდან ოფლი და სათვალეებს უბურავდა. მან ოდნავ შიშით შეხედა მისიონერს.

— კარგი იქნებოდა შემეძლოს იმის თქმა, რომ არასოდეს არ შემშინებია.

— ისიც კარგი იქნებოდა გეთქვათ, რომ ღმერთი გწამთ, — მოუჭრა დევიდსონმა.

საღამოს მისიონერების ფიქრი რატომღაც წამდაუწუმ უბრუნდებოდა მათ მიერ კუნძულზე გატარებულ პირველ დღეებს.

— მე და მისის დევიდსონი ხშირად შევცქეროდით ერთმანეთს და ღაწვებზე ღაპაღუპით ჩამოგვდიოდა ცრემლები. მთელი დღე და ღამე გვიმუშავია შეუსვენებლად, მაგრამ ჩვენი ჯაფა თითქოს არავითარ ნაყოფს არ იძლეოდა. არ ვიცი, რას ვიზამდი მისის დევიდსონის გარეშე. როდესაც იმედი გადამიწყდებოდა და სასოწარკვეთილებამდე მივიდოდი, მამხნევებდა და ვაქაცობასაც მინარჩუნებდა.

მისის დევიდსონმა საქსოვზე დახარა თვალები. გამხდარი ლოყები ოდნავ შეეფაკლა, ხელები აუკანკალდა, მოზღვავებული გრძნობისაგან ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— მშველელი არავინ ჩანდა მარტონი ვიყავით წყვდიადში. ათასობით მილი გვაშორებდა ჩვენს ხალხს. როდესაც სულ მოვტყდებოდი და უიმედობა შემიპყრობდა, ეს გადასდებდა ხოლმე თავის სამუშაოს, აიღებდა ბიბლიას და მიკითხავდა; და მშვიდობა მოეფინებოდა ჩემს სულს. როგორც ძილი ამშვიდებს ბავშვის ქუთუთოებს. ბოლოს წმინდა წიგნს დახურავდა და მეტყოდა: „ჩვენ ვიხსნით მათ, მიუხედავად მათი სურვილისა“. მაშინ ვგრძნობდი, რომ ღმერთი ისევ ჩემთან იყო და მივუგებდი: „დიახ, ღვთის შეწევნით, მე ვიხსნი მათ, მე უნდა ვიხსნა ისინი“.

მისიონერი მიუახლოვდა მაგიდას და ისევ გაჩერდა მის წინ, თითქოს სადავითნესთან დგასო.

— საქმე ისაა, უხამსობა იმდენად ბუნებრივად მიაჩნიათ, რომ შეუძლებელი იყო აგვეხსნა, რა ბოროტებას სჩადიოდნენ. ჩვენ უნდა გვესწავლებინა, რომ მათი ბუნებრივი საქციელი — ცოდვაა. პირდაპირ ვასწავლიდით, რომ არა მხოლოდ მრუშობა, ქურდობა და სიცრუეა ცოდვა, არამედ საკუთარი სხეულის გაშიშვლებაც, ცეკვაც და ისიც, ეკლესიაში რომ არ დაიარებიან. მე ვასწავლე მათ, რომ ქალიშვილისათვის ცოდვაა შიშველი მკერდის გამოჩენა, ხოლო კაცისათვის — უშარვლოდ სიარული.

— როგორ მოახერხეთ ეს? — ოდნავ გაკვირვებით ჰკითხა ექიმმა მაკფეილმა.

— ჯარიმები დავაწესე. თავისთავად ცხადია, დასჯაა ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება აიძულო ადამიანი, შეიგნოს ამა თუ იმ საქციელით ჩადენილი ცოდვა. მე ვაჯარიმებდი მათ, თუ ეკლესიაში არ ივლიდნენ, ვაჯარიმებდი, თუ ცეკვავდნენ, ან თუ უხამსი ტანსაცმელი ეცვათ. მე დავადგინე ნიხრი და ყოველ ჩადენილ ცოდვაზე ჯარიმას ფულით ან შრომით იხდიდნენ, და ბოლოსდაბოლოს, ვაიძულე შეეგნოთ ყველაფერი.

— გადახდაზე არასოდეს უთქვამთ უარი?

— როგორ გაბედავდნენ? — იკითხა მისიონერმა.

— დიდი გულადი ვინმე უნდა იყოს, რომ ეგ გაუბედოს მისტერ დევიდსონს, — თქვა მისმა ცოლმა და ტუჩები მოკუმა.

ექიმმა მაკფეილმა ფარული ძრწოლვით შეხედა დევიდსონს, მისმა ნაამბობმა გული და გონება აუმღვრია, მაგ-

რამ საძრახისი სიტყვების ხმამაღლა თქმა ვერ გაბედა.

— არ დაივიწყოთ, რომ სასჯელის უკანასკნელ ზომად საეკლესიო თემიდან გაძევება შემოვიღე.

— მერე ეს გულთან ახლოს მიჰქონდათ?

დევიდსონმა გაიღიმა და ხელები მოიფშვნიტა.

— არ მიიტანდნენ და კოპრას[1] ვერ გაჰყიდდნენ, არც საერთო დანაჭერ თევზში ექნებოდათ წილი. საბოლოოდ კი ეს შიმშილით სიკვდილს უდრიდა. დიახ, ყველაფერი ეს გულთან ძალიან ახლოს მიჰქონდათ.

— მოუყევი ექიმს ფრედ ოლსონის ამბავი, — შეახსენა მისის დევიდსონმა.

მისიონერმა ანთებული თვალები მიაპყრო ექიმ მაკფეილს.

— ფრედ ოლსონი დანიელი მედუქნე იყო. ჩვენს კუნძულებზე კარგა დიდხანს ცხოვრობდა. მედუქნის კვალობაზე საკმაოდ მდიდარი გახლდათ. ჩვენი ჩასვლა მაინცდამაინც არ ესიამოვნა. საქმე ისაა, რომ დაჩვეულიყო თავნებობას, რაც უნდოდა იმას აკეთებდა. იქაურებს კოპრაში იმდენს უხდიდა, რამდენიც სურდა, თანაც საქონლით ან ვისკით[2] უხდიდა. ცოლად ადგილობრივი მკვიდრი ჰყავდა, მაგრამ აშკარად ღალატობდა. ლოთობდა კიდეც. გამოსწორების საშუალება მივეცი, მაგრამ ეს აინუნშიაც არ ჩააგდო. აბუჩად ამიგდო.

ბოლო სიტყვები დევიდსონმა მეტად დაბალი, ბოხი ხმით წარმოსთქვა და ორიოდე წუთი დადუმდა. ჩამოვარდნილი სიჩუმე რაღაც მუქარით გაივსო.

— ორ წელიწადში გაკოტრდა. დაკარგა ყველაფერი, რაც ოცდახუთი წელი ეგროვებინა. მე მოვტეხე იგი და ბოლოს იძულებული გახდა, მათხოვარივით მოსულიყო ჩემთან და სიდნეიში გასამგზავრებელი ფული ეთხოვა.

— ნეტავი ერთი გენახათ მისტერ დევიდსონთან რომ მოვიდა, — თქვა მისიონერის ცოლმა, — ადრე ჯანსაღი, მხნე მამაკაცი იყო, კარგად ჩასუქებული და ღონიერი, ვაჟკაცური, ახლა კი ჩხირივით ჩამომხმარიყო და სულ ცახცახებდა. ერთბაშად მობერებულიყო.

დევიდსონმა სარკმელს მიღმა წყვდიადს გაუშტერა თვალი. ისევ კოკისპირულად წვიმდა.

ქვევიდან რაღაც ხმები მოისმა; დევიდსონი შემოტრიალდა და კითხვის თვალით შეხედა ცოლს. გრამოფონი მაღალი და ჩახლეჩილი ხმით რაღაც დარდიმანდულ მოტივს გაჰკიოდა.

— ეს რა არის? — იკითხა მისიონერმა.

მისის დევიდსონმა პენსნე შეისწორა ცხვირზე.

— ერთმა მეორე კლასის მგზავრმა ქალმა ოთახი დაიქირავა. ალბათ, იქიდან ისმის.

გაჩუმდნენ და ყური მიუგდეს. ჩქარა ფეხის ფლატუნის ხმა მოესმათ, — ქვევით ცეკვავდნენ, შემდეგ მუსიკა მიწყდა. ახლა მათ ყურამდე მხიარულმა შეძახილებმა და ბოთლიდან საცობის ამოძრობის ხმამ მიაღწია.

— ალბათ გემზე გაცნობილებს თუ მოუწყო გამოსათხოვარი საღამო. — თქვა ექიმმა მაკფეილმა, — გემი მგონი, თორმეტზე გადის, არა?

დევიდსონმა არაფერი უპასუხა, მაგრამ საათს დახედა.

— მზადა ხარ? — ჰკითხა ცოლს.

— დიახ, — უპასუხა მისის დევიდსონმა, ადგა და საქსოვი გადაახვია.

— ჯერ ადრე არ არის ძილი? — შენიშნა ექიმმა.

— ჩვენ ახლა წავიკითხავთ, — აუხსნა მისის დევიდსონმა, — სადაც აო უნდა ვიყოთ, ძილის წინ ყოველთვის ვკითხულობთ ხოლმე ბიბლიიდან ერთ თავს, ვარჩევთ და დაწვრილებით ვმსჯელობთ. ეს შესანიშნავად ახვითარებს გონებას.

მათ ღამე მშვიდობისა უსურვეს ერთმანეთს და დევიდსონები წავიდნენ. ექიმი და მისის მაკფეილი მარტო დარჩნენ, რამდენიმე ხანს სდუმდნენ.

[1] ქოქოსის კაკლის გული (შ. მთარგ.)
[2] ქერისაგან გამოხდილი სპირტიანი სასმელი.

— წავალ და ბანქოს მოვიტან, — თქვა ბოლოს ექიმმა.

მისის მაკფეილმა ეჭვის თვალით გადახედა. დევიდსონებთან საუბარძა უსიამოვნო გრძნობა დაუტოვა, მაგრამ ვერ გაებედნა ქმრისვთის იძის თქმა, რომ არ ღირდა ბანქოს ჩაჯდომოდნეს, მისიონერებს ყოველ წუთს შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ ოთახში. ექიმმა ქაღალდის დასტა მოიტანა. მისის მაკფეილმა დამნაშავე ადამიანის იერით დაუწყო ყურება, როგორ შლიდა მისი ქმარი პასიანსს.[1] ქვევიდან ისევ ისმოდა მხიარული ხმა.

მეორე დღეს ოდნავ გამოიდარა. პაგო-პაგოში ორი კვირით უქმად ყოფნისთვის განწირული მაკფეილები მზადებას შეუდგნენ. ნავსადგურში ჩავიდნენ, რათა ჩემოდნებიდან წიგნები ამოეღოთ. ექიმმა ფლოტის ჰოსპიტალის მთავარი ექიმი ინახულა და საავადმყოფოში შემოვლაზე გაჰყვა. გუბერნატორს სადარბაზო ბარათები დაუტოვეს. გზაზე მისს ტომპსონი შემოხვდათ. ექიმმა ქუდი მოუხადა, მისს ტომპსონიც მხიარულად და ხმამაღლა მიესალმა: „დილა მშვიდობისა, ექიმო!“ მას ახლაც თეთრი კაბა ეცვა. მაღალქუსლიანი თეთრი ლაკის ჩექმების ყელებთან ამობურცული, ჩასუქებული წვივები რაღაც ვერ ეხამებოდა ეგზოტიკურ გარემოს.

— მართალი გითხრა, არა მგონია ტანისამოსი სავსებით შეეფერებოდეს, — შენიშნა მისის მაკფეილმა, — ეს ქალი ძალიან ვულგარული მეჩვენება.

შინ რომ დაბრუნდნენ, მისს ტომპსონი მედუქნის მუქანიან ბიჭუნას ეთამაშებოდა ვერანდაზე.

— გაეცი ხმა, — წასჩურჩულა ექიმმა ცოლს, — სულ მარტოა და ცუდია, ყურადღებას რომ არ ვაქცევთ.

მისის მაკფეილი მოკრძალებული ქალი იყო, მაგრამ ქმრის სურვილს ყოველთვის ემორჩილებოდა.

— თუ არა ვცდები, მეზობლები უნდა ვიყოთ, — დაიწყო მან საკმაოდ უხერხულად.

— პირდაპირ საშინელებაა ასეთ ორმოში გაჩხირვა, არა? უპასუხა მისს ტომპსონმა, — თან იმასაც მეუბნებიან, ბედმა გაგიღიმა, რომ ეს ოთახი იშოვეო. აქაურების ქოხში ვერ ვიცხოვრებდი. ჩვენი მგზავრებიდან ზოგიერთები კი იძულებული გახდნენ. ვერ გამიგია, რატომ არა აქვთ სასტუმრო.

კიდევ რაღაცა უთხრეს ერთმანეთს. ენად გაკრეფილი მისს ტომპსონი ჭორაობის გუნებაზე იყო, მაგრამ მისს მაკფეილმა ჩქარა ამოწურა საერთო ფრაზების არც თუ ისე მდიდარი მარაგი და დასძინა:

— ვგონებ დროა, შინ წავიდეთ.

საღამოთი მისიონერები და მაკფეილები ჩაიზე შეიკრიბნენ.

— იმ ქალს, ქვევით რომ ცხოვრობს, ორი მეზღვაური უზის. ვერ გამიგია, როდის მოასწრო მათი გაცნობა. — შემოსვლისას თქვა დევიდსონმა.

— მგონი, დიდი წუნია არ უნდა იყოს, — გამოეხმაურა მისის დევიდსონი.

ასეთი ფუჭი, უაზრო დღის შემდეგ ყველანი მოღლილად გრძნობდნენ თავს.

— მთელი ორი კვირა თუ ასე გაგრძელდა, არ ვიცი რა გაგვაძლებინებს, — თქვა ექიმმა მაკფეილმა.

— აუცილებელია, დღე რაიმე საქმით შევავსოთ, — უპასუხა მისიონერმა, — მკაცრი რეჟიმი უნდა შემოვიღოთ. მე გამოგიყოფთ გარკვეულ საათებს კითხვისათვის, გარკვეულ საათებს სეირნობისთვის. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, წვიმების სეზონში სინესტეს ყურადღება არ ექცევა, და გარკვეულ საათებს გართობისათვის.

ექიმმა მაკფეილმა შიშით შეხედა თანამოსაუბრეს. დევიდსონის გეგმები გულზე შემოაწვა. ისინი ისევ ჰამბურგულ ბიფშტექსებს შეექცეოდნენ. ეტყობოდა, მზარეულმა სხვა კერძის გაკეთება არ იცოდა. ქვევით ისევ გაისმა გრამოფონის ხმა. დევიდსონი ნერვიულად შეკრთა, მაგრამ არაფერი უთქვამს. გაისმა მამაკაცის ხმაც. მისს ტომპსონის

[1] ბანქოს გარკვეული წესით გაშლა: გასართობად, სამკითხაოდ, ან ფიქრის შესამოწმებლად.

სტუმრები ნაცნობ მელოდიას აყვნენ. ჩქარა მის ტომპსონის მაღალი, ხრინწნარევი ხმაც შეუერთდა. გახშირდა მხიარული შეძახილები და სიცილი. ზევით ოთხივე ცდილობდა საუბრის გაგრძელებას, მაგრამ უნებლიედ უგდებდნენ ყურს ჭიქების წკრიალს და სკამების ჩაჩოჩების ხმას. ეტყობოდა, სტუმრები მომრავლდნენ. მისს ტომპსონს წვეულება ჰქონდა.

— ნეტავი როგორ ეტევიან? — მოულოდნელად იკითხა მისის მაკფეილმა, რითაც საუბარი გააწყვეტინა მისიონერსა და მის ქმარს, რომლებიც მედიცინის რაღაც საკითხზე მსჯელობდნენ. ამ სიტყვებით გასცა თავისი თავი, რომ ტომპსონზე ფიქრობდა. დევიდსონმა შუბლი შეიჭმუხნა. მართალია, ის ახლა მეცნიერებაზე საუბრობდა, მაგრამ იმ კითხვამ მასაც გაუელვა თავში. უცებ სიტყვა გააწყვეტინა ექიმს, რომელიც საკმაოდ უხალისოდ ყვებოდა თავის ფრონტულ ამბებს ფლანდრიაში და ხმამაღალი წამოძახილით ფეხზე წამოხტა.

— რა მოხდა ალფრედ? — ჰკითხა მისის დევიდსონმა.

— რასაკვირველია! როგორ ვერ მიხვდი მაშინვე? ეს ქალი იუელეიდან არის.

— შეუძლებელია.

— გემზე ჰონოლულუში ამოვიდა. ყველაფერი ნათელია, ახლა აქ აგრძელებს თავის ხელობას, აქ!

უკანასკნელი სიტყვები ცხარე გულისწყრომით წამოიძახა.

— რა არის იუელეი? — იკითხა მისის მაკფეილმა.

წარბშეკრულმა დევიდსონმა შეხედა მას და ზიზღისაგან აკანკალებული ხმით მიუგო:

— ჰონოლულუს ჩირქოვანი წყლული. წითელი ფარნების კვარტალი. ჩვენი ცივილიზაციის სამარცხვინო ლაქა.

იუელეი ქალაქის განაპირას მდებარეობდა. ნავსადგურის გასწვრივი ბნელი, პატარა ქუჩები, მოფამფალებული ხიდი, ოღროჩოღრო, ღრანტეებიან გზაზე გადიოდა. გზის ორივე მხარეს მანქანების სადგომები, თამბაქოს პატარა საკეთებლები და სადალაქოები — მოსჩანდა. სინათლეზე ბრჭყვიალებდნენ ოქროთი მოვარაყებული კაფეები, ჟღრიალებდნენ პიანოლები. ყველგან იგრძნობოდა აღტკინებული მხიარულება და დაჭიმული მოლოდინი. გზა შუაზე ყოფდა იუელეის. ვიწრო ქუჩები კვარტალის შუაში მიემართებოდა. ფართე და სწორ სასეირნო ქუჩების გასწვრივ ფაქიზად შეღებილი მწვანე, პატარა სახლები ჩამწკრივებულიყვნენ. კვარტალი აგარაკივით იყო მოწყობილი. ეს რესპექტაბელური სიმეტრია, სისუფთავე და კოპწიაობა საზიზღარ დაცინვასა ჰგავდა, რადგან სიყვარულის ძიება არასოდეს ყოფილა ასე მოწესრიგებული. მიუხედავად აქა-იქ ბბეუტავი ფარნებისა, გზები სიბნელით იქნებოდა მოცული, მწვანე სახლების ღია სარკმლებიდან რომ არ გადმოღვრილიყო შუქი. გზებზე მამაკაცები მიმოდიოდნენ, ათვალიერებდნენ სარკმელებთან წიგნით ან საქსოვით ხელში მსხდომ ქალებს. ქალები, უმეტესად, იოტის ოდენა ყურადღებასაც არ იჩენდნენ გამვლელთა მიმართ. აქ იყვნენ თითქმის ყველა ეროვნების ქალები და კაცები. მათ შორის ამერიკელი მეზღვარები, რომლებიც ნავსადგურში მდგომ გემებიდან მოსულიყვნენ, მთვრალი და პირქუში სამხედრო მეზღვაურები განბოტებიდან;[1] თეთრი და შავკანიანი ჯარისკაცები კუნძულზე განლაგებული ჯარის ნაწილებიდან; წყვილად ან სამ-სამად მოსიარულე იაპონელები; კანაკები; გრძელ ხალათებში გამოწყობილი ჩინელები და უცნაურქუდიანი ფილიპინელები, ყველანი სიტყვაძვირნი და თითქოს სევდიანები ჩანდნენ. სურვილი ყოველთვის სევდიანია.

— ამაზე მეტი სისაძაგლე მთელს წყნარ ოკეანეზე არ ნახულა — თითქმის ყვიროდა დევიდსონი. — ამის წინააღმდეგ მრავალი წლის მანძილზე გამო-

[1] ზარბაზნიანი ნავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდნენ მისიონერები პროტესტით, ბოლოს საქმეს ადგილობრივმა პრესამ მოკიდა ხელი. პოლიციას თითის განძრევაც არ სურდა. იცით რას იმიზეზებდნენ? — ბიწიერება გარდაუვალია და აქედან ყველაზე საუკეთესო გამოსავალია, მისი ლოკალიზება და კონტროლის ქვეშ დაყენებაო. უბრალოდ, ფულს უხდიდნენ მათ, დიახ, უხდიდნენ. ფულს უხდიდნენ ბარის პატრონები, გარყვნილების ბუდეების მესაკუთრენი, უხდიდნენ თვით ქალებიც. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდნენ ზომები მიეღოთ.

— ამის შესახებ ჰონოლულუში გემზე ამოტანილ გაზეთებში წავიკითხე, — თქვა ექიმმა მაკფეილმა.

— იულეიმ, ამ ცოდვებისა და სამარცხვინო დაღთა გროვამ, სწორედ ჩვენი ჩასვლის დღეს შესწყვიტა არსებობა. მისი ბინადარნი ხელისუფლებას გადაეცნენ. საოცარია, რატომ მაშინვე ვერ მივხვდი, ვინც ბრძანდებოდა ეს ქალბატონი.

— ახლა თქვენს ნათქვამზე მეც გამახსენდა, — თქვა მისის მაკფეილმა, — მახსოვს, გემის გასვლამდე რამოდენიმე წუთით ადრე ამოვიდა იგი გემბანზე. მახსოვს, ისიც კი გავიფიქრე — დროზე მოუსწრო-მეთქი.

— როგორ გაბედა აქ მოსვლა! — გულისწყრომით წამოიძახა დევიდსონმა, — მე ამას არ მოვითმენ!

ის მტკიცე ნაბიჯით გაემართა კარისაკენ.

— რას აპირებთ? — ჰკითხა მაკფეილმა.

— როგორ თუ რას ვაპირებ? მე ამას ბოლო უნდა მოვუღო. არ დავუშვებ, რომ ეს სახლი გადააქციონ... გადააქციონ...

ის სიტყვას ეძებდა, სიტყვას, რომელიც მანდილოსნების სმენას არ შეურაცხყოფდა. თვალები უელავდა, უფერული სახე მღელვარებისაგან უფრო გაფითრებოდა.

— ხმებზე ეტყობათ, იქ ოთხ მამაკაცზე ნაკლები არ უნდა იყოს, — თქვა ექიმმა, — ხომ არა გგონიათ, რომ ახლა იქ ჩასვლა უხიფათოა.

მისიონერმა აბუჩად აგდები იერით შეხედა მას და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

— თქვენ მისტერ დევიდსონს არ იცნობთ, ნუ ფიქრობთ, რომ ხიფათის შიში მოვალეობის აღსრულებაში ხელს შეუშლის. — თქვა მისის დევიდსონმა.

მას ყვრიმალები წამოწითლებოდა და ნერვიულად ხელებგადაჭდობილი უგდებდა ყურს, თუ რა ხდებოდა ქვემოთ. ყველანი დაძაბულნი უსმენდნენ. მოესმათ, როგორ ჩაირბინა დევიდსონმა ხის საფეხურები და კარი შეაღო. სიმღერა შეწყდა. მხოლოდ გრამაფონი განაგრძობდა უგვანო მოტივის ჭყვიტინს. მათ ყურამდე დევიდსონის ხმამ და შემდეგ რაღაც ძძიმე საგნის ბრაგვანმა მოაღწია. მუსიკა შეწყდა. ეტყობოდა, გრამაფონი ჩამოაგდო. შემდეგ ისევ დევიდსონის ხმა მოისმა, სიტყვების გარჩევას ვერ ახერხებდნენ. გაისმა მისს ტომპსონის წივილ-კივილიც. მას რაღაც აურზაური მოჰყვა, თითქოს რამოდენიმე ადმაიანი ერთად გაჰყვიროდა მთელის ხმით.

მისის დევიდსონმა ოხვრას გული ამოაყოლა და უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი ხელს. ექიმი მაკფეილი დაბნეული შესცქეროდა ხან მას, ხან ცოლს. დევიდსონთან ჩასვლა არ უნდოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ქალები სწორედ ამას მოელოდნენ მისგან. ქვევიდან რაღაც ჯახირისა და დავიდარაბის ხმა მოისმა. დევიდსონს თუ აგდებდნენ ოთახიდან გარეთ. კარი გაჯახუნდა. სიჩუმე ჩამოვარდა და მოესმათ, როგორ ამოუყვა დევიდსონი კიბეებს. მან თავის ოთახს მიაშურა.

— მასთან წავალ, — თქვა მისის დევიდსონმა, ადგა და ოთახიდან გავიდა. — თუ დაგჭირდეთ, დამიძახეთ, — დაადევნა მისის მაკფეილმა და, როდესაც მისიონერის ცოლმა კარი გაიხურა, დასძინა, — იმედია, მას არაფერი დაუშავეს.

— რას ეჩრება სხვის საქმეში? — თქვა ექიმმა მაკფეილმა.

რამოდენიმე წუთი გაჩერებულნი ისხდნენ და უცებ შეკრთნენ: ქვევით ისევ აყრიალდა გრამაფონი. ჩახლეჩილმა ხმებმა დამცინავად და გამომწვევად წამოიწყეს უხამსი სიმღერა.

მეორე დღეს მისის დევიდსონი დაღლილი და ფერდაკარგული ჩანდა. თავის ტკივილს უჩიოდა. თითქოს მობერებულიყო, მისის მაკფეილს უთხრა, რომ მისიონერს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, საშინლად აფორიაქებული იყო და ხუთ საათზე სახლიდან გავიდაო. წინადღის აურზაურის დროს მისთვის ლუდი გადაესხათ. ტანსაცმელი ერთნაირად დაელაქავებინათ და საზიზღარი სუნი ასდიოდა. ტომპსონის ხსენებაზე მისის დევიდსონის თვალებში ავი ცეცხლი აკიაფდა.

— მწარედ ინანებს იმ დღეს, როცა მისტერ დევიდსონს დასცინა. — თქვა მან, — მისტერ დევიდსონს შესანიშნავი გული აქვს. კაცი არ მოიძებნება, გაჭირვების ჟამს მასთან მოსულიყოს და დამშვიდებული, დაწყნარებული არ გაესტუმრებინოს. მაგრამ ცოდვისადმი ულმობელია. მისი ალალმართალი რისხვა — საშინელებაა.

— რას იზამს? — ჰკითხა მისის მაკფეილმა.

— არ ვიცი, მაგრამ ამ ქვეყნად არაფრის ფასად არ დავეთანხმებოდი იმ არსების ადგილზე ყოფნას.

მისის მაკფეილი მოიბუზა. პატარა მისის დევიდსონის მოზეიმე რწმენაში რაღაც ავისმომასწავებელი ჩანდა. დილით სასეირნოდ აპირებდნენ წასვლას და კიბეზე ერთად ჩავიდნენ. ქვედა ოთახის კარი ღია იყო და დაფლეთილ —გაზინთულ ხალათში გამოხვეულ მისს ტომპსონი შენიშნეს. რაღაცას იმზადებდა ტაფაზე.

— დილა მშვიდობისა! — შემოსძახა მან, — როგორ ბრძანდება მისტერ დევიდსონი, უკეთ არაა ამ დილით?

მათ უსიტყვოდ, ცხვირაწეულებმა, ჩაუარეს გვერდით, თითქოს არ შეუმჩნევიათო, მაგრამ როდესაც მისს ტომპსონი დამცინავად ახარხარდა, მისის დევიდსონმა ვეღარ მოითმინა და შემოტრიალდა.

— არ გაბედო ჩემთან ლაპარაკი, — ჩემი შეურაცხყოფისათვის აქედან კისრისტეხით გაგაგდებენ.

— მიბრძანეთ ერთი, ვინ დაპატიჟა მისტერ დევიდსონი?

— არ უპასუხოთ, — სწრაფად უჩურჩულა მისის მაკფეილმა და საუბარი მხოლოდ მაშინღა განაახლეს, როდესაც მათი ხმა უკვე აღარ მიაღწევდა ტომპსონამდე.

— უნამუსო, სინდისგარეცხილი! — აღმოხდა მისის დევიდსონს.

ბრაზისაგან სუნთქვა ეკვროდა.

სეირნობიდან დაბრუნებისას, სანაპიროსაკენ მიმავალ მისს ტომპსონს წააწყდნენ ისევ. თავისი ჩვეულებრივი ტანისამოსი ეცვა. უგემოვნო, ჭრელ ყვავილებიანი ვეებერთელა თეთრი შლაპა თითქოს შეურაცხმყოფელად გამოიყურებოდა. გვერდზე ჩავლისას რაღაც დაიძახა მხიარულად. შორიახლოს მდგომ ორ ამერიკელ მეზღვაურს გაეღიმა, როდესაც პასუხის ნაცვლად ქალების ყინულივით ცივი მზერა შენიშნეს. მისის დევიდსონმა და მისის მაკფეილმა ის ის იყო სახლს მიაღწიეს, რომ ისევ გაწვიმდა.

— უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი მორთულობა საკმაოდ დაზიანდება, — თქვა მისის დევიდსონმა ღვარძლიანად.

ის იყო ამთავრებდნენ სადილს, დევიდსონი რომ დაბრუნდა. მთლად გალუმპულიყო, მაგრამ ტანისამოსის გამოცვლა არ ისურვა. ჩუმად, პირქუშად იჯდა და საჭმელს არ ეკარებოდა. თვალგაშტერებული უცქერდა წვიმის ირიბ ძაფებს. მან არაფერი უპასუხა მისის დევიდსონს, როდესაც ტომპსონთან შეხვედრის ამბავი უამბო. მის მოღუშულ სახეზე ჩანდა, რომ ცოლს უსმენდა.

— როგორ ფიქრობთ, მოვთხოვოთ თუ არა მისტერ ჰორნს იმ ქალის გასახლება? — იკითხა მისის დევიდსონ-

მა. — ჩვენ ვერ დავუშვებთ ასეთ დაცინვას და აბუჩად ადგებას.

— კი მაგრამ სად წავიდეს? — იკითხა ექიმმა.

— რომელიმე ადგილობრივ მკვიდრთან გაჩერდეს.

— ასეთ ამინდში მათი ქოხები არ ვარგა საცხოვრებლად.

— მრავალი წელი ვცხოვრობდი მათ ქოხებში, — თქვა მისიონერმა.

მსახურმა გოგონამ ყოველდღიური ჩაროზი, შემწვარი ბანანები შემოიტანა.

— კითხეთ მისს ტომპსონს, როდის შეიძლება მასთან ჩასვლა, — მიმართა მისტერ დევიდსონმა.

გოგონამ გაუბედავად დაუქნია თავი და გავიდა.

— რა გინდა მასთან, ალფერდ? — ჰკითხა ცოლმა.

— ეს ჩემი მოვალეობაა. მე არავითარ ზომებს არ მივმართავ, ვიდრე გამოსწორების საშუალებას არ მივცემ.

— შენ არ იცი, რას წარმოადგენს იგი. ისევ შეურაცგყოფს.

— დაე, შეურაცხმყოს, დაე, მომაფურთხოს. მას უკვდავი სული გააჩნია და უნდა მოვიმოქმედო ყველაფერი, რაც კი ჩემს ძალღონეს არ აღემატება, უნდა ვიხსნა იგი.

მისის დევიდსონს ჯერ ისევ ყურებში ედგა მეძავის დამცინავი ხარხარი.

— ის ძალზე დაცემულია.

— ძალზე დაცემული ღვთის შეწყალებისათვის? — მისიონერს უცებ გაუბრწყინდა თვალები, დაურბილდა, გაუნაზდა ხმა. — არასოდეს, დაე, ცოდვილი ჯოჯოხეთზე უღრმეს ცოდვაში ჩაეფლოს, ჩვენი ღვთაების იესოს სიყვარული იქაც მისწვდება.

მსახური გოგო დაბრუნდა და დანაბარები მოუტანა.

— მისს ტომპსონმა მიბრძანა, თაყვანი გადმოგცეთ და, თუ მისი მაღალღირსება დევიდსონი სამუშაო საათებში არ ეწვევა, მოხარული იქნება გიხილოთ ნებისმიერ ჟამს.

ამ სიტყვებს სამარისებური სიჩუმით შეხვდნენ. ექიმმა ძლივს შეიკავა ღიმილი. მან იცოდა, რომ მის ცოლს არ მოეწონებოდა, თუ ასეთ თავხედობას ხუმრობად ჩათვლიდა.

სადილზე სდუმდნენ. შემდეგ ქალები ადგნენ და ხელსაქმეს მოკიდეს ხელი. მისის მაკფეილი მორიგ ყელსახვევზე ირჯებოდა — ომის დაწყებიდან ურიცხვი ყელსახვევი ჰქონდა მოქსოვილი. ექიმმა ჩიბუხს მოუკიდა. მარტო დევიდსონი არ დაძრულა ადგილიდან. უაზროდ დასჩერებოდა მაგიდას. რამდენიმე ხნის შემდეგ ადგა და უსიტყვოდ დასტოვა ოთახი. კიბეებიდან მისი ფეხის ხმა მოისმა. შემდეგ გამომწვევი „მობრძანდით“, რომლითაც მისს ტომპსონი გამოეხმაურა კარზე დაკაკუნებას. დევიდსონმა მთელი საათი დაჰყო მასთან. ექიმი მაკფეილი ფანჯარაში იცქირებოდა. წვიმა უკვე მის ნერვებზე მოქმედებდა. ეს არ გავდა ინგლისურ ჟუჟუნა წვიმას, რომელიც წყნარად ესხურება დედამიწას. ეს რაღაცნაირად ულმობელი და შემაძრწუნებელი წვიმა იყო. მასში პირველყოფილი ველური ბუნების გაავება იგრძნობოდა და კი არ მოდიოდა, — იღვრებოდა. ალბათ, წარღვნის დროს თუ წვიმდა ასე. ის ჯიუტი დაჟინებით უკაკუნებდა თუნუქის სახურავებს. ჭკუიდან შეშლიდა კაცს. მასში რაღაც სიშმაგე იყო, დროდადრო გეჩვენებოდა, რომ კიდევ ცოტა და კივილს დაიწყებდით; შემდეგ საშინელ სისუსტეს გრძნობდით, სხეული გეთენთებოდათ და უიმედო სევდა გიპყრობდათ.

მაკფეილმა თავი მოაბრუნა, როცა მისიონერი სასტუმროში შემოვიდა, ქალებმა ხელსაქმე მიატოვეს.

— მე რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე. მოვუწოდე მოენანიებინა ცოდვები. ის ბოროტი ქალია.

დევიდსონი დადუმდა. ექიმმა მაკფეილმა შენიშნა, რომ მას თვალები ჩაუმუქდა, ფერმკრთალ სახეზე მკაცრი და მტკიცე იერი დაედო.

— ახლა ხელთ ვიღებთ არგანსა ღვთისას, რომლითაც მაცხოვარმა იე-

სომ განდევნა მევახშენი და ყალბი ფულის მჭრელნი ზენაარის ტაძრიდან.

მან ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში, შავი წარბები შეეჭმუხნა, ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული.

— ქვეყნის დასალიერზე რომ დამემალოს, იქაც მივწვდები.

მისიონერი უცებ შემოტრიალდა და ოთახიდან გავიდა. მათ მოესმათ, რომ ის ისევ ქვემოთ ჩავიდა.

— რას აპირებს? — იკითხა მისის მაკფეილმა.

— არ ვიცი. — მისის დევიდსონმა პენსნე მოიხსნა და გაწმინდა. — როდესაც ღვთის სადიდებლად იღწვის, მე არაფერს ვეკითხები.

მან ამოიოხრა.

— რა დაგემართათ?

— ახლა თან გადაყვება. თავს არ დაზოგავს.

მისიონერის მოღვაწეობის პირველი შედეგები ექიმმა მაკფეილმა მეტის მედუქნისგან შეიტყო. ჰორნმა დაუმახა, როდესაც ექიმმა სავაჭროს ჩაუარა გვერდით და შემდეგ ზღურბლზე გამოვიდა სალაპარაკოდ. მსუქან სახეზე შეშფოთება ეხატა.

— მისი მაღალღირსება დევიდსონი მე დამეტაკა, მისს ტომპსონს ოთახი რად მიაქირავეო, — დაიწყო მან, — მაგრამ, რა ვიცოდი მაშინ, ვინ იყო. როცა ხალხი ჩემს ოთახებს ქირაობს, მე მხოლოდ ერთი რამე მაინტერესებს, აქვთ თუ არა ფულის გადახდის თავი. მან მთელი კვირისა გადამიხადა წინასწარ.

ექიმმა მაკფეილმა არ თქვა, რაც ჰქონდა აზრად.

— ბოლოს და ბოლოს, ეს თქვენი სახლია. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ, რომ შეგვიფარეთ.

ჰორნმა ეჭვის თვალით შეხედა. მას ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია, უთანაგრძნობდა ექიმი მაკფეილი მისიონერს თუ არა.

— მისიონერები ყოველთვის ერთმანეთს უჭერენ მხარს, — ყოყმანით დაიწყო მან, — და თუ მოვაჭრეზე გაჯავრდნენ, ჯობია, მაშინვე მიანებოს კაცმა თავი ყველაფერს.

— იმ ქალის გაგდება ხომ არ მოგთხოვათ?

— არა. მან თქვა, რომ სანამ წესიერად მოიქცევა, ხელს არ ვახლებო. თავაც დასძინა, რომ არც ჩემს მიმართ სურდა უსამართლობის გამოჩენა. დავპირდი, რომ სტუმრები არ ივლიან იმ ქალთან. სწორედ ახლახან განვუცხადე ეს მისს ტომპსონს.

— მერე, რაო?

— გამომლანძღა.

მედუქნე უხერხულობისაგან შეიშმუშნა. ეტყობოდა, მისს ტომპსონთან საუბრით მაინცდამაინც ნასიამოვნები არ იყო.

— ალბათ, თვითონვე გადავა სადმე. არა მგონია, დარჩეს, რაკი სტუმრების მიღება აუკრძალეთ, — თქვა ექიმმა.

— სად უნდა გადავიდეს? ვისთან? ახლა აღარც სხვები მიიღებენ, რაკი მისიონერებმა კბილი დაასვეს.

ექიმმა მაკფეილმა წვიმას გახედა.

— აზრი არა აქვს გამოდარებას უცადოს კაცმა.

საღამოთი, სასტუმრო ოთახში დევიდსონმა კოლეჯში გატარებული წლების ამბები მოუთხრო. ის ხელმოკლე სტუდენტი ყოფილიყო და კოლეჯი არდადეგების დროს ნაშოვნი ფულით დაემთავრებინა. ქვევით ჩამიჩუმი არ ისმოდა. მისს ტომპსონი მარტო იჯდა თავის პატარა ოთახში. უცებ გრამოფონის ხმა გაისმა. ის ჯიბრით და თან იმ სურვილით უკრავდა, რომ თავი დაეღწია მარტოობისთვის, მაგრამ ამყოლი არავინ იყო და მუსიკა სევდიანად გაისმოდა. თითქოს საშველად უხმობდა ვინმეს. დევიდსონს წარბიც არ შეუტოკებია. სახის გამომეტყველების შეუცვლელად განაგრძო თავისი ამბის მოყოლა. გრამოფონი ერთ ამბავში იყო. მისს ტომპსონი ერთიმეორის მიყოლებით ცვლიდა ფირფიტებს; სიბნელე და სიჩუმე ნერვებს უშლიდა. დახუთული ღამე იდგა. მაკფეილები დასაძინებლად წავიდნენ, მაგრამ

დიდხანს ვერ მოახერხეს დაძინება. თვალღია იწვნენ და ბადეებთან კოლოების გაავებულ ზუზუნს უგდებდნენ ყურს.

— ეს რა არის? — ჩურჩულით დაარღვია სიჩუმე მისის მაკფეილმა.

ფიცრის ტიხარის იქით ხმა გაისმა, დევიდსონის ხმა. იგი თანაბარი მონოტონურობით საზეიმოდ ყღერდა. მისიონერი ხმამაღლა ლოცულობდა. ლოცულობდა მისს ტომპსონის სულისათვის.

გავიდა ორი-სამი დღე. ახლა, შარაგზაზე შეხვედრისას, მისს ტომპსონი აღარ ესალმებოდა მისის დევიდსონსა და მისის მაკფეილს ირონიული ღიმილითა და ზედმეტი თავაზიანობით, თითქოს არც კი ამჩევსო, ცხვირაწეული და სახეამრეზილი ჩაუვლიდა გვერდით. მედუქნემ შეატყობინა მაკფეილს — ტომპსონმა სხვა ოთახის შოვნა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ის ყოველ საღამოს უკრავდა გრამოფონს, მაგრამ ᲫᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ მხიარულებით ვერავის უბამდა თვალს. ცოცხალი სიმღერა თუმცა ყურის წამღებად ისმოდა, მაგრამ სასოწარკვეთილ სევდიან მელოდიად ყღერდა. კვირა დღეს, როდესაც მან ისევ მომართა გრამოფონი, დევიდსონმა ჰორნი მიუგზავნა და თხოვა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა მუსიკა, რადგან ეს დღე ღმერთს ეკუთვნოდა. გრამოფონი გაჩუმდა. სახლში დუმილი გამეფდა. სიჩუმეს მხოლოდ თუნუქის სახურავზე წვიმის თანაბარი შხაპუნი არღვევდა.

— მგონი, ის ქალი უფრო ნერვიულობს, — უთხრა მედუქნემ მაკფეილს მეორე დღეს. — არ იცის, რას უპირებს მისტერ დევიდსონი და ეშინია.

დილით მაკფეილმა თვალი მოკრა მისს ტომპსონს და მაშინვე შეამჩნია, რომ მთელი მისი თვითრწმენა გამქრალიყო. დევნით გატანჯული ნადირის სახე ჰქონდა. ჰორნმა ალმაცერად შეხედა ექიმს და ფრთხილად ჰკითხა:

— თქვენ, ალბათ არ იცით, რას უპირებს მისტერ დევიდსონი?

— არ ვიცი.

ჰორნის შეკითხვამ ექიმი შეაშფოთა. ისიც ამჩნევდა, რომ მისიონერი სადუმლოდ რაღაცას საქმიანობდა. გრძნობდა, რომ დევიდსონი ჯიუტად და ფრთხილად ქსელავდა უხილავ ბადეს იმ ქალის ირგვლივ, რათა, როცა ყველაფერი მზად იქნებოდა, მოულოდნელად მოეწია მარყუჟი.

— მან მიბრძანა გადამეცა ქალისთვის, — თქვა მედუქნემ, — რომ თუ მისიონერი დასჭირდება, რა დროც არ უნდა იყოს, აცნობოს ვინმეს პირით და ის აუცილებლად მივა.

— მერე, ქალმა რა უპასუხა?

— არაფერი. მეც აღარ დავუცადე. გადავეცი, რაც მიბრძანეს და წამოვედი. შემეშინდა, ტირილი არ დაეწყო.

— მარტოობა ნერვებს უშლის, — თქვა ექიმმა, — თან ეს წვიმაც... ამისგან გაგიჟება შეიძლება, — ბრაზით განაგრძო მან, — ბოლოსდაბოლოს, გადაიღებს ხოლმე ამ დაწყევლილ კუნძულზე თუ არა?

— ამ დროს თითქმის გადაუღებლად წვიმს. წელიწადში ჩვენთან სამასი დიუიმი[1] ნალექია. ეს სულ ყურეს ფორმის ბრალია. კაცი იფიქრებს, მთელი ოკეანის ღრუბლებს აქეთ ეწევაო.

— ეშმაკსაც წაუღია ეს ყურე თავის ფორმიანად, — თქვა ექიმმა.

კოღოს ნაკბენი მოიფხანა. გაღიზიანება და ბრაზი ახრჩობდა. როდესაც წვიმა გადაიღებდა და ღრუბლებიდან მზე გამოაჭყიტავდა კუნძული ნესტიან, მძიმე, სულისშემხუთავ ოშხივარით სავსე ორანჟერეას ემსგავსებოდა და ისეთი უცნაური გრძნობა გეუფლებოდათ, თითქოს გარშემო ყველაფერი გამალებით იზრდებაო. ამ დროს, ადგილობრივ მკვიდრთაგან, რომელთაც ტატუირებასა და შეღებილი თმების გამო ბავშვებივით უდარდელებად და ბედნიერებად თვლიან, რაღაცა ძალზე ავისმომასწავებელი იგრძნობოდა. ზურგს უკან შიშველი ფეხების

[1] სიგრძის საზომი ერთეული — 2,54 სმ. (შენიშვ. მთარგმნ.).

ტყაპუნის გაგონებაზე უნებურად ტრიალდებოდით მათკენ. ქვეცნობიერად გრძნობდით, რომ ყოველ წუთს შეეძლოთ მოგვარდნოდნენ და ბეჭებს შუა ჩაეცათ გრძელი დანა. ვინ იცის, რა ბნელი ზრახვები იმალებოდა მათ ფართედ ჩასმულ თვალებში. ისინი რაღაცით წააგავდნენ ეგვიპტურ ფრესკებს და ისეთივე უძველესი შიში გამოსჭვიოდა მათგან.

მისიონერი სადღაც დაიარებოდა, რაღაცას აკეთებდა, მაგრამ მაკფეილებმა არ იცოდნენ, რას საქმიანობდა. ჰორნმა ექიმს უთხრა, რომ ის ყოველდღე ნახულობსო გუბერნატორს. ერთხელ დევიდსონმა თვითონ ჩამოაგდო ამაზე სიტყვა.

— ერთი შეხედვით, გუბერნატორი მტკიცე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ კი ყოყმანობს.

— მოკლედ, უსიტყვოდ არ ასრულებს თქვენს მოთხოვნას? — ხუმრობის კილოთი შენიშნა ექიმმა.

მისიონერს არ გაუღიმია.

— მე მხოლოდ ერთს ვითხოვ — მოიქცეს ისე, როგორც წესია. სავალალოა, რომ არიან კიდევ ადამიანები, რომელთაც ამის თქმა სჭირდებათ.

— მაგრამ წესიერების შესახებაც შესაძლებელია სხვადასხვა აზრი არსებობდეს.

— თუ ავადმყოფს ტერფის განგრენა დაეწყო, შეგიძლიათ გულზე ხელდაკრეფილმა უცადოთ ვიღაცის ყოყმანს — საჭიროა თუ არა ამპუტაცია?

— განგრენა — ეს სავსებით რეალური საქმეა.

— ცოდვა?

რამოდენიმე დღის შემდეგ საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა, თუ რა მოიმოქმედა დევიდსონმა. ის-ის იყო ოთხივემ ისადილა. ქალები და ექიმი, სანამ აგრილდებოდა, ჩვეულებისამებრ თვალის მოსატყუებლად აპირებდნენ წასვლას. დევიდსონი აბუჩად იგდებდა ამ გამანებივრებელ ჩვევას. უცებ კარი გაიღო და ოთახში მისს ტომპსონი შემოვარდა. მან ყველას შემოავლო თვალი და შემდეგ დევიდსონს გადაგდაგა ნაბიჯი.

— რა მოუჩმახე ჩემზე გუბერნატორს, შე გველაძუა?

სიბრაზისაგან ენა ებმოდა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მისიონერმა სკამი შესთავაზა მას.

— დაბრძანდით, გეთაყვა, მისს ტომპსონ. მე თავიდანვე მქონდა იმედი, რომ კიდევ ვისაუბრებდით.

— შე უბედურო ნაბიჭვარო, — დაიწყო ქალმა ყვირილი და მისიონერი საზიზღარ, ბილწ ლანძღვა-გინების მორევში ამოსვარა. დევიდსონი თვალს არ აცილებდა.

— მე არ შომეკარება ეგ ჭუჭყი, რომლითაც ჩემი გასვრა გნებავთ, მისს ტომპსონ,—თქვა მან.—მაგრამ გთხოვთ ნუ გავიწყდებათ, რომ აქ ქალებიც არიან.

ტომპსონის ბრაზს ცრემლები შეერია. სახე გაუწითლდა და შეუშუპდა, თითქოს რაღაც ახრჩობდა.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა ექიმმა მაკფეილმა.

— ჩემთან ვიღაც ტიპი შემოვიდა და მითხრა, რომ შემდეგი გემით ავიბარგო აქედან.

მისიონერის თვალებმა ერთის წამით გაიელვეს, მაგრამ სახის გამომეტყველება არ შეცვლია.

— სხვანაირად არც შეიძლებოდა. ასეთ ვითარებაში გუბერნატორი, რასაკვირველია, არ დაგრთავდათ აქ დარჩენის ნებას.

— აქ შენი ხელი ურევია, — წამოიკივლა მან, — ტყუილად კუდს ნუ აქიცინებ. ეს შენი ოინებია.

— არც ვაპირებ თქვენს მოტყუებას. ნამდვილად ვთხოვე გუბერნატორს, მიეღო ისეთი ზომები, როგორიც მის მოვალეობას შეეფერება.

— რა გინდა, რას გადამეკიდე? შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია.

— მერწმუნეთ, რომ დაგეშავებინათ კიდეც, უკანასკნელი ადამიანი ვიყო,

თუ თქვენდამი იოტის ოდენა ბოროტებას გავივლებდი გულში.

— მე რა, ხომ არა გგონია, ამ უბადრუკ ადგილას მინდოდეს დარჩენა? მე ნამდვილ ქალაქებში ცხოვრებას ვარ ჩვეული!

— თუ ასეა, არ მესმის, რაღას უჩივი».

გააფთრებულმა მისს ტომპსონმა რაღაც წამოიკივლა და ოთახიდან გავარდა. ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ გუბერნატორმა მაინც გადასწყვიტა ზომების მიღება, — დუმილი დაარღვია დევიდსონმა, — სუსტი ნებისყოფის კაცია და ამიტომ აჭიანურებდა. სულერთია, ორ კვირაზე მეტს არ დარჩებაო ეს ქალი, შემდეგ აპიაში გაემგზავრება, რომელიც ბრიტანეთის მფლობელობაშია და მასთან არაფერი ᲫᲔᲥᲜᲔᲑᲐᲝ საერთო.

მისიონერი წამოხტა და ოთახში წინდაუკან დაიწყო სიარული.

— იმის გაფიქრებაც ზარავს ადამიანს, რომ ასეთი ძალაუფლებით აღჭურვილი ხალხი, ცდილობს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. ისინი ასე მსჯელობენ: ცოდვა, თუ მათ თვალწინ არ ხდება, — ცოდვა არ არის. ამ ქალის არსებობაც — სამარცხვინოა. რა შეიცვლება, თუ მას მეორე კუნძულზე გადაგზავნიან? ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი პირდაპირ ვუთხარი.

დევიდსონმა წარბები შეიჭმუხნა და ქვედა ყბა წამოსწია. სახეზე მძვინვარება და სიმტკიცე ეხატებოდა.

— მე კარგად არ მესმის თქვენი, — თქვა ექიმმა.

— ჩვენი მისია რაღაც უფლებებით სარგებლობს ვაშინგტონში. მე მოვახსენე გუბერნატორს, რომ საჩივარი მის გულგრილობაზე დიდ სარგებლობას არ მოუტანდა.

— როდის უნდა გაემგზავროს ის ქალი აქედან? — მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა ექიმმა.

— სიდნეიდან სან-ფრანცისკოში მიმავალი გემი ამ ნავსადგურს სამშაბათს მოადგება. აი, იმ გემით გაემგზავრება.

სამშაბათამდე ხუთი დღე რჩებოდა. მეორე დღეს ჰოსპიტალიდან დაბრუნებისას, სადაც მაკფეილი უსაქმურობისაგან ყოველ დილით დადიოდა, კიბეზე მეტისმა შეაჩერა.

— უკაცრავად, ექიმო, მისს ტომპსონი შეუძლოდ არის, იქნებ გენახათ?

— რასაკვირველია, ვნახავ.

ჰორნმა ის ოთახამდე მიაცილა. მისს ტომპსონი სკამზე იჯდა და გულგრილი გამომეტყველებით იყურებოდა. მას ისევ თეთრი კაბა ეცვა. თავზე ყვავილებიანი შლაპა ეხურა. მაკფეილმა შენიშნა, რომ პუდრის ფენის ქვეშ კანს მოყვითალო, მიწისფერი დაკრავდა. თვალები შეშუპებოდა.

— ვწუხვარ, რომ შეუძლოდ გამხდარხართ, — თქვა ექიმმა.

— არა, მე სულაც არა ვარ ავად. ეს უბრალოდ იმიტომ ვთქვი, რომ თქვენი ნახვა მინდოდა. ფრისკოში[1] მიმავალი გემით უნდათ მომიცილონ.

მან მაკფეილს შეხედა და ექიმმა შენიშნა, რომ თვალებში შიში ჩაუდგა. ხელის თითებს ნერვიულად კუმშავდა და შლიდა. მედუქნე კარებში იდგა და ყურს უგდებდა.

— ვიცი, — თქვა ექიმმა.

ქალმა ნერწყვი ჩაყლაპა.

— ხალა ფრისკოში გამგზავრება არ მინდა. გუშინ გუბერნატორთან ვიყავი, მაგრამ არ შემიშვეს. მდივანი ვნახე. მან მითხრა, რომ ყოველგვარი აურზაურის გარეშე უნდა გავემგზავრო. მე მაინც გადავწყვიტე გუბერნატორის ნახვა და დილით სახლთან მოვუცადე. როცა გამოვიდა, გამოველაპარაკე. მართალი გითხრათ, მაინც და მაინც არ სიამოვნებდა ჩემთან საუბარი, მაგრამ არ მოვეშვი. ბოლოს მითხრა, რომ ნებას მრთავს სიდნეიში მიმავალ გემს დავუცადო, მისი მაღალღირსება დევიდსონი თუ არ იქნება წინააღმდეგი.

---

[1] სან-ფრანცისკოს შემოკლებული სახელია (შენიშვნ. მთარგმნ.).

ის გაჩუმდა და შეშფოთებული სახით შეხედა ექიმ მაკფეილს.

— არ მესმის, რით შემიძლია დაგეხმაროთ, — თქვა მან.

— იქნებ უთხრათ რამე... ღმერთს გეფიცებით, წესიერად მოვიქცევი, თუ დარჩენის ნებას დამრთავს. სახლიდან ფეხს არ მოვიცვლი, თუ მას უნდა. სულ ორი კვირა არ არის?

— ვეტყვი.

— არ დაგთანხმდებათ, — თქვა ჰორნმა, — გადაწყვეტილი აქვს თქვენი გამგზავრება სამშაბათს და უნდა შეურიგდეთ ამ აზრს.

— უთხარით, რომ სიდნეიში მე სამუშაოს ვიშოვნი, ე. ი. წესიერ სამუშაოს, მე ხომ ბევრს არა ვთხოვ.

— რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ.

— გთხოვთ მაშინვე ჩამობრძანდეთ და მითხრათ, როგორ იქნება საქმე, გადაწყვეტით უნდა ვიცოდე, თორემ გავგიჟდები.

ეს დავალება ექიმს მაინც და მაინც არ ეჭაშნიკა და მისთვის დამახასიათებელი, ირიბი გზით დაიწყო დავალების შესრულება. ჯერ ცოლს უამბო მისს ტომპსონთან საუბრის ამბავი და სთხოვა მოლაპარაკებოდა მისის დევიდსონს. მაკფეილის აზრით, მისიონერი საკმაოდ დესპოტურად ექცეოდა მისს ტომპსონს და არაფერი მოხდებოდა, რომ ის ორი კვირით დარჩენილიყო პაგო-პაგოში. ექიმის შუამდგომლობამ მოულოდნელი შედეგი გამოიღო. მისიონერი მას თვითონ ეახლა.

— მისის დევიდსონმა გადმომცა, რომ თქვენ გისაუბრიათ მისს ტომპსონთან.

ასეთმა პირდაპირობამ ექიმი მაკფეილი გააღიზიანა, რაც ყოველ მორცხვ, მორიდებულ კაცს ემართება, როდესაც აიძულებენ პირდაპირ თქვან ყველაფერი. მან იგრძნო, რომ ბრაზდებოდა და გაწითლდა.

— არ მესმის რა განსხვავებაა სიდნეიში წავა, თუ სან-ფრანცისკოში, რაკი პირობას დებს, რომ წესიერად მოიქცევა, ჩემის აზრით, საჭირო არ არის ვინმემ თავი მოაბეზროს.

მისიონერმა მკაცრად შეხედა მას.

— რატომ არ უნდა სან-ფრანცისკოში წასვლა?

— მე არ მიკითხავს, — მკვახედ უპასუხა ექიმმა, — და მგონი ყველაფერს ჯობია, ადამიანმა სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაჰყოს.

პასუხი არც თუ ისე თავდაჭერილი გამოვიდა.

— გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ პირველივე გემით გაამგზავროს. მან თავისი მოვალეობა შეასრულა და მე არ ჩავერევი ამაში. ამ ქალის აქ ყოფნა, კუნძულს ხიფათს უქადის.

— ჩემის აზრით, თქვენ ულმობელი და ბოროტი ადამიანი ხართ.

ქალებმა შეშფოთებით შეხედეს ექიმს, მაგრამ ტყუილად იფიქრეს, რომ ამას უსიამოვნება მოჰყვებოდა მისიონერმა კეთილად გაიღიმა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ კაცად მთვლით, ექიმო მაკფეილ. მერწმუნეთ, იმ საცოდავის სიბრალულით გული მიკვდება, მაგრამ მე ვცდილობ ჩემი მოვალეობა შევასრულო.

ექიმმა არაფერი უპასუხა. მან პირქუშად გაიხედა ფანჯარაში. წვიმას გადაეღო და ყურეს გაღმა, ხეებს შორის ადგილობრივ მკვიდრთა ქოხების გარჩევა შეიძლებოდა.

— ჯობია ცოტა გავიარო, რაკი გადაიღო, — თქვა მან.

— გთხოვთ, ნუ გეწყინებათ, რომ თქვენი სურვილის შესრულება არ შეიძლია, — ნაღვლიანი ღიმილით თქვა დევიდსონმა, — მე თქვენ დიდ პატივსა გცემთ, ექიმო, და არ მინდა, რომ ჩემზე ცუდი აზრი შეგექმნათ.

— რასაკვირველია, თქვენი აზრი თქვენს შესახებ იმდენად მაღალია, რომ ჩემი არც თუ ისე გატკენთ გულს, — მოუჭრა ექიმმა.

— გნებდებით! — გაიცინა დევიდსონმა.

გაუმართლებელი უხეშობისათვის სა-

კუთარ თავზე გაბრაზებული ექიმი მაკ-ფეილი კიბეებზე დაეშვა. ქვემოთ, ოთახის ოდნავ გამოღებულ კართან მისს ტომპსონი უცდიდა.

— რა ქენით, —ჰკითხა მან, — ელაპარაკეთ?

—ველაპარაკე, მაგრამ, სამწუხაროდ, უარს ამბობს, — უპასუხა ექიმმა და დარცხვენილმა თვალი მოარიდა, მაგრამ ქვითინი რომ მოესმა, ისევ სწრაფად შეხედა. მან შენიშნა, რომ ქალს სასოწარკვეთილებისაგან სახე გაფითრებოდა, და შეკრთა. უცებ თავში ახალმა აზრმა გაუელვა.

— ჯერ ნუ დაკარგავთ იმედს, ჩემის აზრით, სირცხვილია, რომ თქვენ ასე ცუდად გექცევიან. მე თვითონ წავალ გუბერნატორთან.

— ახლა?

მან თავი დაუქნია. ქალს სახე გაუბრწყინდა.

— ნამდვილად მიხსნით განსაცდელისაგან. ერთი სიტყვაც რომ უთხრათ, უეჭველად დამრთავს დარჩენის ნებას. ღმერთმანი, სანამ აქა ვარ, ცუდს არაფერს ჩავიდენ.

ექიმ მაკფეილს თვითონაც არ ესმოდა, რამ გადააწყვეტინა უცებ გუბერნატორთან წასვლა. ის სრულიად გულგრილად იყო განწყობილი მისს ტომპსონის ბედისადმი, მაგრამ მისიონერმა გააბრაზა და, რაკი ერთხელ შოუვიდა გული, კარგა ხანს ველარ ახერხებდა დამშვიდებას. გუბერნატორი შინ დახვდა. ეს იყო ყოფილი მეზღვაური, კარგად მოსული, კბილის ჯაგრისივით ჭაღარა ულვაშებიანი, სპეტაკ, თეთრ მუნდირში გამოწყობილი ლამაზი მამაკაცი.

— მე თქვენთან ერთი ქალის თაობაზე მოვედი, რომელიც იმავე სახლში ცხოვრობს, სადაც ჩვენ, — დაიწყო ექიმმა, გვარად ტომპსონია.

— მის შესახებ საკმაოდ ბევრი რამ მსმენია, ექიმო მაკფეილ, — ღიმილით თქვა გუბერნატორმა, — უკვე გავეცი განკარგულება, რომ მომავალ სამშაბათს დასტოვოს კუნძული, მეტი არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

— მე მინდა გთხოვოთ, დართოთ ნება სან-ფრანცისკოდან მომავალ გემს დაუცადოს, რათა სიდნეიში გაემგზავროს. თავდებად ვუდგები, რომ წესიერად მოიქცევა.

გუბერნატორი ისევ იღიმებოდა, მაგრამ მისი მოჭუტული თვალები სერიოზულად გამოიყურებოდნენ.

— მოხარული ვიქნებოდი, ექიმო, თქვენთვის რაიმე სამსახური გამეწია, მაგრამ ბრძანება გაცემულია და მისი შეცვლა არ შემიძლია.

ექიმმა მთელი დამაჯერებლობით მოუთხრო საქმის ვითარება. გუბერნატორის სახეს ღიმილი მოსცილდა. ის პირქუშად უსმენდა ექიმს და განზე იყურებოდა. მაკფეილმა იგრძნო, რომ მისი სიტყვები არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

— მე ძალიან არ მსიამოვნებს, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებო ქალს, მაგრამ მისს ტომპსონი სამშაბათს უნდა გაემგზავროს და აქ სალაპარაკო აღარაფერია.

— კი, მაგრამ რა განსხვავებაა?

— უკაცრავად, ექიმო, მაგრამ მე ვალდებული ვარ ავუხსნა ჩემი გადაწყვეტილებები მხოლოდ ჩემს უფროსებს.

მაკფეილმა დაკვირვებით შეათვალიერა იგი. გაახსენდა დევიდსონის გაკვრით ნახსენები მუქარა და გუბერნატორის ქცევაში რაღაც მორიდებულობა იგრძნო.

— ეშმაკსაც წაუღია დევიდსონი! რას ეჩრება სხვის საქმეში! — ცხარედ წამოიძახა მან.

— ჩვენს შორის რომ ვთქვათ, ექიმო, მე არ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ მისტერ დევიდსონზე კარგი შთაბეჭდილება მაქვს-მეთქი, მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ მას სრული უფლება ჰქონდა მიეთითებინა ჩემთვის ისეთ საშიშროებაზე, როგორსაც მისს ტომპსონის მსგავსი ქალის ყოფნა იწვევს კუნძულ-

ზე. კუნძულზე — სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შორის სამხედრო ნაწილებიცაა განლაგებული.

იგი წამოდგა და ექიმი მაკფეილიც იძულებული შეიქნა ამდგარიყო.

— გთხოვთ მაპატიოთ, საქმეს უნდა მივხედო. მოკითხვა გადაეცით, გეთაყვა მისის მაკფეილს.

ექიმი მისგან სავსებით იმედგაწყვეტილი გამოვიდა. მან იცოდა, რომ მისს ტომპსონი პასუხს ელოდა. თვითონვე რომ არ ეთქვა თავისი მარცხის ამბავი, სახლში უკანა კარიდან შევიდა და კიბეებზე ქურდულად, ფრთხილად აიპარა.

ვახშამზე ექიმი თავს უხერხულად გრძნობდა. ცოტას ლაპარაკობდა. სამაგიეროდ მისიონერი იყო გამოცოცხლებული და მხიარული. მაკფეილს მოეჩვენა, რომ დევიდსონის კეთილი და მოზეიმე მზერა რამოდენიმეჯერ შეჩერდა მასზე. უეცრად თავში გაულვა, რომ დევიდსონმა იცოდა გუბერნატორთან მისი უშედეგო ვიზიტის ამბავი. მაგრამ საიდან? ამ კაცის ძალაში რაღაც ავის მომასწავებელი იმალებოდა. ვახშმის შემდეგ ექიმმა ჰორნი შენიშნა ვერანდაზე და ისეთი იერი მიიღო თითქოს უბრალოდ, სალაპარაკოდ გადიოდა მასთან.

— მას აინტერესებს, ნახეთ თუ არა გუბერნატორი? — წასჩურჩულა მედუქნემ.

— ვნახე. უარი მითხრა. ძალიან ვწუხვარ მაგრამ სხვა არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

— ასეც ვიცოდი. ვინ გაბედავს მისიონერის წინააღმდეგობას?

— რაზე საუბრობთ? — მიუახლოვდა მათ და მხიარულად იკითხა დევიდსონმა.

— სწორედ იმას ვეუბნებოდი, რომ არა მგონია ერთ კვირაზე ადრე გაემგზავროთ აპიაში, — დაუყოვნებლივ უპასუხა მედუქნემ.

ჰორნი წავიდა, ექიმი და დევიდსონი ოთახში დაბრუნდნენ. ნასადილევს მისტერ დევიდსონი ერთ საათს გართობას უთმობდა. მალე გაუბედავი კაუნი გაისმა კარზე.

— მობრძანდით, — დაიძახა მისის დევიდსონმა წვრილი ხმით.

კარი არ გაიღო. მისის დევიდსონი ადგა და გამოაღო. ზღურბლზე საოცრად შეცვლილი ძნელადსაცნობი მისს ტომპსონი იდგა. ეს უკვე აღარ იყო ის უტიფარი გომბიო, რომელიც შარაგზაზე დასცინოდა მათ. ეს იყო შიშით გატანჯული, მოტეხილი ქალი. ყოველთვის გულდასმით დალაგებული თმები ასწეწოდა. ფეხები ფოსტლებში წაეყო. გაცრეცილი, დაჭმუჭვნილი ქვედა კაბა ეცვა, ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ზღურბლზე იდგა და შიგნით შემოსვლას ვერ ბედავდა.

— რა გნებავთ: — მკვახედ ჰკითხა მისის დევიდსონმა.

— შეიძლება მისტერ დევიდსონთან საუბარი? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად იკითხა მან.

მისიონერი ადგა და მიუახლოვდა.

— შემოდით, შემოდით, მისს ტომპსონ, — მიმართა გულთბილი ტონით,— რით შემიძლია გემსახუროთ?

ის შემოვიდა.

— მე... მე ბოდიშს ვიხდი იმისათვის, რაც მაშინ გითხარით და... და საერთოდ ყველაფრისთვის. მე, ალბათ, ჭკუაზე არ ვიყავი. გთხოვთ, მაპატიოთ.

— ოო, ეგ არაფერია. ზურგი მაგარი მაქვს, ორიოდე სალანძღავ სიტყვას აიტანს.

ქალი დაქვეითებული, დაცემული ადამიანისათვის ჩვეული საზიზღარი მოძრაობით წაიწია მისკენ.

— თქვენ მე სრულიად მომსპეთ, მიწასთან გამასწორეთ. მაგრამ ფრისკოში დაბრუნებას არ მაიძულებთ, არა?

მისიონერის თავაზიანობა უცებ გაჭქრა. ხმა უხეში და მკაცრი გაუხდა.

— რატომ არ გინდათ იქ დარბუნება?

ქალი მოიბუზა.

— მე იქ ნათესავები მყავს. არ მინდა, რომ აი, ასეთი მნახონ. ყველგან

წავალ, სადაც მეტყვით, მხოლოდ იქ არა.

— რატომ არ გინდათ სან-ფრანცისკოში დაბრუნება?

— მე უკვე გითხარით.

მისიონერი დაიხარა და ანთებული თვალები ისე მიაპყრო, თითქოს მის სულში ჩახედვა უნდაო, და წამოიძახა:

— გამასწორებელი სახლი!

ქალმა დაიკივლა, ფეხებში ჩაუვარდა და ხელები მოხვია.

— იქ არ გამგზავნოთ. ღმერთს გეფიცებით, გამოვსწორდები, კარგი ქალი დავდგები. ყველაფერს ამას თავს დავანებებ.

ის გაურკვევლად ემუდარებოდა რაღაცას. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა შეღებილ ლოყებზე. მისიონერი დაიხარა, თავი აუწია და თვალებში ჩახედა.

— მაშასადამე, გამასწორებელ სახლში?

— დროზე მოვუსვი, თორემ დამიჭერდნენ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩურჩულებდა ის, — იმ ბუღებს[1] რომ ჩავუვარდე ხელში, სამ წელს მომაკრავენ.

მისიონერმა ხელი შეუშვა. ქალი ისევ იატაკზე დაეცა და გულამოსკვნით აქვითინდა. ექიმი მაკფეილი წამოდგა.

— ეს საქმის ვითარებას ცვლის, — თქვა მან, — ახლა ველარ მოთხოვთ, რომ იქ დაბრუნდეს. მას ახალი ცხოვრების დაწყება უნდა. ნუ წაართმევთ ამ უკანასკნელ შესაძლებლობას.

— მე მინდა მას შეუდარებელი შესაძლებლობა მივცე. თუ ინანიებს, დაე, მიიღოს სასჯელიც.

ქალმა ვერ გაიგო ნათქვამის ნამდვილი აზრი და თავი წამოსწია. ნამტირალევ თვალებში იმედის ნაპერწკალმა გაუელვა.

— მაშ გამიშვებთ?

— არა. სამშაბათს გაემგზავრებით სან-ფრანცისკოში.

ქალს სასოწარკვეთილების ოხვრა აღმოხდა, შემდეგ ჩახლეჩილ ყრუ კივილში გადავიდა. მასში ადამიანური არაფერი იყო. იატაკს ურტყამდა თავს. ექიმი მაკფეილი ასაყენებლად მივარდა.

— მოიცათ, მოიცათ, ასე არ შეიძლება. ჩადით და წამოწექით. მე წამალს მოგცემთ.

მან ქალი ფეხზე წამოაყენა და, როგორც იქნა, ქვევით ჩაიყვანა. ძალზე გაბრაზებული იყო თავის ცოლზე და მისის დევიდსონზე, რომ არც კი ჩაერევნენ ამ ამბავში. მეტისი კიბეზე იდგა. ექიმმა მისი დახმარებით მოახერხა მისს ტომპსონის საწოლზე დაწვენა. იგი კვნესოდა, კანკალებდა და ზლუქუნებდა. გრძნობა თითქმის დაკარგოდა. ექიმმა ნემსი გაუკეთა. გაავებული და ნაწვალები მაკფეილი სასტუმრო ოთახში ავიდა.

— როგორც იქნა, დავაწვინეთ.

ქალები და დევიდსონი ისე ისხდნენ როგორც დასტოვა. ეტყობოდა, მის არყოფნაში არც დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს და არც დაძრულიყვნენ ადგილიდან.

— მე თქვენ გელოდით, — თქვა დევიდსონმა უცნაური, მიმქრალი ხმით.— მინდა ყველამ ჩემთან ერთად ილოცოთ ჩვენი გზასაცდენილი დის სულისათვის.

თაროდან ბიბლია გადმოიღო და მაგიდას მიუჯდა. ვახშმის ჭურჭელი ჯერ კიდევ არ იყო ალაგებული და ადგილის მოსაცლელად ჩაიდანი მისწია გვერდით. ძლიერი მეღერი ხმით ის თავი წაიკითხა, რომელშიც მოთხრობილია, როგორ მიუყვანეს ქრისტეს მრუშობის დროს შეპყრობილი დიაცი.

— ახლა მოიყარეთ მუხლი და ჩემთან ერთად ილოცეთ ჩვენი საყვარელი დის სედი ტომპსონის სულისათვის.

მან მხურვალედ დაიწყო ლოცვა. ღმერთს შესთხოვა, მოწყალება მიეღო ცოდვილზე. მისის მაკფეილი და მისის დევიდსონი დაიჩოქნენ და სახე ხელებით დაიფარეს. ძალაუნებურად ჩაჭერილი ექიმი მოუხერხებლად და უხალისოდ მიჰყვა მათ მაგალითს. მისიო-

[1] ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიციელებს ეძახიან (ვულგ.).

ნერი აღგზნებული მჭერმეტყველებით ღაღადებდა, ლოყებზე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. გარეთ წვიმდა; წვიმდა ადამიანივით ჯიუტად და გაავებით.

ბოლოს მისიონერი დადუმდა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი მანვე დაარღვია:

— ახლა „მამაო ჩვენო“ წავიკითხოთ.

მათ წაიკითხეს ლოცვა და მისიონერთან ერთად წამოდგნენ. მისის დევიდსონს სახე გაფერმკრთალებული და დაწყნარებული ჰქონდა. ეტყობოდა, სულიერ შვებას გრძნობდა. ექიმსა და მისის მაკფეილს შერცხვათ, აღარ იცოდნენ სად წაეღოთ თვალები.

— ჩავალ და ვნახავ, როგორ გრძნობს თავს, — თქვა ექიმმა მაკფეილმა.

კაკუნზე ჰორნმა გამოაღო კარი. მისს ტომპსონი სარწეველა სკამში იჯდა და ჩუმად ტიროდა.

— რატომ ადექით? — წამოიძახა ექიმმა, — ხომ გითხარით, იწექითმეთქი?

— არ შემიძლია წოლა. მისტერ დევიდსონის ნახვა მინდა.

— რა გინდა მასთან, შე საბრალო? ვერაფერს ვერ გადაათქმევინებ.

— მან თქვა, რომ მოვა, თუ ვინმეს მივუგზავნი.

მაკფეილმა ანიშნა მედუქნეს.

— წადით, დაუძახეთ.

ისინი უსიტყვოდ იცდიდნენ, სანამ ჰორნი კიბეზე ადიოდა.

ოთახში დევიდსონი შემოვიდა.

— მაპატიეთ, რომ ჩამოსვლა გთხოვეთ, — თქვა ქალმა და უღიმღამოდ შეხედა.

— ველოდი, რომ დამიძახებდით, ვიცოდი, ღმერთი შეისმენდა ჩემს ვედრებას.

წამით ერთმანეთს შესცქეროდნენ, შემდეგ ტომპსონმა თვალი მოარიდა. ის სულ გვერდით იცქირებოდა, სანამ ლაპარაკობდა.

— მე უწესო ქალი ვიყავი, მოსახიებბა მინდა.

— მადლობა უფალს! მადლობა უფალს! მან ყურად იღოს ჩვენი ლოცვა-ვედრება!

ის მაკფეილსა და მედუქნეს მიუბრუნდა.

— მარტო დაგვტოვეთ. გადაეცით მისის დევიდსონს, რომ ჩვენი ლოცვა გამჩენმა შეისმინა.

ისინი გამოვიდნენ და კარი გამოიხურეს.

— ხედავთ!? — თქვა მედუქნემ.

იმ ღამეს ექიმმა მაკფეილმა ვერაფრით ვერ მოახერხა თვალის მოხუჭვა, საათს დახედა, როდესაც მისიონერი დაბრუნდა, ორი იყო, მაგრამ დევიდსონი მაინც არ დაწვა. მათი ოთახების გამყოფ ხის ტიხარს იქიდან ექიმს ესმოდა დევიდსონის ხმამაღალი ლოცვა. სანამ დაქანცულს არ ჩაეძინა.

დილით ექიმი მისიონერის სახემ გააკვირვა. ის ჩვეულებრივზე ფერმკრთალი და მოღლილი ჩანდა, მაგრამ თვალები არაადამიანური ცეცხლით უელავდა, თითქოს რაღაც სიხარულით და ბედნიერებითაა სავსეო.

— შეგიძლიათ ახლავე ჩახვიდეთ სედისთან? — ჰკითხა მან, — მისი სხეული ჯერ კიდევ არ გამრთელებულა, მაგრამ სული, — მისი სული სრულიად გარდაიქმნა.

ექიმს ნერვები გაღიზიანებული ქონდა და რაღაც მოთენთილობასაც გრძნობდა.

— წუხელ საკმაოდ გვიანობამდე დაყავით მასთან, — თქვა ექიმმა.

— დიახ, უჩემოდ არ უნდოდა დარჩენა.

— სახე მთლად გიბრწყინავთ, — თქვა ექიმმა.

დევიდსონის თვალებში ექსტაზი აციმციმდა.

— მე უდიდესი წყალობა გადმომევლინა. გუშინ მხვდა წილად — დამებრუნებინა გზააბნეული სული იესოს სავანეში.

მისს ტომპსონი ისევ საქანელა სკამში იჯდა. ლოგინი აულაგებელი ქონდა,

ოთახი არეულ-დარეული. ჩაცმაზე თავი არ შეეწუხებინა და ჭუჭყიან ხალათში იყო გამოხვეული. თმები როგორღაც დაემაგრებინა გორგლად. სახე შესიებოდა და ცრემლების კვალი ეტყობოდა, თუმცა სველი პირსახოცით ჩამოეწმინდა. შესახედაობა უშნო და ბეჩავი ჰქონდა.

მან ექიმს გულგრილად შეხედა. მისს ტომპსონს მთლად მოტეხილი და ნაწამები იერი ედო.

— სადაა მისტერ დევიდსონი? — იკითხა მან.

— თუ გჭირდებათ, ახლავე მოვა, — უგემურად უპასუხა ექიმმა, — მე იმის გასაგებად მოვედი, თუ როგორა ხართ.

— ეჰ, ძალიან კარგადა ვარ, ჩემზე ნუ სწუხართ.

— ჭამეთ რამე?

—ჰორნმა ყავა მომიტანა.

მან შეწუხებული სახით გახედა კარს.

— თქვენ გგონიათ, ჩქარა მოვა? მე ისე ძალიან აღარ მეშინია, როდესაც ის ჩემთანაა.

— მაშ სამშაბათს მიდიხართ?

— დიახ, უნდა წახვიდეო. თუ შეიძლება, უთხარით ჩქარა მოვიდეს. თქვენ ვერაფრით ვერ დამეხმარებით. ახლა მხოლოდ მას შეუძლია ჩემი შველა.

— ძალიან კარგი, — თქვა ექიმმა მაკფეილმა.

შემდეგ მთელი სამი დღე მისიონერმა სულ სედი ტომპსონთან გაატარა. ცოლს და მაკფეილებს მხოლოდ სადილის დროს ხვდებოდა. ექიმმა მაკფეილმა შეამჩნია, რომ ის თითქმის არაფერს ჭამდა.

— თავს არ იზოგავს, — წუწუნებდა მისის დევიდსონი, — თუ ასე გაგრძელდა, იქნებ ავადაც გახდეს, მაგრამ ამაზე არც კი ფიქრობს.

თვითონ მისის დევსდიონიც გახდა და ფერი დაეკარგა. მისის მაკფეილს შესჩივლა, თითქმის არ მძინავსო. ტომპსონისგან დაბრუნების შემდეგ მისიონერი სრულ დაქანცულობამდე ლოცულობდა, მაგრამ ამის შემდეგაც, სულ ცოტახნით ატყუებდა თვალს. ორიოდე საათის შემდეგ დგებოდა, იცვამდა და სანაპიროზე მიდიოდა გასასეირნებლად. უცნაური სიზმრებიც დასჩემდა.

— დღეს დილით მითხრა, რომ ნებრასკას მთები ესიზმრა, — აცნობა მაკფეილებს მისის დევიდსონმა.

— საინტერესოა, — თქვა ექიმმა.

მას გაახსენდა, ამერიკაში მოგზაურობის დროს მატარებლის ფანჯრიდან დანახული ნებრასკას მთები. ისინი თხუნელების ბორცვების გროვას წააგავდნენ, მომრგვალებულნი და გლუვები, უცებ ციცაბოდ აზიდულიყვნენ ბრტყელ ტაფობიდან. ექიმ მაკფეილს გაახსენდა, როგორ გაოცდა, როდესაც ისინი ქალის ძუძუებს მიამსგავსა.

ასეთი დაძაბული მდგომარეობა მისიონერთათვისაც აუტანელი გახდა. მაგრამ ყოვლისმძლეველი სიხარული უნარჩუნებდა ძალღონეს. ის ძირფესვიანად გლეჯდა საცოდავ ქალის გულში ჯერ კიდევ ჩარჩენილ ცოდვათა კვალს. მასთან ერთად კითხულობდა ბიბლიას და ლოცულობდა.

— პირდაპირ სასწაულია, — როგორღაც თქვა მან ვახშამზე, — ეს ჭეშმარიტი ხელმეორედ დაბადებაა. მისი სული, რომელიც უკუნეთ ღამეზე შავი იყო ახლა პირველი თოვლივით წმიდაა და სპეტაკი. მე მორჩილებითა და ძრწოლით ვარ სავსე. მის მიერ ჩადენილ ცოდვათა მონანიება საუცხოვოა. ახლა ღირსიც არა ვარ შევეხო მისი კაბის კალთასაც.

— მერე, გეყოფათ ვაჟკაცობა, რომ სან-ფრანცისკოში გააგზავნოთ? — ჰკითხა ექიმმა, — სამი წელი ამერიკულ ციხეში! მგონი, თქვენ უნდა გეხსნათ იგი ამისაგან.

— როგორ არ გესმით! ეს ხომ აუცილებელია. ნუთუ გგონიათ, რომ მე არ მიკვდება გული? მე ის ცოლსა და დასავით მიყვარს. მთელ იმ დროს, რომელსაც ციხეში გაატარებს, მეც მასავით დავიტანჯები

— სისულელეა! —მოუთმენლად წამოიხაძა ექიმმა.

— თქვენ არ გესმით, იმიტომ არ გესმით, რომ ვერაფერს ხედავთ. მან შესცოდა და უნდა მოინანიოს. მე ვიცი რისი გადატანაც მოუხდება. შიმშილის, ტანჯვის, დამდაბლების. მე მინდა, რომ მან კაცის ხელით მიყენებული სასჯელი, მსხვერპლად შესწიროს ღმერთს. მე მინდა, რომ მან ეს სასჯელი სიხარულით მიიღოს. მას მიეცა ის შესაძლებლობა, რომელიც მხოლოდ ძალზე მცირეთ წარმოეგზავნება, ღმერთი კეთილი და მოწყალეა.

დევიდსონს მღელვარებისგან ხმა აუკანკალდა. ის ვეღარ აბოლოებდა სიტყვებს, რომელიც მგზნებარედ წყდებოდა მის ბაგეებს.

— მთელი დღე ვლოცულობ მასთან. ვბრუნდები ჩემს ოთახში და ისევ ვლოცულობ იმისათვის, რომ ქრისტემ უბოძა მას უდიდესი მოწყალება. მე მინდა, ჩავუნერგო გულში სასჯელის გადატანის ისეთი მგზნებარე სურვილი, რომ შევთავაზო კიდეც დარჩენა და თვითონვე თქვას უარი. მე მინდა, საპყრობილეს ტანჯვა-ვაებაში იგრძნოს შეწყალება, რომელსაც ფერხთით მიუტანს კურთხეულ მხსნელს, მისთვის სიცოცხლე რომ გასწირა.

დღეები ზანტად გადიოდა. სახლის ბინადრები უაღრესად დაჭიმულ მდგომარეობაში გრძნობდნენ თავს უბედური ქალის ტანჯვაზე ფიქრის გამო. ის ნამდვილ მსხვერპლს წააგავდა, რომელსაც წარმართული რელიგიის რომელიღაც ბნელი, სისხლიანი რიტუალისთვის ამზადებდნენ. შიშმა მთლად წაართვა ძალა. ერთი წუთით არ იშორებდა დევიდსონს. მხოლოდ მისი იქ ყოფნის დროს უბრუნდებოდა გამბედაობა და მონური შიშით შეპყრობილი, ებღაუჭებოდა მას. ბევრს ტიროდა, კითხულობდა ბიბლიას და ლოცულობდა. ხანდახან, ძალაგამოლეულს რაღაც გარინდება ეუფლებოდა. ასეთ დროს საპყრობილე ნამდვილ ხსნად ეჩვენებოდა, ბოლოს და ბოლოს, ციხე კონკრეტული რეალობა იყო, რომელიც ამ ტანჯვა-წამებას მოუღებდა ბოლოს. გაურკვეველი შიში უფრო და უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა. რაკი ცოდვას ვადაუდგა, ახლა თავის გარეგნობაზე აღარ ზრუნავდა და გაწეწილი, დაუბანელი, ჭრელ ხალათში გამოხვეული დაბორიალობდა ოთახში. ოთხი დღე არც ღამის პერანგი გაუხდია და არც მაღალყელიანი წინდები ჩაუცვამს. მთელი ოთახი მონაგვიანებული და არეულდარეული ქონდა. წვიმა ისევ ულმობელი სიჯიუტით მოდიოდა. თითქოს ზეცა უნდა დაცლილიყო წყლისაგან, მაგრამ მაინც კოკისპირულად ასხამდა. ადამიანი სიგიჟემდე მიჰყავდა თუნუქის სახურავზე მონოტონურ კაკუნს. ყველაფერი ნესტიანი და გაწებილი იყო. კედლებსა და იატაკზე დაყრილ ფეხსაცმელებს ობი მოჰკიდებოდა. უძილო ღამეებში გაავებულნი ზუზუნებდნენ ჯოლოები.

— ერთი დღით მაინც რომ გადაეღო. კიდევ აიტანდა კაცი, — თქვა ექიმმა.

ხსნასავით ელოდნენ სამშაბათს, როდესაც სან-ფრანცისკოში მიმავალი გემი უნდა მოსულიყო სიდნეიდან, დაჭიმულობა აუტანელი გახდა. ბრაზი და სიბრალული ექიმ მაკფეილის გულიდან ერთადერთმა სურვილმა განდევნა — ჩქარა მოეცილებინათ თავიდან უბედური ქალი. ადამიანი იძულებულია შეურიგდეს გარდაუვალს. ექიმი გრძნობდა, რომ ნამდვილად მოეშვებოდა გულს, როდესაც გემი ნაპირს მოსცილდებოდა. მისს ტომპსონი ვემზე გუბერნატორის კანცელარიის მოხელეს უნდა აეყვანა. მან ორშაბათ საღამოს შეუარა ქალს და თხოვა, მეორე დღის თერთმეტ საათისთვის მზად ყოფილიყო. მისს ტომსპოსთან დევიდსონი იყო.

— მე თვალ-ყურს ვადევნებ, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. გემზედაც გამოგყვებით გასაცილებლად.

მისს ტომპსონი დუმდა.

ექიმმა მაკფეილმა შვებით ამოისუნ-

თქა, როდესაც იმ საღამოთი სანთელი ჩააქრო და მოსკიტების ბადის ქვეშ ფრთხილად შეძვრა.

— მადლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრდა. ხვალ ამ დროს უკვე წასული იქნება.

— ალბათ, მისის დევიდსონიც გახარებულია. ამბობს — მისტერ დევიდსონი აჩრდილს დაემსგავსაო, — თქვა მისის მაკფეილმა, — ვეღარც მას იცნობ ისეა შეცვლილიო.

— ვინ არის შეცვლილიო?

— სედი. არ დავიჯერებდი, რომ ეს შესაძლებელი იყო. ამის შემხედვარე ძალაუნებურად იმსჭვალები მორჩილებით.

ექიმმა მაკფეილმა არაფერი უპასუხა. ჩქარა ჩაეძინა. ვიღაცის ხელის შეხებამ წამოახტუნა. საწოლთან ჰორნი იდგა. მედუქნემ ტუჩებზე მიიდო თითი, რათა ექიმს არაფერი წამოეძახა და ანიშნა, თან გაჰყოლოდა. ჰორნი საერთოდ გაცვეთილ ტილოს კოსტუმს ატარებდა, მაგრამ, ამჯერად, არც ფეხთ ეცვა რამე და მხოლოდ ლავა-ლავაში იყო გამოწყობილი. ამისაგან ველურს დამსგავსებოდა. ლოგინიდან ადგომისას ექიმმა შეამჩნია. რომ მედუქნეს მთელი სხეული სვირანგებით ჰქონდა დაფარული. ჰორნი ვერანდაზე გავიდა. ექიმი მაკფეილი საწოლიდან გადმოვიდა უკან გაჰყვა.

— არ იხმაუროთ, — წასჩურჩულა მოვაჭრემ, — თქვენ ძალიან საჭირო ხართ. წამოისხით რამე და ფეხსაცმელები ჩაიცვით. ჩქარა.

ექიმმა პირველად ის გაიფიქრა, რომ მისს ტომპსონს რამე შეემთხვა.

— რა მოხდა? ინსტრუმენტები წამოვიღო?

— ჩქარა, ღვთის გულისათვის, ჩქარა.

ექიმი მაკფეილი საწოლ ოთახში შეირბარა, პიჟამოზე საწვიმარი გადაიცვა, ფეხები რეზინის ძირიან ფეხსაცმელებში ჩაჰყო და მედუქნესთან ერთად ფეხის წვერებზე დაეშვა კიბეზე. გარეთა კარი ღია იყო. მის წინ რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრი იდგა.

— რა მოხდა? — გაიმეორა ექიმმა.

— წავიდეთ, — თქვა ჰორნმა.

ის გავიდა და ექიმიც გაჰყვა. იქაურები ჯგუფად მიჰყვნენ. შარა გადაჭრეს და ზღვის ნაპირს გაჰყვნენ. ცოტა მოშორებით ექიმმა ადგილობრივ მცხოვრებთა ჯგუფი შენიშნა, რომელნიც წყლის პირას დაგდებულ რაღაც საგანს შემოხვეოდა. ნაბიჯს მოუჩქარეს. დამხვდურებმა გზა დაუთმეს ექიმს. მედუქნემ ის წინ გაატარა. მაკფეილმა ნახევრად წყალში და ნახევრად ქვიშაზე დაგდებული გვამი დაინახა, — დევიდსონის გვამი. ექიმი დაიხარა, — ის იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა, გაჭირვებაში რომ იბნევიან, — და გადააბრუნა გვამი. ყურის ძირამდე ჰქონდა ყელი გამოღადრული. მარჯვენა ხელში ჯერ კიდევ ჩაბღუჯული ეჭირა საბედისწერო სამართებელი.

— გაცივებულია, — თქვა ექიმმა. — დიდი ხნის მკვდარია.

— სამუშაოზე მიმავალ ბიჭებს შეუნიშნავთ ერთერთმა ამათგანმა მითხრა, როგორ გგონიათ, თვითონ ჩაიდინა?

— ჰო. ვინმე წავიდეს პოლიციის დასაძახებლად.

ჰორნმა ადგილობრივ ენაზე თქვა რაღაც და ორი ახალგაზრდა გაიქცა.

— პოლიციის მოსვლამდე ასე უნდა დარჩეს. — თქვა ექიმმა.

— ჩვენთან ხომ არ წამოიღებენ? არ მივცემ ნებას, რომ ჩემს სახლში დაასვენონ.

— იმას გააკეთებ, რასაც გეტყვიან, — მკვახედ მიახალა ექიმმა, — მაგრამ, მგონი, მორგში წაიღებენ.

იდგნენ და ელოდნენ. მედუქნემ ლავა-ლავას ნაოჭებიდან სიგარეტები ამოიღო და ერთი ექიმს გაუწოდა. ჩუმად ეწეოდნენ და გვამს დასცქეროდნენ, ექიმს ვერ გაეგო, რა მოხდა.

— როგორ გგონიათ, რატომ ჩაიდინა ეს? — იკითხა ჰორნმა.

ექიმმა მხრები აიჩეჩა. ადგილობრივი პოლიციელები მალე მოვიდნენ საკაცით, ვიღაც თეთრკანიანი მეზღვაურის მეთაურობით. უკან ორი საზღვაო ოფიცერი და ფლოტის ექიმი მოჰყვათ. მათ საქმიანად დაიწყეს ფუსფუსი.

— ცოლს უნდა შევატყობინოთ, — თქვა ერთერთმა ოფიცერმა.

— რაკი თქვენ მოხვედით, წავალ სახლში და რამეს ჩავიცვამ. მევე ვიზრუნებ იმაზე, რომ შეატყობინონ. ჩემის აზრით, არ ღირს ნახოს გვამი, სანამ წესრიგში არ მოიყვანენ.

— მართალია, — თქვა ფლოტის ექიმმა.

მისის მაკფეილი ჩაცმას ამთავრებდა, როცა ექიმი ოთახში შემოვიდა.

— მისის დევიდსონი ძალიან ღელავს ქმრის გამო, — დაიწყო მან, როგორც კი თვალი მოჰკრა ექიმს, — მისტერ დევიდსონი მთელი ღამე არ ყოფილა სახლში. მისის დევიდსონს გაუგია, როგორ გამოსულა მისს ტომპსონისგან ღამის ორ საათზე, მაგრამ შემდეგ სახლიდან წასულა. თუ აქამდე დასეირნობდა, ალბათ, ძალზე დაღლილი იქნება.

ექიმმა მაკფეილმა უბედურების ამბავი შეატყობინა და თხოვა მოემზადებინა მისის დევიდსონი.

— კი, მაგრამ რატომ ჩაიდინა ეს? — იკითხა შეძრწუნებულმა მისის მაკფეილმა.

— არ ვიცი.

— მე არ შემიძლია, არ შემიძლია.

— საჭიროა.

მან შეშინებული თვალები მიაპყრო ქმარს და გავიდა. ექიმს ესმოდა, როგორ შევიდა ის მისის დევიდსონის ოთახში. მაკფეილმა ცოტახანს შეიცადა აზრის მოსაკრებად, და პირის პარსვას შეუდგა. შემდეგ ჩაიცვა, საწოლზე ჩამოჯდა და ცოლს დაუწყო ლოდინი. ბოლოს მისის მაკფეილიც დაბრუნდა.

— მისი ნახვა უნდა, — თქვა მან.

— მორგში წაიღეს. უნდა გავყვეთ მისის დევიდსონს. ამ ამბავს როგორ შეხვდა?

— თითქოს თავში ჩარტყმისაგან დარეტიანდაო. არ ტირის, მაგრამ ფოთოლივით ცახცახებს.

— ახლავე უნდა მივიდეთ.

კაკუნზე მისის დევიდსონი გარეთ გამოვიდა. ძალზე ფერმკრთალი იყო, მაგრამ არ ტიროდა. მის სიმშვიდეში ექიმს რაღაც არაბუნებრივი მოეჩვენა. უსიტყვოდ გაყვნენ შარაგზას. როდესაც მორგს მიუახლოვდნენ, მისის დევიდსონმა ხმა ამოიღო:

— მე მინდა მარტო ვნახო იგი

მაკფეილები განზე გადგნენ. მუქკანიანმა მკვიდრმა გაუღო კარი და ისევ მიხურა. მაკფეილები დასხდნენ და ლოდინი დაუწყეს. რამდენიმე თეთრკანიანი მიუახლოვდა და ჩურჩულით დაუწყეს ლაპარაკი. ექიმი ისევ მოყვა ყველაფერს, რაც იცოდა ამ ტრაგედიის შესახებ. ბოლოს კარი წყნარად გაიღო და მისის დევიდსონი გამოვიდა.

— ახლა შეიძლება დავბრუნდეთ, — თქვა მან.

მისი მშვიდი ხმა მკაცრად გაისმა. ექიმმა მაკფეილმა ვერა გაუგო ძისი თვალების გამომეტყველებას. ფერმკრთალ სახეზე პირქუში იერი ედო. უსიტყვოდ, აუჩქარებლად მიდიოდნენ. ბოლოს მოსახვევს მიუახლოვდნენ, რომ ლის იქით ჰორნის სახლი იდგა. მისის დევიდსონმა გაკვირვებისაგან რაღაც წამოიძახა. სამივენი ელდა — ნაკრავივით გაქვავდნენ ადგილზე. მათ ყურთასმენა წარმოუდგენელმა ხმებმა მიიპყრო. ამდენხანს გაჩუმებული გრამოფონი უკრავდა — უკრავდა საცეკვაო მელოდიას მკვახედ და მთელი ხმით.

— ეს რა არის? — წამოიძახა შეძრწუნებულმა მისის მაკფეილმა.

— წავიდეთ, — თქვა მისის დევიდსონმა.

კიბეს აყვნენ და სახლში შევიდნენ. მისს ტომპსონი თავისი ოთახის კარებში იდგა და ვიღაც მეზღვაურს ელაქ-

ლაქებოდა. მასში უეცარი ცვლილება მომხდარიყო. სადღაც გამქრალიყო ბოლო დღეებში სიკვდილამდე დაშინებული ქალი. ისევ თავის მორთულობაში იყო გამოწყობილი: ტანზე თეთრი კაბა ეცვა, ბამბის მაღალყელიანი წინდებშემოტმასნილი ზორბა ფეხები გაპრიალებული ლაკის ჩექმებში ქონდა ჩატენილი, თმები დაევარცხნა, თავზე ჭრელყვავილებიანი ვეებერთელა შლაპა წამოედო. ლოყები ვარდისფრად შეეღება, ტუჩები ალისფრად, წარბები ღამესავით ჩაეშავებინა. მათ წინ ისევ ის უტიფარი გომბიო იდგა. ამაყად წელგამართულმა მისს ტომპსონმა მათ დანახვაზე ხმამაღლა, დამცინავად გადაიხარხარა, შემდეგ კი, როდესაც მისის დევიდსონი თავისდა უნებურად შედგა, ნერწყვი მოაგროვა და გადმოაფურთხა. მისის დევიდსონმა უკან დაიხია, ღაწვებზე ორი წითელი ლაქა გაუჩნდა. სახეზე ხელები აიფარა, ადგილიდან მოსწყდა და კიბეები აირბინა. ექიმი მაკფეილი აღშფოთდა. მან ხელი ჰკრა მისს ტომპსონს და მის ოთახში შეგვარდა.

— რას შვრებით? — დაუყვირა მან, — გააჩერეთ ეგ წყეული მანქანა!

ის მიუახლოვდა გრამაფონს და ფირფიტა გადმოაგდო.

— აბა, მკურნალო, ნუ წაიგრძელე ხელები. რა გინდა ჩემს ოთახში? — ეცა მას მისს ტომპსონი.

— როგორ, — დაიყვირა ექიმმა, — ეს როგორ?

ქალმა დოინჯი შემოიყარა. მის თვალებში აუწერელი ზიზღი მოჩანდა, ხმაში სიძულვილი.

— ჰო, ეს კაცები! ბილწი ღორები. ყველანი ერთნაირები ხართ. ღორები! ღორები!

ექიმ მაკფეილს კრინტი არ დაუძრავს. ყველაფერს მიხვდა.

თარგმანი ინგლისურიდან

ზ. ᲒᲔᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარპე მუმლაძე

დიდი ქიმიის ენთუზიასტები

ნაბდევი გულის ფიცარზე

ორმოცდაოთხი წლის სექტემბერი იყო.

დაჭრილებით სავსე ეშელონი მოდიოდა ფრონტიდან. მძიმედ დასახიჩრებული ვიყავი. გვერდზე ძლივს ვბრუნდებოდი.

როსტოვ-მახაჩყალა-ბაქოზე მოვყავდით; სოჭი—სოხუმის ხაზი ჯერ კიდევ არ მუშაობდა.

წყნარი, მზიანი დღეები იდგა, ვიდრე კავკასიაში შემოვიდოდით. ასე გაგრძელდა აზერბაიჯანშიც, თითქმის თაუზის რაიონამდე, მერე კი საშინელი ქარი ამოიჭრა.

კავკასიაში რომ დავიგულე თავი, სიხარულისგან თითქოს ფრთები გამომესხა. ლოგინიდან უთენია წამოვიწიე, ცხვირი ფანჯარაში გავყავი და ვაკვირდებოდი, როგორ უვლიდა მთებს მატარებელი და საქართველოსაკენ გამალებული მოეშურებოდა.

მზე თოხისტარზე იყო წამოჭიმული, ქარიც გამძაფრებით უბერავდა, როცა ეშელონი გაჩერდა და ობლად მდგომი შენობის ფასადზე ამოვიკითხე „რუსთავი“.

— რუსთავი!—შევძახე და ფანჯარაში ისე გადავიწიე, კინაღამ გადავვარდი.

აქ არაერთხელ გამივლია. ორმოცი წლის იანვარში ჯარში ამ გზით წავედი. ორმოცდაორის მაისში, ყირიმის დატოვების შემდეგ, თბილისში ამ გზით დავბრუნდი. გორის დივიზიასთან ერთად ამ ტრამალით შევუყევი ჩრდილო კავკასიის ფრონტს. ამ გზით წავედი უკრაინის ფრონტზეც და ახლა საქართველოშიც ამ გზით ვბრუნდებოდი.

ორმოცდაოთხი წლის სექტემბერი იყო.

ბალტიისპირეთისა და ლენინგრადის ფრონტები შეტევას განაგრძობდნენ. ბრძოლები ვარშავის მისადგომებზე წარმოებდა. საბჭოთა არმიამ გაანთავისუფლა ბულგარეთისა და რუმინეთის მეტი ნაწილი და იუგოსლავიის საზღვარს მიუახლოვდა.

რომ მტერზე საბოლოო გამარჯვება ახლოს იყო, რომ მეც მქონდა მასში შეტანილი ერთი ბეწო წვლილი, რომ შინ ვბრუნდებოდი, თუმცა მძიმე დაჭრილი, მაგრამ სულიერად გულშეჯერებული, — ყოველივე ეს უზომოდ მახარებდა.

ამიტომაც იყო: თუ აქამდე რუსთავისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა პირველმა ქართულმა მიდამომ გული ამიფორიაქა. მიხაროდა, რომ მატარებელი ქართულ მიწაზე იდგა, ისე კი ირგვლივ სახარბიელო არაფერი ჩანდა.

ყიამეთი ამინდი იყო. გაშიშვლებულ ტრამალებზე დასავლეთის ქარი თავაწყვეტილად ნავარდობდა, მუშტის სისხო სილას ცაში ათამაშებდა. ველი კი ერქვა, მაგრამ მინდორი არსად ჩანდა: გადახრუკულ ქვიშნარზე ძირამოგდებული ბალახი უკვე გამხმარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთგან შევნიშნე რაღაც კარვები და ჩონჩხედები, გზაზე კი ხრეშით დატვირთული საბარგული მიჰქროდა.

ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ აქ მეტალურგიული ქარხანა შენდებოდა, თუმცა მაშინ ეს როდი იყო მთავარი ჩემთვის.

და როცა გაბრწყინებული თვალით გავყურებდი ხრიოკ ველებს, გულში ტყვიასავით მომხვდა ევგენი ბობკოვის მწარე სიტყვები: — Что за чертовые места!.. თითქოს უკვე საქართველოში ვართ, მაგრამ არა ჰგავს: სად—აყვავებული მხარე და სად — გაგიჟებული სილანარევი ქარი გადახრუკულ ველზე!..

იგი ექიმი იყო, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი. ძირს ჩასულიყო და ახლა ვაგონში ამოდიოდა. თვალები ეცრემლებოდა. ცხვირსახოცით იწმენდდა, მაგრამ ვერას შველოდა. მარჯვენა თვალი კარგა ხანს ვერ გაახილა, სილა ჩაცვენოდა და ეხუჭებოდა. ბოლოს, სული რომ მოითქვა, ისევ შეიგინა: ეშმაკმა წაიღოს, თვალები დამისივდაო...

გული მეტკინა: ქართული მიწა, რუსთავს რომ ეძახდნენ, შესაფერისად ვერ დახვდა მეგობარს.

ეს წუთები გულისფიცარზე დამეჭდო და, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება.

მითუმეტეს, ცხოვლად ვადევნებდი თვალს რუსთავის მკვდრეთით აღდგენას.

და განა მარტო თვალს ვადევნებდი?!

მუდმივი საშვი

პარტკომში შევდივარ.

მისაღებში ქერათმიანი გოგო ზის და რაღაცას ბეჭდავს. ალბათ, ტექნიკური მდივანია. კაი ხანია აქეთ არ ვყოფილვარ და ვერ ვიცნობ.

— გამარჯობათ! მონცელიძე თუ არის?

— გამარჯობათ! გასულია, — მან თავი აიღო, ერთი შემათვალიერა, მაგრამ ბეჭდვა არ შეუწყვეტია.

— შორსაა?

— არა. მალე მოვა.

მისაღებში სივიწროვეა. მაინც დგას რამდენიმე სკამი.

კუთხეში ვჯდები. შეიძლება კაბინეტშიც შევიდე, მაგრამ მეუხერხულება. რაღაც ულამაზოა, როცა მარტო გამოიჭიმები კაბინეტში არამკითხედ, თუნდაც მისი პატრონი ნაცნობი და მეგობარიც იყოს.

— ალბათ, შემოწმებაზე ხართ, — მაწყვეტინებს ფიქრს ქერათმიანი.

— დიახ, — ვპასუხობ და თქვენ ხვდებით, რომ უზუსტობა უკვე დაშვებულია.

ვუთხრა, არა-მეთქი, ხელახლა მკითხავს, მაშ, ვინა ხართო. მოდი და აუხსენი ყველაფერი. არა უშავს, მერეც გაიგებს.

პასუხით, მგონი, დაკმაყოფილდა (ალბათ, შემოწმებაზე ხშირად დადიან) და ჩუმად განაგრძო თავისი საქმე.

ალბათ, საცაა გამოჩნდება თენგიზ მონცელიძე.

ძნელია პროგნოზები, შეიძლება არც გაგიმართლდეს, მაგრამ, ვფიქრობ, მონცელიძე შინაგანად ისეთივეა, როგორიც წარმომიდგენია. მისი დავაჟკაცება ხომ ჩემს თვალწინ მოხდა: პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, მერე პარტიული სკოლა, საგლინავი საამქრო, რვა წელიწადი საქართველოს დიდი ქიმიის წარმოების პარტკომის მდივანია. რუსთავში კი ადრეა მოსული. ჯერ მშენებლობაზე იყო, მერე კომკავშირის ქალაქკომში...

ჩვენს შორის კეთილი სალამის მეტი არაფერი ყოფილა. პარტიულ სკოლაშიც რომ იყო, ხშირად რუსთავიდან დადიოდა. ვხედავ, საღამოს ჩამოდის ავტობუსიდან. სალამს მეტყვის. მეცრა თქმა უნდა, სალამით ვპასუხობ. ხან ერთი ვასწრებთ, ხან — მეორე.

გამოსვლაც საქმიანი იცის. რაც მთავარია, არასოდეს არ კითხულობს. ავა-

ტრიბუნაზე, დაიდებს დაწერილ სიტ-ყვას. შეიძლება, პირველი აბზაცი კი-დეც წაიკითხოს, მაგრამ მალე გასწევს გვერდზე და მოყვება წყნარად, დალა-გებით. საწარმოო განათლებაც ხელს უწყობს. კაი ხანია ჩვენი ტექნიკუმი დაამთავრა.

ამას წინათ დავურეკე, მწერლები მოდიან და მიხედეთ — არ შევრცხვეთ-მეთქი.

— ძმაო, მე არ ვიქნები, ათი დღით შვებულებაში მივდივარ, მაგრამ დავუ-ბარებ და ყველაფერი რიგზე იქნება.

მერე გავიგე: თურმე დაუსწრებლად სწავლობდა და ზამთრის სესიებზე გა-მოცდებს აბარებდა.

ტელეფონი რეკავს. ქერათმიანი პა-სუხობს:

— დიახ, დიახ, მე ვარ—ტანია იაკო-ვლევა.

ტანია რქმევია, ტატიანა, იაკოვლევა.

და მაგონდება იაკოვლევის კონსტ-რუქციის ავიოგამანადგურებელი, რო-მელსაც ომში „მესიმინდეს“ ვუძახდით: ისე დაბლა ჩამოდიოდა ჩრდილო კა-ვკასიის ყანებში, რომ პირდაპირ სიმი-ნდებში ეძებდა მტერს.

მონცელიძე შემოდის, ხელს უხმოდ მართმევს, ტატიანას რაღაცას ეუბნე-ბა და კაბინეტისაკენ მიმიძღვის.

ერთი წუთის შემდეგ პროფკავშირის ქარხკომში ვართ.

— ქალაქკომის ბიუროზე მივდივარ. ამიტომ კარპე შენ უნდა მოგანდო, — ეუბნება თენგიზი ბორის წიქორიძეს.

ბორისი ქარხკომის თავმჯდომარეა, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე, მაგ-რამ უკვე ტელეფონის ნომერს კრეფს და, ალბათ, არ მადროვებს, რომ გაგაც-ნოთ. მერე შევეცდები.

— ვარდოსანიძე მინდა. სად არის?— ახლა მე მომიბრუნდა: — კარგი იქნებო-და, ვარდოსანიძე გვენახა! თავიდანვე ქარხანაშია, ყველაფერი ხუთი თითი-ვით იცის.

მჯერა, რომ ასე იქნება. ლავრენტი ვარდოსანიძეს მეც კარგად ვიცნობ. სა-წარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი და მთავარი ინჟინრის — მოა-დგილეა, საკმაოდ გაქალარავებული, სოლიდური კაცი. ქარხანა რომ ახალი ამუშავებული იყო, ნიკოლოზ ჭიპაშვი-ლმა, მაშინდელმა დირექტორმა, გამო-უძახა ვარდოსანიძეს და ჩემი თავი ჩააბარა, წარმოება კარგად გააცანი, იქნებ მწერლობამ ჩვენსკენ პირი ქნა-სო. ლავრენტი მაშინ საამქროს უფრო-სი იყო. გულდინჯად დამატარა, ყველა-ფერი ამიხსნა, გამარკვია. დაწერით მა-ინც არაფერი დამიწერია. სამაგიეროდ, ერთი მეგობარი შევიძინე. მის შემდეგ ყოველთვის კეთილი ღიმილით ვხვდე-ბი.

ვარდოსანიძე ფუთიდანაა (ზესტაფო-ნის რაიონი). ეს სოფელი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვს: კარგი ღვინო იცის. მამაჩემი ხშირად დადიოდა. გა-აკეთებდა ურმებს, წაიღებდა ქვემო-თში (ზესტაფონისა და მის ქვემოთა რა-იონებს ეძახდა), გაყიდდა და საპალნე ცოლიკაურს მოაგორებდა შინ. ზოგჯერ ზესტაფონის ბაზარზე ასაღებდა, უფრო ხშირად კი სოფლებში მიჰქონდა. ამი-ტომ ხშირად მესმოდა სვირი, ფუთი, საქარა, ღვანკითი... ერთხელ, მეშვიდე თუ მერვე კლასში რომ ვიყავი, მეც გავაკეთე აჩაჩა ურმის თვლები.

ლავრენტი ჯერ რკინიგზაზე მუშაო-ბდა, თან მუშფაკში სწავლობდა. მერე ინსტიტუტიც დაამთავრა. დიდხანს იყო ნოვომოსკოვსკის ქიმკომბინატში. ორ-მოცდარვა წლიდან რუსთავშია.

დედამისი ოქრომჭედლიძის ქალია. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ლავრენტის და მის ამხანაგებს ოქროზე ნაკლები საქმისათვის როდი უკიდიათ ხელი, მაგრამ ამაზე — შემდეგ.

წიქორიძე ისევ რეკავს, ვიღაცას ელა-პარაკება.

— ხედავ, არც მერი გუგუციძეა ად-გილზე! დიდი ხანია ქარხანაში მუშა-ობს, ყველა საქმის კურსშია. მერე, იცი, რა გოგოა?!...

— შენც ახალ ამბავს მეუბნები, ჩემო ბორის! მერი გუგუციძესაც კარგად ვიცნობ: ქარხანაში ტექსწავლებას ხელმძღვანელობს; ღიაოქროსფერი თმა, გადაბადრული სახე და სანდომიანი ღიმილი აქვს. ჩემთვისაც ხშირად მოუკითხავს: ქიმიკოსი სტუდენტების ბედი აინტერესებდა. კარგია, უთუოდ კარგი ასეთი მეგზური, მაგრამ რას იზამ: ქარხანა დიდია და ყველას თავისი საქმე აქვს. ბორისი მაინც არ ეშვება. აკი მიაგნო ვიღაცას! მალე ოთახში უცხო კაცი შემოვიდა.

— ინჟინერი გიორგი ბაევი, ვარდოსანიძის მოადგილე, —მაცნობს წიქორიძე. —ყველაფერს გაგიკეთებს. თუ რამ დაგჭირდეს, მეც აქა ვარ.

— საშვი თუ გაქვთ?— მეკითხება ბაევი უკვე თავის კაბინეტში.

— არა.

— ახლავე მოვალ, — ამბობს და გადის.

მალე ბრუნდება.

— განცხადება უნდა დაწეროთ დირექტორის მოადგილე ნონიკაშვილის სახელზე.

ვწერ.

ბაევს ქაღალდი მიაქვს და ახლა ვხვდები, რომ ასე არ ვარგა.

ამ ინჟინერმა ჩემი გვარიც არ იცის, ალბათ, ნონიკაშვილს უთხრა, ვიღაც მწერალია და საშვი უნდა მივცეთო. მანაც დაარიგა, განცხადება დაწეროსო. ახლა შეუტანს, ნიკო წაიკითხავს და დამიწყებს ლანძღვას, რატომ არ მნახეო.

მართალი იქნება!

ისიც ძველი რუსთაველია. რედაქციაში რომ ვმუშაობდი, პარტიის ქალაქკომში იყო ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ, ქალაქკომის მდივნად. სწორედ იდეოლოგიას განაგებდა. ამიტომ ბევრი საერთო გვქონდა. განათლებით ქიმიკოსია და ქალაქკომიდან აქ გადმოიყვანეს.

დავეწიე ბაევს და გაჩნდა ნიკოლოზ ნონიკაშვილის რეზოლუცია: „გამოუწერეთ მუდმივი საშვი!“.

პირველი ჩიჩერონე

მეგზური უკვე მიცდის, —საწარმოთ-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი გალინა იგნატიევა, ქალიშვილობაში პოკიდაილო. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს პირველად ვხედავ, თუმცა ქალაქში, ალბათ, ბევრჯერ შემხვედრია. მაგრამ, მოგეხსენებათ, უცნობს მაშინ აქცევ ყურადღებას, თუ რაიმეთი გამოირჩევა. ხომ არის ზოგჯერ: არ იცი, ვინაა ესა თუ ის პიროვნება, მაგრამ სახით, გარეგნულად თითქოს იცნობ და სადმე შორს რომ შეგხვდეს, ნაცნობად ჩათვლი. გალინა სწორედ რომ არაფრით გამოირჩევა: საშუალოზე დაბალი ტანისაა, პირთხელი, თეთრი სახითა და შავი თმით (თუმცა თანამედროვე ქიმიის პირობებში ქალის თმის ნამდვილ ფერს ძნელად თუ გაიგებ). ქართველს ჰგავს. ამიტომ სახელი ქართულად ვკითხე. რუსულად მიპასუხა, ქართული არ ვიცი, და იქვე განმარტა, თქვენ მართალი ხართ, ბევრს ვეშლებიო.

— საიდან დავიწყოთ? — მკითხა გალინამ, როცა ქარხნის ტერიტორიაზე შევედით.

— თქვენ უკეთ იცით.

ვატყობ, რომ პასუხი არ ეჭაშნიკა: ხომ უნდა იცოდეს, რა დოზით მომაწოდოს საამქროებისა და ქიმიური პროცესების აღწერილობა, რომ ყოველივე ამან სარგებლობა მოგვიტანოს მე და ბევრ ჩემნაირ არასპეციალისტს. ჩემი ქიმიური ცოდნა კი იმით განისაზღვრება, რაც საშუალოში შევიძინე. მართალია, კარგად ვსწავლობდი, განსვენებული კარპე ტყემალაძე ხუთიანებს მიწერდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იყო ოცდახუთი წლის წინათ, მეორეც, საშუალო მაინც საშუალოა.

— გასაგებია, მაგრამ რა უფრო გაინტერესებთ? — ისევ მეკითხება გალინა.

— ქარხნისა და წარმოების ზოგადი მიმოხილვა მოკლედ და გასაგებად.

— ძნელია მოკლედ. მაინც შევეცდე-

ბი. მხოლოდ ერთი პირობით: რაც ვერ გაიგოთ, უთუოდ მკითხეთ.

ვიდრე ჰაერგამყოფ საამქროში შევიდოდეთ, ერთიც ვთქვათ. ვისაც მეტალურგიაში ცოტა რამ გაეგება (მათ რიცხვს ჩემ თავსაც ვაკუთვნებ), უთუოდ თვალში ეცემა განსხვავება ქიმიურ ქარხანაში მოხვედრისას. მეტალურგიაში თითქმის ყველა პროცესი თვალწინაა, შეიძლება ხელიც შეახო (დაწვის თუ არ გეშინია!). ქიმიაში კი ყველა პროცესი დახურულია, მხოლოდ ხელსაწყოები გიჩვენებენ მათ მიმდინარეობას. არის მეორე გარემოებაც. მეტალურგიაში ყურადღებას იქცევს დიდტანიანი დანადგარები და სახურავქვეშ მოგლიჯინე ხიდური ამწეები. ყოველივე ამას იშვიათად ნახავთ შენობის გარეთ. აქ კი არის კომპრესორები, ვენტილატორები, ტუმბოები, ათასგვარი ხელსაწყო-აპარატი, მილები, კლაკნილმილებიანი მოწყობილობა — მექანიზმები, რაც ძირითადად გარეთაა, ჰაერზე. ამ მილებით მოდის გაზი, ორთქლი, ჰაერი, წყალი, და, რა ვიცი, კიდევ რა...

აქ თავდება ჩემი ქიმიური ცოდნაც, თუმცა შეიძლება რაღაც კიდევ გავიხსენო. ამას წინათ ერთი ქიმიკოსი მეუბნებოდა. აზოტსასუქოვან ქარხანაში იმდენი წვრილი და მსხვილი მილია, ერთმანეთზე რომ გადაბა, ქუთაისიდან ხარკოვამდე გაწვდებაო.

— ქარხანა მუშაობს ორმოცდათექვსმეტი წლიდან...

რატომღაც ეჭვი შემეპარა, იგნატიევა კი დაბეჯითებით განაგრძობს:

— პირველი ამონიუმის გვარჯილა მივიღეთ მარტში, ნატრიუმის გვარჯილა — აპრილში. ამ დროიდან ჩვენი მინერალური სასუქები უწყვეტად მიედინება საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების საკოლმეურნეო მინდვრებში.

— ორმოცდათუთხმეტ წელს სწორედ თქვენმა უფროსმა მიჩვენა საამქრო, სადაც ამონიუმის გვარჯილა ისე მოშრიალებდა, როგორც ყვითელი სიმინდის ფქვილი ელექტროწისქვილის დოლაბიდან, — ვეუბნები ჩიჩერონეს და მიხარია, რომ ქიმიაში მთლად ბენტერა არ ვყოფილვარ.

— შეიძლება, მაგრამ ეს იყო საკმაოდ ელი წარმოება. გადამმუშავებელი საამქროები ადრე ააგეს (მათი მონტაჟი შედარებით იოლია), გაზისა და ამიაკის წარმოება კი ჯერ არ იყო. ათვისება რომ დაჩქარებულიყო, ძირითადი საამქროები გაუშვეს შემოზიდულ ამიაკზე. და სწორედ ეს პირველი პროდუქცია, ამონიუმის გვარჯილა, მივიღეთ 22 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების 85 წლისთავზე.

გაზს ვღებულობდით მეტალურგიული ქარხნიდან, ვწმენდდით გოგირდისაგან, ვახდენდით კონვერტირებას — ვუმატებდით ორთქლსა და ჰაერს, გამდიდრებულს ჟანგბადით. მიღებული აზოტწყალბადის ნარევი ხვდება კატალიზატორში, სადაც ხუთასი გრადუსი ტემპერატურა და სამასოცი ატმოსფერო წნევაა. იქ მას უერთდება წყალბადი და აზოტი და მიიღება ამიაკი, რომელიც შემდგომ გადამუშავდება აზოტის სიმჟავედ და ამონიუმის გვარჯილად.

სწორედ ქუჩის თავზე გადის მილები, რომლებითაც მეტალურგიული ქარხნიდან კოქსური გაზი მოდიოდა. ახლა კი ქარხანა ბუნებრივ გაზზე მუშაობს.

— კოქსური გაზი სადღა მიდის?

— არ ვიცი, ალბათ ჰაერში.

— ტყუილად იკარგება?! ეს ხომ დიდი ზარალია!

— ამ საქმეში კომპეტენტური არა ვარ, — ღიმილით ამბობს იგი.

შემდეგ გავიგე, რომ მეტალურგები კოქსურ გაზს შიდასაქარხნო საჭიროებისათვის იყენებენ.

ვათვალიერებ კორპუსებს, ათასნაირ დანადგარს, არავითარი პროცესი არ ჩანს. მხოლოდ გუგუნი და შიშინი ირევა ერთმანეთში. აპარატებთან შარვლიანი გოგოები (და ბიჭებიც) დგანან, ტექნოლოგიურ პროცესებს აკვირდებიან და ჟურნალებში რაღაცეებს იწერენ.

იგნატიევა კი შეუსვენებლივ ლაპარა-

კობს და ლაპარაკობს. დროდადრო მეკითხება:

— გაიგეთ?

— დიახ, დიახ, — ვპასუხობ უმალვე: მეშინია, არაფერი მკითხოს ან თავიდან არ დაიწყოს.

ერთი სული მაქვს, ვიდრე კაპროლაქტამის წარმოებაში მივიდოდეთ. ფაქტიურად ეს არის აქ ახალი. დანარჩენს ასე თუ ისე ვიცნობ. კაპროლაქტამზე კი წარმოდგენაც არა მაქვს. ორი თვეა, რაც გაუშვეს. არაფერში დამჭირვებია, უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად კი დრო ვერ ვიშოვე.

— დღეს ამით დავამთავროთ, — მეუბნება გალინა, როცა მეთანის კონვერსიის საამქროდან გამოვედით.

— კაპროლაქტამი?!

— ის შორსაა, ჩემს ზონაში არ შემოდის. ლაქტამში სხვა წაგიყვანთ ხვალ.

მხრები ავიჩეჩე. გალინას დასანახავად კი არა, შეუმჩნეველად და ყელში მომდგარი ნერწყვი ისე გადავყლაპე, თითქოს კაპროლაქტამში ქართული ცვრიანი მწვადები მელოდა.

მეოთხე ჩიჩეროანი

ამას წინათ დემნა შენგელაია მთხოვდა, კაპროლაქტამი გვაჩვენეო. მე და სერგო კლდიაშვილი ჩამოვალთო.

— კი, ბატონო. როცა გენებოთ, დამირეკეთ, — ვუპასუხე, თან გულში გავიცინე: მანამდე უთუოდ ვნახავ.

პატივცემული დემნა არ რეკავს. ალბათ, ეხათრება. ისევ მე უნდა დაველაპარაკო. ბგერ დღეს დავათვალიერებ და მერე დავურეკავ.

მარინე მჭედლიშვილი იმავე თანამდებობისაა, როგორისაც იგნატიევა. მასზე ჯერ მეტი არაფერი ვიცი. საერთოდ, არ მიყვარს თავიდანვე ყველაფრის გამოკითხვა. ერთგვარად უხერხულიცაა. უკეთესია ბოლოს. მანამდე საუბარშიც გაიგებ ზოგ რამეს. მერე ანკეტით გაათავებ.

ვიდრე ეს არ მომხდარა, მჯერა, რომ მარინე რუსია: შუატანის ჩამრგვალებული ქალი, ღაჟღაჟა, მსუქანი სახითა და ბალიშა ლოყებით. აქცენტი ხომ წმინდა რუსული აქვს. ქალის ხნოვანობაზე რომ ძნელია ლაპარაკი, ამას მაგალითად მარინეც ეყოფა. იგი შეიძლება იყოს ოცდაათისაც, ორმოცისაც, ნაკლებისაც, მეტისაც. მოდი და ენდე ქალის სახეს!

მჭედლიშვილი, ალბათ, ქმარი ჰყავს. ამიტომ იცის ქართულიც: მის ქართულს ყური მოვკარი, როცა ტელეფონით ლაპარაკობდა.

— რუსული იცით?— მეკითხება ნახევრად სერიოზულად.

— მაგრამ ქართულად უნდა დავწერო. ამიტომ სასურველია ქართულად ილაპარაკოთ.

...მარინე უკვე ასრულებს თავის მოვალეობას, მიამბობს საწარმოო პროცესებზე, და სწორედ უკულტურობა იქნება, რომ არ მოვუსმინო.

— კატალიზატორზე განეანგავენ ამიაკს ჟანგბადის საშუალებით. აზოტის ჟანგეულს შთანთქავს წყალი. მიიღება სუსტი აზოტმჟავა.

ეშმაკი ვერ გაიგებს, სად რა მექანიზმია, რა რისთვისაა, სად რა ხაზი და მილი გადის. ასე მგონია, ყველაფერი ერთმანეთშია არეული. თუ კარგი სპეციალისტი არა ხარ, ამ ლაბირინთებში თავგზა აგებნევა. ვფიქრობ, მეტალურგიაში შედარებით იოლია მექანიზმებში გარკვევა.

მარინე განაგრძობს:

— ამიაკისა და აზოტმჟავის ურთიერთმოქმედებით მიიღება ამონიუმის გვარჯილის ხსნარი. მერე ახდენენ მის ორსაფეხურიან აორთქლებას. ამ ნაერთს მიმოასხურებენ საგრანულაციო კოშკში, სადაც იგი დამარცვლოვანდება. ეს უკვე სასუქია, რომელიც ჩაის მოსავალს ადიდებს ოთხჯერ, მანდარინისას — ხუთჯერ და ა. შ. ალბათ, გაინტერესებთ საგრანულაციო კოშკი...

წინ ორი კაცი შემოგვხვდა. ვეცნობით:

— ხოლინი.

— დავითაია.

— ნიკოშა, არის ვინმე ლიფტში, რომ

ზევით აგვიყვანოს? — ეკითხება მარინე დავითაიას.

— მე წამოვალ, — არის მოკლე პასუხი.

ლიფტს გრიალით ავყავართ მაღლა.

მარინე ხელახლა მიხსნის პროცესებს, მერე დავითაიას მიმართავს.

— სადაა ახლა გრანულატორი?

— იცი რა, იგი ჯერ არაა დამთავრებული... არაფერ საინტერესოს არ წარმოადგენს... უცხოსთვის ჩვენება აკრძალულია... — მარცვლა-მარცვლად ღეჭავს დავითაია და ვხვდები, რომ ნამდვილად რაღაც საინტერესოა.

— ვიცი, მაგრამ ეს არაა უცხო, ჩვენი მწერალია. მეორეც, სულერთია, მაინც ვერაფერს გაიგებს, — ღიმილით ამბობს მარინე და მეც მეღიმება.

— მაშინ შეიძლება.

ოთხმოცდაცხრამეტპროცენტიანი ამონიუმის გვარჯილის კონცენტრირებული ხსნარის გრანულაცია (გასხურება) არის ერთ-ერთი მთავარი პროცესი, რომელზეც დამოკიდებულია პროდუქციის საბოლოო სახე, ხარისხი, არსებული გრანულატორები სათანადო ეფექტს არ იძლევიან, დიდია ზარალიც, ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტმა, ინჟინერმა ბორის ხოლინმა გამოიგონა ახალი გრანულატორი, რომელსაც საუცხოო შედეგი მოაქვს. მოსკოვის სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტის გადაწყვეტილებით, იგი პირველად სწორედ აქ, რუსთავში, ინერგება. შემდეგ გავრცელდება მთელ საბჭოთა კავშირში.

არ შეიძლება ორი აზრი იყოს იმაზე, რომ ეს არის დიდად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე. ასეც მოეკიდა საამქროს კოლექტივი, ადგილზე დაამზადეს ახალი გრანულატორი ხოლინის ნახაზების მიხედვით. კაი ხანია, ქარხანაში იმყოფება თვით ბორის ხოლინიც, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს წარმოებაში გამოგონების დანერგვას.

აქვე მიჩვენებენ ახალ მცირეგაბარიტულ კოშკს, რომელიც მთლიანად უჟანგავი ფოლადისაგანაა აგებული. მისი გამასხურებელი ვიბრაციის პრინციპზე მუშაობს. ასეთი კოშკიც პირველია საბჭოთა კავშირში.

უკან გამობრუნებისას მარინეს ვეკითხები ზოგ რამეს საამქროს მუშაკებზე. იგიც ხალისით ჰყვება. კარგად ახასიათებს მათ, მაგრამ უფრო მეტად დავითაიას უტრიალებს.

— ოცდაათში დაიბადა, ძველ სენაკში. საშუალო ფოთში დაამთავრა. თორმეტი წლის წინათ დაასრულა თბილისის საავიაციო სკოლა. თვითმფრინავმშენებელია. ორმოცდათექვსმეტიდან აქაა. მუშაობს საამქროს მექანიკოსად. განვითარებული ბიჭია, უყვარს ლიტერატურაც...

რომ არ შემეჩერებინა, ალბათ, კიდევ იტყოდა რამეს. ახლა ვხვდები, რომ მათ შორის უთუოდ რაღაცაა (იქნებ შეყვარებულებიც არიან).

— თქვენ რა, ზეპირად იცით დავითაიას ბიოგრაფია?!

— ვიცი, რატომ არ ვიცი; ქმარია ჩემი.

ქიმიური ქარხნის საამქროები კოხტად ნაგები აგურის კორპუსებია, ინკუბატორის წიწილებივით ერთმანეთის მინაგვარნი. გზებიც კვარტალებადაა თითქოს დაჭრილი, ქალაქის ქუჩები გეგონებათ. მხოლოდ მუშა წყლის გასაგრილებელი ვებერთელა შხეფსაცივრები გამოიყურებიან უცხოდ, მაგრამ ისინიც ზუსტად ერთნაირია. წარწერამაჩვენებლები კი არაფერი ჩანს. ახალმოსულს უთუოდ გზა აერევა. ამიტომ გვიან მივხვდი, რომ გასასვლელს ვუახლოვდებოდით. გულმა რეჩხი მიყო და არაბუნებრივად წამოვიძახე:

— კაპროლაქტამი?!

— ლაქტამი ჩემს ზონაში არაა. იქ სხვა წაგიყვანთ ხვალ.

კრინტი არ დამიძრავს, გუნებაში კი

ერთი გვარიანად შევიკურთხე. არ ვიცი ვის მიუვა: უმისამართო იყო.

ზოთას სადღეგრძელო

ლაქტამი დღესაც ვერ ვნახე! რა ვქნა, თავს ზევით ძალა არაა. თუმცა... სად წავა! ხვალ ვნახავ.

სამაგიეროდ მეტი დრო დამრჩა. შეიძლება კიდეც დავისვენო, კიდეც გავისეირნო.

შეიძლება ტყე-პარკში გავიაროთ. თუმცა ჯერ გახსნილი არაა (გაზაფხული იგვიანებს), მაგრამ რას ვუყურებთ გახსნას. ათასწლოვან ხეთა შორის მოდგაფუნე მტკვრის ტალღები მაცოცხლებლად ეფინება დღის ნაშრომ-ნაამაგარით დამტკბარი კაცის გულს. ეს კარგად იციან თბილისელებმაც. ამიტომ ცოტა ხანიც და —წყებაწყებად წამოსულ თბილისელთა ყიჟინა აახმაურებს ჭაღარა მდინარის ნაპირებს. მერე ვერხვების ჩრდილში წამოწვებიან და რუსთავის მშრომელებთან ერთად ზოთას სადღეგრძელოს დალევენ. ამაში ორივე იგულისხმება: როგორც ვეფხისტყაოსნის ავტორი, ისე ახალი რუსთავის მკვიდრი.

შეიძლება მეტალურგთა სასახლეში შევიაროთ. აბა, აფიშები, ვნახოთ: ოი, ნინო რამიშვილი. და ილიკო სუხიშვილი ჩამოდიან. ქართულმა ცეკვამ ხომ მსოფლიო მოხიბლა!

რა ამბავი იქნება!

თუმცა ამაზე ადრე უნდა გვეფიქრა. ახლა სად იშოვი ბილეთებს!

ალბათ, კინოთეატრებშია რაიმე ახალი.

იქნებ, არსადაც არ წავიდეთ, ქუჩებში გავიაროთ.

ნაძვები, ვერხვები, ჭადრები, ცაცხვები, შერეული სკვერები და ხეივნები, დაბურული ხეხილნარი!...

რა სჯობია აქ დასვენებას!

სკვერებსა და ხეივნებში ამას წინათ დადგეს ხატულა ძელსკამები. თუ დაიღალეთ, ჩამოჯექით, თვალს წყალი დაალევინეთ, ლამაზი შენობებისა და მოგოგმანე გოგო-ბიჭების ცქერით დასტკბით, მათი სიყვარული გაიხიარეთ.

ბევრი უკვე ზის.

სხედან ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი... უფრო მეტად —ორ-ორი...

სხედან და საუბრობენ.

რაზე?

თუნდაც სიყვარულზე (ცუდი რამაა!).

ეს რა მანქანებია?

პირდაპირ ლენინის ძეგლთან გაჩერდა ერთი, ორი, სამი ოთხი „ვოლგა". ალბათ, უცხოელთა დელეგაციაა.

საშუალო ტანის ქერათმიანი კაცები და ქალები გადმოვიდნენ.

საიდან არიან?

ინგლისელები ყოფილან, პარლამენტარები. პროფესორები, უმაღლესი სკოლის მოღვაწენი.

რა აინტერესებთ?

მრეწველობა და კადრების მომზადების ორგანიზაცია.

ყოფილან მეტალურგიულ და აზოტსასუქოვან ქარხნებში, ქიმიურმეტალურგიულ ტექნიკუმში.

ახლა ქალაქს ათვალიერებენ.

ალბათ, მოეწონებათ. რატომაც არა!

მერე ჩავლენ სამშობლოში.

ჩავლენ და იტყვიან, ეს რა ქვეყანა ყოფილაო.

გადაშალეთ რუსთავის შთაბეჭდილებათა წიგნები და ამოიკითხეთ ხუთივე კონტინენტის წარმოგზავნილთა აღტაცება, ჩვენი მხარის, ჩვენი ხალხის ნახვით რომ განიცადეს.

დიახ, ხუთივე კონტინენტის!

მოსაღამოვდა. იაღლუჯზე მარტის გაცრეცილი მზე დაესვენა. ცაზე ნამგალა მთვარე აკიაფდა. ქუჩაბანდებში სიცივე ჩამოწვა.

სიცივე-მეთქი!

ხუთი გრადუსი სითბოა და მაინც სიცივეს ვეძახით!

უკვე გამოსულან სასეირნოდ.

აგერ ქალი ეტლს მოაგორებს. ალბათ, დედაა. პუტკუნა გოგო (შეიძლება ვაჟია) ბაჭიასავით აცმაცუნებს ტუჩებს.

რომელი ქუჩაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის.

აქ ძირითადად ქიმიკოსები ცხოვრობენ.

როგორი უბანია?

ვერ ვიტყვი, სხვა უბნებს სჯობიამეთქი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არცერთს არ დაუდებს ტოლს.

აი, შოთას ძეგლიც!

მის გახსნას, ალბათ, დასწრებიხართ. თუ არა, პრესაში მაინც წაიკითხავდით.

რა ზეიმი იყო!

ცნობილი ინდოელი მწერალი გოპალ ხალდარი (სწორედ მაშინ იმყოფებოდა თბილისში) რუსთავს ეწვია და მიტინგზე გამოვიდა.

დღეს ჩვენი ქვეყნის დახმარებით აშენებს ინდოეთი ახალ ცხოვრებას. ბხილაის მეტალურგიულ ქარხანაში ახლაც იმყოფება რუსთაველ სპეციალისტთა ჯგუფი.

ყოველივე ეს გაიხსენა ხალდარმაც და სიყვარულის ნიშნად ძეგლის პედესტალზე ცოცხალი ყვავილების თაიგულები დააწყო.

აგერ ქიმიკოსთა კულტურის სახლიც. სწორედ ახლახან გაჭრეს მის ირგვლივ მშვენიერი პარკი. შუაღამემდე დასეირნობენ გოგო-ბიჭები, ხალისობენ, გულისნადებს უზიარებენ ერთმანეთს.

შიგნით კი — ყველაფრის ნახვას მოვასწრებთ!...

თვითმოქმედი კოლექტივები გაცხარებით მეცადინეობენ, საგაზაფხულოდ ემზადებიან.

ტყუილად როდი მოგახსენეთ, გაცხარებით-მეთქი: მაღალი, წაბლათმიანი მეაპარატე სცენაზე გამოჭიმულა, ადლიანი ხელი-ჭერისკენ აღუპყრია და ოფლდადენით გადმოსცემს ახალი პიესის ერთ-ერთი გმირის მონოლოგს...

მოშორებით, ერთმანეთს რომ ხელი არ შეუშალონ, მოცეკვავეთა გუნდია: ეშხიანი, შოლტივით წელგამოქნილი გოგოები იატაკზე ქართული ცეკვის ნახაზს ავლებენ...

ეს რა ხმებია?

„გაზაფხული დავუბრუნეთ
უსიცოცხლო ტაშირს,
ზვრებს და ყანებს მოვაფრქვიეთ
საზრდო მთა დ. ბარში.
მერე ვაზის და სიმინდის
ჩაის ბუჩქის ფესვმა
ნოყიერი მიწის წვენი
ბადაგივით შესვა...

რუსთავში მომუშავე პოეტმა სილოვან ახვლედიანმა სპეციალურად დაწერა სასიმღერო ლექსი ქიმიკოსებზე. და ისინიც ყელგადაგდებით აფრქვევენ ტკბილხმიერ რუსთაულ ჰანგებს.

იქით ჩაიკოვსკისა და ფალიაშვილის ჯადოქრული მუსიკა ჟღერს.

ერთი ამასაც შეხედეთ, როგორ ემუქრება მხედარი ოქროსფერ ლაზიერს!

ალბათ, გადადებული პარტიაა. ცნობილი მოჭადრაკე, სპორტის ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია ქიმიკოსთა საჭადრაკო წრეს ხელმძღვანელობს და სწორედ ახლა ჰქონდათ შეჯიბრება.

მეზობელ ოთახებში...

მაგრამ, მგონი, კმარა: ხვალ ადრე უწდა ავდგე, კაპროლაქტამში მივდივარ.

მესამე ჩიჩერონე

ჩემნაირი ბედი ძნელად თუ ვინმეს შეხვედრია: ქარხანა თითქოს პატარაა, მანდილოსნები კი დღეების განმავლობაში დამატარებენ, ყველა საჭირო კითხვაზე ამომწურავ პასუხს მაძლევენ, ზედ ღიმილსა და თავაზს აყოლებენ. ჩანს, ბაევს კარგად მოუფიქრებია. ამ ინჟინრებს მთელი ქარხანა განაწილებული აქვთ და თავიანთ უბნებს საწარმოო-ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწევენ. ჩემთანაც არ კარგავენ დროს. განსაკუთრებით მარინე აქტიურობდა. ჩემეულ საქმეს რომ მოათავებდა, ბოდიშს მოიხდიდა და საამქროს უფროსს ან მოადგილეს ეცემოდა: თათბირებს ატარებთ? სადაა ჟურნალი? რაციონალიზატორულ წინადადებებს იხილავთ? კითხვებს დაუსვამდა, მითითებებს მისცემდა, მერე ისევ მე მომიბრუნდებოდა: დეკრეტში ვიყავი და ხალხს ველარ ვცნობო (ესე იგი, საქმე დავიწყებია-

თო), ამათ მუშაობას სულ კონტროლი უნდაო, და სხვა ამგვარი.

დღევანდელი გამყოლიც, პოლინა ნოვოსელცევა, წინა მანდილოსნების თანრიგისაა. მას უკვე აღარაფერს ვეკითხები, ვიცი, რომ რუსიცაა და გათხოვილიც.

როცა აქეთ მოვდიოდი, ზოგი რამ წავიკითხე. იმდენი კი ვიცი, რომ წუთიერი მონათხრობით ფონს ვერ გახვალ. მაგრამ ეს უფრო მინერალურ სასუქებს შეეხებოდა. კაპროლაქტამზე კი დაწერილიც არაფერია მნიშვნელოვანი (მგონი, არც არამნიშვნელოვანი). ლექსიკონებშიც სიძუნწეა.

ამიტომ მთავარი საყრდენია პირადი დაკვირვება და სპეციალისტების მონათხრობი. ჩვენც დავდივართ კაპროლაქტამის წარმოების საამქროებში; ვუყურებ ქვაბებს, დანადგარებს, მექანიზმებს, აპარატებს, ხელსაწყოებს... როგორც ყველგან, აქაც მეაპარატეები (უფრო მეტად — შარვლიანი გოგოები) აკვირდებიან აპარატთა ჩანახაზებს და ყოველივე ეს ჟურნალებში გადაიქვთ.

პოლინა კი განაგრძობს:

— ამ კორპუსში ფენოლი იქცევა ანოლად... ამ კორპუსში იგი გახდება ანონი... ამ კორპუსში ანონისაგან მიიღება ოქსიმი... ამ კორპუსში ოქსიმი გადაიქცევა კაპროლაქტამად...

მაგონდება ცნობილი ესტონელი მწერალი იუხან სმუული, ავტორი „ყინულოვანი წიგნისა", ანტარქტიკაში იგი შევიდა გეოფიზიკოსებთან, რომლებმაც მოთმინებით და, რაც შეიძლება, გასაგებად დაუწყეს იმ ხელსაწყოების ახსნა-განმარტება, რომელთა დანიშნულებაა კოსმოსური გამოსხივების გამოკვლევა, დედამიწის მაგნეტიზმის განსაზღვრა და სხვა. იმ შეგრძნებით დავტოვე გეოფიზიკოსები, რომ მე ბნელი კაცი ვარო, ამბობს სმუული, მერე ნახევარი საათი გაატარა ძაღლებთან და დაასკვნა: ტექნიკური ცოდნის გარეშე ანტარქტიკაში კაცი მხოლოდ მარხილის სათრევად გამოდგებაო.

დიდხანს მიჭირავს ხელში ფთქიალა სტრეპტოციდისნაირი ფხვნილი — კაპროლაქტამი.

არა, კაპროლაქტამს ასე ადვილად ვერ მოვეშვები, ალბათ, კიდევ მრავალგზის შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ამაზე — სხვა დროს.

დისპეტჩერი

— მამა, ხვალაც უნდა წახვიდე ქარხანაში? — მეკითხება უმცროსი ვაჟი და ხელში სიყვარულით ატრიალებს საშვს.

— ჰო, შვილო.

— ცოტა ხანს მქონდეს, კარგი? — ამბობს იგი და საშვში ჩაკრულ სურათს დაჩერებია.

— კარგი.

აი, უკვე რამდენი ხანია, თითქმის ყოველდღე, მოედანზე, რედაქციის წინ, ვჯდები ოთხ ან ხუთ ნომერ ავტობუსში და მოვდივარ ქარხანაში. მოვდივარ ხან დილაადრიანად, ხან — ნაშუადღევს, ხანაც — საღამოს. რამდენჯერმე ღამის ცვლაშიც უნდა მოვიდე. ქიმიური წარმოება უწყვეტი პროცესია და, თუ გინდა რამე გაიგო, ყველა კუნჭულში უნდა შეიხედო.

ბევრ ნაცნობ თუ უცნობ ქიმიკოსს მოუმართავს:

— თუ გინდათ, რამე დაწეროთ, სასადილო არ დაგავიწყდეთ. შედით, ისადილეთ, აბა, თუ მოგეწონოთ! დადგენილებებს ღებულობენ, შედეგი კი ნაკლებია...

— აბანოში რომ შეხვიდეთ, გასაპნული დარჩებით: ხანდახან ცივი წყალიც არაა..

— ზოგჯერ მოიკოჭლებს დისციპლინაც.

— ყოველთვის როდი ექცევა ყურადღება მუშა-მოსამსახურეთა საყოფა-

ცხოვრებო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას, რის გამოც დიდია კადრების დენადობა...

შესაძლოა ჩემი ნაცნობები და უცნობი მეგობრები მართალი არიან. უფრო მეტიც: ქიმიკოსთა მუშაობაში შეინიშნება სხვა ნაკლოვანებანიც, მაგრამ მითხარით სად არაა ნაკლოვანება! მთავარია გულხელი არ დავიკრიფოთ და შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთოთ. მაინც მიმაჩნია, რომ აქ გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალისწინებენ, სადაც ჯერ არს. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელს გაცილებით მეტი მოეთხოვება, მაგრამ თავისი წილი კრიტიკა ხელქვეითმაც უნდა მიიღოს.

არ ვაპირებ ქიმიკოსთა შრომის იდეალიზებას. არც სჭირდება: თვით ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის ბრძოლაშიც უთუოდ არის რომანტიკა. ნაკლოვანება და დაბრკოლება კი ერთი ხელის დაკვრით არ ისპობა. თუ ისპობა, ერთის მაგივრად მეორე ჩნდება. ასეთია ბუნების დიალექტიკა, რომელსაც ვერსად გაექცევი.

უკვე ვიყავი პარტკომის სხდომაზე, პროფკავშირულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, დირექტორის ყოველკვირეულ თათბირებზე, ყოველდღიურ სადისპეტჩერო თათბირებზე, ხელახლა დავიარე ბევრი საამქრო და უბანი. ერთხელ კი არა, — რამდენჯერმე.

შთაბეჭდილებანი?

ზოგ რამეს წარმოგიდგენთ და თვითონ განსაჯეთ.

სადისპეტჩერო.

ესაა წარმოების ყოველწუთიერი ხელმძღვანელობა. საამქროები მას აცნობებენ თვითეული საჭიროებისა და შემთხვევის შესახებ. ის კი ან ზომებს ღებულობს, ან ახსენებს დირექციას.

ყოველ დილით, ცხრის ნახევარზე, აქ იკრიბებიან საამქროთა უფროსები, ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები. იწყება სადისპეტჩერო თათბირი.

ქარხანაში მალე იქნება სელექტორი (აქამდეც უნდა ყოფილიყო) და მაშინ დირექტორი ან მთავარი ინჟინერი ადგილიდან ჩაუტარებს თათბირს საამქროებს (შემდეგ არაერთხელ დავესწარი სელექტორსაც. საერთოდ მას დიდი ხანია ვიცნობ. ბევრჯერ მომისმენია ნიკოლოზ გომელაურის სელექტორი ჯერ კიდევ ამ თორმეტ-ცამეტი წლის წინათ. ეს უკვე ქარხნის სერიოზულობის ერთ-ერთი ნიშანია).

ახლა კი სადისპეტჩეროში მოდიან, დღეღამის მუშაობის შედეგებს არკვევენ და მომავალი დღეღამის ამოცანებს სახავენ.

დღევანდელ დისპეტჩერს ვაჟურად შეკრეჭილი ქერა თმა აქვს. ტანმორჩილი ქალია, მაგრამ ხმა აქვს მკაცრი, კატეგორიული.

რამდენიმე ტელეფონი უდგას და მუდამ ყურმილი უჭირავს (ხან ერთი, ხან — ერთბაშად ორი). ხშირად ისმის:

— მე, როგორც ქარხნის დისპეტჩერი, გიკრძალავთ!...

— მოითმინეთ დირექტორის მოსვლამდე!...

— ქარხნის უფროს ინჟინერს კურიერად მაქცევთ! გესმით რას ჩადიხართ?!.

— რატომ უყვირით, ამხანაგო! თანაც გინდათ, რომ პატივს გცემდნენ, —ერევა საუბარში საშუალოზე ოდნავ მაღალი, გრუზათმიანი კაცი (გიორგი კალაშევი, დირექტორის მოადგილე).

— მე ჩემს პოსტზე ვარ და გთხოვთ შენიშვნა არ მომცეთ, — უპასუხებს იგი.

სამხედროში თუ ყოფილხართ, შიხვდებით, რომ დისპეტჩერი მოქმედებს გუშაგის მსგავსად; ვიდრე პოსტზეა, ხმას ვერ გასცემთ, მერე შეიძლება სასჯელიც დაადოთ.

დისპეტჩერი ახლა სხვა ტელეფონით განაგრძობს:

— რატომ დროზე არ მოძაწოდეთ ცნობები?! ცნობები უნდა მოგეწოდებინათ ცხრის ნახევრამდე, ახლა კი ცხრა სრულდება. რატომ არ იცაყთ

წესებს?! ელაპარაკე ახლა ამას! ამხანაგო გიორგი, ვერაფერი ვერ შევაგებინე. ერთი, უთხარით რაში, — დაყურმილს აწვდის კაპროლაქტამის წარმოების უფროსს გიორგი ძამანაშვილს. ისიც უსმენს ერთერთ ინჟინერს, რომ დისპეტჩერი ქარხნის მეორე დირექტორია, რომ მას ყველაფერი უნდა დაუჯეროს.

საამქროთა, განყოფილებათა უფროსები ჯგუფ-ჯგუფად სხედან და ერთძანეთს შორის არკვევენ საკითხებს. რაზეც ვერ თანხმდებიან, ან რისი გადაწყვეტაც არ შეუძლიათ, დირექტორისათვის იხახავენ. მერე მოდის დირექტორიც, მაგიდის კუთხეში ჯდება და მაშინვე ებმება საუბარში.

ავთანდილ საღარეიშვილი მაღალი, მხარბეჭიანი, მოსული ვაჟკაცია. დაახლოებით ჩემი ბედისაა, მხოლოდ ორი წლითაა უფროსი: ჯარშიც ომამდე გაიწვიეს, პარტიაშიც ფრონტზე შევიდა სწორედ საშინელ ორმოცდაორ წელს. ომის შემდეგ დაამთავრა ინსტიტუტი და ცამეტი წელიწადი რუსთავშია.

ადრე მხოლოდ შორიდან ვიცნობდი, ბოლო წლებში კი საკმაოდ ბევრი გაცოგეთ ერთმანეთზე (გუშინწინაც ერთად ვისხედით საზეიმო კრებაზე). ახლო კავშირი აქვს რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიულ ტექნიკუმთან, ქიმიური ჯგუფების სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის მუდმივი თავმჯდომარეა. ძალიან უხარია, როცა გოგონები და ბიჭები ღრმა ცოდნას ავლენენ. აი, ერთი დეტალიც.

დარბაზი სავსეა. დაფებზე გაკრული ნახაზები ზუსტად გადმოცემენ საწარმოო პროცესებს. ნახაზებთან დიპლომანტი დგას და სხარტად ჰყვება სადიპლომო შრომის შინაარსს.

სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის მაგიდას უსხედან ავთანდილ საღარეიშვილი, ტექნიკუმის დირექტორი შოთა საანიშვილი, მოადგილე გიორგი დონდუა, გამოცდილი მასწავლებლები ევსტრატი კარაპანაიოტისი, მიხეილ ბოიარერი, კოქსქიმიკოსი ვალენტინ ქილიცინი; აქვე არიან ინჟინრები, სხვადასხვა საგნის სპეციალისტები; ელექტრიკოსი აკაკი კობახიძე, მექანიკოსი გიორგი ქობალავა, ეკონომისტი ოლღა ლებანიძე, ფიზიკოსი ნატალია ვახნიანსკაია და ბევრი სხვა.

დიპლომანტი ათავებს საუბარს.

იწყება შეკითხვები.

კითხვა-პასუხი.

კითხვა-პასუხი.

ასე გრძელდება ერთ ხანს. მერე თავმჯდომარე აცხადებს:

— არის კიდევ შეკითხვები?

— არ არის. ყველაფერი ნათელია, — ისმის აქეთ-იქიდან.

ეს დიპლომანტი ისევე, როგორც სხვები, აზოტსასუქოვანი ქარხნის მუშაა, მეაპარატე, საღარეიშვილი მას იცნობს. მაგრამ ყველა საკითხში რომ ასე ღრმად ერკვეოდა, ასე წარმატებით სწავლობდა ტექნიკუმში, — ახლა გაიგო.

დარბაზი განაბულია. ამიტომ თავმჯდომარის ხმა ქუხილად ეღერს:

— გნიშნავთ ცვლის უფროსად. ხვალიდან იქნება ბრძანება.

ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ ტაში შვენის.

თათბირი გრძელდება.

ლაქტამის საამქროს უფროსს დირექტორთან გადასაწყვეტი საკითხების მთელი ნუსხა შეუდგენია.

კაპროლაქტამი საერთოდ ახალი საქმეა საბჭოთა კავშირში. იგი მეცნიერულადაც კი არაა ჯერ სათანადოდ შესწავლილი. მით უმეტეს ბევრი დაბრკოლება ეღობებათ რუსთაველ სპეციალისტებს. ისე რომ, პირველი პროდუქცია მიღებულია, ცოტას ნიშნავს. მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების წინაშე სულ ახალი და ახალი საკითხები იბადება.

აგერ მაგალითიც, კაპროლაქტამი ჭამს ლითონს. უჟანგავი ფოლადიც კი განიცდის კოროზიას. ამიტომ დამჭერებზე ხშირად უშვებენ გაზს ტუმბოები.

შეადუღებენ ხოლმე, მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ ისევ ფუჭდება. მოდი და არკვიე, ცუდად იყო შედუღებული, თუ ლითონი არ ვარგა.

დირექტორი ეძებს ახალ ტუმბოებს. რეკავს მომარაგებაში, საწყობში. ხუთკუბიანებს ნახულობს.

— არ გამოდგება, — ამბობს საამქროს უფროსი.

— რატომ? გარედან პერანგი გაუკეთეთ.

— მაინც გაუშვებს.

— მაშინ ხელახლა შევადუღოთ.

— შავადუღეთ, მაგრამ არ დაიჭირა.

— ცუდად შეგიდუღებიათ. ერთი შემდუღებელი მთხოვდა, თანრიგი მომიმატეთ, თუ არა, უნდა წავიდეო. ისმაილოვია გვარად. გამოუძახეთ და შეადუღოს, თუ სამ დღეზე მეტს გაძლებს, მოვუმატებ.

მეორე დღეს მთავარი ინჟინერი ივანე გრძელიძე ატარებდა თათბირს. დირექტორიც ესწრებოდა. საღარეიშვილთან შედარებით იგი დაბალია, მაგრამ საკმაოდ ჩაფსკვნილი. ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ. ახლა კი რესპუბლიკის დიდი ქიმიის ფლაგმანი აბარიათ. გრძელიძე არც ისე ხნიერია, როგორც მისი ჭაღარა განიშნებთ. ვუყურებ მას და მაგონდება ნიკოლოზ ქაშაკაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი რომ იყო, ახლა პროფესორი. იგი ხომ მაიაკოვსკის თანასოფლელი და მეგობარია, აკი ამბობს რუსთაველი პოეტი — პედაგოგი ალექსანდრე ჯახუა:

„ბაღდათელების ბაღნარში
დაეძმობილე ვლადიმერს,
მერე საბრალო ბუდიდან
ურალი გადინადირე...
მოძმემ სიმღერა ირჩია
ქვეყნად სიცოცხლის ფონადა,
მან სიტყვა ლექსად დაადნო,
შენ კი — მადანი ფოლადად“.

გრძელიძეც ბაღდათელია, თუმცა მაიაკოვსკის მეგობრობას ვერ დაიჩემებს: ათი წლის ბიჭუნა იყო, როცა დიდი მგოსანი დაიღუპა, მაგრამ ახლა შე-სხვა რამ მაინტერესებს: ბაღდათელებს თითქოს ყველგან მთავარინჟინრობა უწერიათ — პოეზიაშიც, წარმოებაშიც. არაა ცუდი ნიშანი!

აქვეა კემეროველი ინჟინერიც (მივლინებაში ყოფილა, მაგრამ, ამბობენ, ჩვენთან გადმოსვლა უნდაო). კემეროვოშიც გაუშვიათ კაპროლაქტამი, ისეთივე, როგორიც ჩვენია. მხოლოდ დანადგარებია გერმანული, ანოლი არ ჰქონიათ, და დახმარებას გვთხოვენ. მაგრამ რუსთაველებს საჭირო ცისტერნები არა აქვთ. დირექტორი იძლევა მითითებას, როგორ მოამზადონ ცისტერნები. ჩვენი ძმები არიან, დავეხმაროთო, დაასკვნის იგი.

მეზობელი ქარხნიდან ღებულობენ ქიმიურად გაწმენდილ წყალს, მაგრამ, ჩანს წესიერად არ წმენდენ.

— რა ვქნათ?

— ვთხოვოთ ქარხნის ხელმძღვანელობას მიიღოს ზომები, — ამბობს მთავარი ინჟინერი.

დირექტორი უკვე რეკავს მეზობელთან:

— თუ ჩვენი დახმარება გინდათ, გვითხარით და მზადა ვართ, — მიმართავს იგი კოლეგას.

ცუდადაა კომპრესორების საქმე. ორის ფუნდამენტი უკვე გაიბზარა. ზოგიც კაი ხანია არ მუშაობს. სწორედ ამას წინათ იყო დირექტორი მოსკოვში. უცხოური კომპრესორები შესთავაზეს. კატეგორიული უარი თქვა: ან არ იმუშავებს, ან გაფუჭდება, ნაწილებს კი ვერსად ვიშოვითო. სამამულოს დაპირდნენ. მაგრამ დღესაც არა ჩანს.

ჰაერგამყოფ საამქროში მქნევარა გატყდა, ცვლის უფროსმა დააშავა. ჯერაც არ დაუყენებიათ ახალი.

— რატომ? — ეკითხებიან მთავარ მექანიკოსს კარლო კინწურაშვილს.

— იმიტომ, რომ ერთი გატყდა; მეორე რომ დავაყენოთ, ვაი თუ ისიც გატყდეს...

— ერთი გატყდა, მეორეც რომ გატყდესო, — ეს რა ლოგიკაა?! მერედა — ვინ უნდა გაარკვიოს, გატყდება თუ არა?!

— ხომ მუშაობს კომისია! მოგვცეს დასკვნა, რომ დავაყენოთ არსებული მქნევარა და კი, ბატონო, — მთავარი მექანიკოსი ცუდი ბიჭი არა ჩანს, მაგრამ ეტყობა, თავის დაზღვევა უყვარს.

— კომისია მუშაობს ავარიის გამორკვევაზე და არა იმაზე, ახალი მქნევარა დავაყენოთ თუ არა.

— მას უნდა შემოწმება და ვარგისიანობის დადგენა.

— ვინ უნდა დაადგინოს ეს, თუ არა მთავარმა მექანიკოსმა?!

— იგი არასწორადაა ჩამოსხმული.

— თუ არასწორადაა, ან გადავაგდოთ, ან დავაბრუნოთ უკან.

— გამოცდაა საჭირო.

— რატომ არ გამოცდით? ვინ გიშლით ხელს?! თუ ჩვენ არ შეგვიძლია, მივმართოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს. ჩამოვიდნენ და დაგვეხმარონ. რა თქვა გუშინ შარაძენიძემ, (სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ): ამ ქარხანაში მექანიზმებზე პასუხს აგებს გიორგაძეო (სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარი მექანიკოსი). ჰოდა, მოვთხოვოთ კონკრეტული დახმარება, — ამბობს დირექტორი, ეგ კი არა, ამას წინათ მეუბნებოდა ხოხლოვი (პროფესორი ივანე ხოხლოვი, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე): სასუქები მოგვეცით და არავითარ მექანიზმს არ დაგიკავებთ, თუგინდ ტრაქტორებს გამოგიგზავნითო...

არაა აუცილებელი, რომ საქმეში დიდად ჩახედული იყო, ისეც თვალნათლივ ჩანს: ქიმია ფეხს ვერ გადადგამს, თუ მაღალგანვითარებული არაა მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა და ბევრი სხვა დარგი.

ნუ გაგიკვირდებათ: რუსთავის ვეებერთელა მეტალურგიული ქარხანა ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს, ვიდრე აზოტსასუქოვანი. მოწყობილობაც საიდან არაა მოსული — როგორც სამამულო, ისე უცხოური. პროცესები ხომ სულ სხვადასხვა ტემპერატურაზე მიმდინარეობს: მაქსიმუმი — პლუს 1300°, მინიმუმი — მინუს 184°. ასეთ ყინვას კი ძალიან ცოტა ლითონი უძლებს.

ამიტომ ქიმიის განვითარება დღემდე ფაქტიურად შეუძლებელი იყო: საფუძველი არ ჰქონდა.

და რა საკითხი გინდათ, რომ ასეთ თათბირებზე არ ისმებოდეს!

ყოველ ორშაბათს ქიმიკოსებთან ჩამოდის სამმართველოს უფროსის მოადგილე ნიკოლოზ ავალიანი, დინჯი, გამოცდილი კაცი, რომელიც ადგილზევე ღებულობს ზომებს. მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად რესპუბლიკის ან საკავშირო მთავრობის ჩარევაა საჭირო.

როცა ირკვევა, რომ საკითხები აღარაა, დირექტორი დგება და წუთში იცლება სადისპეტჩერო. მეც მაშინალურად ავდექი, მინდოდა დირექტორს გავყოლოდი (ალბათ, საამქროებში წავა), მაგრამ დისპეტჩერს შევხედე და გადავიფიქრე: ლოყები აპრიალებული ჰქონდა, მარცხენა თვალს ზემოთ ძარღვი უთამაშებდა.

— თუ შეიძლება თქვენი სახელი?

— რად გინდათ?

— ისე...

— რა საჭიროა, ჩემზე მაინც ვერაფერს დაწერთ.

— სახელი მაინც საჭიროა.

— ევა, ევა ეფიმის ასული სტოლნიკოვა...

— სადაური ბრძანდებით?

— თბილისელი. ქართველი ვარ სულით, გულით, აღზრდით. მიყვარს საქართველო, ვიცი ქართულიც. მაგრამ ამ ქარხანას ვერაფერი გავუგე. ათი წელი კია აქ ვმუშაობ.

— ვაინც ვისზე გწყდებათ გული? იქნებ ხელმძღვანელობა...

— არა, პირიქით. საღარეიშვილი რომ არა, ალბათ, აქამდე წავიდოდი.

იგი ძალზე გამგები, ინტელიგენტი კაცია. თუ ღმერთი გწამთ, არაფერი დაწეროთ, თორემ იქაც არ დამაყენებენ. ერთი და ორი რომ იყოს, ჯანდაბას, მთელი ქარხანა გადამკიდებია. მართალია, მეგობრები მყავს, მყავს სწორედ ქართველებს შორის, მაგრამ, ეტყობა, ისინი შეღავათს მიკეთებენ... ზოგჯერ თავს ვეკითხები: რატომ მექცევიან ასე? დასკვნა ერთია: იმიტომ, რომ სიმართლე მიყვარს. მაგალითად, წეღან როგორ მივიღე დირექტორის შენიშვნა? სრულიად უბრალოდ, სიმართლის გულისათვის...

არ ვიცი, როგორ დაიწყო ინციდენტი, მაგრამ ყურადღება რომ მივაქცივ, დირექტორი ამბობდა:

— წუხელიც მართალი იყავით, კაცი რომ ოთხ საათზე წამოაგდეთ ლოგინიდან!

— მე არ მითქვამს, საამქროს უფროსი გააღვიძეთ-მეთქი, ვუთხარი, სამუშაოს უფროსმა დამირეკოს-მეთქი.

— კარგი, ერთი!...—საღარეიშვილმა ხელი ჩაიქნია და გავიდა.

ევამ დამინახა, რომ ვუსმენდი, და ახლა თავს იმართლებს.

— აი, როგორ იყო. ღამის ოთხი საათია. ვიღაც მუშა მირეკავს: ჩვენ შემკეთებლები ვართ. სარემონტო სამუშაოები გვქონდა. ახლა მოვათავეთ და მანქანა გვათხოვეთ, რომ შინ მივიდეთო. მე ვუთხარი, სამუშაოს უფროსმა დამირეკოს-მეთქი. გადის ხანი. მეზობელი საამქროს ინჟინერი მირეკავს: ესა და ეს მუშები მართლა არემონტებდნენ დანადგარს და მანქანა ათხოვეო. მე ვუპასუხე: სხვის საქმეში ნუ ერევი, თუ არემონტებდნენ, რემონტის უფროსმა დამირეკოს-მეთქი. მუშები ამდგარან და საამქროს უფროსი გაუღვიძებიათ... როგორ გამეტანებია, როცა არ ვიცნობდი, ვინ იყო?! შოფერიც ისეთი მყავდა, რომ წუთით ვერ ენდობი. შენიშვნა მაინც მე მივიღე. არა, თუ გინდათ დისპეტჩერზე დაწეროთ, მაყვალაა ზედგამოჭრილი.

მაყვალა ჯინჭარაძე გურული ქალია. ჩოხატაურიდან. ინსტიტუტს შემდეგ უკვე ექვსი წელი აქვს. უმუშავია სხვადასხვა თანამდებობაზე, ახლა კი შემცვლელი დისპეტჩერია.

მაყვალას ჯგუფიდან ათი კაცი ჩამოვიდა რუსთავში. მათ შორის მხოლოდ ისაა ქალი. ყველა წარმოების მეთაურია, საქმესაც კარგად უძღვებიან. ელგუჯა ბახტაძე კალიუმის პერმანგანატის საამქროს უფროსია, გიორგი გოგოლაძე—კაპროლაქტამის წარმოების ტექნიკური ხელმძღვანელი, ხაჩიკ გუკასოვი — ჰიდროქსილამინსულფატის საამქროს უფროსის მოადგილე. გაიოზ ფაღავაც საამქროს უფროსია. ამირან გუბაევი საამქროს უფროსის მოადგილედ მუშაობს. ამ უკანასკნელმა იქვე აირჩია საცოლეც, რომელიც დაუსწრებლად ამთავრებს ინსტიტუტს...

მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ: ალბათ, კიდევ შევხვდებით სადმე.

ქიმიური ანალიზი

ტატიანა იაკოვლევას ვაწყენინე. სრულებითაც არ მინდოდა, მაგრამ ასე გამოვიდა...

დღეს პარტკომის სხდომაა, ვიდრე დაიწყებოდეს, რევაზ გიორგაძესთან მაქვს რამდენიმე საკითხი. იგი დირექტორის მოადგილეა კადრების დარგში. აგრეთვე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელი ჯგუფის თავმჯდომარედ მუშაობს.

ეს გვარი რუსთავში ჩვეულებრივ ასოცირდება ნესტორ გიორგაძესთან, რომელიც დიდ ხანს ხელმძღვანელობდა ჩვენი ქალაქის მშენებლობას, ახლა კი რესპუბლიკის მინისტრის მოადგილეა.

რევაზი სწორედ მისი ვაჟია. მიღებული აქვს სამხედრო-საავიაციო განათლება—პილოტია. დიდ ხანს მსახურობდა კადრში. იყო სხვადასხვა თანამდებობაზე: კომკავშირის მდივნად, პარტორგად, მეთაურის მოადგილედ პო-

ლიტნაწილში. უკვე რვა წელიწადია ქიმიკოსებთანაა.

ჰოდა, კაი ბიჭია, მაგრამ ასლა სადღაც გასულა. პარტკომამდე კი დიდი დროა. ამიტომ გადავწყვიტე პოლიტკაბინეტში შევიდე და ახალი ჟურნალ-გაზეთები წავიკითხო.

ბარემ დაიწყებოდეს პარტკომი, თორემ დიდი ანტრაქტი გამომიდის, თუმცა შეიძლება ეს დროც გამოვიყენო. გვერდით ქიმმრეწვმშენის სამმართველოა, რომელსაც სამამულო ომის გმირი კირილე უკლება ხელმძღვანელობს. იგი თვრამეტ წელი რუსთავშია, მეც დიდი ხანია მიცნობს და დახმარებას არ დამამადლის. შეიძლება, მას მივაკითხო, ქიმიკოსი მშენებლების საქმეები გავიცნო და წიგნში შევიტანო. მაგრამ, ალბათ, არ ივარგებს. მათი შრომა ანტრაქტში გაცნობაზე მეტის ღირსია. მშენებლებისათვის სპეციალურად უნდა მოვიცალო.

ელაპარაკეთ ბუდაპეშტს

ბებია ქსენიამ მაგიდა გადმოწმინდა: პატარა ნინოს ფანქრის ნათალი დაეყარა. მერე ფანჯარაში გაიხედა, იქნებ რძალი მოდისო. მერი არ ჩანდა, რატომღაც იგვიანებდა. ბაზარში იყო წასული...

— ბებია, ტელეფონი რეკავს,—წამოიყვირა ნინომ და აპარატს უმალ ეცა. რომ ვერაფერი გაუგო, ბებიას გადააწოდა.

— ელაპარაკეთ ბუდაპეშტს!—გაისმა ტელეფონისტი ქალის ბრძანებითი კილო.

ქსენიას გააჟრჟოლა: სად — მე და სად — ბუდაპეშტიო, გაივლო და ხმა აუკანკალდა.

— რა, ნენა? ბუდაპეშტს რახაირად ველაპარაკები?!

— ქალბატონო, ნუ გეშინიათ, თქვენი შვილია, — გაამხნევა ტელეფონისტმა დაბნეული დედა.

— ჩემი შვილი?!.. გურამი?!..

.. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა აშენებს ახალ ცხოვრებას, ქმნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალ დარგებს. ამ სოციალისტურ მშენებლობაში დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ადამიანებს.

უნგრეთის ერთ-ერთი სამრეწველო ცენტრია ქ. მიშკოლცი, ორას კილომეტრზე ბუდაპეშტის ჩრდილო-აღმოსავლეთით. დედაქალაქის შემდეგ იგი ყველაზე დიდი სამრეწველო რაიონია რესპუბლიკაში. არა მარტო თვით მიშკოლცში, მის გარშემოც ბევრი საწარმოა. მიშკოლციდან ცხრაშეტ კილომეტრშია ქალაქი კაზინცბარციკა.

უნგრეთში დიდადაა განვითარებული ქიმიური მრეწველობა, მაგრამ ერთ ალგილზე დგომისათვის არავის სცალია. უნგრელებიც კიდევ უფრო ავითარებენ ქიმიას, ქმნიან ახალ დარგებს.

ქ. კაზინცბარციკის ქიმიკოსებმა საწარმოო პრაქტიკა ლისიჩანსკსა და ნოვომოსკოვსკში გაიარეს. როცა შინ დაბრუნდნენ, მემონტაჟეები ახალ საამქროს, კონვერსიის საამქროს, აგებდნენ. საამქროს კი აგებდნენ, მაგრამ ძოწყობილობა მთლიანად საბჭოური, გერმანული და ფრანგული იყო.

უნგრელები ფიქრობდნენ: ბოლომდე რომ ჩვენ ავაგოთ, რა ვიცით, რა გამოვა. იქნებ არც იმუშაოს. ამიტომ მოვიწვიოთ საბჭოთა სპეციალისტი და მისი მეთვალყურეობით დავასრულოთო.

და მთავრობა მიმართავს მთავრობას.

მეთანის კონვერსიის წარმოება სრულიად ახალია საბჭოთა კავშირში. არის ლისიჩანსკში, ნოვომოსკოვსში, ჩირჩიკში და სხვაგან, მაგრამ მათზე ადრე რუსთავში აიგო. ამიტომ მოსკოვი აყენებს კითხვას: ვის აქვს ყველაზე მეტი გამოცდილება? და თვითონვე პასუხობს: რუსთაველებს.

ეს არაა კალმის ცთომილება. ვიმეორებ: რუსთაველებს!

და მიმართავენ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს: შეარჩიეთ სპეციალისტი უნგრეთისათვის.

რესპუბლიკაში ყოყმანობენ, ფაქტი-

ურად უარს ამბობენ: ჩვენი საქმეც ბევრი გვაქვს და სხვის დასახმარებლად არა გვცალიაო.

საქმეში ერევა მინისტრი ნიკოლოზ გომელაური:

—ისე გავიზარდეთ, დავვაჟკაცდით. რომ უნგრელები დახმარებას გვთხოვენ და უარს ვეუბნებით?! ეს ხომ პატივის, ღირსების საქმეა?! დაევალოს რუსთავს შეარჩიოს სპეციალისტი.

კონვერსიის საამქრო ერთერთი ძირითადია რუსთავის აზოტ-სასუქოვან ქარხანაში. უშვებს აზოტწყალბადის ნარევს ამიაკის მისაღებად. საამქროში დადგმულია აგრეთვე ორი აგრეგატი, რომელთაგან იღებენ სუფთა წყალბადს. ეს უკანასკნელი ხმარდება კაპროლაქტამს, აგრეთვე ამიაკის წარმოებას.

იგი პირველია საბჭოთა კავშირში და ორმოცდათექვსმეტი წლის თებერვალში ჩადგა მწყობრში მეტალურგიული ქარხნის კოქსური გაზის ბაზაზე. უკვე დიდი ხანია მუშაობს ბუნებრივ გაზზე, რამაც ერთიორად გაზარდა წარმოების მაჩვენებლები.

დააპროექტეს მოსკოვის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტის მუშაკებმა. მაგრამ ვინაიდან პირველია, ბევრი ცვლილება ხდებოდა როგორც მონტაჟის, ისე ექსპლოატაციის პერიოდში. ეს ცვლილებანი საამქროს მუშაკების წინადადებათა შედეგი იყო.

გურამ კალანდაძე საამქროს ტექნიკურ ხელმძღვანელად მუშაობდა და, როგორც იტყვიან, ყველაფერში ცხვირს ყოფდა: ყოველ მექანიზმს თვითონ ამოწმებდა, მერე მონტაჟს ხელმძღვანელობდა.

საამქროში ქარხნის დირექტორი მოვიდა.

—როდის დაამთავრებთ კონვერტორს?

—ხუთი დღე უნდა.

—დააჩქარე და უნგრეთში გაგიშვებ.

—სამ დღეში ჩაგაბარებთ,—იყო გურამის პასუხი.

* * *

კაზინცბარციკელები მოსკოვის მატარებელს ელიან. აქვეა ბუდაპეშტის საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელიც, ანატოლი ტიხომიროვი.

უნგრელებს აცნობეს, რომ საბჭოთა სპეციალისტი მოდის ამა და ამ ვაგონით, გვარი კი მხოლოდ საელჩომ იცის. როგორც არ უნდა იყოს, უთუოდ მათი ნაცნობი იქნება, ლისიჩანსკსა თუ ნოვომოსკოვსკში რომ მუშაობდნენ ერთად. ჩვენ ხომ პრაქტიკოსი სპეციალისტი გვინდა, ასეთი კი მხოლოდ იქაა, ფიქრობდნენ მადიარები.

განსაკუთრებით ღელავდა მეთანის კონვერსიის საამქროს უფროსი, მაღალი, ქერა დუიდა მაკაი. იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმას, თუ ვინმე ნაცნობი ჩამოვიდოდა. ბოლოსდაბოლოს ხუმრობა ხომ არაა: მთელი საამქროს ბედი ამ საბჭოთა სპეციალისტზე იყო დამოკიდებული.

მატარებელი გაჩერდა და ვაგონიდან ჩამოვიდა კაცი, რომელმაც მყისვე მიიპყრო ყურადღება: საშუალო ტანის, პირმსუქანი, ბეჭებგანიერი, გრუზა თმითა და ყვრიალა ჭროღა თვალებით.

—კალანდაძე,—წარუდგა იგი დამხვდურებს.

—სასიამოვნოა,—თქვეს უნგრელებმა და ერთმანეთს გადახედეს, თუმცა გაკვირვება არ შეიმჩნიეს.

მერე სასტუმრო „რაიალი“, სადილი რესტორანში, ბუდაპეშტში გასეირნება.

ბოლოს დელიკატური კითხვა:

—ბატონო გურამ, რამდენი დღე გინდათ, რომ ბუდაპეშტი დაათვალიეროთ, დაისვენოთ?

—დაღლილი არა ვარ. ბუდაპეშტის დათვალიერებას მერეც მოვესწრებით. ხვალ დილითვე წამიყვანეთ ქარხანაში.

როცა თარჯიმანმა კალანდაძის ნათქვამი გაიმეორა, ადგილობრივმა ქიმიკოსებმა აღარც გაკვირვება დამალეს, აღარც სიხარული.

კაცმა ამხელა გზა გამოიაროს და ერთი დღეც არ ისურვოს დასასვენებლად? ბუდაპეშტის მაცოცხლებელ

პარკებსა და რესტორნებს ზავთიანი დანადგარების სუნი არჩიოს?!

ამაზე გურამს თავისი აზრი ჰქონდა. უნგრეთში იგი ჩავიდა, როგორც საბჭოთა სპეციალისტი. ამიტომ მაგალითი უნდა იყოს ყველასათვის და ყველაფერში. ვიდრე არ გარკვეულა, რა დანადგარებს ამონტაჟებენ, რა დახმარებაა საჭირო, შეუძლია თუ არა თავისი საპატიო მისიის ვაჟკაცურად შესრულება, რა მოასვენებს!

ქარხნის მიერ სპეციალურად გამოგზავნილი „ვოლგა“ უმალვე კეცავს ლარივით გაჭიმულ გზატკეცილს.

გურამი გაჰყურებს გზისპირებს და მშობელი მხარე აგონდება. არის რაღაც საერთო ამ ორი ქვეყნის ბუნებას შორის. შეიძლება, ეს საერთო სიტყვით ვერ გამოხატო, მაგრამ უთუოდ შეიგრძნობ. თუმცა სიტყვასაც რა დაუშლის: შეხედეთ ამ ანკარა წყაროებს, ტყეებსა და მინდორ-ველებს, სოფლებსა და ქალაქებს და უთუოდ გაიხსენებთ გურიის, იმერეთის, ქართლის არაერთ კუთხეს. აგერ ძველი ქალაქი ეგერი, რომლის ტაძარიც შორეულად ჩვენს სვეტისცხოველს მოგაგონებს.

სტუმართმოყვარეობაშიც ჩანს ეროვნული თავისებურება: ერთ ჭიქა ღვინოს დაიდგამენ, ზედ ყავას მიაყოლებენ და სამ საათს ილაპარაკებენ.

ახლაც ყოველივე ეს თავიდანვე შეეტყოთ: გზაზე ოთხჯერ შევიდნენ სხვადასხვა რესტორანში, თითო ჭიქა ღვინო წრუპვით დაცალეს, ისაუბრეს და ისევ განაგრძეს გზა.

როგორც კი მოვიდეს, დამიძახეთო, დაებარებინა ქარხნის დირექტორს. მას მოყვა მთავარი ინჟინერიც.

საამქრო რომ დაათვალიერეს, დირექტორმა, უკვე ხანშიშესულმა შუტელასლომ, დაასკვნა:

— თქვენ მრჩეველი როდი ხართ. თქვენ ხართ უფროსი, იძლევით განკარგულებებს, ჩვენები კი ასრულებენ. ოდნავი შეფერხებისას, აქა ვარ. მთავრობას ეს მიაჩნია პირველი რიგის ამოცანად. გვინდა ცხრამეტი ნოემბრისათვის გავუშვათ... ამ დღეს ხსნება პარტიის მერვე ყრილობა. მინისტრი ცოტნერი, მისი მოადგილე სეკერი პირადად არიან დაინტერესებული.

იგივე გაიმეორა მთავარმა ინჟინერმაც: მე ამ საქმის არაფერი ვიცი, ამიტომ თქვენ ხართ ყველაფერი, ბრძანეთ და გაგვაკეთებინეთო.

გურამმა თადარიგი დაიჭირა:

— ვფიქრობ, საქმეს მოვერევით. ყოველ შემთხვევაში თავს არ დავიზოგავ ვადაზე დღეს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყრილობისათვის მოესწრება. კონკრეტულად როდის გავუშვებთ, ამას დავაზუსტებ სამ-ოთხ დღეში, როცა დაწვრილებით გავეცნობი ყოველივეს.

გადის ნაკლები დრო. კალანდაძე აკეთებს დასკვნას: საამქროს გავუშვებთ ერთი თვით ადრე. ესე იგი ცხრამეტ ოქტომბერს.

მადიარები გახარებული არიან. გურამის პასუხისმგებლობაც გასამმაგდა. ამიტომ ბევრი რამ თავიდან დაიწყო, ბევრი რამ გაააკეთებინა. ისეთი დაუკვირვებლობა გამოეჩინათ შემონტაჟეებს, რომ უხერხულიც კია მაგალითების მოყვანა. როცა გურამი თავისი ხელით აჩვენებდა, რა როგორ გაკეთებულიყო, ან რატომ გაეპარათ ასეთი შეცდომა, ისინი მხრებს იჩეჩავდნენ, სიმწრის ოფლში იწურებოდნენ, ყელთან თითი მიჰქონდათ: იმუდარებოდნენ, თუ ძმა ხარ, არსად გაგვამხილოო.

საქმე წინ მიდიოდა. სამაგიეროდ, გურამი წონაში იკლებდა. მაინც უხაროდა: პირობა პირობაა, კაციც კაცია, სამშობლოს სახელი ასე მოითხოვს.

მრეწველობის მინისტრი ცოტნერი ბუდაპეშტში იბარებს. ჯერ კაბინეტში საუზმობენ, მერე ოჯახში მიჰყავს. იგი გულკეთილი და ძალზე მშრომელი კაცია. თუმცა უკვე მოხუცია, მუდამდღე საქმიანობს.

ერთხელ ფოსტალიონი მოვიდა. ცოტნერის ბაღში ვიღაც თოხნის. ალბათ, დაქირავებული მუშაა.

—მეგობარო, ბევრს გაძლევს ცოტნერი, ასე მუყაითად რომ მუშაობ?—ეკითხება მას ფოსტალიონი.

— რა უნდა მომცეს, ერთი ღრჯუ ვინმეა. ისე ვეხმარები.

— არა, ცოტნერი მაგნაირი არაა. ალბათ, ბევრ ფულს გაძლევს.

აივანზე ქალი გადმოდგა და დაიძახა:

—ბატონო, ტელეფონზე გიხმობენ.

ფოსტალიონი დაფრთხა, კიდევ კარგი, ცუდი არაფერი წამომცდაო.

მეორედ ფანჯრის მინა გაუტყდათ. ცოლმა მუშას გამოუძახა. იგიც მოვიდა მინიანად. შეხედა, ფანჯარაზე ვიღაც სპეცსამოსიანი დგას და მინას სვამს. გული მოუვიდა და ლანძღვა დაუწყო: მე გამომიძახეს, შენ კი ვიღაც მოთრეულხარ და აკეთებო.

—ძმაო, რას მემართლები, სახლიც ჩემია და ფანჯარაც,—ღიმილით უპასუხა ცოტნერმა.

ცოტნერის მაგიდა მუდამ უხვია. ზედ საუკეთესო ღვინოებია. ეს ღვინო სწორედ ჩრდილო მხრიდანაა მოტანილი. გურამი იქაც ჰყავდათ: მთაში გაჭრილი ბარდაფები აჩვენეს.

— სამშობლოში რომ ჩახვიდეთ, ამხანაგებს უთხარით, რომ კარგია ქართული ღვინოები, მაგრამ უნგრულიც არ დაიწუნება-თქო.

— არათუ არ დაიწუნება, საუკეთესოა,—უპასუხებს გურამი.

კალანდაძეს კიდევ უფრო უახლოვდება მინისტრის მოადგილე დუილა სეკერი. ამას თავისი ახსნა აქვს. სეკერი პროფესიით მეტალურგია. დაამთავრა მოსკოვში. აქვე დაიცვა დისერტაციაც. თბილისში ჰყავს ინსტიტუტელი მეგობარი გურამ გველესიანი (ისიც მეცნიერებათა კანდიდატია). სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით გაიგო ბევრი რამ საქართველოზე, შეიყვარა იგი.

ჰოდა, პირდაპირ თავს ევლებიან. ყოველ შაბათ-კვირას ჩამოყავთ ბუდაპეშტში და არის ერთი დროსტარება! გურამიც თითქოს შინაურდება, მაგრამ პასუხისმგებლობა მით უფრო მატულობს და მატულობს. კაი ბიჭი ხარ და შერცხვი! სად გინდა გამოყო თავი?!

დადგა ოქტომბერიც. მოახლოვდა გაშვების ვადა. დაინიშნა დღე.

ვინ არ ღელავს ამ დროს, მაგრამ ყველაზე უფრო — გურამი. აქ გასაკვირი არაფერია. გინდა, არ გინდა, ძალაუნებურად უნდა ინერვიულო, გული არ დაგაყენებს.

ვთქვათ, არ იმუშავა რომელიმე აგრეგატმა? ვთქვათ, ჩართვისთანავე გამოვიდა მწყობრიდან? ვთქვათ, დაიმტვრა? ვთქვათ... მაგრამ ეს წარმოუდგენელია, თუმცა არაფერი არაა წარმოუდგენელი. თითქოს ყველაფერი შემოწმებული, დაზუსტებული, გაანგარიშებულია, მაგრამ, რომ იტყვიან, ეშმაკსაც არ სძინავს: ვაი, თუ რაღაც გაპარა ან პროექტში, ან ქარხნულ დამზადებაში, ან მონტაჟში? და კიდევ რამდენი „ან“ შეიძლება დავასახელოთ!

მშვენიერი დილა გათენდა. დედამიწას მოკრიალებული ცა დაჰყურებდა. მერი იწერებოდა, რუსთავში სიცხეებიაო. არც კაზინიცბარიციკაშია ცუდი ამინდი; მეტწილად დარებია. რაც ერთგვარად ახალისებს გულს.

იმ ღამეს თითქოს არ სძინებია. ფიქრებმა გადარია. მსუბუქად წაისაუზმა და გარეთ გავიდა. სასტუმროს წინ უკვე იდგა მსუბუქი მანქანა „ვარშავა“.

— დაღლილი სახე გაქვთ, ალბათ, არც გძინებიათ. რატომ ნერვიულობთ? —ეუბნება თარჯიმანი.

— არ მინდა ვინერვიულო, მაგრამ არაფერი გამოდის. რომ ჩამოვედი, ნახევარზე მეტი დამონტაჟებული ჰქონდათ. მაინც ყველაფერი მე დამბრალდება. მართალიცაა, აბა, ვის უნდა დავაბრალოთ!...

რა კარგი ქნეს, რომ თარჯიმანი შეუცვალეს! პირველ თვეს ქალი იყო, პირთხელი, მარილიანი გოგო, მაგრამ ტექნიკური განათლება არ ჰქონდა და საინჟინრო ტერმინების თარგმნა უჭი-

რდა. მორჩილი ტანის პეტერ ჟიგა კი ინჟინერია, ლენინგრადში აქვს დამთავრებული და რუსული მშვენივრად იცის.

მერი იწერებოდა: ეგ საქმე რომ გათავო, კონტრაქტის ვადის გასვლას ნუ უყურებ, ჩამოდი, ბავშვს მოენატრე (ალბათ, თვითონ უფრო მოენატრა!). თუ ვადაც არ ეყო და კიდევ დატოვეს? ხეირი თუ არ იქნა, შეიძლება სულაც შეცვალონ და მერე რა პირით ჩავიდეს საქართველოში?!

დათქმული საათიც მოვიდა. ქარხანაში პირზე აკერიათ ქართველი ვაჟკაცის სახელი: სიტყვას ასრულებს, საამქროს ერთი თვით ადრე უშვებსო.

აქ არიან ქარხნისა და ქალაქის ხელმძღვანელები, მძიმე მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები...

ყველა განაბულია. რაღაც დიდის მოლოდინში გული უწვრილდებათ. ბოლოს გაისმის კომანდა:

— ჩართეთ!

აგრეგატები აგუგუნდნენ, აქშინდნენ. თითქოს ყველაფერი წესრიგშია: რიტმიც ნაცნობია, ტექნოლოგიური რეჟიმიც.

მაგრამ ეს რა პროდუქციაა?! კონვერტორული გაზი გაზს არა ჰგავს!

— გამორთეთ! შეამოწმეთ ყველაფერი!

ამოწმებენ, სინჯავენ, ითვლიან. ყველაფერი თითქოს ნორმალურია, არსად ზადი არ შეიმჩნევა, შედეგი კი არაა და არა!

ასე გრძელდება სამ დღეს.

გურამი საამქროში აღამებს და ათენებს.

დევივით ვაჟკაცი ჩამოდნა — თორმეტი კილო დაიკლო. მადიარები ჩურჩულებენ: ეს ვინ ყოფილა! თვითონაც კვდება, ჩვენც დაგვხოცაო...

ყურებში წივის შემზარავი ხმა: ყველაფერი გათავდა, ყველაფერი!

ერთადერთი ხსნა წყალში გადავადრნაა. მაგრამ წყალი რომ საქმეს შველოდეს.

გურამმა ველარ გაუძლო ამდენ შემომყურე თვალს და ბანდალით შევიდა კაბინეტში, რომელიც სპეციალურად მორთეს: დირექტორმა დაიჟინა ქართველებს ნოხები უყვართ (სად წაიკითხა!) და კაბინეტი სულ მოაფარდაგებინა. გურამს უარი არ გაუვიდა: ამ საქმეს უკვე თქვენ აღარ გეკითხებითო.

სავარძელში ჩაჯდა, თავზე ხელები შემოიწყო და საკუთარ გულს დააყურა: სულ დაგა-დუგი გაჰქონდა. ერთი პირობა შეეშინდა, არაფერი მომივიდესო. ამიტომ ისევ მოიკრიბა ძალა. მაკაი და ჟიგა შემოვიდნენ.

— ცუდად ხომ არა ხართ, ბატონო გურამ?

— არა. თათბირი უნდა მოვიწვიოთ, — თქვა და სავარძლიდან წამოდგა.

ვინ შეედავებოდა!

გაიმართა ავტორიტეტული საწარმოო-ტექნიკური თათბირი, სადაც უყოყმანოდ მიიღეს კალანდაძის წინადადებანი: გაჩერდეს საამქრო, მოხდეს შემრევის დემონტაჟი (მოიხსნას ამონაგიც), ყველაფერი შემოწმდეს თავიდან, დეტალურად გაისინჯოს პროექტები.

და, აი, კვანძიც: შეცდომა ყოფილა პროექტშიც, შემრევის ქარხნულ დამზადებაშიც.

გურამი წელში გაიმართა, მაგრამ ახალმა უსიამოვნებამაც არ დაახანა. საელჩოში ხმა გავარდა: კაზინცბარციკაში ვიღაც კალანდაძე უფროსობს, განკარგულებებს იძლევა, ყველაფერში ცხვირს ყოფს, საქმე კი ადგილიდან არ იძვრისო.

ბუდაპეშტში იბარებენ და აბანოს უწყობენ.

— გესმით თქვენი მოვალეობა? — ეკითხება საელჩოს მრჩეველი.

— ვფიქრობ — კი.

— თქვენ ხართ მრჩეველი. დადექით და უყურეთ. გკითხონ უპასუხეთ, თუ იცით. არ იცით, უთხარით, ხვალ გეტყვით, ზეგ გეტყვით-თქო. დაგვირეკეთ ბუდაპეშტში. ჩვენ მოსკოვს დავუკავ-

შირდებით. მივიღებთ პასუხს და თქვენც დაზღვეული იქნებით.

— მაგრამ მე არ შემიძლია საქმე ფუჭდებოდეს, ვუყურებდე და ხელს არ ვანძრევდე.

— გიმეორებთ, თქვენ ხართ მრჩეველი.

— მგონი არაფერს ვაფუჭებ.

— მერე გვიან იქნება! ნუ შეარცხვენთ საბჭოთა სპეციალისტის სახელს!

— შევეცდები.

გურამი ვერ ხედავდა რაიმე დანაშაულს თავის მოქმედებაში, მაგრამ მრჩეველიც თითქოს მართალი იყო: ორივე საქმის ინტერესებიდან გამოდიოდა. მართლაც, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო ყოველი ქცევისა თუ მოქმედების გამო!

თუმცა გულში ერთგვარი ზადი გაჩნდა, თავისი პოზიცია არ შეუცვლია: ძველებურადვე შრომობდა, უშუალოდ შეჰქონდა წვლილი მემონტაჟეთა საქმიანობაში.

ყოველივე ამან ნაყოფიც მალე გამოიღო: ოცდაერთ ნოემბერს, პარტიის ყრილობის მუშაობის მესამე დღეს, ქვეყანას მოახსენეს, რომ ახალი საამქრო მწყობრში ჩადგა.

ყრილობის პრეზიდიუმმა, იანოშ კადარის მეთაურობით, მიულოცა მშენებლებს, მემონტაჟეებს, ქარხნის კოლექტივს, საბჭოთა სპეციალისტს მოპოვებული გამარჯვება და უსურვა ახალი მიღწევები.

ეს წუთები, მართლაც, დაუვიწყარია! რა სიხარული იყო, რა ხვევნა-კოცნა! მადიარებმა პირდაპირ აღარ იცოდნენ, როგორ გამოეხატათ გულითადი მადლობა.

— ერთი დიდი სიხარული სწორედ ამ დღეებში განვიცადე. — ამბობს გურამი. — ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით იყო კაზინცბარციკაში, დაათვალიერა ქიმკომბინატი, სადაც მიტინგზე გამოსულმა იანოშ კადარმა თქვა: ამ ქალაქის მაცხოვრებლები პირადად იცნობენ საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც დიდად დაგვეხმარნენ, რათა ახალ ქარხანას მალე მოეცაო პროდუქცია. მიხარია, რომ ეს სიტყვები მეც მეხება, რომ მეც შევიტანე პატარა წვლილი მოძმე უნგრეთის სოციალისტურ მშენებლობაში.

გურამი ახლა კონვერსიის საამქროს უფროსია რუსთავში. მეგობრული და საქმიანი მიმოწერა აქვს უნგრელ ამხანაგებთან. ბარათებს იწერებიან საამქროს უფროსი დუილა მაკაი, ქარხნის დირექტორი ლასლო შუტე, მინისტრის მოადგილე დულა სეკერი, ქიმიური მრეწველობის ტრესტის გენერალური დირექტორი შანდორ გორ-ნადი...

მიმოწერა ძირითადად საწარმოო გამოცდილების გაზიარებას ეხება, მაგრამ არც პირად ცხოვრებას ივიწყებენ. უნგრელები იწვევენ გურამს, — ცოლთან ერთად ზაფხულის შვებულება გაატაროს უნგრეთში, სადმე ბალატონის ტბის ახლოს.

საერთოდ ქარხანაში დიდი სიმპათიით სარგებლობს უნგრეთი. მარტო ამ საამქროდან რამდენიმე კაცმა უკვე მოიარა იგი ტურისტული საგზურით. კალანდაძემდე იქ იყო ლაბორატორიის უფროსი ემა ვინოკური, უნგრეთის განთავისუფლების ცხრამეტი წლისთავის დღესასწაულს დაესწრნენ უფროსი მეაპარატე ეკატერინა ლავროვა, ლაბორანტი ნინა სუშკოვა. დეპეშებს და წერილებს ხომ სათვალავი არა აქვს!

გურამ კალანდაძე ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილეა, წარმოების საკითხები აქვს მინდობილი. იგიც საათობით გელაპარაკებათ ქარხანაზე, მის მოწინავე ადამიანებზე. თავისი საამქროს კოლექტივზე საუბარს კი, აბა, რა მოაწყენს!

ბევრი კარგი ადამიანია აქ, თავისი საქმის ოსტატი. ზოგი მაინც დავასახელოთ. უფროსი მეაპარატე ვალენტინა ვერსტაკოვა, მემანქანე თენგიზ ლაზარაშვილი, ზეინკალთა ბრიგადირი ვასილ რიბასოვი, ცვლის უფროსები ცირა ფორჩხიძე, ვალენტინა კურიპკა, ახალგაზრ-

და სპეციალისტი იზოლდა ნარიმანაშვილი — საამქროს უფროსის მოადგილე და მრავალი, მრავალი სხვა.

ალბათ, ცალკე უნდა ითქვას ძმებ აბდულაევებზე: ისინი ხომ აქ ოთხნი არიან — ბოგდანი, ჯემალი, ოსმანი, შემისთანი!

კალანდაძეს სიამოვნებს მათთან მუშაობა და არც ისინი რჩებიან ვალში.

პიატიგორსკელი სტუდენტები

პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებმა პოხიერი ნიადაგი პოვეს რუსთაველ ქიმიკოსთა შორის. საზოგადოებრივმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ბევრი ღონისძიება დასახეს, ბევრიც განახორციელეს, ერთი მათგანია მასებში ქიმიური ცოდნის შეტანა.

დღე არ წავა, რომ ქარხანაში რამდენიმე ექსკურსია არ მოვიდეს. მარტო უკანასკნელ ორ თვეში იგი ნახა 3.500 კაცმა. ქარხანაში არის ტექნიკური ინფორმაციის ბიუროც, რომლის უფროსი ინჟინერი ი. პოტაშნიკოვი საზოგადოებრივ საწყისებზე განაგებს პოლიტიკური განათლების კაბინეტს. სწორედ ის ხელმძღვანელობს ექსკურსიების მიღება-გაცილების საქმეს.

სხვათა შორის მისი ბიოგრაფიაც საინტერესოა. უკრაინის ქალაქ ჩერკასკში დაიბადა. დედა ადრე გარდაეცვალა. მამიდა ზრდიდა. ორმოცდაორ წელს რვა წლის ბიჭი თბილისში ჩამოიყვანეს. მამამისი ომამდე სწორედ თბილისის ოფიცერთა სახლში მსახურობდა. ორმოცდახუთ წელს მამაც დაეღუპა ფრონტზე. სკოლა რუსულად დაამთავრა, უნივერსიტეტი კი— ქართულად ინგლისური ენის სპეციალისტია.

რა რჯულის კაცი არ მოდის აქ! სწორედ მიმდინარე წლის იანვარში შვიდთვიანი პრაქტიკა დაამთავრეს სირიელმა სპეციალისტებმა, რუსთაველი ქიმიკოსების დახმარებით, გაიღრმავეს თავიანთი ცოდნა.

ვიდრე ექსკურსანტებს საამქროში წაიყვანდნენ, პოტაშნიკოვი პოლიტკაბინეტში უტარებდა საუბარს, აწვდიდა საინტერესო ცნობებს: ქარხნის პროდუქცია იგზავნება სამოცდაათი ორგანიზაციის დაკვეთით მთელ საბჭოთა კავშირში — თბილისიდან სახალინამდე; კაპროლაქტამი საერთაშორისო ბაზარზე მხოლოდ ოქროზე იყიდება — ტონა პროდუქცია კილო ოქრო ღირს და ა. შ.

მე დავესწარი საუბარს, რომელსაც პიატიგორსკელ სტუდენტებს უტარებდა. ეტყობა, ქიმია კარგად შეუსწავლია, რის გამოც ერთგვარი სიამაყე ვიგრძენი, როგორც ფილოლოგმა; მომავალი ფარმაცევტები ინტერესით უსმენდნენ, შეკითხვაც ბევრი დაუსვეს ბოლოს კუთხეში მჯდომმა გოგონამ, ისეთივე დიდი სათვალეები რომ ჰქონდა, როგორც პოტაშნიკოვს, სერიოზულად იკითხა.

— რა არის **гажа**?

პოლიტკაბინეტში გამოფენილია ქარხნის ძირითადი პროდუქცია. ორ სინჯარაში ამონიუმის გვარჯილაა, მაგრამ სხვადასხვა ფერისა: ერთი თეთრია, მეორე — ყვითელი.

რაშია საქმე?

ამონიუმის გვარჯილას აქვს ერთი ცუდი თვისება: იტკეპნება. გაცივდება თუ არა, იკვრება, მაგრდება, რაც ხელს უშლის მიწაზე თანაბრად მოყრას. თუ თანაბრად არ მოეყარა, — ეს მხოლოდ ზარალია: სადაც მეტი მოხვდება, მცენარეს დაწვავს; ერთ თვეს რომ საწყობში გავაჩეროთ, წყლად გადაიქცევა, ტომარაში გავა და დაიკარგება. ისე კი შესანიშნავი სასუქია: ოცდათოთხმეტ პროცენტს მარტო აზოტს შეიცავს.

სადაა გამოსავალი? მეცნიერები დიდხანს იმტვრევენ თავს ამაზე. ჩვენშიც, საზღვარგარეთაც.

და, აი, ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა გამოცდილმა ინჟინერმა გრიგოლ ახალაიამ მიაგნო ამონიუმის გვარჯილის დამზადების ორიგინალურ ხერხს: გამოშვები-

სას გვარჯილას უნდა დაუმატოთ გამომწვარი გაჯის ფქვილი, რომელიც შემოეკვრება გვარჯილის მარცვლებს და აღარ მოხდება მათი ერთმანეთზე დატკეპნა.

ხარისხი?

გაცილებით უკეთესია: გაჯი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც აჩქარებენ მცენარის ზრდას.

ასეთი გვარჯილა შეიძლება გადავიტანოთ უტომრებოდ, პირდაპირ ვაგონებით, რაც მილიონებს დაზოგავს.

ახლა მთავარია, რომ ეს მეთოდი დაინერგოს მასობრივად, გავრცელდეს მთელ საბჭოთა კავშირში. თუ გრიგოლ ახალაიას მიაკითხავთ, გაიგებთ, რომ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. შარშან რუსთაული გვარჯილა აჩვენეს სახალხო მეურნეობის მიღვაწეთა გამოფენაზე, რამაც უცხოელები გააკვირვა.

და ახალაიასაც მოსდის პროფესორების, სპეციალისტების და მუშების ბარათები, მოითხოვენ დაწვრილებით ახსნა-განმარტებას, მაგრამ ვიმეორებ: საჭიროა ეს მეთოდი ჯერ რუსთავში დაინერგოს საფუძვლიანად.

ეს დიდი პატრიოტული საქმეა და ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

მაგრამ დავას იწვევს სიტყვა гажа, რომელსაც, რამდენადაც ვიცი, რუსულ ლექსიკონებში ვერსად ნახავთ.

ქართულად გვაქვს „გაჯი“, რაც აღნიშნავს თიხისა და თაბაშირის ბუხებრივ ნარევს, რომელსაც მონაცრისფრო ან მოყვითალო ფერი აქვს. გამოწვის შემდეგ ხმარობენ სამშენებლო მასალად, უმთავრესად კედლების შესალესად. ასე განმარტავენ ჩვენი ლექსიკოგრაფები.

ამბობენ, იგი ყველგან არისო. შეიძლება. მაგრამ სადაა რუსული სახელწოდება?

ისევ კითხვა: ქართული „გაჯი“ ხომ არ გააარუსულეს“ შეიძლება — ჰო, შეიძლება — არა.

ყოველ შემთხვევაში ოცი წელია რუსთავში არსებობს гажевое производство.

ასეა თუ ისე, პოტაშნიკოვმა ბევრი ატრიალა, ამტკიცა, რომ ეს არის რუსული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ბათქაშს, ლესილს, მაგრამ არა მგონია სტუდენტ გოგონებს დაეჯერებინოთ.

რას ვიზამთ, წარმოებამ ბევრი თავსატეხი გაუჩინა ლინგვისტიკასაც!

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

ᲞᲐᲝᲚᲝ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

როდესაც პაოლო იაშვილი და მისი მეგობრები ქართულ მწერლობაში მოვიდნენ, ყველაფერი ირგვლივ თითქოს ქარიშხლისწინა დაძაბული დუმილით, მომავალი რღვევისა და გარდატეხის მღელვარე წინათგრძნობით იყო გამსჭვალული.

ამ ახალგაზრდა პოეტებს, რომელთაც მანამდე გაუგონარი კადნიერებით ხელყვეს ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციები და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ყველა ადრე ეჭვმიუტანელი ავტორიტეტი, ამ ახალი ლიტერატურული სკოლის მესვეურებს, ახალგაზრდა თავმომწონე პოეტებს, რომელთაგან უხუცესი ოცდახუთს არ იყო მიღწეული, მაშინ ყველაფერი ეჩვენებოდათ ძალზე ადვილად, უბრალოდ, იოლად მისაღწევად და ამავე დროს მათ წარმოდგენაში ყოველივე: ხელოვნება, გარემომცველი სინამდვილე, მთელი სამყარო აღბეჭდილი იყო რაღაც გამოუვალი, ტრაგიკული, საბედისწერო შინაგანი წინააღმდეგობის ნიშნით.

„ცისფერი ყანწები“, ისევე როგორც საერთოდ სიმბოლიზმი წარმოადგენდა დეკადანსის ყველაზე მკაფიო, ყველაზე მწვავე გამოვლინებას XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში.

როგორც ცნობილია, დეკადანსი ნიშნავს დაცემას, ძირს დაქანებას, ქვევით დახრას. ასე ითარგმნება ეს სიტყვა ქართულ ენაზე. მაგრამ „დაცემა“ იყო მხოლოდ გარეგანი შედეგი, რეზულტატი ამ რთული ფსიქოლოგიური პროცესისა, რომელიც იმ დროისათვის განიცადა ევროპულმა მწერლობამ. ხოლო მიზეზი და არსი ამ პროცესისა იყო დაღლილობა, სასოწარკვეთა, პერსპექტივის გრძნობის დაკარგვა. დეკადენტური მწერლობა საქართველოშიც იყო გამოხატულება იმ საბედისწერო დაღლილობისა, რომლის უფლება ქართველ კაცს, სულერთია პოეტი იქნებოდა ის, მეომარი, თუ მიწისმუშა, არასოდეს არ ჰქონია და, ალბათ, არც არასდროს ექნება.

რეაქციის წლებში ცისფერყანწელებმა სცადეს, მათი აზრით, „მოძველებული იდეალებისათვის დაეპირისპირებინათ თავიანთი ახალი ესთეტურ-მოდერნისტული რწმენა, ან უფრო სწორად ურწმუნოება, სკეპსისი, უიმედობით, მარაზმით, სამყაროს, „მთვრალი ქაოსით“ ტკბობის ფილოსოფია.

ისინი აღტაცებაში მოჰყავდა კოსმიური კატასტროფის, აპოკალიპსის ცხენების ავისმეტყველი ჭიხვინის წინათგრძნობას, ისინი თვრებოდნენ სიმახინჯით, მწუხარებით...

ის იყო თითქმის შეშლილთა ნადიმი შავი ჭირის დროს.

რასაკვირველია, ისეთი პოეტებისათვის, როგორც პაოლო იაშვილი, ტიცი-

ან ტაბიძე და გიორგი ლეონიძეა—დეკადენტობა იყო არსებითად მხოლოდ პოზა, მხოლოდ ნიღაბი და ისინი იმ დროს პოპულარული ფრანგი მწერლის რემი დე გურმონის ცნობილი „ნიღაბთა წიგნის“ მიბაძვით ირჩევდნენ, რაც შეიძლება, უცნაურ ნიღბებს, რომლებსაც მათი ნამდვილი, ადამიანური სახე უნდა დაეფარა.

ქართველ მკითხველთა გაოცებულ აუდიტორიას ისინი მოევლინენ არლეკინებისა და პიეროების სამოსელში, „უაილდის ყელსახვევებით“, შუასაუკუნეების ჯამბაზებივით „ხელოვნურად გათეთრებული“ ღაწვებით.

ამ მკვდარი ნიღბების ქვეშ იმალებოდა სიცოცხლით სავსე, ცხოვრებას, მოქმედებას მოწყურებული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, უაღრესად მგრძნობიარე და ნიჭიერი ადამიანების დაუხარჯავი ენერგია და ტემპერამენტი.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ საკმარისი იყო კონკრეტული გარეგანი ბიძგი, რომ მათ სამუდამოდ ჩამოეწმინდათ სახიდან მოდერნიზმის ეს ჭრელი ფერუმარილი და ქართულ საბჭოთა პოეზიაში შესულიყვნენ თავიანთი უაღრესად წრფელი და თვითმყოფადი, ნამდვილად ორიგინალური ინდივიდუალობით. მაგრამ საჭიროა ითქვას, რომ დეკადანსი მაინც შემთხვევითი, ზერელე მოვლენა არ ყოფილა ქართულ პოეზიაში. იგი არ წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ეპიგონობის ნაყოფს.

ეს უცნაური ნიღბებიც თავისი ხელოვნური, არაბუნებრივი გრიმასებით, რაღაცნაირად, თუნდაც ძალზე მიახლოებით, ძალზე პირობითად, მაინც გამოხატავდნენ ნამდვილი პოეტების ნამდვილ ტკივილებს, მათ არაგამოგონილ, მწვავე, მტკივნეულ შინაგან დრამას, ნამდვილი სიყვარულისა და შთაგონების ნიჭს.

როდესაც პაოლო იაშვილი წერს:

გაგიქება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი,
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ
დახვდები.
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ
გამონადენი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად
თულებად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

ამ სიტყვებს აღარ ესაჭიროება ზედმეტი მოწმობა მათში გამხელილი განცდის სიწრფელისა და სინამდვილის დასამტკიცებლად. ისინი თვითონ წარმოადგენენ ცოცხალ, ეჭვმიუტანელ, სისხლიან საბუთს იმ, მართლაც, შეგნებული თვითმკვლელობის მსგავსი აქტისა, რომლის ფასად პოეტი, თუ ის ნამდვილი პოეტია, უკვდავებაზე, დაუსრულებელ სიცოცხლეზე აცხადებს თავის კანონიერ უფლებას.

ეს სასტიკი ჭეშმარიტება განსაკუთრებით ზუსტად გამოხატავს იმ აშკარა არათანაბარზომადობას, რომელიც არსებობს პაოლო იაშვილის შემოქმედებით პიროვნებასა და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შორის.

თავის თანამედროვეთა, თანამოკალმეთა, მეგობართა, ყველა იმ ადამიანის მოწმობით, ვისაც ერთხელ მაინც რგებია მასთან სიახლოვე, —პაოლო იაშვილი სიცოცხლეში უხვად, უსასყიდლოდ, უზომოდ აფრქვევდა თავის გარშემო ძვირფას რითმებს, კაშკაშა პოეტურ სახეებს, მომხიბვლელ ღიმილს, მეგობრულ სითბოს, რაინდულ გულისთქმას, გონებამახვილობისა და ენამჭევრობის ნამდვილ ფეიერვერკებს, იმ იშვიათ მადლს, რომლითაც ის ბუნებამ ასე მრავალმხრივ დააჯილდოვა.

პაოლო იაშვილი იყო ნამდვილი ავთანდილი, სიმღერის, სიყვარულის ჟინით შეპყრობილი მშვენიერი რაინდი, რომელიც თავის გარშემო შეუნელებელ აღტაცებას ბადებდა თავისი განუმეორებელი პოეტური ეშხით, მოხდენილობით, სილამაზის თანდაყოლილი უტყუარი გრძნობით.

ახალი დროის მსოფლიო მწერლობამ იცის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი იმ

იშვიათი ნიჭისა, რომელსაც პოეტურ იმპროვიზაციას უწოდებენ. როგორც ცნობილია, თავის დროზე ადამ მიცკევიჩს განცვიფრებაში მოჰყავდა პუშკინი და სხვა რუსი პოეტები თავისი გენიალური ექსპრომტებით, რომელთა ჩაწერა, სამწუხაროდ, არავის მოფიქრებია. ჩვენს დროში, როდესაც შემოქმედების აქტი ასე მჭიდროდ დაუკავშირდა ლითონის კალმისტარს, რემინგტონს, სასტამბო დაზგას, პაოლო იაშვილი შუასაუკუნეების ბარდივით კვლავ განაგრძობდა შთაგონების წამიერი აფეთქებით ნაკარნახევ, თავისი უშუალობითა და სიმსუბუქით მომხიბვლელ, ლაღ და ძალდაუტანებელ სიმღერას.

ის იყო პოეტური იმპროვიზაციის შეუდარებელი ოსტატი ჩვენი დროის პროფესიონალ პოეტთა შორის და ამაზე აშკარად მეტყველებენ ის შემთხვევით შემორჩენილი, სამწუხაროდ, ძალზე მცირეოდენი ჩანაწერებიც, რომელთაც დღემდე მოაღწიეს.

აი ფრაგმენტები ერთ-ერთი ასეთი პოეტური ტოსტიდან, რომლითაც მან 1920 წელს მიმართა სტუდენტურ სერობაზე მის საპატივცემულოდ შეკრებილ რამდენიმე ახალგაზრდას:

სტუდენტთა ოთახში სანთლებად ვენთებით,
სტირიან, ლოთობენ ჩვენი სტუდენტები.
სტუდენტთა ოთახში ცხოვრობენ ტყუპებად,
ზოგი ყვითელია, ზოგი იღუპება...

პური და ვაშლები, ქართული წიგნები,
გამხდარ მეგობრებთან დილამდე ვიქნებით.
იტირეთ, იმღერეთ, ძმებო და კარგებო,
დღეს თუ არ მოკვდებით, ხვალ დაიკარგებით.

. . . . . .

ღმერთო, დაეხმარე და დააბინავე!
ოთახში გვეწვევა ხელის დამკრეფელი
ქაშვეთი, სიტყვები, და მატარებელი. [1]

პაოლო იაშვილის ზოგიერთ დასტამბულ ნაწარმოებშიც არის ნიშნები პოეტური იმპროვიზაციის უშუალო აღბეჭდვისა. მის ლექსებს იშვიათად გააჩნიათ მყარი ლირიკული არქიტექტონიკა, ლირიკული თემის განვითარება აქ იშვიათად ემორჩილება რაიმე წინასწარ გააზრებულ სქემას.

წმინდა შთაგონებას აქ დაკისრებული აქვს მაქსიმუმი, და იგი უტყუარი მეგზურივით მიუყვება პოეტს ზოგჯერ ძალზე რთული მეტაფორული ასოციაციების ტევრში და, რაც მთავარია, ძალიან ზშირად ინტუიტიურად აგნებს ყველაზე სწორ და ზუსტ გზებს, ყველაზე ტევად და მკაფიო პოეტურ სახეებს.

პაოლო იაშვილის ზოგიერთი ადრინდელი ლექსი ჰაერში გაქვავებულ შადრევნებს მოგვაგონებს, და ჩვენ დღემდე განცვიფრებით შევცქერით სივრცეში აღბეჭდილ პოეტის სულის ამ ცოცხალ ფეთქვას, რომელიც თითქოს ვერავითარ პირობით არტახებს ვერ ეგუებოდა.

• მართალია, პაოლო იაშვილს სიმბოლისტურ პერიოდში დაწერილი აქვს არაერთი ლექსი ზუსტი ვერსიფიკაციული ფორმითაც, მაგრამ აქაც ეს მყარი, დაკანონებული ფორმები გაცოცხლებულია შინაგანი თრთოლვით, უხვად დაღვრილი ვნებით და სულის სიჩვილით...

ასეა დაწერილი, მაგალითად, მისი ცნობილი ტრიპტიხი, განსაკუთრებით, ვერლენისადმი მიძღვნილი II სონეტი.

საჭიროა ითქვას, რომ თუმცა „ცისფერყანწელები", განსაკუთრებით თავიანთ ადრინდელ ლექსებში, თაყვანს სცემდნენ ოსკარ უალდის ესთეტიზმს და პასიური მჭვრეტელობის, არტისტული დენდიზმის, ჩვეულებრივი, პროზაული სინამდვილისადმი გულგრილობის მანიფესტებით გამოდიოდნენ, მაგრამ ისინი სინამდვილეში არასოდეს არ ჩაკეტილან ე. წ. სპილოს ძვლის თეთრ კოშკში, არ გამიჯნულან სავსებით და საბოლოოდ თავისი დროისგან.

პაოლო იაშვილის სიმბოლისტურ ლირიკაში ჩვენ ვხვდებით უაღრესად მძაფრ, მკაფიო აღნაბეჭდებს იმ საშინელებისა, იმ რეალური კოშმარებისა, რომლებიც ძველ სამყაროს მისი აღსასრულის ჟამს მოევლინა. განსაკუთრებით შთამბეჭდავად არის გამოხატული

[1] ამოწერილია ლევან ასათიანის უბის წიგნაკიდან.

ეპოქის ეს ტრაგიკული განცდა ვერჰარნისადმი მიძღვნილ სონეტში:

სახრჩობელები, კვამლი, სისხლი, სახე
ჭურდული,
მშიერთა ურდო, რკინის კვნესა, მზის
დაბნელება...
ვერჰარნ! ვიხრჩობით ცეცხლის ზღვაში, რა
გვეშველება!
ოცნება ოხრავს ვით ფრინველი
ფრთადასუდრული.

პაოლო იაშვილმა თავისი თვალით ნახა არა მხოლოდ დეკადენტებისა და ესთეტების მექა — პარიზი თავისი განთქმული არტისტული კაფეებით: „როტონდით“ და „კლოზერი და ლილათი“, იგი პირისპირ აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომის ხანძარში გახვეულ ევროპასთან. ეს შემზარავი სურათები სამუდამოდ აღიბეჭდნენ მის შეგნებაში და თავისებური ელფერი მისცეს მთელ მის ადრინდელ ლირიკას.

ლექსში „ევროპა“, რომელიც წარმოადგენს ნაწყვეტს პაოლო იაშვილის ლირიკული ავტობიოგრაფიიდან, იმპერიალისტური ომის კოშმარები, ეპოქალური ძვრები, „თაობათა გადაშენება“ განცდილია ღრმა შინაგანი დრამატიზმით. ამ ლექსს განუმეორებელ ინტიმურ ელფერს აძლევს, განსაკუთრებით, მისი უკანასკნელი სტროფი, სადაც ევროპის მთელი ეს სისხლიანი ქაოსი, ეს გრანდიოზული სასაკლაოს სურათი შევსებულია ერთი თითქოს უმნიშვნელო, წვრილმანი, მაგრამ ამავე დროს საოცრად ადამიანური, ცოცხალი შტრიხით.

გამოვექეცი ევროპის ქაოსს,
დანგრეულ რეიმსის ტაძარს,
უზარმაზარ ტანკების ქშენას,
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.
ვიგონებ მართლა ჟრუანტელით
ლამანშის სრუტეს,
იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ
გემებს,
შოტლანდიაში ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი
და გავიღიმე ვით ნახევრად გაგიჟებულმა,
გამოვექეცი ევროპის წარღვნას...
პარიზში დამრჩა ერთი საფლავი,
ლეგიონის ორდენის წევრი,
აღმოსავლეთში განთქმული გმირი,
და ქუთაისში გადამტანი რევოლუციის,
მკვიდრი მარნასთან,
პერლაშეზზე განსვენებული
ბუბუტა აბაშიძე.

პოეტების იმ თაობას, რომელსაც პაოლო იაშვილი ეკუთვნოდა, რომლის შეგნება ნამდვილად მოწამლული იყო არა მხოლოდ ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ სურნელებით, არამედ თავისი დროის „კვამლით, სისხლით და შხამითაც“, უკვე აღარ შეეძლო მიბრუნება კლასიკური პოეზიის ნათელ სახეებთან, რომანტიკულ იდილიებთან, იმ ძველ პოეტურ სამყაროსთან, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძე ამბობდა „მოჰქონდათ წინათ პასტორალები“.

პაოლო იაშვილის ლექსი „წერილი დედას“, რომელიც ესენინის ცნობილ ლექსზე „Письмо к матери“ ხუთი წლით ადრე არის დაწერილი, წარმოადგენს ძველ, იდილიურ საქართველოსთან გამოთხოვებას.

ძველი სოფელი: წინაპართა მყუდრო სამყოფელი, ქვიტკირის მარნები, ბზის განიავება, მართალი ბათმანი—აქ დანახულია ქალაქის მტვრიანი, ვნებით გახელებული ქუჩებიდან, სრულიად ახალი ფსიქოლოგიის, ახალი სულიერი წყობის ადამიანის თვალით.

„ცისფერყანწელები“, პირველნი ქართულ მწერლობაში, შეეცადნენ პოეზიაში ე. წ. ურბანისტული მსოფლშეგრძნების შეტანას.

ამ თვალსაზრისით პაოლო იაშვილის ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“ წარმოადგენს თანამედროვე ქალაქის ერთ-ერთ პირველ ლირიკულ პეიზაჟს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

სიცხიანი ჰალუცინაციებით აბოდებული ქალაქი, სადაც ლურჯი ჰაერი დამსხვრეული შუშის მტვერივით ელავს, სადაც სნეული ძაღლები ქუჩებში ჰყრიან და თვალებახვეული ცხენები მკერდს იხევენ რკინის სვეტებზე,პაოლო იაშვილს წარმოუდგებოდა მისტიკურ კოცონად, რომელშიც უმწეო მშვენიერ ფრინველებთან ერთად, სამუდამოდ იწ-

ვოდნენ პოეტის წმიდათა წმიდა ილუზიებიც, და ეს სისხლიანი სასაკლაო, როგორც მთვრალ ხარს, ისე იზიდავდა პოეტის შთაგონებას.

რასაკვირველია, ეს იყო სიმბოლისტის თვალით დანახული ქალაქი, უფრო ირეალური, ვიდრე ნამდვილი, მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ესთეტიკის მიერ შეთხზული ლამაზი ბუტაფორია.

ეს ლექსი დაწერილია ოცი წლის ჭაბუკის ხელით, და მასში, მიუხედავად დეკადენტის განურჩეველი, ინდიფერენტული პოზისა, ნამდვილად ისმის, თავგამეტებით კივის, მოწყალებას ითხოვს ქალაქის მტვერში წაქცეული ბავშვის ჭრილობა.

ცისფერყანწელები სინამდვილეში იყვნენ სწორედ ის გულჩვილი, გასული საუკუნის იდილიებზე გაზრდილი ბავშვები, რომლებიც ახალმა საუკუნემ დიდი ქალაქის ქუჩებში გამოჰყარა და რომელნიც ამაოდ ცდილობდნენ ჭრელი ქალალდის ნიღბებში დაემალათ თავიანთი შიში და ძრწოლა ამ უცნობი სინამდვილის წინაშე.

ესენი იყვნენ ადრე დაბერებული, წამებული ბავშვები, რომლებიც სულის სიღრმეში ატარებდნენ სიყვარულის, ალერსის, სათნოების მწვავე მოთხოვნილებას.

შემთხვევითი არ არის, რომ პაოლო იაშვილს ქართული სიმბოლიზმის წინამორბედთაგან ყველაზე მეტად ხიბლავდა არა „ოქროპირი“ მალარმე და არც დორიან გრეის არისტოკრატიული სნობიზმით გულშეჯავშნული ავტორი, არამედ „ღარიბი ვერლენი“, სათნოების ამაოდ მაძიებელი, დიდი ქალაქის ჯვარზე გაკრული გულუბრყვილო რაინდი.

ვერლენს ციოდა, დადიოდა გაუპარსავი,
უნდოდა საწყალს ბედის კვალი რომ
შეეცვალა.
მას ღვთისშობელი შეუყვარდა ობოლ
დასავით,
და შველა სთხოვა, როცა ღამის ჯვარზე
ეწვალა.

კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილ ამ მშვენიერ ლექსში იგრძნობა ის არამიწიერებითი, წრფელი თანაგრძნობა და სიბრალული შორეული თანამოძმისადმი, რაც ნამდვილად დიდბუნებოვანი შემოქმედის თვისებას შეადგენს.

ქართველი სიმბოლისტების მწვავე შინაგანი ტრაგედიის მიზეზი იყო ის, რომ ისინი სულიერად ძალზე შეუიარაღებელნი აღმოჩნდნენ თავისი დროის რთული და სასტიკი კონფლიქტების წინაშე.

მათ სურდათ ამ მახინჯ სინამდვილეზე მაღლა დამდგარიყვნენ, საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირი მასთან და ამის გამო უნებურად მოსწყდნენ არა მხოლოდ თავის დროს, არამედ ნაციონალურ ნიადაგსაც.

ისინი აღმოჩნდნენ ნამდვილი საყრდენი წერტილების გარეშე, რეალური მიზნების, პერსპექტივის, ჭეშმარიტი იდეალების გარეშე. მათ დაკარგეს მიწის, რეალობის გრძნობა და მთვარეულებივით გაყვნენ იმ გზას, რომელიც უფსკრულის პირას მიდიოდა.

საჭირო იყო გარდამტეხი ისტორიული ძვრების ზემოქმედება, რომ მათ საბოლოოდ მიეგნოთ თავისი დაკარგული ფესვებისათვის, მტკიცედ დამდგარიყვნენ ეროვნულ ნიადაგზე და ქართველი ხალხის ბედიღბალთან, მის სულიერ ცხოვრებასთან აღედგინათ კავშირი.

საბედნიეროდ, პაოლო იაშვილს, ისევე როგორც მისი ყოფილი ლიტერატურული თანამებრძოლების უმრავლესობას, ეყო სულიერი სიმტკიცე და ნებისყოფა, რათა თავი დაეღწია დეკადენტური მისტიკის ჰიპნოზისგან.

ეს გამოფხიზლების პროცესი არ ყოფილა უმტკივნეულო, რადგან იგი წარმოადგენდა არა სინამდვილესთან უბრალო შეგუების, ბიოლოგიური შეთვისების აქტს, არამედ მისი გაგების, მისი შინაგანი არსის განჭვრეტისა და რწმუნების გულწრფელ ცდას.

ეს იყო მათი სულიერი ძალების მკაცრი გამოცდა, და მათ შეძლეს დაემტკი-

ცებინათ თავიანთი შინაგანი სიმთელე და სიცოცხლისუნარიანობა, თავიანთი ერთგულება სიცოცხლისადმი, ქართული მიწისა და მზისადმი, საქართველოს აწმყოსა და მომავლისადმი.

აღსანიშნავია, რომ პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, ისევე როგორც ტიციან ტაბიძესთან, სიმბოლისტური გატაცებებისგან თავის დაღწევისა და მიწასთან დაბრუნების თემა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ მოქალაქეობრივი სიმამაცის, არამედ საერთოდ, ადამიანური, მამაკაცური სიძლიერის, შეუპოვრობის, ვაჟკაცობის მოტივთან.

ცისფერყანწელებმა თვითონვე იგრძნეს, რომ ესთეტური სნობიზმი, სინამდვილისაგან გამიჯვნის, თუ გაქცევის ცდა წარმოადგენდა კლასიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი, საერთოდ, ქართველი კაცის შეგნებაში, სისხლში და ხორცში გამჯდარი შეუპოვარი სულისკვეთებისადმი სამარცხვინო ღალატს.

ეს წუთიერი შეკრთომა მათ მიიჩნიეს ქართველი პოეტისათვის მიუტევებელ სიმხდალედ და მკაცრად, უშელავათოდ გადააფასეს ყველაფერი, რაც ადრე მათი ავადმყოფური შთაგონების საგანს წარმოადგენდა.

და თუ ტიციან ტაბიძე წერდა:

შერცხვეს ვაჟკაცი, თუ ამ მზეს ხედავს
და სიკვდილს კიდევ შეუშინდება!

პაოლო იაშვილსაც აღმოაჩნდა იმდენი სულიერი მხნეობა, რომ თავისი ახალი ლექსებისთვის შესაფერისი კილო მოეძებნა:

როგორც აფრის ტკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა!

ეს იყო გულწრფელი სურვილი, ამაღლებული, რაინდული ზრახვა პოეტისა, რომელმაც მთელი არსებით იგრძნო საკუთარი მოწოდებისა, და საქმის განუყოფელი ერთიანობა ერის ცხოვრებასთან, მის სულიერ ყოფასთან და გულისთქმასთან.

გასინჯე ცეცხლის ღადარში
სიმაგრე ლექსად თქმულსა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერდა პაოლო იაშვილი 1934 წელს, რადგან ამ დროს მან უკვე იწამა პოეტის მაღალი დანიშნულება, მისი პასუხისმგებლობა ერის, სამშობლოს, დროის წინაშე.

ლექსში „პოეტის საქმე“ ეს წმიდათა წმიდა ვალი შემოქმედისა ასე უბრალოდ და მკაფიოდ არის ფორმულირებული პოეტის მიერ:

ჩემო ქვეყანავ, დამსვი პოეტად
შენი შრომის და მიწის საქებად
და რაც კი ძალა მომეპოვება,
მინდა ლექსებით გადმოლაგება.

პაოლო იაშვილმა პოეტის ნამდვილი გატაცებით უმღერა ახალ საქართველოს, თბილისს, სამგორს, ქუთაისს, კოლხიდის პირველ მოსახლეებს, რიონის ახალ კალაპოტს, სამას არგვეთელს. ზემოურ რთველს, მალთაყვას. მან მიუძღვნა წრფელი პოეტური განცდით გამთბარი ლექსები ოვანეს თუმანიანს. უკრაინელი ქალის სიმღერას, ესპანეთის გმირ ხალხს.

თავისი ლექსით, სიტყვით, საქმით იგი ყველგან განასახიერებდა ახალი ცხოვრებისადმი, შენებისადმი, განახლებისადმი თავდავიწყებულ სიყვარულს, აღტაცებას, შრომისა და შემოქმედების ხალისს.

არცერთ ქართველ საბჭოთა პოეტს არ რგებია იმდენი სიყვარული და აღტაცება, რომლითაც პაოლო იაშვილის პიროვნებისადმი იყვნენ გამსჭვალული XX საუკუნის მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწენი და მხატვრები უცხოეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში.

1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე, რომელსაც მთელი მსოფლიოს მოწინავე ლიტერატორები ესწრებოდნენ, პაოლო იაშვილი გამოვიდა შესანიშნავი სიტყვით. ვინც ამ ყრილობის სტენოგრამას გაეცნობა, თვალნათლივ დაინახავს, რომ არცერთ გამოსვლას, თვით მოხსენებებსაც კი, არ გამოუწვევია იმდენი ტაში და აღტაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რაც პაოლო იაშვილის პატარა სიტყვას ხვდა წილად.

როდესაც ქართველი მკითხველი პაოლო იაშვილის სიკვდილის შემდეგ, გამოცემულ წიგნს იღებს ხელში, არ შეიძლება მან არ იგრძნოს ნამდვილი პოეტის ელვარე შთაგონება, ძლიერი, მჩქეფარე ტემპერამენტი, ‘ადიდარი და დახვეწილი. პოეტური კულტურა და, რაც მთავარია, უაღრესად თვითმყოფადი ტალანტი, ის თანდაყოლილი მკაფიო ნიჭიერება, რომელიც იგრძნობა მის ლირიკულ ლექსებშიც, პატარა მოთხრობებშიც და თარგმანებშიც.

პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი პუშკინი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ეს არის ჭეშმარიტად პოეტური თარგმანის საინტერესო, ორიგინალური ნიმუში.

პაოლო იაშვილი მოწოდებით მხატვარი იყო. როგორც ცნობილია, იგი სწორედ ამ მიზნით გაემგზავრა თავის დროზე პარიზში, ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში სასწავლებლად.

უფრო გვიან პოეზიით გატაცებამ მას თითქმის მთლიანად ააღებინა ხელი ფერწერაზე.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ თვით მის პოეტურ შემოქმედებაში არის ისეთი თვისებები, რომლებიც მხატვრის ნიჭზე, თავისებურ მხატვრულ ოსტატობაზე მეტყველებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „ავტოპორტრეტი“ „ტრიპტიხი“, დავით კლდიაშვილისადმი, ნიკო ლორთქიფანიძისადმი, ვალერიან გაფრინდაშვილისადმი, ტიციან ტაბიძისადმი, გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსები.

ეს არის შესანიშნავი პოეტური პორტრეტები, რომლებშიც ზუსტი შტრიხებით, კოლორიტული დეტალებით, თვით პოეტური სტილის თავისებურებით, გახსნილია თვითეული ამ პიროვნების ხასიათი და შინაგანი ბუნება.

აი, როგორი ცოცხალი, ზუსტი საღებავებით არის წარმოსახული პოეზიის ენაზე ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი:

ხარ მოელვარე ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იადონს,
მომეცი ნება, როგორც მწევარი,
ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.

გაგიძნელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი.
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი.

ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტილით არის დაწერილი პაოლო იაშვილის ლირიკული მიძღვნები ცისფერყანწელებისადმი.

აქ გამოკვეთილია არა მხოლოდ გარეგნული თვისებები პოეტის მეგობრებისა, არამედ მათი შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც.

ინდივიდუალური კოლორიტის შესაქმნელად პაოლო იაშვილი ხშირად მიმართავს თავისებურ პოეტურ იმიტაციას. ასე, მაგალითად, ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი დაწერილია უაღრესად დახვეწილი, რაფინირებული სტილით.

აქ ზუსტად დაჭერილია „დაისების“ ავტორის თავისებური ინტონაცია, მისი მეტაფორისტიკის დამახასიათებელი ელფერი.

თვით პაოლო იაშვილი ყვებოდა, რომ ცისფერყანწელებმა როგორღაც გადაწყვიტეს ვალერიან გაფრინდაშვილისათვის დაბადების დღეზე მიერთმიათ 25 ახალი რითმა.

ეს ლექსიც ამ მხრივ თითქოს ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს პოეტისათვის, რომელიც განსაკუთრებით ზრუნავდა რითმის სიახლეზე და კეთილხმოვანებაზე.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ლექსში პირველად იქნა ნახმარი თავისი დროისათვის უაღრესად ორიგინალური ქართული რითმა: „უკაცრავად — გაუკაწრავად“, რომელიც შემდეგ ზოგიერთმა სხვა პოეტებმაც გაიმეორეს.

აი, ორი სტროფი გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ლექსიდან

როდესაც გძინავს დამძიმებულ წვიმიან
დღეში,
შენ თმებს გივარცხნის ოფელია სუსტი
თითებით.
იმას გედები ჩააბარეს თეთრ სამოთხეში
და გულსაფარი მოუქარგეს მარგალიტებით.

გააბელ თვალებს, მორცხვად იტყვი: აბ,
უკაცრავად!
ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და
დერიდახოლებს,
და თუ დაჰკოცნი იმის თითებს გაუკაწრავად,
ათ კოცნას თვალი ათ მარგალიტს
გადააყოლებს.

სრულიად სხვა ინტონაციით, სხვა პოეტური ასოციაციებით, სხვა წყობით არის დაწერილი გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსი:

შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია,
შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,
შენი სული აღდგომის ელოგია,
არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა.
შენ ოცნებით თამარისკენ წახვედი,
ჰგავხარ ლაშარს ანთებული სახეთი,
მოდი ვნახოთ შენი გარე კახეთი,
სადაც სიტყვა წარსულით გაერთობა.

პაოლო იაშვილის ორიგინალური პოეტური ტალანტი თავისებურად გამოვლინდა დარიანული ლექსების ციკლში, რომელიც ლირიკული გარდასახვის, შეიძლება ითქვას, იშვიათ მაგალითს წარმოადგენს ახალი დროის ქართულ პოეზიაში.

პაოლო იაშვილმა შექმნა შესანიშნავი პოეტური მისტიფიკაცია, მომხიბლავი ლეგენდა ახალგაზრდა მეოცნებე ქართველ ქალზე. ნატიფი სახეებით გადმოსცა მისი ინტიმური სამყარო, მისი სულის ფარული თრთოლვა, მისი ვნებები, მისი სევდა და ოცნებები.

მართალია, ამ ციკლის ზოგიერთ ლექსს ატყვია მოდერნისტული განწყობილებების, თავისებური სტილიზაციის დაღი, მაგრამ უმრავლესობა ამ ლირიკული შედევრებისა დღემდე გვხიბლავს განცდის სიცხოველით და ბრწყინვალე პოეტური არტისტიზმით.

აქ გვხვდება ისეთი სტრიქონებიც, რომლებიც ლექსის მუსიკალური გააზრების, ევფონიის თვალსაზრისით, ნამდვილ მარგალიტებს წარმოადგენენ XX საუკუნის ქართულ ლირიკაში:

დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე
ჯაჭვის
ტარებით,
ბევრი ცრემლი
დამეხარჯა
ერთ ღამის ნეტარებით,
და ლოყაზე
დარჩა
ფარჩა
ცხელ პირის
მიკარებით...

. . . . . .

ჩემს დამტანჯველს
ღმერთი
დასჯის
ქაჯად
გადაგვარებით...

საოცარი სიზუსტით, შინაგანი კდემამოსილებით არის გამხელილი ამ ლექსებში ახალგაზრდა შეყვარებული ქალის განცდები, მისი განწყობილების ცვალებადობა, მისი ნამდვილად ქალური, უაღრესად მგრძნობიარე ნაზი ბუნება.

აქ ყოველ ემოციურ გამმას აქვს თავისი მდიდარი შინაგანი ნიუანსები:

მომდურავ თავადს მე ვიგონებ ნაზი
ზმანებით,
წაიღო კოცნა ღა ნაწილი ჩემი პერანგის.
ყველას გიყვარდათ —სიყვარული მეც
დამანებეთ,
მე მოვიტანე ელვარება ფერადი ჰანგის
და ჩემ ცელქ ფეხებს ენატრება რკალი
უზანგის.
არავის კოცნას არ ვიგონებ მე დანანებით...

განსაკუთრებით რბილი, შეკავებული ტკივილის გამომხატველი ნახევარტონებით არის დაწერილი ელენე დარიანის უკანასკნელი გამოსათხოვარი ლექსი:

უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები,
უნდა ბალახი დილამ დათრთვილოს,

მე ამ ზაფხულზე დავინიშნები
და მივატოვებ ჩემს საქართველოს...

პაოლო იაშვილი იყო დაბადებით პოეტი, სიყრმითგანვე „პოეტური შთაგონებით დასნეულებული“, შემოქმედების ჟინით შეპყრობილი.

პოეტურ სიტყვასთან ჭიდილს მისთვის მოჰქონდა დიდი ბედნიერება და ამ სიხარულს იგი უხვად, ნამდვილი ქართული ხელგაშლილობით ხარჯავდა.

პოეტის ტვირთს იგი ატარებდა მომხიბლავი სიმსუბუქით, ლაღად, თითქოს სხვათაშორის, მაგრამ მისთვის უცხო არ ყოფილა სულიერი კრიზისის მძიმე წუთებიც, ის დიდი სატანჯველი, რომელიც მან თავის ცნობილ ლექსში „პოეზიაში“ გაანდო მკითხველს.

1918 წელს დაწერილ თავის ლირიკულ აღსარებაში პაოლო იაშვილი გვიყვება, როგორ იგრძნო მან პირველად პოეტის შთაგონებით დასნეულება:

თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდენ
ცხოვრებას დიდი ოქროს ჩიტები...

პოეტის ხვედრი მას მაშინ საბედისწერო ელფერში წარმოუდგებოდა:

ღმერთმა სიგიჟე გადმომივლინა,
რადგანაც ხშირად ვიყავ მშიერი.
დედა მიტირებს მე ბაბილინა
და ჯიბრაელი მამა ძლიერი.

პაოლო იაშვილის შემოქმედებითი სიმწიფისდროინდელ ლექსებში ეს პირადი უბედურების, მიუსაფრობის განწირულობის მოტივი თითქოს სამუდამოდ დაინთქა და განქარვდა.

ცხოვრება მის თვალწინ გაიხსნა ახალი კუთხით და მისმა პოეტურმა შთაგონებამაც სრულიად სხვა, ჯანმრთელ, ანკარა წყაროს მიაგნო.

სამშობლოს გულთან მკერდით შედუღებულმა პოეტმა იგრძნო დიდი შვება, უმაღლესი სიხარული მიწაზე დაბრუნებული შემოქმედისა.

ლექსში „მაგიდა—ჩემი პარნასი“ განუმეორებელი უშუალობით, სისადავით, ბრწყინვალე პოეტური ხატოვნებით არის გამხელილი ეს ნათელი გრძნობა:

თითქოს უბრალოდ მე ვწერდე წერილს,
გამიადვილდა უეცრად შრომა.
ციდან მოსმენილ შუადღის ჟღერის
მონად გამხდარა ლექსების ზრომა.
მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი,
აავსებს წერილს წუხანდელ ცის დარდი
და მღერის, მღერის კალამის წვერი
კალამის წვერი — ბულბულის ნისკარტი.

ჭეშმარიტი პოეტი თვითონ ქმნის თავის ბიოგრაფიას, შთამომავალთა მეხსიერებაში ის რჩება თავისი ლექსებით, თავის მიერვე შექმნილი სახეებით გარშემორტყმული. დროს მიაქვს ცხოვრების წვრილმანები და ტოვებს მთავარს, არსებითს, ის რაც პოეტმა ქაღალდზე დაღვარა და სამუდამო სიცოცხლისათვის ჩაბერა სული.

მაგრამ პოეტის ბიოგრაფია, მისი პირადი ბედიღბალი მაინც განსაკუთრებულ ელფერს აძლევს მის შემოქმედებით პიროვნებას.

პაოლო იაშვილმა თავისი სიცოცხლე დაასრულა დრამატული ჟესტით.

გერონტი ქიქოძე თავის მოგონებაში წერს:

„ეს ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ჭაღებით განათებული დარბაზები, ტაშით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკეტები და არტისტული ყავახანები უყვარდა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა.

1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავისი ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიძის ქუჩაზე და სევდიანად გასცქეროდა მახათის მთის გოლგოთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა აფორიაქებული სული დაეშოშმინებინა თითქმის დამშრალი ჩანჩქერების პირას“.

შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც თანამედროვეებმა, ახლობლებმა პაოლო იაშვილს მხოლოდ მისთვის უკანასკნელ 1937 წელს შეამჩნიეს, სინამდვილეში გაცილებით ადრე დაგუბდა პოეტის სულში.

იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა მის შეგნებაში იმ დროს, საკმარისია კოლაუ ნადირაძისადმი 1934 წელს მოსკოვიდან მოწერილი ლექსის წაკითხვა:

ქართულად ვთარგმნი პუშკინის ამბავს,
ახლა ჯერშია მისი „წიგნები“,
მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს:
„მარტო ხარ, მარტო მარტოც იქნები!“
ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას
და ვერ მშველიან მათი წიგნებიც,
ვწვები... თავამდე ვიხურავ საბანს,
მესმის: „მარტო ხარ, მარტო იქნები“.

„ფერად ბუშტებში“ პაოლო იაშვილი სხვათაშორის იგონებს ერთ ნაწყვეტს არსენას ლექსიდან:

წუხელი სიზმარი ვნახე,
ინით ვიღებავდი წვერსა...

როგორც ცნობილია, ეს სტრიქონები ასეთი სიტყვებით მთავრდება:

ძალით თუ არავინ მომკლა,
ნებით გამოვიჭრი ყელსა!

პაოლო იაშვილს არავისთვის არ მოუხვევია თავს ის ჯოჯოხეთი, რომელსაც ატარებდა სულის სიღრმეში.

მარტოობის ჟამს მას, ალბათ, ხშირად აგონდებოდა თავისივე ძველი ლექსი:

ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია
შენი დაკარგვა და დატოვება,
სოფლის ბავშვები აღარ მელიან,
არ მელის მუხა ათასრტოება...

პაოლო იაშვილი შთამომავალთა მეხსიერებაში დარჩება ქართული პოეზიის ნამდვილ რაინდად, თავისი წმინდა სახელით, მშვენიერი ლექსებით და ასევე ლამაზი, შეუბღალავი ბიოგრაფიით.

როგორც ამბობენ, პოეტის ღვაწლი, როგორც სიკეთე, სანთელ-საკმელივით გზაკვალს არ კარგავს. და ეს დიდი სინათლე მაინც მოვიდა ჩვენამდე, სამუდამოდ დაესაკუთრა ქართველი ადამიანის გულს...

პაოლო იაშვილის ლექსები იქცნენ ჩვენი ხალხის, დღევანდელი საქართველოს, თბილისის, მისი მიწისა და მზის განუყოფელ ნაწილად.

აღსრულდა პოეტის სურვილი და წინათგრძნობა:

მინდა ავვარდე მამადავითზე,
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ!
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე.

ჩემო ქალაქო! არ დამაკელი
შენ სიხარული მზისგან ფერილი,
თავზე გადგია, როგორც კანკელი,
ცა მოელვარე და აღერილი.

შენს ალაყაფთან მსურს დავალაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები,
მილიონ ხმებით სავსე ქალაქო,
დიდი სატახტო ხარ პოეტების!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაღო სულაბერიძე

პოეზია ჟურნალ „დროშას“ ფურცლებზე

(1963 — 64 წწ. ნომრები)

„დროშა“ ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალია. იგი მეთოთხმეტე წელია რაც გამოდის და დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ მკითხველებში. ეს მცირე მოცულობის ილუსტრირებული ჟურნალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, უხვად უთმობს ადგილს ქართულ ლიტერატურას. ყოველ ნომერში ვკითხულობთ მოთხრობებს, ნოველებს, პოემებს, ბალადებს, ლექსებს, მხატვრულ ნარკვევებს. ჟურნალს საკმაო წვლილი აქვს შეტანილი ომისშემდგომი დროის ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართული პოეზიის შესახებ.

ყველა ის საკითხი, რაც აწუხებს დღეს საერთოდ ქართულ პოეზიას, თავის გამოხატულებას ჰპოულობს ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზეც.

თითქმის ყველა თაობის პოეტების ნაწარმოებებს ვკითხულობთ ამ ნომრებში და ისინი თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს თემების შერჩევაში, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიებაში.

რა თქმა უნდა, ეს ნაწარმოებები თანაბრად მაღალ დონეზე არ დგანან. ჩვენი სახელოვანი პოეტების გვერდით, ჟურნალის ფურცლებზე ვკითხულობთ ახალგაზრდა პოეტებისა და ჯერ კიდევ უცნობი პოეტების ლექსებსაც. ეს მისასალმებელია. ახალი გვარის გამოჩენა ქართულ პოეზიაში საინტერესო უნდა იყოს. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. აი, მაგალითად, ჟურნალის ერთ ნომერში ვკითხულობთ შალვა გაგუნაშვილის ლექსს „მაისი“. ამ ლექსის ასეთი ფრაზები—ტკბილი ჩანგი, უღრუბლო ზეცა, თბილი დილა, დროშების ფრიალი, ლაჟვარდის კალთა, ჰქუხს საქართველო, დღეო ნათელო და სხვ. საკმაოდ გაცვეთილი ფრაზებია და როცა უცნობი ავტორი ამგვარი ნაცნობი ფრაზებით გვიხატავს მაისის დილას, ახალგაზრდა პოეტის ეს პირველი ნაბიჯი ჩვენთვის საინტერესო არ არის.

უნდა ითქვას რომ, ეს ლექსი დამახასიათებელი არ არის ჟურნალისათვის, მაგრამ ჩვენ ყურადღება მივაქციეთ მას ორი გარემოების გამო:

უცნობი ახალგაზრდა ავტორების ამგვარ პირველ ნაბიჯებს ხშირად ვხვდებით ხოლმე ზოგიერთ სხვა ლიტერატურულ ორგანოშიც. როგორც ჩანს, ეს ლექსი პირველი მაისის საზეიმო განწყობილებას უნდა გამოხატავდეს. ამგვარ, ე. წ. სათარიღო ლექსებს, ცხადია, აქვთ თავიანთი დანიშნულება, ოღონდ ისინი უნდა იდგნენ მხატვრულად მაღალ დონეზე, პოეტის ნამდვილი სულიერი მღელვარების შედეგი უნდა იყვნენ.

გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ პოეზიაში ფეხი შემოდგა ლექსით „პირველი მაისი“. გალაკტიონის მომდევნო პოეტურ შედევრებთან შედარებით „პირველი მაისი“ გაცილებით დაბალ დონეზე დგას, მაგრამ იმ პირველ ნაბიჯშიც მკითხველმა ახალი, ჯერ მისთვის უცნობი პოეტი დაინახა.

ჟურნალში ბევრ უკვე საკმაოდ ცნო-

ბილ ახალგაზრდა პოეტის ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იქცევს ვახტანგ ჯავახაძის ლექსი—„მიდიან სადღაც და მეძახიან“.

ვ. ჯავახაძის ლექსში ლაღად არის გამოხატული ადამიანის საერთოდ, და განსაკუთრებით მომავლის გზების ძიებაში მყოფი ახალგაზრდა კაცის სულიერი განწყობილება. რეფრენი „მიდიან სადღაც და მეძახიან“ მთავარი აკორდია, რომელიც ლექსის ძირითადი აზრის მდინარებას აძლიერებს. ხშირად განმეორებული სიტყვა „სადღაც“ არ გვესმის ისე, თითქოს პოეტისათვის გაურკვეველი იყოს, საით მიიჩქარის ცხოვრება. ლექსის ჯანსაღი განწყობილება გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ეს „სადღაც“ ზოგადი წარმოსახვაა იმ ადგილისა და დროისა, რომლებიც წინ არის, შეიძლება ძალიან შორს და ცხოვრება რომ იქეთ მიიჩქარის, მაშასადამე, იქ მზეა და სინათლე. ვ. ჯავახაძეს საერთოდ ახასიათებს ერთგვარი მანერულობა, ხანდახან გგონია, რომ ზოგი მისი ლექსი მწიგნობრულია, ვიდრე ცხოვრებისეული. ამ ლექსში ის თავისუფლად სუნთქავს, ზოგან გაურითმავი სტრიქონები ყრუდ არ რჩებიან შინაგანი რითმების ჟღერადობის წყალობით.

ტ. მებურიშვილის ლექსი ბავშვობას ეძღვნება. არ არის ქვეყანაზე პოეტი, რომელსაც ლექსით ხარკი არ გაეღოს ბავშვობის წინაშე. ახალგაზრდა პოეტი ჩვენს თვალწინ აცოცხლებს იმ ბავშვის განწყობილებას, რომელსაც აუხდენელი ოცნებისა და სურვილების გამო გამოწვეული ტკივილები აწუხებს. ომმა ბავშვური სურვილები წაართვა ლირიკულ გმირს. ომის მიერ გამოწვეული ტკივილები, რომლებიც ადამიანის სულში არ შუშდებიან, განუწყვეტლივ თავს გვახსენებენ და ამდენად საპროტესტოდ აღგვაგზნებენ ყოველგვარი რბევისა და სისხლის ღვრის წინააღმდეგ. ლექსს ახასიათებს გულწრფელობა და უშუალობა.

ჟურნალში დაბეჭდილია ტიციან ტაბიძის დაუმთავრებელი პოემიდან ერთი ნაწყვეტი. იგი საინტერესოა პოეტის მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით.

„დროშის“ ნომრებში რამდენიმე საყურადღებო ლექსით წარმოდგენილია კარლო კალაძე.

ლექსი „სოფლად“ მშვიდი, თხრობითი ინტონაციით დაწერილი ლექსია. წარმოუდგენელია სოფლად ყოფნის დროს ჩაიკეტო შინ, ოთახში, და დარჩე მარტო. სოფელს არ უყვარს შენობის კედლებით შემოზღუდვა. შინ რომ მარტო დარჩე, ქვეყნის ანუ სოფლის ხმა მოგწვდება, არ დაგაყენებს შინ. პოეტი ამბობს, რომ სიცოცხლით სავსე ქვეყნის ხმა.

> სარკმელშიაც კი შემოჰყვა რტოებს
> და ჩუმ-ჩუმი რხევით მადგას თავზე

ეს რტოები სოფლის მიერ, მიწის მიერ გამოწვდილი რტოებია და მიწის ძახილი შემოუტანია მარტოდ დარჩენილ პოეტთან. ამავე ლექსში ვკითხულობთ:

> განა მართლა ნაფლეთი ვარ ლანდის,—
> ნაბიჯს თვითონ გავეფინო ფერხთით.

ლანდი, ლანდის ნაფლეთი, მერე ვისიმე ნაბიჯის ქვეშ მოქცეული ეს ნაფლეთი შეიძლება უცებ ძნელი წარმოსადგენი იყოს, მაგრამ დაკვირვებულად თუ წავიკითხავთ, მკაფიოდ დავინახავთ ამ პოეტური სახის არსს.

სოფლის ხმამ გარეთ გამოიტაცა პოეტი. და გარეთ, მიწაზე ფეხდადგმული პოეტი ხმას იმაღლებს, ენა-მზიანობს და ვინმე წარბშეკრულიც რომ შეხვდეს, მისი „ოდნავ თვალ-ჩაკრულად თქმულიც“ შუბლს გაუშლის, გაახალისებს.

ერთგვარი დისონანსი შეაქვს ამ მშვენიერ ლექსში ასეთ ფრაზას:

> სოფელს ვაშა, სოფელს—შრომით
> გართულს,
> ჩემი შრომაც მინდა შრომას ჰგავდეს!

ერთ ფრაზაში სამჯერ ერთიდაიგივე სიტყვის განმეორება, „შრომით გართულს“, და „შრომას ჰგავდეს“ გამოთქმები არ შეეფერება ლექსის ამ გამოცდილი ოსტატის კალამს.

საინტერესოა მეორე ლექსი „პატარა ჩიტი“. ისე, როგორც ზღვა წვეთებისგან, დიდი სიხარული პატარ-პატარა სიხარულის წვეთებისაგან შედგება. პოეტს ერთ-ერთი ასეთი წვეთი სოფლის ბუნებაში პატარა ანცი ჩიტის სახით შეუნიშნავს. „მაცდურ წუთივით ცქვიტი“ ჩიტი ჩხავერის მტევანს ჩაფრენია და მწიფე მარცვალს მიტანებია. ის არ არის სვავი ან არწივი. ის სოფლის მშვიდობიანი ბუნების ერთ-ერთი წევრია და მას უფლება აქვს შემოდგომის ბარაქით დატკბეს. ჩაიჭიკჭიკებს, თითქოს მადლიანი ბუნების სადღეგრძელოს ამბობს. მწიფე მარცვალს ნისკარტს დაჰკრავს და

ნისკარტს ასწევს ყანწივით,
რომ ერთი წვეთი ღვინო დასცალოს.

ამ კარგი, კომპოზიციურად გამოკვეთილი ლექსის მიმართ ორიოდე შენიშვნა მინდა გავაკეთო: სტრიქონში „უკვე იქ არი, უკვე აქ არა“ მეორე შემთხვევაში სიტყვა „უკვე“ უადგილოდ მიმაჩნია; სტრიქონში „ყურძენი რაა, ყურძენს არ ვჩივი“. „არ ვჩივი“ უფრო რითმისთვის (არჩივი) მოტანილი სიტყვების შთაბეჭდილებას ტოვებს.

მესამე ლექსს „ჩემს ბაღში“ კვლავ სოფლის მომხიბლავ პეიზაჟში შევყავართ. პოეტს აქვს თავისი ბაღი, მწიფე ნაყოფით ტოტებდახრილი ხეხილის ბაღი. ამ ბაღს წარსულიც აქვს და ხვალინდელი მზიანი დღეც. „წუთები თრთოლვით ფოთლებშორის მიჰქრიან.“ იქვე ზღვაა და „ჩემსავით ისიც მხოლოდ ღელვამ გააჭაღარაო“, ამბობს პოეტი. ზღვის ტალღების ქაფი და პოეტის ჭაღარა პატარა ბაღის შემოდგომის ფერებში თეთრად ელვარებენ და თითქოს ავსებენ ბუნების მომხიბლავ ფერებს. „ბაღი პატარა კუნჭულია პატარა სოფლის“, მაგრამ ამ პატარა კუნჭულს ცხოვრების ტალღები ეხლებიან, მღელვარე ცხოვრება ჩქეფს მის გარშემო და ამიტომაც „აქაა ჩემი საკალმასოო“, ამბობს პოეტი.

პოეტმა ალეკო შენგელიამ, გარდა საკუთარი ლექსებისა, ჟურნალში გამოაქვეყნა ჩვენი მეგობრის, უკრაინელი პოეტის ოლექსა ნოვიცკის ლექსების მშვენივრად შესრულებული თარგმანი.

„დროშაში“ გამოქვეყნებულია ასევე შენგელიას ლექსი „ჩემი დაბადების დღე“. ეს ლექსი თითქოს სევდიანი სამადლობელია, დაბადების დღის ლხინზე წარმოთქმული სადღეგრძელოს შემდეგ:

ვარ საფეხური ფეხდაუდგმელი,
დაუსრულებელ სიცოცხლის გზაზე.
სიხარულიც ვარ, სევდაც უთქმელი,
შიშა ვარ, კაცურ განცდებით სავსე.

ასე იწყება ლექსი და ეს „სევდა უთქმელი“ არ არის მხოლოდ პოეტის პირადი სევდა, ეს უთქმელი სევდა ის დიდი სევდაა, რომელიც მის თაობას დაუტოვა ქარიშხლიანმა და სუსხიანმა დღეებმა:

მე წინა კაცთა მოვყევ ოცნებას,
რვაასიათას წელს რომ იმგზავრეს,
და, დათქმულს ჩემთვის, ჩემს ოცნოემბერს,
გზის გაგრძელება მათი მიბრძანეს.
მე იმ პირველი კაცის გზას ვკოცნი,—
რომ უკვდავი ვარ, და ვარ მრავალი,
რვაასიათას ნოემბრის ოცში
დაბადებულთა შთამომავალი.

„და ვარ მრავალიო“, ამბობს პოეტი და მან შეძლო განზოგადოებულად გამოეხატა იმ მრავალის, ე. ი. მისი თაობის ადამიანური მღელვარება. ადამიანისადმი მარადი სიყვარულია ამ ლექსის პათოსი. „ბევრმა ხორშაკმა და ცეცხლის წვიმამ დაწვა, დაბუგა მამების მკერდი“ და როცა პოეტი მოუწოდებს მომავალ თაობებს, სხვა რიცხვში და სხვა თვეში დაბადებულებს, მამების სისხლი გავალებთ „უფრთხილდეთ სახელს, უფრთხილდეთ სირცხვილსო“, ეს არ არის მშრალი პლაკატური მოწოდება, ეს პოეტისა და მისი თაობის შინაგანი მღელვარების ამოძახილია. „მე სიყვარულის დიდ ლაშქარს დავძრავო“, ამბობს პოეტი და ეს სიყვარულის დიდი ლაშქარი ჩააქრობს ყოველგვარ ხანძარს ახალდაბადებულთა აკვნების გადასარჩენად. ამ აკვნების სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს ლექსი და „ეს სიყვარული არ გათავდება“.

ალ. შენგელია ლირიკული ხმის პოეტია. ამ ლექსშიც ლირიკულ ხმას ოდნავი პათეტური ტონი უფრო დინამიკურს ხდის. ლექსში შეიძლება არ გვანცვიფრებდეს ბრჭყვიალა რითმები, მაგრამ მისი შინაგანი მღელვარება იმდენად სათუთი და მოძრავია, რომ პათოსი და ჰარმონია ამ ლექსში თანაბრად გვხიბლავს.

თავისებური ინტონაციითა და ჟღერადობით საინტერესოა ალ. შენგელიას მეორე ლექსი „რიწა". რიწა, როგორც თემა, ახალი არ არის ქართულ პოეზიაში. ბევრი პოეტი აუმღერებია ამ მომხიბლავი ტბის მშვენიერებას. შემთხვევით არ მიუძღვნია პოეტს ეს ლექსი გალაკტიონისადმი:

ჰაი, და ცხრა მთაა,
ცხრა-ცხრა სართულია.
ქვემოთ, ცას ჩაჰყურებ,
თან ცა გახურია.
აქ ბევრი ფერია.
დუმილიც ბევრია,
ღიმილიც ბევრია,
აქ ყველაფერია.

კარგ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს ლექსი „მწყემსური სალაღობო". პოეტი ლექსის დაწყებამდე გვაფრთხილებს სათაურის ქვეშ წარწერით „ხალხურ მოტივზე". შემდეგ ვკითხულობთ ლექსს, რომელსაც ვერ გაარჩევ მთის ხალხური ლექსების ხელწერისაგან:

ჩაველ, ჩავეერი, ჩაველი
ეგ სატიალო მდინარე,
ვაჟას წყაროი დავლი
და... თავი მოვიმძინარე.
ფიქრის კალოო, ქალაო,
გამოჩნდი, ნუ დამკალიო,
ჭაბუკის შუქი ხარაო,—
შენებრი უნდა ქალიო.

ხალხური მოტივების სტილიზაციას გაუტაცნია ალ. შენგელია. ამ ლექსში დაკარგულია ალ. შენგელიას თავისებური პოეტური „მე". ლიტერატურაში ხალხური მოტივების შემოტანა არ ნიშნავს გარეგნულად ხალხური ლექსის გადმოტანას. ვაჟა მეტ წილად ხალხურ მოტივებზე დაფუძნებული პოეტია, მაგრამ მან უაღრესად ორიგინალური, თავისი ხელწერა გამოიმუშავა. ხალხური მოტივები მხოლოდ შთაგონების წყაროა ვაჟასათვის.

შალვა ამისულაშვილმა ამ უკანასკნელ ხანს მთელი წიგნი დაწერა თეთრი ლექსებისა.

შ. ამისულაშვილი ბგერების ჟღერადობაზე აშენებს ხოლმე ლექსს. შეიძლება ხშირ შემთხვევაში თავისი ლექსიკური მარაგიდან ლექსში გაწყობილი სიტყვები ალიტერაციული ჟღერადობის ზუსტი თანრიგით არ ხმიანობენ, მაგრამ თანხმოვან ბგერათა ჟღერა ყოველთვის გვესმის მისი ლექსიდან.

და გვესმის თითქოს ზანზალაკების,
ზანზალაკების ხმა შორეული,
ვით მყინვარებში
ცივი წკარუნი
დაცურებული წრიაპებისა.

სიტყვების ამგვარი განლაგებით ის თეთრ, ურითმო ლექსშიც კი ახერხებს მუსიკალობის შექმნას.

საინტერესო ლექსია „თეთრი ბაბთები". ომგადახდილი პოეტი ჯარისკაცული ფარაჯითა და ჩექმებით შეხვდა ახალი სიცოცხლის, მისი გოგონას, გაჩენას ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ჰყვაოდა ყინვა ფანჯრის მინებზე".

შენ ხომ სიცოცხლე იყავი ჩემი,
ქარიშხლის შემდეგ დაბადებული.
ღირდა, მარხილის ზარს და ზანზალაკს
გაგიქეცამდე ეფერა შენზე.

ნალდარტყმულ ჩექმებიან და ომის ქარცეცხლში გარუჯულ ფარაჯიან მამას დარაჯი არ უშვებს სამშობიარო სახლში ბავშვის შინ წასაყვანად. როცა ახალი სიცოცხლის გაჩენით აღტაცებული ჯარისკაცი დარაჯს გაექცა, პარკეტის ჭრიალი ატყდა.

ფრთხილად იარე, რკინის ქუსლებით
ნუ გაგვიოხრე დერეფანიო...

ეუბნება ღამის ფორიგე იმას, ვინც ომის საშინელ, არაადამიანურ ქარიშხლებში სიცოცხლე გამოატარა და ახლა გამარჯვებული თავისი სიცოცხლის გაგრძელებას ეგებება აღფრთოვანებული. ის თითქმის ერთი წელია დაბრუნდა, მაგრამ იმდენად გააუხეშა ომმა, რომ ამ მშვიდობიანი სამშობიარო სახლის სი-

ფაქიზისათვის ჯერ კიდევ შეუფერებელია. ღამის მორიგის (იგი მშვენიერი სიმბოლური სახეა საერთოდ ბავშვთა სიცოცხლის მოდარაჯისა) გაალმასებაში „ნუ გაგვიოხრე დერეფანიო“ ამოფარებულია ქვეტექსტი, გამოწვეული ჯერ კიდევ ომის ასოციაციით. ომი და ჯარისკაცი ხომ ერთმანეთის სიმბოლოებია. მაგრამ რაკი გაირკვა, რომ ეს ჯარისკაცი ახლა უკვე მშვიდობის ჯარისკაცია, ღამის მორიგე დაცხრა, დატკბა. ომის დამთავრების შემდეგ პირველ დღეებში ადამიანთა ფსიქოლოგიის შესანიშნავი მომენტია აქ დაჭერილი.

ახალი სიცოცხლე ჭირნახული მკლავებით მკერდზე მიიკრა ჯარისკაცმა, გვერდით მომყოლი დედა „საკუთარი სუნთქვით ჰფანტავდა ყინვას“ და

ლამპიონების ჩახჩახა შუქზე
სარკეებივით ჩანდნენ ქუჩები,
და სარკეებში, იმ სარკეებში
თეთრ ბაბთებიანს გხედავდი უკვე.

შ. ამისულაშვილს თავისებური სიტყვათა მარაგი გააჩნია, ამიტომ შეუფერებლად მიგვაჩნია, როცა ზოგჯერ ამგვარი სტრიქონები გვხდება მის ლექსებში: „ამბობენ, თითქოს მე კი არ მეთქვას?“ აქ სამი ერთმარცვლიანი სიტყვის ერთად თავმოყრა და ფრაზის უფრო დაბალი, პროზაული ინტონაციით განწყობა შ. ამისულაშვილის ჩვეულებრივ დაძაბული სტროქონების გვერდით უფერული ჩანს.

ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული მას შემდეგ, რაც ადამიანი, პირველად შეეხო კოსმოსის კარიბჭეს, მაგრამ ჩვენს ფსიქიკას უკვე ორგანულად გაუჯდა ეს განცდა. ჩვენი დროის აჩქარებული რიტმის ვითარებაში რა რიგ საოცარიც არ უნდა იყოს ესა თუ ის მოვლენა, ეს რიტმი გვაიძულებს უცბად აღვიქვათ იგი. თეიმურაზ ჯანგულაშვილის „კოსმოსური პოემა“ არ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ის მხოლოდ პატრიოტული აღტაცებით გამოწვეული იყოს. ჩვენს ცხოვრებაში ამ უზარმაზარი მოვლენის განცდა პოეტის ბიოგრაფიის ნაწილი გამხდარა და ამის გამომჟღავნება მოუნდომებია მას.

პოეტს ცის ლაჟვარდი კოსმონავტი გოგონას მანდილად წარმოუდგენია, და ეს მანდილივით გაშლილი ლაჟვარდი, ფეხისწვერებზე შემდგარი დედამიწა ლექსის მრავალფეროვანი ქსოვილის მთავარი ძაფებია.

კოსმონავტები კვლავ დედამიწაზე არიან და „მიწის კოსმოდრომებს ელანდებათ მთვარეზე მოწყობილი კოსმოდრომი“.

პოეტმა მურმან ლებანიძემ ამ უკანასკნელ წლებში დაწერა თითქმის მთელი წიგნი ლექსებისა სვანეთის შესახებ. ეს ლექსები თემატურად ახალია მ. ლებანიძის შემოქმედებაში. ამ ციკლის ლექსებს შორის ერთი საუკეთესოთაგანია „კვიცი“. ისე, როგორც ამ ციკლის ყველა ლექსში, ამ ლექსშიც პოეტმა კოლორიტული საღებავები იპოვა სვანეთის მკაცრი ბუნების, სტუმართმოყვარე და რაინდული ბუნების სვანების პორტრეტების დასახატავად.

ზვავმა უცხო მწყემსების ცხენთა რემა ფლატეებში ჩაიტანა. შეკრთნენ სვანები. გადარჩენილი რემა მწყემსებმა გაირეკეს, მაგრამ უშგულელები ბინოკლით ფლატეებს ჩასცქერიან გადაჩენილი ცხენების აღმოსაჩენად. უცებ ფლატეებში ბეშქენ ბეშვანის ბიჭმა უმწეო კვიცი შენიშნა.

ჩააკვდა ბინოკლს ბეშვანის ბიჭი:
კლდეს გადარჩენილ, ბექში წაფლული,
ფეთქავდა თოვლში შავ-თეთრი კვიცი,
როგორც მიმინო, ცერზე დაბმული...
მზეს შესწიოდა და მზის ამოსვლას,
შთენილი—შორის ცისა და მიწის.
და ჭიხვინებდა რაღაც საოცარს
და ტირილს ჰგავდა ჭიხვინი კვიცის...

კვიცი გადარჩა. წამოიზარდა, ბეშვანის ბიჭი ამხედრდა ზედ და ამიერიდან ისინი განუყრელი მეგობრები არიან. კვიცი სვანი ბიჭის სულიერი ლტოლვის სიმბოლოა. მისი განშორება ბეშვანის ბიჭის სულიერ დაძაბუნებას უდრის. და აი, გამოჩნდა კვიცის პატრონიც და

არავითარმა მუდარამ არ გასჭრა, წაიყვანა კვიცი.

და ღამეებს თეთრად ათევს ფრთებშეკვეცილი ბეშვანის ბიჭი. მაგრამ კვიცი გამოექცა უცხო მწყემსს, რადგან ის სულია სვანი ბიჭისა და ვერავითარი ძალა ვერ განაშორებს სვანი ბიჭისაგან მის რაინდულ სულს. კვიცი კვლავ დაუბრუნდა ბიჭს და კვლავ ფრთები შეისხა ბეშვანის ბიჭმა.

„დროშის“ ამ წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ოთარ ჭელიძის ლექსები „დილის საგალობელი“, „ჩრდილის ბალადა“ „პირველყოფილი ხილვა“ და „მეტამორფოზა“ გვიმეღავნებენ იმას, რომ თვით ტრადიციული რვა მარცვლოვანი შაირის სტრიქონებშიც შეიძლება პოეტმა შეადგინოს სიტყვათა ისეთი კომპლექსი, რომ ტრადიციული შაირის ინტონაციისა და რიტმისაგან სრულიად განსხვავებული იყოს. ოთ. ჭელიძეს, რომელსაც საერთოდ შაირი თავისებურად აქვს მომარჯვებული, ამ შემთხვევაში სრულიად ახალი ინტონაციისათვის მიუგნია.

ავიღოთ მაგალითად ლექსი „ჩრდილის ბალადა“. სტრიქონის თავსა და ბოლოში ორმარცვლიანი და მათ შორის ოთხმარცვლიანი სიტყვების კომპლექსმა ჩვეულებრივი რვამარცვლიანი შაირი სულ სხვა ინტონაციის გახადა. თუ კარგად არ დააკვირდი, ვერც იგრძნობ, რომ ეს ტრადიციული რვამარცვლიანი შაირია. ალბათ, ასეთივე შესაძლებლობა იმალება ყველა სხვა ზომის ლექსებშიც. შეიძლება თითო ამგვარი სტრიქონი მისდა უნებურად სხვა რომელიმე პოეტის ლექსშიც გამოჩენილიყო, მაგრამ ოთ. ჭელიძემ ამგვარ სტრიქონს ორგანიზებული სახე მისცა და მივიღეთ სულ სხვა ინტონაციისა და რიტმის ლექსი.

ლექსი „ჩრდილის ბალადა“ ჩანაფიქრისა და პოეტური საღებავების მხრივაც თავისებური და საინტერესოა. თუმცა რითმები „ქუჩას-ჩუმად“, „დაე-ღამე“ ვერ ტოვებენ კარგი რითმების შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს ვერ ჩრდილავს ამ ლექსის საერთო ღირსებას. ფერწერულად წარმოდგენილი მშვენიერი პოეტური სახეები (უკანონო შვილივით გაჩენილი ხის ჩრდილი, უჯრაში ჩრდილივით ჩადებული წუხანდელი ლექსი და სხვა) ნათლად გვიმხელენ პოეტის ჩანაფიქრს.

არანაკლებ საყურადღებოა მეორე ლექსი „დილის საგალობელი“.

პოეტი არაა გატაცებული დილის მომხიბლავი პეიზაჟების ხატვით. დილა, როგორც ძველი მეგობარი ისეა პოეტისათვის, ხან თვითონ მიდის მასთან, ხან ის შეივლის პოეტთან. დილა ძმაკაცივით თან ახლავს პოეტს.

> დილა მკითხველია მკაცრი,
> ღამის ნაცოდვილებს მიშლის,
> შაირს დამიმარცვლავს, გაცრის,
> მსგავსად ოქრონარევ ქვიშის.

ასეთია პოეტის წარმოსახვით დილა და ამ გაადამიანურებულ დილას ლექსში თითქოს ფიზიკური, ბიოლოგიური სახეც მიუღია, რომელსაც აქვს სხეული, მარჯვენა, თვალი და სული.

ერთი შენიშვნა მხოლოდ: ამ ლექსში სიტყვა „ხოში“ ზედმეტი ხორკლივით მოჩანს. იგი არ უხდება ლექსის ლექსიკურ ქსოვილს.

ჟურნალში გასული წლიდან დღემდე გამოქვეყნებულია აგრეთვე მრავალი ცნობილი და ახალგაზრდა პოეტის ცალკეული ლექსები.

მისასალმებელია, რომ, ჩვენი ლიტერატურული ჟურნალების გვერდით, ჟურნალი „დროშაც“ ფართოდ უთმობს თავის ფურცლებზე ადგილს ქართულ პოეზიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხუხაშვილი

პოლიკარპე კაკაბაძის სამი პიესა

წელში ოდნავ მოხრილი ჩია ტანის კაცი, ჭაღარა თმითა და ირიბად დაქანებულ წარბებ ქვეშ ჩამალული თვალებით, ძნელად ვინმემ პირველი გაცნობისთანავე სახელმოხვეჭილ კომედიოგრაფად მიიჩნიოს. თვალთა უპეებიდან წამოსული ორი ღრმა ნაოჭი და ოდნავ გრძელი კეხიანი ცხვირი თითქოს ამ ადამიანის მუდმივ შინაგან უკმაყოფილებას გამოხატავენ, მის სახეს მოწყენილობის ელფერს ანიჭებენ. ერთი შეხედვით იგი ცხოვრებაზე გულაყრილი ჰიპოქონდრიკი გეგონებათ. ნაცნობ-მეგობრების წრეშიც იშვიათად იცინის ხოლმე, მაგრამ საკმარისია ვინმეს საუბარში აჰყვეს, რომ მისი სახე უცებ იცვლება. გარდასახვის ექსტაზში შედის და ფერმკრთალ სახის ნაოჭებში ჩაძირული თვალები შინაგანი სინათლით უჩვეულოდ უბრწყინდება. გულახდილი საუბრის დროს შეგნებულად ერიდება მწიგნობრულობის ეფექტებს, უფრო ინტუიციას ემყარება, იშვიათად იტყვის რამე შაბლონურს, არ უყვარს ნაცნობი აზრების განმეორება. მხოლოდ ასეთ წუთებში რწმუნდები, რომ ეს ოდნავ კუშტი გამომეტყველების ადამიანი დაულეველი სიცილის წყაროა.

პოლიკარპე კაკაბაძე იმ ბედნიერ შემოქმედთაგანია, რომელთა სახელთან დაკავშირებულია ხოლმე მწერლობაში ეპოქალური საწყისები. იგი თავისი ნაწარმოებებით ქართულ საბჭოთა თეატრს დედაბოძად უდგას და დაღლილ მხრებით დღემდე ეზიდება ამ მშვენიერსა და უმძიმეს ტვირთს. ეს გზა თითქმის ნახევარ საუკუნეს იტევს, აღსავსეა სახალხო აღიარების გრძნობითა და მწერლობაში თუ თეატრის მაყურებლებში ბუნებრივად აღმოცენებულ ღრმა სიყვარულით. მას ერთნაირად პატივს სცემენ მწერალთა წრეშიც და რეჟისორთა თუ აქტიორთა შორის. უფრო მეტიც: კარგად იცნობენ სხვა პროფესიის ადამიანებიც, რომელთაც წიგნში წაუკითხავთ ან სცენაზე უნახავთ მისი გმირები. პ. კაკაბაძის სიტყვის ძალამ მუდამ უეცარ სიცილად აფეთქება იცოდა ხოლმე, მაგრამ ეს არ იყო საპნის ბუშტივით ხანმოკლე და ზედაპირული რამ. პ. კაკაბაძე მუდამ სიბრძნით დატვირთული სიცილის შემოქმედად რჩება და ქართულ სიტყვის პირველყოფილ უბრალოებაში მკაფიო ჰუმანისტური ფილოსოფიის შემტანი ხელოვანია.

ამბობენ, პ. კაკაბაძის დიდი ნიჭი პირველად კოტე მარჯანიშვილმა შენიშნაო. ასე თუ ისე, დიდმა თეატრალმა პირველად შესძლო გაბედულად დაყრდნობოდა „ყვარყვარეს“ ავტორს, თავის ერთერთ მოულოდნელ ექსპერიმენტად ახალ ქართულ თეატრში მისი ნაკლებ ცნობილი პიესა მიეტანა. ეს მართლაც აღმოჩენა იყო. რთული ძიებისა და გარდაქმნების ატმოსფეროში უბადლო ოსტატობამ ქართული სიტყვისა ღირსეული დამფასებელი ჰპოვა. პ. კაკაბაძის შემოქმედებით ცხოვრებას სამუდამოდ შეეზარდა უკვდავი უშანგი ჩხეიძის ბედნიერი ტალანტიც. ამ საოცარი აქტიორის შექმნილ სახეთა შორის მწვერვალებად დარჩა „ჰამლეტი“ და „ყვარყვარე“.

არიან მწერლები, რომელთა ცხოვრებაში თითქმის არ არის გავლენებისა და მწიგნობრობის ხანა. ისინი ამ „საუმაწვილო სენის“ გარეშე მივლენ ხოლმე

თავიანთი ქმნილებების მანამდე ხელშეუხებელ საგანძურთან და გაბედულად შესძახებენ: „სეზამ გაიღე!“ მართალია, 1918 წელს დაწერილ სამ ნაწილიან ლირიულ დრამაში „სამი ასული“ მორის მეტერლინკის მისტიური დრამების, კერძოდ, „სიკვდილის შემოჭრის“ შორეული გამოძახილი ისმის, მაგრამ აქაც თითქოს განყენებული სახეები ქართული ზღაპრების ქარგაზეა მისადაგებული. შეიძლება პირდაპირ ითქვას: დრამატულ მწერლობაში მან პირველმა მიაგნო საქართველოში ფოლკლორის აურაცხელ სიმდიდრეს. ამ გზაზე დრამატურგთა შორის ადრეც ბევრს გაუვლია, მაგრამ ამ „შეუმჩნეველი“ სიმდიდრის ხელბედნიერი გამოყენება პ. კაკაბაძეს მიაკუთვნა ბედმა.

კ. მარჯანიშვილისთანა გამჭრიახ რეჟისორს შეეძლო უცებ მიეკვლია „ყვარ-ყვარეს“ ავტორისათვის, იმ ვითარებაში, როცა ქართული თეატრის დიდი რეფორმაცია იწყებოდა. ეპოქალური ძვრები არ ხდება ტალანტების გარეშე. იწყებოდა ძველის გაბედული ნგრევა და ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ სცენიურ ამბოხებაში ახალი ლიტერატურული გრიგალებიც იყო მოსალოდნელი. ამნაირ ატმოსფეროში ახალი ლიტერატურა და ახალი თეატრი ორგანიულად ანაყოფიერებდა ერთმანეთს და ძნელია თქმა, რომელს ეკუთვნოდა პრიორიტეტი. ოცდაათიანი წლების კულტურული რევოლუცია ლოგიკურად მოითხოვდა პოზიტიურისა და ნეგატიურის თანაბრად მძაფრ მომარჯვებას ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. მართალია, მთავარი ამ შემთხვევაში დამკვიდრების პათოსი იყო. უფრო მეტიც: რევოლუციის კვამლში გახვეული ისტორია მოვლენათა გმირულ-რომანტიულ ასახვას ესწრაფვოდა და თითქოს მცირე ადგილი რჩებოდა სატირისა თუ კომედიისათვის. კომედიოგრაფის დაბადებას მუდამ წინ უძღოდა ხოლმე სოციალური თუ ზნეობრივი გადაგვარების რთული პროცესი .ასე შეიქმნა ისტორიულად ბოკაჩიოს „დეკამერონი“ თუ რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, სერვანტესის „დონ კიხოტი“. მოლიერის კომედიები; საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისულმა ატმოსფერომ წარმოშვა რუსეთში გოგოლის სატირა და ჩეხოვის სევდიანი ირონია.

საქართველოს ისტორია, დრამატიულ მოვლენებით აღსავსე, თითქოს ადგილს არ ტოვებდა სიცილის ხელოვნებისათვის და უმთავრესად გმირულს, ამაღლებულს ესწრაფვოდა. და გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“, თუ სულხან-საბას ბრძნული იგავების ირონია ან ორიოდე სხვა ბედნიერი გამონაკლისი თითქოს ანაქრონიზმია მუდამ შეჭირვებულ, მებრძოლი ერის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებაში და ლიტერატურულ ყოფაში. ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნე პირველი მესიტყვე გამოდგა და პირველი ქართველი დრამატურგი და რეალიზმის ფუძემდებელი გ. ერისთავი კომედიოგრაფის ენაზე ამეტყველდა. მართალია, ამ კომედიებს ბოლომდე ეროვნული ელფერი აკლდა და ხშირად მოლიერის გენიით იყო დავალებული, მაინც მკვიდრდებოდა ახალი ტრადიცია, ტრადიცია უარყოფისა, სინამდვილის კრიტიკული ათვისებისა, რაც გულისხმობდა სიმახინჯის გაკიცხვასა და მახვილ სიტყვას, სიცილს სოციალურ ფუნქციას ანიჭებდა.

შემოქმედი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის სინიდისი იყო, „მოყვარეს პირში უძრახეო“, ამბობდა და ამ ხალხურ სიბრძნეს პრინციპის მნიშვნელობას ანიჭებდა. ილიას მახვილმა თვალმა შენიშნა იმდროინდელ საქართველოში სასაცილომდე მისული პაუპერიზმი და „კაცია ადამიანის“?! ავტორმა არ დაიშურა გროტესკული საღებავები და მწარე ირონია სიმახინჯის გამოსამზეურებლად მიუხედავად სკეპტიკოსთა ამნაირი არგუმენტისა: მთელი საქართველო მოვიარე და ლუარსაბი ვერსად ვნახეო, ილიას

გენიამ შესძლო ლუარსაბობის განზოგადოება და ამით დაამკვიდრა უარყოფის კეთილისმყოფელი აზრი, მისი პროგრესული დანიშნულება. რა თქმა უნდა ამ ტრადიციებმა ბევრად განსაზღვრეს პ. კაკაბაძის კომედიების როლი და საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი ფუნქციები ჩვენს სინამდვილეში. ეს ტრადიციები არასოდეს გულისხმობდა ადამიანის მიმართ კაცთმოძულეობის გამომხატველ ცინიზმსა და სკეპტიკოსობას, პირიქით: ტრადიციული ირონია ყოველთვის გულისხმობდა, „რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზეც მწარეა“. მხოლოდ კეთილგონიერებას შეეძლო დაენახა გოგოლის საფლავზე წარწერილ ეპიტაფიის აზრი: „ცრემლნარევი სიცილი“ და ეგრძნო ილია ჭავჭავაძის ბრძნული ირონიის დიდი ქვეტექსტი: „რომ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

მიუხედავად ყველაფერი ამისა, ქართულ მწერლობას, კერძოდ დრამატურგიას დღემდე მოჰყვა ჟანრობრივი ცალმხრივობა. ამ კუთხითაც პ. კაკაბაძის კომედიები ლიტერატურულ დისპროპორციას გარკვევით არღვევს და მომავლის სახელით ცხოვრების მანკიერ მხარეთა უარყოფას ესთეტიურ თუ სოციალურ ფუნქციას ანიჭებს. ტრაგედია და კომედია იშვიათად გათიშულა საუკუნეების მანძილზე. ანტიკური თეატრის კედლებიდან წამოსული არისტოფანეს კომედიების სიცილი განუწყვეტლივ ისმოდა საუკუნეებში და „ჰომერული ხარხარის“ ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც დიდი ტანჯვისაგან მოგვრილ განწმენდის ცრემლებს. სწორად გაგებული უარყოფა იგივეა რაც მტკიცება. ამ პრინციპებიდან ამოიზარდა პ. კაკაბაძის კომედიებიც, თუმცა აქედანვე უნდა ითქვას, რომ ამ პრინციპის ერთგვარი სახეცვლაც შეიმჩნევა.

ნამდვილი მწერალი არავის არ იმეორებს. მაგრამ თუ მაინც გვინდა ჩვენს მწერლობაში მოვნახოთ პ. კაკაბაძის წინამორბედი, უპირველეს ყოვლისა დ. კლდიაშვილი უნდა გავიხსენოთ. იუმორის ღრმად ნაციონალური თავისებურებებით და კომედიურის გაგებით პ. კაკაბაძე საგრძნობლად ეყრდნობა დ. კლდიაშვილის მოთხრობებსა და პიესებს. პ. კაკაბაძეს თავისი დიდი წინაპარივით ახასიათებს იუმორის გამოყენებასა და კომედიური სიტუაციების შექმნაში მკაფიო შემოქმედებითი მთლიანობა. ეს არ ნიშნავს თემების, განწყობილებების ან პრობლემატიკის მსგავსებას. აქ უკვე ეპოქათა მკაფიო განსხვავებაა. ამ საზღვრებს თვითონ ისტორია ადგენს. კომედიური ხედვა და იუმორით დატვირთული მახვილგონიერება პ. კაკაბაძის ამოსავალი პირობაა. დ. კლდიაშვილის კლასიკური მემკვიდრეობა მას აძლევს უტყუარ გამოცდილებას პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანოს თავის ნაწერებში „კომედიური საწყისი“ და მხიარულ სიცილში ეპოქის დიდ ამბებზე ესაუბროს თანამედროვე მკითხველს.

პ. კაკაბაძე პირველ პიესებითვე დადგა ჩვენი კულტურული ყოფის ავანსცენაზე და თქვა მართალი სიტყვა. მისი დრამატურგიული ტალანტი უცებ მიიღო ხალხმა, რადგან იგი ხალხურ საწყისებზე იყო აღმოცენებული და რაიმე ეკლექტიზმით არ იყო დაღდასმული. ამაშიც იგი დ. კლდიაშვილის ტრადიციებს ემყარებოდა. კომიკურ სიტუაციაში ჩავარდნილი მისი გმირები სადღაც ებრალებოდა, იქნებ უყვარდა კიდეც. აქაც დიდი წინაპრის მოულოდნელი გამოთქმა ახსოვდა: „მე არასოდეს არავისათვის დამიცინიაო“ რომ ამბობდა. მისთვის კომედია ურთულეს ჟანრად რჩებოდა, რაიმე შეღავათს არასოდეს მოითხოვდა. საერთოდ დრამაზე გამოთქმული აზრი, როგორც უმაღლეს პოეზიაზე. მისთვისაც ძალაში რჩებოდა და აზრიანი სიცილის ხელოვნება შემოქმედებით სირთულეს ოდნავადაც არ გამორიცხავდა. მის თვალწინ გაიარა დიდი რევოლუციის, სამოქალაქო ომის წლებმა, საქართველოში მენშევიკების სამწლიანი ბატონობის ხანამ და სამარცხვინო ფინალმა. ბოლოს მან ნახა ახალი ცხოვრების დასაბამიც და დიდი გარდაქმნების ფონზე გაშიშვლებულად დაინახა

წარსულ წლების მრავალი სიმახინჯე, მახვილი თვალით ამჩნევდა მედროვე ადამიანებს, წვრილფეხა კარიერისტებს, უფლებისმოყვარულებს, ეგოისტებს, ლაჩრებს გმირის ნიღაბში. მან იცოდა, რომ ძველი დროების ბედოვლათობა მემკვიდრეობით მრავალ მანკიერებას დატოვებდა. ახალ ცხოვრებას ატორღიალებოდნენ სასაცილო და თან საშიში ადამიანები. ისინი შორს, ისტორიის სიღრმეში ჩნდებოდნენ ნაცარქექიებად, ქოსტაფუილებად, ცრუ ბრძენებად, უქნარებად და შენიღბულ არამზადებად. ზღაპრების, თქმულების, იგავების სფეროში ცოცხლდებოდნენ, ეპოქიდან ეპოქაში გადმოდიოდნენ და ხშირად მხოლოდ გარეგნობას იცვლიდნენ. ხალხის გენია მათ მუდამ უწყობდა სამსჯავროს. ზოგჯერ მკაცრად, ზოგჯერ ირონიით ასამართლებდა. ეს სახეცვლილი ტარტიუფები, გოროდნიჩები, ბელიკოვები მეტად გამძლე მიკრობებივით იყვნენ, ზოგჯერ მოჩვენებითად ქრებოდნენ და მერე ხელახლა მრავლდებოდნენ. „მისტერია ბუფის“, „ბაღლინჯოს“, და „აბანოს“ ავტორმა რევოლუციის ატმოსფეროშიც შენიშნა ისინი და „დროის მანქანაში“ მათთვის ადგილი არსად დატოვა. პ. კაკაბაძის თვალთახედვაში იმთავითვე მოექცნენ ეს სასაცილო, მაგრამ საშიში ადამიანები. მათი კარიკატურული ხატვა მწერალს არ იზიდავდა. თუნდაც გროტესკულად წარმოდგენილ მხატვრულ სახეს იგი გარკვეულ ფილოსოფიურ დატვირთვას აძლევდა და სოციალურად ანზოგადოებდა. კომედიური მისთვის ტრაგიკულის ტოლფასი იყო მუდამ. ამ პრინციპებით მივიდა პ. კაკაბაძე „ყვარყვარე თუთაბერის“ შექმნამდე.

მესამედი საუკუნე გაძლო „ყვარყვარემ“ ქართულ სცენაზე. უშუალოდ ეროვნულ ფესვებიდან ამოზრდილი სახე ყვარყვარესი ისევე ხალხს დაუბრუნდა და „ყვარყვარეობა“ სასაუბრო ლექსიკონში დამკვიდრდა. ჩვენ შევეჩვიეთ ყველაფერ ამას და ახლა ნაკლებ გაოცებულნი ვახდენთ მწერლის გმირის გახალხურების ამგვარი ფაქტის ფიქსირებას. ისე კი ყველაფერი ერთად ბოლოდ ძლიერი მწერლის ხვედრია და ნაწარმოების გამძლეობის უტყუარი დადასტურება.

„ყვარყვარე“ ხალხურ „ნაცარქექიადან“ დაიბადა. შვილი მხოლოდ გარეგნულად დაემსგავსა მშობელს. პ. კაკაბაძეს თავისი გარკვეული ფილოსოფია ჰქონდა შემუშავებული ცხოვრებაზე, კერძოდ იმდროინდელ პროცესებზე, რომლის შუაგულში ზოგჯერ შემთხვევით გაიძვერა პიროვნება ამოტივტივდება ხოლმე. მისუსტებული, გამოფიტული საზოგადოებრივი ყოფა ზოგჯერ ფართო ასპარეზს უთმობს ფსკერზე მირჩენილ ობივატელს. იგი კერიიდან უცებ მთავრობის კაცის სკამზე გადაინაცვლებს და შეუფერებელ ადგილზე აღმოჩნდება; ეს შეუფერებელი ადგილი აშიშვლებს მის სულს, სიცილს იწვევს და თვით მოვლენის აზრს, ხასიათს ღრმად ამეღავნებს. ამგვარად გააზრებული ყვარყვარე არ არის ფოლკლორული სახის იმიტაცია. უფრო მეტიც: პ. კაკაბაძეს არ აინტერესებს ამ ხასიათის თუ ტიპის ზღაპრული ვარიანტი, მისი მოხერხებისა და გონებამახვილობის გაიდეალება და ბოროტებასთან შეპირისპირება.

ყვარყვარეს ხასიათში იგი მხოლოდ ნაცარქექიას ცალკეულ კონტურებს იღებს და ეს სახე სრულიად სხვა სოციალური ვითარების ცენტრში გადაჰყავს. ამით იგი თავის გმირს ნაწილობრივ აცილებს იმ შარავანდს, რომელიც მას ხალხურ „ნაცარქექიაში“ გააჩნია. სიზარმაცისა და უქნარობისაგან, მშიშრობისა და სულმოკლეობისაგან მხოლოდ ბოროტება წარმოდგება. ამიტომ სასაცილო და საწყალი ყვარყვარე ჩვენს თვალწინ გაიზრდება სოციალურ სიმახინჯედ და იოლად მოპოვებულ დიდების დასაცავად მას გარკვეული აქტიური იმპულსებიც უჩნდება. კიდევ უფრო შორს მიდის მწერალი ხალხური სიუჟეტის დამუშავებაში. აქ იგი სტრუქტურულად მძაფრ კომედიურ სიტუაციას ქმნის. ჯერ

იყო და ყვარყვარე განთქმულ რევოლუციონერად მიიღეს, ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. მერე უცებ დამარცხებული მთავრობის კაცები მას ძალაუფლებას ჩააბარებენ და სახრჩობელას თოკი უცებ იქცევა მთავარსარდლის მახვილად. მოვლენათა ასეთ შემობრუნებაში არის შინაგანი ლოგიკა და „მოულოდნელობათა დრამატურგიის“ შექმნის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. აქ დაახლოებით იგივე სიუჟეტური სვლაა, რაც, თუნდაც გოგოლის უკვდავ „რევიზორში“. ეს ფორმა თუ სიუჟეტური სტრუქტურა ცნობილია იმ „ოცდა ცამეტ“ კლასიკურ სიუჟეტში, რომელიც დასაბამიდან დღემდე არსებობს ლიტერატურაში. უფრო გვიან კომიკურ სიტუაციათა შექმნის ეს ხერხი გამოიყენა გენიალურმა ჩაპლინმა „დიქტატორში“. ჰიტლერის მსგავსება მისი ორეულივით საბრალო ებრაელ პარიკმახერთან უკვე იძლევა ზღვა მასალას ჩაპლინის სატირულ განზოგადოებისათვის.

„დიდი მოიჯარადრე შევიქმნები, დიდისაგან დიდი. კი ნახავ, ქრთამს სულ ქერიკით დავაბნევ დიდკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება, რომ გავივლი და არ შეგხედავ“. ამბობს ყვარყვარე დასაწყისშივე. ესაა მისი ცხოვრების პროგრამა. ნაცრის ქექვაში გართული, გაზარმაცებული კაცი მხოლოდ ენის ფხანით ელლლიავება თავის „იდეალს“. მართალია იგი მხოლოდ ოცნებობს იოლ დიდებაზე, არ აქტიურობს, არ მოქმედებს. ყვარყვარე პასიურია. ესაა მისი ხასიათის საწყისი. მაგრამ ამ ინერტულ კაცში თვლემს უზარმაზარი შინაგანი ენერგია. იგი ჯერ სხვის დანთებულ ცეცხლზე ხელის მოთბობას ეჩვევა. ასეთია მეწისქვილესთან შეფარებული ყვარყვარე. მერე დრო გავა და ეს ვირეშმაკა კაცი რევოლუციის დიდებულ ცეცხლზე შეეცდება ხელის მოთბობას. ყვარყვარე „ფილოსოფოსია“. „ფილოსოფოსია“ როსტომიც („დავით მერვე“), ხარიტონიც („კოლმეურნის ქორწინება“), ლიპარიტიც („დავით მერვე“) და აფრასიონი („ციცინათელა“). ისინი ყოველთვის უტრიალებენ ადამიანის ბედსა და უბედობას. უადათ გაიგონ, როგორ ბრუნავს „ცხოვრების ჯარა“, ცალ-ცალად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ, მოსწრებული ენა აქვთ, ხალხური აფორიზმების და ანდაზების ვირტუოზები არიან. პ. კაკაბაძე სხვა გმირებსაც უთმობს ენამახვილობის სარბიელს და სრულიადაც არ ეშინია ხასიათთა ერთნაირობისა. მას არც ის აფიქრებს, მეფე და მასხარა როცა ერთნაირად ფილოსოფობს ხოლმე, რასაც ტოლსტოი დიდ ცოდვად უთვლიდა შექსპირს. პ. კაკაბაძეს დაუშურებლად შეაქვს თავისი გმირების მეტყველებაში პოზიტიური თუ ნეგატიური აზრები, არგუმენტები, გამოთქმები. იგი თავშეკავებულია წერის დროს, იშვიათად აყვება ამბის ინერციას, ამიტომაც დიალოგი სავსეა ქვეტექსტით, სიმძაფრით, ელასტიურობით.

ყვარყვარეს თავიდანვე გარკვეული ობივატელური პოზიცია უჭირავს. „რა ვუყოთ, კაცი ხან ავარდები, ხან დავარდები... და... ბოლოს... ეჰ, ადამიანის ბოლო უბედურია, სიკვდილი რომ გამახსენდება, სულ ჭინჭარივით გამბურძგლავს ტანში. ერთი ეს მითხარი, რაა კაცის სიცოცხლე?“ ხედავთ? ყვარყვარე ყოფნა არ ყოფნის ფილოსოფიასაც. უტრიალებს ჰამლეტივით. „არაფერი არაა, ჭირის დღეზეა კაცი გაჩენილი“. პასუხობს დაბეჩავებული მეწისქვილე ყვარყვარეს. აქ უკვე თუთაბერის „ფილოსოფია“ უეცრად ქრისტიანულ ჰუმანიზმისაკენ შემობრუნდება და ადამიანთა შორის ჰარმონიული ურთიერთობის ქადაგებად ჟღერს: „ჰოდა, აბა, სიამტკბილად მოვუქციოთ ერთმანეთს ღრანჭი. მეტი რაა ქართველი კაცის სიცოცხლე“. რა თქმა უნდა, თავისსავე გამოგონილ ჰუმანიზმს ყვარყვარე იქვე აქარწყლებს, შეშის-მოტანის თაობაზე წაეჩხუბება მეწისქვილეს. როგორც კი იგი თავისზე სუსტს მოიხელთებს, მოჩვენებითი ვაჟკაცი ხდება: „ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე, ძველებური ვაჟკაცის სახელი მქვია“. უკვე

ყვარყვარე უპრინციპოა აზროვნებაში. იგი ვაჟკაცია უძლურთან, მხდალია მასზე ცოტა ძლიერთან. საკმარისია მეწისქვილემ თავისი ქალიშვილი ახსენოს და ყვარყვარე უკან იხევს, ეშინია, მლიქვნელობაზე გადადის. მერე ისევ გაამაყდება უგერგილო კაკუტასა და ქუჩარას წინაშე. და უკვე ამ რამდენიმე შტრიხით დახატულია ხასიათი სუსტი, მშიშარა, მლიქვნელი ადამიანისა. მერე ხდება ამ თვისებათა უფრო ღრმად აქცენტირება.

ყვარყვარე პატივმოყვარეა. სიამოვნებს, როცა კაკუტა და ქუჩარა აქებენ. იგი უცებ მიიღებს ყოვლისშემძლე ვაჟკაცის, დიქტატორის, რაინდის პოზას. მისი ვაჟკაცობაც ისეთივეა, როგორიც ნაცარზე ჯოხისწვერით დაწერილი გეგმა.

ყვარყვარე თავისებური დიპლომატია. მან იცის როგორ მოსინჯოს ნიადაგი, როგორ დაიმალოს, სად გამოჩნდეს, ვის უყვიროს და ვის დაუყვავოს. მართალია მისი დიპლომატია გამჭვირვალეა, მარტივი და გულუბრყვილო. ყვარყვარე ამას ვერ გრძნობს. თავის დამოკიდებულებას ადამიანებთან ასე აყალიბებს: „ცხოვრების წესი მე ასე გამიგია, კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყევა, მოთხარე; მაგრამ თუ მაგრადაა, გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქელოს“. ამ პრინციპს თითქმის მუდამ იცავს. აქედან მოდის ტონისა და განწყობილების შეცვლის უამრავი შესაძლებლობა. ამგვარი „დოქტრინებიდან“ გამომდინარე მოქმედება ქმნის დრამატურგიაში უჩინარ ექსპრესიას. ერთი შეხედვით ყვარყვარეს ფილოსოფია თითქოს ხალხური ძირებიდან უნდა მოდიოდეს. დაწყებული ბიბლიიდან გათავებული საკუთარი აზრებით იგი თითქოს დაუფლებულა ცხოვრების საიდუმლოებას და მისი დაწერილ თუ დაუწერელი კანონების ზედმიწევნით ცოდნასაც ჩემულობს.

პ. კაკაბაძე მართლაც უხვად ამდიდრებს თავისი გმირების ლექსიკას და არც მრუდედ გაგებულ აფორიზმებს, ანდაზებსა და გამოთქმებს იშურებს მათთვის. ყვარყვარეს არ ეკარგება ბრუნინის შინაგანი სიმართლე და კეთილშობილება, თუმცა მასავით ერწმუნება ადამიანური ცხოვრების მიწიერ გამოცდილებას. სხვათა ნაპოვნი სიბრძნე მას სჭირდება საკუთარი სულმოკლეობის, სიმხდალისა და უმაქნისობის გასამართლებლად. ამიტომ იგი სასაცილოა, თუმცა დასაწყისში ერთგვარ სიბრალულსაც ბადებს. სასაცილოდ გამოიყურება მასზე ძლიერთან. კაკუტასა და ქუჩარასთან—მშიშრებთან მოჩვენებით ქედმაღლობას იჩენს. აქ ყვარყვარე ესესხება ზღაპრული დევგმირების გამოთქმებს, კერიასთან გაგონილი თქმულებების პერსონაჟთა ფონზე დონ კიხოტური უსუსურობა და უღონობა ნათელი ხდება. „ფეხებში, რომ მოგკიდებთ ხელს, თავებით მიგაწყვეტთ იმ წისქვილის ქვაზე“, იმუქრება ეს ყიამყრალი კაცუნა და ზოგჯერ თვითონაც სჯერა თავისივე ტყუილის. მისი საყვარელი გამოთქმაა: „ჭკუით ყვარყვარე“! ცხოვრებაში სასიკეთოს ვერაფერს ხედავს, ყველას ეჭვის თვალით უცქერის, იგი თავისებური სკეპტიკოსია და მედროვეობა ადამიანის გონიერების დიდებულ აქტად მიაჩნია.

ამორალობა ყვარყვარეს მორალია. ოღონდ იგი თითქოს უხეშად არ მოჩანს და პირველ ხანებში უწყინარადაც კი ეჩვენება მკითხველს. „ეს ვერ გამიგია ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება. სირცხვილს რომ სჭამს კაცი, თუ ვარგხარ, მაშინ თავი მაღლა უნდა ასწიო“. ამნაირი უტიფრობა ყვარყვარესათვის ძლიერების დამადასტურებელია, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას მოკლებული ეს დეკლასირებული პიროვნება პროტესტის გრძნობას მოკლებულია და შექმნილ ვითარებაში შეგუების არაჩვეულებრივ ნიჭს ამჟღავნებს. მან იცის, რომ „მეორედ არ დაიბადება“. ისიც კარგად იცის, რომ „ფეხის ერთი დაკვრით ბურთი ლელოზე არავის გაუტანია“. ისეთ დროებას ელოდება, როცა მის სურვილებს

შესაფერისი ამინდი დაუდგება. მოკალათებულა ცხოვრების ფსკერზე ეს საკვირველი არსება და უცდის როდის გაიშლება მზამზარეული სუფრა.

პოლიტიკა? უყვარს პოლიტიკაზე ყბედობა, მაგრამ მეტად „დილეტანტურად“ ესმის სოციალური მოვლენების არსი. იგი თავისებურად ჰედონისტი და უტილიტარისტია. დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. ის წყობილება მოსწონს რაც მის სურვილებს მოერგება. მომავლის რწმენა პოლიტიკური ილუზია გონია. ბრძოლაში შესვლას მაყურებლის მდგომარეობა ურჩევნია, რადგან მისი აზრით სხვისი ხელით ნარის გლეჯა უდიდესი სიბრძნეა. ასეთი ფილოსოფიის კაცისათვის შესაფერი ჟამი დგება. ძირგამომპალი მენშევიკური მთავრობა ამ საცოდავ კაცუნაში უცებ დაინახავს სახელგანთქმულ რევოლუციონერს, გმირად შერაცხავს მას და მორჩილებას აღუთქვამს. აი სიტუაცია, რომელსაც დაშვენდება ყვარყვარე! აქ საბოლოოდ ეშვება რომანტიკული ფარდა. პოლიტიკური მანიაკების სახე სატირიკოსის დაუზოგავი ირონიით შიშვლდება და სიმახინჯე აჩენს თავის დაუფარავ კომიკურობას. თითქოს სახრჩობელისათვის განწირული ჩვენი გმირი შედის მოულოდნელი დიდების ატმოსფეროში და... ხდება საოცარი მეტამორფოზა. ნაცარქექია მთავარსარდალი ხდება. არმია? ესაა არმია პოლიტიკური მარიონეტების, რომელთაც თავგზა დაჰკარგეს რევოლუციის შიშით და ყვარყვარესთანა ბუზი სპილოდ ეჩვენებათ.

ასე შეიკრა კომედიური მდგომარეობა. გუშინდელი ნაძირალა ქვეყნის მბრძანებელი გახდა. სიმხდალემ ვაჟკაცობის სამოსელი ჩაიცვა, ნაცრისსაქექი ჯოხი ხმლით შეიცვალა და მედროვე კაცმა ნაპოვნი დიდება შეიფერა. ცხოვრებისაგან გარიყული გლახაკის ყოფა შეიცვალა მთავრობისა და სამხედრო შტაბის კაბინეტებით. წისქვილიდან სასახლეში შევედით და რა დავინახეთ? მუნდირები, ფრაკები, ბრჭყვიალა სიტყვები ვერ ფარავს უპრინციპობას, სიმხდალეს, ორპირობას, შინაგან ნაცარიელეს. შტაბის მწერალი ადიუტანტს ვერ ენდობა, ადიუტანტს პოლკოვნიკი უყურებს ეჭვით, პოლკოვნიკს—გენერალი და ასე შემდეგ. იერარქიის კიბე აღსავსეა ინტრიგით, ურწმუნოებით, პანიკით. ასეთია დახავსებული ძველი სამყარო, რომელსაც არყევს რევოლუციის ტალღები. აქაც უეცარი შემობრუნება სიტუაციის და ადამიანთა საოცარი შეცვლაა. გამომძიებელი დემოკრატობას ჩემულობს, ადიუტანტი ეპოლეტებს იგლეჯს და გენერალი მზად არის შეაფურთხოს სურათს მეფისას, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ თაყვანს სცემდა. და ისევ შიში, სიმხდალე, კარიერიზმი და თავის გადარჩენის ცხოველური ინსტინქტი კვლავ გვიჩვენებს თავის სასაცილო და მახინჯ სახეს. რევოლუციას ეტმასნება ადამიანი, რომელსაც ნაცარის ქექვისა და ყბედობის მეტი არაფერი უკეთებია ამ ქვეყნად.

მესამე მოქმედებაში მწერლის სატირული მანერა კიდევ უფრო საგრძნობი ხდება. რწმუნებულის და ტიტე ნატუტარის კამათი ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის მესვეურის კაბინეტში დაუნდობლად ამხელს მოსოციალისტო ნაკაცარების ბუნებას. სახელმწიფოს სათავეში ზის ადამიანი, რომელსაც ამნაირი პოლიტიკური კრედო გააჩნია: „შენა გგონია ქვეყანას თავსა ვწირავ? არა. როდესაც წარღვნა მოდის და სოროები წყლით ივსება, ჭკვიანი ვირთხა მაშინ მაღალ მწვერვალებს ეძებს“.

აქ გადაჭარბების ესთეტიკური ფენომენი გროტესკი სწორად არის მომარჯვებული. პ. კაკაბაძე არ ერიდება უტრირებას, კომიკურ შტრიხებს. ეს არის გადაგვარებული პოლიტიკანების უსაფუძვლო ფუსფუსის საოცრად კომედიური სახე, რომელსაც გამარჯვებული ავტორის მხიარული თვალი დაუზოგავად ანადგურებს ხმამაღალი სიცილით.

თავს იჩენს ზღაპრული ნაცარქექიას კიდევ ერთი თვისება — ტრაბახი. ძა-

ლაგამოლეული მინისტრები და გენერლები თითქოს ის ბრიყვი დევები არიან, რომლებსაც ასე აბიაბრუებდა ყვარყვარეს ფოლკლორული წინაპარი.

„ქვეყანამ იცის, ბატონო, ჩემი ვაჟკაცობა, რამდენჯერ სახრჩობელას გადავურჩი. რევოლუციამ სწორედ ყელზე მომხსნა თოკი, მარა უარესში კი ჩამაბა. ჯერ ფრონტზე იმდენ ჯარს პატრონობა გავუწიე. რევოლუცია და ჩემი თავი გავაცანი. მერე იქიდან აქამდე ვატარე გზაზე — უგზურზე და ხალხი უკლებლად მოვიყვანე. ეს ყველაფერი ერთმა კაცმა ვქენი“... მოხერხებულ კაცუნაში იღვიძებს პატივმოყვარეობის ჭია ,თავის თავის კულტი. ტუტე ნატუტარის მლიქვნელური სიტყვით აღტაცებული და უბადლო მწიგნობროობით მოხიბლული ყვარყვარე ამაყად იტყვის: „მშვენიერი სიტყვაა, ასე მგონია მე ვლაპარაკობ“. ტუტე ნატუტარის „ფილოსოფიურ დასკვნებსა“ და „ნათელმხილველი ინტელიგენტის“ პოლიტიკურ დოქტრინებში „ხელში მოთრგუნულ ქვეყნის“ სამოთხედ გადაქცევასა და „იდეალისტურ სამეფოზე“, სადაც სიკვდილით დასჯას მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოიღებენ“, დანაგვიანებულ უტოპიის ელფერი დაჰკრავს. „მიწიერი ცხოვრების გაზეციურების“ ცრუ იდეალებით შენიღბულ პოლიტიკურ მანიაკთა სახეები აქ დომიეს კარიკატურების მამხილებლურ სიმძაფრეს ინარჩუნებენ და შეუკავებელ სიცილს წარმოშობენ.

ამდენ „დავიდარაბა“ გავლილ ყვარყვარეს შეუძლია ერთხანს იბოგინოს ბოლშევიკებს შორისაც, სანამ რევოლუციური წესრიგი დამყარდებოდეს და ბრძოლების მღვრიე ნაკადები დაიწმინდებოდეს. აგერ, ყვარყვარე რევკომის თავმჯდომარის მოადგილეა. ახლა იგი „ძალის პოლიტიკის“ მომხრეა და ბოლშევიზმის სახელით უთვალავ უმსგავსოებას ჩადის. აქ მწერალი თვით დადებითი ძალის წიაღში პოულობს ჩრდილებს. რევოლუციის პირველ დღეებს თან მოჰყვა გაუგებრობის შეცდომები. აქაც იპოვება ნიადაგი ყვარყვარესათვის და ახალი [illegible] ახალი სახელით იგი დაუზოგავ სისასტიკეს უნდის ხარკს. ახლა მისი პირიდან ისმის ყალბად გაგებული „რევოლუციური ფრაზები“: „შენ, ჰეი, მაგას თავი გაუხეთქე და მაშინ შეუშვებს შიგ ახალ ცხოვრების აზრს“. „ხალხი თავის მტერია. თუ არ მოწყესე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს. ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა“. ასე იღვიძებს ნაცარქექიაში შენიღბული ტირანი, რომელიც უკვე აღარ ფარავს სურვილს — დიდი ლოდისგან მისი ძეგლი გამოსთალონ. ბოლოს და ბოლოს იგი თავის ერთგულ კაკუტასა და ქუჩარასაც არ ინდობს, საპატიმროს უდანაშაულო ხალხით გამოტენის, მაგრამ დგება განკითხვის ჟამი. იხსნება კვანძები. იმსხვრევა ყალბი დიდების ძეგლი, ჩამოგლეჯილია ნიღაბი. სიმართლე იცინის ხმამაღლა და განადგურებული ნაცარქექია სინანულით ამბობს: „ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება“.

თითქოს ძნელი იყო ეპოქალურ მოვლენებზე სიცილით თვალის გასწორება. პ. კაკაბაძის დიდმა ტალანტმა გაუძლო ამ სიმართლეს. ყვარყვარეობა ტარტიუფობის და ქამელეონობის გვერდით დადგა, თავისი მახინჯი სახე გამოაჩინა. პ. კაკაბაძისათვის არ არსებობს მხოლოდ ცენტრალური გმირი. ყოველი პერსონაჟი მეორე თუ მესამე პლანისა შტრიხების საოცარი სიზუსტის წყალობით არ იკარგება მხედველობის არედან. მას არ უყვარს ზედმეტი სიტყვა, ზედმეტი პერსონაჟი, ზედმეტი რემარკა. არც სიუჟეტური ეფექტი იტაცებს. მოთმინებით, შეუმჩნეველად ასრულებს ექსპოზიციას, ქმნის პირველი გაუგებრობის დაძაბულობას და ამ წუთიდან შეუნელებლად იზრდება ინტერესი, სანამ ყველაფერი გაირკვეოდეს და დახლართული კვანძები გაიხსნებოდეს. ძნელია „ყვარყვარეში“, „და-

ვით მერვეში", ან „კოლმეურნის ქორწინებაში" რაიმე ფორმისეული ექსპერიმენტი შენიშნოთ. იგი შეგნებულად ტრადიციულია სიუჟეტის აგების დროს. მისი კომედიების უდიდესი სიახლე უპირველეს ყოვლისა შინაარსის და შთანაფიქრის სიახლეა. იგი არც ვინმეს ეპიგონია, არც მიმბაძველი. და მაინც ნოვატორულია თავისი აზრებით, გაუცვეთავი სიტყვით, დიალოგითა და ტიპებით. პ. კაკაბაძეს არ უყვარს ექსპერიმენტები. მისთვის დამახასიათებელი არის ისეთი დრამატურგიული ეფექტები, შეგნებული დისჰარმონია, როგორიც იტაცებს ბერტოლდ ბრეხტს — ეპიური დრამის შემოქმედს. და მაინც პ. კაკაბაძე ეპიურია თავისი იდეებით, იგი ენდობა სიტყვის ბუნებას, მის უბერებლობას. სიტყვის ფერადოვნებას, ფრაზის ძარღვიანობას ეყრდნობა, ამ გზით ქმნის უბადლო ეროვნულ კოლორიტს, უაღრესად ბუნებრივ ინტონაციას.

პ. კაკაბაძე თავის საუკეთესო კომედიებში არ რჩება მხოლოდ უარყოფითი ძალების კომედიური წარმოსახვის ჩარჩოებში. მისი ტიპებისა და ხასიათების გარშემო მხოლოდ ნაგულისხმევი როდია დადებითი სოციალური ძალა. ეს მომენტი არ არის მხოლოდ ფინალისათვის შემონახული და ტრადიციული „ჰეპიენდის" გამოვლინება. დადებითი სახეები ჩართულია მის კომედიურ სიუჟეტებში და ისინი უბრალო რეზონიორები ან მოვლენათა კომენტატორები როდი არიან. სევასტი და გულთამზე „ყვარყვარეში", გულქანა „დავით მერვეში", ციცინათელა ამავე სახელწოდების პიესაში მოქცეულნი არიან მთავარ სიტუაციათა ცენტრში და ავტორის სიმპათიით შემოსილნი ახალი ცხოვრების დამკვიდრების მესიტყვეებად გვევლინებიან. ჩვენი ავტორი თითქოს ანგარიშს უწევს ოდესღაც გოგოლის მიმართ „რევიზორის" გამო გამოთქმულ საყვედურს დადებითი გმირის უგულვებელყოფის გამო. ამ შემთხვევაში პ. კაკაბაძე მხოლოდ სიცილის დადებითი ფუნქციით არ კმაყოფილდება და თავისი ტიპების გალერეაში პოზიტიურად დანახული ადამიანებიც გაბედულად შეჰყავს. ერთნი რეზონიორობას სწამებენ ამ გმირებს, მეორენი — სქემატურობას, მესამენი — ჟანრობრივ აღრევაზეც კი ლაპარაკობენ. ასეა თუ ისე, პ. კაკაბაძის დადებითი პერსონაჟები ცხადყოფენ ავტორის სოციალურ პოზიციებს და ახალი ცხოვრების იმედიან რწმენას მკაფიოდ გამოხატავენ. „ყვარყვარეში" მართლაც მცირე სამოქმედო ასპარეზი აქვთ თავგამოდებულ რევოლუციონერებს, მაგრამ კომედიური კვანძების შეკვრა და გახსნა მაინც მათ უწევთ. ამით იქმნება მკაფიო ჩარჩო, რომელიც მთელი ნახატის ორგანული ნაწილი ხდება. „დავით მერვეში" დადებითის ფუნქცია კიდევ უფრო ფართოვდება, გულქანა კომედიის ცენტრში ექცევა და პატრიოტული იდეალის სიმბოლურ სახემდე მაღლდება. „კოლმეურნის ქორწინებაში" დადებითი ელემენტი უკვე არც ჩარჩოა და არც შემავალი ნაწილი. საერთო კომედიურ ატმოსფეროში ხარიტონის, მანუჩარის, ვატას, ლომკაცასა და სხვათა გვერდით უკვე კანონზომიერად ჩნდებიან არა მარტო ჯამლეთის მართლაც ცოტა სქემატურად მოხაზული სახე, არამედ გვირისტინეს, ირინეს, მირიანის და სხვათა ხასიათები. ეს უბრალო პროპორციის ფაქტი როდია. პ. კაკაბაძე უკვე გამარჯვებული ადამიანების ხალისიან ყოფას გვიჩვენებს და ძველი ცხოვრების მანკიერებას ამ ახალ გარემოში შემთხვევითის, წარმავალის, მომაკვდავის ადგილს უთმობს ხოლმე. დადებითისა და უარყოფითის ამნაირი შერწყმა ეკლექტიზმის შთაბეჭდილებას არ იწვევს. მთელ ნაწარმოებს მიყვება ხალისიანი იუმორი, მაჟორული ინტონაცია, ჯანსაღი სიცილი. ეს სიცილი ანადგურებს პატივმოყვარეობას, კარიერიზმს, და პირიქით, ნათელს ჰფენს მშრომელ ადამიანების ხალისიან ყოფას.

„კოლმეურნის ქორწინება" ყოფილ

აზნაურის თავის ნამოჯამაგირალთან სტუმრობით იწყება. პირველსავე აქტში ვხედავთ ჯერ კიდევ იხტიბარ გაუტეხელ, მაგრამ უკვე დრომოჭმულ მანუჩარს, რომელსაც ჯაგლაგი ცხენი გზაზე მოუკვდა და უნაგირმოკიდებული მიადგა ხახულის კარმიდამოს. ეს უკვე იწვევს „შემოდგომის აზნაურების“ ასოციაციებს. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო მძაფრდება, როცა მანუჩარი თავისი ვაჟის დაქორწინებაზე ჩამოაგდებს სიტყვას და ნამოჯამაგირალს მდიდარ საცოლესთან სამაჭანკლოდ შეაგულიანებს. აქ თითქოს ჩნდება ხელმოცარული აზნაურების დაგვიანებული თემა, დარისპანების, მორბელაძეების, სამანიშვილების შორეული გასაჭირი ახალ ცხოვრებაშიც არ სცილდება ნააზნაურალს. მაგრამ ეს უეცარი მსგავსება მოულოდნელად იცვლება. სხვის ქონებას დახარბებული ნააზნაურალი იქამდე მიდის, რომ ნამოჯამაგირალს ქალიშვილს თხოვს რძლად. და რა ხდება? ახალ ცხოვრებაში წელგამართული გლეხი უარს ეუბნება დამოყვრებაზე ნაბატონარს. დრომ შეცვალა კლასობრივი მდგომარეობანი.

„ხახული: ვითომ ეს საქმე მოხერხდება?

მანუჩარი: რატომ არა?

ხახული: გვირისტინე ცოლად გაყვება?

მანუჩარი: მაშ არ გაყვება? სულელი ხომ არ არი?

ხახული: სულელს მეც ვეძახდი, მაგრამ ხომ დაინახე?

მანუჩარი: მერე, შენ ხომ მამა ხარ? მე ჩემს ვაჟს ბზრიალასავით ვატრიალებ.

ხახული: არა, ჩემი ქალიშვილი მძიმე გადასაბრუნებელია.

მანუჩარი: ეს რას ლაპარაკობს! შენ ხომ გულით გწადია?

ხახული: მე?

მანუჩარი: დიახ, შენ.

ხახული: რა ვქნა, გაჟეჟილს გატეხილი სჯობია.

მანუჩარი: ჰოდა, გატეხილად მითხარი.

ხახული: მიზეზია.

მანუჩარი: რა მიზეზია?

ხახული: ეს გვირისტინეა, ის კი ჯიბილოა.

მანუჩარი: ეს ასეა, აბა ორივე გვირისტინე ხომ არ იქნება?

ხახული: მერე, რა მოხდა, ხომ უყურებ.

მანუჩარი: ჰო, რა მოხდა.

ხახული: ქალმა ცას ხელი გაუწოდა.

მანუჩარი: მაშ, შენი დასაწუნებელი ვყოფილვარ“.

კიდევ ბევრ ამისთანას ეუბნებიან ერთმანეთს და ბოლოს გაგულისებული ხახული მწარედ მიახლის მანუჩარს: „ვითომ დროს ემსახურები, მე კი ნამდვილად ამ დროს ვემსახურები როცა უარს გეუბნები“.

მანუჩარი ამყღავნებს თავის ზრახვებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარიტონი სარძლოს ძიებას შეუპყრია, მაგრამ მისი განზრახვანი შენიღბულია. ამ ორი კაცის სურვილები ერთმანეთს ჰგავს, თუმცა გარეგნულად სრულიად სხვადასხვაგვარად გამოიყურებიან. ხარიტონიც იმის ფიქრშია, როგორმე ორდენოსანმა გვირისტინემ მის კოლმეურნეობაში „კაბა გააფრიალოს“ და მეტოქეებს ამით თვალები დაუყენოს. ვინ არის ეს კაცი? საიდან მოვიდა იგი? იქნებ ყვარყვარეს შორეული ნათესავია ახალ ვითარებაში სახეცვლის საოცარი უნარით აღმოცენებული? პ. კაკაბაძის ყველაზე ძლიერ ნაწარმოებებში „ყვარყვარესა“, „დავით მერვესა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ ცენტრალურ პერსონაჟებში საგრძნობია ამნაირი ნათესავობა. უფრო მეტიც: ზოგჯერ ეს სახეები ყვარყვარეს ვარიაციებს გვანან. მაინც პ. კაკაბაძის ტალანტს ძალა შესწევს არ გაიმეოროს თავისი თავი და თავის პერსონაჟებს სოციალური ბუნება მოუნახოს. ხარიტონიც განასახიერებს შენიღბულ კარიერიზმსა და პომპეზურობის სასაცილო, რამდენადმე მავნე თვისებებს. იგი უფროსების დასანახავად ქმნის კოლმეურნეობაში

ყალბ დეკორაციას, ცრუ იდილიას, რათა ეს დღევანდელი სოფელი მის ხელმძღვანელობას მიეწეროს, სახელი მოიხვეჭოს. ამნაირი გზებით სახელის მოხვეჭა, „წინ წასვლა“, ხელმძღვანელობის თვალში გამოჩენა ჩვენი საზოგადოების დიდი სიმართლისთვის ზიანის მომტანია და მისი განქიქება უპირველეს ყოვლისა პროგრესულ მნიშვნელობის მქონეა. ხარიტონს ჰგონია ეს ცხოვრება „კამათლის მღერაა“, ზოგისათვის ხვითოა, ზოგისათვის ძაღლის ძვალი. ამ საბედისწერო თამაშში მიზნის მისაღწევად იგი ყოველგვარ საშუალებას გამართლებულად მიიჩნევს. აქ გამოსადეგია ტრაბახიც, მლიქვნელობის გამოჩენაც, უფროსებთან პირფერობაც, მოჩვენებითი ომახიანობა და არანაკლებ მოჩვენებითი თავის მოკატუნება.

აქაც ძალდაუტანებლად იქმნება „გაუგებრობის დრამატურგია“. ხარიტონი შეცდომაში შედის, გვირისტინეს ჯიბილოს საცოლედ მიიჩნევს და ამ ათვალისწუნებულ ტლუ ბიჭს, მანუჩარის შთამომავალს საოცრად დაუტკბება, ზედ გადაყვება, რათა სტახანოველი გახადოს. ამ გაუგებრობიდან წარმოდგება ხარიტონის ურთიერთობათა კონტრასტული შეცვლა. ეს ამყღავნებს ამ ცრუ აქტივისტის ხასიათს და „ნიჩაბზე დადების“ ფინალს უმზადებს მას. გენიალურად თამაშობდა ხარიტონს ტრაგიკულად დაღუპული გიორგი შავგულიძე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. იშვიათი სიზუსტით დამუშავებული პორტრეტი ამ ტიპისა გამოჩენისთანავე მამხილებელ სიცილს იწვევდა და მერე წარმოდგენის ბოლომდე იდგა თეატრში ჰომერული ხარხარი. ეს როლი ამ მსახიობის ჭეშმარიტ გვირგვინად დარჩა. აქაც პ. კაკაბაძის შემოქმედების დიდი ძალოვანება ჩანს, რადგან დიდებულად განსახიერებული როლები მუდამ დიდებული ლიტერატურული საფუძვლიდან თუ აღმოცენდებიან ხოლმე.

„კოლმეურნის ქორწინებაში“ ნათელი, ხალისიანი ფერების სიჭარბე იგრძნობა და ამ ნაწარმოების საერთო ხალისიანი განწყობილება ეხალე დროის ცხოველი ოპტიმიზმით [illegible] დებული. ხარიტონის კარიერიზმი, მანუჩარის მედროვეობა, ვატას თუ ლომკაცას ან კაკალას სასაცილო სიზარმაცე თუ ჭორიკანობა ვერ ჩრდილავს შრომის ადამიანთა იმედიან ცხოვრებას.

ამ კომედიაში ყველაფერი ადამიანთა სიყვარულის გარშემოა დატრიალებული და ლირიკა კარგად გრძნობს თავს იუმორის გვერდით. კომედიის ერთი პერსონაჟი ამბობს: „აბა, რა ვიცი, ჯერ მე თეატრში არ მინახავს ისეთი სიყვარული, ათასი აბრუნდი არ ჰქნას. მე მეგონა იქ სიყვარულის ამბებს ბერავდნენ. მაგრამ ახლა, აგერ ჩვენი გვირისტინეს და სხვა ამხანაგების ამბავს რომ ვუყურე ამ ნამდვილ ცხოვრებაში ჩვენს გვერდით იდგნენ ეს საწყლები და ერთმანეთის სიყვარულით გულში რა კვაწია უდუღდათ“.

პ. კაკაბაძის ესთეტიკური პრინციპი სწორედ „ნამდვილი ცხოვრების“ სრული შთაბეჭდილების შექმნაა. მისი თვალთახედვით თეატრის სცენა უნდა დაუახლოვდეს ცოცხალ ცხოვრებას, მაგრამ ამ პროცესს არ უნდა ჰქონდეს ნატურალისტური კოპირების სახე. იგი არ არის პირობითი ხერხებით გატაცებული მხატვარი, ყოველ მომენტში ცხოვრების გამოცდილებით იკვებება მისი ფანტაზია. პ. კაკაბაძის პიესებში იშვიათად შეხვდებით სიზმრების, წარმოსახული ილუზიების, მოგონებებში გადასვლისა თუ ოცნების სცენებს. მის წინაშე სინამდვილე მუდამ ქმედითი სახით დგას და მწერალიც პირისპირ შეჰყურებს, აკვირდება მას.

„კოლმეურნის ქორწინებაშიც“ უხვად არის გაბნეული კოლორიტული, ნაყოფიერი ქართული სიტყვა, ფრაზა, ფრთიანი თქმა. ენამოსწრებულობა აქაც ადამიანთა თანდაყოლილი თვისება არის. იმერეთის ხალისიანი იუმორი, ფოლკლორის დაულეველი საუნჯე თითქმის ყველა გმირშია განაწილებული მათი ხასიათისა და ფუნქციის მიხედვით. ამი-

ტომ არა მხოლოდ კომედიურ სიტუაციას, საკვანძო დრამატულ მომენტებს, არამედ თითქმის ყოველ მონაკვეთს თან ახლავს ჯანსაღი სიცილი. აქ ხშირია სიტყვით პაექრობა, თუ კალამბურული შეტრიალება. ყველაფერი ამის მომხიბლაობა მის ბუნებრივობაშია. ამიტომაც მოჩანს თავის კომედიებში პ. კაკაბაძე დიალოგის ოსტატად.

პ. კაკაბაძე ძირითადად თანამედროვეობის მხატვარია და მისი გულისყური არსებითად ჩვენი დროებისადმია მიპყრობილი. „დავით მერვეში" იგი კომედიოგრაფის თვალით გაჰყურებს ისტორიას და საუკუნეთა მიღმაც მოვლენათა სიმართლის აღდგენას ესწრაფვის. ამ ნაწარმოებს უცნაური ბედი ხვდა და რატომღაც ჩვენს სცენაზე ვერ პოვა შესაფერისი ხორცშესხმა. ეს იქნებ იმისი ბრალი იყოს, რომ საქართველოს ისტორიის დრამატულ ამბებს შეჩვეულ ქართულ სცენას ცოტა არ იყოს ეჩოთირა ტრაგიკული ისტორიის კომედიურ პლანში დანახვა. ამ მხრივ „დავით მერვე" უტრადიციო აღმოჩნდა და მისი სცენური სიცოცხლე ნაწილობრივ შეფერხდა. ამან შესაძლოა შეაფერხა ამ მეტად საყურადღებო კომედიის თეატრალური პოპულარობა, მაგრამ მისი ლიტერატურული მნიშვნელობა არ შემცირებულა. გმირულ-რომანტიული სტილით შექმნილი დრამატიული ნაწარმოებების გვერდით ისტორიის კომედიურ აღქმას არსებობის სრული უფლება აქვს და ამ კუთხით რაიმე შეზღუდვა ცალმხრივობისაკენ ეზიდება ეროვნულ მწერლობას. ისტორია არასოდეს ყოფილა მხოლოდ გმირების ასპარეზი. თავგანწირვის, ვაჟკაცობის, კეთილშობილების გვერდით ხშირად უცხოვრია მოღალატურ სიმხდალეს, ლაჩრობასა და უზნეობას. პ. კაკაბაძე თავის მოქალაქეობრივ ვალად მიიჩნევს ისტორიას ამ თვალსაზრისითაც შეხედოს, რადგან ბოროტების გაკიცხვა-გაშუქება მას სიკეთის ქომაგობად, მისი განმტკიცებისათვის ბრძოლად მიაჩნია. გარდა ამისა ადამიანთა ცხოვრების ისტორია კვალს ტოვებს დღევანდელობაზეც და „უარყოფითი მემკვიდრეობა" ასევე უნდა გახდეს მწერლობის საგანი, როგორც სამაგალითო პატრიოტული ამბები. ერთი არ უპირისპირდება მეორეს. ამიტომ კომედიოგრაფის ფუნქციები და ესთეტიკური პრინციპები სრულიადაც არ გამორიცხავს პოზიტიური მწერლობის ტრადიციებს, პირიქით, ავსებს, ამრავალფეროვნებს მას.

„დავით მერვე" ჰეროიკული კომედიის პრინციპით არის დაწერილი. ორპირი ადამიანების, გამყიდველების, ლაჩრების, ცრუ ბრძენების გვერდით აქ დგას პატრიოტი ქართველი ქალი, რომელსაც ხალხის სულიერი სწრაფვა. განწყობილება მოაქვს. გულქანას ქცევა და ხასიათი გარდაქმნის უქნარა გოსტაშაბსაც და ვაჟკაცობას ჩაადენინებს. უფრო მეტიც: პ. კაკაბაძე კომედიის მიღმა ტოვებს ლეგენდარულ გმირს კახაბერს (ამ პიესას ერთხანს „კახაბერის ხმალიც" ერქვა), რომლის არსებობა მთელს პიესაში იგრძნობა. ესაა უკვდავი სული მებრძოლი ხალხისა, რომელიც ლაჩარშიაც აღვიძებს ხოლმე ვაჟკაცს.

ქვეყნის დაბეჩავებისა და გადაგვარების დროს ლიპარიტესაც ყვარყვარესავით დასჩემებია ფილოსოფოსობა. გმირული თავგამოდების მაგიერ ამ ადამიანში თავის გადარჩენის ინსტინქტი გამეფებულა. რწმენის მაგიერ ურწმუნობა, პატრიოტობის მაგიერ საკუთარ ტყავზე ზრუნვაა მთავარი ლიპარიტესათვის.

„როგორ გვაბრუნებს ეს სოფელი. წეღან ჩემი სული ეშმაკს მიჰქონდა, ახლა კი დიდებულებმა ქვეყნის მხსნელ ანგელოზად დამსვეს. მაგრამ, შეიძლება, მალე ისევ მტერს მოურიგდნენ და მერე სარზე დამაგონ... ვიცი გზა კეთილისა რა ეკლითაა მოფენილი... თუ დღეს ქვეყნისათვის ისე საჭიროა გმირი, რომ უკახაბეროდ ყველა ვიღუპებით, ვიკისრებ მის მაგიერობას, მხოლოდ მისებრ მოწამეობას ვერა. მართალია წეღან ჩემი თავი ვკრულე ცოდ-

ვებისათვის, მაგრამ ის შიშით იყო... ეხლა ისევ ლიპარიტი ვარ და ჩემი გზიდან ვერა ვერ გადამაცდენს. ამბობენ რომ წმინდანები ჭირში ისე მაგრდებიან, როგორც ქვევრში ღვინო, და ბოლოს, ერს საფლავიდანაც ათრობენ და სისხლს უდუღებენო, მაგრამ მკვდრეთითაც რომ დგებოდნენ წმინდანები, მათი აყოლა მე არ მარგებს. მე, ლიპარიტე კიკოძეს კიდეც დამცინებენ, რომ შნახავენ მწარედ აზლუქუნებულს, იმიტომ რომ ერი ღვაწლს ყველას არ უფასებს, ერს მხოლოდ ის უყვარს, ვინც თავის მტერია. მე კი ქვეყანა მიმაჩნია ჩემთვის მოსათალ დუმად...“ ეს მონოლოგი გლეხური ინდივიდუალიზმის შიშვლად გამოვლინებაა და პატარა კაცის ცინიკური სიბრძნის ელფერიც დაჰკრავს. დიდებულების გამყიდველური პოლიტიკის, უხეში ძალის ბატონობისა და ეროვნული დაკნინების ხანაში ეს ძირმწარე მცენარე ადვილად ხარობს და თავის შხამს უხვად ავრცელებს. ამიტომ ლიპარიტი სასაცილოც არის და საშიშიც. მისი ქოსატყუილობა ერთი შეხედვით საზიანო არ უნდა იყოს, მაგრამ მწერალმა ამ ტიპს ზღაპრის გულუბრყვილობა ჩამოაცალა და შეგნებულად გააშიშვლა მისი მავნე ბუნება.

ერთი შეხედვით „დავით მერვე“ გმირობის აპოლოგიის გაქარწყლებასაც უნდა გულისხმობდეს, მაგრამ არა საერთოდ, არამედ ყალბად გაგებულ, ცრუ გმირობისა. ლიპარიტის კითხვაზე, სად არის კახაბერიო? გოსტაშაბი პასუხობს „იქ არ ყოფილა“, „მაშ კოშკის თავზე ვინაა გადმომდგარი?“ „ეს მისი გუდა გავაკეთეო“, უპასუხებს გოსტაშაბი. ბრძოლებიც, ინტრიგებიც, ვაჟკაცობაც აქ განგებ გამარტივებულია, უტრირებულია, რათა უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს სიმხდალის, ორპირობის, სიხარბისა და მლიქვნელობის ნამდვილი სახე. კახაბერის მაგიერ ციხეზე შემდგარი გუდა ცრუ გმირობის სიმბოლოა. მის გარშემო დგანან მშიშარა მეფეები, მოღალატე დიდკაცები, გამყიდველი ფეოდალები და სულმოკლე ქოსატყუილები. და იმავე დროს ქვეყნად ცხოვრობს კახაბერის სული, სადღაც არის მისი გაუტეხავი ხმალი და ხალხს შეუძლია ისევ წარმოშოს ნამდვილი გმირი.

ოცდაათ წელიწადზე მეტია პ. კაკაბაძის თხზულებანი ტრიალებენ ქართულ ლიტერატურასა და სცენაზე. და როგორც სჩვევია ნამდვილი ტალანტით აღბეჭდილ ქმნილებებს, ისინი დღითი დღე იზრდებიან მკითხველის თვალში, მეტ სიყვარულს, პოპულარობას იხვეჭენ. ადამიანის სულიერი აღზრდისათვის ბრძოლაში პ. კაკაბაძის კომედიებიც აქტიურად მონაწილეობენ, ცრუ დიდებას, სულიერ მეშჩანობას, სულმოკლეობას, მშიშრობასა, კარიერიზმსა და სიყალბეს დაუზოგავად ამათრახებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როსტომ ბეჟანიშვილი

ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები

კლასიკურ ნოველასთან შედარებით ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებს ბევრი სიახლე გააჩნია, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. მეოცე საუკუნის ნოველისათვის დამახასიათებელი ნიშნები ქართულ ბელეტრისტიკაში ნიკო ლორთქიფანიძის მეოხებით შემოვიდა.

ძირითადად ორი სახის ნოველები აქვს ნიკო ლორთქიფანიძეს: ისტორიული და თანამედროვე.

ისტორიულ ნოველებში მწერალს პირველ რიგში აინტერესებს საზოგადოება ზნეობრივი ასპექტით. ნიკო ლორთქიფანიძე არსად არ ეხება არცერთ პოლიტიკურ ან ეკონომიურ ტრაქტატს, არც ისტორიულ კონფლიქტებს და კოლიზიებს; ის გვიხატავს მხოლოდ ადამიანების ბედს, მეფეები იქნებიან ისინი, თავადები თუ უბრალო გლეხები. და მათი ბედის დახატვით, ჩვენთვის გასაგები ხდება როგორც მწერლის პოზიცია, ისე ტენდენციაც და ესთეტიკური სამყარო.

„დანგრეული ბუდეები" პრობლემატურად ისტორიულისა და თანამედროვეს შუა დგას, მაგრამ ის მაინც ისტორიის მიერ განწირული კლასის აგონიას ეხება და ჩვენც ამიტომ მივიჩნევთ მას ისტორიულ ნოველად. მართალია, იგი ნოველაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასში არ იყოს სავსებით საკმარისი მასალა მრავალპლანიანი რომანისათვის. მაგრამ მწერალმა არ დაწერა რომანი და არც შეეძლო დაეწერა, რადგან რომანს დადინჯებული თხრობა სჭირია ,რათა ტენდენციური არ გამოჩნდეს მწერალი. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძეს ეს არ შეეძლო. ის ყოველთვის იყო ტენდენციური თავის დამოკიდებულებაში საგნებისადმი, მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი და საერთოდ ემპირიული სამყაროსადმი.

ნიკო ლორთქიფანიძე შესანიშნავად ხედავდა, რომ თავად-აზნაურული კლასი განწირულია ისტორიისაგან დასაღუპავად, რომ მას ბოლოს მოუღებდა აღმავალი ბურჟუაზია. ჭარბი ემოციების მწერალს სოციალური ასპექტი ცივი გონების განსჯისაკენ უთითებდა, რათა განეხილა კლასის დაღუპვის გამომწვევი მიზეზები; ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ნიკო ლორთქიფანიძემ მხოლოდ შედეგები აღწერა, რომ მან არ გვაჩვენა დრამის ექსპოზიცია და პერიპეტიები. ჩვენ ვათვალიერებთ „დანგრეულ ბუდეებს" და ვხედავთ ამ ბუდეებში მათ ადრინდელ ბრწყინვალებას და იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია მათი დაღუპვა. აქ არის სწორედ მწერლის ოსტატობა. არა გაპრიალებულ-გაჩახჩახებული სასახლეების აღწერით, არა ბალ-მასკარადების ჭვრეტით, არა ლამაზი მანდილოსნების და მამაცი ვაჟკაცების ინტიმური საუბრების გადმოცემით, არა ნადიმებით და ზარ-ზეიმით, არამედ ყოველივე ამის ნანგრევებით, აქა-იქ მიმოფანტული ნაშთებით, ნამსხვრევებით გვაგრძნობინებს და გვიჩვენებს, რა იყო და რა დაინგრა. რად ღირს თუნდა ერთი დეტალი, როცა მწერალი აღწერს მოხუცის ლოგინს და მის ნივთებს: „ტახტზე გაგებულ ჭუჭყიან დაგლეჯილ ლეიბზე იწვა ახალოხიანი მოხუცი და გამოხუნებული პიკის საბანი ეხურა თავს... მოკლე საბანს ვერ დაეფარა სახლში ნაქ-

სოვ წინდის ნაფლეთებში გახვეული ფეხები... ფეხებთან ტახტზე ეგდო გატეხილი კეხი, აბჟანდები და უკანასკნელი მოწმე ძველის დიდებისა სევადიანი ვერცხლით გაწყობილი ავშარა... რანაირათ დარჩა ამ საერთო წარღვნის დროს ეს საცოდავი?" კითხულობს მწერალი და ამით ყველაფერს გვეუბნება. საჭირო აღარ არის მოგვითხროს ამ მოხუცის ახალგაზრდობაზე, მის ლაღსა და უზრუნველ ცხოვრებაზე. ჩვენ ამას თვითონ ვხვდებით. ეს კარგად იცის ნიკო ლორთქიფანიძემ, ის ხომ დიდოსტატია მინიშნებისა და ნახევარტონებისა. მან ამ ერთი შტრიხით გააცოცხლა ცხოვრება ნააზნაურალისა, აწ რომ ხეიბრად და გლახაკად ქცეულა. მაგრამ ყოველივე ამას თან ახლავს არა სარკაზმი ან იუმორი, ერთიც და მეორეც თითქმის უცხოა ნიკო ლორთქიფანიძისათვის, არამედ უჩინარი და უხილავი სევდა. რაინდული სევდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. „დანგრეული ბუდეები" უაღრესად ნაღვლიანი ნაწარმოებია. მას სადღაც მაინც მაჟორული აკორდი გასდევს. ეს მაჟორი იგრძნობა ქვეტექსტში, სწორედ იმ რაინდულ სევდაში.

ერთგან მხოლოდ, ერთი სიტყვით „გასცა" მწერალმა თავისი დამოკიდებულება, როცა წერს, რომ „დავდიოდი ასე ოთახიდან ოთახში. ერთიმეორეზე უფრო გაპარტახებულ, გაოხრებულ, ერთიმეორეზე უფრო მწუხარე და უფრო სევდიან, მაგრამ ამაყ, გაკაჟებულ, გააფთრებულ ოთახებში".

„გააფთრებული" წამოსცდა მწერალს და ჩვენ ვიგრძენით მთელი მისი პოზიცია. რომ მან რექვიემი დაწერა არა მშვიდად და უდრტვინველად წასულ კლასზე, არამედ ბობოქარ, ჯიუტ, მებრძოლ კლასზე, რომელიც კბილებით ეჭიდებოდა სიცოცხლეს, რომლის „როიალის კლავიშები სიკვდილის კბილებივით დარჩენილა, დაყვითლებულა" — რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა როგორმე გაეხანგრძლივებინა თავისი არსებობა, მაგრამ ვერ შესძლო; რომელიც ბედს კი არ შეურიგდა, არამედ გააფთრებულია ამ ნანგრევებშიც, კი, წამლისა, დამპალი ტყავისა და ოფლის სუნში, ამ ლოთივით გულმოღეღილ მარნებში, ამ მტვრიან ბიუსტებში და სპილოსძვლიან ალბომებში, ამ, ერთი შეხედვით, დაჩიავებასა და უდრტვინველობაში, „გააფთრებული სდუმს" და ეთხოვება ქვეყანას.

ჩვენ ვნახეთ, „გააფთრებული", დანგრეული ბუდეები და სწორედ ეს არის პარადოქსი. დანგრეულ ბუდეებს შეეძლოთ გააფთრება. მაგრამ აქვეა მწერლის, როგორც მხატვრის განაჩენი: ეს გააფთრება ვეღარ უშველის ისტორიისაგან დასაღუპავად განწირულ კლასს, მისი უკანასკნელი ბუდეები სამუდამოდ დაინგრა და დასამარდა.

ისტორიული ნოველებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მრისხანე ბატონი".

ამ ნოველას თვით ავტორი უწოდებს არაისტორიულს, ფაქტიურად, აქ ისტორიულია ორი რამ: ფეოდალური საქართველოს საერთო ფონი და ბატონის მრისხანება. შეიძლება ითქვას, უფრო მეტიც: ნოველის ყველა პასაჟი ნამდვილად არაისტორიულია. ისტორიულია ერთი მაგისტრალური ხაზი—მრისხანება, ცხოველური მრისხანება პათოლოგიური სისუსტის გამო.

ლევანს შვილი არა ჰყავს და არც მემკვიდრე. ლევანს აღარ შეუძლია ლამაზი, ვნებიანი ,ავხორცი ციცინოს მოხიბვლა და, როცა ვახტანგისა და ციცინოს ინტიმურ საუბარს შეესწრება, თავის უძლურებას ახშობს იმით, რომ ახალგაზრდა შეყვარებულთა სხეულებს მოზვრებს დააფლეთინებს.

ეინიანია, ჭირვეულია ბატონი, რომელსაც მოსამართი თოჯინებივით ემორჩილება ყველა. ძლიერი სცენაა ყარამანის მოციქულად მოსვლა, რათა ვახტანგი დაიხსნას. ხოლო კულმინაციური წერტილია მოზვრების ჭიდილი. საგულისხმო დეტალია, რომ გაიმარჯვა იმ მოზვერმა, რომელზეც ციცინო იყო დაკრული. დაფლეთილი ციცინოს „გა-

მარჯვება“ აქაც სიმბოლიურია. ციცინო, მართალია, გარყვნილი ქალია, მაგრამ მას აქვს რაღაც კეთილი თვისებები და იგი ამით უპირისპირდება მრისხანების აგონიით შეპყრობილ ბატონს...

ვფიქრობ, რომ ნოველის ბოლო მხატვრულად არ არის მოტივირებული. ლევანის ბერად შედგომა, დედის მიერ ცოდვამონანიებულ შვილის შებრალება, უადგილოდ სენტიმენტალურია. ნოველა დაწერილია მრისხანე ბატონზე და სრულებით საჭირო არ არის მისგან ცოდვების მონანიება. ეს არაფერს მატებს ხასიათს. არც ისაა საჭირო, ყიფიანი ხმლით რომ ავარდება ლევანის მოსაკლავად. ნაწარმოები მთავრდება იქ, სადაც მოზვრებმა დაამთავრეს შერკინება. აქ დამთავრდა ბატონის მრისხანება და ლოგიკურად გამოიკვეთა მისი ხასიათიც.

* * *

რა არის ნიკო ლორთქიფანიძის თანამედროვე ნოველების დამახასიათებელი ნიშნები? ისტორიულ ნოველებში მწერალი მაღალი წრის წარმომადგენლებს გვიხატავდა, თანამედროვე ნოველების უმრავლესობა უბრალო ხალხის, რიგითი ადამიანების და დაბალი ფენებიდან გამოსული ინტელიგენციის ცხოვრებას ასახავს. შეიქმნა მთელი გალერეა უბრალო ადამიანებისა, მწერალმა დაგვიხატა მათი სოციალური ცხოვრება, ყოფითი სიტუაციებითა და კოლიზიებით. მეორე დამახასიათებელი ნიშანი ნიკო ლორთქიფანიძის თანამედროვე ნოველებისა არის ხასიათების თავისთავადობა და განუმეორებლობა. მწერლის თანამედროვე ნოველის პერსონაჟები ეს ის ადამიანები კი არ არიან, რომლებიც სადღაც ისტორიის კუნჭულში იყვნენ მიყუჟული და ახლა, მწერლის სუბიექტური სურვილით თანამედროვე გარემოში მოხვედრილან. სრულებითაც არა. ნიკო ლორთქიფანიძის თანამედროვე ნოველის პერსონაჟები სრულიად ახალი ადამიანები არიან, თავიანთი ბედით, მსოფლგაგებით და სულიერი ცხოვრებით. ისინი ახალი დროის, ახალი კონფლიქტების და კოლიზიების პროდუქტები არიან და მათი სულიერი დრამა ორგანულად გადაწნულია საუკუნის საერთო ტკივილებსა და ძვრებთან. მესამე დამახასიათებელი ნიშანი ნიკო ლორთქიფანიძის თანამედროვე ნოველებისა არის, გმირების ინტელექტუალური ცხოვრების წინ წამოწევა, რაც ასე მკრთალად ჩანდა ისტორიულ ნოველებში. მწერლის თანამედროვე ნოველის გმირები, შეიძლება, უბრალო და რიგითი მოხელენი, მასწავლებლები, მხატვრები, მოქანდაკენი, სოფლის დედაკაცნი და ბერიკაცნი არიან, მაგრამ მათი შემეცნების სამყარო საოცრად ამაღლებულია, მათ უკვე ძალიან ბევრი რამ იციან ცხოვრების საიდუმლოებისა, უფრო მკაფიოდ გრძნობენ ემპირიულ სინამდვილეს და მწვავედ განიცდიან სულიერ დრამას. მეოთხე ნიშანი ნიკო ლორთქიფანიძის თანამედროვე ნოველებისა არის დახვეწილი, ლაკონიური ფორმა, ზოგჯერ იმპრესიონისტული მანერა, სადაც მთლიანად და ყოველმხრივ არის გამომჟღავნებული მწერლის მხატვრული ინდივიდუალობა და სტილი, რასაც ისტორიულ ნოველებში ფაქტურისა და დროის ლოკალი ერთგვარად ზღუდავდა და გარკვეულ ჩარჩოში აყენებდა.

ნიკო ლორთქიფანიძის თანამედროვე ნოველებიდან ჩვენ მხოლოდ „თავსაფრიან დედაკაცს“ განვიხილავთ.

ამ ნოველაზე მრავალი წერილი დაწერილა, ჩვენ არ შევუდგებით აქ მათ ანალიზს და არც ნოველის მხატვრულ ღირსებებზე ვისაუბრებთ. ჩვენ ნოველას მხოლოდ ერთი კუთხით განვიხილავთ, რა როლს ასრულებს მასში მხატვრული ქვეტექსტი.

„გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი“ — წერს მწერალი და ჩვენთვის უკვე ადვილი წარმოსადგენია მაჭანკალის მისვლა-მოსვლა, ჩურჩული და გაქირდვა, წაქეზება და დამალვა, ხელის მოთბობა და წელში გამართვა. მწერალი არ ამბობს, წავიდა მაჭანკალი, მიიკითხ-მოიკითხა, გაისარჯა და ა. შ. ის ლაკონუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად წერს: გაძვრა-გამოძვრა, რაც ისეთ კონტექსტშია ნახმარი, რომ არც დიდი კეთილშობილება უდევს საფანელად და არც დიდი პატიოსნება. აქ ჩანს გარიგებული საქმე, დამალული და ართქმული, ნაწილობრივ რაღაცაში მოტყუებულიც.

„აბღავლდენ დანაკლავ ადგილზე ძროხა და ხარი“ — ბევრი საქონელი და ფრინველი დახოცეს ქორწილისათვის, იმდენი, რაც სრულებით არ იყო საჭირო, რამაც დააზარალა და წელში გასტეხა ოჯახი, რის ხელახლა მონაგრებასაც ბევრი წლები უნდა, რაც მტრის გულის გასახეთქად იყო და მოყვრის ერთი დღით თვალის ასახვევად, რასაც სიამოვნებით შემოინახავდნენ ოჯახში ნეფე-პატარძალი მხოლოდ მათი ნება-სურვილი რომ ყოფილიყო და სოფლის ყბაში ჩავარდნის შიში არ ჰქონოდათ. ამიტომ, ამ დიდ ხარჯზე, ამ „დანაკლავ ადგილზე“ ბღავის ძროხა და ხარი და ამ ბღავილში დასუსტებული ოჯახის მოთქმაც ისმის.

„ეზოზე ჩოჩიალა ურემმა გადაიტანა ნაჭა, საბანი, ლები...“ რამდენი ხანი ამზადებდნენ ამ მზითევს, დარბოდნენ ქალაქში და ბაზარში, საშოვნელად და სასყიდლად, კერავდნენ და პენტავდნენ, ქარგავდნენ და ქსოვდნენ, გატყავდნენ, განიავდნენ და ბოლოს მაინც „ჩოჩიალა ურემმა“ დასძრა და გაიტანა მთელი ეს „სიმდიდრე“.

„სამი წელი —
სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი;
სამჯერ ჭორფლი და მჟავე კიტრი;“

სამი შვილი ეყოლა ზედიზედ ქალს, სამ ჩვილს დაურწია აკვანი, უმღერა ნანა და გამოზარდა, მაგრამ არც მელოგინეობის დროს და არც მერე, მას არავინ შეშველებია, ოჯახის საქმე, საქონლისა და ფრინველის მოვლა, დილიდან საღამომდე თვალებჩაწყალებული საქმე და სამი შვილი ისე, რომ ერთი მუხლი აღარ ჩაუხრია, ერთი აღარ გაუღიმია; ქორწილით ჩათავდა მისი ახალგაზრდობა და დაიწყო დედაკაცის ჭაპანწყვეტით სავსე ცხოვრება. და ეს მძიმე ცხოვრება რომ ხელშესახები გახადოს, მწერალი იქვე დასძენს:

„სადედოფლო:
მაქვა და თითისტარი;
კეცი და ჩოგანი;
ლარი და საჩეჩელი;
პრასი და ოხრახუში;
მეწველი ძროხა;
კრავიანი ცხვარი;
გოჭებიანი ღორი;“

აქ დღის სინათლეზეა გამოტანილი გამრჯე და ოჯახისმოყვარე დედაკაცის შრომა, მძიმე, ერთფეროვანი და განსაზღვრულ ჩარჩოში მოქცეული.

მოუკვდა გამრჯე მეუღლე გამრჯე დედაკაცს. ქედღონიერი ხარი გამოეცალა უღელს. არავისა აქვს დრო დაწიწილაკებულად იგლოვოს და თავის გრძნობებს აჰყვეს. ქალებმა თმა გაიშალეს... ზარია... და ფლავი. ეს „ფლავი“ ანუ ქელეხი, წამსვე მიწიერსა ხდის ამ გლოვას და ოჯახის უბედურება ისევ საკლავზე, ისევ დოვლათის განიავებაზე, ისევ ოჯახის დანგრევაზე გადააქვს. მომდევნო სტრიქონში ტყუილად როდი წერს მწერალი: „სენმა და სიკვდილმა გაანიავა ოჯახი“.

ბურჯი გამოეცალა ოჯახს და მისი საქმე სულ უკან და უკან წავიდა.

„იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ“.

და თავსაფრიანი დედაკაცი, იძულებულია იაროს —
პოლიციაში,
სასამართლოში,
მეზობლებთან,
მამასახლისთან,
თავმდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე, რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა,
სიშორე, —

გადაიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს,
თავისას კი მიაღწევს:
ბავშვებს სამართალს მოუნახავს,

დახმარებას გამოითხოვს,
შაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,
კერიას არ გააცივებს“.

ყოველივე ეს იმიტომ, რომ კერია არ გააცივოს, ობლებს არ უღალატოს.

ბავშვები დაზარდა. დააბინავა. ახლა შვილიშვილებს პატრონობს და შვილებს საოჯახო საქმეში ეხმარება.

და აი ერთხელ, როცა აკანკალებული ხელით მოქსოვილი წინდები ერთ შვილიშვილს არ ჩაეტია და ბებიამ მეორე შვილიშვილთან დააპირა წაღება, ქალიშვილმა ტყვიასავით მიახალა:

„რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო!.. ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?“

თავსაფრიანმა დედაკაცმა, უბედურმა ქვრივმა, წვითა და დაგვით გამოზარდა შვილები, დააბინავა, მთელი თავისი სიცოცხლე მათ შესწირა და ბოლოს, ასეთი ვაჭრული არშინით გაზომეს მისი ქალური ბედი, მისი პატიოსნება, მისი თავდადება, მთელი მისი ცხოვრება.

„შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „საღირალი პატივი“.

აი თურმე რისთვის დააკლა თავი ოჯახს, რისთვის არ გააცივა კერია, რისთვის ეწამა ამ ტიალ წუთისოფელს და ამაგს როგორ უფასებს საკუთარი შვილი. თურმე ტყუილად უშრომია თავსაფრიან დედაკაცს, ტყუილად გამწყდარა წელში, მას კარგი შვილები ვერ გაუზრდია, მათი უმადურება ხომ მათი სულის უბადრუკობაა.

ამიტომ უნდა მოშორდეს, განერიდოს მათ. და ის ჩურჩულებს:

„ჰო, მოვალ, მოვალ... მოვალ, ჩემო ფილიპე“.

თითქოს შემთხვევით ჩაუარაო ქმრის საფლავს, ქმრის მოუვლელ საფლავს, რადგან მთელი ჯანი შვილებს და შვილიშვილებს მოახმარა და საფლავის ბალახში ჩამალულ ქვას გამხმარი, გაშეშებული თითებით მიეფერა...

დაიკარგა თავსაფრიანი დედაკაცი... უმადურ შვილებს მხოლოდ იმისი ეშინიანთ, რომ „თავი მოგვეჭრებაო“. თავი რომ უკვე მოჭრილი აქვთ, ამას კი ვერ გრძნობენ. მერე, შვილები მაინც შეეცოდა, ჩამოინათხოვრა მარკის ფული, ვიღაცას წერილი დააწერინა და შვილებს შეატყობინა ცოცხალი ვარო, ცოცხლად დამარხულმა ქალმა.

„ეს იყო თავსაფრიანი ქალის ერთი იშვიათი სიცრუეთაგანი“ — წერს ნიკო ლორთქიფანიძე და ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ ერთხელ იცრუა ცხოვრებაში დედამ და იცრუა შვილების სიყვარულით.

ვაკის ჩიხში იპოვეს მოხუცებული ქალის გვამი. ასე უპატრონოდ, უჭირისუფლოდ, სამარცხვინოდ მოკვდა დედა, უღირსი შვილებისაგან დავიწყებული. მწერალს ისღა დარჩენია, რომ ერთი გულიანად ამოიკვნესოს:

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“.

• • •

ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონისტული ნაწარმოებები ძირითადად მინიატურათა სამ ციკლშია გაერთიანებული: „უიალქნოდ“, „პანაშვიდი“ და „სენტიმენტალური“.

„სიჩუმე გრძელი, ვით მარტოობა“ — ეს სტრიქონი ამოღებულია „სენტიმენტალურიდან“, კერძოდ, „ერთი დრამის ეპილოგიდან“. ამ რკალის ნოველები და მინიატურები, ერთი ძირითადი იდეით განისაზღვრებიან: ცხოვრება მძიმეა, წარმავალი. წარმავალია სიყვარულიც.

ამიტომ დასაფასებელია და საგულისხმო, რომ იმპრესიონიზმიდან რეალიზმისაკენ ნიკო ლორთქიფანიძის მობრუნების წერტილად პატრიოტიზმის მოტივი იქცა. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს ქართული კლასიკური ლიტერატურის ორგანული გაგრძელებაა და ტრადიციების დაგვირგვინება. პატრიოტიზმის მოტივის ნიმუშებად დავასახელებთ მხოლოდ ორ მინიატურას: „რეკა“ და „საქართველო იყიდება“.

მაგრამ თვით ფილოსოფიურ სკეპ-

სისმშიც, თვით მოდერნისტულ და ფორმალისტურ ნოველებშიც ნიკო ლორთქიფანიძე რჩებოდა რეალისტ მოაზროვნედ, მისი შემეცნება არასოდეს არ დამძიმებულა მისტიციზმითა და აბსტრაქციის ბურუსით, და ეს ჯანსაღი თვალთახედვა და ჭეშმარიტი მხატვრის სულიერი სიმტკიცე არის მისი თანამედროვე ნოველების ყველაზე არსებითი და დამახასიათებელი ნიშანი.

* * *

ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკური სამყაროს საფუძველია რეალიზმი და სინამდვილის მატერიალისტური აღქმა. მისთვის ემპირიულ ფაქტს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ფაქტი ცხოვრების პოზიტიურ გაგებას შეიცავს, არა იმდენად სოციალურს, რამდენადაც ზნეობრივს. ზნეობრივი საწყისი ყოველთვის ბატონობს ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკურ ჭვრეტაში და თავის ასპექტში აქცევს ყოველ მოვლენას თუ საგანს. იგი ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, ვისთვისაც ადამიანის სული მხოლოდ მაშინაა საინტერესო, თუ იგი ჯანსაღია და არავითარ პათოლოგიას არ შეიცავს. ძველი ანდაზა — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო — ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკურ სამყაროში ქცეულა ამოსავალ წერტილად, ამ აზრის ფილოსოფიური და არა ფიზიოლოგიური გაგებით. ამიტომ არიან ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟები ნათელი გონების, შეუდრეკელი ხასიათის და წმინდა სულის ადამიანები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მაგალითად, ლევანი „მრისხანე ბატონიდან“, რომელიც ჩვენი რწმენით უფრო პათოლოგიური ტიპია, ვიდრე სოციალური, რადგან მწერალმა აშკარად გაამუქა ფერები, რათა თვალნათლივ დაეხატა წარსულის ბოროტება.

ნიკო ლორთქიფანიძემ შესანიშნავად იცის, რომ ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები არის თავისი დროის, თავისი კლასის ინტერესების ამსახველი. მართალია, მწერალი არც ფეოდალიზმის იდეოლოგი ყოფილა და არც მკვეთრად გამიჯნული სოციალისტური საზოგადოების იდეოლოგი, მაგრამ მისი რეალიზმი ობიექტურად ყოველთვის ემსახურებოდა ადამიანის გონების გამარჯვებას, ადამიანის სულის განწმენდას ყოველგვარი სიმახინჯისაგან და ზნეობრივ კეთილშობილებას. ნიკო ლორთქიფანიძე ორიოდე შტრიხით ტიპებს ძერწავდა ჩვენი ხალხის ყველა ფენიდან და მისთვის ეს ტიპიურობა უთუოდ ნიშნავდა იდეურობასაც. მან შესანიშნავად იცის, რომ ზოგადი ყოველთვის ღრმა შინაარსის მომცველ მოვლენებს უკავშირდება. ზოგადი არ შეიძლება გამომქღავნდეს შემთხვევითში, ცვალებადში, ნაუცბათევში.

ნიკო ლორთქიფანიძის ნოველების პათოსი სწორედ ძველის ნგრევისა და ახლის შენების დიალექტიკურ პროცესის ჩვენებაშია. „დანგრეულ ბუდეებში“ ძველის ნგრევის უცილობელი კანონი მოქმედებს, რასაც მწერლის რწმენით ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. და რომ სახიერი გამოჩნდეს ეს ძალა, ნიკო ლორთქიფანიძე სტატიკურ დეკორაციას კი არ იძლევა, არამედ ძერწავს სხეულის დაშლისა და რღვევის ბიოლოგიურ პროცესს, აქ კიდევ ერთხელ მართლდება უცილობელი ჭეშმარიტება, რომ გარკვეული კლასის მორალი და მსოფლმხედველობა განაპირობებს მხატვრულ სახეს, და მარქსიზმის კლასიკოსთა აზრი, რომ „რეალიზმი გულისხმობს გარდა დეტალების სიმართლით გადმოცემისა, ტიპიურ ვითარებაში ტიპიური ხასიათების სწორ რეპროდუქციას“.

ნიკო ლორთქიფანიძე წვრილმანისაგან მთავარს გამოარჩევს, ძირითად ხაზს ჩასწვდება, ამბების გრძელსა და მრავალფეროვან ჯაჭვში იმ რგოლს მონახავს, იმ რაციონალურ მარცვალს, რაც დამახასიათებელია ამა თუ იმ მომენტისათვის. ე. ი. დაინახავს ახალს, მზარდს და ამავე დროს დიადს, რითაც ცოცხლობს და სუნთქავს ეპოქა, და

წვრილმანებზე არ დახურდავდება, ან როგორც ლ. ტოლსტოი იტყოდა: „ნამდვილი მხატვრისათვის, როგორც ყოველთვის, საჭირო იყო და იქნება, რომ მას შეეძლოს რაღაც სრულიად ახალისა და დიდის დანახვა, მან უნდა დაინახოს და იფიქროს, ცხოვრებაში წვრილმანებს არ გამოეკიდოს, რომლებიც უშლიან მას ყურადღებით ჩაუკვირდეს და ჩაუფიქრდეს ცხოვრების მოვლენებს". თუ ზერელედ შევხედავთ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას, მოგეჩვენებათ თითქოს მას ფართო სოციალური ტილოები არ მოუცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დიდ და პატარა ნოველებსა და უფრო პატარა მინიატურებში და ესკიზებში პატარა პრობლემებს ეხებოდეს. დიდი მხატვრის ღირსება სწორედ ის არის, რომ „თავსაფრიანი დედაკაცით" დაგვიხატოს უბრალო ქართველი, პატიოსანი და ალალმართალი დედის ცხოვრების ეპოპეა, რაც თავისი მასშტაბურობით დიდ რომანს არ ჩამოუვარდება. რა ვუყოთ, თუ მწერალს ყველა აქცენტი თითქმის ზნეობრივ სფეროში გადააქვს, განა ზნეობა სოციალური კატეგორია არ არის? ნიკო ლორთქიფანიძემ იცის, რომ სოციალურ და ეკონომიურ ტრაქტატებს სოციოლოგები და ეკონომისტები უკეთ დასწერენ, ის მხატვარია, ადამიანის სულის „მჩხრეკელი" და თავის ყურადღების ცენტრში ამ ადამიანის ზნეობრივი არსი სურს მოაქციოს. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძეს სჯერა, რომ ეს „ეთიკური პრობლემა" არაა საკმარისი, რათა მომავალ მხატვრულ ტილოს სწორი საფუძველი ჰქონდეს. შეიძლება მწერალმა ცხოვრება ჩინებულად შეისწავლოს, მაგრამ ის მაინც ვერ ჩასწვდეს ადამიანის სულს, თუმცა, დეტალიზაცია მხატვრულ ნაწარმოებში ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცოდნას. ხშირად ასეთი დეტალიზაციის შედეგად მოძველებულ ნატურალიზმს ვღებულობთ და ნაწარმოების „გადატვირთვას ზედმეტი ადგილებით". ბალზაკი სწორედ ასეთ „ზედმეტ ადგილებს" გულისხმობდა, როცა ამბობდა: „რა ვთქვათ იმ შენობაზე, რომელიც არ ინგრევა, თუ სვეტებს გამოვაცლით?"

ნიკო ლორთქიფანიძის ნოველების სიუჟეტს, თუ ხასიათის სქემას ყოველთვის რაღაც ცხოვრებისეული ფაქტი უდევს, მაგრამ დანარჩენი ივსება მწერლის „გამოგონილით". ეს „გამოგონილი" ისეთი დამაჯერებლობით და ლოგიკით არის მოცემული, რომ მის სინამდვილეში ეჭვი არავის ეპარება. პირიქით, სწორედ ეს „გამოგონილი" უფრო ცხოვრებისეულია, ვიდრე ფაქტი. ნიკო ლორთქიფანიძე ენდობა მკითხველის ინტუიტურ ალღოს და მას ცხოვრების რეპროდუქციას კი არ აძლევს, არამედ ცხოვრებას თავისი მხატვრული შემეცნების პრიზმაში გავლილს და არეკლილს. ნიკო ლორთქიფანიძემ იცის, რომ „გამოგონილს" ზოგჯერ მეტი ეფექტის მოხდენა შეუძლია, თუ ის ჭეშმარიტი მხატვრის თვალით არის დახატული. სწორედ ეს მხარე აქვს შენიშნული ა. ტოლსტოის მწერლის ესთეტიკური სამყაროს გარკვევისას, როცა წერს: „საერთოდ, რაც მეტია გამოგონილი, მით უკეთესია. ეს არის სწორედ ნამდვილი შემოქმედება. მაგრამ გამოგონილი ისეთი უნდა იყოს, რომ თქვენ აბსოლუტურად სიმართლის შთაბეჭდილება შეგექმნეთ. გამოგონილის გარეშე წერა არ შეიძლება. მთელი ლიტერატურა გამოგონილია, იმიტომ რომ ცხოვრება გაფანტულია ზედაპირზე, სივრცეში და დროში. მაგალითად, ადამიანი თავისი სამუშაო ან არასამუშაო დღის განმავლობაში იტყვის ერთ წინადადებას არსებითს მისი ბუნებისათვის, მეორე წინადადებას იტყვის ერთი კვირის მერე, მესამეს ერთი წლის მერე სულ სხვა მდგომარეობაში, თუმცა, შესაძლებელია, სულ აღარა თქვას. თქვენ აიძულებთ მას ილაპარაკოს კონცენტრირებულ მდგომარეობაში. ეს არის გამოგონილი ცხოვრება, მაგრამ ისეთი, რომელშიც ცხოვრება უფრო რეალურია, ვიდრე თვით ცხოვრება".

საერთოდ, ტენდენციის გარეშე არ არსებობს მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ კარგ ნაწარმოებში ტენდენცია სახეებისა და სიუჟეტის ლოგიკიდან გამომდინარეობს, ხოლო უვარგის ნაწარმოებში ტენდენცია გაშიშვლებულია, არათუ თანამედროვე ნოველებში, თვით ისტორიულშიც, მკვეთრად შეინიშნება ნიკო ლორთქიფანიძის ტენდენცია, რადგან ის ბურჟუაზიული ობიექტივიზმისაგან და გულგრილობისაგან ყოველთვის შორს იდგა. მას ა. დიუმასავით შეეძლო ეთქვა: „ისტორიული სიუჟეტი ჩემთვის მხოლოდ ლურსმანია, რომელზეც სურათი უნდა ჩამოკიდო". ისტორიულ სიუჟეტებში ნიკო ლორთქიფანიძე პირველ რიგში ეძებს საბაბს, რათა თავისი კრედო გამოთქვას, თავისი მორალი და ფილოსოფია გაგვაგებინოს. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მწერალმა ბევრი თანამედროვე სოციალური თუ ზნეობრივი ასპექტი შორეულ წარსულში გადაიტანა, ისტორიულობის ნიღბით შემოსა, რათა თავისი ზოგიერთი პირდაპირი მოსაზრება მეტი გაბედულებით ეთქვა. მან იცის, რომ ცხოვრებაში მომხდარ ფაქტს არ ჰყოფნის თავისი სიმართლე, რათა მხატვრულ ფაქტად იქცეს. რა ხდება? ერთი და იგივე ამბავი, რატომ უნდა გვჯეროდეს ცხოვრებაში და არ გვჯეროდეს წიგნში ან ტილოზე? იმიტომ რომ ლიტერატურას და ხელოვნებას თავისი სიმართლე გააჩნია. ლიტერატურისათვის საკმარისი არ არის ცხოვრების სიმართლე, მან ახალი თვისებაც უნდა შეიძინოს — ეს არის მხატვრული სიმართლე. მაშასადამე, მხატვრული სიმართლე არის ცხოვრების სიმართლე, გარდაქმნილი ლიტერატურის სპეციფიკური კანონების საფუძველზე.

* * *

ნიკო ლორთქიფანიძე ფერმწერია და სიტყვის მხატვარი, ის ყველგან და ყოველთვის ფერების განლაგება-შეხამებითაა გართული.

მრავალსიტყვაობა არსად არ სჩვევია ნიკო ლორთქიფანიძეს, მაგრამ ტრაგიკული მომენტების აღწერისას, ის მაინც უაღრეს სიძუნწეს იჩენს. ამ სიძუნწით ახდენს საოცარ ეფექტს. სხვა მწერალს შეიძლება მთელი ტირადები გადმოელაგებინა გაპარტახებული მამულის აღწერისას, დეტალურად ყველაფერი ეჩვენებინა, სად რა გატყდა, რა დაიხა, რა ჩამოინგრა, ადამიანები როგორ ამოწყდნენ. იშვიათი სიტყვიერი ეკონომიით აგვიწერს მწერალი ამ სურათს და ასე ამთავრებს:

„ხმა არსაიდან ისმოდა.
სანთელი არ სჩანდა.
კაცი არ შემხვედრია.
მივადექ ბიძაჩემის სახლს.
არავინ გამომეგება.
გაწვეტილა საძაღლეთიც".

ბოლო სტრიქონში ყველაფერია ნათქვამი.

ნიკო ლორთქიფანიძის ხელში ცოცხლდება სიტყვა, ის თითქოს ფერსა და სურნელს იძენს, პეიზაჟის ან მხატვრული სახის ძერწვისას ეს ფერწერა არასოდეს არ არის თვითმიზანი და წმინდა ბუტაფორიულ ელვარებას მოკლებულია. მაგრამ აბა დააკვირდით, როგორი მხატვრის თვალითაა დანახული ეს სურათი: „ღამეები საოცნებოთ რთავდა ჩვენ დიდ ეზოს. ხეთა ჩრდილს გააწვენდა მთვარე, თვით ხეებს უკარგავდა ფერს და თეთრის, მკრთალის სინათლით გააბრწყინებდა მთელ არეს". მთვარიან ღამეში ხეებს რომ ფერი აქვთ დაკარგული, ამის მიგნება მხოლოდ დიდი მხატვრის თვალს შეუძლია.

ნიკო ლორთქიფანიძე ერთი შტრიხით ძერწავს სურათს: „ფანჯრების გაღება არც ღირდა... შუშა მხოლოდ ორ თვალში იყო დარჩენილი. ისიც ნახევრათ ჩამტვრეული. სხვებში გაკრულ ქაღალდებს თავი აეძროთ და თავისუფლად ფრიალებდა... კარის იმედიღა დამრჩა. მაგრამ, თითქოს განგებ, მშვიდი, წყნარი ღამე იყო, მოწმენდილ ციდან დაგვ-

ცინოდა მთვარე და სუნი ოთახიდან ვერ ბედავდა გასვლას“.

ისეთ კოშმარულ სურათს ხატავს მწერალი, მოხუცი, უპატრონო კაცის ავადმყოფობისას, სადაც რფლის, წამლისა და ტყავის სუნი დგას, სადაც გაჩერებაც არ შეიძლება, რომ კარის გაღებისას, ამ საძაგელმა სუნმა **ვერ გაბედა** გარეთ გასვლა, ჯანსაღ და სუფთა ჰაერს რომ შეერთებოდა. ასე მოკლედ და ასე ხელშესახებად წერა მხოლოდ ოსტატის ხვედრია.

მეორე ადგილას ნიკო ლორთქიფანიძე წერს: „მარანი როგორღაც დადაბლებულა, დამცინავი სახე მობრანჯვია და ლოთივით გული გადაუღეღია — მთელი წინა კედელი ჩამონგრევია“. როგორი სიზუსტეა ფრაზისა, რომ ლოთივით გული მარანს აქვს გადაღეღილი და არა საბძელს, ან ნალიას, ან სახლს.

ნიკო ლორთქიფანიძეს საოცარი სიფაქიზისა და ზომიერების გრძნობა აქვს. როცა ის, ერთ დროს ბრწყინვალე მანდილოსანს აღწერს, ან დავრდომილსა და შელახულს, ასეთ ნიუანსს გვთავაზობს: „არიან ადამიანები, რომელთაც ჭუჭყიან ხელს წარღვნის დროსაც ვერ გაუწვდენ“. აქ არაფერია ნათქვამი, რომ ამ მანდილოსანს ახლა ცუდად აცვია, შეიძლება ჭუჭყიანადაც, რომ მას დაკარგული აქვს ძველი ბრწყინვალება. პირიქით, ნიუანსი აგებულია კონტრასტზე: მწერალმა უკეთ რომ გვაჩვენოს მანდილოსნის ძველი ბრწყინვალება, ძალიან სათუთად და ფრთხილად, ეს ჭუჭყი **სხვის ხელზე** გადააქვს და დარცხვენით ამბობს: ჭუჭყიან ხელს ვერ გაუწვდენო... სურათი ნათელია და გამჭვირვალე.

ნივთებიც იდგამენ სულს, როცა ნიკო ლორთქიფანიძეს უნდა განწირულობის და საბოლოო კრახის შედეგი გვაჩვენოს, ნივთებს ანიჭებს ისეთ თვისებებს, რაც გამოაჩენს მათ ძველ პეწსა და სიამაყეს, მათ დარდიმანდულ დაუდევრობას, ხაზგასმულ ინდიფერენტიზმს გარემოსადმი და მომხდარი ძვრებისადმი. აი ეს სურათიც: „თავის ოთახში შემოყვანა. მხოლოდ სარკეს შეეხედებოდა ამ ოთახში; სხვა ყოველი ძველი, დახეული და დანგრეული იყო, თუმცა განწმენდილი, თითქოს ამაყობდნენ თავისი დანჟღრევითა და დაშლით“. აქ ცოტა იუმორიც არის, რომელიც მაშინვე გადადის ნაღველში: თვით ნივთებიც კი, ისეთი ამაყნი იყვნენ, რომ დანჟღრევის დროსაც არ უნდათ პირი შეირცხვინონ.

ნიკო ლორთქიფანიძე პლასტიკის ყველა კანონის თანახმად ძერწავს ბუნების სურათებს. მაგალითად, როცა ზვინი დადგეს, იგი ასე აღწერს ამ ზვინს: „ეზო მოკრიალებულია... ჩალის ფოთოლი აბრეშუმის არშიათ აგერ-აგერ აგდია... მაგიერათ სდგას ერთი დიდი-დიდი ქარვის ბოხოხი“. ან კიდევ: „შორს ცის კიდეზე მოსჩანს აგერ-აგერ თოვლით აჭედილი მთა“. შესანიშნავად დანახული სურათია.

გაზაფხულის პირს თოვლი ერთბაშად კი არ დნება მთაზე, არამედ ნაწილ-ნაწილ, აქა-იქ და ამიტომ მოჩანს სწორედ მთა თოვლით „აგერ-აგერ“ აჭედილ... იშვიათია ასეთი ნიუანსიც. „ჰაერი კრთის“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პაუზები ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. პაუზა ნახევარტონი ყრაა; თუ ნახევარტონებში მწერალი სადღაც ეჭვიანია, არ ენდობა სათქმელს და მას მოკვეთილად , გადაჭრილად არ გვაწვდის, პაუზა მკვეთრად განსხვავებული ხერხია. პაუზა ქვეტექსტს უახლოვდება, ეს არის ბოლომდე ართქმული, ან მხოლოდ გაფიქრებული, რაც მკითხველის ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ აზრად უნდა დასრულდეს. ეს ხერხი თავისთავად არ არის ახალი, მაგრამ აქ მთელი ხელოვნება ისაა სად და როგორ იხმარს პაუზას მწერალი.

პაუზას ნიკო ლორთქიფანიძე უდიდესი ზომიერებით, ტაქტის გრძნობით და უკიდურესი აუცილებლობით ხმარობს. ის თავს კი ყრ იწონებს ამ ხერხით, არამედ, მისი სტილის სხვა თავისებურე-

ბებთან ერთად ხმარობს მხოლოდ იქ, სადაც სხვა ხერხი გამოუსადეგარია, სადაც პაუზა ნამდვილად აუცილებელია. ასეთი სიძუნწე და სიზუსტე პაუზების ხმარებაში, იძლევა უდიდეს ეფექტს და ეს პაუზები თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ ნიკო ლორთქიფანიძის სტილის დამახასიათებელ თვისებად.

მაგალითად, ციკლში, რომელსაც „ერთ ტაფაში“ ეწოდება, არის მინიატურა „ამაყი“. დედა-შვილის საუბარი იქ ასე მთავრდება:

„— რას ამბობ, დედილო? ჩვენი ბატონი მკაცრი იყო. რომ მოგვშივდებოდა, ერთ კოდ პურს მაინც ვისესხებდით. კათალიკოზი რომ მოვიდოდა, ეკლესიაში ყველა გავიგონებდით ტკბილ სიტყვას... ეჰ, მისი სიტყვები ახლაც გულს ჩამრჩენია; ბატონის მომღერლების ხმა რა სევდით ჩამგუგუნებდა გულში? ლექსები განა მეც არ მესმოდა? ხატავდნენ ბატონის დარბაზს, განა მეც არ ვხედავდი და თვალი არ ძღებოდა? ეჰ, რა ჩამოვთვალო! ახლა კი ბურდღუნებენ რაღაც გაუგებარს... იქნებ კარგიცაა — ღმერთმა იცის! რაც სახეირო იყო, სადღაც წაიღეს — ელიზბარს რაღა ვაჩვენო!..

.....

ეჰ, მივდივარ, დედილო. მარტო არ მინდოდა წასვლა, არავინ წამყვა, ამ ჩემს ბოღმას მაინც ამოვიღებ გულიდან! მერე რაც იქნება, იქნება...“

ამ პაუზით ამაყი ყმაწვილკაცი ამბობს, რომ მოსწყინდა უცხოთა პარპაში, ეცადა მეზობლების აყოლიებას, მაგრამ არავინ აუბა მხარი, დედას გაანდო თავისი გულისნადები, რომ სიმართლე მას ბოლომდე სცოდნოდა და მტკიცე გადაწყვეტილებით მარტო მიდის მტერთან საბრძოლველად. ყოველივე ამას არ ამბობს ყმაწვილკაცი, ამას გვეუბნება პაუზა და მომდევნო აბზაცის დასაწყისი: „ეჰ, მივდივარ, დედილო...“

„მრისხანე ბატონში“ არის ასეთი ადგილი:

„— უუ, რა ცივა! უპასუხა გოგონამ და ზანტათ დაიწყო ჩაცმა.

— სიცივეა, თვარა მამიშენის ქოხში თორნესავით თბილა, შენმა გახეთქამ!.. ადექი!

გოგო წამოდგა.

.....

— ქათმებს საკენკი დაუყარე! ინდაურებს ცომი მოუმზადე! საბატე გააღე! — ისმოდა გადიას ბრძანება და გოგოებიც ციბრუტივით ტრიალებდნენ“.

აქ პაუზა მთელი ეპიზოდის როლს ასრულებს. გოგონას სცივა და ზანტად იცვამს, მაგრამ გადია მკაცრად დასცაცხანებს და სამუშაოდ წამოაგდებს. შეიძლება გოგონას საკუთარ ქოხში, მართლაც, ამაზე მეტი სიცივეა, მაგრამ იქ მას ასე უდიერად, ასე დაუზოგველად და დაუნანებლად არ წამოაგდებენ დილაადრიან ფეხზე, ასე არ გაიმეტებენ, იმიტომ რომ მშობლიური სახლი მაინც სულ სხვაა, იქ კედლებიც კი თბილია, იქ დედაა, რომელიც თავისი კალთით გაათბობს. პაუზაში ჩაქსოვილია უბედური გოგონას მწარე ხვედრი, მისი მოგონება, მისი სუსტი წინააღმდეგობა და რაც მთავარია, ბედთან შერიგება, რომ კიდევ, ასეთ ცივ დილას, მომავალში, ათჯერ და ათასჯერ, მას შეუბრალებლად წამოაგდებენ ფეხზე და ამუშავებენ. ყოველივე ამას მწერალი გვეუბნება პაუზით და შემდეგ აბზაცად გვთავაზობს მკითხველის ცნობიერებაში დახატული სურათის მხოლოდ ბოლოს: „ქათმებს საკენკი დაუყარე!..“

* * *

ჩვენ ზოგი ნაწარმოების მხოლოდ ესკიზი მოვხაზეთ, ზოგს აქვე გავუშინჯეთ ჭაშნიკი, რათა გასაგები გამხდარიყო ჩვენი კვლევის მიზანი და მეთოდი.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ მინიშნებაა, რის საფუძველზეც უნდა გაიშალოს ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული ოსტატობის დაწვრილებითი ანალიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივ. შაიშმელაშვილი

კრწანისის ომი

სამხედრო-ისტორიული ნარკვევი

კრწანისის ომით დასრულდა ქართველი ხალხის სისხლით მორწყული ისტორიული გზის დიდი მონაკვეთი. „მამაცთა შორის საკვირველება, პატარა კახი“[1] ამ ომის შემდეგ თავის მღელვარე ხმალს სამუდამოდ ასვენებს. მისი ძე გიორგიც სამი დღით ადრე, ვიდრე დადგებოდა ახალი — მეცხრამეტე საუკუნე, სიკვდილმა ჩამოაშორა მისთვის ესოდენ სანატრელ სამეფო ტახტს. 1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა, მისი ფიზიკური განადგურების საშიშროება ამიერიდან სამუდამოდ მოიხსნა.

კრწანისის ომი იყო XVIII საუკუნის მიწურულის ფეოდალური ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგანი სიმტკიცისა და ამიერ-კავკასიაში მის ირგვლივ არსებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირების რეალობის ნამდვილი შემოწმება.

ვერც ფეოდალურმა ქართლ-კახეთმა და ვერც ამ კავშირებმა, რომელთა ინიციატორად ერეკლე მეორე იყო აღიარებული, თავი ვერ გაართვეს ამ გამოცდას. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ძალზე სასტიკი იყო გამოცდის პირობები, არამედ იმიტომაც, რომ ერეკლეს ქართლ-კახეთის ყველა ბურჯი და საყრდენი ძირმომპალი და მორღვეული აღმოჩნდა.

ამიტომ კრწანისის სამხედრო კატასტროფა ამ ომამდე უკვე მომწიფებული შინაგანი პოლიტიკური კატასტროფის შედეგი და გამოვლინება იყო. თავის მხრივ ეს შინაგანი პოლიტიკური კატასტროფა, რომლის შესახებ შესაძლოა სრული წარმოდგენა არც ჰქონდა ხანდაზმულ ერეკლე მეორეს, ირან-რუსეთ-თურქეთის ვეებერთელა სამკუთხედში მოქმედმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა შეამზადა. ამიტომ უადგილო იქნებოდა ქართული ლაშქრის კრწანისის ომში დამარცხების ახსნა მხოლოდ და მხოლოდ წვრილმანი და შემთხვევითი მიზეზებით: მათ შორის ჩვენ მხედველობაში გვაქვს აგენტურული მზვერავების მოქმედება, მოსყიდვა, ინტრიგები, ღრმად შეხამებული საბოტაჟი... შორს ვართ იმ აზრიდან, თითქოს იმდროინდელი ქართლ-კახეთის მოსახლეობამ, ქართველმა ხალხმა, კერძოდ, მისი მხედრობის მასებმა, გულგრილობა გამოიჩინეს და ზურგი აქციეს თავის სამშობლოს, ან აღარ ვარგოდნენ ქართველი მხედართმთავრები, საქვეყნოდ აღიარებული თავისი გმირული ტრადიციები დაივიწყეს, ანდა სიმხდალე გამოიჩინა თვით ერეკლე მეორემ და ამით დეზორგანიზაცია შეიტანა ქვეყნის დაცვის საქმეში[2].

კრწანისის სამხედრო კატასტროფის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა მიერ, უფრო მეტად პოლიტიკური ვითარების მცდარი შეფასებიდან გამომდინარეობს და არა ქართული მთავარ-

---

[1] გრ. ორბელიანი, „სადღეგრძელო“.

[2] ამის შესახებ ყოვლად უმართებულოდ მიუთითებდნენ „Исторический журнал“-ის 1939 წლის მე-10 ნომერში (ა. არაქელიანის სტატია: „Присоединение Карабаха к царской России“).

სარდლობის ტაქტიკურ-სტრატეგიული შეცდომებიდან[3].

წინამდებარე ნარკვევის მიზანს იმდენად ის კი არ შეადგენს, რომ განმეორებულ-გადაფასებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მეტად რთული და საინტერესო მონაკვეთის ირგვლივ არსებული დიდძალი მონაცემები, არამედ თვით კრწანისის ომის, როგორც სამხედრო მოვლენის შესახებ, არსებული ძველი და ახალი წყაროების კრიტიკული განხილვა და კერძოდ კრწანისის ბრძოლების სურათების შესაძლო სიზუსტით წარმოსახვა.

თითქმის მთელი ქართველი ლაშქარი კრწანისის დღეებში შედგებოდა ქართლ-კახელ-იმერელი გლეხობისა და თბილისელი მშრომელებისაგან. (ზოგი ცნობით — მონადირეები, ხელოსნები, შეგირდები, ინტელიგენცია), მასში ქართველებთან ერთად დედაქალაქის დასაცავად გმირულად იბრძოდნენ იმდროინდელი ქართლ-კახეთსა და კერძოდ თბილისში მოსახლე ყველა ეროვნების წარმომადგენლები, და ამ წმიდათა წმიდა საქმეს თითქმის ყველა მათგანმა უყოყმანოდ შესწირა სიცოცხლე.

და მაინც მარცხი გარდუვალი აღმოჩნდა.

ქართველი ხალხი დიდი რუსეთის ხალხთან საბოლოოდ დაძმობილების შემდეგაც გულისტკივილით იგონებს კრწანისის კატასტროფას. ამ გულისტკივილის ფარულ წყაროს წარმოადგენს კრწანისში განცდილი სამხედრო მარცხის მიზეზების არაობიექტური განხილვა, უმართებულო განმარტება. უფრო კი ის გარემოება, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს თითქმის მთელი მოსახლეობა პოლიტიკური დეზორენტირების გამო საქმის გარეშე იყო დარჩენილი.

ი. ცინცაძის აღნიშნულ მონოგრაფიაში სხვათა შორის ასე არის განხილული კრწანისის მარცხის მიზეზები: პირველი მიზეზი — თითქოს ქართლ-კახეთის ლაშქრის უვარგისობა იყო, მეორე მიზეზი თითქოს თბილისის კართან აღა-მაჰმად-ხანის უეცარი გამოჩენაა, მესამე მიზეზი განჯელი ჯავათ-ხანის ირანელთა მხარეზე გადასვლა ყოფილა, მეოთხე მიზეზად თვლიან „უხეირობას“ გენერალ გუდოვიჩისას (გვ. 87), რომელიც (და აგრეთვე პ. ბუტკოვიც) ვერ არჩევდა ჯაშუშს ელჩისაგან და ელჩს ჯაშუშისაგან (გვ. 101) და ბოლოს, ეტყობა ეს მთავარია, საქმე იმაში ყოფილა, რომ არც გუდოვიჩს და არც მის მთავრობას 1795 წლის ზაფხულისთვის არ ჰქონიათ „სწორი ინფორმაცია აღა-მაჰმად-ხანის გეგმებზე და შესაძლებლობებზე“ (გვ. 43) და რუსეთის „საგარეო საქმეთა კოლეგია ამიერ-კავკასიაში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას მართებულად ვერ აფასებდა“ (გვ. 84) და სხვ;

მაგრამ მთიანი ყარაბაღიც ხომ ამიერ-კავკასიაში და ისიც ირანიდან მომავალი გზების კვანძში იყო; როგორ გაუძლო მისმა დედაქალაქმა — შუშამ აღა-მაჰმად-ხანის არმიის ორმოცდღიან ალყას? რით სჯობდა შუშის მფლობელი იბრეიმ-ხანი და მისი ლაშქარი ერეკლე მეორესა და ქართველ ლაშქარს?

---

3 არიან ავტორები, რომლებიც კომენტარების გარეშე იყენებენ აღა-მაჰმად-ხანის არმიის ოფიცრის ი. ბებუთოვის ნაამბობის ბევრ მცდარ მოსაზრებას, თითქოს, კრწანისის დღეებში ერეკლე მეორეს არასწორად ჰქონდა გადაწყვეტილი ადგილმდებარეობის საბრძოლოდ გამოყენების საკითხები და ჯარების ხელმძღვანელობაშიც იგი შეცდომებს უშვებდა. ამ ავტორთა შორის ვგულისხმობთ ს. კაკაბაძეს (იხ. „მნათობი“ 1944 წ. № 12) და ი. ცინცაძეს (იხ. მისი „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, თბილისი, 1963 წ.).

საქმე აქ მხოლოდ იმაშია, რომ იმ საბედისწერო დღეებში იბრეიმ-ხანის გარშემო დაირაზმა ყარაბაღის სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა; მხოლოდ მელიქ-მეჯლუმი, ყარაბაღის ერთ-ერთი რაიონის მფლობელი, განუდგა სამშობლოს და ირანელებს შეუერთდა.[4] ამ ერთსულოვნებამ დასტოვა ხელცარიელად აღა-მაჰმად-ხანი.

ამბობენ, რომ შუშა ამიტომ კი არ გაუმკლავდა აღა-მაჰმად-ხანს, არამედ იგი მეტად ძლიერი და მიუწვდომელი ციხე-სიმაგრე იყო ირანელთა ლაშქრისათვის. მაგრამ სად გაჰქრა მისი „მიუწვდომლობა“ აღა-მაჰმად-ხანის მეორედ შემოსევის დროს, როდესაც იმავე იბრეიმ-ხანმა უბრძოლველად „დააგდო ციხე მისი და... წავიდა“ ყარაბაღიდან? საქმე იმაში იყო, რომ იბრეიმ-ხანს ამჯერად „მცირეოდენი დაშთომოდეს მცხოვრებთაგანი... არღარა აქვნდა მას პური... წამალი თოფისა, არცა ტყვია.“[5] ასე დასტურდება ძველი ჭეშმარიტება, რომ სიმაგრეთა „მიუწვდომლობა“, პირველყოვლისა, მისი საბრძოლველად მომზადებითა და გარნიზონის მამაცობით აიხსნება.

[4] მელიქ-მეჯლუმს ასეთი ღალატისათვის თავისებური საბაბი ჰქონდა. ის თავის დროზე საპყრობილეში ჰყავდა დამწყვდეული იბრეიმ-ხანს. პატიმრობიდან გაქცევის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა იბრეიმ-ხანის წინააღმდეგ მოქმედებისათვის ერეკლე მეორესთან და რუსებთან მოსალაპარაკებლად ამ დღეებში ერეკლე მეორეს იბრეიმ-ხანის წერილი მოსვლია — შეიპყარ მელიქ-მეჯლუმი და შუშაში გამომგზავნეო. ერეკლე მეორეს განუზრახავს იბრეიმ-ხანის სურვილის დაკმაყოფილება. ყოველივე ეს ცნობილი გამხდარა მელიქ-მეჯლუმისათვის, ერეკლეზეც განაწყენებულა, განჯაში გაქცეულა და იბრეიმ-ხანთან მტრულ განწყობილებაში მყოფ განჯის ხანთან შახვერდთან შეუფარებია თავი („Исторический журнал“, 1939 г. № 10).

[5] თეიმურაზ ბატონიშვილი, „მეფე ერეკლეს მოკლე ისტორია“.

კრწანისის სამხედრო კატასტროფის მიზეზები სერიოზულ განმარტებას და დადგენას საჭიროებს, ესაა ამ ნარკვევის მეორე ძირითადი მიზანი.

თავი პირველი

ზედმეტად არ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მხედრობის, მისი საბრძოლო და მატერიალური მომზადების დასახასიათებლად; რათა მკითხველთათვის ადვილი გასაგები იყოს კრწანისის ომის პერიოდში ამ მხედრობის წარმატებისა და მარცხის მიზეზები.

ისეთი რეგულარული ჯარი, როგორიც იმავე პერიოდის ევროპის სახელმწიფოებში გვხვდება, კრწანისის პერიოდში ქართველებს არ ყავდათ. 1773 წლიდან ერეკლე მეორე დაბეჯითებით ცდილობს შექმნას რეგულარული ჯარი. ამ წელს მოუწვევიათ საქართველოს წარჩინებულთა თათბირი მუდმივი ჯარის შექმნის საკითხის განსახილველად. თათბირს დადებითი შედეგები მოჰყოლია. მომდევნო წელს უკვე გამოქვეყნდა ერთგვარი განაწესი მუდმივი ჯარის შენახვის წესების შესახებ, — „მორიგე ჯარის განაჩენი“. აღრიცხვაზე იქნა აყვანილი ყველა მამაკაცი, ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. მეომართა მთელი ეს რაოდენობა თორმეტ ნაწილად იქნა გაყოფილი. მორიგეობით ხდებოდა მათი გაწვევა და შეიარაღება. დასაწყისში საქმე, მართლაც, კარგად წავიდა, თვეში 2-5 ათასი კაცი გამოდიოდა „სამორიგეოდ“; ერთხანს თვით ბატონიშვილებიც გამოდიოდნენ „მორიგე“ ჯართან ერთად. „მორიგე“ ჯარი საქართველოს საზღვრებს ფხიზლად დარაჯობდა და მედგრად იგერიებდა მძარცველებს. მუდმივი ჯარის შექმნის

სიკეთე მალე დაეტყო ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობას: ალაგმეს ლეკები, რაშიც განსაკუთრებით ისახელა თავი ბატონიშვილმა ლევანმა; დაბრუნდნენ მთებში შეხიზნული მცხოვრებნი; გამოცოცხლდა აწიოკების მუდმივი შიშით ჩამკვდარი ცხოვრება დაბა-სოფლებში, იმატა სახელმწიფო შემოსავალმაც: 1769 წელს თუ წლიური სახელმწიფო შემოსავალი 150 ათას მანეთს უდრიდა, 1785 წლისათვის შემოსავალმა 400.000 მან. მიაღწია[6].

„მორიგეობა" შემდგომ წლებში თანდათან მისუსტდა. ნამდვილი რეგულარული ჯარის შექმნისა და შენახვისათვის არ იყო ყველა პირობა.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მტკიცე ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი მმართველობა. ფორმალურად თითქოს ასეთი რამ არსებობდა საქართველოში; მეფე იყო აბსოლუტურად უფლებამოსილი, მაგრამ ფაქტიურად მეტად მცირე იყო ფეოდალთა და თვით მეფის ჩამომავალთა რიცხვი, რომელნიც ასეთად სთვლიდნენ ერეკლე მეორეს. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ბატონიშვილებისა და დიდგვაროვანთა კაპრიზებით არ აიხსნება ქართლ-კახეთის შინაური სიმტკიცის შექმნისა და ორივე საქართველოს გაერთიანების ერეკლესეული იდეის ჩაშლა; ასეთი გაერთიანებისათვის არ არსებობდა სხვა საფუძველი, თუ არა გარეშე მტრებისაგან თავის დაცვის აუცილებლობა; მარტო ამ საბაბით კი, თუნდაც მოხერხებულიყო გაერთიანება, იგი მეტად ხელოვნური, არაბუნებრივი და ხანმოკლე იქნებოდა.

გარდა ამისა, ნამდვილი რეგულარული ჯარის არსებობისათვის საჭირო იყო სერიოზული ეკონომიური ბაზა, საჭირო იყო შენობები, სურსათი, ტანისამოსი, უფროსთა კარგი კადრები და სხვ. ყოველივე ამის შექმნა და მოწესრიგება წარმოუდგენელი იყო სამთავროებად დაქუცმაცებულ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც XVIII საუკუნის მიწურულის საქართველო იყო.

ერეკლე მეორეს ყველაზე უკეთ ესმოდა ამ პირობის უდიდესი მნიშვნელობა: იმავე 1774 წლის აპრილში მან რეგულარული ჯარისათვის აუცილებელი საარსებო ბაზის შესაქმნელად სესხი სთხოვა რუსეთს. სესხთან ერთად ერეკლე ჯარით დახმარებასაც სთხოვდა რუსეთს. უეჭველია, მეფეს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ქვეყნის დაცვისთვის რუსეთის ჯარის გამოყენების გარდა, ფრიად სასარგებლო იქნებოდა ამ ჯარის მართვისა და წვრთნის გამოცდილების გადმოღებაც. მაგრამ რუსეთს არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ერეკლეს თხოვნა, რადგან იმ დროისათვის მას ზავი ჰქონდა დადებული თურქეთთან და საქართველოს საქმეებში ჩარევა უხერხულად ეჩვენებოდა.

„მორიგეობის" სისტემა მალე სრულიად გაუქმდა. ამგვარად, დარჩა ისევ ძველი საკმაოდ პრიმიტიული წესები ჯარის შეგროვებისა: გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლის შემთხვევისათვის ბატონიშვილებისა და სხვა დიდგვაროვანთა დაძახებაზე თავს იყრიდა მხედრობა. ეს მხედრობა თავისი სარდლებით მეფის განკარგულებაში იყო. საფუძვლიანი მომზადებისა და მობილიზაციის მარჯვედ ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილა 20-25 ათასი (ზოგი ცნობით — 40 ათასი) მეომრის გამოყვანა.

ქართველი მხედრობის ძირითადი მასა ცხენოსანი ჯარისაგან შესდგებოდა. მეომრები საკუთარ ცხენებზე ისხდნენ, „თავისი იარაღით და ნუზლით გამოდიოდნენ". ის მოქალაქენი, რომელთაც ცხენები არ ჰყავდათ, ჯარის ქვეითა ნაწილს შეადგენდნენ. მეომარი შეიარაღებული იყო თოფით, დამბაჩით, ხმლით და ხანჯლით. გარდა ამისა, ყველა თოფიან მეომარს მხარიღლივ ჰქონდა სავაზნე; ხმარებაში იყო აგრეთვე ფარი, ჯაჭვის პერანგი, ჩაფხუტი, საბარკული, მუზარადი, სამუხლე და სხვა. ზოგი მეომარი უთოფოდ გამოდიოდა (ვისაც არ გააჩნდა), სამაგიეროდ მას

6 ს. კაკაბაძე; „საქართველოს ისტორიის ახალი საუკუნეების ეპოქა", გვ. 212.

ჰქონდა შუბი ან უბრალო კომბალი ან სხვ. ამასთან, შეიარაღების მხრივ განსხვავებული ყოფილან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მეომრები; გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო"-დან ჩანს მაგალითად, რომ კახელებს — ფარ-შუბის, ფშავ-ხევსურებს — აბჯრის, თუშებს ხმლის ტარება ახასიათებდათ მომეტებულად. ერეკლეს არტილერია, როგორც წერს საქართველოში ნამყოფი რუსი მოხელე ბურნაშოვი, თუმცა არც ისე ძლიერი ყოფილა, მაგრამ შიშის ზარს მაინც სცემდა მეზობლებს, რომელთა უმრავლესობას არტილერია სულ არ გააჩნდა. თბილისში ზარბაზნების ჩამოსასხმელი მთელი ქარხანა იყო. თბილისშივე არსებობდა თოფებისა და თოფისწამლის ქარხნები. იარაღის მკეთებელ ოსტატთა შორის ბევრი რუსი ხელოსანი იყო, რომლებიც დარჩნენ თბილისში, როცა აქედან გაიწვიეს ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარი. ზარბაზნები ურმებით დაჰქონდათ და ძალზე პრიმიტიული სამართი მექანიზმებით იყენენ აღჭურვილნი; განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა ყუმბარების შემცველი ბირთვების ზიდვა დიდი რაოდენობით.

ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ერეკლეს არტილერიას თბილისის დაცვისას, თუ კი მისი მოსამსახურე პერსონალი რამდენადმე ხანგრძლივ წვრთნას გაივლიდა. 34-35 ზარბაზანი, რომელიც ერეკლეს თავის განკარგულებაში ჰქონდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, სავსებით საკმაო იყო თბილისის დასაცავად, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ მხედრობაში ბევრი არ იყო არტილერიის საქმის კარგი მცოდნე. თვითონ ერეკლემ თავისი დროის უდიდესმა მხედართმთავარმა, ბრწყინვალედ იცოდა არტილერიის გამოყენების ყველა წვრილმანი, მაგრამ შეუძლებელი იყო თვითონ ის და გამოცდილ არტილერისტთა მცირე ჯგუფი გასწვდომოდა ყველაფერს ბრძოლაში; დიდებულთაგან კი დამხმარე და ხელშემწყობი არც ისე ბლომად მოიპოვებოდა...

ამ დროისათვის თავდაცვითი მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებიდან აღსანიშნავია: თბილისის ციხეები — კალა, ნახევრად მწყობრიდან გამოსული ყორჩაყალა, მეტეხი, სიღნაღის, გორის, ბირთვისის, ნორიოს, ანანურის ციხე-გალავნები და სხვ.

ეს სიმაგრეები აგებული იყო სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებში, მტრის შემოსევის სავარაუდო მიმართულებებზე და ვიწროებში. ასე, მაგალითად, ნარიყალა ეღობებოდა ირანიდან შემოსეულ ურდოებს; გორისა და სურამის ციხეები ბორჯომის ხეობით თურქეთიდან მომავალ გზებს დაჰყურებდნენ; ანანური ჩრდილოეთიდან მომავალი მტრისაგან დაცვისათვის იყო ნავარაუდევი; სიღნაღის ციხე-გალავანი, რომელშიაც ჯარს გარდა, მოსახლეობასაც შეეძლო შეფარება, ლეკთა მოუსვენარი ბანდებისაგან ქიზიყისა და კახეთის ნაწილის დაცვისათვის იყო გათვალისწინებული და სხვ.

ტრაქტატის დადების შემდეგ, რუსეთის მოხელეებს განზრახული ჰქონდათ საქართველოში ახალი ციხე-სიმაგრეების აგება. ამ მიზნით შემოუვლიათ საქართველო, შეუსწავლიათ პირობები, მაგრამ იმ დროისათვის არსად ჩანს ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა[7].

ამ სიმაგრეებს ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ თავდაცვითი ომების უკიდურეს შემთხვევაში იქ იკეტებოდა ქართველი ჯარი, ხოლო შორეული ქვეყნებიდან შემოსული მტერი უარტილერიოდ ვერ ახერხებდა სიმაგრეების აღებას; და ვიდრე ქართველი ჯარი დაუმარცხებელი რჩებოდა, არც საქართველოს დამარცხებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. ერთად-ერთი ხერხი, რის შემწეობითაც შეიძლებოდა სიმაგრეების გატეხა, იყო მომარაგების ბაზებისაგან ციხის მოწყვეტა ხანგრძლივი ალყის შემორტყმით. სამწუხაროდ, სწორედ ეს

[7] Бурнашев, «Картина Грузии».

იყო ქართველი ჯარის ყველაზე მტკივნეული ადგილი: სურსათის ცენტრალიზებულ მომარაგებაზე თითქმის სულ არ ზრუნავდნენ. ქართველთა შორის, ეტყობა, ნაკლებად იყვნენ ამ საქმის მოყვარე და მცოდნე სპეციალისტები. პირველმა რუსმა სამხედრო თუ დიპლომატიურმა მოხელეებმა კი, რომელნიც დასაზვერად ჩამოდიოდნენ ერეკლეს კარზე, მაშინვე სურსათის არსებობის საკითხებზე დაიწყეს მუშაობა და სულ მალე დაასკვნეს, რომ ქართველ ჯარში არ იციან მომარაგების საქმე, — უწესრიგოდ გამოაქვთ სოფლებიდან, ვისაც რა მოხვდება ხელში და რა რაოდენობითაც უნდა, რის გამოც ხშირად შიმშილობენო. ამასთან შესაძლებელი სიზუსტით გამოარკვიეს ისიც, თუ რა პროდუქტები მოიპოვებოდა საქართველოში და რა რაოდენობით შეიძლებოდა ჯარის მომარაგება[8].

უეჭველია სიმაგრეებში ჩაკეტილი ჯარისათვის სურსათისა და ტყვია-წამლის გარკვეული მარაგი წინასწარ მზადდებოდა, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც გასწვდებოდა ციხეებში გამაგრებულ ჯარს ხანგრძლივი ალყის პირობებში. ცხადია, ერეკლე კარგად გრძნობდა თვითონ თავისი არმიის ამ სუსტ მხარეს, ბევრსაც ზრუნავდა, მაგრამ მახვილი გონების პატრონი ეს სახელმწიფო მოღვაწე გარშემორტყმული იყო ისეთი ადამიანებით, რომელნიც რამდენიმე საუკუნით ჩამორჩებოდნენ თანამედროვეობას; კარჩაკეტილობა, რომლისკენაც მიისწრაფვოდნენ მეფისწულებიც, დამღუპველად მოქმედებდა საქართველოს ბედ-იღბალზე.

ჯარის მართვის სისტემაც ისეთი იყო, როგორიც მობილიზაციის სისტემას შეეფერებოდა. არავის არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, თუ მხედრობის ესა თუ ის ნაწილი როგორ და რა სახის სამსახურში გამოიყენებოდა (არტილერისტები, ცხენოსნები, მზვერავები, მეცხოვნეები, შიკრიკები, მეკავშირეები და სხვ.). მხედრობის ძირითადი მასის წვრთნა, რაც ევროპის სახელმწიფოების არმიებში დიდი ხნის დაკანონებული იყო, აქ არავის აგონდებოდა კრწანისის წინა წლებში. ერთი შეხედვით, არსებობდა ქართველი ჯარის უმაღლესი სარდლობა და მასში თანამდებობებიც განაწილებული იყო, მაგრამ მოუწესრიგებლობისა და უსისტემობის ნიშნები აქაც ჩანდა.

უმაღლესი სამხედრო მოხელე—სარდალი სულ სამი ყოფილა: ერთი კახეთიდან (ჩოლოყაშვილი), მეორე ქართლიდან (ამილახვარი) და მესამე სომხითიდან (ორბელიანი). ეს მოხელეობა მემკვიდრეობით გადადიოდა გვარის წარმომადგენლებზე. ამათ მოსდევდნენ ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფრთების უფროსები, არტილერიის უფროსი, მეფის მხლებლები (უფროსები და უმცროსები), ათასეულის, ხუთასეულისა და ასეულის მეთაურები, მედროშეები, და სხვანი. „თუმცა ყველა ესენი არსებობენ, მაგრამ ლაშქრობისას არასოდეს თავიანთ ადგილებზე არ არიან — ერთთავად მეფის ირგვლივ ტრიალებენ. მათი ხელქვეითები თავიანთ ნებაზე დადიან და მწყობრში ყოველგვარი წესის გარეშე დგებიან — მათი ბანაკი წააგავს გლეხების თავშეყრას სავაჭროზე. არა ჰყავთ მოწინავე რაზმები და ზურგის დამცველი ყარაულები, რის გამოც არ არის ღამე, რომ ცხენები, ზოგჯერ კი ადამიანებიც არ გაიტაცოს მოწინააღმდეგემ. ასევე ექცევიან ესენი თავიანთ მოწინააღმდეგეს. მხედრული დისციპლინა და უფროს-უმცროსობა სრულიად არ არის, ამიტომ მათი ლაშქრობა

[8] Хлеба достаточно, особенно в Казахах и Шамшадилах... пшена сорочинского изобильно; так же проса, ячменя и кукурузы; ржи и овса вовсе нет; сеют только на семена для масла; шелку весьма много, только посредственной доброты; (Бурнашев, «Картина Грузии»...», стр. 1 — 2). «Провиант не приготовляется: каждый идущий на войну, берет с собою сколько может, а оттого часто претерпевают голод; иногда бывает подвоз из Тифлиса, но редко, а потому на походе берут хлеб и прочее из селений без разбора». Бурнашев, «Картина Грузии». გვ. 5 — 6.

მათივე მამულისათვის ძალზე გამანადგურებელია"[9].

აქ შეიძლება ნაკლები მოთხოვნა წაუყენოთ ქართველ ჯარს იმასთან შედარებით, რასაც თუნდაც რუსეთის ჯარისათვის გავითვალისწინებთ, მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ საერთოდ ჯარისათვის წასაყენებელ ამ მინიმალურ მოთხოვნასაც ვერ უპასუხებდა ქართველი ჯარის მართვის, ორგანიზაციისა და შეიარაღების დონე... და მიუხედავად ამისა ქართველი მხედრობის გმირობის ხმა და სახელი ფრიად შორს იყო გავარდნილი. ქართველი გლეხი, პირველ ყოვლისა, ჭირში იყო თუ ლხინში, სახლში თუ გარეთ, ნიადაგ თან ატარებდა იარაღს; მარტო თუ რაზმში, ქვეითად თუ ცხენდაცხენ, ყოველთვის მზად იყო ჰკვეთებოდა მტერს და შედარებით იშვიათად ხდებოდა, რომ დამარცხებული გამოსულიყო ბრძოლიდან.

სად, რაში უნდა ვეძიოთ მიზეზი, ქართველი ხალხის გმირობისა და გამარჯვებისა, რამაც ასე შორს გაიტანა არა ერთი და ორი ქართველი გმირის ვაჟკაცობის ამბავი?

ძალზე ზერელე და მტკიცე საფუძველს მოკლებული იქნება ქართველი მეომრის დიდი სიმამაცის ასახსნელად მარტო იმის თქმა, რომ მისი წინაპრები თავიანთი სიცოცხლის ორ მესამედს ბრძოლებში ატარებდნენ, რომ ტრადიციულად თაობიდან თაობაზე გადადიოდა იარაღის სიყვარული, რომ პატარაობიდანვე წვრთნიდნენ შვილებსა და შვილიშვილებს ხმლის, ხანჯლის, თოფისა და დამბაჩის გამოყენებაში და სხვ. თუმცა არც ამის უგულებელყოფა შეიძლება.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას შემდეგი: ისეთ ქვეყნებთან შედარებით, როგორიც იყვნენ რუსეთი, თურქეთი და ირანი, საქართველო მეტად უმნიშვნელო ტერიტორიას ჰფლობდა. თუ, მაგალითად, რუსეთის ან ირანის ჯარის სარდლებს შეეძლოთ დაეხიათ უკან, თავიანთი ქვეყნის სიღრმეში, ასეული კილომეტრებით და ამით მაინცდამაინც დიდ საფრთხეს არ შეუქმნიდნენ თავიანთი ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებს. შეეძლოთ თამამად მიემართათ აქედან გამომდინარე ფართო მასშტაბის ოპერაციებისათვის, — ქართველ სარდლებს არასოდეს არ ჰქონიათ ასეთი გასაქანი. ასეთი მასშტაბით ტერიტორიის დათმობაზე წასვლა, რა მიზნითაც უნდა მომხდარიყო ეს, საქართველოს დაღუპვას მოასწავებდა. ამიტომ ქართველი მხედრების ბრძოლა ყოველთვის სწრაფი და თავბრუდამხვევი იყო, რათა ძალზე მცირე სივრცესა და დროში გადაწყვეტილიყო ყველაფერი. სტრატეგიული თვალსაზრისით, ამით და მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ქართველი სარდლებისა და მხედრების გმირული ომები დამპყრობლების წინააღმდეგ. ამას უწევდნენ განსაკუთრებულ ანგარიშს ქართველი მხედართმთავრები თავიანთი ტაქტიკური ხერხების შემუშავებისას.

მაგრამ ქართველი გლეხკაცობის — ჯარის ძირითადი მასის გმირობისა და თავგანწირულობის ასახსნელად სრულიადაც არ კმარა ეს საფუძვლები. ძ ი რ ი თ ა დ ი ი ს ა რ ი ს, რომ თავდადებისა და სიმამაცისათვის საბაბს იძლეოდა ქართველი ხალხის მწარე გამოცდილება; მათ არაერთხელ მოეხარათ ქედი დამპყრობთა მძიმე უღელქვეშ, არაერთხელ მდგარან გადაგვარებისა და გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე. ეკონომიური და კულტურული დაკნინებისა და დაბეჩავების მეტი არაფერი მოსდევდა სამხედრო დამარცხებას. ქართველი გლეხკაცობა, ქართველი ფეოდალების მიერ უმოწყალოდ ექსპლოატირებული, ორმაგი ყვლეფისა და წამების მსხვერპლი ხდებოდა უცხოელთა სამხედრო გამარჯვების შედეგად. მარტო ეს სავსებით საკმარისი იყო საოცარი ვაჟკაცობის გამოსაჩენად საყვარელი მიწა-წყლის დაცვისათვის ბრძოლაში, მაშინაც კი, როცა ერთ ქართველ მხედარზე ხუთი-ექვსი უცხოელი მოდიოდა.

მაგრამ მთელი ხალხის ერთსულოვანი-

[9] Бурнашев, დასახელებული წყარო.

დარაზმვისა და მისი სულიერი და მატერიალური შესაძლებლობის მობილიზაციის საქმესაც ესაჭიროებოდა პოლიტიკური და ადმინისტრაციული თპოსნობა, წინამძღოლობა, და სწორედ ამაში იჩენდა ხოლმე თავს საბედისწერო ბზარები ერის მესვეურთა შორის. დასასრულ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველობა არასოდეს არ შესჯახებია ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მხედრობას. მას საქმე ჰქონდა მხოლოდ ირანისა და თურქეთის იარაღთან, ამ ქვეყნების არმიებთან, რომელნიც თავიანთი შეიარაღებით და მართვის სისტემით თითქმის არაფრით არ სჯობდნენ ერეკლეს ჯარს; პირიქით, არტილერიით, უკანასკნელ წლებში მაინც, ქართველობა უკეთესად გრძნობდა თავს. ამგვარად, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ქართველი მხედრები, ამ მოუსვენარ მეზობლებთან თავდაცვითს ბრძოლებში მ ხ ო ლ ო დ რ ი ც ხ ო ბ რ ი ვ ა დ ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს და არა ორგანიზაციით, გაწვრთნილობით, შეიარაღებით, ამასთან, ქართველი მხედრები, რომელნიც იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალს, იმედიანად გრძნობდნენ თავს ზურგში: სარგებლობდნენ უშუალოდ ზურგში მყოფი ხალხის მხარდაჭერით, ციხეებით, კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას, მაშინ, როცა შორეული ადგილებიდან მოსული დამპყრობელნი თითქმის სრულიად მოწყვეტილი იყვნენ ზურგს, — ვერ იყენებდნენ არტილერიას, არ იცნობდნენ კარგად ადგილმდებარეობას; ამიტომ გონებამახვილი ქართველი მხედართმთავრები ძალიან ხშირად კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებდნენ, ზოგჯერ ანადგურებდნენ კიდეც მრავალრიცხოვან მტერს.

ერეკლეს დროის ქართველი მხედრობის ტაქტიკური ხერხების განმარტებისას შეუძლებელია რაიმე გარკვეული წესებისა და კანონების ჩამოყალიბება, მით უმეტეს, რომ ასეთი საერთოდ აღიარებული სახელმძღვანელოს მსგავსი არაფერი არსებობდა; ყველა სარდალი სარგებლობდა თავისი პირადი გამოცდილებით და გადმონაცემებით, ხოლო გამოცდილება საკმაოდ დიდი ჰქონდა ყველა მათგანს.

შეიძლება ითქვას, რომ წმინდა მოგერიებითს ბრძოლებს ქართველები იშვიათად ეწეოდნენ. ხელჩართული შეჯახება იყო დასაწყისი და დასასრული ყველა ბრძოლისა. თუ მოწინააღმდეგენი, ჩვენს დროში, ხელჩართულ ბრძოლამდე ახდენენ გამანადგურებელ ზეგავლენას ერთმანეთზე და იერიშის მომენტისათვის ფრიად შელახულია ორივე მხარე, იმ დროს ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ შეჯახებამდე რაიმე საგულისხმო დანაკლისი ჰქონოდათ მოწინააღმდეგე მხარეებს. იერიში და ხელჩართული ბრძოლა ყოველთვის ფიცხელი და სისხლისმღვრელი იყო. მაგრამ მაშინაც ხელჩართულ ბრძოლას წინ უსწრებდა სათანადო ზვერვა ორივე მხრიდან. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს სისტემატურად ადევნებდნენ თვალყურს აგენტურული ზვერვითაც.

ამ დიდმნიშვნელოვან სამსახურს ფრიად ოსტატურად ასრულებდნენ ვაჭრები, რომელნიც გამუდმებით მოგზაურობდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორპირობასაც ხშირად ექნებოდა ადგილი: ყალბი ცნობების წარდგენა შეცდომაში შესაყვანად, ერთგულების ნიღბით საყურადღებო სამხედრო საიდუმლოების გამოტყუება და სხვა. მით უმეტეს, რომ ყველა თვალსაჩინო ვაჭარი თითქმის ყოველთვის მეფის, ან მეფისწულების კართან ძალზე ახლო იდგა და შინაურულად ტრიალებდა მათ წრეში. ერთი ასეთი ვაჭართაგანი, არტემ არარატელი (არარატიანი) 1812 წელს გამოცემულ მოგონებებში წერს: ბატონიშვილი გიორგი იმდენად იყო დამოკიდებული ვინმე მათევოსის ჯიბეზე (სიღნაღში) და ამ მათევოსს ისე თამამად ეჭირა თავი მის სასახლეში, რომ გიორგი, არც ისე იშვიათად, პირდაპირ მისი მითითების საფუძველზე ღებულობდა ზოგიერთ გადაწყვეტილებასო. ამავე არარატელს თავის მოგონებებში ერთი საინტერესო

ეპიზოდი აქვს გადმოცემული: 1795 წლის სექტემბრის დასაწყისში, ე. ი. მაშინ, როცა აღა-მაჰმად-ხანი იაღლუჯს იყო მომდგარი, თვითონ არარატელი ქალაქგარეთ გავიდა, აბანოებისაკენ, რათა ირანიდან მომავალ ქარავანს შეხვედრო და და, როგორც თვითონ ამბობს, როგორმე შემოეპარებინა ეს ქარავანი თბილისში (ბაკის გადაუხდელად). მაგრამ აქ იგი შეიპყრეს თურმე ქართველმა ჯარისკაცებმა, რომელნიც კრწანისთან იყვნენ თავმოყრილი მტრის დასახვედრად, დააკრეს ზარბაზანზე და უმოწყალოდ სცემეს, თმა აგლიჯეს და ციხეში ჩააგდეს. არარატელი ამბობს: მე ქართული არ მესმოდა, გარდა ერთი სიტყვის, „ჯაშუშისაო", ამ სიტყვას ყვიროდნენ და კეტებს მირტყამდნენო. იმავე დღეს არარატელის განთავისუფლების შესახებ განკარგულება მიეცა ციხის უფროსს. არარატელი აღიარებს, რომ მე ამ საქმეში დამეხმარა ერთი დიდი თბილისელი ვაჭარი, რომელიც თვით მეფესაც კარგად იცნობდაო. ასეთ ვითარებაში, მართლაც რომ შეიძლებოდა არა მარტო ჯაშუშობა, არამედ გავლენიანი პირების მოსყიდვაც.

შემდეგ ვაჭარი მოგვითხრობს, თუ როგორ „გაისეირნა" ქალაქგარეთ, დილის ველისაკენ, და როგორი გულდასმით უთვალთვალებდა ერეკლეს დასახმარებლად ჩამოსულ იმერელ მხედრობას. შეიძლებოდა ეს გასეირნება უცხო ქვეყანაში მოხვედრილი კაცის უბრალო ცნობისმოყვარეობით აიხსნას, მაგრამ არარატელი თვითონვე გვაცლის ასეთი დასკვნის საფუძველს: იგი ჯერ ერთი, ზუსტად ადგენს იმერელი მხედრობის რიცხვს და აცხადებს, რომ ჩემი რწმენით, სოლომონ მეორეს 2000-ზე მეტი კაცი არ მოუყვანიაო. შემდეგ, როგორც ეს საქმის კარგ მცოდნეს შეეფერება, ადვილად არკვევს, რომ .ზურაბ წერეთელს უცდია ერეკლე მეორის მოტყუება და თითქმის მიუღწევია კიდეც ამისათვის: ზურაბ წერეთელმა მხედრობა გაფანტა ველზე და ისე მოაჩვენა ერეკლეს, თითქოს რვა ათასი, ისიც რჩეული მეომარი, მოვიყვანე თბილისის დასაცავადო, — ამბობს არარატელი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არარატელმა კრწანისში თავმოყრილი მხედრობა დაათვალიერა, თბილისის ახლო-მახლო სოფლებიც მიიარ-მოიარა და მაშინ მისი გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობა საეჭვო გახდება..[10]

ზვერვის სამსახურისთვის ერთგვარი სარგებლობა მოჰქონდა ქართველი ტყვეების დაბრუნებას სამშობლოში, რაც არც ისე იშვიათი მოვლენა იყო. არ არსებობს საბუთები ქართველების სპეციალური გამგზავრების შესახებ დასაზვერავად მეზობელი ქვეყნების სიღრმეში. ჩვენი აზრით, ასეთი რამე ხშირად არც უნდა მომხდარიყო. ჯერ ერთი, არავითარი შედეგის მოტანა არ შეეძლოლეკებისა და სხვა მცირე მეზობელი კუთხეების აგენტურულ დაზვერვას. ამ კუთხეებიდან მუდამ მოდიოდნენ მძარცველები, და შეუძლებელი იყო მათი თავდასხმის დროისა და მიმართულების წინასწარ განსაზღვრა. ცნობილია, რომ სწორედ ასეთმა ყაჩაღურმა ბრბოებმა აღა-მაჰმად-ხანის გამოჩენამდეც თვალსაჩინოდ დაასუსტეს ქართლ-კახეთის სამეფო. შემდეგ, ისეთი მეზობლების აგენტურული დაზვერვაც, როგორსაც ირანი და თურქეთი წარმოადგენდნენ, არსებითად, უაზრო და უსარგებლო იყო. მათი მმართველები, როცა კი ახერხებდნენ, ვეებერთელა ჯარით მოდიოდნენ და ასეთ შემთხვევაში ქართველები საჭიროდ არ სთვლიდნენ ანგარიში დაეწყოთ, მაშინვე ხმალს იღებდნენ და გაფთრებით ეკვეთებოდნენ ხოლმე მტერს. მაგრამ ქართველი მეფეები, განსაკუთრებით კი, ერეკლე, თვალს არ ხუჭავდნენ სინამდვილის წინაშე, ფხიზლად უთვალთვალებდნენ მათ მდგომარეობას და საფუძვლიანადაც ერკვეოდნენ აღმოსავლურ პოლიტიკაში.

ჩვეულებრივი საჯარისო დაზვერვის უგულებელყოფა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ბრძოლის წინა

[10] «Жизнь Артемия Араратского", СПБ, 1813 წ., ნაწ. II.

დღეებში დაზვერვა აუცილებლად სრულდებოდა ცხენოსანი გუნდების საშუალებით, მაგრამ იმის გამო, რომ დაზვერვის სამსახურისათვის არავინ იწვრთნებოდა, გამორიცხული არ იყო შეცდომები. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთ დაზვერვას შეეძლო დაედგინა მხოლოდ მტრის არსებობის ფაქტი ადგილმდებარეობის ამა თუ იმ უბანზე. რაც შეეხებოდა მტრის რიცხობრივ შედგენილობას, მისი შეიარაღების ხასიათსა და მის განზრახვას, ამ ცნობების მოპოვებისათვის მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებები იყო საჭირო, რისთვისაც თავს არ იტეხდნენ მზვერავები. ერეკლეს ესმოდა ამ აუცილებელი ცნობების უდიდესი მნიშვნელობა. ის თვითონ მიდიოდა წინ, ბრძოლით და თვალთვალით მოსინჯავდა ხოლმე მტრის ძალებსა და მოძრაობის მიმართულებას.

ბრძოლის წინა საათებში დაზვერვა უფრო ცხოველ ხასიათს ღებულობდა თვალთვალის საშუალებით, რასაც ჯარის მოწინავე ნაწილები ასრულებდნენ.

ახლა შევეხოთ ერეკლესეული ქართველი მხედრების ტაქტიკურ ხერხებსაც. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ქართველობა მრავალრიცხოვანი მტრის განადგურებას გარშემორტყმის საშუალებით ახერხებდა. ყოველი ასეთი ცდა გამართლებას პოულობდა მხოლოდ მტრის მცირე რაზმების განადგურებისას, როცა მოწინააღმდეგეზე რამდენჯერმე მეტი ძალა მოეპოვებოდათ ქართველ სარდლებს. უფრო ძნელი იყო მტრის შემოვლა და მის ღრმა ზურგში მოქცევა. მტრის მოზრდილ ძალებთან ბრძოლაში ქართველობა ელვისებრი დარტყმით აღწევდა გამარჯვებას. თავბრუს ახვევდა მოწინააღმდეგეს, არევ-დარევა შეჰქონდა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე, ფანტავდა მის ძალებს და შემდეგ, საბოლოოდ სდევნიდა ან სპობდა დაქსაქსულ მტერს. ქართველ მხედართა პირველი დარტყმა ყოველთვის ძლიერი იყო დანარჩენ დარტყმებთან შედარებით.

ასეთი იყო ერთი ძირითადი ხერხთაგანი მრავალრიცხოვან მტერზე გამარჯვებისა. მეტად მოქნილი და გარეულ შაბლონური წყობისა და წესებისაგან თავისუფალი ქართველი მხედრობის ტაქტიკა გზა-კვალს უბნევდა კარზე მომდგარ მტერს. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მოწინააღმდეგენი ძალზე ზერელედ იცნობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს სასაზღვრო ზოლს და ადგილის ხასიათს. მათ მოქმედებას ზურგიდან ან ფრთებზე თავდასხმის შიში აფერხებდა.

ეს ელვისებური დარტყმა, რასაც მხოლოდ ცხენოსანი ჯარი ასრულებდა, მეტად მცირე მასშტაბისა იყო თავისი მოცულობით (ძალა, სივრცე, დრო); ჯერ ერთი, მასში ყოველთვის არ იღებდა მონაწილეობას მთელი ქართველი ჯარი. ეს იყო ცხენოსანი ავანგარდი. მის დანიშნულებას შეადგენდა დაექსაქსა ღა შეძლებისამებრ დაესუსტებინა მოწინააღმდეგე, მოემზადებინა პირობები მთავარი ძალების გაშლისათვის. შემდეგ, იგი ეწყობოდა ძალზე მოკლე მანძილიდან, რომლის ზუსტად დადგენა არ შეიძლებოდა (ადგილმდებარეობის ხასიათის მიხედვით). დასასრულ, ეს პირველი ცხარე შეჯახება სულ მალე ფიცხელ ხასიათს ღებულობდა: მოწინავე რაზმის დასახმარებლად გაქანებული მოდიოდა დანარჩენი ჯარი, რის შემდეგაც, პირველ ყოვლისა, ხმალი სწყვეტდა საკითხს. ხოლო ქართველთა ხმლის მჭერლობაზე მთელს აზიასა და ევროპაში ბევრი რამ იცოდნენ.

ასეთი იყო შეტევითი, უფრო სწორად, შეხვედრითი ბრძოლის ხასიათი ქართველი მხედრობისა, რაც, თითქმის ყოველთვის, ერეკლეს სასარგებლოდ თავდებოდა. ამის შემდეგ ეწყობოდა თავბრუდამხვევი დევნა. ერეკლეს არ ყვარებია მტრის გაბრუნებით დაკმაყოფილება, იგი დაუყოვნებლივ აწყობდა დევნას და ამ საქმისათვის კარგად იყო გაწაფული ქართველი ცხენოსანი.

არ შევჩერდებით მოგერიებითი ხასიათის ბრძოლაზე, რადგან, თანამედროვე

გაგებით, ღია ადგილზე ასეთ ბრძოლას ძალიან იშვიათად ჰქონდა ადგილი. ქართველი მხედრობა იშვიათად მიმართავდა სანგრების აგებასა და სხვა საფორტიფიკაციო ღონისძიებებს... მტრის მიერ ძლეული ჯარი განუწყვეტლივ მოძრაობდა, ეძებდა გასასვლელებს, არღვევდა ალყას, დროებით არიდებდა თავს მოწინააღმდეგეს, ხელახლა იკრებდა ძალებს და მოკლე მანძილზე აწყობდა შემოვლას, უკიდურეს შემთხვევაში, ციხე-გალავნებს მიმართავდა, ღია ადგილზე კი არასოდეს მიჯაჭვულა. საქმე ისაა, რომ სასროლი იარაღის განვითარების დონე სრულიადაც ვერ უპასუხებდა მტკიცე მოგერიებითი ბრძოლის მოთხოვნებს. თოფის ხელახლა გატენამდე მტრის ცხენოსანნი გადაუვლიდნენ თხრილებს. ასევე არა საიმედო იყო არტილერიის ცეცხლი შემტევი მტრის შესაჩერებლად; ხოლო არტილერიას იშვიათად თუ წაიღებდნენ ხოლმე ქართველები შორს მანძილზე. სულ სხვა იყო ვიწრო კლდე-კარებში ჩასაფრება, მიუდგომელი სიმაღლეების დაკავება და სხვ.

თეიმურაზ მეორე, რომელიც ლაშქრად მყოფი პირდაპირ „ცხენს მჯდომი“ წერდა თავის ლექსებსა და პოემებს, „დღისა და ღამის გაბაასებაში“ მეტად ოსტატურად აღწერს, რასაკვირველია, ქართველთა ტაქტიკურ ხერხებს. იგი გვემოწმება, რომ ყოველ რაზმს სარდალი ჰყავდა, ხოლო სარდალს წინასწარ მეფის მიერ მიცემული დროშა ჰქონდა, რომლის ქვეშ, საჭიროებისამებრ, ვალდებული იყო დამდგარიყო სადროშოს ყველა მოსახლე, რომელსაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. ბრძოლის წინ ყოველი რაზმი (სადროშოს), რომელთაგან თვითეული 12 ათასი კაცისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, მოსულ მტერთა დასახვედრად ასეთ წყობას მიიღებდა: წინა მწკრივში დგებოდნენ ქვეითი მეთოფეები, მათ უკან — ცხენოსანი მეთოფეები, შემდეგ მწკრივში — შუბოსნები, რომლებსაც „შეკაზმული აქვთ ტანია“. ბრძოლა იწყებოდა ზარბაზნების ცეცხლით ჯერ კიდევ შორს მყოფ მტერზე, შემდეგ „ესვრის ქვეითობა“ და ცხენიანი მეთოფეები, ბოლოს მტერზე მიიწევდა „მეშუბარი“ და ამგვარად „თელი ეს რაზმი („მეწინავე“) ბრძოლაში ჩაებმებოდა, რომელსაც შემდეგ ეშელონებში მყოფი „სხვა დროშები“ (რაზმები) „ზურგს მოაბამს ვით კლდე მყარი“ და შემდრკალი მტრის დევნაც იწყებოდა.[11]

კარგ მეომარს მოეთხოვებოდა ბრძოლის კარგად ცოდნა ცხენდაცხენ, ქვეითად, მარტო და რაზმში.

ჯარის მართვის შესახებ (ბრძოლაში) ფრიად უმნიშვნელო ცნობებია დაცული, მაგრამ არსებულიდანაც შეიძლება რამდენიმე დასკვნის გამოტანა.

საყურადღებოა, მაგალითად, ცხენოსანთა ჩამოქვეითება უშუალოდ იერიშის წინა წუთებში, რასაც ხშირად მიმართავდა ერეკლე. იგი, მაგალითად, აფრთხილებს ჯარს (ომი აზატ-ხანის წინააღმდეგ), „სანამ მე ცხენზე არ შევჯდე, თქვენ ნურავინ შეჯდებით და სანამ ჩემი თოფი არ გავარდეს, ნურავინ გაისვრითო“.[12]

რა დადებითი მხარეები ჰქონდა ამ ხერხს?

ჯ ე რ ე რ თ ი, ჩამოქვეითებული ჯარი ბევრად უფრო ძნელი შესამჩნევია მოწინააღმდეგისათვის, ეს კი აუცილებელია მტერთან ძალზე ახლოს მისასვლელად, მტრის შესაცდენად;

მ ე ო რ ე, ჩამოქვეითებული მეომრების თოფის ცეცხლი ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე ცხენდაცხენ ნასროლი თოფისა.

თოფების დაცლისთანავე მხედრობა უეცრად მოახტებოდა ცხენს და იერიშზე გადადიოდა.

ეს ხერხი მორალურადაც გამანადგუ-

---

11 ე. თაყაიშვილის აღწერით სადროშოს სარდლისადმი მეფის მიერ ნაბოძები დროშა „იყო ვერცხლისა მრგვალი, ვერცხლისავე ლულით ხეტარზე ჩამოცმული. შუაში ორივე მხარეს დროშაზე გამოხატული იყო წმინდა გიორგი და ზემოდამ დროშას აგვირგვინებდა ვერცხლისავე ჯვარი“ (იხ. „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“ (1907 წ.).

12 „მეფე ერეკლეს გლეხი გმირები“, 1902 წ.

რებლად მოქმედებდა მტერზე: ჯერ ქართველი ჯარის ერთბაში ზუსტი ცეცხლი და შემდეგ მოიერიშე ცხენოსანთა სრულიად მოულოდნელი გამოჩენა ზარდამცემი ყიჟინით და აპრიალებული ხმლით.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ბრძოლაში არც ერთ მხარეს არ გააჩნდა მართვის რაიმე ტექნიკური საშუალება, მაგრამ, რადგან შესაფერი მართვის გარეშე კარგი შედეგი არ არის მოსალოდნელი, საჭიროა აქაც განვაზოგადოთ ზოგი რამ.

ბრძოლის მთელ მანძილზე მოქმედების გეგმის განუხრელ განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფდა მეფის საერთო მითითება ჯარის ცალკეულ ხელმძღვანელებისადმი ბრძოლის გაშლამდე. ეს უდავოა და არც განმარტებას საჭიროებს.

ხოლო, ბრძოლის პროცესში შექმნილი ვითარების შესაბამისად, საჭირო იყო დამატებითი განკარგულებანი, რასაც აგრეთვე ძირითადად მეფე იძლეოდა; დაბალ რგოლებში კი სარდლები ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს. ამ განკარგულებათა გადასაცემად პირობითი ნიშნები ჰქონდათ. ეს ნიშნები მუდმივი არ იყო და წესდებოდა უშუალოდ ბრძოლის წინ (გარდა მცირე გამონაკლისისა): დროშის გადახრა-მოქნევა ჯარის იმ ჯგუფისაკენ, რომელსაც რაიმე ახალი დავალება ეძლეოდა, თოფის ან დამბაჩის გასროლა, ხმის მიწვდენა, შიკრიკების გაგზავნა და სხვ. ასეთი იყო აღნიშნული პირობითი ნიშნები.[13]

ჯარის მართვა კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებითაც კი უაღრესად რთული და მძიმე საქმეა; მართვის სირთულე განსაკუთრებით იმდროინდელი სწრაფცვალებადი ბრძოლის პირობებში იყო საგრძნობი, და თუ ქართველობა ერეკლეს დროშის ქვეშ იმ ბრძოლებიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, ეს უნდა მიეწეროს სამშობლოსადმი ამ მხედრობის უსაზღვრო სიყვარულს და აგრეთვე პატარა ჯარის მხედრულ ნიჭსა და უნარს.

ახლა კი დავუბრუნდეთ იმდროინდელი ქართლ-კახეთის მესვეურთა და სარდლობის ღონისძიებების განხილვას აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი შემოსევის პერიოდში, კერძოდ, ქართველი ლაშქრისა და მთელი სახელმწიფოს ომისათვის მომზადების საკითხებს.

თავი მეორე

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურებმა იცოდნენ ამიერ-კავკასიაში აღა-მაჰმად-ხანის არმიის შემოჭრის სამზადისი, იცოდნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ეს არმია 1795 წლის 4 აგვისტოს არაქსზე გადმოსვლას დაიწყებდა.[14] რაკი ეს ასეა, უდავოა, რომ ქართლ-კახეთის სარდლობაც შეუდგებოდა შინაურ ძალთა მობილიზაციისა და სათანადო თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას. მაგრამ ამის შესახებ, სამწუხაროდ, არავითარი სერიოზული ცნობები არ გაგვაჩნია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ალ. ორბელიანის ნაშრომს „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“,[15] ალ. ორბელიანის მიერ თავმოყრილი მასალიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესოა ერეკლე მეორის მიერ დასახული გრანდიოზული სტრატეგიული გეგმა აღა-მაჰმად-ხანის არმიის განადგურებისა თბილისის სამხრეთით, სარვანის ველის მიდამოებში.[16] ამ გეგმის მიხედვით, აღა-მაჰმად-ხანის არმია უნდა შეეტყუებინათ იაღლუჯა-სოღანლუღის მიდამოებში, წინასწარ დაჯგუფებული ჯარებით ერთბაში და მძლავრი იერიში მიეტანათ და პირწმინდად მო-

[13] „ბრძოლას შენ შენის მდევრებით მაშინ დაიწყებ, როცა ბაირახტარი შენს ჯარისაკენ მობრუნდება და ბაირაღს მომართავს“. („მეფე ერეკლეს გლეხი გმირები“).

[14] Бутков П. Г. «Материалы для новой истории Кавказа», ч. III, стр. 257.

[15] ალ. ორბელიანი (1800-1869 წწ.), იხ. ჟურნალი „მოამბე“, № 8, 1895 წ.

[16] იხ. ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია, ყურყუთას „ჭალიდამ იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა“ (გვ. 48).

ესპოთ იგი. ამ დიდი ოპერაციისათვის საჭიროდ უცვნიათ უზარმაზარი ლაშქრის თავმოყრა (80 ათასი კაცი), რომელიც ხუთ ნაწილად უნდა გაყოფილიყო; ერთი მათგანი, ათი ათასი კაცის შემადგენლობით, სოღანლუღის გაღმა ჭალებში და რუსთავ-გარდაბნის სანახებში ჩასაფრდებოდა; მეორე, ასეთივე რაოდენობისა იაღლუჯის ხევხუვებში ჩადგებოდა; მესამე, ათი ათასეული პირისპირ უნდა შეხვედროდა აღა-მაჰმადხანის ლაშქარს სოღანლუღ-შავნაბადას ბოლოებთან; მეოთხე (ხუთიათასიანი) რაზმი ირანის არმიას ზურგში უნდა მოქცეოდა გატეხილი ხიდის მიდამოებში, რათა „ანასხლეტი ყიზილბაშის მეომარი“ სამშვიდობოს არ გასულიყო. დანარჩენი ნაწილი ლაშქრისა „თვრამეტი ზარბაზნით“ ტაბახმელა-შინდისთელეთის რაიონში თვით მეფის დროშასთან მოიყრიდა თავს. როდესაც მტერი სოღანლუღს შემოაღწევდა და თბილისზე საიერიშოდ შეემზადებოდა, ერეკლეს განკარგულებაში მყოფი ლაშქარი არტილერიის მხარდაჭერით თელეთ-შავნაბადის მიმართულებით დაარტყამდა ირანელებს; იმავდროულად შეტევაზე გადავიდოდნენ სოღანლუღისა და იაღლუჯის დაჯგუფებანი. ერთადერთი გასაქცევი გზა მტერს მტკვრისაკენ რჩებოდა. მაგრამ ამ დროს თავის საქმეს შეუდგებოდა რუსთავ-გარდაბნის დაჯგუფება და მტრის აღსასრულიც დადგებოდა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საიდან და როდის უნდა მოსვლოდა ქართველებს ამოდენა ლაშქარი, ვის და როგორ უნდა ეზრუნა ასეთი ოდენობის ლაშქრისათვის საჭირო სურსათის შოვნა-დაგროვებაზე, არსებობდა თუ არა ყოველივე ამისათვის აუცილებელი რეალური შესაძლებლობანი? ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა დღესდღეობით არ ხერხდება. კიდევ მეტი, დანამდვილებით არ ვიცით თუ რამდენად სწორია ალ. ორბელიანის მოწოდებული ცნობები ზემოაღწერილი სტრატეგიული გეგმის შესახებ. მაგრამ ვიმეორებთ, ასეთი თუ არა, ამის მსგავსი რამ სახელმწიფოს მომზადების დიდი გეგმა-პროგრამა აუცილებლად უნდა ჰქონოდა ქართველ სარდლობას, ვინაიდან, როგორც ვთქვით, მან კარგად იცოდა ის უდიდესი საშიშროება, რასაც ქართლ-კახეთის სამეფოს უქადდა აღა-მაჰმადხანის საომარი სამზადისი. და განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ იმ დიდი ღონისძიებების გვერდით, რასაც ერეკლე მეორე კრწანისის ომის წინა პერიოდში ასეთი დაბეჯითებითა და მოხერხებით ახორციელებდა საერთაშორისო ასპარეზზე, არაფერი ყოფილიყო გათვალისწინებული შინაგანი ძალების მობილიზაციისა და მომზადებისათვის? ჩვენი აზრით, ამ დიდი გეგმა-პროგრამის ნამდვილად არსებობისა და მისი განხორციელების სერიოზული ცდების ნიშნებს გვაძლევს თბილისის შორეულ მისადგომებთან საძოვრების გადაწვა (რაც. ალ. ორბელიანის თქმით გადაწყვეტილი ჰქონდათ ქართველებს); გატეხილ ხიდთან ხუთიათასიანი ქართული რაზმის ზურგიდან დარტყმის ნაცვლად, რამდენიმე ასეულიანი ქართველი მხედრობის გამოჩენა და თბილისისაკენ მომავალ ირანელთათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევა, ი. ბებუთოვის მიერ დადასტურებული ფაქტი იმ დიდი შიშის შესახებ, რომელიც გავრცელებული იყო ირანის არმიაში თითქოს ქართველებს მთიელთა, მათ შორის ლეკთა უზარმაზარი ლაშქარი შეეყარათ და ირანელებს ზურგიდან დარტყმით ემუქრებოდნენ.

ყველასაგან აღიარებულია ის ფაქტიც, რომ ერეკლე მეორემ ყოველგვარი მერყეობის გარეშე უარყო აღა-მაჰმად-ხანის ყველა წინადადება მოლაპარაკება-მორჩილების შესახებ და იარაღით ხელში დახვედრა გადაწყვიტა. უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა თითქოს ერეკლე მეორე ამ გადაწყვეტილების მიღებისას ჯიუტობის მსგავსი პრინციპულობით ხელმძღვანელობდა. მან ხომ იცოდა ბრძნული ნათქვამი „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან?“ ერეკ-

ლეს კარგ ვაჟკაცობაში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ სჯობდა თუ არა გაცლა, ბრძოლისათვის თავის არიდება, რაც სამხედრო ხელოვნებაში ყოველთვის სიმხდალით როდი აიხსნება?

ახლა, როდესაც 170 წელია გასული იმ მშფოთვარე დღეებიდან და ასე თუ ისე ვიცით, თუ როგორი იყო შეფარდება ერთი მეორის პირისპირ მდგარი ირანელებისა და ქართველების ძალებს შორის, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ერეკლე მეორის გადაწყვეტილება, მართლაც, არ იყო სწორი, უნდა დაეცალა თბილისი, ხოლო ლაშქარი შეენახა უფრო ხელსაყრელ დროს გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადასვლისათვის.

რის იმედით მიიღო პატარა კახმა ასეთი გადაწყვეტილება?

არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ თითქოს ერეკლე მეორეს არ შეიძლებოდა ჰყოლოდა იმაზე მეტი შემადგენლობის ლაშქარი (დაახლოებით 3.000 მხედარი ქართლ-კახეთიდან და 2.000 იმერეთიდან), რომლითაც იგი აღა-მაჰმად-ხანის 35—40ათასიანი არმიის პირისპირ აღმოჩნდა.[17]

თუ ეს დებულება მართალია და რაიმე ისტორიულ გამოცდილებას ანდა წყაროს ეყრდნობა, უეჭველია, რომ იგი თანამედროვე მკვლევარებზე ადრე და უკეთ თვითონ ერეკლე მეორისათვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. და თუ ეს მისთვის ცნობილი იყო, ამას მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივყავართ: ერეკლე მეორე დარწმუნებული იყო, რომ რვაჯერ უმრავლეს მტერს გაანადგურებდა.

მაგრამ მოვუსმინოთ კრწანისის ომის თანამედროვეებს.

თუ კი 3—5-ათასიანი ლაშქრის თავმოყრა იმდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოსათვის სარეკორდო საქმე იყო, საკითხავია, რატომ-ღა იყო ერეკლე მეორე ზედ ომის წინ „ფრიად მწუხარე... სიმცირისათვის სპათასა“?[18] თუ კი ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი ძალების მობილიზაცია ამ 4.000—5.000 ჯარისკაცის თავმოყრას ნიშნავდა, მაშინ რაღას ნიშნავს ბაგრატ ბატონიშვილის ცნობა, რომ ერეკლე მეორე „იყო მას ჟამსა უთადარიგოდ“-ო.[19] განა ცხადი არაა, რომ ადგილი ჰქონდა რაღაც დიდ ჩავარდნას, რაც თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ერეკლე მეორისა და მისი ერთგული ადამიანებისათვის!? გადაწყვეტილება აღა-მაჰმად-ხანთან შებმის შესახებ მიღებული იყო, ძალები კი არსად ჩანდა. ისინი მხოლოდ სამი წლის შემდეგ, ერეკლე მეორის დაკრძალვის დღეებში გამოჩნდნენ თელავში 20 ათასი მხედრის შემადგენლობით.[20]

მაინც რამდენი მხედრის თავმოყრის ვარაუდი უნდა ჰქონოდა ერეკლე მეორეს, რათა ბრძოლის მიღება გადაეწყვიტა? აღიარებულია, რომ ხანგრძლივი და მტკიცე მოგერიებითი ბრძოლების წარმოებისათვის, როდესაც საკმაოდ მძლავრ სიმაგრეებსაც ეყრდნობოდნენ, სავსებით საკმარისი იყო შეფარდება — ერთი მომგერიებელი სამ მოიერიშეზე. ამგვარად, ერეკლე მეორეს რომ „თადარიგი“ გამართლებოდა და ათიათასამდე მხედრობა მოეგროვებინა (არტილერია ქართველებს უკეთესი ჰქონდათ) თბილისი არ დაეცემოდა.

შეიძლებოდა თუ არა ასეთი რაოდენობის ლაშქრის თავმოყრა იმდროინდელი ქართლ-კახეთის პირობებში? ანდა, მართლაც, არ ყოფილა ასეთი რამ ფეოდალური ქართლ-კახეთის ისტორიაში? მარტო კახეთის მეფეს ალექსანდრე ლევანის-ძეს XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე 15 ათასამდე ლაშქარი ჰყავდა.[21] ეს რაოდენობა რომ გაზვიადებული არ არის, ამის დამტკიცება სხვა ფაქტებითაც შეიძლება. მაგალითად, 1625 წელს მარტო ქართლის მხედრო-

[17] იხ. ი. ცინცაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 120-121.

[18] ვახტანგ ბატონიშვილის „ისტორიები აღწერა“, გვ. 35 (1914 წ. გამოც.).

[19] ბაგრატ ბატონიშვილის ახალი მოთხრობა, თ. ქლომოურის გამოცემა, 1941 წ. გვ. 65.

[20] Бутков П. Г. «Материалы для новой истории Кавказа», ч. III, стр. 443.

[21] იხ. საქ. ისტორია, 1, 1958 წ., გვ. 275.

ბამ, მარაბდის ომში გიორგი სააკაძის სარდლობით რომ შეება შაჰ-აბასს, 9 ათასი კაცი დაჰკარგა მოკლულთა სახით. მეორე დღეს ამ ლაშქარის გადარჩენილი ნაწილი ხელახლა შეებრძოლა შაჰ-აბასის ლაშქარს. განა ნათელი არ არის, რომ ამ შემთხვევაშიც ქართლის ლაშქრის საერთო რაოდენობა 12—15 ათას კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო?.[22] შეგვიძლია დავუშვათ, რომ ალ. ორბელიანის ცნობების სიმართლე საეჭვოა და რომ საგარეჯოს მხრიდან არ შეიძლებოდა „ხელგამომავალი ორი ათასზე მეტი კარგი ცხენოსანი კაცის“ გამოყვანა, მაგრამ ხომ არსებობს უტყუარი სტატისტიკური მონაცემები იმის დასადასტურებლად, რომ იმდენი ჯარი, რამდენიც კრწანისის დღეებში ქართლ-კახეთ-იმერეთიდან მოუგროვდა ერეკლე მეორეს, შეეძლო გამოეყვანა მარტო არაგვის ხეობის სოფლებსა და „მეწინავე სადროშოს“ — საბარათიანოსა და სომხითის პროვინციებს?![23]

თვითონ ერეკლე მეორესაც „მორიგე ჯარის“ პერიოდში ყოველ თვე გამოჰყავდა სამორიგეოდ 2—5 ათასამდე მხედრობა. და ბოლოს ავიღოთ უშუალოდ კრწანისის ომის დღეები, როდესაც გიორგი ბატონიშვილს ხელთ ჰყავდა თითქმის ისეთი რაოდენობის ლაშქარი, როგორიც ერეკლე მეორეს ახლდა (იმერლობის გამოკლებით).[24]

მხოლოდ ამ ისტორიულ გამოცდილებასა და არაერთხელ შემოწმებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეეძლო ერეკლე მეორეს ევარაუდა საკმაო ჯარის თავმოყრა და აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ წარმატებითი თავდაცვითი ბრძოლების წარმოება.

ერეკლე მეორე მოელოდა დახმარებას რუსეთიდანაც, ეს უდავოა. შესაძლოა, იგი სხვა მხრიდანაც ცდილობდა დამატებითი ლაშქარი მოეყვანათ, მაგრამ უმართებულო იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს მისი შთანაფიქრი აგებული ყოფილიყო ამ საეჭვო იმედებზე და არა შინაურ რეალურ შესაძლებლობებზე.

მაშ რატომ უნდა მოვერიდოთ ამ საკითხებთან დაკავშირებული ფაქტებისა და ვითარების ობიექტურ განხილვა-შეფასებასა და იმის აღიარებას, რომ ერეკლე მეორისა და მისი გულწრფელი თანამებრძოლების ზურგს უკან მოქმედებდნენ ბნელი ძალები, რომლებიც ქართველი ჯარის ფეხქვეშ წყალს აქცევდნენ, ხოლო მტრის ფეხქვეშ სილას ჰფენდნენ? არაობიექტურობის „ცოდვის“ გარდა, ამ გზაზე დამდგარი ავტორები, მეორე, უფრო სერიოზული ცოდვის მზიდავნი ხდებიან, რადგან მათი მსჯელობის ლოგიკურ შედეგად მხოლოდ იმას ვიღებთ, რომ ქართველმა ხალხმა უღალატა თავის თავსა და სამშობლოს, სახელოვანი და გმირული ისტორიის მქონე ერი კრწანისის დღეებში უეცრად დალაჩრდა, დაფრთხა, ხოლო მისი მხედართმთავარი უგუნური ადამიანი იყო. აი ამის დამტკიცება კი არც შესაძლებელია და არც სახარბიელო.

ამგვარად, ქართლ-კახეთის პოტენციურ სამხედრო შესაძლებლობათა შეფასება საფუძველს აძლევდა ერეკლე მეორეს ეთქვა, რომ შესაძლებელი იყო აღა-მაჰმად-ხანის არმიის დახვედრა და დედაქალაქის დაცვა. სხვა საკითხია, რომ ერეკლე მეორე მოტყუებული აღმოჩნდა, მაგრამ ეს უკვე იმდროინდელი მეტად რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ისტორიის სფეროს ეხება. გაკვრით კი უნდა აღინიშნოს, რომ ხანდაზმული ერეკლე მეორე ბევრი თავზარდამცემი მოულოდნელობის მოწმე აღმოჩნდა, რამაც იგი საბოლო-

---

22 იქვე, გვ. 297.

23 იხ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით 1907 წ. გამოცემული „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, რომლის მიხედვით არაგვის ხეობიდან შესაძლებელი იყო 2 ათასზე მეტი, ხოლო მეწინავე სადროშოდან 3 ათასამდე მოლაშქრის გამოყვანა, „რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარება“. მასალები შედგენილია 1721 და 1779 წლებში.

24 Бутков П. Г., დასახელებული ნაშრომი, გვ. 358.

ოდ დაარწმუნა, რომ მას სწორად ჰქონდა გადაწყვეტილი „ქართლის ბედი“.

საინტერესოა, კერძოდ, რით აიხსნება ის გარემოება, რომ კრწანისის ომში არ მონაწილეობდნენ გიორგი ბატონიშვილი—მომავალი მეფე, მის ხელქვევით მყოფი, ირანელთათვის ძალზე საშიში კახეთ-ქიზიყის მხედრობა და ბატონიშვილი იულონი—დედოფალი დარეჯანის კანდიდატურა მეფის ტახტზე, რატომ გაჰყვა ეს უკანასკნელი თბილისიდან ევაკუირებულ მეფის ოჯახს, სწორედ იმ დღეს, როდესაც აღა-მაჰმადხანის ლაშქრის მოწინავე ნაწილები იაღლუჯის მთის ჩრდილო კალთებზე გადმოდგნენ.[25]

ბევრ რთულ კითხვას ბადებს ის გარემოებაც, თუ ყაზახიდან სოღანლუღში ლაშქრითურთ დაბრუნებულ ერეკლე მეორეს რატომ არ დაუხვდა თუნდაც სულ მცირე რაოდენობის დამატებით მობილიზებული მხედრობა? აი, ასეთ კითხვებზე ობიექტური პასუხის გაცემისას კაცს უნებლიედ აგონდება პ. გ. ბუტკოვის ცნობები იმის შესახებ, რომ ყარაბაღს შესეული აღა-მაჰმადხანი სათანადო ზომებს იღებდა ქარზე წასაკიდებლად.[26] ხანდაზმულ ერეკლეს სიცოცხლეში მეფის შვილებს შორის ტახტისათვის ბრძოლა თუ ფარულად წარმოებდა, ერეკლეს სიკვდილის შემდეგ მან დაუფარავი ხასიათი მიიღო.[27]

მძლავრი და ბრძოლისუნარიანი ლაშქრის ნაცვლად ერეკლე მეორე და მისი თანამებრძოლნი სახელდახელოდ თავმოყრილი, ნაწილობრივ დაქირავებული, საეჭვო სიმტკიცის მქონე სამიათასიანი რაზმისა და ორიათასიანი იმერელი მხედრობის ანაბარა დარჩნენ.

ქართლის ბედზე ჭეშმარიტი მზრუნველნი ღრმად შენიღბული აქტიური მზვერავებისა და გამყიდველების მთელი ბრბოებით გარემოცულნი აღმოჩნდნენ, რომელთა მტრული საქმიანობის სავალალო შედეგებზე, ჩვენი აზრით, გადაუჭარბებლად მოგვითხრობს ალ. ორბელიანი.

მართლაცდა, არსებობდა თუ არა სერიოზული ობიექტური მიზეზები კრწანისის დღეებში ქართლ-კახეთის მხედრობის მობილიზაციის ჩაშლისათვის?

ჩვენ თვალს არ ვხუჭავთ იმ ფაქტის წინაშე, რომ ქართველ არმიას არ უვარგოდა ზურგის სამსახური; იგი არ იყო რეგულარული, მხედართა ძირითად მასებს არ შეეძლოთ დიდი ხნით მოსწყვეტოდნენ მეურნეობას ანდა ლაშქრად მყოფს დიდხანს ერჩინა თავი საკუთარი სურსათით, და შესაძლოა ბევრს არც შეეძლო საკუთარი ნუზლითა და თაფლხმიადით გამოსვლა. მაგრამ როგორ შეიძლება დავიწყებულ იქნეს ის გარემოება, რომ თითქმის მთელმა წინააზიამ და ევროპამ იცოდა ამიერ-კავკასიაზე აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობისათვის სამზადისი, იყო მიწერ-მოწერა ელჩებისა, მზვერავ-აგენტებისა; სამხედრო და სამეფო საბჭოების სხდომები... და ამ დროს მაღალი მდგომარეობის ქართველი მოხელეები, მათ შორის, მეფისწულები და სარდლები, ძილს იყვნენ მიცემულნი, არაფერს აგვარებდნენ, უეცარი თავმოყრისათვის მომზადებული არა ჰყავდათ მხედრობა, არ ჰქონდათ გარკვეული რაოდენობის სურსათი. თითქოს მხოლოდ კინოებსა და გამოკვლევებში გვაქვს წარმოდგენილი სასიგნალო კოშკების მთელი სისტემები და მრავალრიცხოვან ეკლესიების სამრეკლოები, რომლებიც სწორედ ამ ძალთა უეცარი მობილიზაციის უზრუნველსაყოფად იყო გათვალისწინებული.

ამბობენ, აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღიდან უეცრად დაიძრა და ელვის სისწრაფით გამოეშურაო თბილისისაკენ, რის გამო ქართველი ლაშქრის თავმოყრისათვის დრო აღარ დარჩაო.

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ეს მართა-

---

25 იოანე ქართველიშვილის მემუარები, გვ. 72 (1952 წ. გამოც.).

26 Бутков П. Г., «Материалы для новой истории Кавказа», ნაწ. 3, გვ. 257.

27 პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936 წლის გამოცემა, გვ. 57-58.

ლი არ არის და ძირითადად საგანგებოდ თუ უნებლიედ გავრცელებული პანიკის შედეგი იყო. ოფიციალური ცნობების თანახმად აღა-მაჰმად-ხანმა შუშიდან თბილისამდე ლაშქრობას სრული ცხრა დღე მოანდომა (1—9 სექტემბერი).

არსებობს ზუსტი ცნობა იმის შესახებ, რომ 1795 წლის 4 სექტემბერს, როდესაც ქართველი მეფეები თავიანთი 5-ათასიანი ლაშქრით ყაზახში იდგნენ, მათ მიიღეს დასმენა, რომ აღა-მაჰმად-ხანი აიყარა და საქართველოსაკენ გამოეშურაო.[28]

ეს იყო სწორედ ერთი კვირით ადრე კრწანისის კატასტროფამდე. დიდი თათბირების დრო ახლა სულ აღარ იყო.

ყაზახიდან ფოილო-იორ-მუღანლოზე გადავლით ერეკლე მეორის „ჭენებით მავლებს“ ადვილად შეეძლოთ ჩასულიყვნენ სიღნაღში დღენახევარში, ე. ი. 5 სექტემბრის საღამოსათვის, ეს გზა 90—100 კილომეტრს არ აღემატება, ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ საქართველოსაკენ წამოსვლის პირველ დღეებში სწორედ ასეთი ტემპით მოიწევდა აღა-მაჰმად-ხანის მთელი ლაშქარი, და ცალკეულ ცხენოსან შიკრიკებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჭირვებოდათ ამ ამოცანის შესრულება.

სიღნაღში მყოფ გიორგი ბატონიშვილს, თუ კი მას, მართლაც, მზად ჰყავდა 3—4-ათასიანი ჯარი და სათანადო ბრძანებაც ექნებოდა, შეეძლო ჩამოსულიყო თბილისში 6—7 სექტემბრისათვის (მანძილი 110—120 კმ უდრის). შეეძლო თუ არა გიორგი ბატონიშვილს დაძრულიყო ადგილიდან? ჩვენ ამაზეც ვიტყვით.

ჯერ კი ისევ ანგარიშები...

ყაზახიდან თბილისამდე 100 კილომეტრია. ვთქვათ, რომ ამ გზის გასავლელად ქართველ ცხენოსან შიკრიკებს დღენახევარი-ორი დღე მოუნდებოდათ და „ამგვარად“, თბილისში 5-სექტემბერს საღამოს ჩამოვიდოდნენ. გზად მათ შეეძლოთ ფეხზე დაეყენებინათ სომხითი — საბარათიანო... ამის შემდეგ ცხენოსანი შიკრიკები 6—7 სექტემბრისათვის სულ იოლად ჩააღწევდნენ მუხრან-ანანურის სანახებამდე. სათანადო მზადყოფნის პირობებში 8—9 სექტემბრამდე ამ მხარეებიდან ძნელი არ იყო დამხმარე ჯარის თბილისში ჩამოყვანა. მაგრამ არა, ყაზახიდან სოღანლუღში დაბრუნებულ ქართველ მეფეებს, არც ერთი ასეული დამატებითი მხედრობისა არ დახვედრიათ.

რას აკეთებდა სიღნაღში გიორგი ბატონიშვილი, რომელიც ესოდენ მრისხანე დღეებში მაინცა და მაინც „ჭენებით მავალთა“ მოსვლას ელოდა? ამის შესახებ სდუმს მისი შვილი თეიმურაზი. ამბობენ თითქოს იგი ლეკების შემოსევის შიშის გამო კახეთს სდარაჯობდაო. მაგრამ ვის გაუგონია, რომ თავში ცემის დროს კაცი ხელებს სხვა ადგილას იფარებდეს! მაგრამ საკითხავია, ამ დღეებში თუ ლეკების შიშით იყო შეპყრობილი გიორგი და მისი დაძვრა კახეთიდან არ შეიძლებოდა, როგორ-ღა უნდა ჩამოსულიყო იგი კახეთიდან კრწანისის ომის წაგების შემდეგ, რასაც, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ვითომც აპირებდა მთაში გახიზნული ერეკლე?

არა თუ კრწანისის დღეებში, მის შემდეგაც, როცა ერეკლე მეორე დაუძლურდა, დაღესტნელი ლეკები საქართველოს არ შემოსევიან. მაგრამ იყო თუ არა საერთოდ ამის საშიშროება, რის გამოც გიორგი ბატონიშვილს სიღნაღიდან უნდა ეცქირა ცეცხლმოდებული თბილისისათვის? არა გვგონია! დაღესტნის მხედრობისა აღა-მაჰმად-ხანს უფრო ეშინოდა, და მხოლოდ ამით აიხსნება, რომ ამიერ-კავკასიაში შემოჭრისთანავე მან თავისი არმიის საკმაოდ დიდი ნაწილი დაღესტნისკენ დაძრა, რათა შეებოჭა იგი და ერეკლე მეორი-

28 იხ. ალ. ორბელიანი, „სამშაბათი დილა (1795 წლის 4 სექტემბერი. ი. შ.), რომ ინათლა ამბავი მოუვიდა (ერეკლეს) თავისი წინაყარაულებისაგან: აღა-მაჰმად-ხანი აიყარა და ჩქარა მოდისო“.

საკენ არ გადახრილიყო. თბილისის კართან მოსული აღა- მაჰმად-ხანის არმიის ერთერთი ოფიცერი — იაკობ ბებუთოვი აღიარებს, რომ ირანელები, მიუხედავად უკვე მიღებული სერიოზული ზომებისა, მაინც ეშვობდნენ, რომ თბილისის მიდამოებში ქართველების მხარდამხარ „ჩასაფრებული იყვნენ ლეკები“.[29]

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს რომ ლეკები ერეკლე მეორის სამტროდ ყოფილიყვნენ განწყობილნი, მაშინ როგორ-ღა უნდა ავხსნათ, რომ კრწანისის კატასტროფიდან რვა თვის შემდეგ, ისინი ერეკლე მეორის ლაშქარში ჩადგნენ და მასთან ერთად დაარბიეს აღა-მაჰმად-ხანის მოკავშირე — განჯის სახანო?[30]

დაღესტნის ნეიტრალური განწყობილება ქართველებს უნდა ცოდნოდათ როგორც გენერალ გუდოვიჩისაგან, რომელსაც მოქრთამული ჰყავდა ომარ-ხანი, ისევე ამ უკანასკნელის ნათესავის — შუშელი იბრეიმ-ხანისაგან, რომელიც ომარ-ხანის ერთ-ერთი ცოლის ძმა იყო. ირანთან ურთიერთობაში ამ სიძე-ცოლისძმის აზრები რომ ერთნაირი იყო, ეს იმითაც მტკიცდება, რომ 1797 წელს აღა-მაჰმად-ხანის ხელახალი შემოტევის შიშით შეპყრობილი იბრეიმი თავისი ოჯახით დაღესტანში გაიქცა და სწორედ ომარ-ხანთან შეაფარა თავი.[31]

მაშ რაშია საქმე, მოქმედების გარეშე რატომ აღმოჩნდა გიორგი ბატონიშვილი და მის ხელთმყოფი მხედრობა?

პ. იოსელიანი წერს, რომ კახელ-ქიზიყელთა მხედრობით კრწანისის დღეებში გიორგის გამოჩენა დარეჯან დედოფალს „არა ენება, რათა მეფისა ძის გიორგის დროშა არ პირველობდეს სამეფოში“ და თითქოს ამიტომ ამ უკანასკნელს „არა ჰქონდა ბრძანება ირაკლისა არცა ჯარისა შეგროვებისა და არცა მოსვლისა თბილისად“. მაგრამ ამ განმარტებას ვერ უშველია უინიციატივო გიორგის სახელისათვის, მას უკვე მაშინ „ვერ მოიხსენებდნენ კეთილად“-ო, გვაუწყებს პ. იოსელიანი.[32] იმავე წყაროში პ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ გიორგი ბატონიშვილს „მიენდვა ქიზიყისა ჯარისა შეყრა“. გიორგის ეს საქმე რატომღაც მიუნდვია ქიზიყის ყოფილი მოურავის რევაზ ანდრონიკაშვილისთვის (გიორგის ცოლისძმა), მაგრამ იგი განაწყენებული იყო დარეჯანის რჩევით მოურავობიდან გადაყენებისათვის.

რევაზ ანდრონიკაშვილს ჯარი მოუგროვებია და თბილისში ჩასვლის მაგიერ აღსტაფის გზას დასდგომია — ერეკლე მეორეს „ზაქარია მოურავთან უშველოს“-ო, როცა გაუჭირდათ, მაშინ გამიხსენესო, უთქვამს მას. აღსტაფასთან მტკვარში გასვლის შემდეგ რევაზ ანდრონიკაშვილი ყარაბაღელ და შამშადილელ ლტოლვილთა საქონელს დასცემია და ქიზიყში წაუსხამს. ქიზიყის ახალ მოურავს — ზაქარია ანდრონიკაშვილს (ერეკლეს სიძე) ქიზიყისა და გარე-კახეთის მხარეში ექვსასამდე მხედარი მოუგროვებია და ერეკლეს განკარგულებაში გამოცხადებულა. კრწანისის ომში ზაქარია მეტად „უნიჭოდ“ მოქმედებდაო, — გვემოწმება პ. იოსელიანი.[33]

ამგვარად, გიორგი ბატონიშვილის ბრძოლის გარეშე დარჩენის საკითხიც სამეფო ოჯახის შიგნით გაღვივებული კინკლაობით განიმარტება.

ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ასე მძიმე დღეებშიც კი ქართველებს არ გააჩნდათ სახსრები, კერძოდ, სურსათი ლაშქრის შესანახავადო. არც ეს არის მართალი. აქ უადგილოდ არ გვეჩვე-

2 იხ. ჟურნალი „კრუნკ ჰაიოც აშხარჰი“-ს 1863 წლის № 12-ში გამოქვეყნებული მოგონება (იქ მოყვანილია ივ. დავითიანის თარგმანით, რადგან „ივერიაში“ ქართულად დაბეჭდილი ეს მასალა ვინმე მდივანოვის (მთარგმნელის) მიერ სერიოზულად არის დამახინჯებული).

30 «Исторический журнал», № 10, 1939 г.

31 იქვე.

32 პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 44-45.

33 იქვე.

ნება არსებითი საბუთებით დავამტკიცოთ ჩვენი აზრი.

რუსეთ-ირანის 1826—28 წლების ომის მსვლელობაში ერთხანს შეიქნა ისეთი მდგომარეობა, როგორიც აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევის შედეგად შეიქმნა აზერბაიჯანში და საქართველოს საზღვრებთან.

ირანის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზაც 1826 წელს 80-ათასიანი არმიით გადმოვიდა არაქსზე, დაიპყრო ზანგეზური, ყარაბაღი, შემოერტყა შუშას და ნაწილი არმიისა განჯას შეუსია. შუშის აღების შემდეგ აბას-მირზაც თბილისზე აპირებდა გამოლაშქრებას, მაგრამ შუშასთან უშედეგო ბრძოლებს მან 48 დღე მოანდომა. 1826 წლის აგვისტოში, გენ. ერმოლოვის ბრძანებით, ირანის არმიის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა კავკასიის ცალკე კორპუსის ნაწილები. მათ აიღეს განჯა, ალყა მოხსნეს შუშას. აი, ამ შეტევაში მონაწილეობის მისაღებად ერმოლოვმა დედოფლის წყაროდან აღსტაფისაკენ გაიწვია იქ მდგომი რუსის პოლკის ერთი ათასეული. ამ ათასეულისათვის საჭირო ერთი კვირის სურსათისა და აგრეთვე აღსტაფაში მდგომი რუსის ჯარის ექვსი ასეულისათვის საჭირო ორი კვირის სურსათის მომზადება ერმოლოვმა დაავალა ქიზიყში მყოფ თავად ერისთავს. ამის გარდა, ერისთავს ებრძანა აღნიშნული ათასეულისა და ექვსი ასეულისათვის დაემზადებინა და ცალკე შეენახა კიდევ ორი კვირის სურსათი. ეს ბრძანება ერისთავმა 28 ივლისს მიიღო. ორი დღის შემდეგ ერისთავი უპატაკებდა ერმოლოვს, რომ ბრძანება შესრულებულია, ფქვილი დამზადებულია, ურმები დატვირთულია, პირველ აგვისტოს ორზე გადავლით ფოილოს ფონისაკენ მივემგზავრებიო. ამის გარდა ერისთავი ატყობინებდა ერმოლოვს, რომ ბრძანების მეორე ნაწილის შესასრულებლად უკვე დავიწყე ხორბლის დაფქვა ისე, რომ სურსათით მომარაგებაში დაბრკოლებას ადგილი არ ექნებაო. შემდეგ თავადი ერისთავი პირადად გაუძღვა ბატალიონსა და სურსათის აღალს და დანიშნულების ადგილზე დროზე ჩავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადი ერისთავი ამ დღეებში ერმოლოვისადმი გაგზავნილ თითქმის ყველა მოხსენებაში შიშს გამოთქვამდა — ლეკების მხრიდან თავდასხმაა მოსალოდნელი, რადგან იქ არის ალექსანდრე ბატონიშვილი და როდის დამაწიოკებს — არ ვიცი. ერთი სიტყვით, ერისთავსაც სიღნაღში დარჩენა ეწადა. ერმოლოვმა არავითარი ანგარიში არ გაუწია ერისთავის ამ შიშს, რადგან მთავარი საშიშროება განჯის მხრიდან იყო მომდგარი, პირიქით, მან ცოტა-ხანს მერე დედოფლის წყაროს მიდამოებში დარჩენილი ორი უკანასკნელი ათასეულიც განჯისაკენ გადაისროლა, ერისთავს კი ერთი სათადარიგო ასეული დაუტოვა და უბრძანა მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა იგი.[34]

ჩვენი აზრით კომენტარები ზედმეტია, — თუ გული გულობს — ქადა ორი ხელით იჭმება.

თავი მესამე

აღა-მაჰმად-ხანის არმიის ნაწილებმა 1795 წლის 4 აგვისტოს გადმოლახეს მდ. არაქსი[35] ჯულფა-ასლანდუზი-მუღანის ველის უბანზე და სამი სტრატეგიული მიმართულებით გაემართნენ. პირველ მიმართულებას შარვანი-ბაქო-ყუბის სახანოებზე გავლით დაღესტნის ზურგში გაჰყავდა ირანელთა მარჯვენა კოლონა; მეორე—ცენტრალური კოლონა, რომელსაც აღა-მაჰმად-ხანი მიუძღოდა, შუშა-განჯა-თბილისის მიმართულებით დაიძრა. მესამე კოლონა ერევნისაკენ გაემართა.

აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში საალაშქროდ მომზადებული აღა-მაჰმად-ხანის მთელი არმია 70 ათასამდე ჯა-

---

34 „Кавказский сборник...“ პოტტოს რედაქციით, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გამოცემა, ტ. XXIV, გვ. გვ. 161-162, 165, 167-168, 171, 203, 221-222.

35 Бутков П. Г. «Материалы для новой истории Кавказа», ч. III, გვ. 257.

რისკაცს ითვლიდა,[36] თითქმის ყველა ცხენოსანი იყო.

ამ რაოდენობიდან აღა-მაჰმად-ხანს 15 ათასამდე კაცი თავრიზი-არდებილის ბაზებისა და უშუალო ზურგის დასაცავად დაუტოვებია მურალი-ხანის სარდლობით.

შუშა-განჯის მიმართულებით წამოსული ცენტრალური კოლონის შემადგენლობის შესახებ ჯერ-ჯერობით პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მისი დადგენა საკმაო სიზუსტით ხერხდება. შუშის მიდამოებში მყოფი აღა-მაჰმად-ხანის ფირმანებიდან კარგად ჩანს, რომ თბილისზე გასალაშქრებლად მის უშუალო მორჩილებაში მყოფი ლაშქრიდან 20 ათასი ჯარისკაცი გამოუყვანია,[37] ამასთან, ბუნებრივია, რომ აღა-მაჰმად-ხანმა შუშელი იბრეიმ-ხანი საალყო მდგომარეობიდან არ გაათავისუფლა, რათა ამ უკანასკნელს ზურგში დარტყმით ხელი არ შეეშალა თბილისზე ლაშქრობისას. ამ საქმეზე მას მცირე რაზმი დაუტოვებია[38] სულეიმან-ხანის სარდლობით. მაგრამ როგორი მცირეც არ უნდა ყოფილიყო ეს რაზმი, ალყაში მომწყვდეული იბრეიმ-ხანის გარნიზონზე თუ მეტი არა, ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რათა ამ უკანასკნელის გამოხტომებისათვის პასუხი გაეცა. რას წარმოადგენდა იბრეიმ-ხანის ლაშქარი? აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის საბედისწერო საშიშროებამ ერთბაშად დაჩრდილა ყარაბაღელი მელიქებისა და იბრეიმ-ხანს შორის აქამდე არსებული უთანხმოებანი, და მათ წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტი შექმნეს, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, მხლოდ ერთი მელიქი-მეჯლუმი არ შეუერთდა.[39] თვითეულ მელიქს სულ მცირე ათასკაციანი ლაშქარი რომ მოეგროვებინა, შუშის სიმაგრეში უკვე 4—5 ათასიანი გარნიზონი შეიქმნებოდა. ალბათ, ასეთი შემადგენლობის გარნიზონი ჰყავდა იბრეიმ-ხანს 1794 წელსაც, როდესაც ქართველების დამხმარე რაზმთან ერთად, ირანელთა 8-ათასიანი კორპუსი დაამარცხა. და ეს გამოცდილება საკმარისი უნდა ყოფილიყო აღა-მაჰმად-ხანისათვის, რათა მას შუშის ირგვლივ საალყო წესების შესანარჩუნებლად 6—7 ათასიანი რაზმი დაეტოვებინა. ეს რაზმი, თბილისზე გასალაშქრებლად გამზადებული 20-ათასიანი კორპუსი და შუშის ასაღებად წარმოებული ერთი თვის ბრძოლების შედეგად მწყობრიდან გამოსული 3—4 ათასი კაცი, ერთად აღებული, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ აღა-მაჰმად-ხანის არმიის ცენტრალური კორპუსის შემადგენლობაში დაახლოებით 30 ათასი ჯარისკაცი ითვლებოდა. შემდგომში მის რიგებს კიდევ შეემატა მელიქ-მეჯლუმისა და განჯელი ჯავათ-ხანის 5 ათასამდე მებრძოლი.

რამდენი მეომარი ითვლებოდა ერევნის სახანოს დასალაშქრავად გაგზავნილი ირანის არმიის მარცხენა კოლონაში?

აღა-მაჰმად-ხანის ბრძანებებიდან, რომლებსაც იგი ერევანში მყოფ თავის ძმებს უგზავნიდა, ჩანს, რომ ნახევრად აღებული ერევნისადმი თვალთვალის გასაგრძელებლად იქ 4-ათასიანი რაზმი უნდა დაეტოვებინათ, დანარჩენი მხედრობა კი აღა-მაჰმად-ხანს (ცენტრალურ კორპუსს) უნდა შეერთებოდა (ალბათ ყაზახში) საქართველოზე ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.[40] მაგრამ რას უდრიდა ეს „დანარ-

---

36 ირანის არმიის შემადგენლობის შესახებ სხვა ცნობებიც არსებობს: „Всемирная история“ (ტ. 4, გვ. 101) 50 ათას კაცს ასახელებს, ამასვე ადასტურებს ინგლისელი ისტორიკოსი მალკოლმი, ზოგ წყაროში 80-90 ათასი ჯარისკაცია აღნიშნული და სხვ.

37 Цагарели А. «Грамоты и др. исторические документы...», ч. II, вып. I, გვ. 96.

38 «Исторический журнал № 10 1939 წ. ა. არაქელიანის წერილი «Присоединение Карабаха к царской России».

39 მელიქის ტიტული შაჰ-აბასმა შემოიღო თურქეთთან ომში ყარაბაღელთა მხრით მისთვის აქტიური მხარდაჭერისათვის, რის შემდეგ „მელიქობა“ მემკვიდრეობით გადადიოდა, თვითეულ მელიქს საკუთარი სამფლობელო და არმიაც ჰყავდა.

40 Цагарели А. «Грамоты...», გვ. 97.

ჩენი"? ჩვენი რწმენით, სწორედ ამ „დანარჩენმა" ნაწილმა გაზარდა შუშიდან თბილისისაკენ დაძრულ ირანელთა 20-ათასიანი ლაშქრის შემადგენლობა 30 ათასამდე, ე. ი. იგი 10 ათას მეომარს შეადგენდა. ეს 10 ათასი, ერევნის სათვალთვალოდ დატოვებული 4 ათასი და 1—2 ათასი მწყობრიდან გამოსული მეომარი ერთად აღებული უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აღა-მაჰმად-ხანის არმიის მარცხენა (ერევანსმისეული) კორპუსი დაახლოებით 15 ათას მეომარს ითვლიდა.

ამგვარად, აღა-მაჰმად-ხანის მარცხენა და ცენტრალური კორპუსების საერთო შემადგენლობა 45 ათას ჯარისკაცს უდრიდა. 15 ათასიანი რაზმი, როგორც ვთქვით, აღა-მაჰმად-ხანმა მთავარი ბაზებისა და ზურგის კომუნიკაციების უზრუნველსაყოფად დასტოვა, რაც მარცხენა და ცენტრალური კორპუსების შემადგენლობასთან ერთად 60 ათასს უდრის. და რაკი ამიერ-კავკასიაში სალაშქროდ გამზადებული ირანელთა მთელი არმიის შემადგენლობად 70 ათასი კაცია მიჩნეული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მარჯვენა კოლონა (დაღესტანსმისეული) 10 ათასი მხედრისაგან შედგებოდა.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ირანის არმიის ზემოდაღწერილი სტრატეგიული წყობა თითქმის ზუსტად იმეორებდა XIII საუკუნის ამიერ-კავკასიაში ჯებესა და სუბუდაის სარდლობით მონგოლთა შემოჭრის სტრატეგიულ გეგმას. მათაც თავრიზი-არდებილის მიდამოებიდან გამოსვლისთანავე მარჯვენა კოლონა შემახა-დარუბანდს გაუმიზნეს. ცენტრალური კოლონით მთიანი ყარაბაღი, შამქორი, განჯა-აღმოსავლეთი საქართველო დალაშქრეს, ხოლო მარცხენა კოლონა ანისი-ყარსი-აზრუმისაკენ წარმართეს.

აღა-მაჰმად-ხანის არმიის მარჯვენა კოლონას, არა მარტო თავის გზაზე მყოფი სახანოების დამორჩილება, არამედ, როგორც ვთქვით, მას დაღესტნის ხანების შებოჭვაც ევალებოდა, რათა მათ თავი შეეკავებინათ ერეკლე შეორისათვის დახმარების აღმოჩენისაგან.

მარცხენა კოლონის მიზანს შეადგენდა ერევნის სახანოს, როგორც ქართლ-კახეთის ვასალური ერთეულის, მწყობრიდან გამოყვანა და ირანის ძალაუფლებისადმი დამორჩილება.

ყველაზე მძლავრი, ცენტრალურ მიმართულებაზე დაყენებული ირანის არმიის ნაწილის საბრძოლო მოქმედების ზოლში მხოლოდ შუშის სახანო რჩებოდა, რომლის დამორჩილების შემდეგ თბილისამდე აღა-მაჰმად-ხანს ქართველების მეტი წინ აღარავინ გადაუდგებოდა.

არსებული მასალების შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ ამიერკავკასიაში დაწყებული სამხედრო კამპანიის წინაშე აღა-მაჰმად-ხანი შემდეგ სტრატეგიულ ამოცანებს სახავდა:

პ ი რ ვ ე ლ ე ტ ა პ ზ ე — ავანტურისტული დიპლომატიის გზითა და აგენტურული ოინებით უზრუნველეყო რუსეთისა და თურქეთის ჩაურევლობა მის მიერ დაწყებულ კამპანიაში; ძალითა თუ მოხერხებით ჩამოეშორებინა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის პირდაპირი და არაპირდაპირი მოკავშირეები, პირველ ყოვლისა, შუშისა და ერევნის სახანოების სახით; უზრუნველეყო დაღესტნის ნეიტრალიტეტი ან მისი ჩაბმა კამპანიაში ირანის მხარეზე.

კამპანიის ამ ეტაპზე, როგორც აღვწერეთ, მთელი მისი ლაშქარი გაშლილი ფრონტით თითქმის მთელ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას შემოესია. არმიის ასეთი სტრატეგიული წყობა საკმაოდ შეესაბამებოდა კამპანიის ამ ეტაპის წინაშე მდგარ ტაქტიკურ ამოცანებს: აღა-მაჰმად-ხანის არმიის გზაზე ჯერჯერობით მტრის სერიოზული სამხედრო ძალა არ ჩანდა და სრულიადაც არ იყო საჭირო მისი ლაშქრის კონცენტრირებული დარტყმები.

მ ე ო რ ე ე ტ ა პ ზ ე — აღა-მაჰმად-ხანის ძირითად ძალებს უნდა გაენადგურებინა ქართლ-კახეთის სამხედრო

ძლიერება. აქ კი საჭირო იყო კონცენტრირებული დარტყმები. ამიტომ თბილისის წინ მან თავი მოუყარა ცენტრალური და მარცხენა კოლონების ძირითად ძალებს. და არა მარტო ეს კოლონები, ზოგი ცნობით, ამ საქმისათვის თითქოს მარჯვენა კოლონაც განჯისაკენ გამოუბრუნებია აღა-მაჰმად-ხანს. ეს იყო კამპანიის დასკვნითი, ყველაზე დაძაბული და პასუხსაგები ეტაპი.

კამპანიის პირველ ეტაპზე და ნაწილობრივ მეორეზეც სერიოზულ გავლენას ახდენდა მეტად უცნაური სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობდა რუსეთ-ირანის შორის ამიერკავკასიაში გადახლართული პოლიტიკური ინტერესებიდან.

შუშა-ერევნის ხაზზე გამოსული აღა-მაჰმად-ხანის არმია დაუპირისპირდა რუსეთის არმიის „კავკასიის ხაზს“, რომლის უახლოესი საყრდენი პუნქტი ვლადიკავკაზი იყო. ამ დიდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ჯარების აღნიშნული „ხაზებიდან“, მთელი კამპანიის ყურადღების ცენტრი — ქართლ-კახეთის დედაქალაქი თანაბარი მანძილით იყო დაშორებული; აღა-მაჰმად-ხანი თითქმის მთელი თვე შეჰყურებდა არა იმდენად შუშის ციხე-სიმაგრეს, რამდენადაც რუსეთის ჯარის კავკასიის ხაზს. იგი ერევანზე მიმდგარ თავის ძმას ჯაფარ-ყული-ხანსაც აფრთხილებდა — ჯერჯერობით თავი შეიკავე ერევნის ხანზე იერიშის მიტანისაგანო,[41] ალბათ. იმისათვის, რათა გაეგო როგორ რეაგირებას მოახდენდა მისი საქციელი რუსეთის სარდლობაზე, მაგრამ მას თანდათან მოთმინების ფიალა ევსებოდა. რუსეთის ჯარების კავკასიის ხაზის სარდალი ნაწილობრივ დეზორიენტირებული გენ. გუდოვიჩი და მისი პეტერბურგელი პატრონები თავს იკავებდნენ. მაგრამ რაც დრო გადიოდა, სიფრთხილის ფასი ამ უკანასკნელთათვის სულ უფრო და უფრო მატულობდა. ახლოვდებოდა ზამთარი, სრულიად მოუწყობელი მაშინდელი საქართველოს სამხედრო გზა მალე ზვავ-მეწყერებით უნდა ჩაკეტილიყო. გენ. გუდოვიჩს შეეძლო არა მარტო ერეკლე მეორის დასახმარებლად გაგზავნილი ორიოდე ბატალიონი დაეღუპა და სახელი გაეტეხა რუსული იარაღისათვის, რაზეც ასე სასტიკად იყო იგი გაფრთხილებული, მას შეეძლო საკუთარი თავიც დაეკარგა... შუშასთან მდგომი მაცდური შაჰი კი ხმებს ავრცელებდა—მე აქ დაზამთრება მაქვს გადაწყვეტილიო.[42] საგულისხმოა, რომ შაჰის ფირმანები ძალიან ხშირად ერეკლეს ხელში ხვდებოდა და შემდეგ რუსებს ეგზავნებოდა. ასე იყო თუ ისე, თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ დრო ჯერჯერობით ირანელების სასარგებლოდ მოქმედებდა. მაგრამ სიფრთხილე მასაც სჭირდებოდა; ქართლ-კახეთის სამეფო მას ისეთ მომენტში უნდა დაელაშქრა, როდესაც რუსებთან საქმე არ ექნებოდა, რათა მოსალოდნელი საერთო გართულებისათვის საბაბი თვით არ მიეცა. დიახ, მხოლოდ ამ საბაბის მიცემას ერიდებოდა აღა-მაჰმად-ხანი, თორემ რა გავლენა უნდა მოეხდინა მის მოქმედებაზე ორი ბატალიონის გამოჩენას, დავუშვათ თუნდაც კიდევ ორი ბატალიონისა, რომლებიც საკუთარი რისკით შეეძლო დაემატებინა გენ. გუდოვიჩს?—ეს იქნებოდა სულ 2—3 ათასი ჯარისკაცი.

აღა-მაჰმად-ხანის მორჩილებაში მყოფი ლაშქარი, შუშის ბლოკირებისათვის დატოვებული ნაწილის გამოკლებით, 1795 წლის პირველ სექტემბერს,[43] აიყარა და განჯისაკენ გამოემართა. აღდამი-ბარდა-ევლახზე გავლით შუშიდან (ხათუნ-არხიდან) განჯამდე დაახ-

[41] Цагарели А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 96.

[42] აღა-მაჰმად-ხანი ერევანში მყოფი ძმის ჯაფარ-ყული-ხანისადმი გაგზავნილ ერთერთ ფირმანში წერდა: „შუშელები დაუძლურებული არიან, შეტევაზე გადასვლა ჩვენ არ ვისურვეთ იმიტომ, რომ ჩვენ აქ დაზამთრება გადავწყვიტეთ, არ გვინდა ჯარი შევაწუხოთ“-ო (Цагарели А. გვ. 96).

[43] Бутков П. Г. «Материалы...», ч. III, გვ. 257.

ლოებით 180 კილომეტრია, რაც ცხენოსან მხედრობას მეტად დაძაბული ორდღეღამიანი მარშით შეეძლო გაევლო,[44] 2—3 სექტემბერს ირანელთა ამ ლაშქრის მხოლოდ ცხენოსან ნაწილს შეეძლო განჯაში ჩასულიყო. აქ, როგორც ი. ბებუთოვი გვაუწყებს, მართლაც შეჩერებულან ორი თუ სამი დღე.[45] რათა ზურგი და მეტად ნელმავალი არტილერია დასწეოდათ. აქედანვე ირანელებს არდებილისაკენ გაუგზავნიათ ტყვეები და ნაძარცვ-ნაშოვნი.

ჩვენი რწმენით, ამ პირველ სექტემბერსავე უნდა გამოსულიყო შუშის მიდამოებიდან იბრეიმ-ხანის „ჭენებით მავალი", რომელსაც აღა-მაჰმად-ხანის ჯარზე ადრე, მოკლე გზებით, გაუვლია განჯა, ერეკლე მეორის სახელზე გაგზავნილი დასმენით ყაზახში მდგარი ქართველების წინა ყარაულების მოქმედების ზონაში შესულა და მათთვის გადაუცია მეტად მნიშვნელოვანი გამაფრთხილებელი დოკუმენტი ირანელთა ჯარის საქართველოსაკენ წამოსვლის შესახებ.

აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი განჯიდან 4 სექტემბერს დილით უნდა დაძრულიყო, რათა ასკილომეტრიანი ლაშქრობის შემდეგ 5—6 სექტემბრისათვის არტილერიითა და მთელი ბარგი-ბარხანით ყაზახისათვის მიეღწია. და აქაც ირანელებს კვლავ უნდა შეესვენათ, სულ ცოტა, ერთი დღე-ღამე, 6 სექტემბრის დილამდე, რათა უკანასკნელი გადამწყვეტი გადასვლებისათვის მოემზადებინათ ერევნის მხრიდან შემოერთებული ლაშქარიც.

ამ ამბებს გვაუწყებს დავით ბატონიშვილი: „მოვიდა ხოჯა და დადგა ყაზახში აღსტაფას ზედა და დაუტევა მუნ ბანაკი თვისი და სამეფოარნი ტვირთნიცა და წარმოიმართა ოცდახუთმეტი ათასის მსუბუქი ჯარით ტფილისსა ზედა".[46]

როგორც ვხედავთ შუშიდან დაძრული აღა-მაჰმად-ხანის 20—25 ათასიანი კორპუსი ყაზახში უკვე 35 ათასამდე გაიზარდა.

ყაზახიდან აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის ნაწილები 7 სექტემბერს გამთენიისას გამოსულან.

შეერთებული ქართული ლაშქრითურთ ყაზახში მყოფი ერეკლე მეორე, როგორც ჩანს, 4 სექტემბერს თბილისისაკენ გამობრუნებულა. გზად გატეხილ ხიდზე მას საკმაოდ მძლავრი არიერგარდი დაუტოვებია, ხოლო მთავარი ძალებით, თითქმის ასკილომეტრიანი ლაშქრობის შემდეგ, 6 სექტემბერს უკვე სოღანლუღში ჩამოსულა: „მაშინ ირაკლი და სოლომონ იდგნენ სოღანლუღსა შინა, სადაც მეფემან ირაკლიმ წარავლინა ფარეშთ ხუცესი თავისი, ნათალიშვილი გორჯასპი ყარაულად და თანა წარატანნა თორმეტნი მხედართ რჩეულნი კახნი და ქიზიყელნი".

ეს უკვე რვა სექტემბერი იყო.[47]

აღა-მაჰმად-ხანის ავანგარდი იმავე 7 სექტემბერს, 45კილომეტრიანი ლაშქრობის შემდეგ, გატეხილ ხიდზე ქართველთა გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. სამწუხარო და საკვირველია, რომ გატეხილ ხიდზე მომხდარი სერიოზული ბრძოლის შესახებ ქართულ წყაროებს არაფერი შემოუნახავთ. ი. ბებუთოვი კი იგონებს: „ქართველები მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ როცა მათ დაინახეს მრავალრიცხოვანი ჯარი, ორმოცდაათამდე მკვდარი და დაჭრილი მიატოვეს და გაიქცნენ"-ო.[48]

ირანელები გადმოსულან გატეხილ

---

44 საბჭოთა ცხენოსანი ჯარისთვისაც კი სადღეღამისო გადასვლა 40-დან 85 კილომეტრამდე იყო დაშვებული, ხოლო განსაკუთრებულ პირობებში — 100 კილომეტრამდე, ოღონდ ამ უკანასკნელი ტემპებით ლაშქრობის შემდეგ მხედრობას რამდენიმე დღიანი შესვენება უნდა მისცემოდა (იხ. 1923 წ. „Боевой устав конницы РККА, ч. III, стр. 80).

45 იხ. მისი ნაამბობი ჟურნალ „ კრუნკ ჰაიოც აშხარჰის" 1863 მე-11 ნომერში.

46 „მასალები საქ. ისტორიისათვის..." მ. ჯანაშვილის გამოც. გვ. 43.

47 „მასალები საქართველოს ისტორიისათვის..."

48 ი. ქართველიშვილი, მემუარები, 1952 წლის გამოცემა, გვ. 72.

ხიდზე, მდ. ხრამის გაშლილ ხეობას შეჰყოლიან და იქვე დაბანაკებულან. ი. ბებუთოვი იგონებს, რომ „იმ ღამეს, როგორც შაჰი, ისე მთელი ჯარი ეჭვებით იყო შეპყრობილი, ვაი თუ ერეკლე ხანი თავს დაგვესხასო, მით უფრო, რომ უხერხულ ადგილებში ვიყავით დაბანაკებული. ამიტომ მთელ ღამეს ოთხივ-კუთხივ გაძლიერებული ფრთხილი მცველები ზვერავდნენ არემარეს“-ო.[49]

როგორც ვნახეთ, 7 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარმა სულ რაღაც ორმოცი კილომეტრით წამოიწია თბილისისაკენ. გატეხილ ხიდთან რამდენიმე ასეულ ქართველ მხედრებთან მომხდარი ბრძოლა საყურადღებო სიგნალი იყო იმისათვის, რომ მას საქართველოს ტერიტორიაზე ასკილომეტრიანი დაუბრკოლებელი გადასვლები აღარ მოუხერხდებოდა.

8 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი დიდი სიფრთხილით დაიძრა, გადმოიარა მდ. ალგეთი, მას აქეთ დატბორებული რუ (ადგილობრივი მცხოვრებნი გოვუს უწოდებენ), მთავარი ძალებით იაღლუჯის მთის სამხრეთ კალთებს შეეფინა, ხოლო მათი მოწინავე მზვერავი დანაყოფები უკვე ამ მთის ჩრდილო კალთებზე გადმოდგნენ.

ზემოთ მოხსენებულ გორჯასპი ნათალიშვილის გუნდს „იაღლუჯაზედ შეხვდათ ყარაულნი ყიზილბაშთანი. თუმცა-ღა მხნედ ბრძვეს თარაშვილმა დავითმა და სხვათაცა, გარნა მოსწყდნენ სპარსთა ხელთაგან“.[50] გუნდის მეთაურმა ნათალიშვილმა, რომელიც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, თავის მბრძანებელს მაინც მიუტანა უაღრესად საჭირო და საგანგაშო ცნობა ირანელთა მოახლოვების შესახებ.

მარნეულ-ბორჩალოს მიდამოებში გამოჩენილ აღა-მაჰმად-ხანს, როგორც ი. ბებუთოვი ამბობს, ძღვენით ეახლენ რამდენიმე მამასახლისი და მემამულეც კი, რომელთაგან ზოგიერთს ირანელთათვის მეგზურობაც გაუწევია.

ამავე რვა სექტემბრის გვიან საღამოსათვის ირანელთა ავანგარდი უშუალოდ სოფ. სოღანლუღს უნდა მიახლოვებოდა, რათა საფუძვლიანად გაერკვიათ ვითარება და გადაეწყვიტათ, შეიძლებოდა თუ არა ამავე ღამით ან 9 სექტემბრის დილისათვის იაღლუჯას ამოფარებული მთავარი ძალების წინ წამოწევა და სოღანლუღის ვაკეზე გადმოყვანა. ასეთი დიდი სიფრთხილის გამოჩენისათვის ირანელებს საფუძველს აძლევდა ქართველი სარდლობის კარგად გააზრებული საბრძოლო მოქმედება თბილისის შორეულ მისადგომებზე. სამწუხარო კია, რომ არსებულ წყაროებში გატეხილ ხიდთან და იაღლუჯაზე მომხდარი შეტაკებების გარდა არაფერი ჩანს. ქართული წყაროები გატეხილ ხიდზე მომხდარი ხანმოკლე, მაგრამ გაფთრებული ბრძოლის შესახებაც არაფერს გვაუწყებენ. კიდევ მეტი, ზოგი თანამედროვე მკვლევარი იმის უარყოფასაც არ ერიდება, რომ სოღანლუღის მიდამოებში ნამდვილად ჰქონდა ადგილი ირანელთა ავანგარდისა და ქართველთა ძლიერი არიერგარდის საკმაოდ ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ბრძოლას, რომელსაც ალ. ორბელიანი გვიმოწმებს.

მაგრამ ჯერ ისევ სოღანლუღის მიდამოებში აღა-მაჰმად-ხანის არმიის დაჯგუფების საკითხს უნდა დავუბრუნდეთ. ჩვენ აქ ვამბობთ სოღანლუღის მიდამოებში და არა პირდაპირ სოღანლუღში, როგორც უმართებულოდ ამტკიცებს ზოგი მკვლევარი, რადგან თვით სოღანლუღის მდებარეობა არავითარ შემთხვევაში არ აკმაყოფილებდა მთავარი ძალების თავმოყრისათვის საჭირო ადგილის მოთხოვნებს. აქ ისინი ტაბახმელისა და თელეთის მხრიდან ქართველთა უეცარი თავდასხმების მუდმივ შიშში უნდა ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, სოღანლუღი ვერც დაიტევდა 35-ათასიან მხედრობას. ამი-

49 იხ. ი. ბებუთოვის ზემოაღნიშნული მოგონებები.

50 „მასალები საქართველოს ისტორიისათვის...“ გვ. 43.

ტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ აღა-მაჰმად-ხანი „დადგა რამდენსამე ვერსით სოღანლუღისა მახლობლად.[51] კრწანისის ომის უშუალო მონაწილის ეს ცნობა, რომელიც 1810 წლის ახლოს არის დაწერილი, უფრო სარწმუნოა, ვიდრე ომის არამონაწილის თეიმურაზ გიორგის-ძის უფრო გვიანდელი დამოწმება იმის შესახებ თითქოს „ბანაკი აღა-მაჰმად-ხანისა იყო სოღანლუღს“.[52]

აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის მთავარი ძალები 8 სექტემბრის საღამოსათვის დაბანაკდნენ სოღანლუღ-იაღლუჯას ჩრდილო კალთებისა და კუმისის ტბის შუა — მტკვრის ნაპირზე მდებარე ველზე, რომელსაც იმ დროს „სარვანის მინდორი“ ეწოდებოდა,[53] ამას გვიდასტურებს ი. ბებუთოვიც. იგი აღნიშნავს, რომ მათი ლაშქარი დაბანაკდა თბილისიდან ერთნახევარი ფარსახის დაშორებით (ფარსახი დაახლ. 7 კმ უდრის — ი. შ.), მტკვრის ნაპირზე, ტრიალ მინდორზეო.[54]

9 სექტემბერს საღამოს ამ მიდამოებში ჩამოაღწევდა ირანელთა მეტად მოუქნელი არტილერია და ბაგრეგის დანაყოფები. ამავე დღეს თავის ავანგარდსა და მზვერავებს ამოფარებულ აღა-მაჰმად-ხანს უნდა დაეწყო თბილისის მიდამოების დაზვერვა და მისი შტურმის საბოლოო გეგმის დაზუსტება.

თბილისის მისადგომების დაზვერვა ყველაზე უკეთ თელეთის (შავნაბადის) კლდოვანი ქედიდან იყო შესაძლებელი. ჩანს, მასზე ავიდა აღა-მაჰმად-ხანი 9 სექტემბერს, როდესაც იგი კინაღამ ქართველთა მძლავრი პატრულის უეცარი თავდასხმის მსხვერპლი გამხდარა.[55]

მიუხედავად იმისა, რომ აღა-მაჰმად-ხანთან ერთად იყვნენ თბილისის კარგი მცოდნეები — განჯელი ჯავარ-ხანი, ყარაბაღელი მელიქ-მეჯლუმი და თბილისის მიდამოებიდან ირანელებს მიკედლებული ცალკეული ნაძირალები, მას მაინც არ გააჩნდა თბილისზე პირდაპირი იერიშის მისატანად კონკრეტული ტაქტიკური გადაწყვეტილებისათვის საჭირო მონაცემები. თავლთვალით დაზვერვაც ასეთი მონაცემების მოსაპოვებლად საკმაო არ იყო. აუცილებელი იყო დაზვერვა ბრძოლით.

---

51 იხ. მისი „ისტორიებრი აღწერა...“ 1914 წ. გამოც. გვ. 34-35.

52 იხ. მისი „მეფე ერეკლეს მოკლე ისტორია“, ივერია, 1891 წლის № 51-56.

53 ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 48, გამოც. 1941 წ.

54 1885 წლის „ივერიის“ მეორე ნომერში დაბეჭდილი ი. ბებუთოვის ნაამბობის ბევრი ადგილი მდივანოვის მიერ თარგმნილია არასწორად.

55 ალ. ორბელიანის „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა თბილისში“, გვ. 22.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„წყნარი სოფლის ადამიანები“

გიორგი შატბერაშვილი დიდი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მწერალია. იგი ერთნაირი ნაყოფიერებით მუშაობს როგორც პოეზიაში, ისე პროზასა და დრამატურგიაში. და რაც მთავარია, რომელ ჟანრშიც არ უნდა ჰქმნიდეს იგი, მისი მხატვრული ნაწარმოები გასხივოსნებულია ჭეშმარიტი ოსტატობით, სინამდვილის უტყუარი ასახვით და მოვლენების ღრმა გააზრებით. ამიტომ არის, რომ გიორგი შატბერაშვილის ლექსებმა, მოთხრობებმა და პიესებმა დიდი ხანია ჩვენი რესპუბლიკის ფართო მკითხველის ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებამ მოწონება და აღიარება ჰპოვა ჩვენს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ამის დადასტურებას წარმოადგენს მოთხრობების კრებული „ფესვები და რტოები“, რომელიც „სოვეტსკი პისატელმა“ ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა მოსკოვში. აღნიშნულ კრებულში შეტანილია მოთხრობა — ამბავი „მკვდრის მზე“ და მოთხრობები: „ჩემს ძველ სახლში“, „თავხე“, „ნახევარი დედა“, „მამალხინე“, „მამალხინეს ბიჭი“, „უკვდავი ფესვები“, „ხექალა“, „ტყის ძახილი“, „ოქროს მარჯვენა“, „ნიკო და სიკო“ და „თვალადელი მეწისქვილე“. თარგმანები შესრულებულია გ. მინდაძის, კ. კორინთელის, ფ. თვალთვაძის, ვ. ორჯონიკიძის და ი. დადიანის მიერ.

კრებულს წამძღვარებული აქვს გამოჩენილი რუსი პოეტის ნიკოლოზ ტიხონოვის ვრცელი წერილი — „წყნარი სოფლების ადამიანები“.

ყოველი მწერლის შემოქმედებაში, დიდი იქნება იგი, თუ პატარა, ყოველთვის შეინიშნება ერთი ძირითადი იდეა, ანდა მოტივი, რომლის ნათელყოფის საქმესაც იგი ემსახურება. გიორგი შატბერაშვილის საუკეთესო ნაწარმოებები მიძღვნილია სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემისადმი. როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომ სიკვდილის საათს ღირსეულად შეხვდეს, აი ის საკითხი, რომელიც ბრწყინვალედ გადაჭრა მწერალმა თავის მოთხრობაში „მკვდრის მზე“.

თემატიურად ნაწარმოები ორი თაობის ცხოვრებას მოიცავს და ქრონოლოგიურად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იშლება. თუმცა მოთხრობაში ორი სხვადასხვა ეპოქის ადამიანები მოქმედებენ, მაგრამ მწერალმა შესძლო საერთო ხაზების გამონახვა და ეს ორი სხვადასხვა ეპოქა ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. მეცხრამეტე საუკუნის წარმომადგენელს ნოსტელ გოლიათს ხიზამბარელს და ჩვენს თანამედროვეს თენგო კობაიძეს გმირული სული, შეულახავი თავმოყვარეობა და ადამიანური სიამაყე ახასიათებთ.

დიდი რუსი მწერალი გორკი ამბობდა, რომ „ადამიანი — ეს ამაყად ეღერს“ და სწორედ ეს ადამიანური სიამაყეა გიორგი შატბერაშვილის გმირების ძირითადი დამახასიათებელი თვისება. მისი გმირები მართლაც ამაყად ატარებენ ადამიანის დიდ სახელს.

ავიღოთ თუნდაც ნოსტელი კალატოზი ხიზამბარელი. ერთი საუკუნის წინ ამ უბრალო ადამიანმა ძალისა და ნების დიდი დაძაბვით შესძლო იმის გაკეთება, რაც ყველას შეუძლებლად მიაჩნდა. მან საჯილდაო ქვა, რომელსაც საუკეთესო ვაჟკაცები ქარსაც ძლივს უტარებდნენ, ცხენის ზურგს ააცილა და ზევიდან გადააგდო. მწერალი კითხვას სვამს, რამ შეაძლებინა ხიზამბარელს შეუძლებელის გაკეთება? ადამიანურმა სიამაყემ, თავმოყვარეობამ, შერცხვენის შიშმა — პასუხობს ავტორი. მართალია, ხიზამბარელი დაიღუპა საჯილდაო ქვასთან ორთაბრძოლაში, მაგრამ იგი მაინც გამარჯვებული გამოვიდა, რადგან თავი არ შეირცხვინა, ქედი არ მოიხარა სიძნელის წინაშე და დასძლია კიდეც. ღირსეულად მოკვდა ხიზამბარელი და თა-

---

Георгий Шатберашвили, «Корни и ветви», Советский писатель, 1963.

ვისი სიკვდილით სიკვდილსა სძლია. ამით მან უკვდავება დაიმკვიდრა ხალხის ხსოვნაში. „არა, ხიზამბარელი მკვდარი არ იყო. ვინც ხალხის ხსოვნაში ცოცხლობს, ის მკვდრად არ ჩაითვლება“ — ასკვნის ავტორი.

მოთხრობაში მეორე ცენტრალური გმირია თენგო კობაიძე, რომელმაც ასი წლის შემდეგ ნოსტელი გოლიათის ხიზამბარელის გმირობა განიმეორა. თენგო კობაიძე ჩვენი თანამედროვეა. იგი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გაიზარდა და დავაჟკაცდა. თენგოსაც ამაყი და შეუპოვარი გული აქვს. იგი თვალისჩინივით უფრთხილდება ვაჟკაცის სახელს და თავს არსად შეირცხვენს, თავმოყვარეობას არავის შეალახვინებს.

თენგომ ასწია საჯილდაო ქვა და ხიზამბარელს გაუტოლდა, მაგრამ ხიზამბარელივით იგიც დაიღუპა. მაგრამ ეს ხომ გამარჯვებულის სიკვდილია. მან გაიმარჯვა და ისე დაიღუპა, დაასკვნის ავტორი.

თენგოს მიმზიდველი და მთლიანი ხასიათი იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენს ხალხში არ ამოწყვეტილან სულით ძლიერნი, რომელთათვისაც კარგი სახელი და ადამიანური ღირსება ყველაფერია.

საჯილდაო ქვა, რომელსაც ჩვენი სოფლების თითქმის ყველა მოედნებზე შეხვდებით, გიორგი შატბერაშვილის ნაწარმოებში დიდი განზოგადოების მქონე სიმბოლოდ არის ქცეული. ეს ქვა ვაჟკაცობის, უშიშარი შემართების, ნებისყოფის სიმტკიცის საზომია, რომელსაც ეტოლებოდნენ არა ერთი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები.

ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრი ორიგინალურად აქვს გახსნილი ავტორს მოთხრობის ფინალში. იგი მკითხველის წინაშე მთებში მზის ჩასვლის შეუდარებელ სურათს ხატავს.

მზე უკვე ჩასულია, მაგრამ შემოღამების წინ სულ რამოდენიმე წამით მისი სხივებით ინათებენ ხოლმე მთათა მწვერვალები. ხალხი ამას „მკვდრის მზეს“ უწოდებს. „ერთმა შუბათელმა ბერიკაცმა ამიხსნა, მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდებაო“, — დაასკვნის ავტორი. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავამატოთ, რომ მხოლოდ ის კვდება ღირსეულად, ვინც ღირსეულად ცხოვრობდა. სწორედ ამაშია ამ ნაწარმოების დედა-აზრი.

ძალზე საინტერესო და ორიგინალურია ის კომპოზიციური ხერხები, რომელსაც იყენებს გიორგი შატბერაშვილი ამ ღრმა იდეის ნათელსაყოფად. თუმცა ნაწარმოებში ორი დამოუკიდებელი, სხვადასხვა დროს მომხდარი ამბავია აღწერილი, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს მოთხრობის მთლიანობასა და მონოლითურობას. ამას მწერალი იმით აღწევს, რომ თენგო კობაიძის ამბავის პარალელულად მოყოლილია ხიზამბარელის ამბავი. ერთი ამბის ეპიზოდები მეორეში უშუალოდ გადადიან და ერთიმეორის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენენ. ავტორს თავისი ჩანაფიქრი განხორციელებული აქვს ქართლის ცხოვრების ფონზე. ქართლელი გლეხკაცის ცხოვრება მთელი თავისი სიხარულითა და მწუხარებით, სიყვარულითა და სიძულვილით სისხლსავსედ არის წარმოდგენილი „მკვდრის მზეში“. ავტორმა შესძლო ქართლელი გლეხკაცებისა და ქალების ტიპიური, კოლორიტული სახეების შექმნა. ასეთები არიან შავდათუა, გიორგი, ხახატო, ნინო და სხვები.

მიუხედავად ღრმა დრამატიზმისა, „მკვდრის მზე“ ოპტიმიზმით სავსე ნაწარმოებია და იგი სულაც არ იწვევს მძიმე და დამთრგუნავ შთაბეჭდილებებს. ეს კარგად შეამჩნია ნიკოლოზ ტიხონოვმა, რომელიც წერს: „ასეთი არის მოთხრობა „მკვდრის მზე“. დასაწყისში მას ერთგვარი დაძაბული ყურადღებით კითხულობ, რადგან პირველი თავების კომპოზიცია ხშირად ერთმანეთს ენაცვლება და წარსული იკვეთება აწმყოთი. მაგრამ შემდეგ, როდესაც ღრმად ჩასწვდები, ამ მკვიდრ გარეული თაფლის სურნელებით აღსავსე მოთხრობას, იგრძნობ მასში დახატულ ბუნებას, მთლიანი ხასიათების წარმტაცობას და ქედმოუხრელ გლეხურ ძალას. იგი აღსავსეა მიწის, საუკუნოვანი ხეების, ცივი ქვის სურნელებით, მაგრამ საოცარი ის არის, რომ მისი სევდიანი შინაარსი სრულიადაც არ აწვება კაცს ლოდივით გულზე“.

ღრმა იდეური ჩანაფიქრის, ქართლის სოფლების ცხოვრებისა და ყოფის განუმეორებელი სურათების, მთლიანი და ძლიერი ხასიათების, ძარღვიანი და უაღრესად დახვეწილი ენის მიხედვით, ეს ნაწარმოები უდაოდ ქართული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

გიორგი შატბერაშვილი თავისი შემოქმედებით ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდ ტრადიციებს აგრძელებს. შატბერაშვილისათვის მხატვრული ასახვის ობიექტი ყოველთვის იყო ადამიანი თავისი დარდითა და სიხარულით, ფიქრებითა და განცდებით. ადამიანის განცდათაგან მწერლის ყურადღებას ხშირად იპყრობს მახლობლის დაკარგვით გამოწვეული ძნელად გასაქარწყლებელი გლოვა, ფიქრები, დაკავშირებული სიკვდილის გარდუვალობასთან.

რით უნდა ინუგეშოს თავი ადამიანმა, რომელსაც უდროოდ მოუკვდა შვილი ან მახლობელი, რით უნდა ინუგეშოს თავი ადამიანმა, რომელმაც იცის, რომ მას გარდუვალი სიკვდილი მოელის? ეს თემა ლიტერატურის განვითარების მთელ მანძილზე მრავალი მწერლის ნაწარმოების ძირითადი პრობლემა იყო.

გიორგი შატბერაშვილმაც გადაუხადა ხარკი

ამ თემას და სარეცენზიო წიგნში შეტანილია მოთხრობები, რომლებშიც ეს პრობლემაა დასმული. მწერალი სიკვდილს, როგორც აუცილებლობას ისე უყურებს და ადამიანის უკვდავებას ადამიანურ საქმეებში, სიცოცხლის იმ ჩაუქრობელ ნაპერწკალში ხედავს, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის.

ეს პრობლემა მაღალი ოსტატობით არის გადაჭრილი პატარა მოთხრობაში, რომელსაც დამახასიათებელი სათაური ამშვენებს — „მკვდარი ფესვები“.

სოფლის მოხუც მასწავლებელს — როსტომს სამამულო ომში ერთად-ერთი შვილი დაეღუპა. სწორედ იმ დროს, როდესაც სოფელში ეს სამწუხარო ამბავი მოვიდა, როსტომის რძალს ვაჟი შეეძინა. ამან შეაძლებინა მოხუცებულ როსტომს გადაეტანა შვილის დაღუპვით გამოწვეული მწუხარება, რადგან მან კარგად იცოდა, რომ თვითონ როსტომიც და მისი შვილიც ახლად გაჩენილ შვილიშვილში განაგრძობდნენ სიცოცხლეს. რომ სიცოცხლე მუდმივ განახლებას განიცდის და რომ ამაშია უკვდავება, ეს კარგად გადმოგვცა მწერალმა ერთი შედარების საშუალებით.

იმ ღამეს, როდესაც როსტომის რძალს ვაჟიშვილი შეეძინა, ამოვარდნილმა გრიგალმა მოხუცი მასწავლებლის ეზოში მდგარი დიდი ხე წააქცია, მაგრამ გადარჩა მისი ფესვებიდან ამოხეთქილი პატარა ყლორტი. ამ მოვლენას გ. შტაბერაშვილი შემდეგნაირად აღწერს: ჯერ კიდევ გუშინ და გუშინწინ ეს ხე სიცოცხლით იყო აღსავსე. იგი სუნთქავდა და შრიალებდა. დღეიდან კი მეტად არასდროს აღარ გაიესებიან კვირტები, აღარ შეიმოსებიან მწვანით ტოტები, ზამთარში ქათქათა თოვლით აღარ დამშვენდებიან... მაგრამ უყურეთ, გრიგალმა ვერ შესძლო მთლიანად მისი მოსპობა! თამამი ყლორტი ისევ დგას მთელი და დაუზიანებელი. დილის ნიავი ეალერსება მას და იგიც უღიმის ამომავალ მზის სხივებს. როგორც ვხედავთ, ეს შედარება სიცოცხლის მარადიულობის ჰიმნივით ჟღერს.

სიცოცხლის მოსპობა შეუძლებელია, სიცოცხლე მუდმივ აღორძინებას განიცდის. ახალი აღმოცენდება ძველზე, შესცვლის მას, მის ადგილს დაიჭერს და ამავე დროს ახალი სახით მოგვევლინება. ეს იდეა საფუძვლად უდევს ჩვენი მწერლის ორ პატარა მოთხრობას „თავხეს“ და „ჩემს ძველ სახლში“.

გიორგი შატბერაშვილმა კარგად იცის ქართლის სოფელი, ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მის ცხოვრებასა და ყოფაში. ქართლის სოფლის ახალ ადამიანებზე, მის დაუღალავ შრომაზე მხატვრული სიმართლით არის მოთხრობილი ისეთ ნაწარმოებებში, როგორიც არის „ნახევარი დედა“, „მამალხინე“, „მამალხინეს ბიჭი“, „თვალადელი მეწისქვილე“, „ხექალა“.

„მამალხინეს ბიჭში“ მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა კოლმეურნეობის ორი თავჯდომარე — ერთი უქნარა და ცუღლუტი, ხოლო მეორე საერთო საქმისათვის თავდადებული, გამჭრიახი და ინიციატივიანი.

მოთხრობა „ხექალა“ ძლიერი და ხალასი სიყვარულის ჭეშმარიტი სიმღერაა. კომბაინერ მიტო თანდაშვილის და დარეს ერთმანეთისადმი ტრფობა გაზაფხულზე მთიდან მოვარდნილ ნიაღვარსა ჰგავს, რომლისთვის გზის გადაღობვა და შეკავება შეუძლებელია. ამ მოთხრობის მთელი მშვენიერება კარგად იგრძნო ნიკოლოზ ტიხონოვმა და მაღალი შეფასება მისცა მას.

„სიყვარული აქ, წყნარ გორაკებზე უფრო ძლიერია, როგორც სიკვდილი, — წერს ტიხონოვი, — აქ ძალუმად იგრძნობიან, და ეს ვნებათა ღელვა არა მარტო ერთი დღისაა. აბა თვალი გაადევნეთ პატარა დარეს, რომელსაც მეტსახელად ხექალას ეძახიან, და ჯანღონით სავსე გოლიათი კომბაინერის კახელი მიტო თანდაშვილის სიყვარულის ისტორიას. როგორ უბრალოდ, უეშმაკოდ, მაგრამ შეუკავებლად ვითარდება მათი ვნება. ადამიანურად შესაბრალისია გიგო არა იმიტომ, რომ მას ტყვიამ ომში ხელი დაუსახიჩრა, არამედ იმიტომ, რომ მან, სულერთია, უნდა უკან დაიხიოს იმ ენით აუხსნელი და ამავე დროს გასაგები სიყვარულის წინაშე, რომელმაც ერთბაშად დაიპყრო დარეს მთელი არსება“.

განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ ნიკოლოზ ტიხონოვის იმ ვრცელ წინასიტყვაობაზე, რომელიც წამძღვარებული აქვს მოთხრობების კრებულს.

გამოჩენილი რუსი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი საქართველოსი და ქართველი ხალხის მეგობარია. საქართველოს მთები და ველები, ჩვენი ადამიანები არა ერთხელ იყვნენ მისი პოეტური შთაგონების წყარო. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში ქართულ თემატიკას, გავიხსენოთ თუნდაც მისი ლექსების ციკლი კახეთზე. სარეცენზიო წიგნის რუსული გამოცემისათვის მის მიერ დაწერილი წერილები „წყნარი სოფლის ადამიანებიც“ გარდა იმისა, რომ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ღრმა და პირუთვნელ ანალიზს შეიცავს, გამსჭვალულია დიდი სიყვარულით ქართული მიწისა და მისი ხალხისადმი.

თუ რა მაღალ შეფასებას აძლევს ნიკოლოზ ტიხონოვი გიორგი შატბერაშვილის რუსულად გამოცემულ კრებულს, ეს თუნდაც შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „გიორგი შტაბერაშვილმა ისე უბრალოდ, ისე დამარწმუნებლად, თავისი მშობლიური ადამიანებისადმი ისეთი სიყვარუ-

ლით მოგვითხრო იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ისინი, როგორ შრომობდნენ, როგორ იტანჯებოდნენ, როგორ უყვარდათ და როგორ კვდებოდნენ, რომ მკითხველს არ შეუძლია გულცივად ჩაუაროს მის მწვანე ბორცვებს და მის თანამემამულეებს, არ გაეცნოს მათ მეგობრულად".

ნიკოლოზ ტიხონოვის წერილი მარტო წინასიტყვაობა კი არ არის, არამედ ლირიკული სიმღერაა მამაშვილური თბილი სიყვარულით გასხივოსნებული.

დ. ჟუმსიშვილი.

სიმბოლიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე

ვალერიან გაფრინდაშვილი ისეთ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პოეტური მემკვიდრეობის შესწავლას მეტი სინათლე შეაქვს იმ გზის წარმოდგენაში, რაც ჩვენმა ლიტერატურამ მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში გაიარა.

ვ. გაფრინდაშვილის თანამოკალმისა და მეგობრის ტიციან ტაბიძის მოგონებით — დამოკიდებულება მათ მიერ მიღებულ „სიმბოლიზმთან იყო სრულიად უკრიტიკო". ამის გამო, უეჭველია, ვ. გაფრინდაშვილის პოეზიას სიმბოლიზმთან სიახლოვის პერიოდში ახასიათებდა მოჭარბებული მწიგნობრულობა. ვ. გაფრინდაშვილი მხოლოდ ზოგიერთი ახალი ესთეტიკური პრინციპის ათვისებით ადვილად და წარმატებით მივიდა უკიდურეს დასკვნამდე და ამიტომაც გახდა ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფიგურა.

სიმბოლიზმის გავლენა ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაზე თავიდანვე გამოვლინდა სონეტის ფორმით დაწერილ პოლინა ვიარდოსადმი მიძღვნილ ლექსში, რომელსაც ტიუტჩევის ლექსის ნაწყვეტი ჰქონდა წამძღვარებული. ზემოაღნიშნული და აგრეთვე კ. ბალმონტისადმი მიძღვნილი ლექსი რუსულ ენაზე იყო დაწერილი 1915 წელს. 1916 წლიდან კი ვ. გაფრინდაშვილი პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან და სხვა თანამოკალმეებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს ქუთაისში ქართველი სიმბოლისტების პირველი ორგანოს ჟურნალ „ცისფერი ყანწების" გამოცემაში. ამ და სხვა სიმბოლისტურ გამოცემებში მოთავსებულ ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში გამოვლინდა ძირითადად ყველა ის თვისება, რაც ამ მიმართულებისათვის იყო დამახასიათებელი. სიმბოლისტურ ხელოვნებასთან მიკედლების სულისკვეთებითაა აღბეჭდილი მისი სტრიქონები:

ავახელ თვალებს და გაჰქრება ლანდთა
ღრუბელი
ჩემს წინ ბოდლერი გადაშლილი ვით
სახარება;

გიჟურ თვალებით შემოგხედავს ჩემი
ვრუბელი
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება.

ამ პერიოდის ვ. გაფრინდაშვილის ლექსებისათვის დამახასიათებელი კონფლიქტი მდგომარეობს სინამდვილის ტრაგიკულ სცენად გააზრებაში. მაგრამ მთავარია არა სინამდვილის ტრაგიკულ სცენად გააზრება, არამედ მისი დაძლევა: ბოდლერთან არაა ტრაგიკული სინამდვილის დაძლევის ცდა (საერთოდ სიმბოლიზმი არ იცნობს კლასიკური მსოფლგანცდის ამ თვისებას). ვ. გაფრინდაშვილიც სტიქიურად გაყვა სიმბოლისტური ხელოვნების ამ პრინციპს. ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში გაცოცხლდნენ ფანტასტიკური სახეები. ცხადია, ლიტერატურისთვის მხატვრული წარმოსახვის ასეთი ფორმა არ ყოფილა ახალი და ორიგინალური. იგი ცნობილი იყო რომანტიზმამდე, თვით რომანტიზმში და ბოლოს მეოცე საუკუნის მწერლობაშიც. როდესაც სინამდვილე უაზრობისა და ქაოტურობის ფორმას ღებულობს, მისი ასახვის ფორმაც ბუნებრივისა და ლოგიკურის ნაცვლად ადგილს უთმობს ფანტასტიკას. პოეტი ჰამლეტის ნიღბით ევლინება სინამდვილეს, რეალური ყოფა იცვლება წარმოსახულით და ფანტასტიკურ სფეროში იშლება მოქმედების ასპარეზი: იქნება ეს „სპილოს ძვლის კოშკი" თუ თეატრის სცენა და კულისები. შესაბამისად ფანტასტიკურია პერსონაჟების სიაც, მათი როლი და დანიშნულება. ჰამლეტი, ოფელია, აშორდია, ჩატერტონი, „ნაფტალინის დედოფლები" და სხვ. მაგრამ ეს არაა მთავარი და არსებითი. მნიშვნელოვანია ამ სინამდვილესთან დამოკიდებულების ფორმა, ეთიკური პოზიცია. საქმე ისაა, რომ ტრაგიკულ სინამდვილესთან კონფლიქტმა ვ. გაფრინდაშვილთან მიიღო ირონიისა და ცინიზმის საღებავები. ირონია ხდება ვ. გაფრინდაშვილის მსოფლგანცდის ერთ-ერთი მყარი თვისება. პოეტის საგნებისადმი დამოკიდებულებაში მკაფიოდ ვლინდება წინასწარ გამიზნული დამცინავი პოზიცია. ანტიფრაზა როგორც ირონიის ერთ-ერთი გავრცელებული სახე, უხვადაა გამოყენებული ამ პერიოდის ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში. ვ. გაფრინდაშვილის თითქმის ყოველ მეორე ლექსში ვნახავთ

ვალერიან გაფრინდაშვილი, ლექსები, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1964.

ირონიის სტილისტურ რეალიზაციას, როდესაც უარყოფითი ტენდენციით აღბეჭდილი მოვლენა საწინააღმდეგო ფორმით ისახება; მაგალითად:

„ახვეტს გრიგალი აჩრდილების მშვენიერ
ნაგავს“,
(„ჯვარისწერები დაისში“)

ან

„დაწყევლილ მგოსანს მოუვლინა ბრწყინვალე
ჭლექი“
(„მამია გურიელი“)

ან

„ლურჯი საღამო აკანკალდა ნაზ
სახრჩობელად“.
(„საღამოს მასკები“)

ამ პერიოდის ლექსებში ლირიკული და სენტიმენტალური განწყობილება მოულოდნელად გადაიზრდება ცინიზმის საღებავებში და მას ირონიული მნიშვნელობა ენიჭება. ესაა ადამიანის ჯანსაღი სასიცოცხლო ძალების დამარცხება ტრაგიკულ სინამდვილესთან ჭიდილში. ამიტომაა, რომ ვ. გაფრინდაშვილთან ადგილი აქვს ირონიულ ავტოპაროდიას და ლირიკისა და სატირის კონტრასტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში, იშვიათი გამონაკლისის გარდა ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში ბუნების სურათები, პეიზაჟი, როგორც ესთეტური ათვისების ობიექტი არ არსებობს. ბუნების სურათსა თუ ცოცხალ მოვლენაში მას შეაქვს ცივილიზაციის აქსესუარები და მას ხელოვნურ სახეს ანიჭებს. მისი ლირიკული თემების გარემოც შორსაა ბუნებისაგან და უფრო თეატრებსა და სასახლეებს უკავშირდება. ამ თვისებით მას ბევრი რამ აქვს საერთო დეგასა და ტულუზ ლოტრეკთან, რომელთაც იმპრესიონიზმის სხვა წარმომადგენელთაგან განსხვავებით არ ახასიათებთ პეიზაჟის განცდა. ისინი უფრო თეატრების, კაფეების, ბალეტის და სამეძაო სახლების მიმქრალ სინათლეთა მიმოქცევაში ეძებდნენ შთაგონებას, ვიდრე რენუარის, ვან გოგისა და გოგენისათვის ნიშანდობლივი პეიზაჟის უშუალობაში. ეს ფაქტიც თავისებური უკუფენაა რეალურობასთან შეხების კრიზისისა. ამ მომენტიდან კი ყველა გზებია გახსნილი უსასოობისა და სიცოცხლის აზრის დაკარგვის ფილოსოფიისაკენ. ვ. გაფრინდაშვილის ლექსებშიც აისახა ამ კრიზისთან დაკავშირებული მოტივები, როგორიცაა აზრი თვითმკვლელობის შესახებ, „ბოჰემის მონოლოგი“ და სხვ. მაგრამ ჩვენ ზევით უკვე მივუთითეთ, რომანტიკული ირონიის ფაქტზე ვ. გაფრინდაშვილის მსოფლგანცდაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი პოეტის ლირიკის მისტიკური ხასიათი და პესიმიზმი ყოველთვის არ აღმოჩნდება სიცოცხლისა და მომავლის უარყოფის ქადაგების გამოხატულებად. იგი ხშირად მისი საწინააღმდეგო იდეის ალეგორიული ფორმაა და გვევლინება არა რაიმე უარყოფითი ტენდენციით აღბეჭდილი მოვლენისკენ ლტოლვად და მოწოდებად, არამედ თავისებურ სულიერ გზად ცხოვრების მძიმე ტვირთისგან განთავისუფლებისათვის. ესაა სულიერი განტვირთვა სიცოცხლის უარმყოფელი ლირიკის გზით, რომელიც მიზნად ისახავს იარსებოს ამ ქვეყანაზე, გაგრძელოს რეალური ყოფა სიცოცხლისა, რადგანაც ასეთი ლირიკა „...არ არის მხოლოდ დაღუპვა. ლირიკის დაღუპული გმირები ისევ ლირიკაში ნახულობენ თავშესაფარს“ — წერდა ვ. გაფრინდაშვილი. ე. ი. წასვლა ამ ცხოვრებიდან მიღმა სამყაროში, მიცვალებულების, თვითმკვლელობის, ოფელიების, ჰამლეტების და აშორდიების სამყაროში ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში გამოხატავდა არა მისწრაფებას სიცოცხლის მართლაც მოსპობისაკენ, არამედ პოეტის ღრმა სურვილს გაეგრძელებია არსებობა. ასეთია ვ. გაფრინდაშვილის პესიმისტური პოეზიის ფარული, ინტიმური შინაარსი, ვ. გაფრინდაშვილისათვის კი „სიყვარულია სიტყვის არა ნამდვილი, არამედ შესაძლებელი, ინტიმური აზრი“ „მეოცნებე ნიამორები“, № 2, გვ. 10). ყვირილი სასოწარკვეთილებაზე, ჭლექზე, სიმახინჯეზე არის მხოლოდ მისუსტებული სასიცოცხლო ძალების ამბოხი — არის „საშუალება და არა მიზანი“. მისი მოწოდება სიკვდილისკენ თავისებური პროტესტია სწორედ სიკვდილის წინააღმდეგ. არ შეიძლება მაგალითად, ტანჯვისა და მარტოობის იდეის ქადაგებად მივიჩნიოთ, როგორც ეს ზოგიერთ კრიტიკოსთანაა გაგებული, ვ. გაფრინდაშვილის მეტად დამახასიათებელი ტაეპები:

ვარ მარტოობის ჯვარზე გაკრული,
მხოლოდ ღამეა ჩემი ტაძარი
და უნუგეშო ყველასგან კრული,
მივდივარ, როგორც ელიაზარი.
(„ღამის ფოთლები“)

ასეთი ლექსი პროტესტია ტანჯვისა და მარტოობის წინააღმდეგ და არა ზემოაღნიშნულისაკენ მოწოდება.

ვ. გაფრინდაშვილის ლირიკაში ადრევე შეიმჩნეოდა თვით სიმბოლისტური ხელოვნების კრიზისიც და შესაბამისად მისი გარღვევის ფარული სურვილიც.

შენ, სულო ჩემო, სევდით დაღალდი,
და გენატრება ღამის მაღარო,
თუ გსურს გაფითრდი, როგორც ქაღალდი,
მხოლოდ ორეულს არ შემაყარო.

. . . . . .

არ კითხულობდი დაწყეველილ მგოსნებს —
ლოტრეამონს და ფრანსუა ვიონს
არ ატარებდი შავ კრიალოსნებს,
ესალმებოდი მხოლოდ ალიონს.

. . . . . .

უწინ უსმენდი ტკბილ იადონებს,

და იყო ტკბილი შენი დორანი,
ახლა ადიდებ წითელ ბატონებს
დაუღალავი გხიბლავს ყორანი...
(„იავნანა სამგლოვიარო“)

აქ მეღავნდება ვ. გაფრინდაშვილის შინაგან რწმენას მოკლებული ესთეტიკურ-არტისტული, რამდენადმე ცნობისმოყვარეობითი ხასიათის დამოკიდებულებაც და სკეპსისიც მისტიკურ ფილოსოფიასა და პოეზიისადმი. აქვე ჩანს, რომ მათივე ეთიკურ ნორმებს პოეტი უფრო ესთეტიკურად განიცდიდა. და მართლაც, თუმც ეს მოხდა თანდათანობით, იგი ბუნებრივად გადაიზარდა ქართული კლასიკური მწერლობის ჰუმანისტური იდეების ნიადაგზე.

ქართულ პოეზიაში ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი პოეტი რომლის შემოქმედების ადრეული და მომდევნო პერიოდები ისეთი სიმკვეთრით გამოირჩეოდეს ერთმანეთისაგან, როგორც ესაა ვ. გაფრინდაშვილთან. ეს იყო „დაბრუნება მიწასთან“

ცაში ხეტიალს გამოვეთხოვეთ
და მივაშურეთ მიწას ამბორით.

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში ახალ ნაკადად შემოიჭრა სიცოცხლის ენერგია და ჯანმრთელი პათოსი. მისი ლექსების თემატიკა უკვე ასტრალური სფეროსაგან განსხვავებით კონკრეტულობითა და უშუალობით ხასიათდება. მიწის სურნელით გაიჟღინთა მისი ფილტვები და ხალისიანი შრომის პათოსი:

ჩემს არსებაში, როგორც სტიქია,
წინაპარ გლეხთა ნებივრობს ჟინი.

პოეტის ფსიქოლოგიური გადახალისების პროცესი ორგანულად აისახა საგნებისა და მოვლენებისადმი მის მიმართებაშიც. მეტი სიცხოველე შეიძინეს პოეტურმა სახეებმაც, ახალი თვალით იქნა დანახული ბუნებაც. თუ აქამდე პეიზაჟის განცდა იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა, ამიერიდან ბუნების სურათი და მოვლენა გახდა მისი პოეტური აზროვნების შემადგენელი ნაწილი. საკმარისია ისეთი სურათოვანი სახეების გახსენება, როგორიცაა:

ტიტველ ქალივით სჩანს ცხენის-წყალი
(„მოაგარაკე“)

ან

თოვლი მობრძანდა
უსპეტაკეს ხელთათმანებით
(„ზამთარი“)

ზამთარი წალეკავს ყველაფერს უხეშად,
ჯერ კი შემოდგომა დგას ვით აზნაური!

სოციალისტური მშენებლობის თემატიკა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობა იშვიათი ბულწრფელობით აისახა ვ. გაფრინდაშვილის ოცდაათიანი წლების შემდეგ ლირიკაში:

ტრფობა შენდამი, — დედაქალაქო,
ბავშვობიდანვე მე ავიცარი
იქნებ ,რითმები ვერ დავალაგო,
მაგრამ გულში მაქვს შენი ისარი,
მინდა ვემთხვიო შენს ქვას, მცენარეს...
(„თბილისი“)

ანალოგიური სულისკვეთებით ხასიათდებიან ლექსები: „ბოლნისის სიონი“, „აკაკი ქუთაისში“, „ერთი დღე ახმეტაში“ და სხვ. ამ ლექსებით ვ. გაფრინდაშვილი უკვე ორგანულად უკავშირდება ქართული მწერლობის ტრადიციებს, მის ფორმებს და სულისკვეთებას. კითხულობთ მის ზემოაღნიშნულ ლექსებს და თქვენს წინ ცოცხლდება ქართველი კაცის ღირსებისათვის არსებითი ურთიერთობის გამომხატველი ვაჟას სტრიქონები:

თქვენივ მიწოვავ მეც ძუძუ
ლაღიან ბარაქიანი.

თავისებური ფორმით იმავე სულისკვეთების უკუფენაა ვ. გაფრინდაშვილის შემდეგი სტრიქონებიც:

ამ ვაზს გაპოხილს ძუძუს მტევნებად
შევყურებ როგორც საყვარელ დედას.

ვ. გაფრინდაშვილი თანამედროვე პოეტური ტექნიკის სიახლეთა თაყვანისმცემელი და ქართულ პოეზიაში მისთვის აქტიური მებრძოლი იყო. საკმარისია ტემპერამენტით დაწერილ მარტო მისი ნარკვევების გახსენება რითმისა და ასონანსების საკითხებზე, სონეტისა და სხვათა შესახებ. მისი დროის გამოსახვის საშუალებათა ერთ-ერთ სიახლედ ითვლებოდა ემოციის შექმნის პირობად ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ასოციაციური მიმართების პრინციპი. ძველი ბერძნული პოეზიის ეს თვისება თითქმის უკვალოდ გაქრა შემდგომი ეპოქების ლირიკაში. ამ მხრივ, არც ისე ნაყოფიერი აღმოჩნდა კლასიცისტური ხელოვნება და პარნასელთა მემკვიდრეობა. შემდგომი თაობის პოეტებმა ახალ პოეტურ სახეებში შემოსულ სურათების ასოციაციებს მხოლოდ ბოდლერის პოეზიის შემდეგ გაუგეს გემო. ვ. გაფრინდაშვილმა აქაც მაღალი პოეტური კულტურა და გემოვნების დახვეწილობა გამოამჟღავნა.

ქუჩაში მიასვენებენ ზამთრის დღეებს და წლის „მედიდურ დროთა რაინდები“ კრძალვით აცილებენ „თოვლის თავადებს“. ირგვლივ სატურნების მსგავსად კრთიან ჩვენებები. ამ დროს ლექსში შემოჭრილი ასოციაცია: „გზა თითქოს არის გოიადან ნაქირავები“ კიდევ უფრო მეტ სიცხადეს ანიჭებს შექმნილ სურათს, ისევ როგორც გალაკტიონთან „ვან-დეიკის ფერებივით მწვანდება ღამე“, ან ბოდლერთან ბნელის საპყრობილები ჯვარცმულ მლოცველებზე დაცემული ზამთრის ირიბი სხივი იწვევს რემბრანტის ასოციაციას.

დეკადენტური ხელოვნების ეთიკური ლოზუნგი მდგომარეობდა პოეტის პირადი ცხოვრების კულტში, მაგრამ გაზვიადებული წარმოდგენა თავის თავზე, რაც საერთოდ სიმბოლისტებს ჩვეოდათ და რასაც ამ წარმოდგენის

უკიდურესობის გამო ცნობილმა გერმანელმა თეორეტიკოსმა მაქს ნორდაუმ ეგოტიზმი უწოდა, ვ. გაფრინდაშვილისათვის არასოდეს არ ყოფილა დამახასიათებელი:

მე უკვდავ სიტყვას, ვით ცისფერ ყვავილს,
დავეძებ ყოფნის ვიწრო არეზე.
არ ვედავები შოთა რუსთაველს,
რომ გავხდე მისი მოასპარეზე.

(„პოეზია“)

შეიძლება ეს სტრიქონები პასუხი იყო ბალმონტის ერთ-ერთი ლექსის, რომელშიც მან ვ. გაფრინდაშვილი და პ. იაშვილი რუსთაველის თანამეგობრებად მოიხსენია („Люблю содружных Руставели, Гаприндашвили и Яшвили“). ვ. გაფრინდაშვილის, როგორც პოეტისა, ისე მისი პირადი ურთიერთობა ადამიანებთან, მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, დარჩა მაღალზნეობრიობის, თავდაბლობისა და ჰუმანიურობის გამოხატულებად. ამას ნათლად ადასტურებს მის ლექსთა კრებულის ახალი გამოცემაც.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ

მოთხრობები, რომელთა შესახებაც ამ წერილში გვექნება საუბარი, ჯერ ისევ ახალგაზრდა მწერალს, ილია რურუას ეკუთვნის. იგი თავმოყრილია კრებულში, რომლისათვისაც ავტორს ლამაზი და თავისებური სახელი — „წმიდა ალაგი“ უწოდებია. ამავე სახელწოდებისაა კრებულში შესული ერთი მოთხრობაც.

„წმიდა ალაგი“ მწერლის პირველი წიგნი არ არის. ილია რურუას ადრეც აქვს გამოცემული მოთხრობათა კრებულები, რომლებსაც, ისე როგორც მთელ მის შემოქმედებას საფუძვლად სიმართლის გრძნობა უდევს. ცნობილია, რომ ჭეშმარიტება მარტივია და მარტივადაც უნდა გამოითქმებოდეს იგი. ამ სიმარტივითა და ადვილმისაწვდომობით გამოირჩევა ილია რურუას ნაწარმოებები, რომლებსაც ჩვენ შეგნებულად „მართალი მოთხრობები“ ვუწოდეთ.

მხატვრული სიტყვის ძალა რომ მის სიმართლეშია, ეს ოდითვე ცნობილია. არც ისაა უცნობი, რომ ეს ძალა მშვენიერების სიყვარულისაგან მომდინარეობს, მაგრამ კეთილ გრძნობას, გულის სიკეთეს რომ მასში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უნდა ეჭიროს, ვფიქრობთ, საეჭვო და სადავო არც ესაა. ძველი ჭეშმარიტებაა, რომ ნამდვილ მწერალს ადამიანისადმი სიკეთითა და სიყვარულით უნდა უძგერდეს გული, და შესაძლებელია, ვაქაც მხოლოდ ამ გაგებით ამტკიცებდა, რომ „მწერალს უნდა ჰქონდეს სული და გულიო“.

საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ სიყვარული ადამიანის გრძნობათა რიგს არ ეკუთვნის მხოლოდ. იგი, ერთდროულად მისი კაცობის ნიშიცაა, რადგანაც ვისაც „გული სიყვარულისათვის დახშული აქვს, ის კაცი კი არ არის, „ნახევარკაცია“, როგორც ილია იტყოდა ხოლმე.

ამ ნიშის ძალა იგრძნობა ილია რურუას ყველა დიდსა თუ პატარა ნაწარმოებში, რომლებშიაც გმირთა სულიერ ძალასთან ასე შერწყმულია ლირიკული სითბო და სინაზე.

ილია რურუა სამშობლოს გულწრფელი, უკომპრომისო პატრიოტია და ამიტომაც მწერლის შემოქმედება უმთავრესად ამ გრძნობისადმი მიძღვნილი საგალობლებია. მწერლის რწმენით „არის ერთი სიმღერა, პირველი სიმღერა, სიმღერათა სიმღერა. ეს სიმღერა ამბობს: „ყველაზე ლამაზი ჩემი ქვეყანაა. ეს სიმღერა წრფელია, რადგან მას ბადებს მადლიერება და სიყვარული მიწის იმ ნაჭრისადმი, სადაც იშვა ეს სიმღერა, აღტაცება ქვეყნის პირველ ხილვისა.

ამ სიმღერას თან ახლავს ჰანგი ძმობისა, მეგობრობისა... არ მოკვდება ეს სიმღერა, სიმღერა სამშობლოზე, როცა მას მღერის ხალხი“ („არის ერთი სიმღერა“).

ხალხი კი მას იმღერებს მანამ, სანამ ჩვენი ქვეყანა, მწერლის აზრით, დარჩება იმ რწმენის ერთგული, რომ

ქართლ-კახეთი, იმერეთი
გურია და სამეგრელო, —
ყველა ჩვენი სამშობლოა
საყვარელო საქართველო („ამერ-იმერი“)

ქართველი ხალხის ერთიანი ეროვნული შეგნების შემდგომი გამტკიცებისათვის მიუძღვნია მწერალს ეს პაწია მოთხრობა, იმ შეგნების განმტკიცებისათვის, რომლის მტრებისა და დუშმანთა საწინააღმდეგოთ წარმოთქმულ სიტყვაში, დიდ ილიას ასე უთქვამს ერთ-ერთ კრებაზე: „გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთი ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებასაც არ ვაქცევ, ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლია აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზე უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო... ეს უთხრეს იმიერ-ქართველს. როგორ? იმიერ-ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსული, უცხოა და არა სახლის კა-

---

ილია რურუა. „წმიდა ალაგი“, „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.

ცი, არა სისხლხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა ბატონებო!.. სამართლიანი გულისწყრომა მამულისშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურის გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთური აზრისათვის. თქვენც მოგიწოდებთ ასე მოიქცეთ. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა".

ერის ერთიანობის მედროშენი, მისი ძირების გამმაგრებელი და სამარადისოდ შემაკავშირებელი დუღაბი იყვნენ მუდამ არა მარტო ქვეყნის წინამძღოლნი და მეთაურები, არამედ ხალხის შუაგულიდან, მისი წიაღიდან გამოსული ისეთი „ბერმუხები", როგორიც ძია ანდრო არის („ბერმუხა"). ახალგაზრდობაში იგი მეფის ჯარში სილამაზითა და ვაჟკაცობით განთქმული კორნეტი იყო. მას სიბერეშიაც შერჩენოდა ეს ვაჟკაცური სილამაზე, სულის სიმაღლე, ნებისყოფის სიმტკიცე და, რა თქმა უნდა, სამშობლოსადმი სიყვარული და ერთგულება. ადამიანის ამ უკეთილშობილესმა გრძნობამ უკარნახა ახალგაზრდა კორნეტს თავის დროზე, რომ, მიუხედავად შესაძლებელი პირადი ბედნიერებისა, უარი ეთქვა უცხო ქვეყანაში სიძედ დარჩენაზე. როგორც რაფიელ ერისთავის ხევსურს არ შეეძლო სალი კლდეების გაცვლა „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა", ისე ბრწყინვალე კორნეტი, მწერლის სიტყვით, „ქვეყნად არაფერზე არ გაცვლიდა თავის ქოხს, აბაშის ჭალის ლაღ ქარს, მახათის შავ, დაბურულ ტყეს", არ გაცვლიდა მით უმეტეს, რომ მის ძარღვებში გლეხკაცური სისხლი დუღდა, სისხლი მშობლიური მიწისა, მის ტყე-ველთა და ყვავილების სურნელით გაჟღენთილი. და იგი დაუბრუნდა თავის მიწა-წყალს, დაუბრუნდა გლეხის შრომას, რომ სიცოცხლის დასასრულამდე საკუთარი ზურგით ეზიდა ცხოვრების მძიმე ტვირთი, ეზრუნა თავის მრავალრიცხოვან ნაშიერებზე, მახლობლებსა და შორეულებზე და ამით თავის წილ განემტკიცებინა ქვეყნის, ხალხის, ერის დღეგრძელობისა და ბედნიერების საფუძველი.

ასე ხატავს მწერალი ქართველ გლეხს და მის ოჯახს, სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით შეკრულ ერთიან კოლექტივს, რომლის დევიზია „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის". ოჯახის ბუდის მარადიულობის სახოტბოდ დაუწერია ილია რურუას მოთხრობა „ბავშვობის დასასრული". მწერალი საერთოდ უწმინდესი და უფაქიზესი საღებავებით ხატავს მშობლის გრძნობას თავის ნაშიერებისადმი და ეს განსაკუთრებით ჩანს მოთხრობაში „წყნარი დღე", რომლის მოტივები შორეულად მოგვაგონებენ ხალხურ თქმულებას ვეფხისა და მოყმის შესახებ, იგი იგრძნობა აგრეთვე ლირიკულ ნარკვევში „წმიდა ალაგი", რომელშიაც მწერალი ასე ფაქიზად ეკიდება მამის მიერ შვილის მიმართ შექმნილ ილუზიას.

ამოუწურავია დედის სიყვარული შვილისადმი, დედისა, რომელიც შვილებზე განაწყენებს დროსაც მათს ბედნიერებასა და სიამოვნებაზე ფიქრობს („დაუცხრომელი გრძნობა"), ხოლო, როდესაც მემკვიდრენი ახალ ოდას დაიდგამენ, იგი ძველში რჩება იმ სურვილით შეპყრობილი, რომ „ახლად დალოცვილ ჭერს ჩემს მეტი ნურავინ გამოკლებოდესო" („უძილო ღამე"). და ასეთი გულისაა არა მარტო ალალი დედა, არამედ ის დედაც, რომელიც სხვებს უზრდის შვილებს და ამის გამო მწერალს „ერის დედა" შეურქმევია მისთვის. ამგვარი დედები, ვიტყოდით ჩვენ, ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნიან, რომელთა შესახებ მონტენი იტყოდა: ყველაზე ბედნიერი ისაა, ვისაც ადამიანთა მეტი რაოდენობა გაუბედნიერებიაო.

უნუგეშოა მშობელი, რომელსაც შვილი დაუკარგავს, მაგრამ მასზე უნუგეშოა პაპა, რომლისთვისაც ერთადერთი შვილიშვილი გამოუცლია ბედს ხელიდან. ასეთ ტრაგედიაზეა ნაამბობი მოთხრობაში „წიქარა", რომლის სიუჟეტი ავტორს ნიჭიერად დაუკავშირებია იმავე სახელწოდების ცნობილ, ქართულ ხალხურ ზღაპართან. შინ მოუსვლელი ჩანს ომში წასული ამირანი; მოხუცი დავითის კარმიდამოს აღარ უნდა დაუბრუნდეს მის მიერ ამირანის სახელზე გაზრდილი და შემდეგ გაყიდული წიქარაც. მაგრამ მოხუცს მაინც ის ახარებს, რომ სოფელი სოფლად დარჩება, ხოლო ხალხი ძველებურად გააგრძელებს ცხოვრებასა და შრომას. და სწორედ ამ ოპტიმიზმშია მოთხრობა „წიქარასა" და მისი ავტორის ზნეობრივი ძალა.

ილია რურუა მთელი გულით მიესალმება ცხოვრების გაზაფხულს, მის მუდმივ ყვავილობას. ამისთვის მიუძღვნია მწერალს მოთხრობა „ია"; იგი ასეა დასათაურებული იმ პატარა იას სახელის მიბაძვით, რომელსაც ახალი საცხოვრებელი ბინა უსაჩუქრეს. ბუნების ია ემსგავსება მწერლისათვის ეს პატარა გოგონა, რადგან ია ბუნების პირველი ყვავილია, გაზაფხულის მოსვლის მაუწყებელი, ხოლო ბავშვი პირველი ყვავილია ადამიანთა სიცოცხლის იმ გაზაფხულისა, რომელიც ისევე მარადიულია კაცობრიობისათვის, როგორც ია ბუნებისათვის. და თუ არა ეს იები, ადამიანი დაემსგავსებოდა ჩიხში ჩაყენებულ იმ ძველ ვაგონს,

რომელიც მწერლის სიტყვით „არავის ელის, არსად ისწრაფვის და არც ეპირება“ („ფიქრები წიფის გვირაბთან“).

იმ ბაღნარს, სადაც ეს იები იზრდება, მზრუნველობისა და სიყვარულის ნამს აპკურებს არა მარტო დედის გული, არამედ მისი მასწავლებლებისაც, რომლებიც მოწოდებით არიან მოზარდთა სულიერი მშობლები.

განა საჭიროა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უჭირავს მასწავლებელს არა მარტო ბავშვის, არამედ საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრებაში? მაგრამ ჩვენი მწერლობა დამსახურებისამებრ დღემდე არ შეხებია ამ რთულ და მეტად საჭირო თემას, მთელი გულით არ უფიქრია და არ უზრუნია მასზე. ამიტომ, ყოველი მოთხრობა, ლექსი თუ ნარკვევი მასწავლებლისადმი მიძღვნილი, ბუნებრივად იქცევს ჩვენს ყურადღებას. ზოგიერთ სხვა ქართველ მწერალთან ერთად ამ საკითხს შეხებია ილია რურუაც და კრებულში მოუთავსებია მასწავლებლისა და მისი კეთილშობილი პროფესიისადმი მიძღვნილი მოთხრობა „გზის დასაწყისი“. მოთხრობაში, რომელშიაც ავტორის მიერ საქმის ცოდნითაა ნაჩვენები მასწავლებლის მოღვაწეობის მთავარი და სპეციფიკური მხარეები, დამაჯერებლადაა აღწერილი ის ზნეობრივი კმაყოფილებაც, რომელსაც ახალგაზრდა შალვა აზიარა მის მიერ არჩეულმა პროფესიამ. ამიტომ ამბობს იგი: „ვინ იცის, რა მომავლის ხალხი ზის აქ, ვინ რა დიდებას უმზადებს თავის მამულს, მე კიდევ მეკვლედ ვარ გამოგზავნილი მშობელი ხალხის წიაღში“. ჭეშმარიტებას ღაღადებს მწერალი ამ სიტყვებით, იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ღრმად უნდა ჩაწვდეს ყველა ახალგაზრდა, ვისაც ქვეყანამ ახალი თაობის აღზრდა დააკისრა. ამ „ახალგაზრდა მეკვლეებს“ კი მათს ძნელ, მაგრამ კეთილშობილ საქმეში მეგობრულ დახმარებას ილია რურუას ეს მოთხრობაც გაუწევდა.

ჩვენი წერილის შესავალშივე აღინიშნა, რომ ნამდვილი შემოქმედის ცხოვრებაში, მის სულში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სიკეთის გრძნობას უჭირავს. ამ საერთო კანონიდან გამონაკლისს, რა თქმა უნდა, არც ილია რურუას მოთხრობები შეადგენენ. მეტიც, ეს მორალური ფაქტორი ზოგჯერ ჭარბი თვალსაჩინოებითაცაა წარმოდგენილი მის შემოქმედებაში. როდესაც ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ისეთი მოთხრობები, როგორიცაა „თბილი პური“ და „შიოს მარანი“, განსაკუთრებით კი პირველი. მართლაც, ძლიერია მოთხრობა „თბილი პური“, რადგან იგი მკითხველს არწმუნებს აქა-იქ გავრცელებული იმ აზრის სიყალბეში, რომ თითქოს გაჭირვება და ტანჯვა აუცილებლად ჰრყვნიდეს ადამიანს, უფრო ეგოისტურსა და გაუმაძღარს ხდიდეს მას, და განა ამ აზრის მცდარობის დამადასტურებელი არ არის ბიძია სოლომონის მოქმედება, როდესაც თავის დამშეულ ოჯახში მისატან პურს იგი რძლებსა და ძმისშვილებს გადასცემს დაუნანებლად და წრფელი ღიმილითაც კი? შესანიშნავია მოთხრობის ეს ფინალი, რომლითაც მწერალმა სიკეთის ზეიმი და ამ ზეიმის მიზეზი, ბიძია სოლომონი, დაგვიხატა ფერწერულად. მართლაც დაუვიწყარია სოლომონის პორტრეტი, მისი პიროვნება და ამიტომ გვაღელვებს ავტორის ნათქვამი მასზე: „იმ დღიდან, როცა სიტყვა სიკეთეზე ჩამოვარდება, ყოველთვის გამახსენდება ბიძაჩემი: ხიდთან მარტოდ მდგარი ახოვანი კაცი, მოღიმარი კეთილი სახით, დაცარიელებული, მაგრამ ალერსიანი ხელებით“ („თბილი პური“). შესანიშნავადაა ნათქვამი! ეს სიტყვები თემად გამოადგებოდა ფერწერის ყოველ ოსტატს, რომელიც კი განიზრახავდა ადამიანში განსახიერებული სიკეთე საღებავებით აღებეჭდა ტილოზე.

სოლომონთან ერთად სიკეთის ეს ნათელი ადგა ძია შიოსაც („შიოს მარანი“), რომელსაც ძველად მწერლის სიტყვით „არც ზვარი ჰქონდა დიდი, არც ეზო-ყანა ვრცელი, არც ბეღელი სავსე, არც ქვევრები დაუშრობელი, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდა გული, ალალი გული, ჩვენი ხალხის კეთილი გული და კიდევ ჰქონდა პატარა მარანი და იდგა ამ მარანში სახეგაბადრული, მოღიმარი. და ღვინით სავსე ჯამს აწვდიდა ყველას, ასმევდა ყველას, განურჩევლად, სანამ ედგა. შემდეგ იქნება დასცინოდნენ კიდეც ისინი, ვინც მისას სვამდნენ და საკუთარს ინახავდნენ. მაგრამ გულბოროტება დამიწდა, შიოს სიკეთე არა. მისი სიკეთეც გვახსოვს, მისი სახელიც“. მწერალმა ასე შეასხა ხორცი პატარა ნოველაში რუსთაველის სენტენციას — „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ და ამით ადიდა სიკეთე, მისი ძალა და უკვდავება.

ამ გრძნობის სადიდებლად დაუწერია ილია რურუას მრავალი სხვა მოთხრობაც („ძია იასონი“, „ჭის მთხრელი“, „ყაბალახიანი კაცი“, „მამა და შვილი“, „შთაბეჭდილების წიგნი“, „დაუთა“, „შორეული მოგონება“, „გენერლის ვალი“, და სხვ.), რომლებშიაც ცოცხალი, ნაპერწკლიანი იუმორის ნიჭიც გვიჩვენა.

ილია რურუას ნაწარმოების კომპოზიციის გრძნობაც ჯანსაღი აქვს და ქართული სიტყვაც, მაგრამ უნაკლო არც მისი პროზაა. კარგია მწერლის ენის „ყანა“, მაგრამ აქა-იქ სარეველაც ჩანს მასში და ამიტომ გასუფთავება სჭირდება.

ჩვენ „მართალი მოთხრობები“ ვუწოდეთ ილია რურუას ნაწარმოებთა კრებულს, მაგრამ მასში შესულია ერთი-ორი ისეთი ნაწარმოებიც, რომლებსაც მხატვრული დამაჯერებლობა აკლია. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მოთხრობა „უძილო ღამე“, რომლის სიუჟეტის ერთი ნაწილი და ფინალი, მართლაც, ძნელად დასაჯერებელია.

როგორც ვთქვით, ილია რურუას მეტყველება სასიამოვნოა და გმირთა ხასიათების ინდივიდუალურ თავისებურებასთან ნიჭიერადაა შეფარდებული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იგი სავსებით დაზღვეული იყოს ყოველგვარი ნაკლისაგან. არა, ენობრივი ნაკლი მწერლის მოთხრობებში აქა-იქ გვხვდება და იგი უმთავრესად ავტორის მიერ ყარგონის ხმარებაში იჩენს თავს. ილია რურუას სამწერლო მეტყველებას, ცხადია, ვერაფრით ვერ ეგუება, მაგალითად ასეთი გამოთქმები: „ვა, შენს პოვედენიეს ვენაცვალე“ („ძია იასონი“); „დიდი პაზორნი ვინმე ხარ“, „პრივეტ, ჯიგარო“ („ძმები“) და სხვ.

მომავალში მწერალი ყარგონს უნდა ერიდოს. ამას მოითხოვს თვით ბუნება მისი საინტერესო შემოქმედებისა.

ვლადიმერ ზამბახიძე

გულწრფელი სტრიქონები

გულახდილად თუ ვიტყვით, ჩვენს ახალგაზრდულ პოეზიას ვარჯიშით „გაწაფულმა“, ეგრეთწოდებულმა ნასწავლმა ხელმა გარკვეული დაღი დაატყო. ასეთი ლექსი სხვა „სიკეთესთან“ ერთად არც ლიტერატურულ-ესთეტიკური განხილვისათვის იძლევა დამაკმაყოფილებელ და სასურველ საფუძველს. ლექსი, რომელიც ასე თუ ისე პროფესიულ დონეზე დგას, თვითონვე გვაძლევს ნიშანს დამაჯერებელი მსჯელობისა და ანალიზისათვის. ამგვარი პროფესიული ნიშნები აშკარად ეტყობა ზაურ ბოლქვაძის ლექსებს. ეს არც თუ ისე სასხვათაშორისო თვისებაა მისი თაობის შემოქმედების ფონზე.

ზაურ ბოლქვაძის პოეზიას სინათლედ ადგას მთრთოლვარე პოეტური განცდა, ემოცია, გადამდები პათოსი და პოეტური გულწრფელობა. იგი მუდამ დაძაბულია და ყველაფერზე ღელავს. ასეთ პოეტურ ნერვულობას უმთავრესად საგნებში და მოვლენებში წვდომის სურვილი განაპირობებს. იქ, სადაც ავტორი ამ სურვილს რეალურ სურათად აქცევს, უშუალოდ საგნის თუ მოვლენის არსიდან გამოდის, გრძნობისა და გონების ჰარმონიის პრინციპით მოქმედებს, სასურველ მხატვრულ შედეგს აღწევს. ეს გამოავლინა მან ციკლში „დედა, ზამთარი და შუაცეცხლი“. მართალია, ავტორმა ყველა ლექსში ვერ შეინარჩუნა თანაბარი მხატვრული დონე, მაგრამ საკუთარი პოეტური სტიქიის ძირითადი ხასიათი კი ცხადყო.

ზაურ ბოლქვაძემ ამ ციკლში შესძლო მოსალოდნელი და მომხდარი ფაქტის თანაბარი პოეტური განცდა. შესაძლოა აქ „მოსალოდნელი“ კერძო, წმინდა ბიოგრაფიული დეტალია და მისი გამხელა მიზანშეწონილი არ იყოს.

„დედა, ზამთარი და შუაცეცხლი“ დრამატული ციკლია. თემის ხასიათმა, მისმა ლოგიკურმა მხატვრულმა ანალიზმა მოხაზა დრამატული სიტუაცია — დედის უსაზღვრო სიყვარულის სურათი, მისი სიკვდილის ტრაგიკული სცენა. მსუბუქი მელანქოლიერი და სევდიანი წიაღსვლებით ავტორი ქმნის იმედის განწყობილებას. ღრმა განცდა, მისი სრულყოფილი მხატვრული ასახვა და ზუსტი გადაცემა ციკლს შთამაგონებელ ძალას ანიჭებს.

ზაურ ბოლქვაძე ლექსების ორი კრებულის ავტორია. არ არსებობს რეალური საფუძველი შემოქმედის და მით უმეტეს პოეტის საბოლოო შეფასებისათვის. მონაცემების მიხედვით შეიძლება იწინასწარმეტყველო ცოტა რამ, მაგრამ მოულოდნელი შესაძლებლობანი, რითაც აღსავსეა ყოველი ხალასი ნიჭის შემოქმედი, ერთგვარად საეჭვოს ხდის ლიტერატურულ ჰიპოთეზას და მით უმეტეს გამორიცხავს დასკვნითი შეფასების ცდას.

მკითხველი უფლებამოსილია ერთი რამ მოითხოვოს — რამდენიმე ათეული ლექსის გამაერთიანებელ ორ კრებულში, აუცილებლად უნდა ჩანდეს ავტორის პოეტური სახე, მისი პოეტად არსებობის ობიექტური საფუძველი, უამისოდ, რა თქმა უნდა, არც ამ კრებულების გამოცემას აქვს ფასი და არც მათ განხილვას.

თუ პირუთვნელად შევადარებთ ზაურ ბოლქვაძის მეორე კრებულს პირველთან, ნათლად დავინახავთ ცალმხრივ წარმატებას. ჯერ უშუალოდ ამ წარმატებაზე ვილაპარაკოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზაურ ბოლქვაძეს საერთოდ ახასიათებს მღელვარე პათოსი. ისიც ვთქვათ, რომ იგი ყოველთვის არ მისდევს ცარიელ აგზნებას. ხშირად თემას ემოციურ-რაციონალურ ასპექტშიც წყვეტს და მხატვრულ დამაჯერებლობას აღწევს. ამ პრინციპს იცავს

ზ. ბოლქვაძე, „ლექსები“, საბჭოთა საქართველო, 1964.

ზაურ ბოლქვაძე ლექსებში: „ვაჟას სიმღერა“; „მარადისობას ერთვის ხელები“ და სხვ.

„მარადისობას ერთვის ხელები“ — აქ ავტორს სურს დახატოს ლადო გუდიაშვილის პიროვნებისა და შემოქმედების იდუმალი სამყარო. ასეთი განზრახვის პოეტური უშუალობით განხორციელება თავისებურ ოსტატობას მოითხოვს. იოლი მოსალოდნელია აქა-იქ მაიხც გაგეპაროს პუბლიცისტური, პლაკატური ფრაზები და წინა პლანზე წამოიწევს ძშრალი შეფასების ტენდენცია.

ავტორმა ძირითადად დასძლია ეს საფრთხე და პოეტური ყალიბი მისცა ჩანაფიქრს.

მარადიული სიმღერე შენი
დაფარულია მზიური ღრუბლით,
სიხარულისგან კანკალებს ველი,
დაფნით გერთვება ნათელი შუბლი...

ზაურ ბოლქვაძის პირველ კრებულში ნაკლებად ჩანდა პოეტური ინტელექტი. უსაგნო ექსტაზს ინერციით აყოლილი ახალგაზრდა პოეტი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ლექსის შინაარსობრივ მხარეს. ეს ნაკლი არც მეორე წიგნში ჩანს მკრთალად, მას კვლავ ზედმეტად ეტყობა აფორისტული აზროვნებისაკენ მისწრაფება და ზოგიერთ ლექსში ამ მიზნის სისტემად გადაქცევასაც კი ცდილობს. აფორისტული აზროვნებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დიდი სიბრძნე და ისიც, ძირითადად, შენებური; მეორეც — დიდი სიბრძნე რომ პოეზიად აქციო, მართლაც რომ სიტყვის ვირტუოზი, დიდი პოეტური გაქანების პიროვნება უნდა იყო.

ზაურ ბოლქვაძეს არ ჰყოფნის პოეტური ოსტატობა, ცხოვრების გამოცდილებით და ბანალური გულუბრყვილობით კმაყოფილდება.

უკვდავებისთვის არ კმარა იგი,
რაც მოკვდავისთვის საკმარისია.
სჯობს სიცოცხლეში დაგვიანოს ცამ,
ვიდრე დრომ, ისიც სიკვდილის შემდეგ,
ისტორიაში წვალებით შესვლას,
სჯობს, დამშვიდებით შეხვიდე სამარეში!
(„ჩვენი თაობა“)

რომ სიკვდილშიც შეიძლება სიკვდილი,
რომ სიკვდილშიც შეიძლება სიცოცხლე.
(„თუ სიტყვასთან არ გაქვს ყალბი ჭიდილი“)

ზოგჯერ ახალგაზრდა ავტორის განცდას არ აქვს რეალურ-კონკრეტული საფუძველი, პოეტური პათოსი კარგავს მიზანს და ყალბ პათეტიკაში, უბრალო პოეტურ აზრში, თავბრუდამხვევ ტონში გადადის. არ ჩანს ემოციების, დრამატული განწყობილების საფუძველი — ობიექტური ფაქტი, ლექსის შთამაგონებელი მასალა.

ეს მოვლენა მეორე კრებულში, პირველთან შედარებით, უფრო ეპიზოდურად შეინიშნება, რაც საიმედო პირობაა იმისა, რომ ავტორს ნამდვილად შეუძლია მისი დაძლევა.

კრებულში წარმოდგენილია მიძღვნითი ლექსები: „გურამიშვილი“, „ბესიკის ვედრება“, „ბარათაშვილი“, „ვაჟას სიმღერა“ და „ლადო გუდიაშვილს“. მათი უმრავლესობა იმდენად ზოგად ასპექტში, გააზრებული, რომ პიროვნებისათვის თუ მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ორგანული ნიშანი არ ჩანს.

ზაურ ბოლქვაძე კარგად ფლობს სიტყვას, ფრაზის ტექნიკას, რაც მისი პოეზიის მეტრულ-ინტონაციურ მრავალფეროვნებას განაპირობებს. იგი ნათლად და ცხადად აზროვნებს, ყოველთვის გულრწფელი და უშუალოა, პრინციპულად უარყოფს ხელოვნურ გართულებებს, ბუნდოვან სახეს თუ გარემოსთან განზრახულ ურთიერთობას.

ფილიპე გერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"

ლევ ტოლსტოი — თხზ. ტომი VIII, თარგმანი თამარ საყვარელიძისა და ლარისა ტიტვინიძის. რედ. თ. ბუაჩიძე. გვ. 470, ფასი 98 კაპ.

მიხეილ შოლოხოვი — წყნარი დონი I-II წიგნი. თარგმანი თინათინ ჯავახიშვილისა. რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 690, ფასი 1 მ. 90 კაპ.

სიმონ ჩიქოვანი — თხზულებანი. ტომი I. რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 437, ფასი 1 მან. 10 კაპ.

ირაკლი აბაშიძე — ლირიკა. რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 170, ფასი 33 კაპ.

ლევან გოთუა — ნისლი ნახატარის ტყეში. რედ. ნ. ინასარიძე, გვ. 458, ფასი 93 კაპ.

ალ. ქუთათელი — ნიღბები... სასტიკი განაჩენი... რედ. ც. ჯაფარიძე, გვ. 375, ფასი 65 კაპ.

იოსებ ნონეშვილი — ლექსები. რედ. შ. ამისულაშვილი. გვ. 326, ფასი 71 კაპ.

ლავრენტი არდაზიანი — თხზულებანი. რედ. ნ. ინასარიძე, გვ. 372, ფასი 78 კაპ.

მორის ფოცხიშვილი — ეს გაზაფხულიც მოვიდა. რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 102, ფასი 18 კაპ.

დავით კვიცარიძე — კოცონი. რედ. ი. ხოშტარია, გვ. 245, ფასი 48 კაპ.

მედეა კახიძე — სიყვარულს უშენებია. რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 180, ფასი 11 კაპ.

მირზა გელოვანი — უბის წიგნიდან. რედ. ვ. ბეწუკელი, გვ. 290, ფასი 62 კაპ.

ვ. ფათრი-ხოშვინაბი — როცა წვიმს. თარგმანი არჩ. დავითიანისა, გვ. 143, ფასი 19 კაპ.

თეოდორ დრაიზერი — კერი. თარგმანი თამარ ზანდუკელისა. რედ. ე. მაღრაძე, გვ. 470, ფასი 1მან. 47 კაპ.

გრეგ გრინი — წყნარი ამერიკელი, თარგმანი ანა გახოკიძისა, რედ. ლ. ცოტაძე, გვ. 233, ფასი 65 კაპ.

კონან დოილი — ბასკერვილების ძაღლი. თარგმანი ე. მაღრაძისა, რედ. ლ. იმერლიშვილი. გვ. 164, ფასი 48 კაპ.

ანა ფრანკი — დღიურები. თარგმანი ნ. ამაშუკელისა, რედ. ელ. გოგოლაშვილი, გვ. 286, ფასი 83 კაპ.

ა. ვინოგრადოვი — პაგანინის განკიცხვა. თარგმანი თამარ სვანისა. რედ. არჩ. დავითიანი. გვ. 376, ფასი 76 კაპ.

ჩინგიზ აიტმატოვი — მთებისა და ველების მოთხრობები. თარგმანი გ. დვალიშვილისა, რედ. ც. ბუაჩიძე. გვ. 186, ფასი 54 კაპ.

დავით ჯიოევი — უძლეველი ძალა. თარგმანი ე. ბაშარულისა, რედ. გ. ციცქიშვილი, გვ. 428, ფასი 87 კაპ.

ო. ჯობლინსკაია — მიწა. თარგმანი გ. შალამბერიძისა, რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 368, ფასი 57 კაპ.

გ. ვარასლავოვი — იურტალანის რძალი, თარგმანი. ვ. აკობაშვილისა, რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 246, ფასი 49 კაპ.

საურბეკ ბაკბერგენოვი — დინა. თარგმანი ირ. ყიფიანისა. რედ. ლ. ელიოზიშვილი, გვ. 178, ფასი 39 კაპ.

ნ. მურავიოვა — ჰიუგო. თარგმანი ე. გოგოლაშვილისა. რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 362, ფასი 92 კაპ.

ი. კუნინი — პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი. თარგმანი ნორა აბაშიძისა და მაია კაკაბაძისა. რედ. გ. ციცქიშვილი, გვ. 330, ფასი 1 მან. 05 კაპ.

6/16/18

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“